



ქალა, რომელიც არასოდეს არ უნდა დათვი

# გეოგრაფი

## ჯონ ჩევორი

ავტორი წიგნისა სატანის სატყუარა



შეიცავს წიგნის DVD ვერსიას

## ძვირფასო მეგობარო


ის თუ როგორ დაასრულებ შენს მოგზაურობას ქრისტეში, განუზომლად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის თუ როგორ დაიწყებ. მსრბოლელის მსგავსად, უნდა გადაწყვიტო, რომ შენი სარბიელი კარგად გაირბინო. თუმცა, რამდენი და და ძმა ვიცით, რომელნიც დასუსტდნენ და საბოლოოდ დანებდნენ სირთულეებისა და განსაცდელების გამო? კარგი ამბავი კი ის არის, რომ ღვთის მადლმა მოგვცა ყველაფერი, რაც კი გვჭირდება იმისათვის, რომ ავმაღლდეთ იმ გარემოებებზე, რომელიც ჩვენს ირგვლივ იქმნება დიდი სირთულეების უამს. შეუპოვარი, სწორედ რომ იმ ძალის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც კარგად დასრულებისათვის არის საჭირო.

მნამს, რომ ეს გზავნილი წინასწარმეტყველურად არის ცხებული, რომელიც მიმართულია დღევანდელი ეკლესის დიდი საჭიროებისაკენ. გამოცემის შემდეგ მრავალმა ქალმა და კაცმა დაამოწმა იმ თავისუფლების, რწმენის და გამძლეობის შესახებ, რომელიც ამ წიგნმა გააღვივა მათ ცხოვრებაში. როდესაც უფალი ამ ჭეშმარიტებებზე მელაპარაკებოდა, მე გამოღვიძება განვიცადე ჩემს სულში.

უფალმა ჩემში ალძრა სურვილი, რომ ეს ჭეშმარიტებები შენთვის და მსოფლიოს მასშტაბით ყველა ლიდერისთვის გამეზიარებინა. გთხოვთ, მიიღეთ ეს ჩემგან დიდი სიყვარულით. დისკს და დამატებით ფაილებს გადმოტვირთავთ რა ინტერნეტიდან, ჩემი თხოვნაა გაუზიაროთ ისინი ყველას, ვისაც კი იცნობთ! მჯერა, რომ ეს მასალები გაგაძლიერებთ თქვენ და თქვენს გვერდში მყოფთ, რომელნიც ენდობიან თქვენს ზრუნვას, ძალაუფლებას და ღვთიურ მიზანს.

მეგობარო, ამ წიგნში გადმოცემულმა გზავნილებმა სამუდამოდ შეცვალა ჩემი ცხოვრება და ღმერთისადმი მსახურება. ვლოცულობ, რომ შენი ცხოვრებაც შეიცვალოს ამ სასწავლო პროგრამის მეშვეობით. გამიხარდება თუკი დამიკავშირდები და გამაგებინებ თუ რა გავლენა იქონია ამ წიგნმა შენზე და შენს მსახურებაში მყოფ ადამიანებზე, მომწერეთ: [JohnBevere@ymail.com](mailto:JohnBevere@ymail.com)

თქვენი ძმა ქრისტეში



ჯონ ბევერი

[JohnBevere@ymail.com](mailto:JohnBevere@ymail.com)



ჯონ ბევერი ფეისბუქსა  
და ტვიტერზე.

teach reach rescue  
**Messenger International.**  
[MessengerInternational.org](http://MessengerInternational.org)

ქალა, რომელიც არასოდეს არ უნდა დათვა

გ ი უ პ ი ვ ა რ ი

ჯონ

ბევრი

ავტორი წიგნისა სატანის საფუურა

თბილისი

2013

Relentless by John Bevere, Georgian

© 2013 Messenger International

[www.Messengerinternational.org](http://www.Messengerinternational.org)

Originally published in English as Relentless

Additional resources in Georgian by John & Lisa Bevere

Are available for free download at: [www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)

To contact the author: [JohnBevere@ymail.com](mailto:JohnBevere@ymail.com)

შეუპოვარი, ჯონ ბევერი, ქართულად

© 2013 Messenger International

[www.Messengerinternational.org](http://www.Messengerinternational.org)

ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე

სახელწოდებით „შეუპოვარი“

ჯონ და ლიზა ბევერებისაგან დამატებითი

რესურსები ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია

შემდეგ მისამართზე: [www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)

ავტორის ელ-ფოსტის მისამართია: [JohnBevere@ymail.com](mailto:JohnBevere@ymail.com)

კუძღნი ჩემს ვაჭს...

### **ალექს ბევირს**

შენ დაძლიერ დაბრკოლებები და ამაღლდი სირთულეებზე.  
შენი ცხოვრება უკვე წარმოადგენს ღმერთის  
მადლისა და კეთილგანწყობის მოწმობას.  
ვამაყობ შენით და მიყვარხარ საუკუნოდ.

## შინაარსი

შესავალი	— 6
1 შეუპოვარი	— 9
2 მეფობა სიცოცხლეში	— 21
3 ძალის წყარო	— 35
4 როგორ ცხოვრობდა იესო	— 47
5 გამორჩეული	— 61
6 იხილე ან შედი	— 81
7 ვინ დგას სირთულეების მიღმა?	— 103
8 აღიჭურვეთ	— 123
9 ძლიერი მადლში	— 139
10 თავმდაბლობის იარაღი	— 155
11 ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი	— 171
12 იფხიზლეთ და იყავით მღვიძარენი	— 189
13 წინ აღუდექით ეშმაკს	— 203
14 წინააღმდეგობის ყველაზე აღმატებული ფორმა	— 219
15 შეუპოვარი ლოცვა	— 235
16 ირბინე ჯილდოსთვის	— 251
17 მეფესთან ახლოს	— 267
18 არასოდეს არ დანებდე!	— 275
დანართი A:	
ლოცვა — გახდი ღმერთის შვილი	— 285
დანართი B:	
რატომ ვიყენებ ბიბლიის ამდენ სხვადასხვა თარგმანს	— 287
შემდგომი მსჯელობისა და გააზრებისათვის	— 289

## შესავალი

ე ალევე, რაც ამ წიგნის წერა დავიწყე, ვნახე ფილმი, რომელშიც კარგად არის ასახული შეუპოვრობის მნიშვნელობა. ფილმი „მოჩევენება და წყვდიადი“, სადაც მთავარ როლებს მაიკლ დუგლასი და ვალ კილმერი ასრულებენ, 1800 წელს მომხდარ ფაქტებზეა დაფუძნებული.

შესანიშნავ სამხედრო ინჟინერს სახელად პეტერსონს (ვალ კილმერი) დაიქირავებენ, რათა მეთვალყურეობა გაუწიოს სარკინიგზო ხიდის მშენებლობას, რომელიც უგანდაში მდინარე ცავოზე უნდა აიგოს, რაც გაზრდის ბრიტანულ-აფრიკული სარკინიგზო მაგისტრალის მოცულობას. პროექტი უკვე თითქმის შეჩერებული იყო, როდესაც პეტერსონი გამოჩნდება.

ის მალევე მიხვდება ამის მიზეზს. მუშები ნელ-ნელა ქრებოდნენ. ისინი ღამით უჩინარდებოდნენ. პეტერსონი იგებს, რომ ორი კაციჭამია ლომი დაეპატრონა მუშათა ბანაკს. ამ მკვლელობათა შესაჩერებლად ის მახებს დააგებს და ცდილობს სხვადასხვა მეთოდები გამოიყენოს, მაგრამ ეს მკვლელთა დუეტი წინასწარ იგებს პეტერსონის სვლებს და თავს არიდებს მის მიერ დაგებულ მახებს.

როდესაც მოკლულთა რიცხვი ოცდაათს მიაღწევს, რკინიგზა დახმარებისათვის მიმართავს ამერიკელ მონადირეს ჩარლზ რემინგტონს (მაიკლ დუგლასი). იგი ცნობილია თავისი სამონადირეო ოსტატობით, თუმცა ლომები კვლავ აგრძელებენ ხალხის ხოცვას. ბანაკში ყოველ ღამე ვიღაც კვდება, და ბოლოს, ისინი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ლომები ბოროტი სულები არიან და მათი შეჩერება შეუძლებელია. როდესაც მოკლულთა რიცხვი 130 გადააჭარბებს, მუშებს ეუფლებათ პანიკა, და პეტერსონი და რემინგტონი უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ხედავენ რა, როგორ გარბიან მუშები მშენებლობის ადგილიდან და მიჰყვებიან მატარებელს, რომელიც ცავოს მთელ ტერიტორიაზე გადის.

სწორედ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის მომენტმა შემძრა. მოვლენები ძალზედ შთამბეჭდავად ვითარდება. ერთ მხარეს ვხედავთ მშიშარა ზედამხედველს, რომელიც უფრო ამძაფრებს თავის ქვეშევრდომებში შიშს და ამით უბიძგებს მიატოვონ სამუშაო, რომლის დასრულებაზეც მათ თანხმობა განაცხადეს. მეორე მხარეს კი გვყავს სამი კაცი – რემინგტონი, პეტერსონი და პეტერსონის დამხმარე – რომლებიც უარს ამბობენ ხელი აიღონ დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე და აყვნენ დამანგრეველ შიშს.

მხოლოდ ეს სამი კაცი რჩება ამ მკვლელი ურჩხულების პირისპირ. ისინი რამდენჯერმე უშედეგოდ შეეცდებიან მათ მოკვლას. მათ წინაშე ძალიან მნიშვნელოვანი და სახიფათო ამოცანაა. შესაძლოა, ეს ყველაფერი სიცოცხლის ფასად დაუჯდეთ, თუმცა გადაწყვეტილი აქვთ ბოლომდე იბრძოლონ და დაასრულონ ხიდის მშენებლობა. ისინი ძლიერ იარაღს ფლობენ. რემინგტონი და პეტერსონი დარწმუნებულები არიან, რომ საბოლოოდ გაიმარჯვებენ, თუ ფრთხილად და გონივრულად იმოქმედებენ, უკან არ დაიხევენ..... არ დანებდებიან.

დრო და სივრცე არ გვაძლევს დეტალებში ჩაღრმავების უფლებას, მაგრამ უნდა იცოდე: კაციჭამია ლომებს შეაჩერებენ, მაგრამ ამ გამარჯვებას დიდ ფასად მოიპოვებენ.

მუშები დაუბრუნდებიან სამუშაო ადგილებს და პროექტის ინჟინერს პეტერსონს უკვე სხვა თვალით შეხედავენ. იგი არის კაცი, რომელმაც თვალებში ჩახედა სიკვდილს, მაგრამ მაინც არ დანებდა. ამ ადამიანების თვალში მათი ინჟინერი ერთი ასად ამაღლდა და მათ შეუძლებლის შესრულება შეძლეს. ხიდი თავის დროზე აშენდა!

ჩვენც, როგორც ღმერთის მიერ წარგზავნილები, ვაშენებთ ხიდებს. ჩვენი ხიდები მიწას და ზეცას აკავშირებენ ერთმანეთთან. როდესაც ყველებით წინააღმდეგობებს, წმინდა წერილი მათ წარმოგვიდგენს, როგორც მბრდღვინავ ლომებს, რომლებიც ცდილობენს ჩვენს ჩაყლაპვას. თუმცა, ცსავოს ლომის მსგავსად, ჩვენი ლომიც არ ფლობს იარაღს...მაგრამ ჩვენ გვაქვს. მტერი განიარაღებულია, ჩვენ კი გაგვაჩნია ადამიანისთვის ხელმისაწვდომი ყველაზე ძლიერი იარაღი.

წინ გველის მოსაგები ბრძოლები და დასაძლევი სიმაგრეები. ხშირად ისინი აღმართულია გონებაში, გამოხატულია ქცევაში, ცხოვრების წესში და მტერი ცდილობს ისინი თავს მოახვიოს ადამიანებს. ჩვენს წინ აღმართული სიმაგრეები ერთობ მტკიცეა, მაგრამ „ქრისტეში“ ჩვენ ძლიერები ვართ.

ერთ ძალიან მნიშვნელოვან კითხვას უნდა გავცეთ პასუხი: დავემსგავსოთ იმ შეშინებულ მუშებს, რომლებიც სირთულეებს გაექცნენ, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, თუ ვიყოთ შეუპოვარი და გაძედული ადამიანები, რომლებიც ილტვიან ზეციური მანდატის შესასრულებლად? მე მჯერა, რომ ეს სიტყვა შეიცავს ჭეშმარიტებებს, რომელსაც გააჩნია პოტენციალი შენში შეუპოვრობის დამოკიდებულება ჩაბეჭდოს. ეს ჭეშმარიტებები არა მხოლოდ შეგძნით სიმტკიცეს, არამედ მოგცემთ ძალას გასამარჯვებლად და დადებით ცვლილებებს გამოიწვევს.

მნიშვნელოვანია, რომ შენ ამ შემეცნებაში გაიდგა ფესვი. ოდესლაც მრავალი წლის წინ ღვთის ხალხი აღმოჩნდა ტყვეობაში და იღუპებოდა უმეცრების გამო (იხ. ესაია 5:13; ოსია 4:6;). სწორი ხედვა რწმენის საფუძველს ქმნის, ხოლო რწმენით განვახორციელებთ ცვლილებებს დაკარგულ და სიბნელეში შთანთქმულ სამყაროში.

შენ დაიბადე, რათა შენი გავლენის სფეროებში ცვლილება მოახდინო. მოდით, ერთად მივიღოთ ეს გამოწვევა და აღმოვაჩინოთ შეუპოვრობის ძალა, რომ არასოდეს დავნებდეთ!

## შეუპოვარი

„სჯობს საქმის ბოლო მის დასაწყისს“  
ეკლესიასტე 7:8;

**3** ფიქრობ, დამეთანხმებით თუკი ვიტყვი, რომ გაცილებით მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ „ვამთავრებთ“, ვიდრე ის, თუ როგორ „ვიწყებთ“.

ქრისტიანული ცხოვრების დასასრული – არის ის დრო, როდესაც წარესაცდებით უფლის წინაშე და გვეტყვის: „ყოჩალ, ჩემო კეთილო და ერთგულო მონავ!“.

კარგად რომ დაასრულო ცხოვრება, იგი კარგად უნდა განვლო. ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ „არ უნდა დავნებდეთ არასოდეს“. ეს წიშნავს, გვქონდეს შეუპოვარი სული.

როგორ ვიძენთ მას? და რატომ არის ეს ესოდენ მნიშვნელოვანი?



გულწრფელად რომ ვთქება, ძალიან განვიცდი იმას, რომ ბევრი მორწმუნე ვერ დაამთავრებს ცხოვრებას ღირსეულად. ღმერთმა ერთხელ ხედვა მომცა, რომელიც ამ წიგნის თემას უკავშირდება.<sup>1</sup>

ერთი კაცი ნავით დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიცურავდა. იგი მთელი ძალით უსმევდა წიჩებს, რათა მდინარის ძლიერი დინებისთვის წინააღმდეგობა გაეწია. ამოცანა იყო რთული, მაგრამ შესრულებადი.

აქ უფრო დიდი და კომფორტული გემებიც დაცურავდნენ, რომლებიც მოზეიმე ხალხით იყო სავსე. ამ გემებზე მყოფი ადამიანები იცინოდნენ, სასმელს მიირთმევდნენ და ერთობოდნენ. ხანდახან გადმოხედავდნენ პატარა ნავში მყოფ კაცს, რომელიც მდინარის დინებას ებრძოდა და დასცინოდნენ. მას თითოეული სანტიმეტრის ბრძოლით მოპოვება უხდებოდა, მაშინ, როცა ეს ხალხი ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე წინ მიიწევდა.

1. ამ ხედვის შესახებ მოკლედ ვწერ წიგნში „მოგიზგიზე გული“ (Nashville: Thomas Nelson, 1999). ვგრძნობ, რომ კიდევ ერთხელ უნდა მოგითხროთ ეს ისტორია, ოლონდ უფრო დეტალურად.

რაღაც დროის შემდეგ კაცი დაიღალა, დინებასთან ბრძოლით დაქანცულმა და ძალაგამოცლილმა ნიჩბები გადაყარა. თავდაპირველად რამდენიმე წამის განმავლობაში ნავი ინერციით ისევ წინ მიდიოდა, და უცებ ძალიან სამწუხარო რამ მოხდა: მიუხედავად იმისა, რომ ნავის წინა მხარე ისევ დინების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, მან ნელ-ნელა უკან სვლა დაიწყო, დინებამ ნავი თავისი მიმართულებით წაილო.

კაცმა მალე სხვა დიდი გემი დაინახა. ეს გემი განსხვავდებოდა დანარჩენი გემებისგან. მასაც, ნავის მსგავსად, ცხვირი მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ჰქონდა, მაგრამ დინებას მიჰყვებოდა. ამ გემზეც ხალხი ერთობოდა და დროს მხიარულად ატარებდა. რადგანაც გემი მიმართული იყო დინების საპირისპიროდ, სწორედ იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც ნავში მყოფ კაცს სურდა წასვლა, გადაწყვიტა ამ გემზე გადასულიყო და მათთან ერთად გაეცურა. ახლა ისინი ერთ მუშტად შეკრული ადამიანების ჯგუფს წარმოადგენდნენ. სხვა გემებისგან განსხვავებით ისინი დინებას მიჰყვებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ხომალდის ცხვირი დინების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. მაგრამ, სამწუხაროდ ის დინების მიმართულებით მიცურავდა.

როგორ განვმარტოდ ეს ხედვა? მდინარე არის წუთისოფელი, ხოლო ნავი ადამიანის სხეული, რითაც ვცხოვრობთ და ვფუნქციონირებთ ამ სამყაროში. ნავში მჯდომი კაცი არის მორჩმუნე, ნიჩბები კი ღმერთის შეუფასებელი მადლის სიმბოლოს წარმოადგენენ. გემებზე მხიარულება – არიან ადამიანები, რომელთაც ერთი მიზანი აერთიანებთ, ხოლო მდინარის დინება ქვეყნიერების დინებას განასახიერებს, რომელიც წყევლის ქვეშ იმყოფება.

მადლის ნიჩბების მეშვეობით ამ კაცს შესწევს უნარი შეწინააღმდეგოს დინებას და იმოძრაოს მიზნისკენ, ღმერთის სასუფევლისკენ. მისი ფიზიკური ძალა კი წარმოადგენს მის რწმენას. სამწუხაროდ, მისი ძალა სუსტდება, იგი იღლება ბრძოლაში. ის ვერ აცნობიერებს იმას, რომ გზის გასაგრძელებლად მას აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა ამისთვის; ყველაფერი, რაც მას სჭირდება. შედეგად ის გაურბის დინებას და წყვეტს მცდელობას.

როცა კი ადამიანი წყვეტს ნიჩბის მოსმას, ნავი აგრძელებს წინ სვლას ინერციით ძალიან მცირე დროით. და სწორედ აქ მოდის ცდუნება. ის მაინც ხედავს რაღაც ნაყოფებს თავის ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, რომ მათი წყარო უკვე აღარ არსებობს. ის უშვებს შეცდომას ფიქრობს რა, რომ შეუ-

ძლია მოდუნდეს, აღარ იფხიზლოს, მშვიდათ და ძალდაუტანებლად იცხოვროს და ამასთანვე წარმატებული ქრისტიანული ცხოვრება ჰქონდეს.

ბოლოს ნავი ჩერდება და უკან სვლას იწყებს – თავიდან ნელა, ბოლოს კი იმავე სიჩქარეს იძენს რა სიჩქარეც დინებას გააჩნია.

ამ ხედვის მთავარი არსი მდგომარეობს შემდეგში: მიუხედავად იმისა, რომ ამ კაცის გემი მიმართულია დინების საწინააღმდეგოდ, ის მდინარის დინებას თავისი მიმართულებით მიჰყავს. მას შენარჩუნებული აქვს ქრისტიანული სახე – იცის, როგორ ისაუბროს, რომელი საგალობლები იმღეროს და როგორ მოიქცეს ლვთის სასუფეველში – მაგრამ სინამდვილეში იგი ქვეყნიერებას არის მორგებული (იხ. 1 იოან. 2:15-17;).

საბოლოოდ, ჩვენი გმირი სხვა გემს შენიშნავს – თავის მსგავსს „მორწმუნებებს“. ისინი ყველანი ეკლესიის ნაწილად თვლიან საკუთარ თავს, რადგან მათი გემები მდინარის დინების საწინააღმდეგოდ არიან მიმართული. მათაც იციან საგალობლები, იციან როგორ ისაუბრონ და როგორ მოიქცნენ. ისინი ცხოვრობენ უდარდელად. „უნაყოფო „ქრისტიანულ“ ცხოვრებას შეგუებულები ეშმაკის ბატონობის ქვეშ იმყოფებიან, რომელიც დინებას აკონტროლებს.

ამ ადამიანებს, რომელნიც „ქრისტიანობის გემზე“ იმყოფებიან, აღარ დევნიან, აღარც დასცინიან ურწმუნობი და აღარც შეურაცხყოფას აყენებენ. სინამდვილეში, ისინი კარგად შეწყვნენ და რაღაც დოზით წუთისოფლის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. ისინი მეტად აღარ ილტვიან მიზნისკენ, რისკენაც პავლე მოციქული მოუწოდებდა და საკუთარი მაგალითით ამხნევებდა ყოველ ქრისტიანს ფილიპელთა მიმართ წერილში: „ვილტვი მიზნისკენ, ლვთის ზეგარდმო მოწოდების ჯილდოსკენ ქრისტე იესოში“ (ფილ.3:14;). ამ მორწმუნებებს ან საერთოდაც არ გააჩნიათ ქვეყნიერებისთვის წინააღმდეგობის განევის ძალა და უნარი, ან ძალიან მცირე დოზით.

იფიქრეთ იოანე მოციქულის სიტყვებზე:

„რადგან, ყოველივე, რაც სოფელშია: ხორცის გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და ქონებით სიამაყე, მამისგან კი არა, სოფლისაგან არის. და გადადის სოფელი და მისი გულისთქმაც, ლვთის ნების აღმსრულებელი კი რჩება უკუნისამდე“ (1 იოან. 2:16-17;)

ხილვა, რომელიც გაგიზიარეთ, სამი სახის ადამიანს წარმოგვიდგენს: მორწმუნებს, ურწმუნოს და ცდუნებულს (მოტყუებულს):

## 12 შეუპოვარი

- ურნმუნო უბრალოდ მიჰყვება დინებას, ვერ აცნობიერებს რა, რომ მხოლოდ თავისი „მინდა, მინდა, მინდას“ შესაბამისად მოქმედებს;
- მორნმუნე განუწყვეტლივ უნდა იღტვოდეს წინ, იბრძოდეს რწმენისთვის, რათა ლვთის სასუფეველი გაავრცელოს თავის გარშემო;
- ცდუნებული(მოტყუებული) „მინდა, მინდა, მინდა“-ზე დაფუძნებულ მოტივებს „ქრისტიანული სახის“ და წმინდა წერილის არასწორად გამოყენების უკან მალაქს.

მესმის, რომ ეს ხილვა უსიამოვნო და შოკისმომგვრელია სამი ტიპაჟის წარმოდგენის მხრივ, მაგრამ იგი გვიპიძებს საკუთარ თავს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კითხვა დავუსვათ: „რომელი ტიპის ადამიანს ვგავარ?“. ღმერთის სიტყვა გვასწავლის:

„საკუთარი თავი გამოსცადეთ, თუ ხართ რწმენაში. საკუთარი თავი გამოარკვიეთ. ნუთუ არ იცნობთ საკუთარ თავს, რომ თქვენმია იესო ქრისტე? თუ არა და, მაშ, გამოცდას ვერ უძლებთ“ (2 კორ.13:5;)

ამ ხილვის ნახვის და მისი მნიშვნელობის გაცნობიერების შემდეგ, კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდი ებრაელი ქრისტიანების მიმართ დაწერილი სიტყვების ჭეშმარიტებაში:

„აბა, გამართეთ დაშვებული ხელები და მოკვეთილი მუხლები. მოასწორეთ გზები თქვენს ფერხთათვის... გაფრთხილდით, რომ რომელიმე თქვენგანს არ მოაკლდეს ლვთის მადლი“ (ებრ. 12:12-13,15;)

ჩვენ, ლვთის შვილებს, ძლიერი სურვილი უნდა გვამოძარვებდეს იმისა, რომ კარგად დავასრულოთ ჩვენი სარბიელი ლვთის სადიდებლად. დაქანცულობამ არ უნდა დაგვაშოროს ღმერთს, არ უნდა დაგვათმობინოს ჩვენი ნიჩბები და არ უნდა გავყვეთ წუთისოფლის დინებას.

წმინდა წერილი იმ ადამიანების შესახებ საკმარისზე მეტ მაგალითებს შეიცავს, რომლებმაც თავიანთი ცხოვრების გზა ან კარგად დაასრულეს ან ცუდად. გავიხსენოთ სოლომონი, ძე დავითისა, თავისი დროის ყველაზე გავლენიანი, ყველაზე ბრძენი და მდიდარი კაცი. მან ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, რაც არავის გაუმეორებია არცერთ თაობაში. მაგრამ მან ვერ გაუძლო – ნიჩბებს ხელი გაუშვა – თავისი მეფობის ბოლო წლებში ღმერთს ზურგი აქცია და ქვეყნიერების სისტემას დაემორჩილა.

სოლომონს ბევრი უცხოელი ცოლი ჰყავდა. როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო მის სახლში წამოჭრილი სერიოზული კონფლიქტების მიზეზი. მას უნდოდა იაპვეს ერთგული და მორჩილი ყოფილიყო, მაგრამ საკუთარ სახლში სიმშვიდის შესანარჩუნებლად გადაწყვიტა დაერღვია ღმერთთან დადებული აღთქმა და საყვარელი ცოლების უცხო ღმერთებისთვის სამსხვერპლოები ააგებინა.

სოლომონი თავად დაზარალდა თავისი წინდაუხედაობის გამო, მაგრამ ყველაზე მეტად ამან მის შვილებზე და შვილიშვილებზე იქონია ცუდი გავლენა. სამეფო, რომელიც მას გადაეცა, ძლიერი იყო მისი მამის, დავითის ღმერთისადმი ერთგულების წყალობით და კიდევ უფრო გაძლიერდა სოლომონის მეფობის პირველ პერიოდში. მაგრამ სამეფო დაიყო და დასუსტდა, რადგან მან ვერ შეძლო თავისი სარბიელის კარგად დასრულება. ისრაელის ისტორია გაცილებით სხვაგვარი იქნებოდა სოლომონი შეუპოვარი რომ ყოფილიყო.

მოდი, ახლა სოლომონი იოანე ნათლისმცემელს შევადაროთ. იოანე იყო შეუპოვარი, მტკიცედ იცავდა ჭეშმარიტებას და გაბედულად ქადაგებდა მას. ისიც, სოლომონის მსგავსად, სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა, პოტენციური შედეგები იოანესთვის გაცილებით უარესი იყო. მისი პრობლემა ცოლი ან ცოლები არ ყოფილა, არამედ თავად იუდეის მეფე, რომელიც არ იზიარებდა იოანეს მიერ ნაქადაგებ ჭეშმარიტებას. სოლომონს ოჯახში ჰქონდა კონფლიქტი, იოანე კი ჯერ აწამეს, შემდეგ ციხეში ჩასვეს და ბოლოს მოკლეს. მაგრამ მის მიმართ განხორციელებული სისასტიკის მიუხედავად, იოანე მტკიცედ და ურყევად იცავდა ჭეშმარიტებას, რაც თავისი ცხოვრებით და ამ ჭეშმარიტების გაბედულად ქადაგებით დაამტკიცა. შედეგად იოანეს მემკვიდრეობა სოლომონის მემკვიდრეობაზე გაცილებით დიდია.

მხოლოდ სოლომონი და იოანე როდი განიცდიდნენ სირთულეებს – მდინარის ძლიერ დინებას. ჩვენც ვეჯახებით მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენ სერიოზულ ბრძოლას ვაწარმოებთ წუთისოფლის წარმავალი და ზედაპირული ფასულობების წინააღმდეგ. ქვეყნიერების გავლენა ძლიერია. ის მაცდურია, იზიდავს და თავის მორევში ითრევს ადამიანს. ბევრად ადვილია აღიარო დაღლა, სისუსტე, დანებდე და მიჰყევ მდინარის დინებას. მაგრამ იმისათვის, რომ ლირსეულად დავასრულოთ ჩვენი სარბიელი, საჭიროა შევინარჩუნოთ ურყევი რწმენა. თუკი ასე მოვიქცევით, გავხდებით ადამიანები, ვის

აზრსაც ითვალისწინებენ, ჩვენ სიბნელის სამეფოსთვის ნამდვილ რისხვად ვიქცევთ.

## შეუპოვარი სული

რას ნიშნავს იყო შეუპოვარი? მოცემული სიტყვა აღწერს უდრეკ, ურყევ და გაბედულ დამოკიდებულებას ანდა პოზიციას. სხვა სიტყვებით, შეუპოვარი ადამიანი – არის ის, რომელიც არ დათმობს, რომლის შეკავებაც შეუძლებელია. უკან დახევა ნიშნავს გახდე რბილი, დასუსტდე, მიჰყვე სხვის ნებას და დანებდე. აი, სიტყვის „შეუპოვარი“-ს რამდენიმე მნიშვნელობა: მოუდრეკელი, ურყევი, მტკიცე, დაუინებული, ჯიუტი. სხვა აღწერილობა გულისხმობს შემდეგს: მუდმივი, გამძლე, მიზანდასახული, ერთგული, მტკიცე.

სიტყვა „შეუპოვარი“ შესაძლოა ბოროტი, სასტიკი ძალის მიმართაც იქნას გამოყენებული, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ დადებითი კუთხით განვიხილავთ. ასე რომ, მოცემული სიტყვით დავახასიათებთ იმ პიროვნებას, ვინც მყარი, შეუპოვარი და მოშურნეა და ვისაც, სურს დაასრულოს დაკისრებული ამოცანა. მნიშვნელობა არა აქვს იმას მოკლე დროით თუ გრძელი ვადით, მის გულში ღვივის სარბიელის ლირსეულად დასრულების სურვილი. ვერავინ ააღებინებს ხელს მიზნის მიღწევაზე.

ვფიქრობთ რა შეუპოვარ მორწმუნებე, ვსაუბრობთ პიროვნებაზე, რომელიც ურყევია რნმენაში, იმედსა და მორჩილებაში, მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომლის წინაშე დგომაც მას უწევს. შეუპოვარი მორწმუნის ყოველი ნაბიჯი გაჯერებულია მიზნით, რომელიც სარბიელის ლირსეულად დასრულებაში მდგომარეობს. იგი არის ის, ვინც ცვლის ისტორიას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ზეცისთვის ყოველთვის იქნება ადამიანი, რომელსაც გარანტირებული აქვს ბატონის შექება: „ყოჩაღ“.

სიტყვა, რომელიც აღწერს იმას, თუ რას ნიშნავს იყო შეუპოვარი, ყოველთვის არ შეეფერება ადამიანს, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ – საკუთარ თავს! სინამდვილეში, იმის მაგივრად, რომ მქონოდა შეუპოვარი სული, ხშირად მქონდა „დათრგუნული“ სული. პირდაპირ რომ ვთქვა, არა ერთხელ დავნებდი, როგორც მხდალი.

ლერთის შვილი 1979 წელს გავხდი, როდესაც ურდეს უნივერსიტეტში ვსწავლობდი. სემესტრის დასრულების შემდეგ

სახლში დავბრუნდი და აღფრთოვანებულმა მაშინვე ვუამბე ჩემს კათოლიკე მშობლებს ახლად აღმოჩენილი რწმენის შესახებ. დედამ მკითხა: „ჯონ, ეს შენი ახალი ახირებაა? შენ ამასაც ისე დაანებებ თავს, როგორც ბევრ სხვა რამებს უწინ“.

ამ ნათქვამიდან ყველაზე მნარე ის სიტყვები კი არ იყო, რომელიც დედაჩემმა თქვა, ან, ბრალი, რომელიც დამდო. არა, პირიქით, მან მნარე სიმართლე თქვა: ჩემი წარსული ნათელი მაგალითი იყო იმისა, რომ დაწ-

ყებული საქმე ბოლომდე არა-  
სოდეს მიმყავდა.

მახსოვს, როგორ ვებრძოდი  
შიშს, რომელსაც ქორწინებას-  
თან დაკავშირებით განვიცდიდი.

მეგონა, რომ ჩემი ქორწინება  
მალე დაინგრეოდა. ორი სამი

პაემნის შემდეგ გოგონებს აღარ ვხვდებოდი. ისინი ძალიან ნი-  
ჭიერები და მომხიბვლელები იყვნენ, კარგი პიროვნებები, მა-  
გრამ მალე მხეზრდებოდა მათთან ურთიერთობა. ჩემს შემდეგ  
მათ სხვა ბიჭები ხვდებოდნენ და მათი ურთიერთობები ხან-  
გრძლივი იყო. მე კი ხან ერთ გოგოს ვხვდებოდი, ხან მეორეს  
და ასე გრძელდებოდა.

უკან მხოლოდ პაემნის საკითხში როდი ვიხევდი. ფორტეპი-  
ანოზე დაკვრის სწავლა გადავწყვიტე და გაკვეთილებზე სია-  
რული დავიწყე. ექვსი თვის შემდეგ მშობლებს ვეხვეწებოდი  
გამომიყვანეთ მეთქი. მშობლები უარს მეუბნებოდნენ. ბოლოს  
კი ისეთი აპათიური გაქხდი, რომ ჩემმა ფორტეპიანოს მასწავ-  
ლებელმა თვითონ სთხოვა ჩემს მშობლებს შეეწყვიტათ ჩემ-  
თვის მუსიკის გაკვეთილების მოცემა. მთელი იმ წლების მან-  
ძილზე, რაც ამ ქალთან ფორტეპიანოს ვსწავლობდი, მე ვიყავი  
ერთადერთი მოსწავლე, რომელსაც მან ურჩია თავი დაენებე-  
ბინაა სწავლისთვის!

მოგვიანებით მშობლებს ვუთხარი ნება დაერთოთ გიტა-  
რაზე დაკვრა მესწავლა. ვიყიდეთ ძვირადლირებული გიტარა  
და დიდი მონდომებით შევუდექი სწავლას, მაგრამ ეს სურ-  
ვილიც მხოლოდ რამდენიმე თვე გამყვა.

იგივე ხდებოდა სპორტშიც. ბეისბოლზე სიარულს ორ წელ-  
ში დავანებებ თავი. შემდეგ იყო კალათბურთი, რომელზეც მხ-  
ოლოდ ერთი დღით მივედი. ამას მოჰყვა გოლფი; აქაც ერთი  
გაკვეთილი. სირბილი: იგივე შედეგი.

შეუპოვარი მორწმუნე ...

არის ისტორიის

შემოქმედი, ამ სიტყვის  
სრული მნიშვნელობით.

ჩამონათვალი გრძელდება: დავინუებდი წიგნის კითხვას და შეუა გზაზე მივატოვებდი ხოლმე. ინსტიტუტში მხოლოდ ერთი წიგნი წავიკითხე თავიდან ბოლომდე – ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“. ამ წიგნის წაკითხვა სავალდებულო იყო, და რადგანაც წიგნიც პატარა იყო და თევზაობაც მიყვარდა, ბოლომდე წავიკითხე.

სხვადასხვა კლუბებში ვწევრიანდებოდი და შემდეგ იქიდანაც მალე მოვდიოდი. გამიჩნდებოდა რაღაცა ინტერესი, ვიყიდიდი ძვირიან ალჭურვილობას და მოწყობილობებს და იმ-ისათვის, რომ ძლიერი და შემართებული დასაწყისის შემდეგ, მალევე სარდაფში მიმეგდო ან გამოუყენებლობის გამო უანგს შეეჭამა.

მოკლედ რომ ვთქვათ, დედაჩემმა სიმართლე მითხრა. ნუთუ ძველი წესის მიხედვით მოვიქცეოდი? ნუთუ ქრისტიანობას, ჩემს ახალ აღმოჩენილ რწმენას მივატოვებდი? ჩემი ბიბლია და სასწავლო სახელმძღვანელოებიც გამოუყენებელ ნივთებს – მოკლევადიან ინტერესებს – შეუერთდებოდნენ სარდაფში?

კარგი ამბავი კი ის გახლავთ, რომ ეს კაცი, უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რაც გულანთებული მიჰყვება ქრისტეს. ახლაც ისევე ვარ მიძღვნილი – დიახ, უფრო მეტადაც კი – როგორც მაშინ, როცა სახლში მივედი და მშობლებს ჩემი ახალი რწმენის შესახებ ვუთხარი. ძლიერმა ღმერთმა, ჩემმა მამამ შემცვალა. სულინმიდის მეშვეობით მან ჩემში აღაშენა სათნოება შეუპოვარი სულისა.

ღმერთმა შეუპოვარ მორწმუნედ მაქცია.

თუკი შენ იესო ქრისტე უფლად მიიღე, მაშინ ეს სათნოება შენთვისაც ხელმისაწვდომია. მაგრამ ის განვითარებას საჭიროებს. ამ წიგნის მიზანიც სწორედ ეს არის – განგიცხადოს თუ როგორ გაამრავლო და განავითარო ეს უნარი, რომელიც ღმერთმა უსასყიდლოდ მოგცა, რათა იცხოვრო სიკეთით და დაასრულო ძლიერად.

## ღმერთმა წიგნი დაწერა შენს შესახებ

აცნობიერებ კი ვინ ხარ და რამდენად სჭირდები ღმერთს – რათა მიაღწიო შენს მიზანს, აღასრულო ამ მიწაზე მის მიერ შენზე დაკისრებული პასუხისმგებლობა? ხომ არ გაკვირვებს ის, რომ ზეციერი მამა შენზეა დამოკიდებული?

ღმერთმა კონკრეტულად შეიმუშავა ცხოვრების გეზი! შენი

მთელი ცხოვრება ჯერ კიდევ შენს დაბადებამდე განისაზღვრა. მეფსალმუნე ამბობს:

„ჩემი ჩანასახი იხილეს შენმა თვალებმა და შენს წიგნში ჩაწერ-ილი იყო დღენი ჩემი მომავლისა, როცა ჯერ არ იყო არცერთი მათგანი“ (ფსალ. 138:16;)

ღმერთმა შენი წიგნი მანამდე დაწერა, სანამ შენი მშობლე-ბი შენს დაბადებას გადაწყვეტდნენ. მხოლოდ ხელოვანები და მმართველები არ არიან ის ადამიანები, ვისი ცხოვრების შეს-ახებაც წიგნები იწერება. არა, შენიც ჩაწერილია, მაგრამ შეს-ანიშნავი სინამდვილე შემდეგში მდგომარეობს: ის თვით ღმერ-თისგან დაიგეგმა და დაიწერა მანამ, სანამ დაიბადებოდი.

შეიძლება შემენინააღმდეგო: „ჯონ, წარმოდგენა არ გაქვს ვისზე ლაპარაკობ! ჩემი ცხოვრება სავსეა დარტყმებით, არეულობით და ნგრევით ჩემი არასწორად გაკეთებული არჩევ-ანის გამო. ნუთუ ღმერმა დაწერა ის?“.

არა, არა და არა! ღმერთმა დაგეგმა ჩვენი ცხოვრება და ჩვენზეა დამოკიდებული რა არჩევანს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მის მიერ ჩვენს წინ გამზადებულ ბილიკზე ვიაროთ. არას-წორ არჩევანს შეუძლია გზა აგვირიოს, მაგრამ ნამდვილი მო-ნანიება სწორ მარშრუტზე დააბრუნებს გემს.

შეიძლება ისევ მკითხო: „მე საშინელი რამეები შემემთხვა, რაც სულაც არ ყოფილა ჩემი არასწორი არჩევანის ბრალი. ცხოვრებამ ბევრი ძლიერი დარტყმა მომაყენა. ნუთუ ღმერთმა განმისაზღვრა ასეთი სირთულეები და იმედგაცრუებები?“.

კვლავაც, არა! ჩვენ ცოდვით დაცემულ სამყაროში ვცხოვ-რობთ. ამის გამო, როგორც იქსომ თქვა, განსაცდელები და ტანჯვები შეგვხდება. კარგი ამბავი ის არის, რომ რადგანაც ღმერთმა იცოდა ბოროტის განზრახვები შენს მიმართ ჯერ კიდევ შენს დაბადებამდე, მან თავისი სიბრძნით გაგვიმზადა თავდასალწევი ბილიკები, რომელთა მეშვეობითაც გამარჯვე-ბული გამოვდივართ ბრძოლიდან. სწორედ ამიტომ თავის სი-ტყვაში ღმერთი შეუპოვარ მორწმუნებს „გამარჯვებულებს“ (ხალხს, რომელთაც სძლიეს) უნდებს.

ებრაელთა 12:1 შეგვაგონებს: „მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი“. ღმერთმა სარბიელი დადო შენს წინ, ჩემს წინ და თავისი ყოველი შვილისთვის. სარბიელის კარ-გად გარბენა იმას ნიშნავს, რომ ირბინო გამძლედ, შეუპოვრად. სხვაგვარად შეუძლებელია მისი გარბენა. საინტერესოა, რომ

ამ მუხლში მხოლოდ ეს ერთადერთი სათნოებაა გამოკვეთილი. ავტორი არ ამბობს „სიხარულით გავირბინოთ“ ან „მიზნით გავირბინოთ“ ან „სერიოზულობით გავირბინოთ“. ცუდად არ გამიგოთ – სიხარული, მიზანი და სერიოზულობა, როგორც სხვა სათნოებები – ძალზე მნიშვნელოვანია ქრისტიანულ გზაზე. მაგრამ უმთავრესი სათნოება – შეუპოვრობაა.

კარგად დასრულებისათვის შეუპოვარი სულია საჭირო. კარგად დასრულება კი გამძლეობასა და დაუინებულობას მოითხოვს. ძალიან მიყვარს ეპრაელთა 12:1-ის ეს ნაწილი: „ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი და შემხუთველი ცოდვა – და არასოდეს დაიხიო!“. ჩვენი გეზის, გზის დასრულება ძალზედ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მათ-თვისაც, ვისზეც გავლენის მოსახდენად ვართ მოწოდებულნი. მნიშვნელოვანია ზურგი არ ვაქციოთ ღმერთისაგან ჩვენს წინ დადებულ სავალ გზას. თუ შენ ღმერთის შვილი ხარ, შენ ყველაფერი გაქვს ამისათვის! ღმერთმა შენში ჩადო უნარის მომცემი ძალა, სულინმიდა. თუკი მოშურნე და ბეჯითი იქნები, შეძლებ პავლე მოციქულთან ერთად გაიმეორო სიტყვები: „გავასრულე ასპარეზი, რნმენა შევინახე“ (2 ტიმ. 4:7;).

შეიძლება წინააღმდეგობებს და სირთულეებს განიცდი ქორწინებაში, ოჯახში, ბიზნესში, სასწავლებელში, ფინანსებში ან სხვა სფეროში. შესაძლოა, ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ყველანაირი იმედი გადაგენურა და გამოსავალსაც ვერ ხედავ – შთანმთემელი, საშინელი დინებები ცდილობენ თავიანთი მიმართულებით წაგიღონ და წაგლეკონ. კარგი ამბავი კი ის არის, რომ „კაცთათვის არის შეუძლებელი და არა ღვთისათვის, რადგან ღვთისათვის ყოველივე შესაძლებელია“ (მარკ. 10:27;). მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად რთულია სიტუაცია, ღმერთისთვის არაფერია შეუძლებელი. მაგრამ აქ იესომ ერთი მნიშვნელოვანი პირობა დადო. „თუ ირწმუნებ“ თქვა მან, „მორწმუნისათვის ყოველივე შესაძლებელია“ (მარკ. 9:23;). საჭიროა შეუპოვარი მორწმუნეობა იმისათვის, რომ შეუძლებელი შესაძლებელი გახდეს. სწორედ ამას გადმოგვცემს ეს გზავნილი: თვალი გაუსწორო იმას, რაც შენს ადამიანურ ძალებს აღემატება და ღმერთის მადლით და შეწევნით დაინახო შესაძლებლად გადაქცეული შეუძლებლობა.

მისმინე! უფალს სურვილი აქვს გინოდოს დიდი (ლუკ. 1:15;). ღმერთზე მეტად არავის სურს შენი წარმატება. შესაძლოა ფიქრობ: „მაგრამ, ჯონ, ნრფელად ვამბობ, მე არა ვარ მყარი ბუნების პიროვნება. ჩემი წარსული არ მიუთითებს იმაზე, რომ

რთულ დროს, მედგრად ვიდექი“: თუკი ეს შენ გეხება, მაშინ შენთქვის კარგი ამბავი მაქვს. შენს ისტორიას და წარსულს მნიშვნელობა არა აქვს. ქრისტეს მადლის გამო, შენ არ ხარ მოჯადოებული, რომ წარსულში ჩარჩე. ნამდვილად შესაძლებელია რომ შეუპოვარ მორწმუნედ იქცე და დაასრულო კარგად. შენ ხარ კანდიდატი მშვენიერი და სასურველი დასასრულით გამოწვეული დიდი სიხარულისა. ეხება ეს შენი ცხოვრების მოკლე ნაწილს, თუ მთელს შენ ცხოვრებას, ღმერთის თვალში შენ ხარ „დიდი“. ეს მისი აღთქმაა!

ვერცერთი ვერ გავექცევით იმ სირთულეებს, რომლებიც ქრისტეს გზაზე დაგვხვდება. ფსონი მაღალია, ამიტომაც საზღლურიც შეუფასებელი იქნება. შენ სასტიკი მტერი გყავს, რომელსაც სურს დაანგრიოს შენი გავლენები და გაანადგუროს მისია, რომელიც ღმერთმა დაგავისრა. მანამ, სანამ სატანა საფრთხედ აღგიქვამს, ის შეეცდება შეგაჩეროს – ის მაშინ გაიხარებს, როცა „მოკვდები“. მაგრამ იმის გამო, რაც ჯვარზე მოხდა, სატანა დამარცხებული მტერია! ჩვენ მის წინააღმდეგ ყველა ბრძოლაში უკვე გამარჯვებულები ვართ! მაგრამ ჩვენ კიდევ უნდა ვებრძოლოთ მას, მის ჯარს, და მათ გავლენას – შეუპოვრად. ჩვენ ერთად ვისწავლით, თუ როგორ გავაკეთოთ ეს.

შენ დაიბადე იმისათვის, რომ სამყარო შეცვალო. შენ მეფის შვილი ხარ, დადგენილი იმისათვის, რომ მასთან ერთად იმეფო. სასუფევლის გასაღები შენს ჯიბეშია! თუკი უფლის სიახლოვეს ივლი და გადაწყვეტ შეუპოვარი იყო შენს რწმენაში, იგი მოგცემს საჭირო ძალას და მიმართულებას, რათა შეებრძოლო შენს წინააღმდეგ წამოსულ ნაკადებს.

სანამ გავაგრძელებთ, მოდით, ეს მოგზაურობა უფალს ჩავაბაროთ:

ძვირფასო ღმერთო, ამ წიგნის წაკითხვისას გთხოვ, შენი სულინებიდით მასწავლო და წარმიძღვე. მე უფრო მეტი მინდა მივიღო, ვიდრე ინფორმაციაა და შთაგონება; მინდა ჩავწვდე იმ სიმდიდრეებს და დიდებულებას, რომელიც შენ მოიღე ჩემს ცხოვრებაზე. მინდა, ვიცოდე ძალა, რომელიც

ღმერთზე მეტად არავის სურს შენი წარმატება.

მომეცი იმისათვის, რომ აღვასრულო შენს მიერ დაკისრებული საქმე. ამ სიტყვის მეშვეობით გამაძლიერე, რათა ვიდგე მყარად და შეუპოვრად შენს ჭეშმარიტებაში, რომ ვებრძოლო იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც იმ საქმის შესრულებაში მიშლიან ხელს, რომელიც შენ ჩემი მეშვეობით უნდა აღასრულო. შენ გამოგიყვანივარ რთული მდგომარეობიდან უნინ; ვლოცულობ, რომ „შეუპოვარში“ გადმოცემულმა სიტყვამ აღმჭურვოს და დამეხმაროს აღვასრულო შენი ღვთიური გეგმა და ამავდროულად, დიდება მოვუტანო შენს სახელს და სიხარული – შენს გულს. ამას გთხოვ იესო ქრისტეს სახელით. ამინ.

## მეცობა სიცოცხლეში

„ღვთის სიტყვა არის ცოცხალი და მოქმედი“  
ებრაელთა 4:12;

**0**უ ღვთის სიტყვას ისე წავიკითხავთ, როგორც დაინერა,  
რადიკალურად განსხვავებულები ვიქნებოდით, ვიდრე  
ახლა ვართ.

ზოგჯერ ყველაზე დიდი გამოწვევა მდგომარეობს იმაში,  
რომ უბრალოდ გვჯეროდეს ღმერთის სიტყვის მიუხედავად  
არსებული გარემოებებისა. თუ მოცემული მომენტისთვის  
შენი მდგომარეობა მთლად სახარბიელოდ ვერ არის, იცი რომ  
ის შეიცვლება. ერთადერთი რამ, რაც არასდროს შეიცვლება  
– ღვთის სიტყვაა, ის უცვლელია. იესომ ორი ათასი წლის წინ  
თქვა: „ცა და მიწა გადავლენ, ჩემი სიტყვები კი არ გადავ-  
ლენ“ (ლუკ.21:33;). აბა, შეხედე და დააკვირდი მზეს, რომელიც  
სინათლესა და სითბოს აძლევს ჩვენს პლანეტას იმ დროიდ-  
ან მოყვლებული, რაც ადამიანი გაჩნდა ამ მიწაზე. უნინ მზე  
შეწყვეტს არსებობას, ვიდრე ღვთის სიტყვა არ აღმოჩნდება  
ჭეშმარიტი. ღვთის სიტყვა მარადიულია!

ჩვენი ყოვლადძლიერი მამა ამბობს: „მე ვაჩქარებ ჩემს სი-  
ტყვას შესასრულებლად“ (იერ. 1:12;). დაუკვირდით, ის მზადაა.  
როდის შესასრულებს იგი თავის სიტყვას? პასუხი მარტივია –  
როცა პიროვნება ირწმუნებს მის სიტყვას. იესო ამბობს, რომ  
„მორწმუნისათვის ყველაფერი შესაძლებელია“ (მარკ. 9:23;).  
მაშ, მოდით, გვჯეროდეს შეუპოვრად.

## ჩვენ უნდა ვიმეცოთ ამ ცხოვრებაში

მომდევნო თავებში ჩვენ გამოვიკვლევთ და ნათელს მოვჰ-  
ფენთ ჩვენი ძიებისთვის და კვლევისთვის სასიცოცხლო მნიშ-  
ვნელობის მქონე ერთ ფრიად ფასეულ ჭეშმარიტებას, თუ  
როგორ დაასრულონ ღირსეულად თავიანთი სარბიელი შეუპ-  
ოვარმა მორწმუნებმა. მინდა გაგაფრთხილოთ, რომ შეიძლება  
შეგექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს მთავარ თემას გადავუხ-

ვიეთ, მაგრამ დარჩით ჩემთან. გარნშუნებთ, რომ მთლიანობაში ეს დაგეხმარება ნაყოფიერად დავასრულოთ ჩვენი კვლევაძიება.

მოდით, განვიხილოთ ახალი აღთქმის ერთი ძლიერი ადგილი:

„რომელნიც უხვად მიიღებენ მადლს და სიმართლის ნიჭს, იმეფებენ სიცოცხლეში ერთის, იესო ქრისტეს მეშვეობით“ (რომ. 5:17;)

ყურადღებით წაიკითხეთ ფრაზა: „იმეფებენ სიცოცხლეში“. ვეიმაუტი შემდეგნაირად განმარტავს ამ სიტყვებს: „იმეფებენ სიცოცხლეში, როგორც მეფეები“. ჩვენ, ღმერთის შვილებმა, უნდა ვიმეფოთ როგორც მეფეებმა და დედოფლებმა! ეს ადამიანის სიტყვები არაა, რადგან ვიცით, რომ „მთელი წერილი ღვთისულიერია“ (2გიმ.3:16;). ამიტომაც ღმერთი პირდაპირ ამბობს, რომ ჩვენ „ვიმეფებთ სიცოცხლეში მისი ძის ძალის მეშვეობით“. აბა დაუკვირდით, იგი არ ამბობს რომ „ერთ დღესაც თქვენ ზეცაში იმეფებთ“ ან „მომავალ ცხოვრებაში იმეფებთ“. არა, იგი ნათლად გვეუბნება, რომ ამ ცხოვრებაში უნდა ვიმეფოთ ქრისტეს მეშვეობით, როგორც მეფეებმა და დედოფლებმა.

სიტყვების „მეფე“ და „დედოფალი“ სალექსიკონო მნიშვნელობა ასეთია: „ის, ვინც უზენაესია ან უპირატესია კონკრეტულ სფეროში“. სიტყვა „მეფობა“ კი განიმარტება, როგორც „დომინირება ან დიდი გავლენის ფლობა“. იმისათვის, რომ იმეფო, საჭიროა გაგარნდეს უმაღლესი დომინირება და გავლენა კონკრეტულ სფეროზე. რომელ სფეროში უნდა ვიყოთ უპირატესი და წამყვანი? ცხოვრების სფეროში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოვრებამ არ უნდა დაგვჯაბნოს, ეს ჩვენ უნდა ვმართოთ იგი. ეს არის ღვთის სიტყვა, მისი აღთქმა შენთვის! მოგიწოდებთ, გულში ჩაიმარხოთ ეს სიტყვები.

## თავდაპირველი ნათევამი

გავიხსენოთ ის თავდაპირველი ნათქვამი, რომელიც ყველა ჩვენგანს მოგვისმენია წლების განმავლობაში. როდესაც სიტყუაცია რთულდება, დგება გასაჭირო, აუტანელი მდგომარეობა

და სიცოცხლესაც კი შეიძლება საფრთხე დაემუქროს. სასონარებელი მყოფი ბევრი ადამიანი ხშირად აცხადებს, რომ „ყველაფერს ღმერთი აკონტროლებს“. ხშირად ეს ნათქვამი გულისხმობს იმას, რომ საჭირო არ არის შევეწინააღმდეგოდ სიძნელეს, რადგან ღმერთი, თავისი კეთილი და მოწყალე ბუნებიდან გამომდინარე, გაჭირვებას ჩვენს სასიკეთოდ შემოატრიალებს, რადგან იგი აკონტროლებს ყველაფერს.

სიმართლე კი მდგომარეობს იმაში, რომ ღმერთმა ჩვენ მოგვანდო კონტროლი. ახლა კი გთხოვ, კარგად მომისმინე.

ფსალმუნებში ვკითხულობთ: რომ „ზეცა უფლისაა, ხოლო მინა მიეცათ ადამის ძეთ“ (ფსალ. 113:22;). ეს ნიშნავს: „ზეცა ღმერთისთვისაა, მაგრამ მან ჩვენ დედამინის გამგებლად განგვანესა“.

ვინ განაგებს დედამინას? ჩვენ!

ყოვლადძლიერი ღმერთი არის უზენაესი შემოქმედი, და მან გააკეთა სუვერენული არჩევანი, რათა ადამიანისთვის მიეცა დედამინაზე მეფობის და მოვლენების მიმდინარეობის მართვის უფლება. ღმერთს დედამინაზე კონტროლი რომ შეენარჩუნებინა, როგორც ბევრი ფიქრობს, მაშინ, იმ მომენტში, როცა ადამია აკრძალული ნაყოფი პირთან მიიტანა, ღმერთი შეაჩერებდა: „რა გემართება ადამ? ნუთუ ვერ აცნობიერებ იმ შედეგებს, რაც ამ ნაბიჯს მოჰყვება? ნუთუ არ გესმის რომ საკუთარ თავს და მთელ შენს შთამომავლობას მოუტან ტკივილს, ტანჯვას, ავადმყოფობას, დააკადებებს, შიმშილს, სილარიბეს, მკვლელობას, ქურდობას და მსგავსს სხვა უბედურებებს? რომ აღარაფერი ვთქვათ მინისძვრებზე, ტორნადოებზე, ქარიშხლებზე, შავ ჭირზე, გვალვებზეც და ველური ცხოველებიდან მომდინარე საფრთხეზე? ნუთუ არ გესმის, რომ მთელი ბუნება ხრწნადობას დაექვემდებარება? და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მომინევს ჩემი ერთადერთი ძე წარმოვგზავნო, რათა შემოვირიგო კაცობრიობა?“.

მაგრამ ღმერთმა არ შეაჩერა ადამი, რადგან დედამინა ადამიანებს გადასცა. ჩვენი მოსიყვარულე ღმერთი არ ჰგავს იმათ, რომლებმაც სხვებს გადასცეს ძალაუფლება და შემდეგ უკან ჩამოართვეს, რადგანაც არ მოეწონათ მათ მიერ წარმართული მმართველობის მეთოდი. როდესაც ღმერთი რაიმეს იძლევა, ის მარადიულია. მისი სიტყვა ამბობს: „ვინაიდან უცვალებელია ღვთის ნიჭი და მოწოდება“ (რომ.11:29;).

ვიღაცამ შეიძლება თქვას: „მაგრამ ბიბლია ამბობს „უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი“ (ფსალ.23:1;). ამასთან

დაკავშირებით მე გიამბობთ ერთი შემთხვევის შესახებ, რო-  
მელიც მოხდა ჩემს თვალში რამდენიმე წლის წინ.

—

ლიზას დედა შერლი, რო-  
მელიც იმ დროს სამოცდაათ  
წლს იყო გადაცილებული,  
ცხოვრობდა ფლორიდაში. მე და  
ლიზას გვინდოდა, რომ მას ჩვენ-  
თან ახლოს ეცხოვრა. ერთ დღეს  
ლიზამ წაიკითხა განცხადება  
გასაყიდი სახლის თაობაზე, რო-

მელიც ჩვენი სახლიდან ხუთი წუთის სავალზე მდებარეობდა. ამიტომ შერლის სახლის ყიდვა და ჩვენს გუნდთან „მესენჯერ ინთერნეშენალთან“ თანამშრომლობა შევთავაზეთ. დედამ ეს ამბავი სიხარულით მიიღო. ჩვენ ვიყიდეთ სახლი და იმისათვის, რომ მას არ დაეკარგა დამოუკიდებლობის შეგრძნება, ყოველ თვე ბინის ქირაში სიმბოლური თანხის გადახდა დავაკისრეთ. უკვე ორი წელია, რაც იგი ამ სახლში დაბინავდა და წარმატე-  
ბულია ცხოვრების ყველა სფეროში.

რაც შერლი ამ სახლში ცხოვრობს, არცერთხელ არ მითქ-  
ვამს მისთვის თუ როგორ მოეწყო სახლი, როგორ განელაგები-  
ნა ავეჯი. არ მითქვამს, როგორ გაძლოლოდა სახლის საქმეებს, რა მოემზადებინა საუზმისთვის, სადილისთვის, ან რა მოწყ-  
ობილობები ეყიდა. ლიზას დედა თავად არის პასუხისმგებელი  
ყოველდღიურ საქმეებზე. სახლის მფლობელი მე ვარ, ოფი-  
ციალურად სახლი მე მეკუთვნის, მაგრამ მას მივაქირავე და  
ახლა იგი განაგებს ჩემს უძრავ ქონებას ისე, როგორც სურს.  
მას შეუძლია წებისმიერ დროს მომმართოს დახმარებისთვის,  
მაგრამ არ ჩავერწევი მის საქმეებში მანამ, სანამ თავად არ  
მთხოვს.

ზუსტად ასეა, ღმერთის მიერ ბოძებული მიწის შემთხვევა-  
შიც. დედამიწა უფლისაა, მესაკუთრე ის არის, მაგრამ მან კა-  
ცობრიობას მისცა განსაკარგავად. მოუსმინეთ რა თქვა მან,  
როდესაც შეგვემნა და მოგვცა „სახლი“, მთელი დედამიწა:

„და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად – ღვთის ხატად  
შექმნა იგი და შექმნა ისინი მამაკაცად და დედაკაცად და  
აკურთხა ისინი ღმერთმა და უთხრა ღმერთმა: „ინაყოფი-  
ერეთ და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ  
მას; და ბატონობდეთ ზღვის თევზებზე და ციურ ფრინველე-  
ბზე, და ყოველ ცხოველზე, რომელიც კი მიწაზე დაცოცავს“  
(დაბ. 1:27-28;).

ღმერთმა თავისი დიდი სახლის გამგებლად დაგვნიშნა. მე და შენ ვართ, და არა ღმერთი, პასუხისმგებელი იმაზე, თუ როგორ წარიმართება ცხოვრება დედამიწაზე.

## მიწის ახალი მეპატრონი

დიდი პრობლემა წარმოიშვა ედემის ბალში, როდესაც ემ-მაკი გველის სხეულში შევიდა და დაარწმუნა ადამი და ევა არ დამორჩილებოდნენ ღვთის ნათქვამს და დაეჯერებინათ მისი ტყუილი. ამის შემდეგ ჩვენი საკუთრება მიწის ახალ მეპატრონეს გადავეცით, რომელსაც სატანა ჰქვია. ჩვენ არა მარტო საკუთარი თავი მივეცით, არამედ ისიც, რაც ჩვენი ბატონობის ქვეშ იყო. ამის შემდეგ არა მხოლოდ ადამის შთამომავლობა, არამედ მთელი ბუნებაც კი ბოროტის გავლენას დაექვემდებარა.

ახალი მეპატრონისთვის ამ უფლების გადაცემა კარგად ჩანს სატანის და იქსოს საუბარში. ეშმაკმა იქსო მაღალ მთაზე აიყვანა და წუთისოფლის ყველა სამეფო უჩვენა. სატანამ შეს-თავაზა: „მოგცემ მთელს ამ ხელმწიფებას და მათ დიდებას (მთელს პატივს, ლირსებას, ბრწყინვალებას.) ვინაიდან მე მაქვს მოცემული და ვისაც მინდა, იმას ვაძლევ“ (ლუკ. 4:6;).

როდის მიეცა ქვეყნიერების ყველა სამეფო ბოროტს? ეს მოხდა ედემის ბალში, როდესაც ადამმა დათმო ღმერთის მიერ მისთვის ბოძებული დედამიწაზე მეფობის უფლება. ის, რაც ერთ დროს ღმერთმა კაცს მისცა, მთავარი მტრის ხელში აღმოჩნდა. ამიტომაც წმინდა წერილი გვეუბნება: „ვიცით, რომ ღვთისგან ვართ და მთელი სოფელი ბოროტში ძევს“ (1 ოთან. 5:19;).

## უკან დაპრუნების გეგმა

ღმერთმა ისურვა, რომ კაცობრიობისთვის უკან დაებრუნებინა ის, რაც ადამმა დათმო. თუმცა იგი არ მოვიდა, როგორც ღმერთი და არ გამოსტაცა ბოროტს მიტაცებული ძალაუფლება, რადგან ღმერთი არ ართმევს ერთხელ მიცემულ ძალაუფლებას და თანაც ეს ძალაუფლება ადამმა ოფიციალურად მისცა მას. კაცმა დაკარგა ბატონობა, და ახალ კაცს უნდა დაებრუნებინა იგი. ამიტომაც მოვიდა იქსო, როგორც „ძე კაცისა“. დაიბადა

ქალისგან, რაც მას 100 პროცენტიან კაცად წარმოაჩენს. მისი მამა სულინმიდა გახდა რის გამოც ის 100 პროცენტით ღმერთია (და თავისუფალი ცოდვის წყევლისაგან). თუმცა ჩვენ ნათლად გვითხრეს, რომ „როცა დრო მოვიდა, წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება, გახდა კაცთა მსგავსი და შესახედაობით კაცს დაემსგავსა!“ (ფილ. 2:7;). თუმცა ის ღმერთია, მან გვერდზე გადადო თავისი ღვთაებრიობა და იცხოვრა მიწაზე კაცთა მსგავსად.

იესო მთლიანად მამას ემორჩილებოდა. მან საკუთარი სისხლით გამოისყიდა ის, რაც ადამმა თითქმის დაკარგა. წმინდა წერილი ამბობს: მან „განაიარალა მთავრობანი და ხელმწიფებანი. სააშკარაოდ შეარცხვინა და ჯვრით იზემა მათზე გამარჯვება“ (კოლ. 2:15;). ახლა მხოლოდ ის ფლობს იმ ძალაუფლებას, რომელიც ადამმა სხვას დაუთმო. სწორედ ამიტომაც იგი ამბობს: „მთელი ძალაუფლება გადმომეცა მე ზეცაში და დედამიწაზე“ (მათე 28:18;).

დადგება დღე და იგი დაბრუნდება და პირვანდელ სახეს დაუბრუნებს ბუნებას, ისეთს როგორც ედემის ბალში ადამის დაცემამდე ჰქონდა. როგორც მოციქული პავლე წერდა:

„რადგან ქმნილება (ბუნება) თავისი ნებით კი არ დაემორჩილა ამაოებას (ხრწნილებას, მსჯავრი დაედო სასოწარსაკვეთად), არამედ მისი დამმორჩილებლის მიერ, სასოებით, რომ თვით ქმნილებაც გათავისუფლდება ხრწნილების მონობისაგან ღვთის შვილთა დიდების თავისუფლებისთვის“ (რომ. 8:20-21;)

ბუნება ჯერ ისევ ხრწნადობას არის დაქვემდებარებული: ჩვენი ფიზიკური სხეულები ისევ პერდებიან და კვდებიან, მატერიალური სამყაროც იხრწნება და ფუჭდება, ველური მხეცები ისევ ნადირობენ და ჭამენ უფრო სუსტ ცხოველებს, გველებს ისევ აქვთ მომაკვდინებელი შხამი, დაავადებები ისევ ბობიქრობენ, ქარიშხლები და ტორნადოები ისევ ანგრევენ. მაგრამ არის ის, ვისაც ამ ყველაფერზე აქვს ძალაუფლება და ყველაფრის შეცვლა შეუძლია და ეს არის ქრისტე.

### 306 არის ძრისტე?

ახლა კი იბადება ასეთი კითხვა, ვინ არის ქრისტე? ეს არის კიდევ ერთი ადგილი, სადაც განუახლებელი გონება ძარცვავს

ლვთის შვილებს. როცა ბევრი ფიქრობს იესო ქრისტეზე, გონიათ, რომ ქრისტე მისი გვარია. და ეს ძვირფასი ადამიანები ამას ფიქრობენ არა სხვა პიროვნებაზე, არამედ ჩვენს დიდებულ მეფეზე, რომელიც ჯვარს აცვეს და მკვდრეთით აღდგა. დიახ, სახელი ქრისტე აღწერს ჩვენს უფალსა და მხსნელს, მაგრამ მოდი, ვნახოთ რას ამბობს ღმერთის სიტყვა.

პავლე გვეუბნება: „თქვენ კი ქრისტეს სხეული ხართ, ხოლო ცალ-ცალკე მისი ასოები“ (1 კორ. 12:27);. ჩვენ მორწმუნები, ერთად ქრისტეს სხეულს წარმოვადგენთ. თითოეულ ჩვენგანს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, როგორც „სხეულის ნაწილს.“ იესო არის თავი, ჩვენ ვართ სხეული; ეს ძალიან მარტივად გასაგები საკითხია!

შენ პიროვნულად მხრებზე გაქვს თავი, მაგრამ ამავდროულად გაქვს ორი ხელი, ორი მუხლი, ორი მკლავი, მკერდი, კუჭი, ლვიძლი, ორი თირკმელი და ა.შ. როცა ადამიანის სხეულის რომელიმე ნაწილზე ფიქრობ, მაგალითად თავზე, მას ცალკე, სხეულისგან განშორებულად წარმოიდგენ? თავს სხვა სახელს ეძახი და სხეულს სხვას? რა თქმა უნდა, არა. შენ ერთი არსება ხარ – ერთი პიროვნება. შენ რომ ჩემი თავი დაინახო, მიხვდები რომ ჯონ ბევირი ვარ. ჩემი სხეული და თავი ერთია.

მსგავსად ამისა, ქრისტეს თავი და სხეული ერთია. იესო არის თავი და ჩვენ ვართ მისი სხეულის სხვადასხვა წევრები. ასე, რომ როდესაც ახალ აღთქმაში ქრისტეს შესახებ კითხულობ, მხოლოდ ის კი არ უნდა დაინახო, ვინც ჯვარზე მოკვდა, არამედ საკუთარი თავიც. ამიტომაც ამბობს წმინდა წერილი, „ვინაიდან განმწმედელი და განწმედილნიც ყველანი ერთისგან არიან“ (ეპრ. 2:11;). თვითონ იესო ლოცულობდა: „მე მხოლოდ ამათზე არ გთხოვ, არამედ იმათზეც ვინც ჩემი მორწმუნენი იქნებიან თავიანთი სიტყვით; რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში მამაო, მე კი – შენში“ (იოანე 17:20-21;).

შენ ერთი ხარ ქრისტესთან. პირდაპირი გაგებით, ერთი!

რომ დარწმუნდეთ იმაში, რომ მე მხოლოდ ერთ ან ორ მუხლს არ ვიყენებ კონტექსტიდან, კიდევ რამდენიმეს გაგიზიარებთ, რაც უფრო განამტკიცებს თქვენში ამ მნიშვნელოვანი პრინციპის რწმენასა და გაგებას. გთხოვთ ქვემოთ მოყვანილი მუხლები ისე წაიკითხოთ, თითქოს პირველად კითხულობდეთ:

■ პეტრე წერს, რომ ჩვენ ხელახლა ვიშვით ღმერთის სიტყვით, რათა შევძლოთ ვიყოთ „მოზიარენი ლვთიური ბუნებისა“ (1 პეტ. 1:23; 2 პეტ. 1:4;). სიტყვა ბუნება განიმარტება

როგორც პიროვნების თანდაყოლილი, მნიშვნელოვანი ნი-შანთვისება ან მახასიათებელი პიროვნებისა. „მე და თქვენ ისეთივე თანაბარი მახასიათებლები გაგვაჩნია, როგორიც ქრისტეს; ისევე, როგორც ჩემს თავსა და ხელს მსგავსი გენეტიკური შემადგენლობა აქვს, რადგანაც მე ერთი ადა-მიანი ვარ და არა ორი.

- იოანე მოციქული წერს?: „მისი სისავსიდან მივიღეთ ყვე-ლამ“ (იოანე 1:16;). ყურადღება მიაქციე სიტყვას სისავ-სე? როდესაც იოანეს სიტყვებს პეტრეს ნათქვამს შევუერ-თებთ, აღმოვაჩნით, რომ ქრისტეს სულიერი აღნაგობის ან ქრისტეს უმთავრესი მახასიათებლების სისავსე მივიღეთ.
- მოგვიანებით, თავის პირველ ეპისტოლეში იოანე წერს: „რადგან როგორიც ის არის, ჩვენც ისეთები ვართ ამ სოფელში“ (1 იოან. 4:17;). აქ ის მომავალ ცხოვრებაზე არ საუბრობს. არა, ის ანტყო დროზე მიუთითებს: „როგორც ის არის, ჩვენც ისეთები ვართ“. ზუსტად ისეთი, როგორიც იესოა – აი, ამ წუთას, დღეს!
- პავლე წერს: „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ქრისტეს ასოებია?“ (1 კორ. 6:15;). ამ სიტყვების ტონალო-ბიდან გამომდინარე, პავლე გულისხმობს, რომ ეს ცოდნა საფუძველი უნდა იყოს. ვერ იგებ ამ ელემენტარულ რე-ალობას? ჩვენ, როგორც ეკლესიას მართლაც გვნამს ეს სი-ტყვები?

## ერისტეს ძალაუფლება

ახლა, როცა ვიცით, რომ სიტყვა ქრისტეში ჩვენც ვიგუ-ლისხმებით, მოდით გავარკვიოთ რას ნიშნავს ეს გამოცხადება იმ ძალაუფლებისა და ძალის დონის მიმართებაში, რომელიც ჩვენ ქრისტეში გაგვაჩნია. ეფესელთა მიმართ წერილში პავლე მთელი გულით ლოცულობს, რათა ქრისტეს ყოველი მიმდე-ვარი ჩასწერს „რა განუზომელია მისი ძალის სიდიადე ჩვენში“ (ეფეს. 1:19).

რა გამომხატველი სიტყვებია! რამხელა სიდიადეს შეიცავს! ეთანხმები თუ არა იმ აზრს, რომ დიდების უფალს შეუზღუ-დავი, განუზომელი ძალა აქვს? დაადასტურებ თუ არა იმას, რომ მისი ძალა, სამყაროში არსებულ ყველა ძალაუფლებას, დიდებულებას და ძალას აღემატება? დარწმუნებული ვარ უყ-ოყმანოდ დაეთანხმები ამ სიტყვებს.

თუმცალა, შეგიძლია იგივე თქვა საკუთარ თავზე? მნიშვნელოვანი ის არის, გჯერა თუ არა ამ სიტყვების? თუ არა, მაშინ შენდაუნებურად ქრისტესგან აცალკევებ შენს თავს. ხარ თუ არა შენ სხვა სხეულის ნაწილი? განა ქრისტეს სხეულის ნაწილი, მისი სხეულის წევრი არა ხარ? შესაძლოა ფიქრობდე, ჯონ ბევირ, ძან შორს მიდიხარ! მაგრამ ნუთუ ასეა? ასე რომ არ არის ზემოთ მოყვანილი მუხლის, მომდევნო ნაწილს გადახედე: „რა განუზომელია მისი ძალის სიდიადე ჩვენში, რომელთაც საქმით გვწამს მისი ძალის ძლიერება“ (ეფეს. 1:19;). პავლე ჩვენს მიმართ ამბობდა ამ სიტყვებს. რატომ? შენ, როგორც იესო ქრისტეს მორწმუნე, ქრისტეს ნაწილი ხარ. ამიტომაც ზუსტად იგივე ძალას ფლობ, რასაც ქრისტე! „როგორც ის არის, ისევე ვართ ჩვენც ამ ნუთისოფელში“. კომენტარებით დართული ბიბლიის მიხედვით გავაგრძელოთ პავლეს ეფესელთათვის ლოცვის განხილვა:

„...და რა განუზომელია მისი ძალის სიდიადე ჩვენში, რომელთაც საქმით გვწამს მისი ძალის ძლიერება, რომლითაც მან იმოქმედა ქრისტეში, მკვდრეთით აღადგინა რა იგი და თავის [საკუთარი] მარჯვნივ დასვა ზეცაში [ადგილებში]“ (ეფეს. 1:19-20;)

გნამს, რომ იესო ქრისტე ჯვარს აცვეს, მოკვდა, დაიმარხა, აღდგა მკვდრეთით და ახლა ზის ძალაუფლების ტახტრევანზე ზეცაში? თუკი ნამდვილი ქრისტიანი ხარ, რა თქმა უნდა, გნამს. მაგრამ ეს ყველაფერი საკუთარ თავთან მიმართებაში თუ გნამს? ფაქტია, რომ ბევრი მორწმუნე საკუთარ თავს ამ სიტყვების სინათლეზე ვერ ხედავს. თუმცა, პავლე წერს:

„ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ [შთავე-ფალით] ქრისტე იესომი, მის სიკვდილში მოვინათლეთ [ვიქენით შთაფლულნი]? ამიტომ დავიმარხეთ მასთან ერთად სიკვდილ-ში ნათლისძებით [შთაფლობით, შერწყმით] როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით“ (რომ. 6:3-4;)

დაუკვირდით, ეს ადგილი ნათლობის აქტზე არ ლაპარაკობს, არამედ ქრისტეს სხეულში „შერწყმაზე ღმერთის სულის მეშვეობით, მაშინ როდესაც ჩვენ ზეციდან ვიშვით (იხ. 1 კორ. 12:13;). ჩვენ ქრისტეს სხეული ვართ; მას შემდეგ, რაც მისი ნაწილი გავხდით, ჩვენი ისტორია შეიცვალა.

ჩვენ მასთან ერთად მოვკვდით, მასთან ერთად დავიმარხეთ, მასთან ერთად ალესდექით, და როგორც ახალი ქმნილებები მის მსგავსად ვცხოვრობთ! და კვლავ, „როგორც ის არის, ისე-ვე ვართ ჩვენ ამ წუთისოფელში“. ჩვენ ქრისტეში ვართ! ჩვენ ვართ ქრისტე! ჩვენ მისი სხეული ვართ! ჩვენ ერთი ვართ მას-თან!

ეფესელთა 1:20-ის მიხედვით, რადგან ჩვენ ქრისტეს ნაწილი ვართ, ვზივართ ზეცაში – როგორც მეფენი. ეს არის სა-მყაროში ძალაუფლების ყველაზე წარმატებული ადგილი, მამა ღმერთის შემდეგ. იესომ თქვა: „მთელი ძალაუფლება [მთელი ძალაუფლება მმართველობისა] მოცემული მაქვს მე ზეცაში და დედამინაზე“ (მათ. 28:18;). პავლე აგრძელებს:

„ყველა მთავრობაზე, ხელმწიფებაზე, ძალაზე, უფლებაზე და ყოველივე სახელზე [ტიტულზე, რომელიც კი შეიძლება არსე-ბობდეს] მაღლა, რაც კი იწოდება არა მარტო ამ საუკუნეში, არამედ მომავალშიც“ (ეფეს. 1:21;).

— ■ —  
რადგან ჩვენ ქრისტეს ნაწილი ველობაზე, ძალაზე აღმატებულ ადგილას? და ძალაზე აღმატებულ ადგილის ვართ, ვზივართ ზეცაში შენ, როგორც ქრისტიანს, რა - როგორც მეფენი.

— ■ —  
გწამს, რომ უფალი იესო ზის ამ წუთისოფლის ყველა მმართ-ველობაზე, ძალაუფლებაზე და ძალაზე აღმატებულ ადგილას?

— ■ —  
თქმა უნდა, გწამს ეს. მაგრამ კვ-ლავ გეკითხები: საკუთარ თავ-თან მიმართებაში თუ გწამს?

— ■ —  
შესაძლოა შენს თავს ამ სინათ-

ლის ფონზე ვერ ხედავ. დიდი შანსია იმისა, რომ ეს რეალობა სულაც არ გწამს. თუ ასეა, მაშინ შენ განცალკევებული ხარ ქრისტესგან შენს აზროვნებასა და რწმენაში. სხვა სხეულის ნაწილი ხარ? არა, შენ ქრისტეს ნაწილი ხარ! ჩვენ ყველანი ქრისტეში ვართ. ჩვენ ვართ ქრისტე! ჩვენ ვართ მისი სხეული! მოუსმინეთ პავლეს სიტყვებს:

„და ყოველივე დაუმორჩილა მის ფერთა ქვეშ და დაადგი-ნა იგი ყველაფერზე – თავად ეკლესისა, რომელიც მისი სხეულია, სისავსე აღმავსებლისა ყოველივესი ყველივეში“ (ეფეს. 1:22-23;).

ჩვენ ვართ ქრისტეს სხეული, სრული საზომი ქრისტესი, სრულიად ერთი მასთან. პავლე ამბობს, რომ ყოველივე მის ფერთა ქვეშ არის დამორჩილებული. თუკი შენ ხარ ნაწილი

ქრისტეს სხეულისა, რომელიც შესაძლოა ცერა თითია, შენ მაინც გაცილებით მეტი გაქვს – მმართველობა, ძალაუფლება და დომინირება დედამიწაზე და დედამიწის ქვეშ. ქრისტეში შენი ძალაუფლება აღდგენილია და უფრო მეტიც კია იმაზე, რაც ადამს ჰქონდა.

შესაძლოა ღმერთმა წინასწარ დაინახა, რომ ჩვენთვის ძნელი გასაგები იქნებოდა ამ საკითხის რეალობა, ამიტომ მან პავლე შთააგონა, რომ ძალიან ნათლად დაეწერა ამის შესახებ ეფესელთა წერილში, რომ არანაირი ეჭვი აღარ დაეტოვა. გახსოვდეთ, რომ ეს თავი და მუხლები მოგვიანებით დაემატა – ეს არის ერთი წერილი, ერთი მთლიანი აზრი:

„და თანააღგვადგინა და ცათა შინა [ჩვენი არსების ღირსებით] თანადაგვსხა [მასთან ერთობლივი სამეფო ტახტი] ქრისტე იქსოში“ (ეფეს.2:6;)

თავი მოკვეთილი არ არის სხეულისგან. ჩვენ ყველა ერთად ვართ, ვსხედვართ ერთად სამეფო ტახტზე, გვაქვს ძალაუფლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვიმყოფებით სფეროში, რომელიც დედამიწაზე არსებულ ყველა ძალაზე ზემოთ არის – გაცილებით ზემოთ!

არ არსებობს არცერთი დემონური სული, ცდომილი ანგელოზი და თუნდაც თავად სატანა, რომელსაც ჩვენზე ავტორიტეტი ქონდეს. ჩვენი მეფობა უზენაესია, ქრისტეში ჩვენი მდგომარეობისა და ძალაუფლების გამო! ალილუა!

## მეფობა სიცოცხლეში

გამომდინარე იქიდან, რაზეც ვისაუბრეთ, მოდით კვლავ გადავხედოთ იმ მუხლს, რომელიც ზემოთ ვახსენეთ ამ თავში.

„ისინი, რომლებიც უხვად მიიღებენ მადლს და სიმართლის ნიჭს, იმეფებენ სიცოცხლეში ერთის, იესო ქრისტეს მეშვეობით“ (რომ.5:17;)

დაუკვირდით ფრაზას: „იმეფებენ სიცოცხლეში ქრისტეს მეშვეობით“. ჩვენ, როგორც ქრისტეს სხეულის წევრები ვიმეფებთ ყველანაირ წინააღმდეგობასა და უღმერთოებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ვართ ისინი, რომელნიც უნდა

მეფობდნენ აქ დედამიწაზევე. თუ რაიმე ისე ვერ არის, იქნებ იმის ბრალია, რომ ჩვენ გვერდზე გადავდეთ ჩვენი ძალაუფლება?

მრავალი წლის წინ, ჩემმა ხუცესმა ჩვენს საკმაოდ მრავალ-რიცხოვან მრევლს განუცხადა, რომ მე მქადაგებლურ საქმი-ანობაში ჩავერთვებოდი. რამდენიმე დღის შემდეგ, ერთი ასა-კოვანი მსახური მივიდა ჩემს მეუღლესთან და უთხრა: „ლიზა, ღმერთისაგან სიტყვა მაქვს შენი ქმრისთვის“.

ჩვენ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით და ზრდას და გან-სწავლას ვსაჭიროებდით (დღესაც გვჭირდება). ლიზამ მიუგო, „მითხარით ეგ სიტყვა და მე გადავცემ ჯონს“.

ასაკოვანმა მსახურმა უთხრა: „უთხარი ჯონს, თუკი ის არ ივლის მისთვის ღმერთისაგან მიცემულ ავტორიტეტში, მაშინ სხვა ვინმე წაიღებს მას და მისსავე წინააღმდეგ გამოიყენებს“.

როცა ლიზამ ეს სიტყვები გადმომცა, ელვასავით გაიარა მთელს არსებაში. მას შემდეგ მრავალმა წლებმა განვლო, და მე კვლავ ვამოწმებ იმის შესახებ, თუ რამდენად ჭეშმარიტი იყო ეს სიტყვები, არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ქრისტეშია. ხშირად დამწუხრებული ვარ და განვიცდი იმას, რომ ბევრი ღმერთის მოყვარული ადამი-ანი შებორკილი და გაკონტროლებულია წინააღმდეგობრივი ძალებით და სიტუაციებით. ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ ამხელა საფასური გადაიხადა მათ გასათავისუფლებლად და ისინი მაინც მონობაში იმყოფებიან. ცუდი ამინდები, ბუნე-ბრივი კატასტროფები, ავადმყოფობები, დემონური გავლენები, წინააღმდეგობები – ეს სია უსასრულოა. ეს ძალები აკონ-ტროლებენ და დომინირებენ კარგ ადამიანებზე, რომლებიც სინამდვილეში ამ ცხოვრებაში მეფეები და დედოფლები არიან, მაგრამ არ იციან, თუ ვინ არიან ქრისტეში.

თუკი შენ იმათგანი ხარ, ვინც უნდა მეფობდეს, სინამდ-ვილეში კი მასზე მეფობენ, მაშინ შენთვის კარგი ამბავი მაქვს. თუკი ამ თავში გაზიარებულ სიტყვას, გულთან მიიტან, შენი ცხოვრება შეცვლას დაიწყებს. ახლა შენ იცი თუ რა ძალასა და ავტორიტეტს ფლობ მათ დასახმარებლად, რომელნიც უცო-დინარნი ან უმწეონი არიან; შენ ახლა შეგიძლია სასუფევლის კარგი სიცოცხლე მოუტანო მათ, რომელნიც საჭიროებაში იმყ-ოფებიან.

მოციქულმა იოანემ კარგი სიტყვა გვითხრა ყველას, ვინც ქრისტეს სხეულის ნაწილი ვართ: „ვინც ამბობს, რომ მას-ში რჩება, ისევე უნდა მოიქცეს, როგორც ის იქცეოდა“ (1 ოთან. 2:6;).

იესომ ეს უკვე განაცხადა, როდესაც თქვა: „როგორც მე მომავლინა მამამ, მეც მიგავლენთ თქვენ“ (იოან. 20:21;). იესო მეფობდა და ასევე სურს, რომ ჩვენც ვმეფობდეთ. როდესაც ქარიშხალი მოდიოდა იესოს და მის გვერდში მყოფთა გასანადგურებლად, ის უბრძანებდა ქარს და ზღვას, და ისინიც ემორჩილებოდნენ მას. როდესას უდაბნოში მას საჭმელი სჭირდებოდა მრავალთა გამოსაკვებად, ის იმ მცირედით, რაც გააჩნდათ, კვებავდა ათასობით, და ბოლოს უფრო მეტი საჭმელი რჩებოდა, ვიდრე დასაწყისში ჰქონდათ. როდესაც მას ზღვაზე გადასვლა სჭირდებოდა და ნავი არ ჰქონდა, ის წყალზე დადიოდა. როდესაც ქორწილში სასმელი გამოილია, მან წყალი აქცია ღვინოდ. თავისი ბაგიდან გამოსული სიტყვით ლელვის ხე გაახმო. ყური გაუმრთელა მსახურს, რომელიც მახვილით ჩამოათალეს. წმენდა დაავადებულებს, ბრმას თვალს უხელდა, ყრუს სმენას უბრუნებდა, და ხეიბარს სიარულის უნარი უბრუნდებოდა. ვერცერთი ხსენებული გამოწვევა ვერ დგებოდა მის წინ, რომელიც მეფობდა სიცოცხლეში.

დემონით შეპყრობილი ადამიანები ვერ აშინებდნენ მას; მას ჰქონდა პასუხი, რომ შეეჩერებინა მათი სიტყვები. ბოროტი მმართველები ვერ იჭერდნენ მას. განრისხებულმა ბრბომ ვერ შეძლო მისი გადაგდება კლიდან; მან უბრალოდ მათ შორის გაიარა. დემონებით შეპყრობილი ადამიანები ვერ აფრთხობდნენ მას; ის ამ ადამიანებს ათავისუფლებდა მათგან. ეს ჩამონათვალი უსასრულოდ გრძელდება. იესოს სიცოცხლის ბოლო წლების აღნერისას იოანემ ასეთი შეჯამება გააკეთა: „ბევრი სხვა ნიშანიც მოიმოქმედა იესომ მონაფეების წინაშე, რაც ამ წიგნში არ დაწერილა...დაწვრილებით რომ დაწერილიყო, ვფიქრობ, მთელი სოფელიც კი ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს“ (იოან. 20:30; 21:25;).

იესო ქრისტე მეფობდა სიცოცხლეში, ის მეფობდა წინააღმდეგობებსა და სირთულეებზე. მას ზეცა მიწად ჩამოჰყავდა. მან განგვიმზადა ხელმოსაკიდი, რომელსაც უნდა გავყვეთ. და ის ჩვენგან უფრო მეტსაც ელის: „ჭეშმარიტად, ჭეშმარირად გეუბნებით თქვენ: ვისაც ჩემი სწამს, იმ საქმეებს, რასაც მე ვაკეთებ, თავადაც გააკეთებს, და მათზე დიდსაც გააკეთებს, რადგან მე მამასთან მივდივარ“ (იოან. 14:12;).

ამას კი შემდეგი ლოგიკური შეკითხვა მოსდევს. ჩვენ როგორ ვმეფობთ სიცოცხლეში? საიდან მოდის ეს ძალა?

## ძალის წყარო

„ისინი, რომლებიც უხვად მიიღებენ მაღლს  
და სიმართლის ნიჭს, იმეფებენ სიცოცხლეში ერთის,  
იესო ქრისტეს მეშვეობით“  
რომაელთა 5:17;

**Α**აშ ასე, აღმოვაჩინეთ, რომ ცხოვრებაში უნდა ვიმეფოთ, როგორც მეფეებმა და დედოფლებმა. ცხოვრებამ არ უნდა იმეფოს ჩვენზე; ჩვენ უნდა ვიმეფოთ მასზე. იპადება შემდეგი ლოგიკური კითხვა: მაქვს კი იმის უნარი და შესაძლებლობა რომ ვიმეფო?

მოდით, ეს თემა განვიხილოთ ჩიჰუაჰუას ძალის ჯიშის და დათვი გრიზლის მაგალითზე. ჩიჰუაჰუა – პატარა ძალია, რომელიც მუდმივად წკავწკავებს. ისინი ძალიან ჯიუტები და შეუპოვრებიც კი არიან. ამ ჯიშის ძალი თუ ერთი აყეფდა, იქამდე არ მოისვენებს, სანამ თავისი ტერიტორიდან არ გაგაძევებს. შეიძლება კოჭიზეც კი გიკინოს. მისი თავიდან მოსაცილებლად საკმარისია პანლური უთავაზო, ან დაუყვირო და შერცხვენილი და შეშინებული გაიცევა. რატომ? ამ პატარა ძალს არა აქვს იმდენი ძალა, რომ ზრდასრულ ადამიანს მოერიოს.

მაგრამ თუ გრიზლი იგივეს მოინდომებს, რასაც ჩიჰუაჰუა, ადამიანი დიდ საფრთხეში აღმოჩნდება, განსაკუთრებით კი მაშინ თუ იგი უიარაღოა. დათვს შეუძლია მყისვე მოკლას ადამიანი, რადგან იგი მასზე ძლიერია.

კარგად ვიცით, რომ სამყაროში არსებობენ ძალები, რომელთაც არ სურთ, კარგად დავასრულოთ ჩვენი სარბიელი. როგორ გავიგოთ, რომ ვფლობთ ძალას მათ დასამარცხებლად? როდესაც ამ ზებუნებრივ მტერთან გვიწევს შებმა, როგორ ვმოქმედებთ? როგორც ჩიჰუაჰუა თუ როგორც გრიზლი? საიდან მოდის მეფობისათვის საჭირო ძალა?

პასუხი მოცემულია რომაელთა მიმართ წერილში (5:17). ჩვენ ვიმეფებთ ღვთის უხვი მადლით (წიგნში „საკვირველი ცხოვრება“ დაწვრილებით აღვწერ სიტყვის „მადლი“-ს მნიშვნელობას, ამიტომ აქ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან დეტალზე შევჩერდები).

## დიდი გათიშვა

სწორედ „უხვი მადლის“ საკითხია, რომელიც ამერიკის ევან-გელისტურ ეკლესიებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

2009 წელს ჩვენმა მსახურებამ ამერიკის მასშტაბით ჩაატარა გამოკითხვა. გამოკითხულ იქნა სხვადასხვა დენომინაციებიდან და დამოუკიდებელი ეკლესიებიდან ათასობით ქრისტეს მიმდევარი, რომლებსაც ვთხოვეთ ღვთის მადლისთვის მიეცათ სამი ან მეტი განსაზღვრება. გამოკითხულ რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა ღვთის მადლი განსაზღვრა შემდეგნაირად: 1) ხსნა; 2) შეუფასებელი საჩუქარი; და 3) ცოდვათა მიტევება.

ძალიან მიხარია, რომ ამერიკელ ქრისტიანებს კარგად ეს-მით, რომ მადლით და მხოლოდ მადლით ვართ გადარჩენილები. ხსნა მხოლოდ წყლის შეპკურებით არ მოდის, ან რომელიმე ეკლესიაში სიარულით, ან რელიგიური წესების დაცვით, ან თუნდაც ბევრი კარგი საქმეების კეთებით. ეფესელთა მიმართ წერილი (2:8-9);) ნათლად ამბობს: „ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგნით კი არ არის, არამედ ღვთის ნიჭია, არა საქმეთაგან, რათა არავინ დაიკვეხოს“. სასიამოვნოა იმის გაცნობიერება, რომ ქრისტიანებმა იციან, რომ მადლის გამომუშავება ანდა დამსახურება შეუძლებელია, იგი გვეძლევა მხოლოდ გოლგოთაზე იესო ქრისტეს გამომსყიდველი ღვაწლისადმი რწმენის მეშვეობით.

ტრაგედიაა, როდესაც მოაზროვნე ადამიანები ღმერთის

მადლის დამსახურებას ცდილობენ. ძალიან ბევრი სიტუაციის

ტრაგედიაა, როდესაც მოაზროვნე ადამიანები მომსწრე ვარ, რომელშიც ქალები და კაცები საკუთარ საქმეებსა და ქცევაზე ამყარებდნენ იმედს, რომ ღმერთის თვალში

გამართლებულები ყოფილიყვნენ. მნიშვნელობა არა აქვს,

რამდენად კარგს ამბობს შენზე საზოგადოება, ეფესელთა მიმართ წერილის (2:8-9;) თანახმად, საკუთარი მცდელობით მომავალ სამსჯავროს ვერავინ გაექცევა. გადარჩენა მხოლოდ რწმენის მეშვეობით არის შესაძლებელი, რამეთუ ის ღმერთის საჩუქარია, რომელიც მისი ძის სიკვდილის და აღდგომის მეშვეობით გვეძლევა. ტრაგიკულია იმის დანახვაც, რომ ადამიანებმა, რომელთაც ერთ დროს რწმენით მიიღეს მადლი, შემდგომში განაგრძობენ ისე ცხოვრებას, თითქოს მათ

შეუძლიათ დაიმსახურონ მადლი თავიანთი კეთილი საქმეებით. ასეთ ქრისტიანებს ჰგონიათ, რომ მეტი უნდა ილოცონ, ხშირად იმარხულონ, მეტად ჩაებან ქველმოქმედებაში და სხვა ქრისტიანული საქმეები აკეთონ. პავლე მოციქული გალატიის ეკლესიას აფრთხილებდა ამის შესახებ: „ვთიქრობ, ეს თქვენი სურვილი არ იყო, მაგრამ სწორედ ასე მოხდა. როდესაც ცდილობთ საკუთარი რელიგიური გეგმებით და პროექტებით იცხოვროთ, ქრისტეს გარეშე რჩებით და მოწყვეტილი ხართ მადლს“ (გალ.5:4;). სამწუხაროა, როდესაც ამდენი კარგი ქრისტიანი დღესაც იგივე მახშია გაბმული.

გამოკითხვამ ასევე აჩვენა რომ, ზოგადად ამერიკაში ქრისტიანებმა იციან, რომ ცოდვების პატიება ღმერთის მადლის მეშვეობით გვეძლევა. ეფესელთა მიმართ წერილი (1:7;) ადასტურებს ამ ჭეშმარიტებას: „რომლის მიერ გვაქვს ცოდვების მიტევება მისივე მადლის სიმდიდრით“. ეს ღვთის უსასყიდლო საჩუქარია, რომელიც გვწმენდს ჩვენი ცოდვებისგან საუკუნოდ. მადლობა ღმერთი!

მაშ ასე, ამერიკული მორწმუნების დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, მტკიცედ ეფუძნება ფუნდამენტალურ ჭეშმარიტებას, რომლის თანახმადაც ღვთის მადლი მოიცავს ხსნას, რომ ის დაუმსახურებელი საჩუქარი და ცოდვების პატიებაა. ეკლესიის მსახურებმა, როგორც ჩანს, კარგად იშრომეს, ყურადღება გაამახვილეს რა ამ მნიშვნელოვან სფეროებზე, და მჯერა, რომ ღმერთი კმაყოფილია ამით.

მოდით, ახლა გავეცნოთ იმას, თუ რა ტრაგედია გამოაშკარავა გამოკითხვამ. გამოკითხულთა მხოლოდ 2 პროცენტს სჯერა, რომ „მადლი – ესაა ღმერთის ძალა“. სწორედ ასე აღნერს ღმერთი თავის მადლს:

„გეყოფა ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა“ (2კორ.12:9;)

თუ ამ მუხლს ნახავთ პიბლიაში, სადაც იესოს სიტყვები წითელი შრიფტითაა გამოყოფილი, ხოლო სხვა დანარჩენი – შავით, დაინახავ, რომ ზემოთ მოცემული მუხლი შავი შრიფტით არ წერია, ის გამოყოფილია წითლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვებს ამბობს პავლე მოციქული, ისინი თავად უფლისგან მომდინარეობენ. ღმერთი თავის მადლს განსაზღვრავს, როგორც ძალას. გამოკითხვის მიხედვით, ამერიკელი ქრისტიანების მხოლოდ 2 პროცენტმა იცის ეს (ზუსტი ციფრია

1,9%. ეს 100-დან 2 მორწმუნება! ჩვენი ყოვლისშემძლე, ძლიერი ღმერთი თავად წარმოაჩენს მადლის ძალად და 100 მორწმუნი-დან 2-მა თუ იცის ამის შესახებ. რა სამწუხაროა!)

## მადლი — ესაა ძალა

სიტყვა „სუსტი“ 2კორ. 12:9-ის მიხედვით „უუნარობას“ ნიშ-ნავს. ღმერთი ამბობს: „ჩემი მადლი (ძალა) საკმარისია ისეთ სიტყუაციებთან გასამკლავებლად, რომლებიც შენს შესაძლებ-ლობებს აღემატება. ეს ჩანს ასევე პავლეს მიერ მაკედონე-ლებისთვის მიწერილ სიტყვებში: „და აპა გაუწყებთ ღვთის მადლის შესახებ, რომელიც მიეცათ მაკედონიის ეკლესიებს... ვინაიდან ვადასტურებ, რომ თავიანთი ძალის შესაბამისად და უფრო მეტადაც გულუხვნი იყვნენ“ (2კორ.8:1,3;). ღმერთის მადლის შეწევნით, მაკედონელმა ქრისტიანებმა შეძლეს საკუ-თარ ბუნებრივ შესაძლებლობებზე ამაღლებულიყვნენ. ეს მად-ლი — ღმერთის ძალაა.

უფრო ადრე პავლე იგივე ადამიანებს წერდა: „რადგან ეს ჩვენი ქადილი არის ჩვენი სინდისის მოწმობა, რომ ჩვენ ღვ-თაებრივი სიწმიდით და გულწრფელობით ვიქცეოდით სო-ფელში. განსაკუთრებით თქვენთან, არა ხორციელი სიბრძნით, არამედ ღვთის მადლით“ (2კორ.1:12;). აქაც, მადლი წარმოდ-გენილია, როგორც ღვთისაგან მოცემული ძალა.

პეტრეც მადლის მსგავსს განსაზღვრებას იძლევა: „მადლი და მშვიდობა გაგიმრავლდეთ ღვთისა და ჩვენი უფლის იესოს ცოდნით. ისე როგორც მისმა ღვთიურმა ძალამ [მადლმა] მოგ-ვანიჭა ყოველივე, რაც სიცოცხლისა და ღვთისმოსაობისათვის გვჭირდება, მისი ცოდნით, ვინც მოგვიწოდა თავის დიდებასა და სათნოებაში“ (2პეტ.1:2-3;). აქაც მადლი აღნერილია, რო-გორც „ღვთაებრივი ძალა“. პეტრე ამბობს, რომ ყველაფერი, რაც ღვთისმოსავი ცხოვრებისათვის გვჭირდება ჩვენთვის ხელმისაწვდომია მისი მადლის ძალით, რომელიც რწმენით მი-ვიღეთ.

მოდით, უფრო უკეთ გასაგებად დედანს მივმართოთ. ბერ-ძნულ ენაზე სიტყვა, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება მადლის მნიშვნელობით, ჟღერს შემდეგნაირად: „charis“. ჯეიმს სთრონგი თავის სიმფონიაში „Exhaustive Concordance Bible“, რომელიც დიდად ფასობს, ამ სიტყვას განმარტავს, როგორც „საჩუქარი“, „სარგებელი“, „პატივი“, „წყალობა“, „სიკეთე“. თუ

ამ სიტყვას გადახედავთ რომაელთა, გალატელთა და ეფე-სელთა მიმართ წერილებში, ნათლად დაინახავთ მადლის იმ ასპექტს, რომელიც ამერიკელი ქრისტიანების უმრავლესობი-სათვის ნაცნობია. თუმცა სთრონგი ამით არ კმაყოფილდება. ის სიტყვას „მადლი“ ასევე განმარტავს, როგორც „ღვთიური გავლენა გულზე და მისი წარმოჩენა ცხოვრებაში“.

ამ განმარტების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ გა-რეგანი გამოხატულება იმისა, თუ რა ხდება გულში, რაც თა-ვის მხრივ ხაზს უსვამს მადლის მიერ მონიჭებულ სიძლიერეს (ლმერთის ძალას). ბიბლია გვეუბნება, რომ როდესაც ბარნაბა ანტიოქიის ეკლესიაში ჩავიდა და „იხილა ღვთის მადლი, გაიხა-რა“ (საქ.11:23:). მან კი არ მოისმინა მადლის შესახებ, არამედ მისი გამოვლინება იხილა. მან იხილა ძალით აღვსილი გულები, რაზეც ადამიანთა შეცვლილი ცხოვრება მოწმობდა.

სწორედ ამიტომ წერს იაკობი: „მაჩვენე შენი რწმენა [მად-ლი] საქმეთა გარეშე და გიჩვენებ ჩემს რწმენას [მადლს] ჩემს საქმეთაგან“ (იაკ.2:18:). სიტყვა „მადლი“ იმიტომ ჩავსვი სიტყ-ვასთან „რწმენა“, რომ რწმენის მეშვეობით გვაქვს მისაფგომე-ლი მადლთან (იხ. რომ. 5:2:). იაკობი თითქოს ამბობს: „მაჩვე-ნეთ ძალის (მადლის) მტკიცებულება, რომელიც წარმოადგენს ნამდვილ ინდიკატორს იმისა, რომ ნამდვილად მიიღეთ მადლი რწმენის მეშვეობით“.

„Zondervan“- ის მიერ გამოცემული ბიბლიურ სიტყვათა ენ-ციკლოპედია „charis“-ს (მადლს) უწოდებს „დინამიურ ძალას“, რომელიც უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე მხოლოდ ღვთის წინაშე დგომა და ჩვენი მართლებად შერაცხვაა. მადლი ჩვენს განც-დებზეც ახდენს გავლენას. მადლს ყოველთვის თან ახლავს ღვ-თიური ძალის მოქმედება ჩვენში უმწეობის დასამარცხებლად.

წავიკითხე რა ახალ აღთქმაში მადლის შესახებ დაწერილი ყოველი სიტყვა, გულდასმით შევისწავლე რა ბერძნული ენის ლექსიკონები, რომლებზეც ხელი მიმიწვდებოდა, და ველაპა-რაკე რა ბერძნული ენის მცოდნე ადამიანებს, ჩემი პირადი განსაზღვრება მადლის შესახებ ასეთია:

„მადლი არის ღმერთის უსასყიდლო ძალა,  
რომელიც გვაძლევს უნარს ავმაღლდეთ  
ჩვენს ბუნებრივ შესაძლებლობებზე“.

## რატომ არის ასე ტრაგიკული ის, რომ ამერიკელ ქრისტიანთა მხოლოდ 2 პროცენტს ესმის ღმერთის მადლის ძალა? წარმოგიდგენთ ჰიპოთეტურ სცენარს.

ვთქვათ, ვაწარმოეთ რალაცა კვლევა და აფრიკის ჯუნგლებში, ეკვატორის ზონაში, აღმოვაჩინეთ ტომი. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამ ტომის წარმომადგენლებს სასმელი წყლის უახლოეს წყაროსთან მისასვლელად ორი დღე სჭირდებოდათ. წყლით სავსე მძიმე ჭურჭლის ზიდვა მათთვის მძიმე შრომას წარმოადგენდა. მშობლიურ სოფლამდე ამ მძიმე ტვირთით იგივე მანძილი უნდა გაევლოთ, ანუ ორი დღე იყო საჭირო, რომ სოფელს სასმელი წყალი ჰქონდა. ტომის მონადირე მამაკაცები საკვების მოსაპოვებლად შორს ჯუნგლებში მიდიან. აბა, წადირი თავისით არ მივა და ქვაბში არ ჩახტება. წადირობის შემდეგ კი ნანადირევით დატვირთულებს მშობლიურ სოფლამდე 10-15 კილომეტრის გავლა უწევთ.

თუ მათ საჭირო პროდუქტი ან რაიმე ნივთი სჭირდებათ, მათ შესაძენად ანდა სხვა ნივთებში გადასაცვლელად მეზობელ სოფელში მიდიან, რომელიც 50 კმ.-ში მდებარეობს. ამ მანძილს ისინი ფეხით გადაიან.

შევიტყვეთ რა ამ ხალხის სირთულეების შესახებ, გადავწყვიტეთ მათთვის საჩუქარი გაგვეკეთებინა. დიახ, ჩვენ გადავწყვიტეთ კეთილი საქმე გავაკეთოთ მათთვის, გამოვიჩინოთ მათ მიმართ სიუხვე ისე, რომ მათ არანაირი ხარჯის განევა არ დასჭირდეთ (სთრონგის მიხედვით მადლის განსაზღვრებაში ეს მახასიათებლებიც შედის). ჩვენ მათ Land Rover-ის (ლენდ როვერი) ახალთახალი მანქანა ვაჩუქეთ.

ჩვენ ვიყიდეთ ეს მანქანა, გადავგზავნეთ აფრიკის სანაპიროზე და შემდეგ პირადათ ჩავუყვანეთ. მანქანა გავაჩერეთ სოფლის მახლობლად, შევედით ჯუნგლებში, მოვძებნეთ ტომის ბელადი და თავის ხალხთან ერთად წამოვიყვანეთ მანქანის სანახავად და ლიმილით ვუთხარით: „ეს ჩვენი საჩუქარია!“.

ბელადს ვთხოვეთ მძლოლის გვერდით დამჯდარიყო. ერთერთი ჩვენგანი ჯდება საჭესთან და ქოქას მანქანას. ჩვენ სიხარულით ვუყვებით ტომის ბელადს მანქანის შესახებ:

— ეს მართლაც მაგარი „ლენდ როვერია!“! კონდიციონერიც აქვს! გარეთ 42 გრადუსი ცელსიუსი რომ იყოს, დააჭერ აი ამ ღილაკს, აკრებ 22-ს და მიიღებ სასიამოვნო 22 გრადუსიან ტემპერატურას. გარდა ამისა, მანქანას აქვს გამათბობელიც.

გარეთ ძლიერი სიცივე რომ იყოს, დააჭერ ღილაკს, აკრებ 23-ს და მიიღებ მყუდრო 23 გრადუსიან სითბოს, გარეთ მინუს 4 გრადუსიც რომ იყოს. მანქანას ასევე აქვს XM სატელიტური რადიო. იცით ეს რას ნიშნავს? შეგიძლიათ მსოფლიოში არ-სებული ყველა რადიო სიხშირე დაიჭიროთ თქვენს მანქანაში. შეგიძლიათ პირდაპირ BBC-ს მოუსმინოთ – ბელადი აღფრ-თოვანებულია.

– მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ამ „ლენდ როვერში“ DVD პლეიერიც გვაქვს.

ჩვენ ვიღებთ დისკს, ვდებთ ფლეიერში, ვაჭერთ ფლეის და ბელადი გაოცებული უყურებს ეკრანს.

– ამ „ლენდ როვერს“ CD ფლეიერიც აქვს.

ჩვენ აქ ვდებთ დისკს და ისმის საგალობელი. ბელადი და-მუნჯებულია თაყვანისცემის საოცარი ჰანგებით.

ამის შემდეგ გადმოვდივართ მანქანიდან და ბელადი გვე-კითხება: „როგორ გადაგიხადოთ მადლობა ამ დიდებული საჩუქრისთვის?“.

– ჩვენ არაფერი გვინდა – ვარწმუნებთ მას – თქვენ ამის ყიდვას ვერასოდეს შესძლებდით. ეს ჩვენი საჩუქარია თქვენთ-ვის და თქვენი ტომისთვის. ჩვენ გვიყვარხართ!

ბელადი და მისი ტომის წარმომადგენლები ძალიან მადლო-ბლები არიან. ჩვენ ვრბუნდებით ჩვენს ქვეყანაში და რამდენიმე თვის შემდეგ ვიგებთ, რომ ისინი კვლავ ფეხით დადიან წყლის მოსატანად, მეზობელ სოფელში ნივთების საყიდლად და ნანა-დირევიც ფეხით მოაქვთ ბანაკში. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ამ მანქანის მთავარ დანიშნულე-ბას ტრანსპორტირება წარმოადგენდა. მთავარი ფუნქციის გარდა ბელადს ყველაფრის შესახებ ვესაუბრეთ. დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ მანქანით ყველგან წავიდოდნენ, სადაც მოი-სურვებდნენ და ტვირთსაც მოიტანდნენ. მეტად აღარ მოუწევ-დათ ფეხით სიარული და მძიმე ტვირთის ზურგით ზიდვა.

ზუსტად ასე ცხოვრობს ბევრი ქრისტიანი. ეკლესიის მწყ-ემსებს და მსახურებს ავიწყდებათ დასავლეთის ქრისტიანებს უამბონ იმის შესახებ, რომ ღვთის მადლის მთავარი ფუნქცი-ური განსაზღვრებაა ღმერთის ძალა.

## მთავარი ფუნქციონალური განსაზღვრება

თქვენ შეგიძლიათ ჩამეკითხოთ: „მადლის მთავარი ფუნქციონალური განსაზღვრება ლერთის ძალაა? ასეთ განაცხადს როგორ აკეთებ?“.

ამასწინაათ, როცა ვლოცულობდი, ვიგრძენი ლერთი გამომწვევ კითხვას მისვამდა: „შვილო, რას ვამბობ მადლის შესახებ ჩემს წიგნში, ახალ აღთქმაში?“. გამომდინარე იქიდან, რომ თორმეტზე მეტი წიგნის ავტორი ვარ, ეს კითხვა მართლაც მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. როდესაც წიგნში ახალ ტერმინს ვიყენებ, რომელიც მორწმუნეთა დიდი ნაწილისთვის უცხოა, დასაწყისშივე ვთავაზობ მყითხველს მის უმთავრეს განსაზღვრებას. მოგვიანებით წიგნში მეორეხარისხოვანი განმარტებებიც შემაქვს, მაგრამ მთავარია ძირითადი მნიშვნელობა თავიდანვე იყოს მოცემული.

მაგალითად, თუკი ბელადს წერილს მივწერდი „ლენდ როვერით“ სარგებლობის შესახებ, პირველივე ნაწილში ვეტყოდი შემდეგს:

„ბელადო, ჩვენ გვინდა ახალი „ლენდ როვერი“ გაჩუქოთ. მისი უმთავრესი ფუნქცია ტრანსპორტირებაა. ამის შემდეგ შენს ხალხს აღარ დასჭირდება სასმელი წყლით სავსე ჭურჭლის ზურგით ზიდვა. თქვენი ტომის რომელიმე წარმომადგენელს შეუძლია მანქანით წავიდეს და მოიტანოს წყალი. არც ნანადირევის ზურგით თრევა იქნება საჭირო, შენი ტომის რომელიმე წარმომადგენელს შეუძლია წავიდეს ნადირობის ადგილას და მანქანით წამოიღოს ნადავლი. მეტიც, შენს ხალხს აღარ დასჭირდება უახლოეს მეზობელ სოფელში მისასვლელად 50 კილომეტრის ფეხით გავლა; ამას მანქანით გაცილებით მოკლე დროში გააკეთებენ“.

მნიშვნელოვანია „ლენდ როვერის“ უმთავრესი დანიშნულების შესახებ დასაწყისშივე დაინტეროს, რადგან ბელადს და მის ხალხს უნინ არასოდეს უნახავთ მანქანა.

წერილის მეორე ნაწილში უკვე კონდიციონერისა და გამათბობლის შესახებ დაველაპარაკებოდი. მესამე ნაწილში XM სატელიტურ რადიომაუწყებლობაზე, მეოთხე ნაწილში კი DVD და CD ფუნქციებს და გამოყენების წესებს გავაცნობდი.

დასკვნით ნაწილში კი ვეტყოფი, რომ ეს მანქანა საჩუქარია. მაგრამ მანქანის უპირველეს დანიშნულებაზე, წერილის პირველივე ნაწილში ვიღაპარაკებდი.

მაშ ასე, დავფიქრდეთ ყოველივე ზემოთქმულზე და თან უფლის მიერ ჩემთვის დასმულ კითხვას დავუბრუნდეთ: „შვილო, რას ვამბობ მადლის შესახებ ჩემს წიგნში, ახალ აღთქმაში?“.

მე ვუპასუხე: „არ ვიცი“. მივედი ჩემს კომპიუტერთან, გავხსენი ბიბლიის ლექსიკონი და მოვძებნე პირველი ადგილი ახალ აღთქმაში, სადაც ლაპარაკია მადლის მნიშვნელობის შესახებ. ეს იყო იოანეს სახარება(1:16;): „მისი [იესოს] სისავსიდან მივიღეთ ყველამ მადლი მადლისა წილ“.

დაუკვირდით იოანეს სტყვებს: „მადლი მადლისა წილ“. მე მყავს ბერძენი მეგობარი, რომელიც ათენში ცხოვრობს და მსახურობს. მან კარგად შეისწავლა ძველი ბერძნული ენა. ყოველთვის მას მივმართავ ხოლმე, როცა რაიმეს გარკვევა მჭირდება. ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ ამ მუხლში იოანე სინამდვილეში ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ღმერთმა „მადლის მდიდრული სიუხვე“ გვიბოძა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოციქული გვეუბნება, რომ სიუხვე იმისა, რასაც მადლი აკეთებს, იესო ქრისტეს სისავსეს გვაძლევს! გსმენიათ ასეთი რამ? თვით იესო ქრისტეს სისავსე! ეს უნარზე და ძალაზე მიუთითებს.

მინდა დავრწმუნდე, რომ კარგად გაიგე რაც აქ ითქვა. წარმოიდგინე, რომ მე მივედი საშუალო დონის ჩოგბურთელთან. იგი არ თამაშობს ჩემპიონთა ლიგაში, ადგილობრივ კლუბში „ჩ“ დონის მოთამაშეა. მე ვეუბნები მას: „თანამედროვე მეცნიერული საშუალებების დახმარებით, ჩვენ შევგიძლია გადმოგცეთ როჯერ ფედერერის შესაძლებლობები მთელი სისრულით“ (თუ ჩოგბურთის დიდი მოყვარული არ ხარ, მინდა გითხრა, რომ ფედერერი ერთ-ერთი გამოჩენილი სპორტსმენია სპორტის ისტორიაში). შენი აზრით, რას მიპასუხებდა ის ჩოგბურთელი? იგი მეტყოდა: „რა თქმა უნდა! მზად ვარ მივიღო მთელი მისი სისავსე! რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის?“. და თუ ის მიიღებდა ფედერერის შესაძლებლობებს სრული სისავსით, რა მოხდებოდა? თავად მიხვდი: გაიმარჯვებდა ადგილობრივი კლუბის ჩემპიონატზე, შემდეგ აშშ-ს თასის ჩემპიონატს მოიგებდა და ბოლოს უიმბლდონის ტურნირზეც გაიმარჯვებდა.

წარმოიდგინეთ, რომ მივდივარ სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტთან

და ვეუბნები: „თანამედროვე მეცნიერული საშუალებების დახმარებით, ჩვენ შეგვიძლია გადმოგცეთ ფრანკ ლოიდ რაითის შესაძლებლობები მთელი სისრულით“. როგორ ფიქრობ, რა იქნებოდა ამ სტუდენტის პასუხი? იგი აღტაცებით შესძახებდა: „რა მაგარია, ახლავე მინდა!“. რას მოიმოქმედებდა სტუდენტი ამ უნარის მიღების შემთხვევაში? იგი მიატოვებდა სკოლას და არაჩვეულებრივ კარიერას გაიკეთებდა.

აი, კიდევ ერთი მაგალითი. წარმოიდგინე, მივდივართ ბიზნესმენთან, რომელიც რთულ მდგომარეობაში იმყოფება და ვეუბნებით: „თანამედროვე მეცნიერული საშუალებების დახმარებით, ჩვენ შეგვიძლია გადმოგცეთ ბილ გეითსის შესაძლებლობები მთელი სისრულით“. რა რეაქცია ექნებოდა მას ჩვენს სიტყვებზე? იგი წამოიყვირებდა: „მინდა! გააკეთეთ ეს!“. რას მოიმოქმედებდა ბიზნესმენი ამ უნარის მიღების შემდეგ? იგი დაიწყებდა ფიქრს ახალი პროდუქციის შექმნაზე და ისეთ ინვესტირებას განახორციელებდა, რომელზეც უნინ ვერც კი იოცნებებდა.

მადლს არ მოუცია ჩვენთვის როჯერ ფედერერის, ფრანკ ლოიდ რაითის და ბილ გეითსის სისავსე. ეს საკმაოდ მცირე მოცულობის მადლი იქნებოდა. არა, ღმერთის მადლმა თვით იესო ქრისტეს სრული სისავსე მოგვანიჭა! აცნობიერებთ ამას? ეს არის უნარი! ეს არის ძალა!

მაშ ასე, ღმერთი ახალ აღთქმაში მადლის შესახებ ლაპარაკობს არა როგორც უფასო საჩუქარზე, თუმცა მადლობელი ვარ მისი, რომ ეს მართლაც უსასყიდლო საჩუქარია; არ ლაპარაკობს, როგორც ჩვენი ცოდვების გამომსყიდველ ძალაზე, თუმცა უსაზღვროდ მადლობელი ვარ, რომ მისი მადლით ცოდვები გვეპატია. არა, იგი მადლს წარმოგვიდგენს, როგორც ძალას, რომელიც იესო ქრისტეს სრულ სისავსეს გვაძლევს.

როგორც წინა თავში უკვე აღვნიშნეთ, პეტრე წერს, რომ მადლის მეშვეობით „ღვთიური ბუნების ზიარნი გავხდით“

(2პეტ.1:2-4;). სიტყვა „ბუნება“ პიროვნების უმთავრეს მახასიათებლებზე მიუთითებს. ამიტომაც ღმერთის მადლი უსასყიდლოდ გვაძლევს თავად ქრისტეს უმნიშვნელოვანესი თვისებების და მახასიათებლების სისავსეს! სწორედ

ამიტომ წერს იოანე: „როგორც ის არის, ასევე ვართ ჩვენ ამ წუთისოფელში“ (1იოან. 4:17;). სწოდები ამ სიტყვების არსს?

ღმერთის მადლმა თვით  
იესო ქრისტეს სრული  
სისავსე მოგვანიჭა!



ეს ხაზს უსვამს იმას, თუ რა ძალას და პოტენციალს ვფლობთ იმისათვის, რომ ვიმეფოთ ამ ცხოვრებაში! ღმერთის მადლმა შეგვქმნა ხელახლა ქრისტეს მსგავსებად; მოგვცა ძალა ისე ვიცხოვროთ, როგორც ქრისტე ცხოვრობდა. ჩვენ ქრისტე-ში ვართ. ჩვენ მისი სხეული ვართ. ჩვენ ვართ ქრისტე დედა-მინაზე. ჩვენ ვართ ქრისტიანები. სწორედ ამიტომ წერს იოანე ასე გაბედულად: „ვინც ამბობს, რომ მასში რჩება, ისევე უნდა მოიქცეს, როგორც ის იქცეოდა“ (1 იოან. 2:6;).

დაე, ეს სიტყვები ღრმად ჩაიმარხოს შენს გულში: ჩვენ ისე უნდა ვიცხოვროთ, როგორც იესო ქრისტე ცხოვრობდა დედამინაზე. ეს ბიბლიური შემოთავაზება არ არის, ეს ბიბლი-ური მცნებაა!

## როგორ ცხოვრობდა იესო

ვინც ამბობს, რომ მასში რჩება, ისევე უნდა მოიქცეს,  
როგორც ის იქცეოდა  
1 ოთანეს 2:6;

**О**უ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ და მოვიქცეთ იესოს მს-  
გავსად, მნიშვნელოვანია საკუთარ თავს ვკითხოთ:  
„როგორ იქცეოდა იესო?“.

ჯერ ერთი, ის ცხოვრობდა საოცარი ღვთისმოსაობითა და  
სიწმინდით. ქვეყნიერების ვნებები ვერ მეფობდნენ მასზე; ის  
მართავდა არაბუნებრივ და უბინო სურვილებს. მსგავსი მიდ-  
გომით პავლე მოციქული გვაუწყებს ღვთის მსახურების მისა-  
ღებ გზას:

„განვიწმინდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი ბიწისაგან,  
ღვთისმოსაობით აღვასრულოთ სიწმიდე“ (2კორ.7:1;)

წარმოდგენილ მუხლში ვკითხულობთ: „განვიწმინდოთ“. ყუ-  
რადღება მიაქციეთ, აქ არ წერია: „ღმერთი განგწმენდს“. ახ-  
ლავე განვმარტავ თუ რისი თქმა მინდა ამით. ქრისტეს სისხლი  
გვწმენდს ყველა ცოდვისგან მყისიერად – მას გააჩნია გამომ-  
სყიდველი ძალა. თუმცა მოციქული აქ ლაპარაკობს განწმენ-  
დის შესახებ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ცხოვრე-  
ბის გაგრძელება იმით, რაც უკვე უსასყიდლოდ აღსრულდა  
ჩვენთვის. საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ისე უნდა  
ვცხოვრობდეთ და ისე უნდა ვიქცეოდეთ, როგორც მორწმუ-  
ნებს შეეფერებათ. პავლე ლაპარაკობს გარეგნულ ცვლილე-  
ბაზე, რომელიც ჩვენი გამოსყიდვის შედეგად უნდა მოხდეს.

მოცემულ მუხლში მიაქციეთ ყურადღება სიტყვას „ყოველ-  
გვარი?“ ჩვენ უნდა განვიწმინდოთ არა მხოლოდ რაღაცების-  
გან ანდა მეტნილად იმ ყველაფრისგან, რაც ჩვენს სხეულს და  
სულს აპინძურებს, არამედ ყველაფრისგან – „ყოველგვარი  
ბიწისაგან“. ჩვენ უნდა განვიწმინდოთ, რათა ვიყოთ სრულად  
წმიდები. ამას ადასტურებს პეტრეც, როცა წერს, „...თვი-  
თონაც იყავით წმიდები ყოველ საქციელში, როგორც წმიდაა

იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ“ (1პეტ.1:15;). თუკი ამ სიტყვებს მთელი გულისურით მოვეეკიდებით და არ ჩავახშობთ (როგორც ზოგიერთები აკეთებენ და ასწავლიან), მაშინ ღმერთი-სადმი მსახურების მისალები გზა არის ისეთივე ღვთისმოსავი ცხოვრება, როგორიც იესოს ჰქონდა. როგორ უნდა შევასრულოთ ეს? ღმერთის მადლის მეშვეობით.

ნარმოგიდგენთ ილუსტრაციას. მე გახლდით სრული ცოდვილი, როცა სკოლაში ვსწავლობდი, განსაკუთრებით მაღალკლასებში. რას ნიშნავს ეს? ჩემი ბუნება, მთელი ჩემი არსება მიდრეკილი იყო ცოდვისკენ, და მეც ვცოდავდი დაუფიქრებლად.

ერთხელ, როცა ჯერ კიდევ თინეიჯერი ვიყავი, მამამ მე და ჩემს უმცროს დას კინოში წასვლა შემოგვთავაზა, სადაც გადიოდა ფილმი „ათი მცნება“ ჩარლტონ ჰესტონის მონანილეობით. ჩვენი ქალაქი ძალიან პატარა იყო, რომლის მოსახლეობაც დაახლოებით სამი ათასს შეადგენდა. ჩვენი ქალაქის კინოთეატრში არასოდეს გასულა თხუთმეტი ფილმი ერთდროულად, მხოლოდ ერთი ფილმის წახვა იყო შესაძლებელი. იმ დროს არ იყო არც სათამაშო ავტომატები, არც დიდი ეკრანები, არაფერი იმის მსგავსი, რაც დღეს არსებობს თანამედროვე კინოთეატრებში. იყო მხოლოდ ძალიან უბრალო და პრიმიტიული ფერადი ეკრანი. ასე რომ, თუკი ვინმე შემომთავაზებდა კინოთეატრში წასვლას, სადაც დიდ ეკრანზე ფილმს ვუყურებდი და თანაც ბილეთში ფულს არ გადავიხდიდი, უყოფმანოდ ვთანხმდებოდი. ამიტომ მამის წინადადება სიამოვნებით მივიღე.

ვსხედვართ დარბაზში და ვუყურებთ ფილმს. უეცრად აჩვენებენ სცენას, სადაც მინა იხსნება და შთანთქავს დათანს და მის ბოროტ მეგობრებს, რომლებიც მოსეს წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ისინი მინამ ცოცხლად შთანთქა, პირდაპირ ჯოჯოხეთში. მე, როგორც დიდმა ცოდვილმა, დავინახე რა ეს სცენა მყისვე გიუივით დავიწყე მონანიება. გავიხსენე ყველა ჩემი ბოროტება და უწმიდური სურვილი, პატიებას ვთხოვდი ღმერთს და ვპირდებოდი, რომ აღარ დავუბრუნდებოდი ძველ ცხოვრებას. კინოთეატრიდან სრულიად სხვა ადამიანი გამოვედი! მაგრამ ეს მხოლოდ ერთი კვირა გაგრძელდა და შემდეგ კვლავ ჩემს ცოდვილ ცხოვრებას დავუბრუნდი. რატომ? იმიტომ, რომ მე განვიცადე მონანიება და არა მადლი.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა უკვე კოლეჯში ვსწავლობდი, ერთმა ჩემმა მეგობარმა ქემფუს ქრუსეიდის მიერ შედგენილი ოთხი სულიერი კანონის ბრომურა მაჩუქა. ამ კანონების

წაკითხვის შემდეგ, მე მივიღე იესო ქრისტე, როგორც უფალი და მხსნელი. იმ მომენტში გავხდი ღმერთის შვილი. მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავ განვაგრძობდი ისეთივე ცოდვილი ცხოვრებით ცხოვრებას, რომელიც ქრისტეს მიღებამდე მქონდა. ამის მიზეზი კი ბიბლიის უცოდინარობა იყო, რადგან არაფერი ვიცოდი იმ ძალის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ჩემთვის.

გავიდა რამდენიმე წელი. ერთხელაც წმინდა წერილის მუხლი, რომელიც ადრე ბევრჯერ წამიკითხავს, თითქოს ფურცლიდან ამოხტა: „ეცადეთ იქონიოთ ... სინმინდე, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს“ (ეპრ. 12:14;). ეს სიტყვები ურსავით მომხვდა თავში. „ერიჰა, მინდა ღმერთი ვიხილო, აქ კი წერია, რომ ეს რომ მოხდეს, წმინდა ცხოვრებით უნდა ვიცხოვრო!“ – ვფიქრობდი ჩემთვის. სამწუხაროდ, ესეც ვერ მოვახერხე: მეკანონე(რჯულში მყოფი) გავხდი. დავიწყე ჩემს გარშემო მყოფ ადამიანებზე შეტევა მეკანონე(რჯულში მყოფი) ადამიანისთვის დამახასიათებელი გამოხტომებით. მოვუწოდებდი ეცხოვრათ წმინდად, მაგრამ არ შემეძლო მათვის ის ძალა მიმეცა, რომლითაც ამას მოახერხებდნენ. უწინდებურად მეგონა, რომ წმინდა ცხოვრება ადამიანის ნებისყოფაზე და უნარზე იყო დამოკიდებული და არა ღმერთის ძალაზე. კარგად გამომდიოდა ჩემი ცოლის და მეგობრების არაკომფორტულ მდგომარეობაში ჩაყენება და ყველა იმ ადამიანის, ვინც ჩემს სიახლოვეს იმყოფებოდა.

ერთხელ, ლოცვისას უფალი დამელაპარაკა: „შვილო, სინმინდე ხორცის საქმე არ არის; ამას ჩემი მადლი იძლევა“. აი, რაში იყო თურმე საქმე! სწორედ ეს არ გამაჩნდა. მივხვდი, რომ მადლი – ესაა ღმერთის თანდასწრება, რომელიც მაძლევს ძალას და უნარს შევასრულო ის, რის გაკეთებასაც ვერასოდეს შევძლებ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით: განმენდას იმ ყველაფრისებან, რაც სხეულს და სულს აუნმიდურებს, და ასევე სრულყოფილ სინმინდეს. აი, ეს არის ღმერთისადმი მსახურების მისაღები გზა. სწორედ ამიტომ აგრძელებს ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი:

„ვიქონიოთ მადლი, რომლითაც სათნოდ ვემსახურებით ღმერთს“ (ეპრ. 12:28;)

მადლი გვაძლევს ძალას, რათა ღმერთს ვემსახუროთ; გვაძლევს ძალას განვინმიდოთ ყველაფრისებან, რისგანაც საკუთარი ძალის მეშვეობით განმენდა შეუძლებელია.

ნაციონალური კვლევის შედეგების თანახმად, ამერიკელი ქრისტიანების 98% საკუთარი ძალებით ცდილობს იცხოვროს წმიდად! მხოლოდ 2%-მა იცის, რომ მადლი – ესაა ძალა, რაც ნიშნავს, რომ 98%-ს არ შეუძლია ამ ძალის მიღება, რადგან არ იციან რომ ის ხელმისაწვდომია. ჩვენ ღმერთისგან ვიღებთ რწმენით, მაგრამ შენ არ შეგიძლია გნამდეს ის, რაც არ იცი. როგორც პავლე ამბობს: „როგორ ირწმუნონ ვისზეც არ სმენიათ? (რომ.10:14;). სარგებელს მივიღებთ მხოლოდ იქიდან, როცა ვიცით, რომ ამ რაღაცას ვფლობთ.

დავუბრუდეთ აფრიკული ტომის მაგალითს. თუკი მათ არ ეცოდინებათ, რომ ლენდ როვერის მთავარი ფუნქცია ტრანსპორტირებაა, ისინი ვერ გამოიყენებენ მას სათანადოდ. ჩაჯდებიან მანქანაში, ისიამოვნებენ კონდიციონერით, გამატბობლით, DVD და CD პლეიერით, რადიოთი, მაგრამ მანქანის ტარება აზრადაც არ მოუვათ.

ერთხელ ძალიან კარგი ფოტოაპარატი შევიძინე. ამოვიღე ყუთიდან, შემოვხსენი შესაფუთი ქალალდი და დავიწყე მისი გამოყენება ისე, როგორც ქველ ფოტოაპარატს ვიყენებდი: ჩვეულებრივ ფოკუსში მოვახვედრებდი იმას, რისი ან ვისი გადაღებაც მინდოდა და მორჩა. ვფიქრობ, ყველა ასე იქცევა ახალი ფოტოაპარატის შეძენის დროს.

რამდენიმე წლის შემდეგ, ერთხელაც დამაფიქრა იმ ფაქტმა, თუ რატომ გამოსდიოდა ჩემს მეგობარს ძალიან კარგი კადრები და მე არა. მე მას ვკითხე ამის შესახებ და მიზეზიც გავიგე. აღმოვაჩინე, რომ ჩემი ფოტოაპარატი ყველა იმ შესაძლებლობას ფლობდა, რასაც მისი ფოტოაპარატი. გავეცანი ფოტოაპარატის გამოყენების ინსტრუქციას და მისი ყველა ფუნქცია შევისწავლე. მალე გაცილებით უკეთესი ფოტოების გადაღება შევძელი! ადრე არ ვიცოდი ყველა მისი უპირატესობის შესახებ და ამიტომ ვერ ვტკბებოდი იმით, რასაც ვფლობდი.

იგივე შეიძლება ითქვას ქრისტიანების 98 პროცენტზეც. ამ ადამიანებმა არ გამოიყენეს ცხოვრების სახელმძღვანელო, ბიბლია, რათა გაეგოთ რა მადლი მოგვენიჭა. ისინი მხოლოდ ბაძავენ უმრავლესობის მაგალითს – მათ ქმედებებს და სწავლებებს. მათ არ იციან რა პოტენციალს ფლობენ და ამიტომაც ზღუდავენ საკუთარ თავს.

რა მოხდება მაშინ, თუკი საკუთარი ძალით შევეცდებით განწმენდას? ორიდან ერთი რამ: ჩვენ ან თვალთმაქცი მეკანონეები (რჯულში მყოფი ადამიანები) ვხდებით (გარეგნულად, საუბარში მკაცრები ვართ, ხოლო შიგნით, სხვებისთვის დაფარულში

სრულიად სხვაგვარად ვცხოვრობთ), ან ვაგრძელებთ მოდუნებული ცხოვრების სტილს, მყარად გვჯერა, რომ „მადლი ყველა იმ ცოდვას ფარავს, რომლის ჩადენასაც განვაგრძობთ“. ამგვარად, „იქსოს მსგავსად ცხოვრება“ ჩვენთვის იქნება კარგი მიზანი, თუმცა მიუღწეველი.

ასეთი აზროვნებიდან გამომდინარე, ზოგიერთმა მორწმუნებ და მასწავლებელმა შეთხბა გიუური დოქტრინა: „გამოსყიდვით, რომელიც იქსო ქრისტემ განახორციელა, ღმერთის შვილები ვხდებით, მაგრამ ჯერ ისევ ცოდვილები ვართ, ჯერ ისევ საკუთარ ადამიანურ ბუნებას ვართ მიჯაჭვულები“. ჩვენ არასწორად ვფიქრობთ, რომ ისევე უნდა ვიცხოვროთ, როგორც დანარჩენი კაცობრიობა, რადგან ადამიანურობა ჩვენი ნაწილია, და ამით ვამართლებთ ჩვენს უღვთო და ბიწიერ გულისთქმებს. ამას ცრუ მშვიდობამდე მიყყავართ.

მაგრამ ეს სულაც არ არის ის, რასაც ახალი ალთქმა იუნიყება. კეთილი უნყება მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ იქსომ ცოდვის საფასური გადაიხადა, არამედ იმაშიც, რომ მან ცოდვის ძალისგან გაგვათავისუფლა ამისთვისაც საფასური გადაიხადა. ეს ნათლად ჩანს პავლეს სიტყვებში: „ვინაიდან ცოდვა ვეღარ იბატონებს თქვენზე, რადგან თქვენ რჯულის ქვეშ კი არა, მადლის ქვეშ ხართ“ (რომ. 6:14;). კანონი მხოლოდ აფერხებს ადამიანებს. მადლი კი იძლევა ძალას, რომელიც გვათავისუფლებს იმისგან, რისგანაც თავის დაღწევა საკუთარი შესაძლებლობებით ვერ მოვახერხეთ – ცოდვისგან. ამიტომ შეაგონებდა პავლე მოციქული კორინთოს ქრისტიანებს: „და ჩვენ როგორც თანამშრომელნი, შეგაგონებთ, რომ ფუჭად არ მიიღოთ ღვთის მადლი“ (2 კორ. 6:1;).

პავლე არ საუბრობს იმ მადლის გაფლანგვაზე, რომლის შესახებაც ბევრ დასავლურ ეკლესიაში ისწავლება. ასეთ მადლზე შემდეგნაირად შეიძლება ითქვას: „ვიცი, რომ ისე არ ვცხოვრობ, როგორც უნდა ვცხოვრობდე, მაგრამ ყველაფერი კარგადაა, რადგან დახსნილი ვარ და ღმერთის მადლი მიცავს“. სხვაგან უფრო მეტსაც ამბობენ ან ფიქრობენ: „შემიძლია ის გავაკეთო, რაც მსურს, რადგან ჩემი გადარჩენა საქმეებზე არაა დამოკიდებული, არამედ იმაზე, რაც ქრისტემ მოიმოქმედა ჩემთვის. მადლით ვარ დაფარული“. აქედან გამომდინარე არ არსებობს ღვთისმოსავი ცხოვრების აუცილებლობა. შეგვიძლია გავფლანგოთ (ფუჭად გამოვიყენოთ) ეს მადლი? სინამდვილე არის ის, რომ არ შეგვიძლია. ეს არის გულის ამრევი არასწორი განმარტება იმ დანიშნულებისა და ძალისა, რომელიც ღმერთის მადლს გააჩნია.

თუმცა, როდესაც ჩვენ მივხვდებით, რომ მადლი – ესაა ღმერთის ძალის თანდასწრება, რომელიც გვაძლევს უნარს გავაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც საკუთარი შესაძლებლობებით არ შეგვეძლო – განწმენდა ყველაფერ იმისგან, რაც აუწმინდურებს სხეულსა და სულს – მაშინ შესაძლოა, მივხვდეთ რას ნიშნავს მადლის ფუჭად გამოყენება.

ვთქვათ, ათი წლის შემდეგ მოვინახულეთ ეს აფრიკული ტომი. ვმოგზაურობთ იმ ადგილებში, სადაც ჩავიყვანეთ ლენდ როვერი, და რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, მანქანა ისევ იმ ადგილას დგას. იგი დაფარულია მტვრით, ტალახით და მის გარშემო ბალახია ამოსული. ძლივს გამოვალეთ კარები და შემონმებისას აღმოვაჩინეთ, რომ გარბენი იგივეა, რაც ჩამოყვანისას, ათი წლის უკან. განა არ ვიტყვით: „რა ფუჭი აღმოჩნდა ჩვენი საჩუქარი!“.

შესაძლოა, ამ ტომის წარმომადგენლებმა სიმღერები მიუძღვნეს ლენდროვერს ან ერთმანეთს უყვებოდნენ ამ დიდებული საჩუქრის შესახებ, თუ როგორ მიიღეს მათ ეს მანქანა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, მათ არ ისარგებლეს მანქანით. ჩვენი საჩუქარი ფუჭი აღმოჩნდა.

დაახლოებით ამას ამბობს პავლეც, მას არ უნდა, რომ ხელიდან გავუვვათ ის უწინარესი კურთხევა და სარგებელი, რომელიც ღმერთის ბრნყინვალე მადლს გააჩნია:

„და ჩვენ, როგორც თანამშრომელნი, შეგაგონებთ, რომ ფუჭად არ მიიღოთ ლვთის მადლი... ამიტომ მოდით განვიწმიდოთ ხერცისა და სულის ყოველგვარი ბიწისგან, ლვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე“ (2 კორ. 6:1; 7:1;)

ამაზე უფრო გასაგებად განა შეიძლება ითქვას? მაშინ, ჩნდება კითხვა: რატომ არ ასწავლიან ამ საკითხის შესახებ ჩვენს ეკლესიებში?

## იესომ დააკმაყოფილა კაცობრიობის საჭიროებები

წინა თავებში წავიკითხეთ ბიბლიური ბრძანება: „ვინც ამბობს, რომ მასში ცხოვრობს, მაშინ ისე უნდა იქცეოდეს, როგორც იესო“ (1იოან. 2:6;).

ყურადღება მიაქციეთ სიტყვას „უნდა“. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს მუხლი არ არის შეთავაზება, არამედ ბრძანებაა. ღმერთი ჩვენგან ელის იმას, რომ იესოს მსგავსად ვივლით და

ვიცხოვრებთ. მოდით, დავფიქრდეთ, როგორ ცხოვრობდა იესო დედამიწაზე?

სახარებებში ნათლად ვხედავთ, რომ იესო აკმაყოფილებდა ადამიანთა საჭიროებებს. კურნავდა ავადმყოფებს, წმენდდა კეთროვნებს, ათავისუფლებდა ადამიანებს ბორკილებიდან, ბრმებს თვალებს უხელდა, ყრუებს სმენას აძლევდა, მუზჯს მეტყველების უნარს უბრუნებდა, დავრდომილს ფეხზე აყენებდა, საკვებს ამრავლებდა მშიერთა გამოსაკვებად და მკვდრებსაც კი აცოცხლებდა. მან დაგვავალა: „როგორც მე მომავლინა მამამ, მეც მიგავლენთ თქვენ“ (იოანე 20:21;).

შენი აზრით, როგორ უნდა შევასრულოთ მისი დავალება? ღმერთის მადლის მეშვეობით, რომელიც უსასყიდლო საჩუქარია! ბიბლია ადრეული ეკლესიის შესახებ წერს: „დიდი ძალით მოწმობდნენ მოციქულები უფალ იესოს აღდგომას და დიდი მადლი იყო ყოველ მათგანზე“ (საქ. 4:33;).

რატომ უკავშირებს ღმერთი დიდ ძალას დიდ მადლთან? იმიტომ, რომ მადლი ღმერთის ძალაა!

შესაძლოა, ფიქრობ: „ჯონ იცი, აქ ლაპარაკია მოციქულების შესახებ, მე კი არც მოციქული ვარ და არც ხუცესი“. მაშინ „რიგითი“ ადამიანის შესახებ გეტყვი. იერუსალიმში ეკლესიას ჰქონდა კაფე და ერთი ახალგაზრდა კაცი, სახელად სტეფანე ეხმარებოდა მორწმუნებს საქმეში. ის არც მოციქული იყო, არც წინასწარმეტყველი, არც მახარებელი, არც პასტორი და არც მასწავლებელი. ის უფროს ქალებს ემსახურებოდა. ბიბლია კი ამბობს: „სტეფანე კი მადლით და ძალით აღსავსე დიდ სასწაულებსა და ნიშნებს ახდენდა ხალხში“ (საქ. 6:8;).

თუკი ის არც მოციქული იყო და არც ხუცესი, მაშ როგორ ახდენდა ასეთ რამეებს? ღმერთის მადლის ძალის მეშვეობით! ის იმას აკეთებდა, რასაც ქრისტე, აკმაყოფილებდა ადამიანთა საჭიროებებს ღმერთის უსასყიდლო მადლის ძალის მეშვეობით.

ეს უსასყიდლო მადლი ყველა მორწმუნისათვის ხელმისაწვდომია. ის შენი და ჩემია. ამ მიზეზით მოგვცა იესომ მცნება: „წავიდეთ და ყველა ადამიანს ვუქადაგოთ სახარება... მორწმუნებს სასწაულების მოხდენის ძალა მიეცემათ... ავადმყოფთ ხელებს დაასხამენ და ისინი განიკურნებიან“ (მარ. 16:15, 17-18;). იესოს არ უთქვამს, რომ „მხოლოდ მოციქულებს მიეცემათ ძალა სასწაულების მოსახდენად“ და მას არ უთქვამს „მხოლოდ მოციქულებზე გადმოვა მადლი ღვთის შვილებად გახდომისა“. არა, ღვთის სიტყვა ნათლად ამბობს: „ხოლო ვინც მიიღო

იგი და ირწმუნა მისი სახელი, მისცა მათ ხელმწიფება ღვთის შეიღებად გახდომისა“ (იოან. 1:12;). ჩვენ პრობლემა არ გვაქვს ვირწმუნოთ ეს სიტყვები, ხომ ასეა? იგივე ბიბლია გვეუბნება: „მორწმუნებს [არა მხოლოდ მოციქულებს] მიეცემათ ძალა [მადლის უსასყიდლო საჩუქარი] სასახლების მოსახდენად“, რათა ჩვენც ვიცხოვროთ იესოს მსგავსად. ღმერთის ძალით, შეგვიძლია ვიპატონოთ ავადმყოფობებზე, უძლურებებზე და იმ სირთულეებზე, რომლებსაც ცხოვრებაში შევხვდებით.

### სიბრძნე, გონიერება, წვდომა, გამჭრიახობა, შემოქმედებითობა

როგორ ცხოვრობდა იესო? ის დადიოდა საოცარი სიბრძნით, გონიერებით, წვდომით, გამჭრიახობით და შემოქმედებითად. მისი სიბრძნე ყველაზე განათლებულ ადამიანებსაც კი აოცებდა. საიდან ქონდა მას ეს სიბრძნე?

„ხოლო ყრმა იზრდებოდა, მტკიცდებოდა სულით და ივსებოდა სიბრძნით და ღვთის მადლი იყო მასზე“ (ლუკ. 2:40;).

მადლით ჰქონდა იესოს ზებუნებრივი სიბრძნე. ეს კი ერთ კარგ შეკითხვას წარმოშობს. თუკი (როგორც ბევრ ქრისტიანს აქვს ნასწავლი) ღმერთის მადლი მხოლოდ ცოდვათა მისატევებლად და ზეცაში შესასვლელად მოგვეცა, მაშინ იესოს რაღატომ ჭირდებოდა იგი? მას ცოდვა არ ჩაუდენია, ასე რომ პატივების საჭიროებაც არასოდეს ჰქონდა. ჩვენ ვიცით, რომ იესო ღმერთის ძეა, ის იშვა და ცხოვრობდა დედამიწაზე, როგორც კაცი. იყო რა ღმერთი, მან შემოიძარცვა ყველა ზეციური უპირატესობა (იხ. ფილ. 2:7;). ამიტომ მას მადლისმიერი ძალა სჭირდებოდა, რათა ევლო სიბრძნეში, წვდომაში, გამჭრიახობაში და შემოქმედებითობაში, რაც მისი ბუნების ნაწილი იყო.

მე მიყვარს მისი ხასიათის შემოქმედებითობა, როცა იგი მოქმედებდა სიბრძნით; მიყვარს მისი გამჭრიახობა და კეთილგონივრულობა. ამ ყველაფერმა ერთი ქალი სიკვდილისაგან იხსნა. იოანეს სახარების მე-8 თავში კვითხულობთ, თუ როგორ წაასწრეს ფარისევლებმა ამ ქალს მრუშობაზე. იგი ტაძრის ბალისკენ წაათრიეს და შემდეგ იესოს ფეხებთან დააგდეს (ისე, მაინტერესებს რატომ არ გაუკეთეს იგივე იმ კაცს, რომელმაც

ამ ქალთან იმრუშა). უთხრეს იესოს: „მოსემ გვიბრძანა, რომ ასეთი ქალი უნდა ჩაიქოლოს და მოკვდეს. შენ რას იტყვი?“.

ასეთ სიტუაციაში საჭიროა სიბრძნე. იესო შეჩერდა და მიწაზე დაიწყო რაღაცის წერა (ჩემი აზრით, ის ამ რელიგიური ადამიანების საიდუმლო საყვარლების სახელებს წერდა. შესაძლოა ამ სახელებში იყო, ანა, რაჟელი, იზაბელი.). არ ეშვებოდნენ რა ფარისევლები, იესომ შეწყვიტა წერა, შეხედა მათ და უთხრა: „კარგით ბიჭებო, რომელიც თქვენს მორის უცოდველია, პირველმა იმან ესროლოს ქვა“. შემდეგ მან კვლავ განაგრძო ქვიშაზე წერა.

მომწონს, როდესაც წარმოვიდგენ ამ ფარისეველ რელიგიურ წინამძღოლებს, როცა დაინახავდნენ თავიანთი საყვარლების სახელებს. ამ მიზეზით თუ სხვა მიზეზის გამო, იესომ უხერხულ სიტუაციაში ჩააყენა ისინი და მხილებულებმა დაყარეს ქვები და იმ ადგილს გაეცალნენ. ბიბლია გვეუბნება: „როცა მათ ეს მოისმინეს, უხუცესებიდან მოყოლებული სათითაოდ გაიკრიბნენ“ (იოან. 8:9;). და იესო მარტო დარჩა ამ ქალთან.

იესო წამოდგა და ქალს ჰკითხა: „სად არიან შენი ბრალმდებელნი. არავინ დაგდო მსჯავრი?“. ქალმა უპასუხა: „არავინ უფალო“. პასუხის მოსმენის შემდეგ იესო ამბობს: „არც მე გდებ მსჯავრს. წადი და ამიერიდან ნულარ შესცოდავ“ (მუხ. 10-11;).

იესოს სიბრძნემ და შემოქმედებითობამ სასიკვდილოდ განწირული ქალის სიცოცხლე იხსნა. ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ იესომ მსჯავრი არ დასდო მას. ის ერთადერთი იყო, რომელსაც არ ჰქონდა ცოდვა. იმ მომენტში წყალობამ დაილაპარაკა მის გულში. მან არ დასდო მსჯავრი, რომელსაც ქალი იმსახურებდა რჯულის თანახმად, თუმცა უთხრა: „წადი და ალარ შესცოდო“. ახლა დაილაპარაკა მადლმა, რამეთუ მადლი გვაძლევს იმას, რასაც არ ვიმსახურებთ, იმ დროს, როცა წყალობა არ გვაძლევს იმას, რასაც ვიმსახურებთ. წყალობამ მსჯავრი არ დასდო მას, ღმერთის მადლმა კი მისცა ძალა, რომ თავი დაეღწია მრუშობის მომაკვდინებელი მახისთვის.

ღმერთის მადლმა იესოს მიანიჭა სიბრძნე, რომლის მეშვეობითაც მან იხსნა ქალი ფარისეველთა მსჯავრდადებისგან; ასევე მისცა ძალა, რომ მრუშობის ტყვეობისგან დაეხსნა თავი. საოცარია, რა დიად ძალას მოიცავს მადლი!

კიდევ ერთი სიტუაცია, იესო გალილეის ზღვის ნაპირზე იმყოფება, სადაც პროფესიონალ მეთევზეთა კომპანიას პრობლემა შეექმნა – თავისი არსებობის მანძილზე მას ყველაზე

ცუდი პერიოდი დაუდგა. მთელი დღის განმავლობაში ერთი თევზიც კი ვერ დაიჭირეს. წარმოიდგინე ხარ დიდი მაღაზიის მფლობელი და მთელი დღის მანძილზე ერთი რამეც კი ვერ გაყიდე. ეს ყველაზე წარუმატებელი დღე იქნებოდა შენი ბიზნესისთვის. მაგრამ იესოს მიერ წათქამმა, შემოქმედებითი უნარის მქონე ბრძნულმა სიტყვამ, ეს დღე მათ კარიერაში ყველაზე წარმატებულ დღედ აქცია! იესო არ იყო მებადური; იგი გახლდათ დურგალი, მაგრამ მას გააჩნდა მადლი! რაოდენ დიდი სიბრძნე და ძალა!

სხვა სიტუაციებშიც იესო მადლისმიერი სიბრძნით მოქმედებდა, ამიტომაც იცოდა საიდან უნდა წამოეყვანათ სახედარი; როგორ გადაეხადა გადასახადები – მან პეტრეს უთხრა გადაეგდო ბადე და თევზის პირში იპოვიდა ზუსტი ოდენობის

მონეტას. ამ სიტუაციებში ნათლად ვლინდებოდა მადლი.

ნედომა, რომელიც იესოს საოცარია, რა დიად ძალას მოიცავს მადლი!

ნედომა, რომელიც იესოს გააჩნდა საოცარი იყო. მან იცოდა, როგორ და რომელი მოციქულის მხრიდან გაუწევდა ეშმაკი წინააღმდეგობას; იცოდა მანამ, სანამ იუდა ცდუნდებოდა;

და; ის, რომ ნათანაელი უბინო ადამიანი იყო, უფალმა იცოდა მანამ, სანამ მას შეხვდებოდა.

## შეცვალე საზოგადოება

ლმერთის მადლი იესოს ანიჭებდა უნარს შეეცვალა საზოგადოება, რომლის ნანილსაც თავად წარმოადგენდა. იგი კანაში, ქორნილში მივიდა. იმ დროს ქორნილი უბრალო მოვლენა როდი იყო, მის მომზადებაში მთელი სოფელი იღებდა მონაწილეობას. ეს კონკრეტული ქორნილი განსაზღვრულზე ადრე შეიძლება დამთავრებულიყო, რადგან ღვინო გამოელიათ. შეგიძლია წარმოიდგინო ის სირცხვილი, რომელიც ამ ოჯახს თან გაჰყვებოდა მომდევნო წლების მანძილზე? მაგრამ ერთი შეხება ღმერთის მადლთან, რომლის მატარებელიც იესო იყო, სირცხვილის არიდების და ქორნილის მხიარულად დასრულების მიზეზი გახდა.

მეორე მნიშვნელოვანი ისტორია მოხდა ქალაქ ნაინში. მთავრობას დახმარება უნდა გაეწია ქვრივისთვის, რომელსაც ეს-

ეს არის ერთადერთი ვაჟი გარდაეცვალა. მთელი დარჩენილი ცხოვრება სახელმწიფოს უნდა ეზრუნა ქვრივზე. იგი უნდა უზრუნველყოთ საკვებით, ტანსაცმლით და საცხოვრებლით, რაც გადასახადების გადამხდელთა მხრიდან უნდა დაფინანსებულიყო. მაგრამ ერთი შეხება იქსოში არსებულ ღმერთის მადლთან და სახელმწიფოს აღარ დასჭირდა ამ ქალისთვის ფინანსური დახმარების განევა. მისი ღირსება და პატივი აღდგენილ იქნა და მის შთამომავლობას გაგრძელების შანსი მიეცა (იხ. ლუკ. 7:11-15;).

სხვა ქალაქში იქსო ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფის მთავარს შეხვდა. აქ საუბარია ადამიანზე, რომელიც დღეს მაფიის ნათლიმამად ჩაითვლებოდა. ერთი შეხება იქსოში მყოფ ღმერთის მადლთან და ზაქემ დაიფიცა, რის შედეგადაც საზოგადოება გაცილებით უსაფრთხო გახდებოდა და ადგილი, სადაც ის მოლვანეობდა, საცხოვრებლად საუკეთესო იქნებოდა. მებაჟე მეტად აღარ გაამნარებდა ხალხს. გარდა ამისა, ზაქემ გადაწყვიტა: „ჩემი ქონების ნახევარს ღარიბებს დაუურიგებ“. მან პირობა დადო, რომ 400 პროცენტს დაუბრუნებდა თითოეულ იმ ადამიანს, რომელსაც ზედმეტი გამოართვა. ამგვარად, მან სტიმულის მიმცემი ზემოქმედება მოახდინა ამ დასახლების ეკონომიკის განვითარებაზე (იხ. ლუკ. 19:1-8;). ღმერთის მადლთან ერთმა შეხებამ ასეთი შედეგი გამოიწვია!

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც ეხება ერთ ახალგაზრდას, სულით დაავადებულ ადამიანს, რომელიც მიატოვეს და მარტოობაში იტანჯებოდა. იმ დროში მთავრობას არ გააჩნდა ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანთა სამკურნალო დაწესებულებები, მაგრამ მთავრობისთვის ასეთი ადამიანის ყოლა მაინც პრობლემას წარმოადგენდა. მთავრობა ვალდებული იყო გადასახადებიდან შემოსული თანხებით უზრუნველყო ასეთი ადამიანების კვება, ჩაცმა და დაცვა. ასეთ ადამიანს ბევრი ტანსაცმელი სჭირდებოდა, რადგან სიგიურის შეტევის დროს ყველაფერს ტანზე იხევდა. მაგრამ იქსოში მყოფ ღმერთის მადლთან ერთმა შეხებამ ეს გიუ კაცი განკურნა. ეს კაცი აღარ იქნებოდა გადამხდელთა გადასახადების რაოდენობაზე დამოკიდებული. მას მეტად აღარ დასჭირდებოდა მთავრობის ზრუნვა და მისთვის გამოყოფილი თანხები სხვა საქმეს მოხმარდებოდა. და ახლა დეკაპოლისის რეგიონში არსებული ათი ქალაქის მაცხოვრებლები ამ განკურნებული, ღმერთის მადლთან შეხებული ახალგაზრდა კაცის მეშვეობით, ღმერთის სასუფევლის შესახებ მოისმენდნენ (იხ. მარკ. 5;).

გავიხსენოთ ყველა მუნჯი, ბრმა, ხეიბარი, ავადმყოფი და

სხვა ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანი, რომლებიც იესომ განურჩა, რომელთა ზრუნვაზეც მთავრობას ხარჯის გაღება აღარ დასჭირდებოდა იესოზე არსებული ღმერთის მადლის წყალობით. გარდა ამისა, ეს ადამიანები საზოგადოების პროდუქტიული წევრები გახდნენ. ჩვენ უამრავი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ სახარებიდან. გარდა ამისა, როგორც იოანე წერს, მთელი მსოფლიოს წიგნები ვერ დაიტევდნენ იმ მადლისმიერ სასწაულებს, რომლებიც იესომ თავისი სამწლიანი საჯარო მსახურების პერიოდში მოიმოქმედა.

გაიხსენეთ იესოს დანაპირები: „ვისაც ჩემი სწამს, იმ საქმეებს, რასაც მე ვაკეთებ, თავადაც გააკეთებს, და მათზე დიდ-საც გააკეთებს“ (იოან.14:12.). როგორ? ღმერთის უსასყიდლო, განუზომელი მადლის მეშვეობით. ჩვენ ისევე უნდა შევცვალოთ ჩვენი საზოგადოება, როგორც ამას იესო აკეთებდა – ღმერთის მადლის, უსასყიდლო საჩუქრის მეშვეობით!

## პრძოლა

მე მტკიცედ მწამს, რომ ბნელეთის ძალებს და მის დამქაშებს უმთავრეს მიზნად აქვთ დასახული დაგვიმალონ ეს ცოდნა. ისინი დიდად ნასიამოვნები არიან, იციან რა რომ ამერიკელი ქრისტიანების 98%-მა მადლის შესახებ იცის ის, რომ მადლის მეშვეობით ცოდვები გვეპატიება, რომ მადლი არის უსასყიდლო საჩუქრი, მაგრამ არ იციან, რომ მადლს უზარმაზარი ძალა გააჩნია. აქედან გამომდინარე, ბნელეთის სიმაგრეები-სათვის ამერიკელი ქრისტიანების მხოლოდ 2% წარმოადგენს საფრთხეს.

მტერს არ ეშინია ჩვენი ლამაზი შენობების, გამოცემული წიგნების, დიდი საკრებულოების, სატელევიზიო პროგრამები-სა ან სატელიტური მაუწყებლობების. მისთვის მთავარია არ ვიცოდეთ თუ რაოდენ დიდი ძალაა ჩვენთვის ხელმისაწვდომი. მათი ყველაზე დიდი საფრთხე და შიში იმაში მდგომარეობს, რომ არ ვიცოდეთ, თუ რა ძალა მოგვეცა უსასყიდლოდ, რის შედეგადაც შევცვლით საზოგადოებას ისე, როგორც ამას იესო აკეთებდა.

მათ ეშინიათ იმისა, რომ ჩვენ დავიკავებთ კუთვნილ ადგილს და ვიმეფებთ სიცოცხლეში.

მარტინ ლუთერი პრძოლაში იმყოფებოდა, როდესაც მან გერმანიაში, ვიტენბერგის ყველა წმინდანის სახელობის ეკლესიის კარზე, 1517 წლის 31 დეკემბერს, ოთხმოცდათხუთმეტი

თეზისი გამოაკრა. ამ ქმედებას მოჰყვა რეფორმაცია. მას შემდეგ ეკლესია სრულიად შეიცვალა.

ეს იყო ღმერთის სულის საქმე, რომელიც კაცის მეშვეობით აღსრულდა. ამ თეზისების მთავარ თემას წარმოადგენდა ის ჭეშმარიტება, რომ მართალი რწმენით იცოცხლებს. მან ლიად გამოხატა თავისი პროტესტი ინდულგენციების მიმართ, რითაც არსებული ეკლესია სიცრუის ტყვეობაში ამყოფებდა ადამიანებს.

მეც ბრძოლაში ვარ ჩართული. ვიცი რომ სხვებიც არიან ჩემს მსგავსად. გვინდა, რომ შენც იყო ამ სიაში. ჩვენ არ ვაპირებთ 95 თეზისის ძველ ხის კარებზე ჩამოკიდებას, არამედ თანამორწმუნე ქრისტიანების გულებზე მათ დაწერას. ჩვენი გზავნილი შემდეგია: მადლი მხოლოდ ცოდვათა დასაფარად არ არის მოცემული. ის გვაძლევს ძალას, რომ ვიცხოვროთ ქრისტეს მსგავსად, რათა ვიმეფოთ ამ ცხოვრებაში; წარმოვაჩინოთ ზეციური ძალაუფლება და ძალა, რათა შევცვალოთ ჩვენი გავლენის სფეროები.

მოდით, მოვინდომოთ და შევცვალოთ სტატისტიკა, ეს 2% - 100%-მდე გავზარდოთ. დაე, მორწმუნებმა სიტყვის „მადლი“-ს გაგონებაზე მყისიერად იფიქრონ „ძალაზე, რომელიც ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება“.

## გამორჩეული

„ისინი, რომლებიც უხვად მიიღებენ მადლს და სიმართლის  
ნიჭს, იმეფებენ სიცოცხლეში ერთის  
იესო ქრისტეს მეშვეობით“  
რომაელთა 5:17;

**მ**ომაელთა მიმართ წერილის (5:17;) სიდიადე იმდენად  
აღმატებულია, რომ ძნელია მისი რეალობად აღქმა. ამ  
მუხლის გზავნილი ძალზედ შთამბეჭდავია. შესაძლოა,  
სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ბევრი ადამიანი ზერელედ  
კითხულობს მას.

ყოველმა ჩვენგანმა, ვინც ქრისტე აღიარა უფლად, უნდა  
იმეფოს ამ ცხოვრებაში. ყველას, ვისაც ღმერთის მადლი აქვს  
მიღებული, აღვსილია ძალით, რომლის მეშვეობითაც შეუძლია  
ყველა იმ განსაცდელზე ამაღლდეს, რომელთაც წუთისოფელი  
უმზადებს ამქვეყნად. ცხოვრებამ კი არ უნდა იმეფოს ჩვენ-  
ზე, არამედ ჩვენ უნდა ვიმეფოთ მასზე. ღმერთის ძალის  
მეშვეობით ჩვენ უნდა შევცვალოთ ჩვენს გარშემო არსებული  
საზოგადოება ისევე, როგორც ქრისტე აკეთებდა ამას. ეს არის  
ჩვენი დავალება.

## რეალური საუბარი

მოდით, უფრო მეტად ვისაუბროთ იმაზე, თუ რას ნიშნავს  
მეფობა სიცოცხლეში ღმერთის მადლის მეშვეობით. მოგვიწევს  
გავცდეთ ნორმით დადგენილ წესს და დავარღვიოთ სტატუსკ-  
ვო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებას უკვე აღარ ვუყურებთ,  
როგორც სამუშაოს დილით რვა საათიდან სალამოს ხუთ საა-  
თამდე, სადაც ყოველ კვირა სახელფასო ჩეკებს ვიღებთ, შემ-  
დეგ პენსიაზე გავდივართ, ვკვდებით და საბოლოოდ ზეცის ბი-  
ნადარი ვხდებით. რა უსუსური შეხედულებაა ცხოვრებაზე! რა  
თქმა უნდა, ღმერთს არ სურს, რომ ჩვენი ცხოვრება ამგვარად  
წარიმართოს. ჩვენ გაცილებით აღმატებული მიზნისთვის ვართ  
შექმნილები!

ჩვენ ვხდებით გავლენის მქონე ადამიანები, რომლებმაც ვიცით, რომ ღმერთმა მოგვიწოდა ვიყოთ თავი და არა კუდი; ზემოთ და არა ქვემოთ (იხ. 2 რჯ. 28:13;). ჩვენ არა მხოლოდ უნდა ავმაღლდეთ ცხოვრების სირთულეებზე, არამედ უნდა ვუნათებდეთ მათ, რომლებიც აღთქმაში არ არიან ღმერთთან. ჩვენ ლიდერები უნდა ვიყოთ ღვთიურ სინათლეს მოკლებულ წუთისოფელში. თავი ადგენს მიმართულებას და გეზს. კუდი კი მას მიჰყება. ჩვენ ლიდერები უნდა ვიყოთ საზოგადოების ყველა სფეროში და არა მიმდევრები.

თუ საჯარო სკოლის მასწავლებელი ხარ, მადლის ნიჭის მეშვეობით, შენ მუდმივად ისეთ კრეატიულ და ინოვაციურ იდეებს იყენებ მოსწავლეებისათვის ცოდნისა და სიბრძნის გადასაცემად, რომ განათლების სისტემაში მყოფ სხვა აზრები მასწავლებელს არ მოსდის აზრად. შენი სწავლების ზღვარი იმდენად მაღალია, რომ სხვებს უკვირთ. შენს თანამშრომლებს ისლა დარჩენიათ ერთმანეთში გაარკვიონ „საიდან მოაქვს ამ ადამიანს ასეთი ბრნყინვალე იდეები?“.

თუ მედიცინის სფეროში მოღვაწეობ, მაშინ მადლის ნიჭის მეშვეობით ახალ გზებს და მიდგომებს იყენებ ავადმყოფობას-თან საპრდოლველად. შენი თანამშრომელი ექიმები ერთმანეთს ეკითხებიან: „საიდან ამ ადამიანს ასეთი ინოვაციური იდეები?“.

თუ დიზაინერი ხარ, ისეთ ახლებურ და კრეატიულ დიზაინს ქმნი ღმერთის მადლის ნიჭის მეშვეობით, რომ სხვები შენ გბა-ძავენ. შენ ადგენ წამყვან სტილს და მიმართულებას, რომელსაც საზოგადოება მიჰყება. იმდენად უსწრებ კოლეგებს, რომ მათ ისლა დარჩენიათ თავი იმტვრიონ იმის გარკვევაში თუ „საიდან ასეთი აზრები?“.

თუ პოლიტიკურ არენაზე მოღვაწეობ, მადლის ნიჭის მეშვეობით ავლენ ისეთ სიბრძნეს, რომლითაც აგვარებ სოციალურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც სხვებისთვის შეუძლებელია. შენ პირველი ხარ საკანონმდებლო საქმიანობაში და წარმატებული შენს გარშემო მყოფ კოლეგებზე მეტად. შენი გამჭრიახობა და სიბრძნე სხვებს აძლევს საბაბს იკითხონ: „საიდან აქვს ამ ადამიანს ასეთი სიბრძნე და ბრნყინვალე იდეები?“.

თუ სასამართლო სფეროში მუშაობ, მადლის ნიჭის მეშვეობით ამშვიდებ სიტუაციებს, რომელთა მოგვარება სხვებისთვის სირთულეს წარმოადგენს. ისევე როგორც იესომ იცოდა სად ეპოვა ვირი, შენ იცი სად იპოვო დამნაშავეები. შენ შეგიძლია თავი მოუყარო სამხილებს და უფრო სწრაფად გადაჭრა მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე, ვიდრე ამას შენს რეგიონში

მომუშავე სხვა დეტექტივი შეძლებდა. შენი წვდომა, უნარი და სიპრინე იმდენად დიდია, რომ ამ სფეროს სხვა წარმომადგენ-ლები თავებს იმტვრევენ და ერთმანეთს ეკითხებიან: „საიდან აქვს ამ ადამიანს ასეთი მიხვედრილობა, ასეთი ალლო?“.

თუ ბიზნესმენი ხარ, ღმერთის მადლისმიერი ნიჭის მეშვეობით შეძლებ განავითარო ინოვატორული პროდუქტები და გაყიდვის ახალი ტექნიკა, ასევე მარკეტინგული სტრატეგიები, რაც სხვებზე უპირატესი და უმჯობესი იქნება. შეძლებ განსაზღვრო რა იქნება მომგებანი და რა არა; გეცოდინება როდის იყიდო და როდის გაყიდო; როდის შეხვიდე და როდის გახვიდე. ბიზნესის სხვა წარმომადგენლები კი შეეცდებიან მიაგნონ შენი წარმატების საიდუმლოს.

ეს ცარიელი, არარეალური იდეები როდია. ისინი წარმოაჩენენ ჩვენთვის მოცემულ მანდატს. ყოველი ჩვენგანი მოწოდებულია იშრომოს და იყოს წარმატებული საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, მაგრამ რომელ სფეროშიც არ უნდა მოვლანეობდეთ, ჩვენ უნდა გამოვავლინოთ რწმენა, ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისებები და პროფესიონალიზმი. ჩვენი ბიზნესი უნდა ყვაოდეს მაშინაც კი, როცა სხვისი კრიზისში იმყოფება. საზოგადოება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, უნდა იყოს უსაფრთხო, ნათელი და აყვავებული. ჩვენი მუსიკა უნდა იყოს ახალი და ორიგინალური – ქვეყნიური მუსიკოსები ჩვენ უნდა გვპატავდნენ, და არა პირიქოთ, ქრისტიანული მუსიკა ბაძავდეს მათ.

იგივე უნდა ითქვას ჩვენს გრაფიკულ, ვიდეო და არქიტექტურულ დიზაინთან მიმართებაში. ღმერთის ოჯახისათვის დამახასიათებელი შემოქმედებითობა შთაგონებას უნდა ახდენდეს და მოთხოვნადი იყოს ყველა დონეზე. ჩვენი წარმოდგენები – იქნება ეს სპორტული, გასართობი, შემოქმედებითი თუ სხვა ნებისმიერი, სამაგალითო უნდა იყოს. ჩვენი ქალაქები, დაბები და ერები უნდა ყვაოდეს მართლების მმართველობის დროს.

რაშიც არ უნდა ღებულობდნენ მორწმუნები მონაწილეობას და სადაც არ უნდა ხდებოდეს ეს, იქ უნდა იყოს შემოქმედებითობის სიუხვე, პროდუქტიულობა, სიმშვიდე, მგრძნობელობა და გამჭრიახობა. ჩვენ ქვეყნიერებისთვის უნდა ვიყოთ სინათლე. ჩვენს ცხოვრებაში არსებული ღმერთის დიდებული მადლის მეშვეობით, გამორჩეულები უნდა ვიყოთ ამ ულვოთ საზოგადოებაში.

## ჩვენი თავის გამორჩევა

ჩვენ, ღმერთის მადლის ძალით აღვსილები, უნდა გამოვირჩეოდეთ ცხოვრების ყველა სფეროში. ყურადღებით წაიკითხეთ დანიელის შესახებ ეს მოწმობა:

„მაშინ სხვა მთავრებზე და სატრაპებზე მეტად გამოირჩა დანიელი, რადგან მასში საკვირველი სული იყო, და მეფე ფიქრობდა მთელ სამეფოზე დაეყენებინა იგი“ (დან. 6:3;)

შთამბეჭდავია. დანიელი გამოირჩეოდა. აღსანიშნავია, რომ აქ არ წერია „ღმერთმა გამოარჩია დანიელი“. ბიბლიის ყველა წამყვანი თარგმანი ამბობს, რომ ამ წარმოსადეგმა ახალგაზრდა კაცმა გამოარჩია საკუთარი თავი. გზავნილი, რომელიც დღევანდელ დღეს გამოიყენება ღმერთის სიტყვის მოცემული მონაკვეთის გამოსახატავად ასეთია: დანიელმა უკან მოიტოვა „სხვა“ ლიდერები.

როგორ მოახერხა მან ეს? დანიელი განსაკუთრებულ თვისებებს ფლობდა, რადგან მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ღმერთთან. იგი გამუდმებით თავის შემოქმედთან ურთიერთობაში იმყოფებოდა. ამგვარადვე იქნება ყველა იმ ადამიანის ცხოვრებაში დღეს, ვინც ღმერთთან ალთქმაში იმყოფება.

ბიბლიის ახალი ამერიკული სტანდარტული ვერსია ამბობს: „დანიელმა დაიწყო საკუთარი თავის გამორჩევა ... რადგან იგი ზებუნებრივ სულს ფლობდა“. სიტყვა ზებუნებრივი ნიშნავს „ნორმაზე აღმატებულს, სტატუსკვოს დარღვევას, გაცდე მიღებულ ნორმებს“. ზოგჯერ სიტყვის მნიშვნელობას უფრო უკეთ ვიგებთ, როცა გამოვიყვლევთ, თუ რა მნიშვნელობას არ ატარებს იგი – ანუ ანტონიმებით: მიღებული, ჩვეულებრივი, ან ნორმალური. აქედან გამომდინარე, ნორმალური ცხოვრება უნდა წარმოაჩინდეს ცხოვრების ისეთ სტილს, რომელიც ზებუნებრივი სულის მქონე ცხოვრების ანტონიმია.

წმინდა წერილის ეს ადგილი გვეუბნება, რომ დანიელს სული ჰქონდა საკვირველი (ზებუნებრივი) და არა გონება ან სხეული. თუკი სული არის არაჩვეულებრივი, მაშინ გონება, სხეული, შემოქმედებითობა, გამჭრიახობა და ცხოვრების სხვა ყველა ასპექტიც არაორდინალური ხდება. სწორედ სულია ის, რაც ფორმას აძლევს ჩვენს ცხოვრებას. თუკი ჩვენ მართლად კარგად ვაცნობიერებთ, თუ რა არის მადლი, რომელიც მოგვეცა, მაშინ ვიცით, რომ არ არსებობს ზღუდეები, რამეთუ „მორჩმუნისათვის ყველაფერი შესაძლებელია“ (მარკ. 9:23;). მარკოზი ყოველთვის ეჭიდებოდა იმას, რაც მისთვის ხელმისაწვდომი

იყო ღმერთთან მის ურთიერთობაში. იმ ალთქმის გამო, რომელიც დანიელს ღმერთთან ჰქონდა დადებული, მან იცოდა, რომ თავად უნდა ემეფა გარემოებებზე და არა გარემოებებს მასზე; ის თავი უნდა ყოფილიყო და არა კუდი.

მოდით, უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს საკითხი. დანიელი და მისი სამი მეგობარი წაიყვანეს პატარა ერიდან – ისრაელიდან და მიიყვანეს მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილ ერში. თუკი ამერიკელი ხარ და მიგაჩნია, რომ ჩვენი ერი ყველაზე ძლიერია ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე, ასეთ რამეს გეტყვი, ამერიკა არაფერია იმ ძალასთან და დიდებასთან შედარებით, რაც მაშინ ბაბილონს გააჩნდა. ბაბილონი მაშინდელ მსოფლიოს მართავდა! ისინი პირველები იყვნენ ეკონომიკის სფეროში, პოლიტიკის სფეროში, სოციალურად, სამხედრო საკითხებში, მეცნიერებაში და ზოგადად ყველა საკითხში. თუმცალა ვხედავთ, რომ „რა საკითხზეც არ უნდა დაესვა მეფეს შეკითხვა, ან რა სახის პრობლემაც არ უნდა წამოეწია, ეს ოთხი [დანიელი, ხანანია, მისაელი და ყაზარია] ათწილად უკეთესები იყვნენ, ვიდრე ბაბილონის სამეფოს სხვა ლიდერები (დან. 1:20);“. სხვა თარგმანში წერია, რომ ისინი ათჯერ უფრო ბრძენი და ათჯერ უფრო გონიერნი იყვნენ. ისინი სთავაზობდნენ ისეთ იდეებს და აზრებს, რაც ბაბილონელ ბრძენ კაცებს აზრადაც კი არ მოსვლიათ – და ამ ახლგაზრდების იდეები ეფექტური გახლდათ.

## მეტი ვიდრე დანიელი, მეტი ვიდრე იოანე

ვიფიქროთ იმაზე, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით, წავიკითხოთ იქსოს სიტყვები: „დედაკაცთა წამობთა შორის, არავინ არის იოანეზე დიდი, მაგრამ ღვთის სასუფეველში უმცირესიც კი მასზე უფრო დიდია“ (ლუკ. 7:28;). ეს ნიშნავს იმას, რომ იოანე წათლისმცემელი დანიელზე მეტი იყო. ამ ორ პიროვნებას მათ მიერ გაკეთებული საქმეებით წუ შეადარებთ, რამეთუ იოანე მსახურებას ეწეოდა, ხოლო დანიელი – სამოქალაქო მმართველობის სფეროში. თუმცა იესო გამოკვეთილად წარმოგვიდგენს იოანეს, როგორც „უფრო დიდს“, მაგრამ შემდეგ ამბობს: „ღვთის სასუფეველში უმცირესიც კი მასზე უფრო დიდია“ (ლუკ. 7:28;).

რატომ არის ღმერთის სასუფეველში ყველაზე უმცირესი დანიელზე ან იოანეზე დიდი? იესო ჯერ არ იყო ჯვარცმული კაცთა მოდგმის გასათავისუფლებლად, ამიტომაც იოანეს ჯერ არ ქონდა ხელახლა შობილი სული. ის ჯერ არ იყო ქრისტეს

სხეულის ნაწილი. ჯერ იოანეზე ვერ ვიტყოდით „როგორც იქსოა, ისეა იოანე ნათლისმცემელი ამ წუთისოფელში“. იოანე ქრისტესთან ერთად არ ამაღლებულა და არ დამჯდარა ზეციურ ტახტზე, თუმცა ეს სიტყვები ჩვენც გვეხება დღეს. სწორედ ამიტომაა, რომ უმცირესი ცათა სასუფეველში იოანეზე მეტია.

გამოთვლილია, რომ ქრისტეს ამაღლებიდან მოყოლებული დედამინაზე 2 მილიარდ ქრისტიანს უცხოვრია. მცირეა ამის შანსი, მაგრამ თუ შენ უმცირესი ხარ ამ „ორი მილიარდიდან“ (თუმცა არა ყველაზე მცირე) მაინც დიდი ხარ, ვიდრე იოანე ნათლისმცემელი! რაც იმას ნიშნავს, რომ დანიელზე მეტიც ხარ! ასე, რომ ისმის კითხვა: „ შენ გამორჩეული ხარ?“.

ხარ ათწილად უფრო ჭკვიანი, უკეთესი და უფრო ბრძენი, უფრო მიხვედრილი და უფრო ნოვატორი ვიდრე შენი კოლეგები და თანამშრომლები, რომლებიც არ იმყოფებიან ღმერთთან ალთქმულ, ქრისტესმიერ ურთიერთობებში? (რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, ხარ თუ არა ათწილად უფრო მომთმენი, მოსი-ყვარულე, დისციპლინირებული, კეთილი, სტუმართმოყვარე, თანამგრძნობი და გულუხვი ვიდრე შენი კოლეგები?) თუ „არა“, რატომ არა? რატომ არ არიან ზეციდან შობილი მორწმუნების ურწმუნობზე ათჯერ მეტი? იქნებ მიზეზი ის არის, რომ მხოლოდ 2%-ს გვესმის, რომ ღმერთის მაღლი – ესაა ძალა, რომელიც გვაძლევს უნარს, ავმაღლდეთ ჩვენს ბუნებრივ შესაძლებლობებზე, რომ შევძლოთ ვიმეფოთ სიცოცხლეში და ვიყოთ გამორჩეულები დანიელის მსგავსად? (შენიშვნა: ჩვენ გვეთქვა, რომ ეკლესიაში სუსტი მორწმუნების ტვირთი უნდა ვზიდოთ. თუმცა ბიბლია არ ამბობს იმას, რომ სუსტები მთელი ცხოვრების მანძილზე სუსტებად უნდა დარჩნენ. მათაც უნდა მიეცეთ ხედგა იმისა, რომ გახდნენ გამორჩეულები თავიანთი გავლენის სფეროებში).

იესო გვეუბნება, რომ „ჩვენ წუთისოფლის ნათელი ვართ“ (იხ. მათ. 5:14;). ქრისტე არა ერთხელ მიმართავს ახალ აღთქმაში თავის შვილებს, როგორც წუთისოფლის ნათელს. გთავაზობთ მუხლების ჩამონათვალს, სადაც ქრისტე ამ მეტაფორას იყენებს: მათ. 5:14-16; ლუკ. 12:3; იოან. 8:12; საქმ. 13:47; რომ. 13:12; ეფეს. 5:8, 14; კოლ. 1:12; ფილ. 2:15; 1 თეს. 5:5; 1 იოან. 1:7; 2:9-10. ვფიქრობ, კარგად ხედავთ იმას, რომ სინათლედ ყოფნა წუთისოფელში, ჩვენი ქრისტეში ცხოვრების მთავარი თემაა.

ოდესმე თუ დაფიქრებულხარ იმაზე რას ნიშნავს სინათლე წუთისოფელში? სამწუხაროდ ზოგს „სინათლედ“ ყოფნა ბიბლიის ქონა, კარგი ქცევები და იოანე 3:16-ის ციტირება

ჰგონია. მაგრამ რა ვთქვათ, თუკი დანიელს სინათლეზე სხვა შეხედულება ჰქონდა? თუკი მისი მიზანი ბაბილონის მთავრობაში ყოფნა იყო, ადამიანებს კეთილად მოქცეოდა და თავისი კოლეგებისთვის ეთქვა: „ჰეი თქვენ, ბაბილონის მმართველებო, ფსალ. 22; ამბობს: „უფალი ჩემი მწყემსია, არაფერი არ მომაკლდება...“?

რას ამბობდნენ სატრაპები და მმართველები ერთმანეთში, როდესაც დანიელი ოფისიდან გადიოდა, რათა სადილის წინ ელოცა? შეგიძლია წარმოიდგინო? დარწმუნებული ვარ ასეთ რამეს იტყოდნენ: „რა კარგია, რომ ეს ფანატიკოსი ოფისიდან გავიდა. იმედია მთელი საღამო ილოცებს. კარგი ტიპია, მაგრამ უცნაური“.

რატომ მოიგონეს კანონი, რომლითაც დანიელს ლოცვა ეკრძალებოდა (იხ. დან. 6:6-8?); ერთადერთი ლოგიკური მიზეზი ის არის, რომ დანიელი ათჯერ უფრო ჭკვიანი და ბრძენი იყო, უფრო მეტი ცოდნა და წვდომა ჰქონდა, უფრო ნოვატორი და შემოქმედი იყო ვიდრე ისინი. ის გამუდმებით წინ მიინუვდა, სანამ საბოლოოდ მათი უფროსი არ გახდა. ისინი საგონებელში ჩავარდნენ. წარმომიდგენია როგორ წუწუნებდნენ ერთმანეთში, „გაუგებარია ეს ყველაფერი! სწავლა-განათლება მსოფლიოში საუკეთესო, ბრძენი და ნიჭიერი მასწავლებლებისან და მეცნიერებისან მივიღეთ. ეს კი ერთი პატარა ქვეყნიდან არის. საიდან ასეთი აზრები? როგორ ხდება, რომ იგი ჩვენზე ბევრად უკეთესია? ეს ყველაფერი, ალბათ, ლოცვის დამსახურებაა. დღეში სამჯერ ლოცულობს თავის ლმერთის წინაშე! მოდი, ისეთი კანონი მივიღოთ, რაც ხელს შეუშლის მის წარმატებას!“

დანიელი კაშკაშა სინათლე იყო ჩაბნელებულ კულტურაში, რადგან ის არაორდინალური პიროვნება გახლდათ. მის თანამედროვეებს არ მოსწონდათ იგი. შურდათ მისი. თუმცა მიმაჩნია, რომ იყვნენ ისეთები, მეფის ჩათვლით, რომლებიც დანიელის ნიჭიერებაში ცოცხალი ლმერთის ხელს ხედავდნენ. დანიელის ბრწყინვალება მიმზიდველი იყო, რის გამოც ლიდერებს მისი ლმერთის მიმართ პატივისცემა გაუჩნდათ. მისი გამორჩეულობა იმის დამსახურება კი არ იყო, რომ დანიელმა წერილები იცოდა კარგად, ან კარგი ადამიანი იყო, ან სამჯერ რომ ლოცულობდა დღეში – არამედ იმიტომ, რომ იგი თავის საქმეში ყველას სჯობდა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვისმინოთ ქრისტეს მიერ ჩვენს მიმართ სინათლის შესახებ ნათქვამი სიტყვები: „ასევე ანათებდეს თქვენი ნათელი ადამიანთა წინაშე, რათა ხედავდნენ ისინი თქვენს კეთილ საქმეებს და ადიდებდნენ

თქვენს მამას, რომელიც ზეცაშია“ (მათ.5:16;). იესო ხაზს უს-ვამს ჩვენს საქმეებს, რომელსაც ურწმუნოები ხედავენ. რამ გამოიწვია ის, რომ ჩვენ მხოლოდ ადამიანების მიმართ კარგი მოქცევით და ბიბლიის მუხლების ციტირებით შემოვიფარგლებით?

## თანამედროვეობის მაგალითები

ერთი მეგობარი მყავს, სახელად ბენი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი ავტომწარმებელი საწარმოს ვიცე პრეზიდენტი იყო. ერთ სალამოს, სადილობისას მან მითხრა, რომ ვიცე პრეზიდენტად დანიშვნამდე იგი მთავარი კონკურენტი კომპანიის უფროს ინჟინერთა გუნდში მუშაობდა. „ჯონ მე დანიელის წიგნს ვკითხულობდი, სადაც ენერა, რომ იგი და მისი სამი მეგობარი ათჯერ უფრო უკეთესები იყვნენ, ვიდრე მათი თანამშრომლები“, მითხრა ჩემმა მეგობარმა. „ამიტომაც ვლოცულობდი: „უფალო, თუკი დანიელი და მისი სამი მეგობარი თავიანთ თანამშრომლებზე ათწილად უკეთესი იყვნენ, და ისინი ამ დროს ძველი ალთემის ქვეშ ცხოვრობდნენ, მაშინ მე სულ ცოტა ათჯერ უკეთესი მაინც უნდა ვიყო ჩემს კოლეგებზე, რადგან ახალ, მადლის ალთემაში ვცხოვრობ“.

ჩემი მეგობარი აგრძელებდა მოყოლას, „ჯონ, ეს წამყვანი კორპორაცია ყოველწლიური ხარჯების შემცირებას და ამ ინჟინერთა გუნდის წევრთა პროდუქტიულობის ანალიზს ატარებდა.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს შესწავლა წარმოაჩენდა თუ რამდენად გამჭრიახი, გონიერამახვილი და პროდუქტიული იყო გუნდის თითოეული წევრი. „მეორე საუკეთესო თანამშრომლად დასახელებული ადამიანის პროდუქტიულობამ და ხარჯების შემცირებამ წლიურად ოცდათხუთმეტი მილიონი დოლარი შეადგინა. იცი მე რა გავაკეთე?“

მე გავიღიმე და მოუთმენლად დაველოდე თხრობის გაგრძელებას: „რა გააკეთე?“.

მან მიპასუხა: „ჩემი საქმიანობის ნაყოფიერებამ და დანაზოგმა კი სამასორმოცდაათი მილიონი შეადგინა. მე ათჯერ უკეთესი აღმოჩენდი, ვიდრე მეორე ადგილზე გასული თანამშრომელი“. ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებდა, თუ როგორ ჩამოყალიბდა ბენი წამყვან აღმასრულებელ ხელმძღვანელად ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე დიდ კორპორაციაში.

მახსენდება ცოლ-ქმარი, რომელიც მესენჯერ ინთერნეიშენალში მუშაობენ ჩვენთან. ერთ ზაფხულს მათ თავიანთი ორი ვაჟი მოიყვანეს ჩვენს შეხვედრაზე, სადაც სწორედ ამ პრინციპების შესახებ ვასწავლიდი. შეხვედრის დამთავრების შემდეგ, უმცროსმა ბიჭმა ტაილერმა, რომელიც სულ თერთმეტი წლის

იყო, მამამისს უთხრა: „რადგანაც მე ღმერთის მადლი მაქვს, ჩვენი ქალაქის საფეხბურთო ლიგაში ყველაზე საუკეთესო ფეხბურთელი უნდა ვიყო“.

მოდით, ტაილერის მომდევნო საფეხბურთო სეზონის შედეგები მისი მშობლების წერილიდან შევიტყოთ:

### ჯონ,

აი, ეს არის ტაილერის მონაცემები საშემოდგომო სეზონისათვის (ცხრა თამაში, მათ შორის ფინალები და ჩემპიონატიც). ეს არის ქოლორადო სპრიგზის 11-12 წლიანთა საქალაქო ლიგა.

ჩვენი შვილი სიმაღლეში 1.65 მეტრია, 47 კილოგრამი, ასაკით კი 11 წლისაა. ერთი შეხედვით ის ტიპიური (ყველაფერი ნორმაში აქვს) აღნაგობისაა.

სეზონის დასაწყისში ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელი ჩვენი შვილის ვარჯიშს უყურებდა ყოველ წლიურ საფეხბურთო ბანაკში. და მან თქვა: „ვაა კაცო, ტაილერი წელს ათჯერ უკეთესად თამაშობს გასულ წელთან შედარებით“.

მან 816 მეტრი გაირბინა და 78 მცდელობაში. შემდეგ კი 473 მეტრი 70 მცდელობაში. შემდეგ იგი ნახევარი თამაშიდან გამოიყვანეს, რადგან მწვრთნელმა იფიქრა, რომ სწორი არ იქნებოდა მისი ასე გადატვირთვა. შემდეგ ტაილერს 17 თაჩდაუნი ჰქონდა 78 მცდელობიდან. მოძევნო თამაშში კი 7 თაჩდაუნი 70 მცდელობიდან.

რეგულარული სეზონის შუა ფაზაში მონინაალდეგები გუნდის მწვრთნელებმა გადაწყვიტეს დაცვის გაძლიერება იმ მხარეს, რომელ მხარესაც თაილერი თამაშობდა. თამაშის დროს ჩვენ გვესმოდა მწვრთნელების შეძახილები: „68 ნომერს უყურეთ!“, „არ შეგიძლიათ ვინგემ გააჩეროთ 68?“, „რას შვრებით ხალხო, ეგრე ხომ დაგამარცხებთ!“, ნომერი 68 ტაილერი იყო.

ტაილერისთვის სრულიად უცნობი ადამიანები თამაშის შემდეგ მიდიოდნენ მასთან და ესაუბრებოდნენ. ის ცოტა შოკირებული იყო და თავს უცნაურად გრძნობდა ხოლმე, მაგრამ ჩვენ ვეუბნებოდით, რომ ღმერთის მადლი აძლევს ძალას და უნდა გააგრძელოს მასზე დაიმედება. ასევე ვასწავლიდით მას, თუ როგორ გამოიყენოს ღმერთის მადლი სათანადოდ, სწორად.

პატივისცემით, ჯიმ და ქელი ტ.

ჩემთვის საოცარია ის, თუ რამდენ ახალგაზრდას სწამს ღმერთის სიტყვის და მის შესაბამისად იქცევა. პატარა ტაილერმა შესანიშნავი მაგალითი მოგვცა ყველა ჩვენგანს!

## ჩვენში არსებული გადლი

რატომ უბრალოდ არ ვიჯერებთ იმას, რასაც ღმერთის სიტყვა გვეუბნება? ჩვენი მასთან დადებული აღთქმა შემდეგს ამბობს: „ხოლო მას, ვისაც ჩვენში მოქმედი ძალით შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ“ (ეფეს. 3:20.). არა იმ ძალით, რომელიც პერიოდულად ეშვება ზეციდან; არა იმ ძალით, რომელიც ეშვება, რათა იპოვოს კაცი ან ქალი, რომელიც მსახურების განსაკუთრებულ ნიჭს ფლობს. არამედ ჩვენში მოქმედი ძალით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციე ამ მუხლის დასაწყისს: ღმერთს შეუძლია. წარმოიდგინეთ, რომ დედამიწის რომელიმე ნაწილში საშინელი შიმშილობა ჩამოვარდა. თუმცა ერთ-ერთი ძლიერი და გულუხვი ქვეყნის მთავრობა ამ განსაცდელში ჩავარდნილ ხალხს უგზავნის თავის სამხედროებს, რომლებსაც მოჰყავთ ახალი ხილითა და ბოსტნეულით, მარცვლეულით, ხორცით და წყლით სავსე თვითმფრინავები. სამხედრო გენერალი ასეთი განცხადებით მიმართავს გაჭირვებულ მოქალაქეებს: „ჩვენ იმდენი საკვების მოცემა შეგვიძლია, რამდენის წალებასაც თქვენ მოახერხებთ“. პირველი ადამიანი მოდის კალათით და ორი დღის საჭმელი მიაქვს ორი ადამიანისათვის. ხოლო მეორემ კი მოზრდილი ტომარა მოიტანა და ოჯახისათვის 5 დღის სამყოფი საკვები წაიღო. აი, შემდეგმა კი მანქანა მოაყენა და იმდენი საჭმელი წაიღო, რამდენიც მის ოჯახს და რამდენიმე მშიერ მეზობელს მთელი თვის განმავლობაში ეყოფოდათ.

იმან, ვინც კალათით წაიღო საკვები, ხედავს მის სახლის წინ გავლილ მანქანას, რომელსაც ტონამდე საკვები ტვირთი უდევს. სიტყვა „შენუხება“ ვერ გამოხატავს მის მდგომარეობას; ის გალიზიანდა! წუწუნს იწყებს მეზობლებთან და ბოლოს მისი საყვედურები გენერალის ყურამდეც აღწევს. გენერალი უკავშირდება მას და ეუბნება: „ხომ გითხარით, რომ იმდენი საკვები შეგიძლია წაიღოთ, რამდენის უნარიც გაქვთ. რატომ მოხვედი ასეთი პატარა კალათით? რატომ უფრო დიდი რამე არ მოიტანე? რატომ არ გაავსე მანქანა?“.

■ ■ ■

ჩვენი ჭურჭელია ის ერთადერთი რამ, რაც ზღუდავს ღმერთს.

ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ. ღმერთი ამბობს: „ჩემი მადლი [ძალა], რომელიც თვენშია გაცილებით მეტია იმისათვის, რომ

■ ■ ■

ერისტიანებს, როგორი ჭურჭელი აქვთ ღმერთის მადლისთვის? ეფეს. 3:20-ის მიხედვით, ეს არის განუზომლად მეტი, ვიდრე

რომელიმე ჭურჭელმა დაიტიოს!“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი ჭურჭელია განმსაზღვრელი იმისა, რამდენს ავიღებთ იქიდან, რაც ულიმიტო და ხელმისაწვდომია ჩვენთვის. გულწრფელად რომ ვთქვათ, ჩვენი ჭურჭელია ის ერთადერთი რამ, რაც ზღუდავს ღმერთს.

მჯერა, ღმერთი მე და შენ გვეკითხება: „მხოლოდ იმაზე რატომ ფიქრობ ამ მომენტში რა გეყოფა? რატომ ფიქრობ მხოლოდ შენზე და შენს ოჯახზე? რატომ არ იღებ მთელ იმ პოტენციალს, რომელიც მე შენში ჩავდე და ამით რატომ არ ახდენ გავლენას შენს გარშემო მყოფებზე დანიელის მსგავსად?“.

სწორედ ამის გამო ლოცულობს პავლე მთელი გულით, რომ ჩვენ შევიცნოთ და ჩავწვდეთ თუ „რა განუზომელია მისი ძალის სიდიადე ჩვენში, რომელთაც საქმით გვწამს მისი ძალის ძლიერება“ (ეფეს. 1:19;).

მოდით, ყურადღება გავამახვილოთ პავლეს მიერ ამ მუხლში შერჩეულ სიტყვებზე: განუზომელია მისი ძალის სიდიადე. დააკვირდი ღმერთის ძალას შენს ცხოვრებაში და დაფიქრდი რას ნიშნავს ეს სიტყვები შენთვის. აქ პავლე საუბრობს „ჩვენში არსებულ ძალაზე“, და არა იმ ძალაზე, რომელიც შეგვიძლია პერიოდულად მივიღოთ რომელიმე მსახურის მეშვეობით, თანაც მაშინ თუკი ღმერთი იმ დღეს კარგად არის განწყობილი. ეს „ჩვენთვის მოცემული ძალაც“ არის, რომელიც გვაძლევს უნარს ვიმეფოთ ამ ცხოვრებაში. ეს ძალაა იმისათვის, რომ ავმაღლდეთ და გავხდეთ გამორჩეულნი, რათა სხვებმა იხილონ მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს ძლიერება! ეს არის ძალა იმისათვის, რომ ვიბრნყინოთ, როგორც კაშკაშა ნათელმა ამ ბნელ სამყაროში.

ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა: „არის თუ არა ჩვენი ცხოვრება იმ მაღალი საფასურისათვის შეუსაბამო, რომელიც ქრისტემ გადაიხადა? თუკი გულახდილები ვიქენებით, ჩვენი პასუხი იქნება: „დიას“. ჩვენი უფერული და მდარე საკუთარ თავზე ორიენტირებული ცხოვრების შედეგია ის, რომ მოწყვეტილნი ვართ იმ ძალას, რომლის მეშვეობითაც ძალგვიძს სამყარო ღვთის სასუფეველს დავუქვემდებაროთ.

რატომ ვირჩევთ ხმირად ქვეყნიურ გზებს? მაგალითად, როდესაც რაიმე სახის კრიზისი დგება, რატომ არის რომ ქრისტიანებსაც ისევე ეშინიათ, როგორც სხვებს? ზოგჯერ მგონია რომ ფილ. 4:19 ასე უნდა გადავაკეთოთ: „ხოლო ჩემი ღმერთი აღავსებს თქვენს ყველა საჭიროებას ვოლ სთრითის, საბანკო სისტემისა და ეკონომიკური მდგომარეობისამებრ“. განა სწორედ ასე არ იქცევა ბევრი ჩვენგანი ყველაზე გლობალური კრიზისის დროს? მაგრამ ღვთის სიტყვაში ჩაწერილი

ჭეშმარიტების მიხედვით, სწორედ რთული დრო არის ის მომენტი, როდესაც უფრო მეტად უნდა ვბრნებინავდეთ! კრიზისი არ ნიშნავს, რომ დედამიწაზე ყველა რესურსი გამოილევა ჩვენს პლანეტაზე. ამ დროს აზრებს არავინ ბლოკავს, არც შემოქმედებითი უნარია გამქრალი და არც ინოვაციები და გულმოდგინედ შრომის უნარია ჩამკვდარი. სწორედ ამ დროს უნდა გააქტიურდნენ ღმერთის შვილები. მისი ძალა ჩვენში მილიონობით დოლარის ღირებულების იდეებს წარმოშობს და ადამიანებს დიდ დახმარებას გაუწევს. კრიზისი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ფინანსური ნაკადის გამტარ არხებში შეფერხებაა და საჭიროა ახალი, შემოქმედებითი არხები და იდეები. მე და შენ ვართ ის ხალხი, ვისაც უნდა ებადებოდეს ეს ახალი იდეები, რადგანაც ჩვენი შემოქმედებითი ძალის წყარო დაუშრეტელია!

1920 წელს, ვინმე აუცილებლად ეტყოდა ეიმი სემფლ მაქფერსონს, რომ იმ დროში შეუძლებელი იყო ქალისთვის ხუთი ათას ადამიანზე გათვლილი დარბაზის აშენება შეუაგულ ლოს-ანუელესში. იმასაც ეტყოდნენ ალბათ, რომ ამხელა შენობის შენახვა წარმოუდგენელი იქნებოდა დიდი დეპრესიის პერიოდში. თუმცა მან ეს შეძლო. მე ნაქადაგები მაქვს იმ დარბაზში, და დღეს იქ ერთი ბრწყინვალე ეკლესიის მსახურებებია. ცნობილია, რომ ჰოლივუდის პროდიუსერები ჩუმად იპარებოდნენ ეიმის საღამოს ქადაგებებზე, რათა აეღოთ ის იდეები, რომლებსაც ის ილუსტრაციებისთვის იყენებდა. შემდეგ ისინი ამ იდეებს ჰოლივუდში თავიანთ საქმიანობაში იყენებდნენ. ემი გავლენას ახდენდა სამყაროზე. ის კაშკაშებდა, როგორც სინათლე.

ემის მსახურება ერთ-ერთ ტელე-გადაცემას შევადარე ამას-წინათ. ერთი კაცი „საოცარ მადლს“ მღეროდა უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე. აუდიტორიის წინ სამი ადამიანი იჯდა უიურის მაგიდასთან. სიმღერის დამთავრების შემდეგ ამ მსაჯულებმა მომღერლის შეფასება დაიწყეს. შოკირებული აღმოვჩნდი, როდესაც მოვისმინე უიურის წევრების მიერ ნათევამი სიტყვები, „არაუშავდა; თუმცა უკეთესი იქნებოდა უფრო მეტი გამომხატველობა; ტონალობაც ცოტა მაღალი იყო...“

ფეხებში ძალა გამომეცალა. ჩემთვის ვთქვი: „ღმერთო, შენ შექმენი სამყარო, ციური სხეულები, საოცარი მთაგრეხილები, ზღვის ცხოველები. შენ ჩვენში მკვიდრობ. და ჩვენ შთაგონების მისაღებად „ნიჭიერში“ ვიღებთ მონანილეობას!“. აბა, დაუფიქრდით: ემიმ თავისი შემოქმედებითი ნიჭით ჰოლივუდის წარმომადგენლებზე მოახდინა შთაბეჭდილება, ჩვენ კი ისე ვართ მოდუნებული ღმერთის მადლოთა მიმართებაში, რომ ჰოლივუდისგან ვცდილობთ შთაგონების მიღებას.

ძალიან დამამწუხრა ამ ამბავმა. ამაზე დიდხანს ვფიქრობდი და ერთ დასკვნამდე მივეღი: „რა თქმა უნდა, თუ ჩვენ მხოლოდ იმას ვასწავლით, რომ მადლის გამო ცოდვები გვეპატიება და ცათა სასუფევლის კარები გვეხსნება, ვერ შევძლებთ სინათლის ფუნქციის შესრულებას ამ წუთისოფელში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს სწორედ ღმერთმა დაუშვა რომ ქვეყნიერების თვალში დასაცინები გავმხდარიყავით. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი სურვილია ისეთი სიტყვა მივუტანოთ ადამიანებს, რომელიც ადვილი და მოსახერხებელია, – რომ რწმენაში ბრძოლას არ ჭირდება შეუბოვრობა – ღმერთი ალბათ დამწუხრებულია და ამბობს – დავუშვებ, რომ ინვნიოთ თქვენი საკუთარი სიბრძნიდან მომდინარე შერცხვენა.

რატომ მარტივად, ყოველგვარი გართულების გარეშე არ ვიჯერებთ მის სიტყვას? რატომ ვცდილობთ მისი სიბრძნე ჩვენი ცხოვრების სტილს მოვარგოდ, ნაცვლად იმისა, რომ ლონე არ დავიშუროთ ჩვენი იმ ცვლილებებისათვის, რომელიც მაშინ ხდება, როდესაც ჩვენი ცხოვრება მისი სიტყვით არის მომართული?

## გადლის განცდა ჩემს ცხოვრებაში

სკოლაში ყველაზე ცუდად ინგლისურს ვსწავლობდი, ძალიან მეჯავრებოდა თემების წერა. განსაკუთრებით ვლელავდი, როდესაც მოცემული დავალება წერასაც გულისხმობდა. სამიოთხი საათი მჭირდებოდა ერთი ან ორი გვერდის დასაწერად. დიდხანს ვიჯერე ხოლმე და გაშტრებული დავყურებდი სუფთა ფურცელს, მიჭირდა წერის დაწყება (დიახ, ეს მაშინ იყო სანამ კომპიუტერები და აიპადები შემოვიდოდა!). ბოლოს როგორც იყო დავწერდი წინადადებას, დავაცქერდებოდი, საშინელებად მომეჩვენებოდა და ფურცელს გვერდზე მოვისვრიდი. მომდევნო ცდაზე, შესაძლოა ორი წინადადება დამეწერა, კვლავაც არ მომეწონებოდა და მივაგდებდი. ეს პროცესი მანამ გრძელდებოდა, სანამ საბოლოოდ რამდენიმე ფურცელს და საკმაო დროის რაოდენობას არ დავხარჯავდი. ერთი საათის ან მეტი დროის შემდეგ შესაძლოა ერთი ან ორი აბზაცი დამეწერა. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი სტანდარტების მიხედვით მომწონდა ნამუშევარი, მაინც ძალიან დაბალ ნიშანს ვიღებდი.

ზოგჯერ ვფიქრობ, შესაძლოა, ჩემი ინგლისურის მასწავლებლები იმიტომ მიწერდნენ მომდევნო კლასში გადასასვლელ ნიშანს, რომ როგორმე თავიდან მოვემორებინე. ალპათ

ფიქრობთ, რომ ვაზიადებ? საქმე იმაშია, რომ ინგლისურის ბოლო დამამთავრებელ ზეპირ გამოცდაზე 800-დან 370 ქულა მივიღე. ეს მხოლოდ 46 პროცენტია, შეიძლება ითქვას ჩამჭრელი ქულაა. საბედნიეროდ, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნებში ვიყავი ძლიერი, ამიტომაც პურდუს უნივერსიტეტში საინჟინრო ფაკულტეტზე ჩავირთებე.

1991 წელს, როდესაც ლმერთმა ლოცვაში მითხრა: „შვილო, მინდა რომ წერა დაინყო, მეგონა, რომ ლმერთი დიდ შეცდომას უშვებდა. ვფიქრობდი, ლმერთს იმდენი შვილი ჰყავს დედამინაზე, რომ ალბათ ვიღაცაში ვეშლები?“.

ახლა მრცხვენია ამისი აღიარება, მაგრამ რასაც ის მთხოვდა, იმდენად სასაცილო იყო ჩემთვის, რომ არც არაფერი გავაკეთე. მაშინ მე იმ ცოდნის ნაკლებობას განვიცდიდი, რომელსაც ახლა გიზიარებთ – ლმერთის მადლის საოცარი და ძლიერი ბუნება.

ათი თვეს შემდეგ, ორი კვირის ინტერვალით ორი ქალი დამიკავშირდა. ისინი სხვადასხვა შტატებში ცხოვრობდნენ. ერთი ტექსასელი იყო, მეორე კი ფლორიდაში ცხოვრობდა. ორივემ ერთი და იგივე სიტყვები მითხრა: „ჯონ ბევირ, თუ არ დაწერ იმას, რასაც ლმერთი გაძლევს, მაშინ ის ამას სხვას მისცემს, ხოლო შენ, ურჩობისთვის მოგიწევს გასამართლება“.

როდესაც, ორი კვირის შემდეგ, მეორე ქალისგანაც იგივე შეგონება მოვისმინე, ლმერთის შიშმა მომიცვა: „ჯობია დავუკეროდა წერა დავიწყო!“. მაგრამ, მაინც მეგონა, რომ ლმერთი დიდ შეცდომას უშვებდა. მე ათგვერდიანი თემის დაწერაც კი არ შემეძლო და რომელ წიგნზე იყო საერთოდ საუბარი! სასონარკვეთილებაში მყოფმა, კონტრაქტი გავაფორმე ლმერთან რვეულის ფურცელზე. „მესაჭიროება მადლი“ – ვწერდი მე – „ამას შენი ძალის გარეშე ვერ შევძლებ“. ხელი მოვაწერე და დავათარილე.

შემდეგ კი დავვჯექი და წერა დავიწყე. თავიდან მონახაზი არ მქონია რა უნდა დამეწერა, რადგან არ ვიცოდი როგორ უნდა გაკეთებულიყო და არც იმაზე მქონდა ნარმოდგენა, რა მიმართულებას მიიღებდა ეს ყველაფერი. მე მხოლოდ საკითხის ზოგადი იდეა მქონდა. უერთად ისეთი აზრები ნამოვიდა, რომელზეც უნინ არასოდეს მეფიქრა და არც არავისგან მომესმინა. უბრალოდ ვწერდი და ვწერდი. ბოლოს კი წიგნის მოცულობის ხელნაწერი გამომივიდა. მოგვიანებით მეორე წიგნიც დავწერე, შემდეგ მესამე. დღეისთვის თხუთმეტამდე წიგნი მაქვს დაწერილი, რომელთა მილიონობით ეგზემპლარი გაყიდული და სამოცამდე ენაზეა ნათარგმნი. ერთ-ერთი წიგნი „მიახლოება“, „მაღაზიის არჩევანი“-ს (Retailer's Choice)

ჯილდოს მფლობელი გახდა 2004 წელს. ზოგიერთი ჩემი წიგნი ბესტსელერი გახდა საერთაშორისო მასშტაბით.

ხელავთ თუ რატომ არ შემიძლია ჩემი „ბუნებრივი“ შესაძლებლობით დავიკვეხნო? ეს მთლიანად ღმერთის მადლის დამსახურება!

ევროპაში, ერთ-ერთ ჰიკეის მოედანზე რვა ათასამდე მსმენელის წინაშე წარვსდები, მათ უმრავლესობას ქრისტიანი ლიდერები წარმოადგენდნენ და მე ვკითხე მათ, რამდენ მათგანს ჰქონდა ჩემი წიგნი წაკითხული. გავოცდი, როცა დავინახე, რომ თითქმის ყველამ ასწია ხელი. აღმოსავლეთ ევროპაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, წამყვანმა 6 ათას დამსწრეს, რომელთა შორისაც 60 ერის წარმომადგენელი იმყოფებოდა, ჰკითხა, ჩემი წიგნი თუ ჰქონდათ წაკითხული მშობლიურ ენაზე. საოცარი იყო იმისი დანახვა, რომ დამსწრეთა 90%-მა ხელი ასწია. ირანელმა გამომცემლებმა მითხრეს (ახლა როცა ამ წიგნს ვწერ, ჩემი შვიდი წიგნი ირანის ოფიციალურ ენაზე, ფარსზე იბეჭდება): „შენ ხარ ის ქრისტიანი მწერალი, რომელსაც ირანში ყველაზე მეტად კითხულობენ“. ასეთი შეტყობინებები გამუდმებით მოდის. მე კი ვამბობ: რაოდენ დიდი მადლია!

მინდა ჩემი ოცნება გაგიზიაროთ: დიდი სურვილი მაქვს მოვქებნო ჩემი სკოლის მასწავლებლები და მათ ღმერთის მადლის შემწეობით ჩემი დაწერილი თხუთმეტი წიგნი ვაჩვენო; დავინახო, როგორ გაოცდებიან და შემდეგ ქრისტე ვუქადაგო. ეს ნაყოფები გამომარჩევს მათ თვალში და ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს საოცარ მადლს წარმოაჩენს!

ამიტომაც ამბობს პავლე გაბედულად: „რაც ვარ ღმერთის მადლით ვარ“ (1კორ.15:10.). მისმინჯ ძვირფასო მკითხველო: შენ ვინც ხარ, იმიტომ არ ხარ, თუ სად დაიბადე, არც იმიტომ თუ რომელი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ხარ, რა სქესის ხარ, ან სად მიიღე განათლება. შენ ვინც ხარ – ეს ღმერთის მადლით ხარ!

თავიდან არ გამომდიოდა ხალხის წინაშე ლაპარაკი. ლიზამ ჩვენი ქორნინების შემდეგ ჩემი პირველი ქადაგება მოისმინა, ლაპარაკის დაწყებიდან ათ წუთში ჩაეძინა. მის გვერდზე მისი საუკეთესო მეგობარი ემი იჯდა და მასაც ჩაეძინა! ასე ეძინათ ქადაგების ბოლომდე.

ორი წლის წინ, 1984 წელს ჩაწერილი ვიდეო კასეტა აღმოაჩინა, სადაც მე ვლაპარაკობდი. მან ჩართო და ყურება დაიწყო. რამდენიმე წამში კი ვიყვირე: „ლიზა გადააგდე ეგ კასეტა!“.

დღეს კი, მხოლოდ ღმერთის მადლის შეწევნით, ხუთიათასი, ათიათასი, და ზოგჯერ ოციათასი აღამიანის წინაშეც მიწევს

საუბარი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ხალხი მეკითხება:

– „ლაპარაკის დაწყებამდე არ ნერვიულობ?“.

– „არა, საერთოდაც არა,“ – ვპასუხობ მე.

ჩემი ეს პასუხი აბნევს მათ. „როგორ შეგიძლია ამდენი ხალხის წინაშე იდგე და არ ნერვიულობდე?“.

ვიცინი და ვამბობ: „ვიცი, რამდენად ცუდი ვარ ამ საქმეში, და თუ არა ღმერთის მადლი, ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდები“. მაგრამ ვიცი, რომ ღმერთის მადლი არასოდეს განიცდის მარცხს. ის ყოველთვის ჩემთან არის!

ამიტომაც ამბობს პავლი: „მოწოდებულთაგან ბევრი არ არის ხორციელად ბრძენი, ბევრი არ არის ძლიერი და ბევრი არ არის წარჩინებული“ (1კორ.1:26;). რატომ? იმიტომ, რომ ბრძენი, ძლიერი და წარჩინებული ადამიანები საკუთარ შესაძლებლობებზე იქნებიან დამოკიდებული და არა ღვთის მადლზე.

თავიდან პავლე ერთ-ერთი ბრძენი და წარჩინებული ადამიანი იყო. „თუმცა შემეძლო ხორცის იმედი მქონოდა,“ – ნერდა პავლე მოციქული ფილიპელებს (3:4;). მაგრამ მან მადლზე დაიმედება არჩია: „მაგრამ რაც ჩემთვის მოგება იყო, წაგებად ჩავთვალე ქრისტეს გულისათვის“ (ფილ. 3:7;). რატომ აღმოჩნდა ეს ადამიანური მახასიათებლები გამოუსადეგარი? იმიტომ, რომ პავლე მოციქულს სურდა აღდგომის ძალაში ევლო „რომ შევიცნო იგი და მისი აღდგომის ძალა“ (მუხ. 10). ეს არ წიშნავს იმას, რომ პავლე თავად არაფერს აკეთებდა. ის გულმოდგინედ სწავლობდა, რათა წარმოქმინა საკუთარი თავი და მხურვალედ ლოცულობდა, რომ ღმერთის ნების ცოდნით აღვისილიყო – სიბრძნით და სულიერი შემეცნებით. პავლე თავადაც მოქმედებდა და ჩვენც ასევე უნდა ვიქცეოდეთ, მაგრამ ის მთლიანად ღმერთის ძალაზე იყო დაიმედებული, რათა თავისი ადამიანური მცდელობა ღვთიური სიძლიერის გამოვლინებად ექცია.

თუ შენ სტუდენტი ხარ, გულმოდგინედ უნდა ისწავლო, მაგრამ ამავდროულად უნდა მიენდო ღმერთს, რომ შეგენიოს იმაში, რისი გაკეთებაც საკუთარი ძალით არ შეგიძლია. თუ ექიმი ხარ, მუდამ ინფორმირებული უნდა იყო თანამედროვე მიღწევებით და გამოგონებებით, მაგრამ შენი საყრდენი საკუთარი განათლება და უნარი ვერ იქნება. თუ პროფესიონალი სპორტსმენი ხარ, გამუდმებით უნდა ვარჯიშობდე, მაგრამ შენი გაბედულება ღმერთის მადლში უნდა იყოს, რათა ურნმუნო ათლეტებზე ბევრად უკეთესი იყო.

გახსოვთ, რაც წინა თავში აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენმა შემოქმედმა ღმერთმა ჩვენი ბიოგრაფია ჩვენს დაბადებამდე დაწერა? წავიკითხეთ დავითის საქებარი სიტყვები: „ჩემი ჩანასახი იხილეს შენმა თვალებმა და შენს წიგნში ჩაწერილია

დღენი მომავლისა ჩემისა, როცა ჯერ არ იყო არცერთი მათგანი“ (ფსალ. 138:16;).

მოდით, თქვენი ბიოგრაფიის შესახებ გეტყვით. შენთვის შეუძლებელია საკუთარი ძალით აღასრულო, ღმერთის მიერ დაწერილი შენი ბიოგრაფია. შენ უბრალოდ ვერ შეძლებ ამის გაკეთებას. თუკი ღმერთის დაწერილ ბიოგრაფიას თავად შეასრულებდი, მაშინ მას მოუწევდა თავისი დიდების შენთვის გაიზიარება. ღმერთი კი ამას არ გააკეთებს! იგი გასაგებად აცხადებს: „არ მივცემ ჩემს დიდებას სხვას“ (ესაია 42:8;). ასე, რომ ღმერთმა შენი ბიოგრაფია გამიზნულად დაწერა ისე, რომ შენს ძალებს აღემატებოდეს, რათა მხოლოდ მისი მადლით შესძლო აღსრულება. აქედან გამომდინარე მთელს დიდებას ის ღებულობს!

სწორედ ამას ვეუბნები ადამიანებს ჩემი დაწერილი წიგნების შესახებ. ჩემზე კარგად არავინ იცის ვინ წერს ამ წიგნებს. მათი დაწერა ჩემს უნარს აღემატება. ჩემი სახელი კი მათზე მხოლოდ იმიტომ წერია, რომ პირველად მე წავიკითხე ისინი. ვიცი, რომ რაც ვარ მისი ძალით ვარ, მისი მადლით და არა ჩემით. ეს ღმერთის საჩუქარია.

თუმცა საყურადღებო რეალობა ის არის, რომ ამერიკელი ქრისტიანების მხოლოდ ორი პროცენტისთვის არის ცნობილი იმ მადლის ძალის შესახებ, რომელიც აუცილებელია დაწერილი ბიოგრაფიის აღსასრულებლად. როგორ შეუძლია 98 პროცენტს მხოლოდ საკუთარი ძალით აღასრულოს თავიანთი მოწოდება? რეალობა ის არის, რომ მათ არ შეუძლიათ ეს. იქნებ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ვერ ვხედავთ ცვლილებას ჩვენს საზოგადოებაში?

## მისადგომელი

უფასო საჩუქარი!

ძალა, ღმერთის მადლი, რის შესახებაც ვწერ, არ შეგიძლია დაიმსახურო, მოიპოვო, ან მიიღო საკუთარი მცდელობით. როგორც პავლე აცხადებს, რწმენა მხოლოდ მადლით მიიღება: „ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგნით კი არ არის, არამედ ღვთის ნიჭია, არა საქმეთაგან, რათა არავინ დაიკვეხნოს“ (ეფეს. 2:8-9;). რომაელ მორწმუნებებს კი მიმართავს: „რომლის მეშვეობითაც რწმენით მოვიპოვეთ მისადგომი ამ მადლთან, რომელშიც ვდგავართ და ვიქადით ღვთის დიდების სასოებით“ (რომ. 5:2). რა გვაძლევს მისადგომელს ღმერთის მადლთან? არა კარგი ცხოვრებით

ცხოვრება, ორ საათიანი ლოცვა, თვეში ორჯერ მარხვა – არა-ნაირი ადამიანური მცდელობა. ამ მადლთან მხოლოდ რწმენით გვაქვს მისადგომელი!

მაში, უბრალოდ რატომ არ გვწამს? მოდით, ასე შევხედოთ. თუ შენს ჭაში წყალი დაშრობას იწყებს, პრობლემა გაქვს. სა-სმელი წყლის გარეშე, შენ და შენი ოჯახი რამდენიმე დღეში დაიხოცებით. მაგრამ, ქალაქისკენ მიმავალ გზაზე არის ერთი უაზრმაზარი, მილიონობით ლიტრი სასმელი წყლით სავსე ავზი, და იქიდან წამოსული ერთი მთავარი მილი შენი სახ-ლის ჭიშკართან გადის. რას მოიმოქმედებ? წახვალ ქალაქის მერიაში და ნებართვას აიღებ. შემდეგ სანტექნიკის მაღაზიაში შეივლი სათანადო ზომის მილებს იყიდო და მთავარი მილიდან სახლში შეიყვან წყალს. ახლა შენთვის ხელმისაწვდომი გახ-დება მილიონობით ლიტრი დასალევი წყალი – უფრო მეტი ვიდრე შენს ოჯახს სჭირდება. მარტივად რომ ვთქვათ რწ-მენა მადლის მილსადენია. აქედან გამომდინარე ასე შეგვი-ძლია წავიკითხოთ რომაელთა 5:2: „ჩვენ გვაქვს მისადგომელი რწმენის მილსადენთან, რომელშიც ჩვენთვის საჭიროზე მეტი მადლი მოედინება“. ეს მარტივი საკითხია: მადლთან მისასვ-ლელი ერთადერთი გზა რწმენაა. ამიტომაც ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი აცხადებს: „ვინაიდან სახარება ჩვენც გვეუ-წყა, როგორც მათ. მაგრამ მათთვის სარგებლობა არ მოუ-ტანია მოსმენილ სიტყვას, ვინაიდან არ შეერწყა მსმენელთა რწმენას“ (4:2;).

სალხი, რომელზეც აქ არის საუბარი აბრაამის შთამომავ-ლები იყვნენ – ღმერთის აღთქმების მემკვიდრეები. ფიგურალ-ურად თუკი ვიტყვით, ზეცის მთელი ძალა და მარაგები მათი სახლების თუ კარვების წინ გაედინებოდა. მაგრამ ისინი არ სარგებლობდნენ ღმერთისაგან მათთვის უსასყიდლოდ მიცე-მული შეწევნიდან, რადგან ისინი არ მიუერთდნენ „რწმენის მილს“, რათა მიელოთ ღმერთისაგან მათთვის აღთქმული.

ასევე, თუ მხოლოდ ამერიკელი მორწმუნების 2 პროცენტ-მა იცის, რომ მადლი ღმერთისაგან მომდინარე უსასყიდლო ძალაა – რომელიც გვაძლევს საშუალებას ავმაღლდეთ ჩვენს ბუნებრივ შესაძლებლობებზე და ვიბრნყინოთ ჩაბნელებულ სამყაროში საოცარი საქმეების მეშვეობით – მაშ ჩვენ, რო-გორც ეკლესიამ, როგორ ვირწმუნოთ? როგორ ვიყოთ თანა-მონაწილენი? პავლემ ეს ასე თქვა: „როგორ ირწმუნონ, ვისზეც არ სმენიათ? როგორ მოისმინონ მქადაგებლის გარეშე?“ (რომ. 10:14;).

თუ ჩვენ არ გვეცოდინება რას ამბობს ღმერთის სიტყვა ღმერთის ძალისმომცემ მადლზე, მაშ, როგორ ვირწმუნოთ? ჩვენ არ შევგიძლია გვწამდეს ის, რაც არ ვიცით.

თუკი არ გვაქვს მილსადენი, რომლის მეშვეობითაც მადლ-

თან გვექნება მისადგომელი, მაშინ მისი სიტყვის აღთქმას არა-ნაირი სარგებელი არ ექნება ჩვენთვის.

ეს ამწუხრებს ღმერთის გულს. იესომ უზარმაზარი საფასური გადაიხადა იმისათვის, რომ დანიელზე და იოანე ნათლისმცე-მელზე მეტი ვყოფილიყავით —

ვყოფილიყავით ცოცხალი მაგ-ალითები მისი უხვი სიცოცხლი-სა. ჩვენ კი სიტყვა მადლის შეს-ახებ დავაკინეთ და მხოლოდ პატიების და მარადიული ცეცხ-ლისაგან თავის არიდების საშუ-ალებად მივიღეთ. ეს საოცარი ნიჭები სათანადოდ არ გამოვიყ-

ჩვენ არ შეგვიძლია  
გვნამდეს ის, რაც არ  
ვიცით.

ენეთ ცხოვრებაში. ამიტომაც ვერ ვახერხებთ ღმერთის საქ-მის კეთებას ამ ჩაბნელებულ სამყაროში, ვერ ვცხოვრობთ მო-შურნედ მის სადიდებლად.

იესოს მისმა მიმდევრებმა უთხრეს: „როგორ მოვიქცეთ, რომ ღვთის საქმენი ვაკეთოთ?“ (იოან. 6:28;). ისინიც იტანჯე-ბოდნენ. მათაც სურდათ დახმარებოდნენ ტკივილებში მყოფ კაცობრიობას ღმერთის ძალით. იესო მოუწოდებდა, რომ მის მაგალითს მიყოლოდნენ. შეწუხებულებმა ბოლოს თქვეს: „რო-გორ გავაკეთოთ ის, რასაც შენ აკეთებ?“ იესომ რა მარტივი პასუხი გასცა? „იქონიეთ რწმენა“ (იოან. 6:29;).

ეს არის რწმენა! უბრალოდ ირწმუნო, რომ ღმერთის „მად-ლის სიტყვა“ არის ის, რასთან ზიარებაც გესაჭიროება. ასე მიმართავდა პავლე ეფესელ მორწმუნეებს: „ახლა კი, ძებო მიგანდობთ უფალს და მისი მადლის სიტყვას, რომელსაც შეუ-ძლია აგაშენოთ და მოგცეთ სამკვიდრებელი ყველა განწმ-ედილთან ერთად“ (საქ. 20:32;).

პავლე ტკივებდა თავის საყვარელ ადამიანებს; იცოდა, რომ ზეცის ამ მხარეს ეს მათი ბოლო საუბარი იყო. როცა იცი, რომ უკანასკნელ სიტყვებს ამბობ, მაშინ ძალიან ფრთხილად არჩევ იმ სიტყვებს, რომელიც გინდა, რომ შენს ძვირფას ადამიანებს უთხრა. პავლემ ეს ადამიანები არა მხოლოდ ღმერთს მიანდო, არამედ მისი „მადლის სიტყვასაც“.

დღეს ბევრი კეთილი განზრახვის მქონე ქრისტიანებისაგან მესმის სასიამოვხო სიტყვები „შენ უნდა მიენდო ღმერთს“ ან „ერთადერთი რაც ცხოვრებაში გჭირდება, ეს ღმერთია“ ან „უბრალოდ მიუახლოვდი ღმერთს.“ მართალია ეს კარგი ნათქ-ვამია, მაგრამ არასრულია. პავლემ მორწმუნები მიანდო არა მხოლოდ ღმერთს, არამედ მისი „მადლის სიტყვასაც“. ღმერ-თის მადლი გვაშენებს ჩვენ და გვაძლევს მემკვიდრეობას. და რა არის შენი მემკვიდრეობა? ეს არის შენი ბიოგრაფია, რო-მელიც ღმერთმა ჯერ კიდევ შენს დაბადებამდე დაწერა!

გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ არასრულად ვასწავლით მადლის შესახებ, ბევრი ქრისტიანი (უფრო ზუსტად 98%) ფიქრობს, რომ ღმერთის ეს უზარმაზარი ძალა მხოლოდ მაშინ არის ხელმისაწვდომი, თუ საკმარისად ვმარხულობთ და ვლოცულობთ, თუ საკმარისად გულმოდგინეთ ვშრომობთ ქრისტიანულ მსახურებაში, თუ საკმარისად წმინდა ცხოვრებით ვცხოვრობთ. აյ კი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არ ვიცით რამდენია საკმარისი. ამის გამო წერდა პავლე მოციქული გალატელებს:

უპასუხეთ კითხვას: ვინც სული მოგცათ თქვენ და თქვენს შორის სასწაულებს ახდენდა, რჯულის საქმეებით აკეთებდა ამას თუ რწმენის შესმენით? (გალ. 3:5;)

„დამქანცველ მორალურ მცდელობებს“ შორს ვერ მივყავართ, რადგან ის საკუთარი ძალისა და მცდელობის წარმოჩინებაა. ამ თავში გადმოცემული მთავარი გაკვეთილი არის ის, რომ ღმერთის უსასყიდლო ძალისმომცემ მადლში, ჩვენი წარმატების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი – ესაა მიენდო მის მადლს რწმენის მეშვეობით.

ასევეა თქვენი გადარჩენის საკითხშიც. ნახეთ, როგორ ამბობს პავლე: „შეგეკითხებით: როგორ დაიწყო თქვენი ახალი ცხოვრება? ღმერთის თვალში მოწონება რჯულის საქმეების კეთებით დაიმსახურეთ? თუ ღმერთის სიტყვაზე მინდობით?“ (გალ. 3:2).

ჩვენ ხსნა მივიღეთ მადლის მეშვეობით, უბრალოდ დავიჯერეთ და მივიღეთ ღმერთის სიტყვა. ახლა კი უნდა გავაგრძელოთ მადლით ცხოვრება, მოვიმოქმედოთ დიადი საქმეები ჩვენი გავლენის სფეროებში.

## ჩიპუაჟუა თუ გრიზლი?

დავბრუნდეთ უკან იმ შეკითხვასთან, რომელიც მე-3 თავში დავსვით. გვაქვს თუ არა შეუპოვრობისათვის საჭირო ძალა და უნარი ჩვენს რწმენაში? ჩიპუაჟუას ვგავართ თუ გრიზლის?

მას შემდეგ, რაც წმინდა წერილს ჩავულრმავდით და შევისწავლეთ, იმედი მაქვს სიხარულით და გაბედულებით დამეთანხმებით განვაცხადო, რომ ჩვენ გრიზლის ვგავართ. მოდით, ამ შემართებით გავაგრძელოთ იმის გარკვევა, თუ რას ნიშნავს შეუპოვარი ცხოვრება!

## იხილე ან შედი

„ისინი, რომლებიც უხვად მიიღებენ მადლს და სიმართლის ნიჭს,  
იმეფებენ სიცოცხლეში ერთის,  
იესო ქრისტეს მეშვეობით“  
რომაელთა 5:17;

**3** იმედოვნებ, რომ თუ რომაელთა მიმართ წერილს (5:17;)  
ხშირად შეგახსენებთ მოცემული წიგნის ფურცლებიდან,  
იგი ითან.3:16-ის მსგავსად თქვენი არსების შემადგენე-  
ლი ნაწილი გახდება. შესაძლოა, დადგეს მომენტი, როცა ამ  
მუხლის ციტირებას შუალამით გაღვიძებულებიც კი შეძლებთ,  
და მაშინ მტკიცედ გეცოდინებათ, რომ თქვენი მეფობა ამ  
ცხოვრებაში ღმერთის ნებაა. ამ ჭეშმარიტებისადმი ურყევი  
რწმენა აუცილებელია იმისათვის, რომ წარმატებით დაასრუ-  
ლოთ სარბიელი და საკუთარ თავს ხედავდე, როგორც გამარ-  
ჯვებულ და შეუპოვარ მორწმუნეს.

ვიდრე გავაგრძელებთ წარმოდგენილი თემის შესწავლას,  
ნება მიბოძეთ გავიმეორო ის ფუნდამენტური ჭეშმარიტება,  
რომლის შესახებაც მოცემულ წიგნში ვსაუბრობ: „ყველა, ვინც  
უსასყიდლოდ მიიღო ღმერთის მადლი, შემოსილია ძალით,  
რათა უმაღლესი პოზიცია დაიკავონ ცხოვრებაში“. ჩვენ ვართ  
თავი და არა კუდი, ცხოვრებისეულ გარემოებებზე მაღლა მდ-  
გომი და არა პირიქით. ჩვენ უნდა ვიყოთ სასუფევლის სამაგ-  
ალითო წარმომადგენლები, რომელთაც ღმერთის სიცოცხლე  
მოაქვთ დედამიწაზე.

**რატომ არ მეფობს ცხოვრებაში ერისტიანთა  
უმრავლესობა?**

რატომ არ ცხოვრობს ასე ყველა ქრისტიანი? რატომ არის  
ქრისტიანების დიდი ნაწილი გავლენის ქვეშ, თავად ისინი კი  
არ ან ვერ ახდენენ გავლენას და არ მეფობენ?

ჩვენ უკვე მივაგენით ყველაზე მთავარ და ყველაზე ნათელ მიზეზს. 2009 წელს ჩატარებულმა ეროვნულმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ ამერიკელ მორნმუნეთა 98%-მა არ იცის, რომ ღმერთის მადლი არის ძალა. ვფიქრობ, სამწუხაროდ ეს სტატისტიკა ზოგადად ეკლესის მდგომარეობის მაჩვენელია არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ მთელს დასავლურ სამყაროში. ამ უცოდინრობის გამო, მორნმუნეთა დიდი ნაწილი ვერ ცხოვრობს ღმერთის განზრახვის შესაბამისად. ისინი არ განსხვავდებიან იმ აფრიკული ტომის წარმომადგენლებისგან, რომელთაც ლენდ როველი ჰყავთ, მაგრამ არ იციან, რომ მისი დანიშნულება ტრანსპორტირებაა. ისინი კვლავაც ფეხით დადიან და ზურგზე მოგდებული მძიმე ტვირთით გრძელ გზას გადიან.

მოცემული წიგნის დანარჩენ ნაწილში ვისაუბრებთ მეორე მიზეზის შესახებ, თუ რატომ არ მეფობენ მორნმუნები ცხოვრებაში. დავიწყებთ იმ სიტყვების განხილვით, რომელიც იესომ უთხრა ნიკოდემოსს, ებრაელ ლიდერს, რომელიც ჩუმად მივიდა მოძღვართან სასაუბროდ. პირველი, რაც იესომ მას უთხრა, იყო: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიდად გეუბნები შენ: ვინც ხულისა და სულისგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში“ (იოან. 3:5). რატომ აკეთებს იესო ასეთ გადასვლას, ჯერ ეუბნება, რომ ვერ „იხილავ“ (მუხ.3), შემდეგ კი საუბრობს, რომ ვერ „შევა“ (მუხ.5)? როდესაც ვცდილობთ ჩავწვდეთ და განვმარტოთ წმინდა წერილის ესა თუ ის ადგილი მხოლოდ მშობლიური ენის ცოდნაზე დაყრდნობით, ხშირად შეიძლება მოცემული ტექსტის რეალური და მთავარი მნიშვნელობა გამოგვრჩეს. თუ მივმართავთ ორიგინალის ენას, ე.ი. ენას, რომელზეც დაიწერა სახარება, უკეთ და სწორად გავიგებთ, რისი თქმა უნდა ღმერთის ამ ნაწყვეტში.

როდესაც იესო ღვთის სასუფევლის შესახებ საუბრობს, სინამდვილეში გულისხმობს „ღმერთის მეფობას“. სახარებებში ყველაზე ხშირად „ღვთის სასუფევლის“ მნიშვნელობით გამოიყენება ბერძნული სიტყვები: „basileia tou Theos“ (ბასილეია თოუ თეოს). „Theos“(თეოს) ნიშნავს „ღმერთი“, „basileia“(ბასილეია)

– „მეფობა, მმართველობა, მეფური ძალაუფლება“. „basileia“ (ბასილეია) წარმოშობილია ბერძნული სიტყვიდან, რომელიც ნიშნავს „ბაზა“ ან „ფუნდამენტი“. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ „basileia tou Theos“-ს (ბასილეია თოუ თეოს) ყველაზე კარგი თარგმანია „ლმერთის იმპერიული მმართველობა“ ან „ლმერთის დომინირება“. მე მომწონს სიტყვა იმპერიული. მისი ერთ-ერთი განმარტებაა „უზენაესი ძალაუფლების მქონე“.

მაგალითად, მამაო ჩვენოს ლოცვაში, იესო ასეთი ლოცვის ნიმუშს გვაძლევს: „მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმინდა იყოს სახელი შენი. მოვიდეს სუფევა შენი. იყოს ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ (ლუკ.11:2;). სხვა სიტყვებით, იესო ამბობს: „მამაო ზეციერო, შენ ხარ ლმერთი ყოვლისშემძლე. მოვიდეს შენი უზენაესი მმართველობა. აღსრულდეს ნება შენი მიწაზე, ისე როგორც ზეცაში“. მაგრამ პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ბევრი ადამიანის აზრით ეს სიტყვები ეკუთვნის მომავალ დროს მაშინ, როდესაც უფლის სამეფო უკვე მოსულია! მართალია ის ფიზიკურად ჯერ არ გამოვლენილა, როგორც ესაია წინასწარმეტყველებდა, რადგან ფიზიკურად მაშინ დადგება, როცა იესო გამეფდება საუკუნოდ და სატანის გავლენას ბოლო მოელება. მაგრამ ლმერთის სამეფო უკვე დადგა სულიერად. ის ჩვენშია, ლმერთის ხალხში, რამეთუ იესო ამბობს: „ლვთის სასუფეველი არ მოვა თვალსაჩინოდ. არც იტყვიან აგერ აქ არისო, ვინაიდან, აჲა, თვითონ თქვენშია ლვთის სასუფეველი“ (ლუკ.17:20-21;).

გოლგოთის მსხვერპლის წყალობით ლვთის სასუფეველი ახლა ყველა მის მორწმუნებია. ჩვენ უნდა გავავრცელოთ მისი გავლენა და მმართველობა ყველგან, სადაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ და სადაც არ უნდა მივდიოდეთ. ჩვენ უნდა ვიმეფოთ ცხოვრებაში ლმერთის მადლის ძლიერი ნიჭის მეშვეობით, რომელიც იესო ქრისტემ უსასყიდლოდ გვიბოძა.

მოდით, განვიხილოთ წმინდა წერილის სხვა ადგილებიც, სადაც იესო იყენებს ფრაზას „ლმერთის სასუფეველი“ და ის შეცვალოთ გამონათქვამით: „ლმერთის უზენაესი ძლიერი მმართველობა“. საოცარია, რამდენად იცვლება ამ ორი გამონათქვამის მნიშვნელობები, რაოდენ დიდ აზრს იძენენ თითოეული მორწმუნისათვის.

მაგალითად, მათეს სახარებაში (12:28;) იესო გვასწავლის: „თუ მე ეშმაკებს ლმერთის სულის მეშვეობით ვდევნი, მაშინ ლმერთის უზენაესი, ძლიერი მმართველობა მოსულა თქვენზე“. ლმერთის სული, რომელზეც იესო საუბრობს, სულინმიდაა,

სამების ერთ-ერთი წევრი, იგი წარმოაჩენს ღმერთის მადლს (ძალას), რომელსაც ვფლობთ. მას ახალ აღთქმაში „მადლის სული“ ენოდება (იხ. ებრ. 10:29;).

კიდევ ერთი ადგილი წმინდა წერილიდან, სადაც იესო ღვთის სასუფევლის შესახებ ლაპარაკობს: „აქლემისთვის უფრო ადვილია ნემსის ყუნწში გაძრომა, ვიდრე მდიდრისათვის ღმერთის უზენაეს, ძლიერ მმართველობაში შესვლა (მათ. 19:24;).

მდიდარია ის, ვინც ამბობს: „მთელი ძალა და უნარი, რომელიც წარმატებისათვის მჭირდება, ჩემშია“. მას სჯერა, რომ ინტელექტით, ფულით, ფიზიკური ძალით, კავშირებით და რესურსებით თავად შეძლებს საკუთარი თავის სრულად უზრუნველყოფას. მაგრამ იესოს შეუძლია უფრო მკვეთრად დაინახოს არსებული სურათი. „ნეტარნი ხართ, გლახავნი, ვინაიდან თქვენია ღმერთის უზენაესი ძლიერი მმართველობა“ (ლუკ. 6:20;).

იესო გლახავს ანუ ღარიბს არ უწოდებს იმ ადამიანებს, რომელთაც არ გააჩნიათ ფული. იგი ლოცავს იმათ, ვინც ღმერთის მადლზეა მინდობილი. იესო ამბობდა, რომ სული ღვთისა იყო მასზე, რათა გლახაკთათვის ეხარებინა ხსნის სახარება, თუმცა ძალიან ხშირად იგი შეგნებულად ხვდებოდა, სტუმრობდა და ემსახურებოდა ფინანსურად მდიდარ ადამიანებს. აქლემის ნემსის ყუნწში გაძრომაზე იესომ მდიდარ ახალგაზრდასთან შეხვედრის შემდეგ ისაუბრა, რომელიც თავის სიმძიდრეს უფრო ენდობოდა, ვიდრე ღმერთს.

ნავიკითხოთ წმინდა წერილის კიდევ ერთი ადგილი, სადაც იესო ღვთის სასუფევლის შესახებ ლაპარაკობს: „თქვენ მოცემული გაქვთ ცოდნა ღვთის უზენაესი ძლიერი მმართველობისა; ხოლო გარეშეთათვის ყველაფერი იგავებით ითქმის“ (მარკ. 4:11;). ის ძალაუფლება, რომელიც ღმერთის მადლით ჩვენთვის ხელმისაწვდომია, ნამდვილად საიდუმლოებაა — დაფარული ჭეშმარიტება, რომლის გაცხადებაც, მხოლოდ სულინმიდას შეუძლია. „რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს. ჩვენ კი გაგვიმხილა ღმერთმა თავისი სულით“ (1კორ. 2:9-10;). ის ფაქტი, რომ შენ და მე შეგვიძლია ვიმეფოთ ამ ცხოვრებაში ღმერთის მადლის მეშვეობით, დაფარული იყო მანამ, სანამ სულინმიდამ არ გაგვიცხადა მოციქულთა მხრიდან, რომლებმაც ახალი აღთქმა დაწერეს. ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია ვირწმუნოთ.

აი, კიდევ ერთი განაცხადი, რომელიც იესომ გააკეთა ღმერთის სამეფოსთან დაკავშირებით: „ჭეშმარიტად გეუბნებით

თქვენ: არიან ზოგიერთნი აქ მდგომთაგან, რომელნიც არ იგე-მებენ სიკვდილს, სანამ არ იხილავენ ღმერთის უზენაეს ძლიერ მმართველობას, ძლიერებით მოსულს“ (მარკ. 9:1;). თავად მე-სია ამბობს ამ სიტყვებს, ე.ი. ჩვენი რწმენა უნდა განმტკიცდეს კიდევ უფრო მეტად. ღვთის სასუფეველი მხოლოდ მომავალში კი არ დადგება, არამედ ის უკვე აქ არის. ღმერთის უზენაეს-მა ძლიერმა მმართველობამ აავსო ის ადამიანები, რომლებიც გაყვნენ იქსოს როგორც კი სულინმიდა გადმოვიდა ორმოც-დამეათე დღეს. იქსო ამ თვალსაზრისით ეუბნება მწიგნობარს, როცა ის ბრძნულად პასუხობს მას: „შენ შორს არ ხარ ღმერ-თის უზენაესი, ძლიერი მმართველობისგან“ (მარკ. 12:34;).

როგორც ხედავთ, დასახელებულ მაგალითებში ღვთის სასუფეველი ბევრად დიდ მნიშვნელობას და ძალას იძენს, როდესაც მას ისე ვკითხულობთ, როგორც ბერძნულ ტექსტშია მოცემული. უფრო ბევრის მთქმელი შეიძლება იყოს ფრაზა „ღმერთის უზენაესი ძლიერი მმართველობა“, ვიდრე ტერმინი „ღვთის სასუფეველი“ და კიდევ უფრო მეტად გაგამხნევებთ, თუ ტერმინს „ღვთის სასუფეველი“ შეცვლით ფრაზით „ღმერ-თის უზენაესი ძლიერი მმართველობა“.

მაგრამ მნიშვნელოვანია ღმერთის უზენაესი ძლიერი მმართველობის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გვახსოვდეს. მან თავისი მართველობის დელეგირება ჩვენზე მოახდინა! „ცა – ცად უფლისათვის; ხოლო ქვეყანა მისცა კაცთა შვილებს“ (ფსალ. 113:24;). იქსომ, როგორც ძე კაცისამ, უკან დაიბრუნა ის, რაც ადამია დაკარგა. შემდეგ უფალი ამბობს: „მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება (ძალა მმართველობისა) ზეცასა და დედამინაზე“ (მათ. 28:18;). ქრისტე, ჩვენი უფალი და მეცე, უკვე აღარ იმყოფება დედამინაზე, ამიტომ მე და შენ, ქრისტეს სხეულმა, უნდა წარმოვაჩინოთ ღმერთის უზენაესი მმართვ-ელობა. თუ ჩვენ არ ვიმეფებთ, მაშინ მმართველობა წუთი-სოფლის ძალთა არეალში დარჩება, რომლებიც იბატონებენ ჩვენს ცხოვრებაში. ეს არ არის ღმერთის გეგმა! ჩვენ ვფლობთ ღმერთის მადლის ძალას, რათა ქრისტეს მეშვეობით ვიმეფოთ ცხოვრებაში!

## იხილე ან შედი

მოდით, ყურადღებით განვიხილოთ იქსოს მიერ ნიკოდემო-სისათვის ნათქვამი სიტყვები. გაიხსენეთ, რა უთხრა მოძლ-ვარმა მას: „ვინც ხელახლად არ იშვება, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს“ (იოან. 3:3;). რამდენიმე წამის შემდეგ, უფალი

ასეთ რამეს ამბობს: „ჭეშმარიტად გეუბნები შენ, ვინც წყლი-სა და სულისაგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში“ (იოან. 3:5;).

ახლა, როდესაც გაცილებით მეტი გავიგეთ ღვთის სასუფევლის შესახებ, გავეცანით რა ორიგინალს, ჩვენთვის გასაგები ხდება, თუ რატომ ყოფს იესო ერთმანეთისგან ორ ცნებას: სასუფევლის „ხილვა“ და სასუფეველში „შესვლა“. თუკი ჩვენ ღმერთის სასუფეველს ფიზიკურ ადგილად წარმოვიდგენთ, მაგალითად ისეთად როგორიც ზეცაა, მაშინ მე-3 მუხლის მიხედვიდ ხელახლად შობა საკმარისი არაა იმისათვის, რომ „შევიდეთ“ სასუფეველში, ის საკმარისია მხოლოდ იმისათვის, რომ „ვიხილოთ“ სასუფევლი. რა თქმა უნდა, ეს არასწორია. როდესაც შენ ხვდები, რომ იესო ღმერთის უზენაესი, ძლიერი მმართველობის შესახებ საუბრობს, მაშინ ეს მუხლები სრულიად სხვა მნიშვნელობას იძენენ და უფრო გასაგები ხდება.

ბერძნულ ენაზე სიტყვა „ხილვა“ მე-3 მუხლში არის „eido“ (ეიდო). მისი ძირითადი მნიშვნელობებია: „დანახვა, აღქმა, ახსნა, გაგება“. იესო გვეუბნება, რომ ყველას, ვინც ზეციდან არის ნაშობი, შეუძლია იხილოს, აღიქვას, იცოდეს და განმარტოს ღმერთის უზენაესი, ძლიერი მმართველობა – ღვთის სასუფეველი.

მე-5 მუხლში იესო აღარ იყენებს სიტყვას „ხილვა“ (eido); იგი იყენებს სიტყვას „შესვლა“, გულისხმობს სასუფეველში შესვლას. ბერძნულ ენაზე სიტყვა „შესვლა“ ნიშნავს „eiserchomai“ (ეისერქომაი). მისი ძირითადი მნიშვნელობებია: „ადექი და შედი“, „ადექი და შედი შიგნით“. იესო ამ ორ ფრაზაში მდგომარეობიდან („ცოდნა“) გადადის მოქმედებაზე („ადექი და შედი“). ხედავთ განსხვავებას?

მოვიყვან ილუსტრაციას. როდესაც თვითმფრინავში ავდივარ და სადმე გაფრენას ვაპირებ, ვიცი რომ საპაერო ხომალდს აქვს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს მიზიდულობის კანონს, მგზავრებთან ერთად აინიოს ჰაერში და სასურველ ადგილას მიმიყვანოს. მე, როგორც მგზავრს, შემიძლია ვიხილო და განვიცადო კიდეც თვითმფრინავით მგზავრობის სიკეთე.

ერთ დღეს მეგობარმა ფრენის გაკვეთილების სახელმძღვანელო მაჩიუქა. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ, ავდივარ ერთ ძრავიან თვითმფრინავში და ინსტრუქტორი მეუბნება, თუ რა გავაკეთო. მალე უკვე ჰაერში ვარ აჭრილი. თითქმის დაუჯერებელ განცდებში ვარ. პირველი აზრი, რაც თავში მომდის არის ის, რომ შემიძლია გავფრინდე, საითაც და როგორც

მომესურვება. აქ არ არსებობს გზა, არანაირი ბილიკი. მე თავად ვქმნი გზას და მარშრუტს. ადრე, როგორც მგზავრმა, ვიცოდი რისი გაკეთება შეეძლო თვითმფრინავს და თან შემეძლო ამ სიკეთების საკუთარ თავზე გამოცდა, ახლა თავად ვარ პილოტი და შემიძლია იქით წავიდე, საითაც მინდა. მე ფრენის თავისუფლებაში შევეძლო.

იესოს სიტყვებიდან ჩანს, რომ ორი სახის მორწმუნე არსებობს. პირველი ჯგუფი შეგვიძლია თვითმფრინავში მჯდომ მგზავრებს შევადაროთ, რომლებმაც იციან, აღიქვამენ და პირადად განიცდიან ფრენის სიკეთეს. მეორე ჯგუფს ეკუთვნიან ის ადამიანები, რომლებიც დგებიან და შედიან მფრინავის კაბინაში და თავად განსაზღვრავენ, სად წავიდნენ, რა სიჩქარით და რა სიმაღლეზე. მგზავრები, მიუხედავად იმისა, რომ თავად განსაზღვრავენ დანიშნულების ადგილს, მაინც დამოკიდებულნი არიან იმათზე, ვინც იცის, როგორ მართოს თვითმფრინავი.

იმისათვის რომ კიდევ უფრო კარგად დავინახოთ განსხვავება ღმერთის სასუფევლის დანახვასა და მასში შესვლას შორის, წარმოიდგინეთ პატარა ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც კუნძულზე არიან ჩარჩენილი. ეს არის კუნძული, რომელიც სავსეა კაციჭამია ცხოველებით, შხამიანი გველებით, ობობებით და კიბორჩხალებით. თუ ეს ცოტაა, მოდით ვთქვათ, რომ ამ კუნძულზე ასევე ცხოვრობს კაციჭამია ტომი. ჩვენი პატარა ჯგუფი დიდ ხიფათშია ჩავარდნილი. თუმცადა არის ერთი კარგი ამბავიც: ამ კუნძულზე პატარა ასაფრენი ბილიკი და კარგ მდგომარეობაში მყოფი თვითმფრინავია. თვითმფრინავის ავზი სავსეა საწვავით და დგას ასაფრენ ბილიკზე. ამ საფრენ აპარატს თავისუფლად შეუძლია კუნძულზე ჩარჩენილი ადამიანები სამშვიდობოს გაიყვანოს. თუმცა ერთი დიდი პრობლემაა: ამ ჯგუფიდან არავინ იცის თვითმფრინავის მართვა! თითოეული ჩვენგანი დიდი გამოცდილების მქონე მგზავრია, მაგრამ არცერთს არ გაგვაჩნია მფრინავის სტატუსი, არცერთს არ შესწევს თვითმფრინავის მართვის უნარი. მართალია თვითმფრინავი გვანიჭებს ფრენის, უსაფრთხოებისა და თავისუფლების ძალას, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ძრავის ჩართვა და გაფრენა.

ეს სურათი გვაჩვენებს განსხვავებას იმ მორწმუნეს შორის, რომელიც მხოლოდ ხედავს, ან განიცდის ღმერთის უზენაეს, ძლიერ მეფობას და იმ მორწმუნეს შორის, რომელიც დგება და შედის ღმერთის უზენაეს, ძლიერ მეფობაში.

განსხვავება დიდია ხომ? შენ, რომელი მორწმუნე გინდა იყო?

## მეფობაში შესვლა

ლოგიკური კითხვა, რომელიც ზემოთთქმულიდან იბადება არის ის, თუ როგორ შეუძლია ღმერთის შვილს მეფობის დანახვიდან მასში შესვლა? სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ შეგვიძლია სულიერი მგზავრებიდან სულიერ მფრინავებად გადავიქცეთ? ამ კითხვას პავლე მოციქული პასუხობს.

სულინმიდისგან პირდაპირი მითითებით, პავლემ და ბარნაბაშ დატოვეს თავიანთი ეკლესია და გაემგზავრნენ პირველ სამოციქულო მოგზაურობაში (საქ. 13:1-4;). ბევრი მგზავრობის და აზიაში მრავალი ქალაქის მონახულების შემდეგ, ისინი სახლში ბრუნვნებიან. გზად რამდენიმე მათივე დაარსებულ ახალ ეკლესიას მოინახულებენ. რა თქმა უნდა, იმ დროში მოგზაურობა გაცილებით რთული იყო ვიდრე ახლა. მე შემიძლია ჩავჯდე თვითმფრინავში და ძალიან ადვილად ვესტუმრო მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეს ოცდაოთხი საათის განმავლობაში. ამ მჭირდება ვიფიქრო იმაზე, ამ ხალხს ისევ შევცვდები აქ დედამიწაზე თუ ზეცაში შორი მანძილის ან რთული მგზავრობის გამო. მაგრამ პავლეს დროს ეს ფიქრი მართლაც იყო დამწუხრების მიზეზი. როდესაც იგი ამ ეკლესიებს ტოვებდა, პავლემ იცოდა, რომ სრულიად შესაძლებელი იყო რომ მეტად ველარ ენახა ძვირფასი ადამიანები. ამიტომაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ პავლე მოციქული ამ ახალი მორწმუნების მიმართ სათქმელ სიტყვებს დიდი სიფრთხილით არჩევდა. და ის, რაც პავლემ მათ უთხრა, პირდაპირ ეხება იმას, თუ როგორ გადავდივართ მეფობის ხილვიდან მეფობის მმართველობაში:

„მრავალი დაიმონაფეს და დაბრუნდნენ ლუსტრას, იკონიას და ანტიოქიას, ამხნევდებდნენ მოწაფეთა სულებს და შეაგონებდნენ, მტკიცედ მდგარიყვნენ რწმენაში, ვინაიდან „მრავალი ჭირით გვმართებსო ღვთის სასუფეველში შესვლა“ (საქ. 14:21-22;)

პავლეს ამ ქალაქებში არც ფინანსურ საკითხებზე სემინარები ჩაუტარებია, არც ეკლესის ზრდის კონფერენცია და არც მსახურთა სასახლო კურსები, და არც რაიმე განსაკუთრებული იმედი არ მოუცია – თუმცა ამ თითოეულ თემას თავისი ადგილი უკავია. არა, მან დაუტოვა სიტყვა, რომელიც გააძლიერებდა მორწმუნებს სარბიელის კარგად დასრულებისკენ სწრაფვაში. მისი მიზანი იყო ამ მორწმუნების მომზადება მეფობაში შესასვლელად.

პავლეს სიტყვებს აქტუალობა არც დღეს დაუკარგავს. ეს ნათქვამი ჩვენს გულსა და გონებაში უნდა ჩაიბეჭდოს:

„მრავალი განსაცდელის გადატანა გვმართებს იმისათვის, რომ ღმერთის უზენაეს ძლიერ მმართველობაში შევიდეთ“. გთხოვთ, დაუკირდეთ რასაც ვამბობ; ეს არის იმედის, რწმენის უწყება და არა სიბნელისა და გაურკვევლობის. მოდი ასე შეხედე ამას: განსაცდელები ეშვება! მათი მოსვლა გარდაუვალია. იესო თავის მორნმუნებს ეუბნება, რომ სირთულეები ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. „წუთისოფელში გასაჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით, მე ვძლიე სოფელს“ (იოან. 16:33); მან სძლია, ნიშნავს, რომ შენ და მე მოცემული გვაქვს ძალაუფლება, რათა გავუმკლავდეთ წუთისოფლის მხრიდან წამოსულ წინააღმდეგობებს. ჩვენ ქრისტეს სხეული ვართ; ჩვენ ქრისტე ვართ დედამიწაზე. ჩვენ დავამარცხეთ წუთისოფელი ქრისტეში!

სიტყვა „განსაცდელი“ განიმარტება, როგორც „წინააღმდეგობის, სირთულის მდგომარეობა“. ბერძნულად ის ასე გამოითქმის: „thipsis“ (თლიოპსი). ბიბლიის ენციკლოპედია „thipsis“ (თლიოპსი) ასე განმარტავს: „დიდი ემოციური და სულიერი სტრუსი, რომელიც შინაგანი ან გარეგანი ზენოლის შედეგად შეიძლება წარმოიშვას. ბიბლიაში ეს სიტყვა ორმოცდათხუტმეტჯერ არის გამოყენებული, აქედან ორმოცდაცამეტჯერ გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობით“. ზენოლა შეიძლება მოდიოდეს მტრებისგან, რთული გარემოებებიდან, არასწორი გადაწყვეტილებებიდან ან მოშურნეობის დაკარგვიდან.

ჯეიმს სთრონგი „thipsis“ (თლიოპსი) შემდეგნაირად განმარტავს: „ზენოლა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით): ნალველი, მწუხარება, ტვირთი, დევნა, განსაცდელი, სირთულე“. ვ.ი. ვაინი ასე განმარტავს: „ნებისმიერი რამ, რაც სულსა და სამშვინველს ამძიმებს“.

განსაცდელის, თლიოპსის ჩემეული განმარტებაა – „უდაბნო“.

საქმ. 14:22-ს თანამედროვე ბიბლიის ინგლისური ვერსია ასე თარგმნის: „მრავალი განსაცდელი უნდა გადავიტანოთ, რათა შევიდეთ ღმერთის სასუფეველში. უკეთ რომ გავიგოთ, მოდით ასეთი რამ წარმოვიდგინოთ, შენ ემსახურები მეფეს, რომელმაც, მთელი ქვეყანა დაიპყრო. ის შევიდა დედაქალაქში და ტახტიდან ჩამოაგდო სასტიკი მმართველი, რომელიც რკინის მუშტით მართავდა ერს. დამხობილი ლიდერი ხალხს საშინლად ეპყრობოდა, გონებას ცრუ პროპაგანდით უწამლავდა, აუფასურებდა მათთვის ყველაფერს, რაც კარგი და პატივდებული

იყო. აღვივებდა სიძულვილს და აბუჩად იგდებდა იმ სწორ და ლირსულ მმართველობის მეთოდებს, რომელსაც ახლა შენი მეფე იყენებს.

კეთილი მეფე დავალებას აძლევს თავის მსახურებს, რომ წავიდნენ ამ დაპყრობილი ქვეყნის ქალაქებში და დაამხონ ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული მტრის სიმაგრეები. ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან ძველი მმართველის ქვეშევრდომი მსახურები, რომლებიც დაპატრონებული არიან ციხესიმაგრეებს და სასახლეებს. ისინი ისევ ძველი მეფის მმართველობას უკეთებენ პროპაგანდას. ამის შედეგად ჯერ კიდევ ბევრი ადამიანია ძველი მმართველის სისტემის გავლენის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი გამარჯვება მოპოვებულია, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი მოპოვებული გამარჯვების გასამყარებლად.

შენ მიემართები მტრის ტერიტორიაზე არსებული ციხესიმაგრის დასაპყრობად. გზად ბევრი ხიფათი არსებობს, რომელთანაც გამკლავება მოგინევს იმისათვის, რომ მიაღწიო მტრის მიერ დაკავებულ ადგილს.

მოწინააღმდეგებმა გზად ბევრი ხაფანგი დაგიგეს იმისათვის, რომ შეგაჩერონ. ამ სირთულეებს სათითაოდ ებრძვი. და როდესაც ციხესიმაგრესთან მიხვალ, აქ უმთავრესი სირთულე გელოდება: უნდა დაამხო მტრის სიმაგრე. მაგრამ კარგი ამბავი ის არის, რომ გზაზე არსებულ რაც მეტ ხაფანგს და სირ-

თულეს გაუმკლავდები, უფრო გამოცდილი და ომში დაბრძენებული ხდები. თუკი აიღებ

შენ მიემართები მტრის ტერიტორიაზე არსებული ციხესიმაგრის დასაპყრობად.

ამ ციხესიმაგრეს, შენ ამ ტერიტორიის მმართველი გახდები. და ეს ყველაფერი არ არის, შენ იმდენად სანდო და გამოცდილ პიროვნებად ყალიბდები, რომ

შენი მეფე შენს მიერ აღებული ტერიტორიის მმართველად დაგნიშნავს.

ჩვენს მიერ მოთხრობილ ისტორიაში, კარგი მეფე უფალ იესოს განასახიერებს. მან დავალება მოგვცა ჩვენ, თავის ერთგულ მეომრებს, წავიდეთ და გავამყაროთ ჩვენი გამარჯვება. ჩვენ კვლავ მოგვინევს ბრძოლა და განსაცდელები, მაგრამ საბოლოოდ მოვახერხებთ იმ ადამიანების გათავისუფლებას, რომლებიც ჯერ ისევ ბოროტის პროპაგანდის და მეთოდების მონობის ქვეშ იმყოფებიან.

მეფობაში შესასვლელად მრავალი განსაცდელი უნდა გავი-აროთ. მაგრამ, როგორც იესო ამბობს, უნდა გავმხნევდეთ, რადგან მან სძლია წუთისოფელს. მისი მადლით ჩვენ გვაქვს ძალა, რომლის მეშვეობითაც გზაზე შემხვედრ ნებისმიერ სირ-თულეს და გამოწვევას დავამარცხებთ.

ჩვენ არა მხოლოდ ღმერთის მადლისმიერი ძალა გაგვაჩნია. ჩვენ, რომელთაც გვნამს იესო, როგორც უფალი და მხსნელი, ღმერთის მადლში განსაკუთრებული ადგილი გვიკავია.

„სწორედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილე-ბი ვართ. ხოლო თუ შვილებიც – მემკვიდრენიც, და ქრისტეს თანამემკვიდრენი, თუ სინამდვილეში მასთან ერთად ვიტან-ჯებით, რათა მასთან ერთად ვიდიდოც კიდეც. ვინაიდან ვფიქრობ, რომ ახლანდელი ტანჯვანი არაფერია იმ დიდებას-თან, რომელიც გამოცხადდება ჩვენს მიმართ“ (რომ. 8:16-18;)

შენ და მე, როგორც მორნმუნები, ღმერთის მემკვიდრეე-ბი ვართ! ჩვენ ღმერთის მემკვიდრენი და ქრისტესთან ერთად თანამემკვიდრები ვართ. სიტყვა მემკვიდრე ბერძნულად ასე ითქმის „kleronomos“ (კლერონომოს), და განიმარტება, რო-გორც „ადამიანი, რომელიც იღებს ქონებას ან მემკვიდრეო-ბას. აქ ხაზგასასმელია მემკვიდრის უფლება – ფლობდეს. ჩემს ლექსიკონში კი მემკვიდრე შემდეგნაირად განიმარტება „პიროვნება, რომელიც იღებს და აგრძელებს წინაპრისგან მიღებულ მემკვიდრეობას“. არსებობს მეორადი განმარტებაც: „ადამიანი, რომელიც კანონიერად იკავეს მისი წინამორბედის ადგილს“. გესმით რაზეა საუბარი? ღმერთმა გაგვხადა მემკვი-დრე ყველაფერ იმისა, რაც მან გააკეთა და რასაც ის ფლობს! ჩვენ იმას ვფლობთ, რასაც ის ფლობს. ჩვენ ისე უნდა ვიმე-ფოთ, როგორც ის მეფობს.

ეს ყველაფერი ღმერთს ეკუთვნის და ჩვენც გვეკუთვნის. „ამიტომ ნურავინ დაიკვეხნის ადამიანებით,“ – წერს პავლე მორნმუნებს – „ვინაიდან ყოველივე თქვენია“ (1კორ. 3:21;). ყველაფერი! მე და შენ ჭეშმარიტად ღმერთის მემკვიდრენი ვართ! ბიბლიის თანამედროვე ინგლისური ვერსია ასე გად-მოსცემს ამ ფრაზას: „ყველაფერი თქვენია, წუთისოფელი, სი-ცოცხლე, სიკვდილი, აწმყო და მომავალი. ყველაფერი თქვენ გეკუთვნით“. შეჩერდით და იფიქრეთ ამაზე. ქრისტეში მე და შენ გაცილებით მდიდრები ვართ, ვიდრე ამ წუთისოფლის ყველაზე მდიდარი ადამიანი!

მაგრამ არსებობს წინააღმდეგობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ზემოთ მოყვანილი ადგილი რომაელთა მიმართ წერილიდან ნათლად ამბობს: „თუ“. ჩვენს მემკვიდრეობასთან მიმართებაში ერთი გარემოება არსებობს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ყველაფერი ავტომატურად არ ხდება ყველა ქრისტიანის ცხოვრებაში. რა გარემოებაა ეს? ჩვენ მასთან ერთად უნდა ვიტანჯოთ. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ეს ადგილი. იმისათვის, რომ ჩვენ ქრისტესთან ერთად მეფობის რეალობაში შევაბიჯოთ, საჭიროა თვალი გავუსწოროთ და დავძლიოთ ყველა ის წინააღმდეგობა, რომელიც გზაზე გადაგველობება და ეს გავაკეთოთ ისე, როგორც ამას თავად იესო აკეთებდა. დაუკეირდით სიტყვებს: „მასთან ერთად ტანჯვა“. წინააღმდეგობების დაძლევა ეს პარკში სეირნობას ან ყვავილების კრეფას არ ნიშნავს. ეს ბრძოლაა და ბრძოლას ტანჯვა ახლავს თან.

მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს დამარცხებისგან გამოწვეული ტანჯვა არ არის. რომ. 8:18-ში პავლე წერს, რომ განსაცდელებთან ბრძოლა, დიდი იმედის მომცემი რამ შეიძლება იყოს: „არაფრად მიმაჩინა ახლანდელი ტანჯვები იმ დიდებასთან შედარებით, რომელიც გამოცხადდება ჩვენს მიმართ“. მინდა, გავიზიაროთ ერთი მთავარი პრინციპი და გთხოვთ გაიაზროთ და ჩაეჭიდოთ მას:

მნიშვნელობა არ აქვს, თლიფსის (განსაცდელის) როგორი სახის ზენოლას შეხვდებით, რადგა, ეს სირთულე არაფერია იმ მეფობასთან შედარებით, რომელშიც ამ განსაცდელების გადავლის შემდეგ შევალთ.

თუ ჭეშმარიტად ქრისტიანულად ვცხოვრობთ, მაშინ ტანჯვაც მოგვიწევს. მაგრამ ყოველი გამარჯვებული ბრძოლის შემდეგ უფრო მეტი ძალა და სიბრძნე გველოდება. პავლე მოციქული მხოლოდ იმას არ გვეუბნება, რომ ამ დიდებას ზეცაში მივიღებთ; არამედ ამ ბრძოლის სიკეთეს მინაზე ცხოვრების დროსაც ვეზიარებით. გადაგვაქვს რა განსაცდელი, ჩვენ მეფობის აღმატებულ ხარისხში გადავდივართ (შევდივართ).

## მასთან ერთად ტანჯვა

როდესაც ვკითხულობთ: „იტანჯეთ მასთან ერთად“, ბუნებრივად იძადება კითხვა: „როგორ იტანჯებოდა ქრისტე?“. აქ ბევრი იძნევა, რადგან ორი სახის ტანჯვა არსებობს. პირველი – ესაა სიმართლისათვის ტანჯვა, ხოლო მეორე – ქვეყნიერების საქმეთა გამო. მოდით, განვმარტავ, თუ რა მაქვს მხედველობაში.

პირველი სახის ტანჯვის მიზეზი არის ის, რომ მთელი ქვეყნიერება ბოროტებაში ძევს (იხ. 1იოან. 5:19;). შედეგად ადამიანებს ყოველდღიურად უსიამოვნო შემთხვევებთან უხდებათ შეხება. ჩვილებს აბორტით იშორებენ, ახალგაზრდა გოგონებს აიძულებენ პროსტიტუციით დაკავდნენ, ავადმყოფობები ძალიან ადრეულ ასაკში უსწრაფებს ადამიანებს სიცოცხლეს, ირგვლივ შიმშილი და სიღარიბეა გამეფებული, ჩხუბი და აყალმაყალი ანგრევს ოჯახებს – ეს მხოლოდ მოკლე ჩამონათვალია. ასეთი სახის ტანჯვას არანაირი დადებითი მხარე არ გააჩნია. ეს ყველაფერი სამწუხარო და ტრაგიულია, ეს ადამის ცოდვის შედეგია, რაც სასტიკი ბატონისათვის ძალაუფლების გადაცემაში მდგომარეობს.

მეორე სახის ტანჯვა – სიმართლისათვის ტანჯვაა, სწორედ ასეთ ტანჯვებზე გავამახვილებთ ჩვენს ყურადღებას, რადგან ამ სახის ტანჯვებზე საუბრობდნენ იესო და პავლე. ყველა სახის ტანჯვას, რომელთა გადატანაც ღმერთის ძალით ხდება, დიდი სარგებელი მოაქვს მორწმუნებისთვის. მათი შედეგი ყოველთვის ბრწყინვალეა. ისინი გვაძლევენ ძალას აღვასრულოთ ჩვენი მოწოდება, სახელდობრ, ვიმეფოთ სიცოცხლეში.

იესო ამას თავისი მსახურებით გვიჩვენებს. გახსოვდეთ, ჩვენ მოგვიწევს მასთან ერთად ტანჯვა, თუ მასთან ერთად უნდა ვიმეფოთ. მაშ ასე, როგორ იტანჯებოდა იესო? იგი ოცდათი წელი ემზადებოდა მსახურებისათვის, შემდეგ მოინათლა მდინარე იორდანეში ყველასთვის კარგად ცნობილი წინასწარმეტყველის, იოანეს მიერ.

ნათლობის დროს ზეცა გაიხსნა და სულიწმიდა გადმოვიდა იესოზე მტრედის სახით და გაისმა მამა ღმერთის

ხმა: „შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“ (ლუკ.3:22;). წარმოიდგინეთ, იქ მყოფმა ხალხმა მოისმინა საოცარი ზეციური მოწმობა იესოს შესახებ. ამ მოვლენას თვალს ადევნებდა ბევრი პოლიტიკური და სულიერი ლიდერი, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ.

ჩვენ იესოს ადგილას რომ ვყოფილიყავით, ალბათ ვიფიქრებდით: „შესაფერისი დროა ჩემი მსახურების დასაწყებად! აი, ახლა უნდა წარმოვადგინო ჩემი პირველი ქადაგება მთელი ხალხის წინაშე. ბოლოს და ბოლოს, ამ მომენტს ოცდაათი წელი ველოდი. შესაძლოა, მარკეტინგის და პრომოუშენის სპეციალისტიც კი დავიქირავო, რათა კარგად გაახმაურონ ეს ფაქტი. დაე, ყველამ იცოდეს, რომ მე ვარ ღმერთის კაცი ამ დროისთვის წარმოგ ზავნილი“.

პრომოუშენის მხრივ ეს სწორი მიდგომა იქნებოდა, ხომ ასეა? მაგრამ აი, რა მოიმოქმედა იესომ ამის ნაცვლად: „იესო სულინმიდით აღვსილი დაბრუნდა იორდანედან და სულით გაყვანილ იქნა უდაბნოში. და ორმოც დღეს სცდიდა მას ეშმაკი და არაფერი უჭამია იმ დღეებში, და მათი გასვლის შემდეგ მოშივდა“ (ლუკ.4:1-2;). აღმოვაჩინე, რომ ბევრი მორწმუნის აზრით იესო მხოლოდ უდაბნოში გატარებული ორმოცი დღის შემდეგ გამოიცადა. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მიუხედავად იმისა, რომ სახარებები იესოს მიერ სამი კონკრეტული განსაცდელის გადატანაზე მოგვითხრობენ, ნათლად ჩანს, რომ იესო მთელი ორმოცი დღის განმავლობაში იცდებოდა (ანუ უძლებდა განსაცდელებს).

ყურადღება მიაქციეთ იმას, თუ ვინ წაიყვანა იგი უდაბნოში. ეშმაკს არ წაუყვანია, არამედ მამამ სულინმიდის მეშვეობით. ვიღაც, ალბათ, იფიქრებს: „რატომ წაიყვანდა მამა თავის ძეს უდაბნოში, როდესაც იცოდა, რომ მას იქ ტანჯვისა და ზენოლის გადატანა მოუწევდა?“. ერთი რაშიც შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ, არის ის, რომ ღმერთი არასოდეს შეგვიყვანს ისეთ ქარიშხალში, რომლის დაძლევის ძალასაც არ მოგვცემს (ამ საკითხზე მომდევნო თავში უფრო მეტს ვისაუბრებთ.) ჩვენ დარწმუნებულები უნდა ვიყოთ იმაში, რომ ღმერთი არ არის

„thipsis“ (თლიპსის), – ტანჯვის, განსაცდელის – ავტორი. მან იცის, რომ ჩვენ ცოდვით დაცემულ სამყაროში ვცხოვრობთ და თუ გვინდა გავიმარჯვოთ და ვიმეფოთ მასზე, მაშინ წინააღმდეგობებს უნდა გავუძლოთ. ამიტომაც, ღმერთი იმ სფეროებში გვწვრთნის, რომელთაც იცის რომ გავუძლებთ, რათა შემდეგ უფრო დიდი ბრძოლებისთვის ვიყოთ მზად.

იესო წათლობის შემდეგ სულინმიდით აღვსილი წავიდა უდაბნოში და ორმოცი დღის მანძილზე „thipsis“-ის(თლიპსის) გამკლავება უხდებოდა. გავისენოთ, რომ მან თავი წამოიცარიელა, მი-  
ატოვა ყველა ღვთიური უპი-  
რატესობა და ჩვენს შორის  
მადლით აღვსილი დადიოდა  
(იხ. ფილ. 2:7; და ლუკ. 2:40;)

მან იბრძოლა და გადაი-  
ტანა სირთულეები, და არც

ღმერთი იმ სფეროებში  
გვწვრთნის, რომელთაც  
იცის, რომ გავუძლებთ,  
რათა შემდეგ უფრო დიდი  
ბრძოლებისთვის ვიყოთ  
მზად.

ერთხელ არ გაება ეშმაკის მიერ დაგებულ მახეში. ორმოცი დღის შემდეგ „დაბრუნდა იესო სულის ძალით გალილეაში და მისი ამბავი მოედო მთელ არემარეს“ (ლუკ. 4:14). იგი უდაბნოში ღმერთის სულით აღვსილი წავიდა, ხოლო მას შემდეგ რაც განსაცდელები და ცდუნებები გადაიტანა, სულის მადლის ძალით აღვსილი დაბრუნდა. გაიხსენეთ რომ. 8:18-ში დაწერილი პავლეს სიტყვები: „ვინაიდან, ვფიქრობ, რომ ახლანდელი ტანჯვანი არაფერია იმ დიდებასთან, რომელიც გამოცხადდება ჩვენს მიმართ“. იესო მმართველობის უფრო მაღალ დონეზე ავიდა მას შემდეგ, რაც „thipsis“ (თლიფსის) წარმატებით გადაიტანა.

მოციქული იაკობი კი ამის შესახებ წერს: „ნეტარია კაცი, რომელმაც დაითმინა განსაცდელი, რადგან, რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, ღმერთმა რომ აღუთქვა თავის მოყვარულთ“ (იაკ. 1:12;).

ყურადღება მიაქციეთ, როცა თქვენ დაითმენთ განსაცდელს, ისე როგორც ამას იესო აკეთებდა ორმოცი დღის განმავლობაში, მიიღებთ „სიცოცხლის გვირგვინს“. ვიცი, თქვენ შეიძლება თქვათ, რომ გვირგვინი – ესაა ჯილდო, რომელსაც მივიღებთ ზეცაში, სამსჯავროს

ნაცვლად. ეს სიმართლეა. მაგრამ მჯერა, რომ მოცე-მულ შემთხვევაში იაკობი მხოლოდ ფიზიკურ გვირგვინზე არ ლაპარაკობს, რომელიც ზეცაში მოგვეცემა, არამედ ახლა ამ ცხოვრებაში მეფობის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლის შესახებ გვამცნობს. გვირგვინის არსებობა ძალაუფლებაზე მიანიშნებს. რა მოსდევს ძალაუფლებას? ძალა. იესო აღვსილი წავიდა უდაბნოში, მაგრამ დაბრუნდა ძალით. გახსოვდეთ, მეფობაში იმ შემთხვევაში შევძლებთ შესვლას, თუ მასთან ერთად დავიტანჯებით. როდესაც ჩვენ „*thlipsis*“-ით (თლიპსისით) ვიტანჯებით და განსაცდელებს ფარ-ხმალის დაყრის გარეშე გადავიტანთ – შეუპოვრობას შევინარჩუნებთ, მაშინაც კი, როდესაც მთელი ჯოჯოხეთი ჩვენს წინააღმდეგაა ამხედრებული – სიკეთე არ დააყოვნებს: იმ სფეროში, სადაც განსაცდელს მტკიცედ გავუძელით, უფრო მაღალ საფეხურზე ავალთ.

## ჩემი სიდედრის დამოწმება

ლიზას დედა ლმერთის ალთქმის შესრულების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. 1979 წელს ინდიანას შტატში ადგილობრივმა ექიმმა მკერდის კიბოს დიაგნოზი დაუსვა. ვინაიდან იგი გვიან აღმოაჩინეს, დაავადებას უკვე ლიმფურიკვანძები გაეკეთებინა. მას მოკვეთეს მკერდი და ლიფურიკვანძები 30%-მდე შეამცირეს. ოპერაციის შემდეგ ექიმმა უთხრა, რომ მისი მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო, რის გამოც დიდხანს ველარ იცოცხლებდა.

შერლის არ უნდა ამ აზრთან შეგუება და ამიტომ ჰიუსტონში, ტექსასის „მედ ანდერსენის“ კლინიკას მიაკითხა, რომელიც კიბოსთან ბრძოლის წამყვან ცენტრად ითვლებოდა. მისი ექიმი ამ დაწესებულებაში ონკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი იყო. არც მისი დიაგნოზი აღმოჩნდა დამაიმედებელი. იგი ფიქრობდა, რომ თუ შერლი მის რჩევებს გაითვალისწინებდა სიცოცხლეს ორი ან მაქსიმუმ სამი წლით გაიხანგრძლივებდა. მედიცინა უძლური იყო, შერლის გადარჩენის იმედს არ აძლევდა.

შემდგომი ნაბიჯი იყო ინტენსიური სხივური თერაპია, უკან ინდიანაში დაბრუნება, და რაღაც დროის შემდეგ ისევ ჰიუსტონში ქიმიო თერაპიისთვის ჩამოსვლა.

ჰიუსტონში ყოფნისას, შერლი ქვეყნის მასშტაბით ცნობილ ტელემსახურებას დაუკავშირდა და სთხოვა მისთვის ელო-ცათ. ბედნიერი შემთხვევის წყალობით ის პიროვნება, რომელ-მაც ყურმილი აიღო, იცნობდა ერთ ცოლ-ქმარს, რომლებიც მედ ანდერსონის კლინიკაში მსახურობდნენ. მან ამ ადამიან-ებს სთხოვა შერლისთვის მიეხედათ. ეს წყვილი დაუკავშირდა ჩემს სიდედრს, იგი თავიანთ ეკლესიაში სპორტულ თამაშე-ბზე მიიწვიეს, შემდეგ სადილზე, და მთელი ამ ხნის განმა-ვლობაში წმინდა წერილში მოცემული ღმერთის აღთქმებით ამხნევებდნენ.

შერლი ახალმოქცეული ქრისტიანი იყო. ამ დიაგნოზის დად-გენამდე მან მხოლოდ რწმენის რამდენიმე პრინციპი იცოდა, რომელთა შესახებ ერთმა მსახურმა ქალმა უამბო. ინდიანა-ში დაბრუნების შემდეგ შერლი თავის მენტორს დაუკავშირ-და, რომელმაც უთხრა, რომ ღმერთი ყველას არ კურნავს. მან დაუსახელა იმ ქრისტიანების მაგალითები, რომლებიც ვერ განიკურნენ სერიოზული ავადმყოფობებისგან. შერლიმ კი მას ის მუხლები წაუკითხა, რომლებსაც ჰიუსტონში მისი მეგობარი ცოლ-ქმარი უზიარებდა. მენტორი ძალიან გაღიზი-ანდა, რადგანაც შერლი არ ეთანხმებოდა მის აზრს და წინააღ-მდეგობას უწევდა.

ჩემი სიდედრი ამ ყველაფერმა დააბნია, გაურკვეველ მდ-გომარეობაში აღმოჩნდა. ჰიუსტონში ქიმიოთერაპიისთვის ჩა-სულ ყოველდღე სტუმრობდა ნაცნობი ცოლ-ქმარი, რომლე-ბიც კვლავ ამხნევებდნენ ღმერთის აღთქმებით. საბოლოოდ, შერლიმ დაიჯერა, რომ რასაც ღმერთის სიტყვა განკურნება-ზე ამბობდა, რეალური იყო; ღვთის სიტყვაში ეჭვი არ უნდა შეეტანა და იგი განიკურნებოდა!

როდესაც შერლიმ უარი განაცხადა ქიმიოთერაპიაზე, მისმა ექიმმა იფიქრა, რომ ჭკუიდან შეიშალა. იგი აფრთხილებდა, არ მიეღო სიცოცხლისათვის სახითათო გადაწყვეტილება. მაგრამ შერლი მაინც თავის სიტყვაზე დარჩა. იგი წამოვიდა მედ ანდერსონის კლინიკიდან და უკან აღარც დაბრუნებულა. ამის შემდეგ მან ღმერთის სიტყვის საფუძვლიანად შესწავლა დაიწყო, კითხულობდა სასულიერო წიგნებს, უსმენდა აუდიო სწავლებებს და ესწრებოდა ბიბლიის შემსწავლელ სემინარებს.

დღეს, ამ ამბიდან ოცდათერთმეტი წლის შემდეგ, ის სრუ-ლიად ჯანმრთელია და ჩვენს მეზობლად ცხოვრობს. უფრო მეტიც, სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში ჩვენთან ეკლესიების ურთიერთობების განყოფილებაში მსახურობს; გუნდში, სა-

დაც შვიდი ადამიანი ლიტერარტურას და ვიდეო გაკვეთილებს ავრცელებს ამერიკის ოციათასამდე ეკლესიაში. შერლი უამრავ ხუცესს და ეკლესიას ეხმარება იმ მასალების მოპოვებაში, რომელიც მათ მსახურებისთვის ესაჭიროებათ.

ჩემი მსახურების მანძილზე, ძნელად თუ შემხვედრია ისეთი ადამიანი, რომელიც უყოფანოდ ლოცულობს განკურნებისთვის. ერთხელ, როცა მე და ლიზა ახალი დაქორწინებულები ვიყავით, სამსახურიდან დაბრუნებულს სახლში შერლი დამხვდა, რომელსაც გრიპი ჰქონდა და თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, ისე იყო დასუსტებული რომ კიბეზე ასვლის ძალაც კი არ ჰქონდა. როცა დამინახა, მითხრა: „ჯონ, შენი ლოცვა მჭირდება, რომ განვიკურნო გრიპისგან“.

როცა მისთვის ლოცვა დავიწყე, ღმერთის თანდასწრება იმდენად ძლიერი და საგრძნობი გახდა, რომ შერლიმ თავი ველარ შეიკავა და კიბეებზე ჩამოჯდა. შემდეგ წამოხტა, წელში გაიმართა და განაცხადა: „ მინდა, სადილი მოგიმზადოთ!“. საჭმელი მართლაც შესანიშნავი იყო. გულინად გამეცინა და თან გავიფიქრე: „პეტრესაც ზუსტად ასე დაემართა. მისი სიდედრიც ცუდად იყო და როდესაც იესომ განკურნა იგი, მან საჭმელი მოუმზადა მათ (იხ. მათ. 8:14-15;).

შერლი არამხოლოდ ლოცვას ღებულობს ადვილად, ის თავად ხდება ძლიერი ქალი, როცა სხვებისთვის ლოცულობს. თუ მის სიახლოვეს ვინმე ავად არის, მაშინ უნდა იცოდეთ, რომ მისგან იდინებს ღმერთის ძლიერი სიტყვა და ლოცვა განკურნებისათვის.

ოცდათერთმეტი წელიწადია შერლი განკურნებულია და ის კვლავ ითვლის სიცოცხლის წლებს! „ტჰლიპსის“-თან (თლიპ-სის) ღმერთის სიტყვით შეუპოვარი ბრძოლის გამო მან მიიღო გვირგვინი განკურნების სფეროში. მან გაუძლო და გადაიტანა განსაცდელები და ახლა მეფობს იმ სფეროში, რომელშიც ბრძოლას გაუძლო.

## გამარჯვებული

სხვა ადამიანებსაც აქვთ მსგავსი დამოწმებები. გავიხსენოთ ორალ რობერტსი, რომელიც ახლა ზეცაშია, მაგრამ მისი ცხოვრება და მემკვიდრეობა ისევ გრძელდება. ჩვიდმეტი წლის ასაკში ტუბერკულიოზით კვდებოდა. მაგრამ მან შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ავადმყოფობას ღმერთის სიტყვით და

ლოცვით, და ბოლოს, დადგა ის დღე, როცა ექიმებმა დაადასტურეს მისი სრული განკურნება. ორალ რობერტსმა, ისევე როგორც შერლიმ, დიდების გვირგვინი მიიღო განკურნების სფეროში, ამის შედეგად მილიონობით ადამიანი გაძლიერდა მისი ცხოვრების და მსახურების მეშვეობით.

მე ერთი მეგობარი მყავს, სახელად ჯიმი, რომელიც მრავალი წელია ხუცესია და ადამიანს ემსახურება. ჩვიდმეტი წლის ასაკში ექიმებმა სასიკვდილო დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ იგი ორალ რობერტსის მსახურებაზე მიიყვანეს, სადაც სასწაულებრივად განიკურნა.

როგორ განვითარდებოდა მოვლენები, თუ ორალი ვერ გადაიტანდა ახალგაზრდობაში მოვლენილ განსაცდელს? სად იქნეოდა ახლა ჩემი მეგობარი და მრავალი მილიონი ადამიანი, რომლებმაც ორალ რობერტსის მსახურების მეშვეობით მიიღეს განკურნება? როგორი იქნებოდა იმ ადამიანების ბედი, რომელთაც დღეს ჯიმი ემსახურება, სად იქნებოდნენ ისინი? ორალმა მეფობაში შეაბიჯა. მისი შეუპოვარი რწმენის სრული შედეგი მხოლოდ სამსჯავროს დღეს გახდება ცნობილი.

გავიხსენოთ კენეტ ჰეიგინი, რომელიც 1917 წელს ტექსასის შტატში, ქალაქ მაქეინში გულის პრობლემებით დაიბადა. მოგვიანებით მას სისხლის იშვიათი, უკურნებელი ავადმყოფობის დიაგნოზი დაუსვეს. თექვსმეტი წლის ასაკში ლოგინს მიეჯაჭვა და ყოველდღე მის სიკვდილს ელოდნენ. 1933 წელს იგი სამჯერ მოკვდა და იხილა ჯოჯოხეთი. სამივეჯერ სასწაულებრივად გაცოცხლდა. კენეთმა თავისი ცხოვრება ქრისტეს მიუძღვნა. შეუპოვარი რწმენით და ღმერთის სიტყვის ძალით დაიწყო ბრძოლა დაავადების წინააღმდეგ. ხუცესი, რომელიც მასთან მივიდა შემდეგი სიტყვებით ანუგეშებდა: „გაუძელი შვილო, რამდენიმე დღეც და დასრულდება შენი ტანჯვა“. ერთი წლის შემდეგ კენეტი წამოდგა თავისი „სასიკვდილო სარეცელიდან“ და მალევე ქადაგება დაიწყო.

კენეტ ჰეიგინის მსახურება მთელს მსოფლიოში ცნობილი გახდა – მისი სამოცდახუთ მილიონზე მეტი წიგნი დაიბეჭდა, მის მიერ დაარსებულმა ბიბლიის სასწავლო ცენტრმა ოცდაათიათასზე მეტი სტუდენტი გამოუშვა, რომელთაგან მრავალი სრული დროით მსახურებაშია ჩართული. სამოცდახუთწლიანი მსახურების შემდეგ კენეტი უფალთანაა, სახლში, მაგრამ მისი მემკვიდრეობა გრძელდება. მან სიცოცხლის გვირგვინი მიიღო განკურნების სფეროში და მისი მსახურების შედეგად უამრავმა ადამიანმა მიიღო განკურნება და შეცვალა თავისი ცხოვრება.

რა მოხდებოდა, თუ კენეტ ჰეიგინი ვერ გადაიტანდა განსაცდელს? როგორ მიიღებდა მილიონობით ადამიანი ასეთ მსახურებას, შეცვლილ ცხოვრებას?

ამ სამ ადამიანს, რომელთა ცხოვრების ისტორიებიც გიამბეთ – ჩემი სიდედრი, ორალ რობერტსი და კენეტ ჰეიგინი – ჰქონდათ რაღაც საერთო. მათ ებრძოდნენ, ცილს სწამებდნენ, და როგორც ცუდ ადამიანებს ისე მოიხსენიებდნენ. შერლის დიდი ხნის მეგობრის მეუღლე არ ელაპარაკებოდა, რადგან ირწმუნა, რომ ღმერთი განკურნავდა. თავიანთი ცხოვრების მანძილზე ორალ რობერტსაც და კენეტ ჰეიგინსაც ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ცრუ სწავლებას ავრცელებდნენ და შთაგონებას ეშმაკისგან იღებდნენ. მაგრამ რას ამბობს იესო ამ ყველაფერზე? „ვაი თქვენ, როდესაც ყველანი კარგს ილაპარაკებენ თქვენზე. ასევე ექცეოდნენ ცრუ წინასწარმეტყველთ მათი მამები“ (ლუკ. 6:26;).

არიან მსახურები და მორწმუნები, რომლებიც ღვთის სახარებას ისე ქადაგებენ, რომ ყველამ კომფორტულად იგრძნოს თავი. იმის შიშით რომ „შეუწყნარებელი“ ან „ფანატიკოსი“ არ უწოდონ, თავი დაანებეს კეთილი ბრძოლით ბრძოლას. ყველაფერი, რაც ხდება, მათი აზრით, ღმერთის ნებაა და ისე უნდა მიიღონ, როგორც არის. მათ სახარებიდან ამოიღეს „შეურაცხმყოფელი“ ადგილები, თუმცა უფალი ამ ადგილებს „შებრკოლების ქვას“ უწოდებს. წმინდა წერილი იესოსაც მოიხსენიებს „შებრკოლების ქვად“, მაგრამ ადამიანებმა იგი ისეთი პატარა კენჭის დონეზე დაიყვანეს, რომელიც ვერავის წაბორძიკებასაც კი ვერ შეძლებს.

ასეთი მსახურების და მორწმუნების სურვილია, რომ მათზე ყველა კარგს ლაპარაკობდეს; არ უნდათ ბრალი დასდონ სიმკაცრეში, უკიდურესობაში, ერეტიკოსობაში და დემონებთან კავშირში. თუმცა იესოს უწოდებდნენ ამ ყველაფერს. იგი შეუპოვარი იყო ჭეშმარიტებაში. ის ამხელდა მათ, ვისაც სურდა მათზე კარგი ელაპარაკათ. იესო ამბობს: „ნეტარნი ხართ, როცა შეგიძულებენ ადამიანები, როცა გაგყრიან და გაგლანდავენ, ხოლო თქვენს სახელს განდევნიან, როგორც ბორიტს, კაცის ძის გამო“ (ლუკ. 6:22). დამეთანხმებით, რომ ეს კარგი სიტყვების სრულიად საპირისპორო სიტყვებია, ხომ ასეა? შეძლებ იგი ამის მიზეზსაც განმარტავს: „როდესაც ჭეშმარიტება იქადაგება, ადამიანი არაკომფორტულად და მხილებულად გრძნობს თავს“.

რეალობა კი შემდეგში მდგომარეობს: თუ შენ მართლაც გინდა, რომ შეუპოვარი მორწმუნე იყო - მორწმუნე, რომელიც მეფობს ამ ცხოვრებაში, მაშინ იყავი იმის მოლოდინში, რომ შენზე ცუდს იტყვიან, ცილს დაგნამებენ და გაგინაპირებენ. ამას ის ადამიანები გააკეთებენ, რომლებიც სიტყვით არიან იხსოს მიმდევრები, მაგრამ კომფორტული ცხოვრება მოსწონთ. ისინი ეცდებიან სახელი გაგიტეხონ იმისათვის, რომ თავიანთი ულიმდამო აზროვნება გაამართლონ. ასე ექცეოდნენ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებაც, იოანე ნათლისმცემელსაც, იხსოსაც და ახალი აღთქმის წამყვან ფიგურებს. ისინი დღესაც ასევე იქცევიან. შენს მიმართ ყველაზე დიდი წინააღმდეგობა უფრო იმ ადამიანებისგან წამოვა, რომლებიც ამბობენ, რომ ღმერთს იცნობენ. შესაძლოა, ამგვარადაც განვითარდეს მოვლენები: „მაგრამ მოდის უამიც, როცა ყველა თქვენს მკვლელს ეგონება, რომ ამით ღმერთს ემსახურება“ (იოან 16:2;).

გაქვს სურვილი, რომ ცხოვრებაში ღმერთის სადიდებლად იმეფო? გინდა შეცვალო ადამიანთა ცხოვრება ღვთის სასუფე-ვლისათვის? გინდა, რომ იმ დიდებულ დღეს მოისმინო ბატონის სიტყვები: „ყოჩაღ ერთგულო და კეთილო მსახურო“? თუ გინდა, მაშინ ახლავე შეეგუჯ: შენ მოგიწევს „ტჰლიპსის“ (თლიპსის) წინაშე დგომა, ზოგჯერ ეს იქნება ძალიან ძლიერი, და მოგიწევს გაუძლო და გაიმარჯვო.

თუ კვლავაც გსურს შეაბიჯო მეფობაში და გაუძლო სირთულეებს, მაშინ განაგრძე მოცემული წიგნის კითხვა. საუკეთესო წანილი ჯერ წინაა.

## 306 დგას სირთულეების მიღმა

„ვინაიდან ქრისტეს გულისთვის მოგეცათ თქვენ არა მარტო  
რწმენა, არამედ მისთვის ტანჯვაც“  
ფილიპელთა 1:29;

**3** ილიპელთა მიმართ წერილი (1:29;) იწყება ძალიან კარ-  
გი სიტყვებით: „ვინაიდან ქრისტეს გულისთვის მო-  
გეცათ...“. თუ მხოლოდ ამ სიტყვებს წავიკითხავდით  
და არ გვეცოდინებოდა ამ ადგილის დასკვნითი ნაწილი,  
დაგვეძადებოდა კითხვა: „რა მომეცა? რა აღთქმაა ჩემთვის  
გამზადებული?“.

პასუხი შემდეგია: „მისთვის ტანჯვა“.

რა? ადამიანის გონებისთვის ეს გაუგებარი რამაა: მოგეცეს  
მისთვის ტანჯვის პატივი. მაგრამ ღმერთი არავის ატყუებს;  
ტყუილი მისთვის უცხოა. ზერელედ მოაზროვნე ადამიანისათ-  
ვის ეს ნამდვილი საცდურია, მაგრამ ვინც ამ სიტყვების აზრს  
აცნობიერებს, მისთვის ეს სასიხარულო აღთქმაა. მათ, რომ-  
ლებიც ქრისტეში იზრდებიან, გულის სიღრმეში იციან, რომ  
რაც მეტია ბრძოლა, მით დიდია გამარჯვება.

წარმოიდგინეთ ერთგული მეომარი, რომელიც ბეჯითად  
ემზადება საბრძოლველად. მას კარგად ესმის ბრძოლის მინიჭენ-  
ელობა; იცის, რომ ეს არის გამარჯვების მოპოვების შესაძლე-  
ბლობა. იგი გულით მებრძოლია და ძალისხმევას არ იშურებს  
თავისი მეფის დავალების შესასრულებლად. ბრძოლის დღეს ის  
და მისი თანამებრძოლები ხარობენ ამ პრივილეგიით, რადგან  
ეძლევათ შესაძლებლობა თავიანთ მეფეს დიდება და პატივი,  
ხალხს კი სიკეთე მოუტანონ. ეს მეომარი თავისი მეფისთ-  
ვის უნდა დაიტანჯოს მოსალოდნელ ომში, რათა საბოლოოდ  
გამარჯვება მოიპოვოს. ხედავთ კავშირს წარმოდგენილ მაგ-  
ალითსა და ფილიპელთა მიმართ წერილს(1:29;) შორის.

შენ იტყვი: „მაგრამ მე არ ვარ მეომარი; არც შეხედულება  
მაქვს მეომრის და არც გული“. თუ ქრისტეში ხარ, მაშინ ნამდ-  
ვილად ჯარისკაცი ხარ, რამეთუ ქრისტეს სიტყვაა შენს სულში  
ჩადებული. ქრისტე ყველაზე დიდი მეომარია ვისაც კი ოდესმე  
უცხოვრია დედამინაზე. აი, რას ამბობს ბიბლია მასზე: „სამარ-  
თლიანად განიკითხავს და იბრძვის. მისი თვალები, როგორც

ცეცხლის ალი... მისი პირიდან გამოდის ბასრი მახვილი“ (გამოცხ. 19:11-12, 15;). შენ შექმნილი ხარ მის მსგავსად და მის ხატად, შენ ფლობ მის ბუნებას. თუ ქრისტე მეომარია, მაშინ შენც მეომარი ხარ. ახალი აღთქმა გამუდმებით გვახსენებს ბრძოლის შესახებ. პავლე წერს:

„ეს სპორტული შეჯიბრი არ არის, რომელიც დასრულების შემდეგ რამდენიმე საათში დავიწყებას მიეცემა. ეს ბრძოლაა, რომელსაც სამკვდრო სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია და ის ეშმაკის და მისი დემონების წინააღმდეგაა მიმართული“ (ეფეს. 6:12; MSG).

ძალიან მომწონს „The Message“-ის მიერ თარგმნილი ბიბლია როგორ გადმოგვცემს პავლეს მოწოდებას. ჩვენ სამკვდრო-სა-სიცოცხლო ბრძოლაში ვართ ჩართული და ამას ვერ გავექცევით. პავლე კორინთოს ეკლესიას მსგავსს სიტყვებს სწერს: „ვინაიდან, თუმცა ხორცი დავდივართ, ხორციელად არ ვი-ბრძვით“ (2კორ. 10:3-4;). ცხადია, რომ ჩვენ სულიერ მეომრებს წარმოვადგენთ ომში! შენ ამ ბრძოლისთვის ხარ შექმნილი; შენ ხარ გულით მეომარი. პავლე შეგვაგონებს: „იტანჯე ჩემთან ერთად, როგორც იესო ქრისტეს კეთილმა მეომარმა. არცერთი მეომარი არ შეიბორკება ცხოვრებისეული საქმეებით, რათა აამოს მხედართმთავარს“ (2ტიმ. 2:3-4;). გულში და გონებაში ჩაიბეჭდე ეს სიტყვები: შენ ხარ მეომარი ქრისტეში.

როგორც მეომარმა, შეგიძლია აირჩიო სილაჩრე და გაიქცე ბრძოლის ველიდან ანდა აირჩიო გმირის გზა, ჩაება ბრძოლაში და გაიმარჯვო. პირველ შემთხვევაში გაგიხსენებენ, როგორც დეზერტირს. მეორე შემთხვევაში კი შენი მეფისგან ქებას დაიმსახურებ.

ქრისტესმიერო ძვირფასო მეგობარო, ვიცი, რომ შენი გული იწვის სურვილით აამო მეფეს, განადიდო იგი და მისთვის იცხოვრო. ჩვენი ხორცი, თუ უფლებას მივცემთ იბატონოს ჩვენზე, – ესაა ერთადერთი რამ, რასაც შეუძლია ქრისტეს ტანჯვებში თანამონაწილეობის პრივილეგია დაგვაკარგვინოს.

რომაელთა მიმართ წერილიდან დავინახეთ, რომ ქრისტესთან ერთად ვიმეფებთ, თუ მასთან ერთად დავიტანჯებით კიდეც. ვიცით, რომ განსაცდელების და წინააღმდეგობების დაძლევა მოგვიწევს. მაგრამ ჩვენ ამას სიხარულით უნდა შევხვდეთ და ტანჯვა მივიღოთ, როგორც ჩვენთვის ბოძებული პატივი და არა შიში.

რაც მეტია პრძოლა, მით დიდია გამარჯვება — შესაბამისად უფრო მეტია დიდება. აი, ერთი კარგი ამბავი: არასოდეს გექნებათ წაგების მიზეზი, რადგან ფლობთ აღთქმას: „მაგრამ მადლობა ღმერთს, რომელიც ყოველთვის ძლევას გვანიჭებს ქრისტეში“ (2 კორ. 2:14;).

## ღმერთი არ ჩამოავს შვილებს

წინა თავში იესოს ნათლობის შემდეგ მომხდარ რამდენიმე მოვლენაზე გავამახვილეთ ყურადღება. სულინებიდამ იგი უდაბნოში წაიყვანა, სადაც ორმოცი დღე და ორმოცი ღამე იცდებოდა. იგი ღმერთმა წაიყვანა უდაბნოში გამოსაცდელად და არა ეშმაკმა. მამამ იცოდა, რომ მის ძეს სასტიკი გამოცდა ელოდა, მაგრამ ამას თავისი მიზანი ჰქონდა. ჩვენ უკვე ვისწავლეთ პრინციპი, რომ ღმერთი არასოდეს შეგვიყვანს ქარტებილში, ვიდრე არ მოგვცემს მასზე გამარჯვების ძალას. გულში ჩაიმარხე ეს ჭეშმარიტება, რადგან განსაცდელში ყოფნისას იგი ძალას შეგმატებს.

იესომ თქვა, რომ მამის ნების გარეშე არაფერს აკეთებდა. ის მთლიანად ღმერთის სულით იყო მართული: „არაფერს ვაკეთებ ჩემით, არამედ რაც მამამ მასწავლა, იმას ვლაპარაკობ“ (იოან. 8:28;).

ერთხელ, როდესაც ხალხს მთელი დღე ასწავლიდა, იესო ძალიან დაიღალა. წარმომიდგენია რას გრძნობდა იგი. თავად მიქადაგია დღეში ოთხი-ხუთი საათი და ისე დავლლილვარ, რომ სახლში მისულს სიტყვაც ვეღარ მითქვამს.

ას იქნებოდა იესოც. მოსალამოვდა, იგი მზად იყო დასასვენებლად, მაგრამ სულინებიდამ აღძრა მოწაფეებისთვის ეთქვა ნავზე ასულიყვნენ და გაეცურათ. მეორე ნაპირზე ეშმაკეული კაცი იმყოფებოდა. ყველანი წავში ჩასხდნენ და იესოს მაშინვე ჩაეძინა.

ზღვაზე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ნავში მყოფთაგან ოთხი გამოცდილი მეზღვაური იყო. მათ იცოდნენ ზღვასთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ და გამკლავებაც შეეძლოთ. მაგრამ ეს ჩვეულერივი ქარიშხალი არ ყოფილა. ტალღები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და ნაეს ატორტმანებდნენ. ამ გამოცდილმა მეზღვაურებმა ვერაფერი რომ ვერ გააწყვეს, იესო გააღვიძეს: „ვერ ხედავ ვიღუპებით?“. მათ იმედი აღარ ქონდათ, რომ ამ ძლიერ თლიპსის თავს დააღწევდნენ.

როგორ ფიქრობთ, ამ შტორმის დროს სულიწმიდა და მამა შეშინებულები იყვნენ? წარმოიდგენთ, რომ ისინი ერთმანეთში ბჭობდნენ: „ამას ვერ გავუმკლავდებით! ასეთი ქარიშხლის ამოვარდნას არ ველოდით! როგორ მოვიქცეთ? რატომ ვუთხარით იესოს, რომ მეორე ნაპირზე გადასულიყო? დიდი შეცდომა დავუშვით!“.

ძალიან სასაცილოა, არა? რა თქმა უნდა, ასე არ მომხდარა. სულიწმიდამ იცოდა, რომ ქარიშხალი ამოვარდებოდა, რამეთუ მან დასაწყისიც სულიწმიდამ დასაწყისიც იცის და დასასრულიც. „ვაუნყებ დასაბამიდან უკანასკნელს, და ძველთაგანვე იმას, რაც არ მომხდარა“ (ესაია 46:10.). მან აიყვანა იესო ნავში, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა მოსალოდნელი საშინელი ქარიშხლის შესახებ.

და მაინც, ღმერთი არასოდეს შეგვიყვანს ქარტეხილში, ვიდრე არ მოგვცემს მასზე გამარჯვების ძალას. იესო იღვიძებს, ნავის კიჩოსთან მიდის და ქარიშხალს აწყნარებს, შემდეგ მონაფეხს ეკითხება: „რატომ ხართ ასეთი მშიშრები? რატომ არა გაქვთ რწმენა?“ (მარკ. 4:40;).

რატომ უსაყვედურა იესომ გამოცდილ მეზღვაურებს ასე მკაცრად? რატომ უთხრა, რომ მათ რწმენა არ გააჩნდათ? მანამ, სანამ ნაპირს დატოვებდნენ, იესომ ასე მიმართა მათ: „გადავცუროთ გაღმა“ (მუხ. 35). მას არ უთქვამს: „გავცურავთ ნახევარ გზას და მერე ჩავიძირებით“. მათ უნდა სცოდნოდათ, რომ იესოს სიტყვებში საკმარისი ძალა იყო, რომლის მეშვეობითაც მეორე ნაპირზე გადასვლას შეძლებდნენ. წესით, თავად უნდა დამდგარიყვნენ ნავის კიჩოზე და შეეძახათ: „ქარიშხალო, ვერ დაგვლუპავ და ვერც შეგვაჩერებ! ჩვენ შევძლებთ მეორე მხარეს გადასვლას, რადგან მხსნელმა გვითხრა „წადით!“ ასე, რომ ჩამოგვეცალე გზიდან!“.

ღმერთმა იცოდა, რომ ქარიშხალი ამოვარდებოდა. მან თავად წაიყვანა ისინი ამ გზით მაგრამ, იესოს მონაფეხებს ჯერ ქარიშხალზე ბატონობის ძალაუფლება მისცა. და სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი. ისინი, ვინც მეფობენ სიცოცხლეში და ისინი, ვინც დამარცხდნენ, ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმის ცოდნით, რომ ჩვეულებრივი ადამიანისგან განსხვავებით ჩვენ ვფლობთ ძალას მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასე, რომ ბოლომდე შეუპოვრად უნდა ვიბრძოლოთ, ვიდრე არ გავიმარჯვებთ. დაյ, 2 კორ.2:14-ში ჩანტერილმა ჭეშმარიტებამ შენი არსების თითოეული უჯრედი მოიცვას: „მაგრამ მადლობა ღმერთს, რომელიც ყოველთვის ძლევას გვანიჭებს ქრისტეში“.

ამ სიტუაციის პირისპირ მონაფეები მარტო რომ დარჩენილიყვნენ, დაიხრჩობოდნენ. მაგრამ, იესოს შეუპოვრობამ არა მხოლოდ მონაფეები გადაარჩინა დაღუპვას, არამედ მეორე ნაპირზე შეპყრობილი კაციც გაათავისუფლა.

და ეს ყველაფერი არ არის. ეს გამოჯანმრთელებული კაცი წავიდა და დეკაპოლისის ათ ქალაქს დევთის სასუფევლის შესახებ უქადაგა. შედეგად, ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიცვალა დევთის სასუფევლისთვის. იესოს და მის მონაფეებს სულინმიდა მიუძღვდა ქარიშხალში, მაგრამ ღმერთის ნება არ ყოფილა მათი დაღუპვა. ღმერთის მიზანი იყო შტორმის მეორე მხარეს მისი დიდება გამოჩენილოყო.

დღეს, მოციქულებისთვის რომ გვეკითხა: „ლირდა ამდენ ტანჯვად იმ კაცის განკურნება?“. ისინი უყოყმანოდ გვიპასუხებდნენ: „ნამდვილად ლირდა!“.

მოდით, მეორე შემთხვევაც განვიხილოთ. პავლე სულინმიდამ იერუსალიმში წაიყვანა საქადაგებლად. მაგრამ აი, რა ელოდა მას იქ:

„და, აპა სულის მიერ შეკრული მივდივარ იერუსალიმში და რა შემემთხვევა არ ვიცი. მხოლოდ სულინმიდა მიმოწმებს ქალაქიდან ქალაქში და მეუბნება, რომ ბორკილები და გასაჭირი მელის“ (საქ. 20:22-23;)

ბერძნულ ენაზე სიტყვა „განსაცდელი, ტანჯვა“ არის თლიპსის. (ეს ტერმინი ჩვენ უკვე განვიხილეთ). ასე, რომ სულინმიდამ პავლე ისეთ ადგილას წაიყვანა, სადაც დიდი სირთულეები შეხვდებოდა. მაგრამ ისევ ვიტყვი, ღმერთი ყოველთვის გვაძლევს მადლს, რომ ცხოვრებაში წამოჭრილი დაბრკოლებები დავძლიოთ.

რა შედეგი მოჰყვა პავლეს შეუპოვრობას? სახარება არა მხოლოდ ებრაელებმა და წარმართებმა მოისმინეს, არამედ რომის იმპერიაში მცხოვრებმა მრავალმა ადამიანმა – ჯარისკაცებმა, მოსამართლეებმა, რეგიონების მმართველებმა და თავად კეისარმაც! და ეს ყველაფერი იმ ერთი კაცის მეშვეობით მოხდა, რომელიც სულინმიდამ განსაცდელებში გაატარა. ეს განსაცდელი და ტანჯვა ღმერთს არ გამოუწვევია. ღმერთმა იცოდა, რომ პავლეს სირთულეები იმიტომ შეხვდებოდა, რომ

ცოდვით დაცემული ქვეყნიერება ღმერთის გზებს ეწინააღმდეგაბა. ქრისტეს სიყვარულის გამო პავლე დაემორჩილა ღმერთს და ამიტომაც მიეცა მას ძალა განსაცდელის დასაძლევად. პავლემ თავისი მისია რომში ასე შეაჯამა: „რა დევნა არ გადავიტანე, მაგრამ ყველაფრისაგან [განსაცდელისგან] გვიხსნა უფალმა“ (2 ტიმ. 3:11;). პავლეს სიტყვები მეფსალმუნის გამოძახილია: „[ღმერთმა] ყოველგვარ გაჭირვებას გადამარჩინა“ (ფსალ. 53:9;). არა რამდენიმე გაჭირვებისგან, არამედ ყოველგვარი განსაცდელისგან. ეს ნიშნავს, რომ 100%-ით გათავისუფლა!

ეს აღთქმა ჩვენც გვეხება, შენც და მეც!

## მშობლის რჩევა

როდესაც ჩვენი პირველი შვილი, ედისონი, სკოლაში მივიყვანეთ, კლასელებმა აბუჩად აიგდეს და სულ დასცინოდნენ. რამდენჯერმე სახლში ატირებული დაბრუნდა იმის გამო, რომ მოედანზე ბავშვებმა იგი მასხრად აიგდეს. იმედია მიმიხვდებით, როგორც მამას, რისი გაკეთების სურვილიც გამიჩნდა. მინდოდა, მივსულიყავი, ერთი-ორი ალიყური მეთავაზებინა მათთვის და მკაცრად გამეფრთხილებინა: „აღარ გაბედოთ ჩემი შვილის შეწუხება!“. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება სამ პრობლემას წარმოშობს: პირველი ის, რომ ჩემი ეს ქმედება ღმერთისთვის მაინცდამაინც მოსაწონი ვერ იქნებოდა; მეორე, ასეთი მოქმედება ედისონის ხასიათის ჩამოყალიბებაში უარყობითად იმოქმედებდა; და მესამე, იურიდიულად მე არ მქონდა მოედანზე ასე მოქცევის უფლება. მოედანი იყო ადგილი, სადაც ჩემს შვილს უნდა ემეფა და არა მე, მის მშობელს – მას თავად უნდა მოეპოვებინა ავტორიტეტი.

როცა ცოტა დაეწყნარდი, ლიზამ და მე გადავწყვიტეთ ედისონისთვის გვესწავლებინა თლიპსისთან გამკლავება. ყოველ სააღამოს ველაპარაკებოდი, თუ როგორ გაეძლო სირთულეებისთვის, რომელიც მასზე დაცინვის სახით იყო მოვლენილი. ერთ დღესაც ბრძოლაში სამოქმედო სტრატეგიით აღვჭურვეთ და ისე გავუშვით სკოლაში (რა თქმა უნდა, თუ ვიგრძნობდით, რომ ედისონი დიდ საფრთხეში იყო მასწავლებელს დაგუკავშირდებოდით).

ედისონმა ბავშვობაშივე ისწავლა კონფლიქტების მოგვარება და რთული სიტუაციების დაძლევა, რის შედეგადაც შეიძინა

ძალიან კარგი უნარ-ჩვევები, მან ისწავლა ადამიანებთან ურთიერთობა. 2004 წელს იგი ჩვენი მსახურების პირველი საფეხურის თანამშრომლებს შეუერთდა. ამ დროისათვის ჩვენთან ორმოცამდე ქრისტიანი მუშაობდა, მათ შორის იყვნენ, როგორც თინერჯერები ასევე სამოც წელს მიღწეული ქრისტიანებიც. მე ხელმძღვანელს უუთხარი რომ, ედისონს განსაკუთრებულად არ უნდა მოპყრობოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჩვენი შვილი იყო. ექვსი თვის შემდეგ ლიდერებმა მითხრეს: „ჩვენ გვინდა, ედისონი ეკლესიათა შორის ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნოს“. ეკლესიათა შორის ურთიერთობები – ჩვენი მსახურების ერთ-ერთი უმთავრესი განყოფილებაა, ამიტომ მე მათ ვკითხე, თუ რატომ უნდოდათ ედისონის ამ პოსტზე დანიშვნა? „იმიტომ რომ, თქვენი შვილი ლიდერია“ – მიპასუხეს თანამშრომლებმა.

ედისონის ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ, ამ განყოფილებამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მან არა მხოლოდ ამ განყოფილების თანამშრომლების ნდობა მოიპოვა, არამედ ყველა მსახურის, რადგან ხედავდნენ, რამდენად ბრძნულ გადაწყვეტილებებს იღებდა იგი კონფლიქტების და პრობლემების დროს.

დღეს ედისონი ოცდახუთი წლისაა და „Messenger Internatoonal“-ის (მესენჯერ ინტერნეიტენალის) უფროსი მმართველი ოფიციერია, რომელიც ბრწყინვალედ ასრულებს თავის მოვალეობას და თანამშრომლებს ძალიან უყვართ. ისინი ენდობიან მას და მიჰყვებიან მის ხელმძღვანელობას.

ახლა ასეთ კითხვას დაგსვამ: „როდესაც ედისონს სკოლაში დასცინოდნენ, უნდა გამომეყვანა თუ არა იგი იმ დაწესებულებიდან და სახლში მიმეცა მისთვის განათლება? იქნებ სისასტიკეშიც მითვლით იმას, რომ კვლავ ვაგრძელებდი საკუთარი შვილის სკოლაში გაგზავნას, სადაც მას ყოველდღე დასცინოდნენ და აბურჩად იგდებდნენ? ალბათ, არა. ასეა ღმერთიც – იგი არ არის სასტიკი, როდესაც როტულად სავალ ადგილებში მიგვიძლვის, რომლებიც უნდა დავიპყროთ ღმერთის სასუფევლისთვის. შემოქმედმა იცის, რომ ეს სასარგებლოა ჩვენი საბოლოო მიზნისთვის და დიდებას მოუტონს მას და მის ერს, თუ ამ გამოწყვევას მისი მადლის ძალით მივიღებთ.

## განსაცდელების წყარო

მანამ, სანამ ამ საკითხზე საუბარს გავაგრძელებთ, ჯერ გავარკვიოთ, რა არის განსაცდელების და სირთულეების წყარო

და როგორია ღმერთის ნება მათთან მიმართებაში. ამ თემის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის შესაძლოა იქცეს დაბრკოლების ლოდათ ბევრი ადამიანისათვის, განსაკუთრებით კი ცხოვრების სამ მთავარ სფეროში. სწორედ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ამ თავის დარჩენილ ნაწილს მთლიანად მოცემულ საკითხებს დავუთმობ და მხოლოდ ამის შემდეგ განვაგრძობ მეფობაში შესვლის საკითხის განხილვას.

მაგალითები, რომლებიც ამ დრომდე განვიხილეთ, გვიჩვენებენ, რომ ღმერთი არა განსაცდელების წყარო. თლიპსის – სირთულეები, ზენოლები და განსაცდელები ცოდვით დაცემულ სამყაროში არსებული ძალებისგან მომდინარეობენ. ეს ყოველთვის ასეა? ამ საკითხში კარგად უნდა გავერკვეთ, რადგან თუ ოდნავ მაინც ვუშვებთ იმას, რომ ჩვენს ცხოვრებაში არსებული ამა თუ იმ განსაცდელის ინიციატორი ღმერთია, შესაძლოა, აღარ ვიბრძოლოთ გამარჯვებისათვის, ისე როგორც საჭიროა.

ომში მიმავალმა ჯარისკაცმა იცის, ვის უნდა ებრძოლოს. და თუ ის საკმარისად ბრძენია, მტრის საბრძოლო ტაქტიკა ექნება შესწავლილი. ამ მებრძოლს ეჭვიც არ ეპარება თავისი მტრის ვინაობაში. თუმცა, ჩემი ოცდაათწლიანი მსახურების განმავლობაში, მრავალ მორნმუნეს შევხვედრილვარ, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ აქვს იმაზე, თუ ვინ დგას განსაცდელების უკან. სამწუხაროდ, მათთვის უცნობია მტრის სტრატეგია, არადა ისინი მოწოდებული არიან იყვნენ ბრძენნი „რათა ზიანი არ მოგვაყენოს სატანამ, ვინაიდან ჩვენთვის უცნობი არ არის მისი ზრახვები“ (2 კორ. 2:11;).

საიდან ვიცით სატანის ტაქტიკა? იესო გვეუბნება: „ქურდის მიზანია, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს“. იესო ამბობს: „ჩემი მიზანია რომ სიცოცხლე ჰქონდეთ მათ და უხვად ჰქონდეთ“ (იოან. 10:10;).

იოანეს სახარებაში (მე-10 თავი) იესო „ქურდს“ უწოდებს სატანას და მის დამქაშებს. მოგვიანებით კი მას „ნუთისოფლის მთავარი“ უწოდა. პავლე მას „ამ საუკუნის ღმერთად“ (2 კორ. 4:4;) და „პაერის ძალთა მთავრად“ (ეფეს. 2:2;) მოიხსენიებს.

სატანა არის ის, ვინც ადგენს წუთისოფლის მმართველობის სისტემებს. ის არის ჩვენი კონფლიქტების, ყოველგვარი განსაცდელის ერთადერთი წყარო. როგორც პავლე მოციქული ამბობს:

„რადგან ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, უხილავი სამყაროს ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ სოფლის სიბრუნვის მპყრობ-

ელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის პოროტების სულთა წინააღმდეგ“ (ეფეს. 6:12;)

იოანეს სახარებაში (10:10;) მოცემული უფლის შეფასება და პავლე მოციქულის ეს სიტყვები მოწმობენ იმის შესახებ, რომ განსაცდელები და სირთულეები განეკუთვნებიან კატეგორიას „მოიპაროს, მოკლას და მოსპოს“ და წარმოიშვებიან ეფესელთა მიმართ წერილში (6:12;) აღნერილი ბოროტი ძალების მოქმედების შედეგად. მეორეს მხრივ, იესოს მიზანია გააცხადოს მამის ნება. ასე, რომ ღმერთს უნდა იცხოვრო სიცოცხლის სრული სისავსით. როდესაც რაიმე სახის ტანჯვას და სირთულეს შეხვდები, ფილტრად გამოიყენე იოან.10:10; რათა განსაზღვრო ვინ დგას ყოველივე ამის უკან – ღმერთი თუ მტერი. მოდით, წავიკითხოთ რამდენიმე მაგალითი, რათა ცხადათ დავინახოთ, როგორ მუშაობს ეს პრინციპი.

## სირცხვილი, პრალი, მსჯავრდადება

თუ სირცხვილის, ბრალის და მსჯავრდადების განცდას იოან.10:10-ის ფილტრით შევხედავთ, დავინახავთ, რომ სამიცე ქურდობის კატეგორიას მიეკუთვნება და ღმერთთან არაფერი აქვს საერთო.

მაგრამ, უკეთ რომ დავრწმუნდეთ, მოდით მეტად ჩავუდრმავდეთ ამ საკითხს. მეფსალმუნე ამბობს: „ადიდე, (სიყვარულით, გულიდან წამოსული ქება) სულო ჩემო, უფალი და ნუ დაივინწყებ რაც კეთილი გიყო! ის არის შემნდობი (თითოეული) ყველა შენი ბრალისა, მკურნალი ყველა შენი სნეულებისა“ (ფსალმ. 102:2-3;).

გაიხსენე ყველაზე სანდო პიროვნება, რომელსაც იცნობ. იქნებ ეს შენი მეუღლეა, მშობელი, ბებია ან ბაბუა, ან შენი ექიმი? ამ პიროვნებას არასოდეს მოუტყუებიხარ. იმედი მაქვს არსებობს ასეთი ადამიანი შენს ცხოვრებაში, ან შესაძლოა უწინ ყოფილა. წარმოიდგინე, რომ შენთვის ყველაზე სანდო ადამიანი გპირდება იმას, რაც ახლახანს წავიკითხეთ. ამ პიროვნებას შესწევს თავისი დაპირების შესრულების ძალა და უნარი.

ახლა კი დამეთანხმეთ, რომ ღმერთი გაცილებით სანდოა, ვიდრე პიროვნება, რომელზეც შენ გაიფიქრე. ღმერთი გვასწავლის არ დავივიწყოთ არცერთი მისი სიკეთე. არცერთი!

პირველი სიკეთე გახლავთ ის, რომ მან ცოდვები გვაპა-

ტია. საოცარია! რა სიკეთეა, რა წყალობა, რა სიყვარულია! თუ ეს აქამდე არ იცოდით, მაშინ კარგად დაიმახსოვრეთ: „შენ მოგეტევა ცოდვები იესო ქრისტეში“. არ არსებობს შენს მიერ ჩადენილი ისეთი ცოდვა, რომელსაც ქრისტეს სისხლი ვერ წაშლის. ასე, რომ თუ შენს სულში ბრალი, სირცხვილი და მსჯავრდადება ალიძვრება წარსულში ჩადენილის ანდა ნათქვამის გამო, რაც უკვე ღმერთმა გაპატია, იცოდე, რომ ღმერთი არ დგას ამ საშინელი გრძნობების მიღმა. აი, რას ამბობს პავლე მოციქული ამ საკითხის შესახებ:

„ვინ გაამტყუნებს ღვთის რჩეულებს? ღმერთი გამამართლებელი? არა! მან თავად მოგვცა უფლება მასთან დგომისა. ვინ დაგვდებს მსჯავრს? ქრისტე იესო? არა, რადგან ის ჩვენი ცოდვების გამო მოკვდა და ღმერთის მარჯვნივ ზის და შუამდგომლობს ჩვენთვის (რომ. 8:33-34);

ბრწყინვალედ არის ნათქვამი: „ვინ გაბედავს ბრალი დაგვდოს ...ღმერთი? არა! ...მაშ, ვინ დაგვდებს მსჯავრს? იესო ქრისტე? არა!“. აბა, დაფიქრდი: ღმერთმა იესო ქრისტე მაშინ წარმოგზავნა, როცა შენ ჯერ კიდევ მისი მტერი იყავი. იესო დათანხმდა ამის გაკეთებას, და სულინმიდამ აღასრულა ეს საქმე. და ახლა რატომ დაგვდებს მსჯავრს მამა ღმერთი ან სულინმიდა, რატომ ჩაგვაგდებს სირცხვილში, როცა შენ ღმერთის მტერი კი არა, უკვე მისი შვილი ხარ? რატომ დაგადებს მსჯავრს, როდესაც ეს მან შენს მაგივრად იესოს შეამთხვია? განა იესოს მსხვერპლი საკმარისი არ არის? თუ საუკუნო არ არის?

„მით უმეტეს, სისხლი ქრისტესი, რომელმაც საუკუნო სულით შესწირა ღმერთს თავისი უბინო თავი, განწმედს ჩვენს სინდისს მკვდარი საქმეებისგან ცოცხალი ღვთის სამსახურისათვის!“ (ეპრ. 9:14;)

ქრისტეს მსხვერპლმა, არა მხოლოდ ჩვენი ცოდვები წაშალა ღმერთის წინაშე, არამედ ჩვენი სინდისიც გაწმინდა ცოდვის ბრალის, სირცხვილისა და მსჯავრდადებისაგან. თუკი შენ მისთვის ცოცხლობ და ისწრაფვი დაემორჩილო მის სურვილებს, მაგრამ გტანჯავს წარსულის ცოდვებისგან გამოწვეული გრძნობები და აზრები, იცოდე, რომ ისინი მტრისგან მომდინარეობენ, რათა გაგანადგუროს. მთელი ძალით წინ აღუდექი მტერს. როგორ? იესოს მსგავსად, რომელსაც იგივე

მტერი სცდიდა უდაბნოში. იქსოს იარაღს ღმერთის სიტყვა წარმოადგენდა(მომდევნო თავებში უფრო დაწვრილებით ვის-აუბრებთ ამ საკითხზე)!

მიაქციეთ ყურადღება, თუ შენ ღმერთს არ ემორჩილები, მაშინ შენი გული გდებს მსჯავრს. იოანე წერს: „ვინაიდან თუკი ჩვენი გული გვდებს მსჯავრს, ღმერთი ხომ ჩვენს გულ-ზე დიდია და ყოველივე უწყის. საყვარელნო! თუ ჩვენი გული არ გვდებს მსჯავრს, კადნიერება გვაქვს უფლის მიმართ“ (1იოან.3:20-21;). ამ მუხლში სიტყვა „მსჯავრდადება“ არ ნიშნავს „სასჯელს კონკრეტული დანაშაულისთვის“, თუმცა ხშირად ამ მნიშვნელობით გამოიყენება. ბერძნული სიტყვის „kataginosko“(კატაგინოსკო) მნიშვნელობა, რომელიც მოცემულია ორიგინალის ტექსტში, – არის „ბრალის წაყენება“, „ბრალის პოვნა“, „შეპასუხება“.

ჩვენი სინდისი გვიცავს, რათა შევინარჩუნოთ და არ დავკარგოთ ღმერთთან მოზიარეობა. თუ ასეთ მდგომარეობა-ში ვიმყოფებით და არ ვაუმჯობესებთ მასთან ურთიერთობას და მეტად ალარ ვვითარდებით, მაშინ სულინმიდა დაიწყებს ჩვენს გამოსწორებას, როგორც მოსიყვარულე მამა: „შვილო უფლისაგან წვრთნას ნუ უგულებელყოფ და მის მხილებას ნუ წაუყრუებ“ (ეპრ.12:5;). იგი გვსჯის ურთიერთობის ალდგენის მიზნით, რათა უფრო მეტად დავემსგავსოთ მის ხატებას და არა იმისათვის, რომ მოგვკლას, გაგვძარცვოს და გაგვანადგუროს.

გახსოვდეთ, რომ მსჯავრდადებას და გამოსწორებას უსია-მოვნო შეგრძნება ახლავს, ეს არ გვანიჭებს კომფორტის შეგ-რძნებას, ეს პროცესი მტკივნეულიც კია! „ყოველგვარი წვრთნა ამჟამად სიხარულად კი არ გვეჩვენება, არამედ მწუხარებად“ (ეპრ. 12:11;). თუმცა ამ ორ გრძნობას შორის უდიდესი განსხ-ვავება არსებობს. მსჯავრდადება სიტუაციიდან გამოსასვლელ გზას არ იძლევა; ის გვტოვებს სირცხვილში, ბრალდებაში და ცდილობს მუდმივად მსჯავრის ქვეშ გვამყოფოს. გამოსწორება კი ყოველთვის გამოსავალს გთავაზობს: ამ გზას მონანიება ჰქვია.

თუ შენმა სინდისმა იცის, რომ ურჩობაში ცხოვრობ, მაშინ ეს ღმერთისთვისაც ცნობილია, რადგან ის შენს სინდისზე, შენს გულზე უფრო დიდია. ნუ დააგვიანებთ ღმერთისთვის ანგარი-შის ჩაბარებას; მყისვე მოინანე, როცა არასწორად მოიქცევი. ალიარე ცოდვა და უფალი მოგიტევებს. ეს ძალიან ადვილია.

იოანე წერს: „შვილნო ჩემნო, ამას გწერთ იმისათვის, რომ არ შესცოდოთ. ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე მართალი იქსო ქრისტე“ (1იოან.2:1;).

ყურადღება მიაქციეთ, რომ იოანე არ ამბობს „როცა სცოდავთ“. არა, მიზანი მდგომარეობს შემდეგში: „არ შესცოდოთ“. ცოდვისგან დაბინძურებული სინდისი კვლავ ცოდვაში გითრევს, მაგრამ ღმერთის წინაშე სწორ მდგომარეობაში მყოფი სინდისი ძალას მოგანიჭებს ცოდვაზე გასამარჯვებლად. ამის ცოდნა გეხმარება მუდამ გახსოვდეს, რომ ცოდვა დამარცხებულია შენს ცხოვრებაში და მოცემული გაქვს მადლი, რათა ცოდვისგან სრულიად თავისუფალმა იარო, „ვინაიდან ცოდვა ველარ იბატონებს თქვენზე“, – წერს პავლე, – „რამეთუ...მადლის ქვეშ ხართ“ (რომ. 6:14;).

ამიტომ, ჩვენი მიზანია არ შევცოდოთ. ღმერთის მადლი ამ მიზნის მიღწევაში გვეხმარება. მაგრამ თუ (კვლავ ხაზს ვუსვამ თუ) შევცოდავთ, შეგვიძლია მაშინვე მივიდეთ ღმერთთან და ვირწმუნოთ მისი სიტყვა: „თუ ვალიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, სარწმუნო და მართალი, მოგვიტევებს და განგვწმედს ყოველგვარი უკეთურებისგან“ (1 იოან. 1:9;). „სარწმუნო“ ნიშნავს, რომ ის ყოველთვის მოგვიტევებს, მიუხედავად იმისა, რამდენჯერ დაეცემი. „მართალი“ ნიშნავს იმას, რომ მოგვიტევებს მიუხედავად იმისა, ვინ ხარ და რა გააკეთე. ამიტომ, როდესაც ის გწმენდს ყოველგვარი უკეთურებისგან, ნიშნავს, ყველა სახის უკეთურებისგან, ყველა ცოდვისგან და მის წინაშე სუფთა ხარ, თითქოს არასოდეს შეგიცოდავს. ქრისტეს სისხლი გვაშორებს ცოდვას ისე, როგორც აღმოსავლეთია დასავლეთს დაშორებული!

ერთ-ერთი დიდი დაბრკოლება, რომელიც მორწმუნეს ხელს უშლის იმეფოს ცხოვრებაში — ცოდვისგან დაბინძურებული სინდისია. როდესაც ღმერთის წინაშე უკვე აღიარებული და მონანიებული ცოდვის გამო სირცხვილს, ბრალსა და მსჯავრდადებას ვებრძვით, ეს გვასუსტებს. ბევრი ადამიანი მინახავს, რომლებიც სწორედ მტრის და არა ღმერთის მიერ პროვოცირებული ძლიერი ბრალის, სირცხვილისა და მსჯავრდადების გამო რწმენას ჩამოშორდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ბევრჯერ შესცოდეს ერთი და იმავე ცოდვით, ან მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინეს. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი არ სდებდა ბრალს, სატანამ მათი განუახლებელი გონება გამოიყენა და ისინი ბრალის, სირცხვილისა და მსჯავრდადების მორევში ჩაძირა. ამ ადამიანებმა ან საერთოდ მიატოვეს ღმერთი ან უნაყოფო რწ-

მენის დონემდე დაეშვნენ, რაც დანაშაულის გრძნობამ გამოიწვია. იმის ნაცვლად, რომ ცხოვრებაში ემეფათ, ცხოვრების მმართველობის ქვეშ აღმოჩნდნენ.

მაში, ჩამოვყალიბდეთ: თუ შესცოდე, მაგრამ აღიარე და გულით მოინანიე, მაშინ ღმერთი ისე გიყურებს, თითქოს არა-სოდეს შეგეცოდოს. უფლის საკეირველი მადლის გამო ეს ასე ადვილად შესაძლებელი გახდა. ეს უნდა დაიჯერო!

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი რამ აღვნიშნოთ, თუ შენ ჭეშ-მარიტად ღმერთის შვილი ხარ, მაშინ ყველაზე მეტად ის გინდა, რომ ღმერთს აამო, რამეთუ მისი სიტყვა შენში იმყოფება. მაგრამ ადამიანი, რომელიც შეგნებულად განაგრძობს ცოდვაში ცხოვრებას არ არის ჭეშმარიტად ღმერთისაგან შობილი. თუ შენ ცოდვისთვის გამართლებას ეძებ, იცოდეთ, რომ სახი-ფათო გზას ადგახარ. პირდაპირ რომ ვთქვათ, გადარჩენილიც არ ხარ. ამის შესახებ ბიბლია გარკვევით ამბობს: „ვინც ცოდვას აგრძელებს ვერ შეუცვინა უფალი... ასეთი ადამიანი ეშმაკს ეკუთვნის“ (1იოან. 3:6-8;).

## ავდებულობა, დაავადება, ფიზიკური უძლურება

რა ძალას გვაძლევს მადლი იმისათვის, რომ ავადმყოფობაზე, დაავადებასა და ფიზიკურ უძლურებაზე ვიმეფოთ? მოდით, წავიკითხოთ რას წერს მეფისალმუნე ამის შესახებ:

„ადიდე სულო ჩემო უფალი, და ნუ დაივიწყებ რაც კეთილი გიყო! ის არის შემნდობი ყველა შენი ბრალისა, მკურნალი ყველა შენი სნეულებისა“ (ფსალმ. 102:2-3;)

მოდი, ისევ გაიხსენე ის პიროვნება, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობი და შემდეგ დაფიქრდი იმაზე, რომ ღმერთია ის, ვინც ნდობის ღირსია; უფალი თავისი აღთქმის ერთგულია. პირველი სიკეთე, რაც ზემოთ მოყვანილი ფსალმუნიდან ჩანს, არის ის, რომ ღმერთი ყველა ცოდვას გვპატიობს. და ეს ყველაფერი არ არის, იმავე ფსალმუნში ვკითხულობთ, რომ არ დავივიწყოთ მისი კიდევ ერთი კურთხევა: ღმერთი, რომელიც არასოდეს ცრუობს, გვეუბნება: „განვკურნავ ყველა შენს სნეულებას“. ის არ ამბობს, რომ შენი დაავადებების მხოლოდ 98%-ს განკურნავს – არა, ყველა სნეულებას, ე.ი 100%-ს.

ლმერთისმიერი განკურნება იესოს გამომსყიდველი ლვაწლის ნაწილია და ცოდვათა პატიებას უთანაბრდება. ესაიამ იწინას-ნარმეტყველა, რომ იესო დაიტანჯებოდა, რათა ჩვენთვის სუ-ლიერი და ფიზიკური თავისუფლება მოეცა:

„მაგრამ იტვირთა მან ჩვენი სწორებანი  
და ჩვენი ტაივილებით გაიტანჯა,  
ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ ნაგვემი იყო,  
ლმერთის მიერ ნაცემი და წამებული.  
მაგრამ ის დაჭრილი იყო ჩვენს  
დანაშაულთა გამო,  
დალენილი — ჩვენი ურჯულოების გამო;  
ჩვენი სასჯელი მასზე იყო;  
და მისი ჭრილობებით ჩვენ განვიკურნეთ“ (ესაია 53:4-5;)

—  
უფალი თავისი აღთქმის  
ერთგულია.

—  
ებრაული სიტყვა, რო-  
მელიც სწორების გამოსახ-  
ატავად გამოიყენება არის „  
choli“ (ქოლი). სორონგის სიმფო-  
ნიის მიხედვით მისი მნიშვნელო-  
ბებია: „ავადმყოფობა, წუხილი,  
დაავადება“. ბიბლიის ცნობილი  
მკვლევარი და მწერალი ჰენრი

ტაილერი ამ სიტყვას განმარტავს, როგორც „დაავადება, მწუხა-  
რება, ავადმყოფობა“. ეს ტერმინი ოცდაოთხჯერ გვხვდება  
ძველ აღთქმაში და აქედან ოცდაერთჯერ გამოყენებულია  
ავადმყოფობასთან მიმართებაში. ვფიქრობ, ზემოთ მოყვანილ  
მუხლში ქოლი სრულიად შესაძლებელია გადათარგმნილიყო,  
როგორც „ავადმყოფობა“ ან „დაავადება“.

ამ აზრს „ბიბლიის გაფართოებული“ თარგმანიც ამყარებს:  
„ნამდვილად ჩვენს გამო იტვირთა ჩვენი სწორებანი (ავადმყო-  
ფობა, დაავადება და მწუხარება) ... და იარებით [რომლითაც  
დაჭრილი იყო] განვიკურნეთ და გამოვჯანმრთელდით“ (ესაია  
53:4-5;). ბიბლიის მსოფლიო თარგმანში ვკითხულობთ: „ნამ-  
დვილად მან იტვირთა ჩვენი ავადმყოფობანი...და მისი ჭრი-  
ლობებით განვიკურნეთ“. ბიბლიის ახალ ინგლისურ ვერსიაში  
ვკითხულობთ: „მან აიღო ჩვენი ავადმყოფობანი...და მისი ჭრი-  
ლობებით განვიკურნეთ“.

შემთხვევით არ არის, რომ მეფსალმუნე და ესაია წინას-  
ნარმეტყველი ერთ წინადადებაში გადმოსცემენ ყველა ცოდვის  
მიტევებას და ყველა დაავადებისაგან განკურნებას. ერთიც და

მეორეც გოლოგოთაზე ქრისტესმიერი ღვაწლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს“.

სახარებაში ვერსად ვერ ნახავ ქრისტესთან მისულ პიროვნებას, რომელსაც უარი უთხრეს განკურნებაზე. იესოს არასოდეს უთქვამს „უნდა აიტანო ავადმყოფობა, რადგან მამაჩემი მისი მეშვეობით გასწავლის“. თუმცა მორწმუნები, მათ შორის მასნავლებლებიც ხშირად ამბობენ მსგავსს სიტყვებს. მოდი, ლოგიკურად მივუდგეთ ამ საკითხს: დღეს რატომ შეცვალა ქრისტემ ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულება? ჩვენ ვიცით, რომ ქრისტე გუშინ, დღეს და უკუნისამდე იგივეა (იხ. ებრ.13:8;). ის დღესაც არ გვეტყვის უარს, ისევე როგორც დედამიწაზე მოღვაწეობის დროს არავის ეუბნებოდა უარს. მეტიც, თუ ფიქრობ, რომ ლმერთი ავადმყოფობის მეშვეობით რაიმეს გასწავლის, მაშინ რატომ მიდიხარ ექიმთან სამკურნალოდ? რატომ ებრძვი იმას, რასაც ლმერთი შენს სასიკეთოდ იყენებს? ხედავ რამდენად არალოგიკურია ასეთი აზროვნება?

მოციქულთა საქმეების წიგნშიც არცერთი ადამიანისთვის, რომელთაც განკურნება სურდათ, უარი არ უთქვამს ლმერთს. მოციქულებს არასდროს უპასუხიათ მათთვის: „არ ვიცით შენი განკურნება ლმერთის ნებაა თუ არა, იმედს ნუ დაკარგავ, იქნებ განიკურნო“<sup>1</sup>. განკურნება ყოველთვის ხდებოდა, ვინც ეძებდა, იღებდა კიდეც, რადგან ესაიას 53 თავში და 102-ე ფსალმუნში ვხედავთ, რომ განკურნება იესოს ღვაწლის შემადგენელი ნაწილია, ისევე როგორც ცოდვების პატიება. თუ ერთზე უარს ამბობ, მაშინ მეორეზეც უარი უნდა თქვა!

დღესაც ასეა. ავადმყოფობა, დაავადებები და ფიზიკური უძლურებები „მოიპაროს, მოკლას და მოსპოს“ კატეგორიაში შედიან. ეს განსაცდელია, რომელსაც შეგვიძლია წინ აღვუდებეთ, ვიცით რა რომ ქრისტეს გოლგოთის მსხვერპლის წყალობით განვთავისუფლდით მათი ძალაუფლებისგან. ავადმყოფობა, დაავადებები და ფიზიკური უძლურებები არ წარმოადგენენ ლმერთის ნებას ჩვენს ცხოვრებაში. გამოსყიდვა დღესაც შეურყყელი და ხელუხლებელია! ამიტომაც წერს პავლე მოციქული: „თავად მშვიდობის ლმერთმა წმიდა გყოთ სრულად და მთლიანად: სული, სამშვინველი და სხეული დაცულ იქნეს უმნიკვლოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისთვის“ (1 თეს. 5:23;). აქ საუბარია როგორც სხეულზე, ასევე სამშვინველსა და სულზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ლმერთს სურს როგორც სული და სამშვინველი, ასევე შენი სხეულიც ჯანსაღი და მთელი იყოს, და ისე ფუნქციონირებდეს, როგორც დასაწყისშივე განიზრახა ლმერთმა.

ვიღაც ალბათ მეტყვის: „ერთ ადამიანს ვიცნობდი, რომელსაც სჯეროდა, რომ ლმერთი განკურნავდა, მაგრამ ის გარდაიცვალა“. მაშინ, მე გკითხავ: ჩვენი რწმენა რას უნდა ეფუძნებოდეს, იმას, ვის რა დაემართა, თუ ლმერთის სიტყვას? ეს აზრი შენს გონებაში და გულში უნდა იყოს გამჯდარი. პავლე ამბობს: „თორემ რაა? თუ ზოგიერთებს არ სწამდა, განა მათი ურწმუნოება გააბათილებს ლვთის რწმენას? არამც და არამც! ლმერთია ჭეშმარიტი“ (რომ. 3:3-4;).

პირდაპირ რომ ვთქვათ, შენ დარწმუნებით ვერ იტყვი თუ რა სწამდა იმ გარდაცვლილ ადამიანს თავის გულში. შესაძლოა გარეგნულად გამოხატავდა, რომ სჯეროდა განკურნების, მაგრამ სინამდვილეში, შიშობდა ვაითუ ვერ განკურნებულიყო. ჭეშმარიტი რწმენა ადგილს არ აძლევს ეჭვს. შესაძლოა ადამიანი ერთ რამეს ამბობდეს და იცოდეს გონებით, რომ რასაც ამბობს სიმართლეა, მაგრამ გულში სხვანაირად სწამდეს.

მაშ, როგორ დავეყრდნოთ სხვა ადამიანების გამოცდილებას, რომელიც წმინდა წერილის საპირისპიროს ამტკიცებს – თანაც ისე, რომ არ გავასამართლოთ? მაგალითად, თუ ჩვენი ახლობელი უდროოდ წავა ამ ცხოვრებიდან ავადმყოფობის გამო? აი, როგორი დამოკიდებულება გამოვიმუშავე ამ საკითხთან მიმართებაში: წმინდა წერილი გვეუბნება, რომ ჩვენ სარბიელს გავდივართ. დისტანციაზე სირბილისას, ყველა მონაწილე თავის ხაზს მიუყვება. თუ რომელიმე ადამიანის გამოცდილება არ ეფუძნება წმინდა წერილის ფუნდამენტურ ჭეშმარიტებებს, მაშინ დატოვეთ ის თავის სარბებ ბილიკზე, მაგრამ თქვენს ხაზზე ნუ გადმოიყვანთ. ეს საკითხი მართალ, მოწყალე ლმერთსა და იმ პიროვნებას შორის რჩება. ასეთი მოპყრობით, შენი რწმენა აღარ შესუსტდება. მაგრამ თუ რომელიმე პიროვნების მოწმობა ლმერთის მარადიულ სიტყვასთან თანხვედრაშია, მაშინ გადმოიყვანე ის შენს ხაზზე, რათა უფრო ძლიერად ირბინო.

სანამ ლმერთის აღთქმას მიიღებდე შენს ცხოვრებაში, საჭიროა მთელი გულით ირწმუნო რას ამბობს წმინდა წერილი. და როცა ირწმუნებ, მაშინ გახდები შეუპოვარი სულში, ბარტემეოსის მსგავსად.

იესო თავის მოწაფეებთან ერთად იერიხოდან უნდა წამოსულიყო. გარს უამრავი ადამიანი ეხვია. გზის პირზე ერთი ბრმა კაცი იჯდა, სახელად ბარტემეოსი. როდესაც შეიტყო, რომ იესო მოდიოდა, ყვირილი ატეხა. გარშემო მყოფები აჩუმებდნენ და უკრძალავდნენ მოძღვრის შეწუხებას. მაგრამ ის უფრო მეტად უწევდა ხმას! ამ ადამიანს რწმენის საფუძველი მხოლოდ გონ-

ებაში არ ჰქონდა ჩაბეჭდილი, არამედ გულშიც. ბარტემეოსს გულით რომ არ ერწმუნა, რომ ღმერთს მისი განკურნება სურდა, ის აღარ გააგრძელებდა ყვირილს – განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხალხი ცდილობდა მის გაჩუმებას. შესაძლოა ის დადუმებულიყო და ასეთი რამ ეფიქრა: „რადგანაც იესო აქეთ აღარ გამოივლის, ეს ნიშნავს, რომ ღმერთს სურს ბრმად დავრჩე. მაგრამ ბარტემეოსმა არ დაიჯერა ეს სიცრუე; ის კვლავაც ყვიროდა. აბა, წაიკითხეთ რა მოხდა შემდეგ:

„და შედგა იესო“ (მარკ. 10:49;)

რა საოცარია! იესო იერუსალიმისაკენ გაემართა, რათა ის მისია აღესრულებინა, რისთვისაც მოვიდა დედამიწაზე. იესოს მთელი ყურადღება თავისი მისის შესრულებაზე ჰქონდა გადატანილი. იგი უამრავი ადამიანით იყო გარემოცული და რა თქმა უნდა, ბევრ მათგანს ფიზიკური საჭიროება გააჩნდა, თუმცა ამ საჭიროებებმა ვერ აიძულეს იგი დროებით შეეჩერებინა დავალების შესრულება. ეს ბრმა კაცი კი ხმამაღლა ყვიროდა და ვერ აჩერებდნენ. იესომ გაიგონა რა მისი ხმა, თქვა: „დაუძახეთ“. მონაფეებმა დაუძახეს ბრმა კაცს: „უთხრეს: „ნუ გეშინია, ადექი, გეძახის!“ (მარკ. 10:49;).

შემდეგ მოძღვარმა ჰკითხა: „რა გინდა რომ გაგიკეთო?“.

სერიოზულად ამბობ? ეს რა კითხვაა? ბრმა კაცს, რომელიც სხვისი დახმარების გარეშე ვერ დადის, ეკითხებიან რა ჭირდება. ისედაც ხომ ნათელია მისი საჭიროება და რაღატომ დაუსვა იესომ ეს კითხვა? განა არ იცოდა ამ მათხოვრის პრობლემა? დასცინა იესომ? რა თქმა უნდა, არა! უფალს სურდა ბარტემეოსის რწმენა დაენახა.

ბარტემეოსს, რომ ეთქვა „ვიცი, რომ მხედველობის დაბრუნება დიდი სათხოვარია, ამიტომ იქნებ მხოლოდ თავის ტკივილისგან გამათავისუფლო, რომელიც რამდენიმე დღეა მანუსებს“. მაშინ ის თავის ტკივილისგან განიკურნებოდა. ეს რომ სიმართლეა, ბერტემეოსთვის ნათქვამ იესოს სიტყვებში ვხედავთ: „ნადი, შენმა რწმენამ გადაგარჩინა“.

მარკოზი იქ მყოფი იმ ადამიანების შესახებ არ წერს, რომებიც არ განიკურნენ; მან ყურადღება განკურნებულ კაცზე გაამახვილა. არავის მისცე ნება შენი რწმენა შეარყიოს. კიდევ ერთხელ, ყურადღებით მომისმინე: ნუ გააკრიტიკებ და განსჯი იმ ადამიანებს, რომლებიც ვერ იღებენ განკურნებას ღმერთის-

გან, მაგრამ მათ ისტორიას მტკიცებულებად ნუ ჩათვლი. პავლე წერს: „თორემ რაა? თუ ზოგიერთებს არ სწამდა, განა მათი ურნმუნოება გააბათილებს ღვთის რწმენას? არამც და არამც!“ (რომ. 3:3-4;). გული მხოლოდ ისეთ მტკიცებულებებს გავუხსნათ, რომლებიც ღვთის სიტყვასთან თანხმობაში მოღიან.

## უძონლობა და სიღარიბე

გვაძლევს თუ არა მადლი უქონლობასა და სიღარიბეზე მეფობის ძალას?

ზოგიერთ ადამიანს ღვთისმოსაობა ხელმოკლეობაში ცხოვრება ჰგონია. არის უკიდურესი შემთხვევებიც, როდესაც ადამიანები პირობას დებენ უფლის წინაშე, რომ სიღარიბეში ემსახურებიან მას. ასეთი აზროვნება წინააღმდეგობაში მოდის ფილიპელთა მიმართ წერილთან (4:19;), სადაც პავლე თავის ქრისტიან თანამსახურებს ეუბნება: „ხოლო ჩემი ღმერთი აღავსებს თქვენს ყოველ საჭიროებას, თავისი სიუხვისამებრ ქრისტე იესოში“.

თუ ამ მუხლს კონტექსტში წაიკითხავთ, დაინახავთ, რომ პავლე მორნმუნებს კონკრეტულად ფინანსების შესახებ ელაპარაკება. ჩვენი საჭიროებები დაკმაყოფილდება – არა ეკონომიკური და საბაზრო მდგომარეობის მიხედვით, არამედ ღმერთის სიმდიდრის მიხედვით. ეს საოცარი რამაა, რადგან ღმერთს დიდი სიმდიდრე აქვს – ულევი მარაგები! ამ დანაპირებიდან გამომდინარე, ღმერთს სურს არასოდეს განიცდიდე რაიმეს ნაკლებობას. მეფსალმუნე წერს: „მდიდარნი გაღატაკდებიან და დაიმშვიან, ხოლო უფლის მაძიებლებს (ვინც ითხოვენ) [საჭიროებიდან გამომდინარე და ღმერთის სიტყვის ავტორიტეტით] არავითარი სიკეთე არ მოაკლდებათ“ (ფსალმ. 33:11;). უქონლობა და სიღარიბე – ეს არ არის სიცოცხლე მთელი თავისი სისრულით; ამიტომაც ეს ორი, არ წარმოადგენს ღმერთის ნებას შენი ცხოვრებისათვის.

წმინდა წერილი ამბობს, რომ კარგი სახელი სჯობს სიმდიდრეს (იხ. იგ. 22:1; ეკლეს. 7:1). თუ გადასახადებს ვერ ვიხდით, სახელს ვიტეხთ. როგორი წარმოსადგენია, როდესაც იესოზე უმოწმებთ ადამიანს, რომელსაც ვალს ვერ უბრუნებ? როგორ მიიღებს ის შენს სიტყვას, როდესაც ხედავს, რომ შენი ცხოვრება წარუმატებლობისა და მარცხის მაგალითია? მაგრამ, თუ შენი მევალე ხედავს, რომ ღმერთი გაძლევს საშუალებას ვალი სრულად დაფარო და ნაქირავებ ბინაში კი არა, უკვე საკუთარ

სახლში ცხოვრობ, განა ეს მოწმობა არ იქნება ურწმუნო ადა-  
მიანისათვის? ღმერთის სიტყვა გვაუწყებს: „შენ ასესხებ მრა-  
ვალ ერს, შენ კი არ ისესხებ“ (2 რჯ. 28:12;). რამხელა მოწმო-  
ბაა, როცა ვალები აღარ გვაქვს და ახლა შენგან სესხულობენ  
და შენი ცხოვრებიდან სახარების ნათელი ბრწყინავს.

ამ მუხლებიდან ვხედავთ, რომ ღმერთის სურვილი უფრო  
მეტია, ვიდრე მხოლოდ ჩვენი საჭიროებების დაკმაყოფილე-  
ბა. ღმერთს უნდა რომ წარმატებული ვიყოთ. აი, მისი ნება,  
რომელიც ითანეს ლოცვაშია გადმოცემული: „საყვარელო  
(ყველაზე მეტად), ვლოცულობ, რომ კეთილი გზით გევლოს  
(წარმატებული იყო) და ჯანმრთელად იყო, როგორც შენი  
სული (არის წარმატებული) დადის კეთილად“ (3იოან; 2;) (ფრ-  
ჩხილებში მოცემული სიტყვები არ არის ქართულ ბიბლიაში.  
მთარგმნელის შენიშვნა).

შეამჩნიეთ, რომ ფრაზა „ყველაზე მეტად“ დახრილი ასოე-  
ბით დავწერე? ღმერთს ყველაზე მეტად სურს, რომ შენ, მისი  
შვილი წარმატებული და ჯანმრთელი იყო. მოდით, ისევ ვი-  
ტყვი: ყველაზე მეტად. მეტად ვიდრე სხვა რამე! მოციქულის  
ლოცვაში ღმერთის ნებაა გადმოცემული და ამიტომაც ჩაი-  
წერა ბიბლიაში. ღმერთი არ აზვიადებს თავის სიტყვას, რადგან  
ეს ტყუილი იქნებოდა, ღმერთს კი მოტყუება არ შეუძლია. ასე,  
რომ ჩემო მეგობარო, შეგიძლია დაიჯერო: ღმერთის ნებაა,  
რომ აყვავდე და კარგი ჯანმრთელობა გქონდეს. საოცარია!

რა არის წარმატება, აყვავება? ეს არის გქონდეს იმდენი,  
რომ მხოლოდ შენი საკუთარი საჭიროებები კი არ დააკმაყო-  
ფილო, არამედ ის საჭიროებებიც, რომელიც შენი გავლენის  
სფეროში არსებობს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ფული  
არასოდეს არ უნდა იყოს გადამწყვეტი ფაქტორი ადამიანები-  
სათვის სახარების ქადაგებაში. იქნებ ამიტომაც ამბობს ღმერ-  
თის სიტყვა: „უნდა გახსოვდეს უფალი, შენი ღმერთი, რადგან  
იგი გაძლევს შენ ძალას ქონების შესაძენად, რათა შეასრულოს  
თავისი აღთქმა, რომელიც შეჰვიცა შენს მამებს, როგორც  
დღეს“ (2 რჯ. 8:18;?)

ღმერთი წინააღმდეგი არ არის იმისა, რომ ვფლობდეთ  
ფულს. მას არ მოსწონს, როცა ფული გვფლობს. ფული კი  
არ არის ყველა ბოროტების ფესვი, არამედ მისი სიყვარული.  
ღმერთის ნებაა ცხოვრების ყველა სფეროში წარმატებული  
იყო, მათ შორის ფინანსურადაც.



ბევრი ახალგაზრდა და უმწიფარი ქრისტიანი განიცდის  
სირთულეებს ცხოვრების იმ სფეროებში, რომელთაც ზემოთ

შევეხეთ. თუმცა, როდესაც ვიცით, რომ ღმერთი არ არის სირცხვილის, მსჯავრდადების, ავადმყოფობის, ფიზიკური უძლურების და სიღარიბის ავტორი, მაშინ უფრო ადვილი ხდება დავინახოთ სხვა სფეროებიც, რომელშიც მტერი გვეწინააღმდეგება. ჩვენ ნამდვილ ცხოვრებისეულ ომში ვართ ჩართული ღმერთის სასუფევლისათვის.

ერთი რამ იცოდე: თუ წინააღმდეგობა „მოიპაროს, მოკლას და მოსპოს“ კატეგორიას ეკუთვნის, მაშინ მას არაფერი აქვს საერთო ღმერთთან, არამედ მისი ავტორია სატანა და მისი ძალები, რომელთაც სურთ დაგამარცხონ და გაგანადგურონ. ჩვენ გვმართებს შეუპოვარი ბრძოლა, რათა ღვთის სუფევა მოვიდეს დედამიწაზე, ისე როგორც ზეცაშია.

## ԱՇԽԵՐՎՈՅ

„Ռազուկա յերակությ հիւենտվուս օդանջա եռորդուելագ, ոյշանց  
ալոփշուրչետ մմազը անրուտ, զոնաօդան, զոնց կո եռորդուելագ  
օդանջա, Շենպատա բռդուուս հագենա“

13ԵՒԹՐ 4:1;

**Ե**սքարմուուգունետ, րոմելում յերո, րոմելուու սակայտար յարս  
օմմի բոցուեծուս, ազգումագեծուս, պամարշեծուս, բանշեծուս,  
տպուումբունազեծուս դա տպնեաց ճանշեծուս ցարեշը ցնազնուս.  
ասետո յարո Շեմլուս ցամարչազեծա? Տայրուու ցագարիշեծա կո  
զոնմե բռպաւալո? Իյմո զարայդուտ, ամ յարուս մյումարտա դուու  
նանուու դաուլուպեծա, եռուու դանարիշենս բոցազեց ապանեն.

Մյ մեռուու ցարայդուս ցամուուէցամ, րածգան յեր ար մմենուս  
մեցացսո րամ. մագրամ րաց ար յնդա սասացուուու մոցերիցենոս,  
ասետո յարո Ֆեցաց իսետ մորնթյունես, րոմելուու ար արուս „Քան-  
չազուուտվուս Շեյօրալեցնուու“. Տամենյարուու, ծեցրո հիւենցանո արաա  
ալոփշուրչուու. րուուսաց մուլուունելու տլուուսուսու ցագագուցեծա  
տացս, մուս նոնամե Շեյյօրալեցնուու ալմոցինցեծուտ եռումե. Ես  
մուս ցամո եցեծա, րոմ հիւեն շրեացուրեծտ դա ար շմոյմեցուտ.

Տայլուունմուուտ Շտացունեցնուու Ֆեցրու տացուս პորզել Երուու-  
նո Շեցացանեծու ալոփշուրչուուտ սագանչազելագ, իսեզը, րոցորու  
ոյսու ոյս ալոփշուրչուու. րոցոր օդանջացնուու օցո? բռդուս Տգան-  
չազագա? արա, մագրամ ուս յնոնաալմուցեցնուու մաս. ազագ ոյս?  
արա, մագրամ ալուատ մասաց եծրուու. օյուու ար Ֆյոնդա ցա-  
գասասացնուուս ցագասասակցուու դա մուս ցամո տացուսու մուսուս ալ-  
սրուուցեծանո եցլու յշլուցնուու? արա. մշյերա, րոմ ուս մտլուանաց  
լմերտնու ոյս մոնդոնելու. ոյսու պացելա սակուտենո ցամուուցա,  
մագրամ միցրոմա զերու շրտելու զեր Շեմլու մուսու ցամարչեծա.  
հիւեն մոնթուուցնու զարտ ոյսուս միցացսաց զուուցուրուու դա  
ծորուուս պացելա երուու ապուրուու.

Ցանցացրուուտ րա Ֆեցրուս Երուուուս յուտեզաս, զերացտ, րոմ  
ոյսուս ցանցայուուրեցնու բանչազաս մուս մոմարտ եալենուս յսամարտ-  
լու մուպուրուս նարմուացցենդա, ցանցայուուրեցնուու կո մմ գրուու  
პոլուուիյուրու դա րուուցուրու լուուցը մերուու. Պորագաց  
մյ մոմաինուս, րոմ յս արուս բանչազուս յսամարտ դոնյ, րոմելուու  
մորնթյունեմ մեյուունո Շեմլուս ցամո յնդա դաուտմունու.

Պացլու մուուցյուլուուսատվուս յսամարտլու մուպուրուս պացլանց  
դու բանչազաս նարմուացցենդա. ուս հայուուս, Եսայուուս ցամար-

ოლტეს, სამჯერ ჯოხებით სცემეს. იგი გამუდმებით საფრთხე-ში იმყოფებოდა; რამდენჯერმე დაჭრეს, დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ და ცილს სწამებდნენ. პავლე გვაფრთხილებს: „და ყველა ვისაც სურს ქრისტე იესოში იცხოვროს ღვთისმოსაობით, დევნილი იქნება“ (2 ტიმ. 3:12;).

თუ შენ ქვეყნიერების მსგავსად ცხოვრობ, დევნა არ შეგანუხებს; ეს კი ნიშნავს, რომ ვირტუალურად იქნები ომში ტყვედ აყვანილი.

—  
თუ შენ ქვეყნიერების  
მსგავსად ცხოვრობ, დევნა  
არ შეგანუხებს...  
ვირტუალურად იქნები  
ომში ტყვედ აყვანილი.  
—

შენ მტრის საკონცენტრაციო ბანაკში ხარ გამოკეტილი. აღარ იპრძვი ცათა სასუფევლისათვის და ველარ მოგაქვს დიდება ღმერთისთვის. მხოლოდ ჯარისკაცები იპრძვიან ტყვიების ქვეშ, რათა მტერს მიტაცებული ტერიტორიები წაართვან.

ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც ღვთის სასუფევლის სრულიად სანინაალმდეგოა. ამ წუთისოფლის დინება სულინ-მიდის დინების საპირიაპიროა. ამიტომაც, თუ შენ მართლაც უფლისათვის ცხოვრობ, მოგინევს განსაცდელების, სირთულეებისა და წინაალმდეგობების გადატანა. ეს შენი გასაკეთებელი საქმის შემადგენელი წანილია.

ძვირფასო მეგობარო, მნიშვნელობა არ აქვს ეს წინა თავში ჩამოთვლილი განსაცდელები იქნება თუ ბუნებრივად მომდინარე გარემოებები, ადამიანების სისასტიკე თუ ამ წუთისოფლიდან წამოსული წინაალმდეგობა, ცხოვრებაში მაინც მოგინევთ ქრისტეს გამო განსაცდელების გადატანა. ამიტომ, პეტრე ამბობს, რომ მზად უნდა ვიყოთ – „ალიჭურვეთ“.

## აღზურვილი აღუზურველის წინააღმდეგ

მოდით, მოულოდნელი წინააღმდეგობის ორი მაგალითი განვხილოთ, რომელშიც ერთი რესპოდენტი აღჭურვილია, ხოლო მეორე არა. წელიწადში ერთხელ კომერციული ავიალაინერის მფრინავს სტაჟირებაზე აგზავნიან. ამ სწავლების შემადგენელი ნაწილი მაღალტექნოლოგიური სიმულატორული კაბინაა. შიგნით ყველაფერი ისეა მოწყობილი, თითქოს ნამდვილ კაბინაში იმყოფები. ვიზუალური ეფექტები და შიგნით არსებული მოწყობილობები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ

ძნელია გაარჩიო ნამდვილ თვითმფრინავში ზიხარ თუ სიმულატორში.

მასწავლებლები, რომლებიც სიმულატორს ამუშავებენ, კაბინაში მყოფ მფრინავს სხვადასხვა დაბრკოლებებს (თლიპსის) უქმნიან. ამ მოწყობილობას შეუძლია საფრენი პირობების და სხვადასხვა სახის პრობლემების სრული იმიტირება მოახდინოს. სტაჟირებაზე მყოფი პილოტები გრძნობენ ინტენსიურ საჰაერო რყევებს, ეთიშებათ ძრავი, მიწაზე დამშვები სიჩქარეში გადასართველი მწყობრიდან გამოიდის და გარდა ამისა, კიდევ უამრავი პრობლემა. ასეთი წვრთნის მთავარი მიზანია, რომ თუ მფრინავი რეალურად მსგავს პირობებში მოხვდება, გამკლავება შეძლოს. ბევრი კატასტროფის აცილება მოხერხდა სწორედ ასეთი წვრთნების წყალობით.

მინდა გავიხსენო ერთი კატასტროფა, რომელიც 2001 წლის 9 სექტემბრამდე მოხდა. ეს იყო პატარა სამგზავრო თვითმფრინავი, რომელსაც მფრინავის სტანდარტული კაბინა არ ქონდა, რომელიც გამოყოფილი იქნებოდა მგზავრების სალონისგან. კატასტროფიდან მოკლე ხანში მაშველებმა შავი ყუთი იპოვეს და მასში არსებული ჩანაწერი გამოიკვლიერს. გამომდინარე იქიდან, რომ ამ თვითმფრინავს მგზავრთა სალონი და მფრინავის კაბინა გაერთიანებული ჰქონდა, ექსპერტებმა ჩანაწერში მგზავრებთან ერთად მფრინავების ხმების და მათი რეაქციის გარკვევაც შეძლეს. მგზავრები ისტერიულად კიოდნენ, როდესაც თვითმფრინავი მინისკენ მიექანებოდა. მფრინავები კი მშვიდათ იყვნენ და ცდილობდნენ პრობლემა დაედგინათ და კატასტროფა თავიდან აერიდებინათ. ისინი ისე მოქმედებდნენ, როგორც წვრთნის დროს ასწავლეს. მთავარი მფრინავი თანაშემწენებს მითითებებს აძლევდა, ხოლო ისინი თითოეულ დირექტივას მორჩილად ასრულებდნენ. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ თვითმფრინავი მინას არ დაენარცხა. რადგანაც მფრინავებს მოულოდნელი გართულების საწინააღმდეგო სწავლება ჰქონდათ გავლილი, მგზავრებისაგან სრულიად განსხვავებულად მოქმედებდნენ. მფრინავები მიზანმიმართულად მოქმედდებდნენ, მგაზვრების რეაქცია კი იყო შიში.

ერთხელ კერძო თვითმფრინავით მივფრინავდი 11900 მეტრ სიმაღლეზე. ამ დროს კარების საკეტი გატყდა. თვითმფრინავში ძლიერი ჰაერის ნაკადი ხმაურით შემოიჭრა, გეგონებოდა ქარბორბალა ამოვარდაო. არ ვიცოდი რა გამეკეთებინა. გულწრფელად რომ გითხრათ, მთელი ყურადღება შიშის დაძლევაზე მქონდა გადატანილი, რომელიც გულში შემოჭ-

რას ცდილობდა. მხურვალე ლოცვა დავიწყე. აღმოჩნდა, რომ მფრინავი საზღვაო ძალების ყოფილი გამომცდელი მფრინავი იყო, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული. კარის საკეტის გატეხვისთანავე მან და მისმა თანაშემწემ მყისვე მოქმედება დაიწყეს. პრობლემაც მაშინვე დაადგინეს, თავზე ჟანგბადის ნიღბები გაიკეთეს და ერთი მეც მომცეს. ამ უანგბადის გარეშე ისინი დაწყებულ საქმეს ვერ დაასრულებდნენ.

შემდეგ მფრინავმა თვითმფრინავი დაბალ სიმაღლეზე დაუშვა და დამხმარე პილოტს კვლავ მითითებებს აძლევდა. მთელი ამ კრიზისის მანძილზე ის თავშეკავებული და განონასწორებული იყო. ეს მან იმ გაკვეთილების მეშვეობით გამოიმუშავა, რომელიც თვითმფრინავის მართვის სწავლის დროს გაიარა. ვიცოდი, რომ დიდ განსაცდელში ვიყავით, მაგრამ მფრინავის შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, თითქოს დიდი არაფერი ხდებოდა. მის ქცევებში შიშის ნატამალიც კი არ შეიმჩნეოდა. ის განონასწორებულად და სწრაფად მოქმედებდა. იგი აკონტროლებდა მდგომარეობას.

მფრინავმა თვითმფრინავი ხუთ წუთზე ნაკლებ დროში 3650 მეტრამდე ჩაიყვანა. ჩვენ წუთში 1800 – 2400 მეტრით ქვემოთ ვეშვებოდით. მალე მინაზე დავჯექით უსაფრთხოდ. როდესაც სიტუაცია დაწყნარდა, მივხვდი, რომ ჩემი მფრინავი „აღჭურვილი იყო“, მე კი არა! გავლილმა მოსამზადებელმა კურსებმა მას კრიზისული სიტუაციების მართვის უნარი შესძინა.

სწორე ამის შესახებ წერია 1 პეტ. 4:1-ში. ჩვენ ყოფილი საზღვაო მფრინავის მსგავსად, სულიერი ბრძოლისთვის უნდა ვიყოთ აღჭურვილები, რათა მოულოდნელ გართულებებს შევენინააღმდეგოთ. ჩემი სურვილია, რომ წიგნი „შეუპოვარი“, ის სიმულატორი გახდეს, რომელიც ქრისტეს მეფობისკენ მიმავალ გზაზე წამოჭრილი წინააღმდეგობებისათვის შეგამზადებს.

## განსაცდელები იქნება

აღჭურვის პროცესში პირველი ნაბიჯი არის ცოდნა იმისა, რომ განსაცდელები გარდაუვალია. „წუთისოფელში გასაჭირო გექნებათ,“ – ამბობს იესო იოან. 16:33-ში. მას არ უთქვამს „შეიძლება გქონდეთ“, არამედ – „გექნებათ“. პავლე შეგვაგონებს: „ვინაიდან მრავალი ჭირით გვშართებს ღვთის სასუფეველში შესვლა“ (საქმ. 14:22:). და კვლავ ამბობს: „რათა არავინ შემდრკალიყო ამ გასაჭირში, ვინაიდან, თვითონ იცით, რომ ჩვენ საამისოდ ვართ დადგენილი“ (1 თეს. 3:3:).

ჩვენ აუცილებლად შეგვხვდება სირთულეები ომში მიმავალი ჯარისკაცის მსგავსად. არცერთი მეომარი არ მიღის ბრძოლაში იმისათვის, რომ დამარცხდეს. კარგ მეომარს წინასწან აქვს გადაწყვეტილი, რომ სირთულეებს (ტანჯვას) უნდა გაუქლოს და გაიმარჯვოს. ასეთი მეომარი აღჭურვილი და მომზადებულია საომრად. შენ და მე ომში ვართ ჩართულნი. როგორ ფიქრობ, რომ შენი ცხოვრება მანამდე უფრო დაწყნარებული იყო სანამ ქრისტეს მიღებდი?

მე ვპრაზდები, როდესაც ახალმოქცეულ ქრისტიანებს ეუბნებიან, რომ ქრისტიანული ცხოვრება – ეს არის იდეალური, პრობლემებისაგან თავისუფალი. ეს უტოპიაა. ვფიქრობ, ახალმოქცეული ქრისტიანებისათვის ასეთი სწავლების გადამცემ მორნმუნებს ჯერ არ მიუღიათ ჭეშმარიტი გადარჩენა, ან ახალბედა მორნმუნის კარგ განწყობას უფრო წინ აყენებენ, ვიდრე მის სულიერ სიჯანსაღეს. მაინტერესებს ამ „მქადაგებლებს“ ყურადღება თუ მიუქცევიათ იესოს სიტყვებისთვის „მთესველზე იგავი“-ს კითხვის დროს. მაცხოვარი ამბობს, როდესაც დათესილი სიტყვა ადამიანის გულში მოხვდება „დგება გასაჭირი ან დევნა სიტყვის გამო“ (მარკ. 4:17;). ბიბლიის New Living Translation ასე ამბობს: „მათ პრობლემები აქვთ ან ღმერთის სიტყვის მიღების გამო იდევნებიან“. პირდაპირ რომ ვთქვათ, ისე როგორც იესო ამბობდა ხოლმე, ირწმუნებ რა ღმერთის სიტყვას, ეს ნიშნავს, რომ ხელს აწერ და თანხმობას აცხადებ პრობლემებზე, სირთულეებზე და დევნებზე. ამიტომ ეს უნდა გაითვალისწინო.

თუ ახალმოქცეული მორნმუნე ხარ და საკუთარი გამოცდილება არ გყოფნის ამ საკითხებში, მაშინ ნება მიბოძე პირველმა გითხრა: შენ ისეთ ბრძოლაში აღმოჩნდი, რომელშიც უწინ არასდროს ყოფილხარ. მაგრამ კარგი ამბავი ის არის, რომ ეს ბრძოლები იმისთვის არ არის, რომ წააგო! შენ უკვე ბევრი ბრძოლა წააგე ქრისტესთან მოსვლამდე, მაგრამ ახლა შენში მყოფი სულინმიდის და ღმერთის უსაზღვრო მადლის გამო, შენ გაქვს ძალაუფლება შენს წინააღმდეგ წამოსული ნებისმიერი სირთულე დაამარცხო.

## 606 არაფერია ახალი

მეორე, რაც გვმართებს ბრძოლისათვის აღჭურვის შესახებ ვიცოდეთ ისაა, რომ მზისქვეშეთში არაფერია ახალი. ისეთ

სირთულეს არასოდეს შეხვდები, რომელიც სხვას არ შემთხვევია. ეს განსაკუთრებით იესოს ეხება, რომელიც ყველაფერში გამოიცადა.

პავლე წერს:

„არ შეგმოთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა; და სარწმუნო ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც მოგცემთ, რომ შესძლოთ ატანა“ (1 კორ. 10:13;)

ნებისმიერი განსაცდელი, რომელიც შენზე ეშვება, უნინ სხვასაც გადაუტანია და დაუმარცხებია კიდეც. შეგიძლია დარწმუნებული იყო ამაში! ეს მუხლი იმასაც გვეუბნება, რომ, ისეთი განსაცდელი და დევნა არ შეგვხვდება, რომლის გადატანასაც ვერ შევძლებთ. ღმერთი ასეთ რამეს არ დაუშვებს. მოიშორეთ შიში იმისა, რომ ვერ დასძლევთ შემხვედრ სირთულეებსა და განსაცდელებს. ასეთ რამეს არ შეგამოთხვევთ თქვენი ზეციერი მამა.

ბიბლიის Today's English ვერსია ამბობს: „ღმერთი თავისი ალთქმის ერთგულია და ის არ დაუშვებს იმაზე მეტად გამოიცადოთ, რისი ძალაც შეგწევთ“.

ბრწყინვალე, სარწმუნო ჭეშმარიტება კი იმაში მდგომარეობს, რომ ეშმაკს თქვენს მიმართ თავისუფალი მისადგომელი არ გააჩნია. მისი შეტევები უზენაესის ნების გარეშე ვერ მოხდება. შენი ზეციერი მამა არ არის განსაცდელების ინიციატორი, მაგრამ ზოგჯერ იგი უშვებს მათ, რათა დაამარცხო მტერი, დაიპყრო მისი ტერიტორია და უფალს დიდება მოუტანო.

———  
ნებისმიერი განსაცდელი, რომელიც შენზე ეშვება, უნინ სხვასაც გადაუტანია და დაუმარცხებია კიდეც.

ერთმა დიდად პატივდებულმა ეკლესის მამამ, სახელად ტერტულიანემ, რომელიც ჩვ.ნ.ალ.-ით 160 – 230 წლებში ცხოვრობდა, ამ საკითხზე ასეთი კომენტარი გააკეთა:

„როდესაც ღმერთი სატანას ნებას რთავს იმოქმედოს თავისი ჩანაფიქრით, მაშინ მისი [ღმერთის] მიზანია ეს განზრახვები თავის სასიკეთოდ აქციოს. ბოროტის საბოლოო განადგურება მან იმავე მიზეზით გადადო, რა მიზეზითაც ადამიანის აღორძინება და აღდგენა. შემოქმედმა დაუშვა კონფლიქტი, რომელშიც

ადამიანს შეუძლია მტერს იმავე თავისუფალი ნებით შეებრძოლოს, რომლითაც სატანას დაექვემდებარა. ... [უფალი უნარს აძლევს ადამიანს] ღირსეულად მოიპოვოს გადარჩენა გამარჯვების მეშვეობით. ამგვარად ეშმაკი უფრო მკაცრ სასჯელს მიიღებს, რადგან მას ის დაამარცხებს, ვინც თვითონ აცდენა. საკითხთან ასეთი დამოკიდებულებით, ღმერთი უფრო მეტად კეთილია ჩვენს მიმართ.<sup>1</sup>

ღმერთმა პატივი დაგვდო თავად გადავწყვიტოთ მტერთან შებრძოლება და ერთგვარად „ანგარიში გავასწოროთ“ რწმენის მიღებამდე ჩადენილი ცოდვების გამო. მთელი დიდება კი ღმერთს ეკუთვნის. მტერი მეტად ველარ მოატყუებს და დასცინებს კაცთა მოდგმას, რადგან ახლა ღმერთი აკონტროლებს სიტუაციას. ადამის დაცემის შემდეგ სწორედ ამას აკეთებდა ეშმაკი, მაგრამ ქრისტე მოვიდა და მისსავე ტერიტორიაზე დაამარცხა. ღმერთმა პატივი დაგვდო, რომ ჩვენ დავასრულოთ ბნელეთის მეუფის საბოლოო განადგურება.

პავლე წერს: „ახლა კი ვხარობ ჩემი ტანჯვებით თქვენს გამო და ჭირს, რაც ქრისტეს დააკლდა, ვავსებ საკუთარი ხორცით მისი სხეულისათვის, რომელიც ეკლესია“ (კოლ. 1:24;). თუ ამ სიტყვებს გაუაზრებლად წაიკითხავს ვინმე, იფიქრებს, რომ ქრისტეს მსხვერპლი საკმარისი არ ყოფილა ჩვენი გამოსყიდვისთვის. ამის გამო ბევრი ქრისტიანი არ უკვირდება რას ამბობს ღმერთის სიტყვა და თავს არიდებს მის შესწავლას (გაგიკვირდებათ, რომ იცოდეთ რამდენი განსწავლული ღვთისმსახურია, რომელმაც ამ მუხლების არსებობა არც კი იცის).

მაგრამ პავლე უფრო მეტს ამბობს. ის იმ პრივილეგიის შესახებ საუბრობს, რომელიც დედამიწის ყველა კუთხეში ღვთის სასუფევლის გავრცელებისათვის არის მოცემული. იესომ პატივი დაგვდო, რომ მის მიერ აღსრულებული საქმის შესახებ დედამიწის ყველა ერს ვაცნობოთ. მტერი ენინაალმდეგება ამას და ცდილობს უფლის შვილებს ტანჯვა მოუტანოს, მაგრამ ეს გამარჯვებული ტანჯვაა. როგორც იესო ამბობს: „ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ დასძლევენ მას“. ის თავის ეკლესიაზე საუბრობს (იხ. მათ. 16:18;). ეს არის ომი. ჩვენ ვიპრძვით, რათა ღვთის ძალით დავიპყროთ მტრის ტერიტორია და თვით ჯოჯოხეთიც კი ვერ შეგვჩერებს. ჩვენ ღმერთის სიტყვას ვფლობთ!

გახსოვდეს: ნებისმიერი სირთულე და განსაცდელი, რომლის გადატანაც გინევს, სხვა მორჩმუნებსაც და თავად ქრისტე-

<sup>1</sup> დევიდ ვ. ბერკოტი, რედაქტორი, ადრეული ქრისტიანული რწმენის ლექსიკონი(Peabody, MA: Hendrickson, 1998).

საც გადაუტანია, და დაუმარცხებია. პეტრე მოგვიწოდებს: „წინაღუდექით მას მტკიცე რწმენით და იცოდეთ, რომ მსგავსი სატანჯველი თქვენს საძმოსაც ხვდება წუთისოფელში“ (1 პეტ. 5:9;). ტანჯვა, რომელზეც პეტრე საუბრობს, გარდაუვალია იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომელთაც ღვთისათვის მოსაწონად ცხოვრება სურთ. და როდესაც ჩვენ მყარად ვდგავართ მისი მადლის ძალაში, აუცილებლად გავიმარჯვებთ.

## არასოდეს დამარცხე

ჩვენ „აღჭურვის“ მესამე მნიშვნელოვან საკითხს მივადექით: უნდა იცოდე, რომ არასოდეს არ უნდა დამარცხდე. ზერელედ ნუ წაიკითხავ იესოს ამ სიტყვებს. გააცნობიერე და შეითვისე:

„მისმინეთ! გაძლევთ თქვენ ძალაუფლებას, რათა ... დათრგუნოთ მტრის ყოველი ძალა. თქვენ კი არაფერი გევნებათ“ (ლუკ. 10:19;)

ეს მუხლი ძალიან დიდი აზრის მატარებელია! უპირველეს ყოვლისა, ყურადღების მობილიზებას ითხოვს – მისმინეთ! დაუკირდით, ეს ბრძანებაა. ამიტომაც გვმართებს ყურადღებით ყოფნა. ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

შემდეგ იგი ამბობს: „გაძლევთ თქვენ ძალაუფლებას, არა მტრის რომელიმე კონკრეტულ გამოვლინებაზე, არამედ მის ყოველ ძალაზე“. ეს ნიშნავს 100%-ს. შენ არამარტო ასპროცენტიანი ძალაუფლება გაქვს ბოროტის მზაკვრობების დასათრგუნად, არამედ გაცილებით მეტი, ვიდრე სატანის მიერ შენს წინააღმდეგ მომართული ყველა ძალა. მეფე იაკობის ბიბლიის თარგმანი ამბობს: „გაძლევთ ძალას... მტრის ყოველ ძალაზე“. ეს სიტყვები თანხვედრაში მოდის პავლეს სიტყვებთან, როცა ლოცულობს: „და რა განუზომელია მისი ძალის სიდიადე ჩვენში ვისაც გვწამს მისი ძალის ძლიერება“ და ეს ძალა არის „ყველა მთავრობაზე, ხელმწიფებაზე, ძალაზე, უფლობაზე და ყოველივე სახელზე მაღლა“ (ეფე. 1:19-21). არა უბრალოდ მაღლა, არამედ ყოველივეზე მაღლა!

ჩვენ არა მხოლოდ ძალაუფლება გვაქვს მოცემული მტრის ყველა ძალის დასათრგუნად, არამედ როგორც ითქვა: „თქვენ ღვთისგან ხართ, შვილნო, და სძლიერ მათ [ანტიქრისტეს სულებს], რადგან, ის ვინც თქვენშია, მეტია იმაზე, ვინც წუთისოფელშია“ (1 ოთან. 4:4;). ყველა ბოროტი სული ანტიქრისტეს

სულია, და სწორედ მათგან მომდინარეობს ყოველი განსაცდელი. ჩვენ უკვე დავამარცხეთ ისინი, რადგან ის, რომელმაც გაიმარჯვა ეშმაკზე, ჩვენში ცხოვრობს და გვაძლიერებს.

ლუკას სახარება(10:19;) იესოს დაპირებას გადმოგვცემს: „თქვენ არაფერი გევნებათ“. არარსებობს არცერთი ბოროტი ძალა – არცერთი – რომელსაც შეუძლია ზიანი მოგაყენოს. არცერთი ბრძოლაა ისეთი, რომელშიც დამარცხდები. თუკი შეუპოვრად იპრძოლებ ღმერთის მიერ ბოძებული იარალით მუდამ გამარჯვებული გამოხვალ ბრძოლის ველიდან. ამის შესახებ ღმერთის სიტყვა ლაპარაკობს: „მადლობა ღმერთს, რომელიც ყოველთვის ძლევას გვანიჭებს ქრისტეში“ (2 კორ. 2:14;).

თუ მოვუსმენთ მას, მაშინ უფალი წაგვიძლვება და ყოველი სიტუაციიდან გამარჯვებულს გამოგვიყვანს. იოანე გვიდასტურებს ამ ჭეშმარიტებას:

„ვინაიდან ყოველი ლვთისაგან შობილი სძლევს წუთისოფელს. და ეს არის ძლევა, წუთისოფლის მძლეველი ჩვენი რწმენა“ (1 იოან. 5:4;).

სწორედ ჩვენი რწმენაა, რომელიც სძლევს წუთისოფლის ყველა წინააღმდეგობას. გახსოვდეს, საჭანა „ამ წუთისოფლის ბატონია“. ჩვენ მის მიერ განხორციელებულ ყოველ დარტყმას ვიგერიებთ, რადგან ღმერთში უკვე გამარჯვებულები ვართ.

იოანეს სახარების მიხედვით, სწორედ ჩვენი რწმენაა ის, რაც მუხლებზე აჩოქებს წუთისოფელს. რატომ რწმენა? იმიტომ, რომ რწმენის მეშვეობით გვაქვს იმ მადლთან (ძალასთან) მისადგომელი, რომელიც გამარჯვებისთვის არის საჭირო. ჩვენ ვისაუბრეთ თუ როგორ უნდა ვიმეფოთ ცხოვრებაში ღმერთის მადლით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მადლი უსასყიდლოდ გვეძლევა, ვერასოდეს გვექნება მასთან მისადგომელი, თუკი არ გვექნება რწმენა, რამეთუ სწორედ რწმენაა ის სადინარი, საიდანაც მოედინება ლვთის მადლი (ძალა) იმისათვის, რომ ამა თუ იმ რთულ სიტუაციაში გავიმარჯვოთ. პავლე ამბობს: „რომლის მეშვეობითაც რწმენით მოვიპოვეთ მისადგომი ამ მადლთან, რომელშიც ვდგავართ“ (რომ. 5:2;).

ლვთის მადლი უსასყიდლოა ყველა ლვთის შვილისთვის, მაგრამ თუ არ გვნამს (არ გვაქვს რწმენა) „მისი მადლის სიტყვა“, ეს იგივეა, რომ საერთოდ არ ვფლობდეთ მადლს. გავიხსენოთ, როგორ ელაპარაკებოდა პავლე იმ ლიდერებსა და მორწმუნეე-

ბს, რომლებიც შეიძლება მეტად ვეღარ ენახა: „ახლა კი, ძმებო, მიგანდობთ უფალს და მისი მადლის სიტყვას, რომელსაც შეუძლია აგაშენოთ და მოგცეთ სამკვიდრებლად ყველა განწმედილთან ერთად“ (საქმ. 20:32;). პავლე მიუთითებდა იმაზე, რაც მათ საშუალებას მისცემდა ემეფათ ცხოვრებაში ღვთის სადიდებლად: იმეფებენ მადლის სიტყვით.

## გადლი საკმარისია ყველა ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად

ახლა კი აღჭურვის მეოთხე მნიშვნელოვან საკითხს შევეხებით: ღმერთის მადლი საკმარისზე მეტია იმისათვის, რომ ჩვენს წინაშე არსებული ნებისმიერი დაბრკოლების და განსაცდელის დაძლევა შევძლოთ.

ეს კარგად ჩანს პავლეს ცხოვრებაში წამოჭრილ განსაცდელებში. პავლე მიღებული გამოცხადებებით დიდ ზიანს აყენებდა სიბრძლის სამეფოს. სულინმიდისგან მომდინარე ეს ჭეშმარიტებები დიდ ძალას მატებდა მისი თაობის მორწმუნებს. აი, რას წერდა პავლე:

„რათა არ გავმედიდურდე მეტისმეტი გამოცხადებებით, ეკალი მომეცა სხეულში, სატანის ანგელოზი, რომ დამქეჯნოს, რათა არ გავმედიდურდე“ (2 კორ. 12:7;)

ეს კონკრეტული სიტუაცია, რომელშიც პავლე იმყოფებოდა, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ბიბლიის მკვლევარებში. მაგრამ ასე არ უნდა იყოს. მოდით, ნათელი მოვფინოთ ამ გაუგებრობას.

პირველ რიგში, ვინ მისცა პავლეს „ეკალი სხეულში“? ვიცით, რომ ეს ღმერთი არ იქნებოდა, რამეთუ დაწერილია: „ნუ შეცდებით, ჩემო საყვარელო ძმებო, ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი მაღლიდან მოდის, ნათელთა მამისაგან, რომელთანაც არ არის ცვლილება და არც ჩრდილი ცვალებადობისა“ (იაკ. 1:16-17;). ჩვენ ვცდებით, თუ გვგონია, რომ ის, რაც კარგი არ არის, ღმერთისგან მომდინარეობს. სატანის ანგელოზი ვერანაირად ვერ ჩაითვლება კარგ რამედ, და ვერც სრულყოფილად. ვიღაც, ალბათ, იტყვის: „ერთი მხრივ, ეს კარგიც იყო, რადგან პავლეს გაამაყებისგან იცავდა“. იაკობ მოციქული აცამტვერებს ასეთ შეხედულებას: „ღმერთი არ იცდება ბოროტით და არც არავის ცდის“ (იაკ. 1:13;).

დაუკვირდი იაკობის სიტყვებს: „ლმერთი...ბოროტით არა-ვის არ ცდის“. ლმერთი არასოდეს გაუგზავნიდა პავლეს გამო-საცდელად სატანის ანგელოზს და არც ბოროტით გამოსცდი-და მას, რადგან ეს სიცრუე იქნებოდა. ლმერთი კი არ ცრუობს. ასე, რომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს „ეკალი“ არ იყო ლმერთისგან.

შემდეგი კითხვა – რა იყო ეს ეკალი პავლეს სხეულში? ზო-გიერთი მკვლევარი ამბობს, რომ ეს იყო ავადმყოფობა, მხედ-ველობასთან დაკავშირებული პრობლემები, ან სხეულის რაიმე სახის უძლურება. ბევრი მკვლევარი ნაკლებ ყურადღებას აქცევს პავლეს მიერ შემდგომ ნათქვამ სიტყვებს:

„სამჯერ შევევედრე უფალს, რომ განმაშოროს იგი. და მითხრა: „გეყოფა ჩემი მადლი, ვინაიდან სისუსტეში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა“. ამიტომ უფრო ხალისით დავიკვეხ-ნი ჩემი უძლურებებით, რათა ქრისტეს ძალა დამკიდრდეს ჩემში“ (2 კორ. 12:8-9;)

ზემოთ მოყვანილ მუხლში სიტყვა სისუსტე და უძლურება გამოყვავი. პირველ რიგში, მეორე სიტყვის შესახებ ვისაუბრებ. ბიბლიის მასწავლებლები პავლეს სიტყვებზე დაყრდნობით („დავიკვეხნი ჩემი უძლურებებით“) ასწავლიან, რომ ეკალი ეს პავლეს ფიზიკური უძლურებაა. ბერძნულად „უძლურება“ გამოითქმის, როგორც „ასთენეია“. ეს სიტყვა თორმეტჯერ არის გამოყენებული ახალ ალთქმაში. უნდა ვაღიარო, რომ სახ-არებებში ეს ტერმინი ძირითადად ფიზიკური უძლურების აღ-სანერად გამოიყენება. თუმცა წერილებში იხმარება, როგორც ადამიანური სისუსტის გამოსახატავად – როდესაც ძალა არ გვყოფის რაიმე საქმის გასაკეთებლად. ასეთ სიტუაციებში ეს სიტყვა ფიზიკურ უძლურებებს არ აღნერს.

ერთ ასეთ მაგალითს რომაელთა მიმართ წერილი (8:26;) წარმოადგენს: „ასევე სულიც ეხმარება ჩვენს უძლურებას. ვინაიდან არ ვიცით, როგორ უნდა ვიღოცოთ, არამედ თვით სული შუამდგომლობას ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით“. ბერ-ძნული ტექსტის ამ მუხლში სიტყვა „ასთენეია“ არის გამო-ყენებული. ვფიქრობ, გაბედულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა ქრისტიანი არ არის ფიზიკურად დაუძლურებული (ავადმყოფობა ან დაავადება). მაშინ რას ნიშნავს სიტყვა „ას-თენეია“, რომელიც ყველა მორწმუნეს გააჩნია და შუამდგომ-ლობით ლოცვებს საჭიროებენ? პასუხი შემდეგია: ხშირად არ ვიცით, როგორ ვიღოცოთ, რადგან ჩვენი ადამიანური ბუნება შემოსაზღვრულია.

მაგალითად, თუ დედაჩემი ფლორიდაში ცხოვრობს, ხოლო მე კოლორადოში, და უეცრად რაღაც გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, და დედაჩემი ლოცვას საჭიროებს, მაგრამ მან ვერ შეძლო ჩემთან დაკავშირება, ჩემი შესაძლებლობები ამ დროს შეზღუდულია და არ ვიცი რა მოხდა. მაგრამ სულინმიდა და-მებმარება ამის დაძლევაში (სისუსტეში) და მიკარნახებს, თუ როგორ ვილოცო დედაჩემისთვის. კვლავაც, ბერძნულ სიტყვას „ასთენეია“ კავშირი აქვს არა ფიზიკურ უძლურებასთან, არ-ამედ ბუნებრივ ადამიანურ უუნარობასთან.

კიდევ ერთი მაგალითი ებრაელთა მიმართ წერილიდან (4:15;), სადაც ვკითხულობთ: „ვინაიდან ისეთი მღვდელმთავარი როდი გვყავს, რომ ვერ შეძლოს გვითანაგრძნოს ჩვენს სისუს-ტეებში, არამედ ჩვენსავით გამოცდილი ყველაფერში, გარდა ცოდვისა“. სიტყვა „სისუსტე“ აქაც გამოხატულია სიტყვით „ასთენეია“. კვლავ ვიტყვი, ეს ბერძნული სიტყვა გამოიყენება არა ფიზიკური უძლურების გამოსახატვად, არამედ ადამი-ანური უუნარობის ღვთის უნარიანობასთან შესადარებლად. იესომ ნებაყოფლობით მიიღო ადამიანური უუნარობანი, რათა უკეთესად გაეგო ჩვენი ტანჯვები და ეფექტურად დაგვეხმარებოდა მადლის მეშვეობით. ნათელია, რომ სიტყვები „ჩვენსავით გამოცდილი ყველაფერში, გარდა ცოდვისა“ დაკავშირებულია არა ავადმყოფობასთან, არამედ ადამიანურ უუნარობასთან, რომელიც ქრისტემ ნებაყოფლობით მიიღო დედამიწაზე ყოფ-ნისას.

კარგად გავიაზროთ, რაც ზემოთ აღვნიშნე და დაუუბრუნ-დეთ პავლეს სიტყვებს, რომელსაც კიდევ ერთხელ გავიმეო-რებ:

„სამჯერ შევევედრე უფალს, რომ განმაშოროს იგი. და მითხრა: „გეყოფა ჩემი მადლი, ვინაიდან სისუსტეში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა“. ამიტომ უფრო ხალისით დავიკვეხ-ნი ჩემი უძლურებებით, რათა ქრისტეს ძალა დაკვიდრდეს ჩემში“. (2 კორ. 12:8-9)

ისევ გამოვყავი სიტყვები „სისუსტე“ და „უძლურება“. და აი რატომ: ბერძნულ ენაზე ორივე ერთი სიტყვით გამოითქმის – ესაა „ასთენეია“. ამიტომ პავლეს სიტყვები ასეც შეიძლება გადაითარგმნოს:

„ჩემი მადლი საკმარისია შენთვის, რადგან ჩემი ძალა ადამი-ანურ უუნარობაში ხდება სრულყოფილი“. ამიტომ მე უფრო დავიკვეხნი ჩემი ადამიანური უუნარობით, რათა მისი მეშვეო-ბით გამოვლინდეს უფლის ძალა ჩემში“.

სხვა თარგმანებში ეს მუხლი სწორედ ასეთი ინტერპრეტაციით გვხვდება. ბიბლიის თანამედროვე ინგლისურ ვერსიაში ვკითხულობთ: „შენ მხოლოდ ჩემი სიკეთე გჭირდება. ჩემი ძალა უფრო ძლიერია მაშინ, როდესაც შენ სუსტი ხარ. ამიტომ, თუ ქრისტე კვლავაც მომცემს თავის ძალას, მოხარული ვიქნები ჩემი სისუსტით დავიკვეხნო“.

უგუნურება იქნებოდა მეფიქრა, რომ სულინმიდა მხოლოდ ავადმყოფობაზე საუბრობს. ეს ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ამ ადგილს ასე წავიკითხავდით: „ჩემი ძალა მაშინ არის ყველაზე ძლიერი, როდესაც ფიზიკურად ცუდად ვარ. ასე, რომ თუ ქრისტე კვლავ მომცემს თავის ძალას, მოხარული ვიქნები ჩემი ავადმყოფობით დავიკვეხნო“. განა ეს სისულელე არ იქნებოდა?

როდესაც პავლეს სიტყვებს მთლიან კონტექსტში წავიკითხავთ, ნათლად დავინახავთ, რომ იგი ფიზიკური უძლურების შესახებ არ საუბრობს. იგი გვაუწყებს, თუ რა მეთოდებით ებრძოდა მას „სატანის ანგელოზი“:

„ხუთჯერ მივიღე იუდეველთაგან ორმოცხე ერთით ნაკლები დარტყმა; სამჯერ კვერთხით მცემეს, ერთხელ ჩამქოლეს და სამჯერ გემის მსხვრევა განვიცადე, ღამე და დღე შუა ზღვაში დაცყავი, მრავალჯერ მოგზაურობებში, განსაცდელში ყაჩარძებისგან, განსაცდელში თანატომელთაგან, განსაცდელში წარმართთაგან, განსაცდელში ქალაქად, განსაცდელში უდაბნოდ, განსაცდელში ზღვაზე, განსაცდელში ცრუ ძმათა შორის, შრომასა და გაჭირვებაში, გამუდმებულ სიფხიზლეში, შიმშილსა და წყურვილში, გამუდმებულ მარხულობაში, ყინვასა და სიშიშვლეში...თუ დასაკვეხნია, ჩემი უძლურებით დავიკვეხნი“  
(2 კორ. 11:24-27,30;)

პავლე იმ წინააღმდეგობების ჩამონათვალს აკეთებს, რომლითაც სატანა გამუდმებით ებრძოდა მას. პავლესთვის შეუძლებელი იყო საკუთარი უნარით ამ სირთულეებს გამკლავებოდა. ამიტომ იგი ამბობს: „მე დავიკვეხნი იმით, რაც ჩემს სისუსტეს წარმოაჩენს“. აქ ნათლად ჩანს: სისუსტეს, იგივე „ეკალს სხეულში“ არაფერი აქვს საერთო მხედველობის პრობლემასთან, ავადმყოფბასთან ან რაიმე სახის ფიზიკურ სისუსტესთან.

მოდით, წმინდა წერილის სხვა ადგილსაც გადავხედოთ და დაგრწმუნდეთ, რომ „ეკალს სხეულში“ არაფერი აქვს საერთო ავადმყოფობასთან. ეს ფრაზა სამჯერ გვხვდება ბიბლიაში, კერძოდ ძველ აღთქმაში. სამივე ფრაზა ქანაანელებთან მიმართებაშია გამოყენებული, რომლებიც გამუდმებით ებრ-

ძოდნენ ისრაელიანებს. ომერთმა უთხრა თავის ხალხს: „და თუ არ განდევნით იმ ქვეყნის მცხოვრებთ თქვენგან, მაშინ, რომელთაც მათგან დატოვებთ, ეკლად გექცევიან თქვენს თვალებში და ნარად თქვენს ფერდებში, და შეგავიწროვებენ თქვენ იმ ქვეყანაში, სადაც იცხოვრებთ“ (რიცხ. 33:55;). თითოეულ შემთხვევაში, მეტაფორა „ეკალი სხეულში“ წარმოადგენს ადამიანებს, რომელნიც ართულებენ და ხელს უშლიან ნორმალურ ცხოვრებას. ძველ ალთქმაში ეს ფრაზა არასოდეს გამოიყენება ავადმყოფობის ან დაავადების აღსანერად. წმინდა წერილის მკვლევარი პავლე იგივე მნიშვნელობით იყენებდა ამ ფრაზას იმ სირთულეებზე საუბრისას, რომელიც მას მსახურების დროს ხვდებოდა.

## პარადიგმის დიდი ცვლილება

მჯერა, რომ პავლე მოციქული იმდენად იყო წინააღმდეგობებით და სირთულეებით შეწუხებული, რომ ღმერთს შესთხოვა, და არა ერთხელ, არამედ სამჯერ, მოეშორებინა ამ სირთულეების მიზეზი, სატანის ანგელოზი. მჯერა, რომ თავდაპირველად ღმერთმა იმიტომ არ უპასუხა პავლეს, რომ მისი ლოცვა არასწორი იყო; პავლე არასწორ კარში შედიოდა. მესამე თხოვნის შემდეგ უფალმა გამოსავალი დაანახვა:

„ნუთუ კიდევ ვერ გაიგე? მადლი მოგანიჭე (უსაზღვრო ძალა), რომელიც სძლევს მტრის ყოველ ძალას. ერთადერთი, რაც გჭირდება ეს ჩემი მადლია (ძალა), რომელიც იქ ვლინდება, სადაც შენი ადამიანური შესაძლებლობებით ვერაფერს ხდები. სხვა სიტყვებით რომ გითხრა, რაც მეტია წინააღმდეგობა, მით მეტად ვლინდება ჩემი მადლი (ძალა) შენს ცხოვრებაში, თუკი უბრალოდ ირწმუნებ ამას“ (2 კორ. 12:9; ავტორის პარაფრაზირება)

როდესაც პავლე ამ სიტყვების მნიშვნელობას ჩასწვდა, ბრწყინვალე რამ მოხდა. მან პარადიგმის ცვლილება განიცადა – რადიკალური ცვლილება აზროვნებაში. მან სრულიად შეცვალა დამოკიდებულება იმ წინააღმდეგობის მიმართ, რომელსაც გამუდმებით ეჯახებოდა. ამის შემდეგ პავლე ამბობს:

„ამიტომ კმაყოფილი ვარ უძლურებაში, შეურაცხოფაში, გაჭირვებაში, დევნაში და შევიწროებაში ქრისტეს გულისათვის. ვინაიდან როცა უძლური ვარ, მაშინ ვარ ძლიერი“ (2 კორ. 12:10;)

ახლა იგი იკვეხნის: „კმაყოფილი ვარ ამ ადამიანური უძლურებებით!“.

ერთი წუთით: კმაყოფილი? ეს როგორ? ერთ-ერთ თარგ-მანში ვკითხულობთ: „კმაყოფილი ვარ და სიამოვნებას განვიცდი...“, სხვა თარგმანში წერია: „სიამოვნებას ვიღებ....“. პავლე ხომ არ შეიძლა? მგონი აზვიადებს? ხომ არ იტყუება? რა თქმა უნდა, არა! ის, ვინც წმინდა წერილს სულინმიდის მიერ შთაგონებული წერს, ასეთ რამეს არ იტყვის, რადგან შეუძლებელია ღმერთმა იცრუოს. აბა, როგორ შეიძლება ვინმემ ტან-ჯვებში სიამოვნება მიიღოს? პასუხი მარტივია:

„დიდ წინააღმდეგობას დიდი ძალა სჭირდება  
დასამარცხებლად; შედეგად გამარჯვებაც დიდი იქნება“.

ბევრი ქრისტიანი წუხს, როდესაც მძიმე განსაცდელის წინაშე დგება, კარგავს მტრისთვის წინააღმდეგობის განევის უნარს. მათ ურჩევნიათ მშვიდი, უპრობლემო ცხოვრება ჰქონდეთ. პავლეს სიტყვები მათვის უცხოა. ისინი ვერ ხვდებიან, რომ ყოველი ახალი წინააღმდეგობა უფრო დიდი მადლის (ძალის) გამოვლენის საშუალებაა, რათა ქრისტეში სიმწიფის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდნენ. პავლესაც არას-წორი დამოკიდებულება ჰქონდა თავიდან, მაგრამ ღმერთის ერთმა სიტყვამ მისი პარადიგმა სრულიად შეცვალა. კორინთელთა მიმართ მეორე წერილი ჩვ.ნ.აღ-ით დაახლოებით 56 წელს დაიწერა. რამდენიმე წლის შემდეგ რომაელთა მიმართ წერილიც დაიწერა. ყურადღებით წაიკითხე ეს წერილები და დაინახავ როგორი განსხვავებული დამოკიდებულება აქვს პავლეს „თლიპსის“-ის მიმართ მოგვიანებით დაწერილ ეპისტოლები:

„ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ჭირი თუ შევიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშვლე თუ საფრთხე, ანდა მახვილი? ...მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით“ (რომ. 8:35,37;)

შეითვისეთ ეს სიტყვები, განსაკუთრებით კი წარმოდგენილი მუხლის მეორე ნაწილი: „მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი

მოყვარულის მეშვეობით“. აქ პავლეს დამოკიდებულება სრულიად შეცვლილია: ღმერთის მადლი არა მხოლოდ სირთულეების გადასატანად არის საკმარისი, არამედ დიდი გამარჯვების მოსაპოვებლადაც. ახლა პავლე ამბობს: „გამოუშვი! გამოუშვი წინაალმდეგობა, რათა ქრისტეში უფრო დიდი გამარჯვება მოვიძოვო“. პავლე აღჭურვილია სატანჯველად“. იგი მზადაა იბრძოლოს გამარჯვებისთვის და ომის დასასრულს უფრო ძლიერი გახდეს, ვიდრე დასაწყისში იყო.

## განსაცდელი, როგორც მოცემული საშუალება

და ბოლოს, ჩვენ „აღჭურვილი“ ვართ მაშინ, როდესაც მყარად ვდგავართ და ოპტიმისტური განწყობა გვაძეს განსაცდელის მიმართ გულსა და გონებაში – განსაცდელის დასაწყისშიც, შუა ნაწილში და ბოლოშიც. ჩვენ ახლა შეგვიძლია დადებითი დამოკიდებულება გვქონდეს, რადგან გამოცდას განსაცდელად კი აღარ აღვიქვამთ, არამედ ჩვენთვის მოცემულ საშუალებად!

იაკობ მოციქული წერს: „ყოველივე სიხარულად ჩათვალეთ, ჩემი ძმებო, როდესაც მრავალნაირ განსაცდელში ცვივდებით“ (იაკ. 1:2:). ჩვენ ვიცით, რომ ომი უკვე მოგებულია ქრისტეში და მოცემული გვაქვს ზეციური ძალა და ავტორიტეტი. თუ არ დავნებდებით და შეუპოვრად ვიბრძოლებთ, ყოველთვის გავიმარჯვებთ. ეს ღმერთის ნებაა ჩვენს ცხოვრებაში.

და პავლე მოციქულიც გაბედულად ამბობს რომაელთა მიმართ წერილში (8:31:): „თუ ღმერთი ჩვენსკენ არის, ვინ გამოვა ჩვენს წინაალმდეგ?“.

## ძლიერი მადლუბი

„რადგან ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის  
წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა  
წინააღმდეგ, ამ წუთისოფლის სიბეჭდის მპყრობელთა  
წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდე“  
ეფესელთა 6:12;

 მერთის თითოეული შვილი ომშია ჩართული. თუ არ ვი-  
ბრძით, მაშინ ამ წუთისოფელს ვეკუთვნით და თავს  
ვიტყუებთ, თუ გვგონია რომ ლვთის შვილებს წარ-  
მოვადგენთ. წარმოიდგინეთ, გერმანიაში ცხოვრება ადოლფ  
ჰიტლერის მმართველობის დროს. ამ ტიტან ლიდერს, საბ-  
ოლოო ჯამში, განზრახული ჰქონდა მთელ ევროპაში ნაცისტუ-  
რი გერმანიის აბსოლუტური ჰეგემონიური ახალი წყობილება  
დაემყარებინა. მას სძულდა სხვა ერები, ამ სიტყვის პირდაპირი  
მნიშვნელობით, ყველაზე მეტად კი ებრაელებს ვერ იტანდა.  
თუ გერმანული წარმომავლობის იქნებოდი და ამავე დროს  
ჭკვიანი და ჯანმრთელიც, თანაც ჰიტლერის მხარდამჭერი,  
თავისუფლად იცხოვრებდი – არ გექნებოდა შიში იმისა, რომ  
თავს დაგესხმებოდნენ ან სხვა რაიმე ზიანს მოგაყენებდნენ.

ებრაული წარმომავლობის შემთხვევაში შენი ცხოვრება  
გაცილებით სხვანაირად წარიმართებოდა. გამუდმებით შიშში  
იქნებოდი ვილაცას არ გაექურდე, ცილიარდაეწამა, შეურა-  
ცხყოფა არ მოეყენებინა ან არ მოეკალი. მუდმივად ფხიზლად  
უნდა ყოფილიყავი, რომ ტყვეობისთვის, დაპატიმრებისთვის და  
დახვრეტისთვის აგერიდებინა თავი. გინდოდა თუ არა, ომის  
რეუიმში მოგიწევდა ცხოვრება. უფრო გამჭრიახი ებრაელები  
შეიარაღებულები დადიოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმ-  
ისათვის, რომ ჰიტლერის ტირანიას გაქცეოდნენ. ვინც იარა-  
ღით ხელში ვერ ახერხებდა თავის დაცვას ციხეში ან საკონ-  
ცენტრაციო ბანაკში ხვდებოდა.

სატანა და მისი დამქაშები ჰიტლერზე და ნაცისტურ რე-  
უიმზე გაცილებით უარესები არიან. თუ ეშმაკის ბანაკის წარ-  
მომადგენელი ხარ, მაშინ მისი სამიზნეც არ იქნები და არც  
თავის მოკატუნებაა საჭირო, თითქოს ბრძოლობა. იესო თა-

ვისი დროის თვალთმაქც სულიერ წინამძღვანებს ეუბნებოდა: „თქვენ ამ წუთისოფლისანი ხართ“ (იოან.8:23;). მან პირდაპირ უთხრა: „თქვენი მამა ეშმაკია“ (იოან.8:44;). მართალია, ამ წინამძღვანებს სჯეროდათ, რომ ყოვლადქლიერ ღმერთს ემსახურებოდნენ, სინამდვილეში კი ამ წუთისოფლის ტირანის სამსახურში იდგნენ.

თუ შენ ნამდვილად ღმერთს ეკუთვნი, მაშინ ფხიზლად ყოფნა გმართებს, რადგან სამყარო, რომელშიც ცხოვრობ, მტრულადაა განწყობილი ყველაფრის მიმართ, რაც ღვთის სასუფეველს ეკუთვნის. იესომ თქვა:

„თქვენ რომ ამ სოფლისანი ყოფილიყავით, სოფელს ეყვარებოდა თავისიანები. და რაკი არ ხართ სოფლისანი, არამედ მე გამოგარჩიეთ სოფლიდან, ამიტომ სძულხართ სოფელს“ (იოან. 15:19;)

ყურადღება მიაქციეთ შემდეგ სიტყვებს: „ამიტომ სძულხართ სოფელს“. ამ ადგილის გაგება სხვაგვარად არ შეიძლება: თუ ამ წუთისოფელს ეკუთვნი, იგი მიგიღებს თავისიანად; თუ ღმერთის ხარ – შეგიძულებს.

## მადლის იარაღი

მაშ ასე, საკუთარი თავის სათანადოდ აღჭურვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს მივადექით, რაც იმ იარაღის გამოყენების ცოდნას გულისხმობს, რომელსაც იესო ქრისტეში ვფლობთ. როგორც პავლე ამბობს, ეს არის ძლიერი სულიერი იარაღი: „ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად“ (2 კორ. 10:4;).

რა არის „ღვთიური ძლიერება“, რომელიც სიმაგრეებს ანგრევს? ესაა ღმერთის საკვირველი მადლი – შეუფასებელი საჩუქარი ყოველი მორწმუნისათვის მიცემული. ვიცით რა ეს, მოდით, პეტრეს პირველ წერილს გადავხედოთ, სადაც გარკვევითაა ეს საკითხი განმარტებული. ამ მუხლების წაკითხვისას, გახსოვდეთ, რომ სიტყვა „ძალა“ ან „ძლიერება“ შეგვიძლია ჩავანაცვლოთ სიტყვით „მადლი“, რადგან ეს სიტყვები სინონიმებს წარმოადგენენ.

წინაღუდექით მას მტკიცე რწმენით და იცოდეთ, რომ მსგავსი სატანჯველი თქვენს საძმოსაც ხვდება სოფელში. ხოლო ღმერთი ყოველგვარი მადლისა [ძალისა], რომელმაც მოგვიწოდა თავისი სამუდამო დიდებისაკენ ქრისტეში, თქვენი მცირეოდენი ტანჯვის შემდეგ სრულგყოფთ, გაგაძლიერებთ, განგამტკიცებთ და გაგამყარებთ...მოგწერეთ მცირე რამ თქვენს შესაგონებლად და დასამონმებლად, რომ ღვთის ეს მადლი [ძალა], რომელშიც დგახართ, ჟეშმარიტია“ (1 პეტ. 5:5-12;)

თქვენი ნებართვით, ჯერ მოკლედ შევაჯამებ პეტრეს ნათქვამს, შემდეგ კი ნაბიჯ-ნაბიჯ განვიხილავ. ამ ტექსტის მთავარი თემა ღმერთის მადლია. პეტრე დასაწყისში შეგვაგონებს დავემორჩილოთ ერთმანეთს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „უნდა გავერთიანდეთ ერთი მისის ირგვლივ“. შემდეგ აცხადებს, რომ ღმერთი თავმდაბლებს მადლს ანიჭებს. საჭიროა თავმდაბლობა, რათა ღმერთმა თავისი მადლით(ძალით) უპასუხოს შენს საზრუნავს და არ დარჩე საკუთარი ძალის იმედად.

რა საზრუნავზე საუბრობს პეტრე? ეს საზრუნავი თავისში მოიცავს ცხოვრებისეულ საკითხებს, როგორიცაა ვალდებულებები, განცდები, სხვადასხვა საჭიროებები და სურვილები. ჩვენი საზრუნავი შეიძლება იყოს დროებითი, ან რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საუკუნო: ჩვენ უნდა განვიცდიდეთ ღვთის სასუფევლის უხვ სიცოცხლეს და ამის შედეგად ვეხმარებოდეთ ჩვენი გავლენის სფეროში მყოფ ადამიანებს თავიანთი საჭიროებების დაკმაყოფილებაში. ამ მადლის მისის აღსრულების გზაზე ჩვენი მთავარი მტერი და მისი დამქაშები შეეცდებიან წინააღმდეგობები და პრობლემები შეგვიქმნან. ბოროტს შეუძლია მოგვსპოს, მაგრამ ეს არ წარმოადგენს ღმერთის გეგმას. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ფხიზელი გონება, კარგად უნდა ვიცოდეთ ღმერთის მიერ მოცემული აღთქმები და განუწყვეტლივ უნდა ვილოცოთ. თუ ასე მოვიქცევით, შევძლება მუდამ სათანადოდ ვიყოთ აღჭურვილნი ღვთის მადლით, რათა განვავრცოთ მისი სასუფეველი და ღირსეული წინააღმდეგობა გავუნიოთ ჩვენს დაუძინებელ მტერს.

ამ საქმეში მარტონი არ ვართ; მთელს მსოფლიოში ჩვენი დაძმებიც მადლის მისიაში არიან ჩართულნი და მსგავსს სირთულეებს და განსაცდელებს გადიან. ეს ბრძოლები სასარგებლოა იმით, რომ სულიერად ვიზრდებით და ვძლიერდებით. ყოველი გამარჯვება უფრო მეტად და მეტად გვზრდის ქრისტეს ძალაუფლებაში.

მოცემულ ნაწყვეტში პეტრე ახდენს შეჯამებას და გვაწვდის საღ აზრს, რომ „ეს ღმერთის ჭეშმარიტი მადლია“: განასაინტერესო არ არის, რომ სულინმიდამ ორი ათასი წლის წინ აღძრა პეტრე, რომ დაეწერა შემდეგი სიტყვები: „ღმერთის ჭეშმარიტი მადლი?“ ეს შემთხვევით არ მომხდარა; სულინმიდამ წინასწარ განჭვრიტა, რომ ბოლო დღეებში ღმერთის მადლის არს დააკნინებდნენ (ყოველ შემთხვევაში დასავლურ ქრისტიანულ აზროვნებაში) და მხოლოდ ცოდვების მიტევების და ზეცაში მოსახვედრი ბილეთის მნიშვნელობამდე დაიყვანდნენ. რა თქმა უნდა, ღმერთის მადლი მოიცავს ამ ორ საკითხს, მაგრამ ის გაცილებით მეტია – მადლი გვაძლევს ძალას და ძალაუფლებას მისის შესასრულებლად, რომლის უმთავრეს ასპექტს ქვეყნიერებისგან გამოყოფა, ღმერთის განდიდება და სასუფევლის გავრცელება წარმოადგენს.

ამ ცოდნით აღჭურვილები ადვილად ვხვდებით, თუ რატომ არ ბრწყინავს ბევრი მორწმუნე ღვთის სინათლით. ქვეყნიერებისგან გამოყოფა რთული ბრძოლების შედეგად მოდის, ბევრი ჩვენგანი კი ბრძოლებს თავს არიდებს. მტერი მშვიდათ ვერ იქნება და საშუალებას არ მოგვცემს მსოფლიოს იესო ქრისტეს შესახებ ვუქადაგოთ. ის მთელი ძალით ცდილობს ჩაშალოს ჩვენი მისია. ამიტომ ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ მას, რათა ღმერთის მიერ დასახულ მიზნებს მივაღწიოთ. ბიბლიის ახალი საერთაშორისო ვერსიის თარგმანი ამბობს: „ეს ღმერთის ჭეშმარიტი მადლია. მტკიცედ იდექით მასში“. ამის წარმომადგენლობაზე გამდეგ, პავლეს სიტყვები ტიმოთეს მიმართ მიწერილი უფრო გასაგები ხდება:

„ამიტომ, შენ, ჩემო შვილო, იყავ ძლიერი მადლში, რომელიც ქრისტე იესოშია... იტანჯე ჩემთან ერთად, როგორც იესო ქრისტეს კეთილმა მეომარმა“ (2 ტიმ. 2:1,3;)

ტიმოთეს ეუბნებიან ძლიერი იყოს მადლში და არა ფიზიკურად, სოციალურად, ემოციურად ან ინტელექტუალურად. მადლი ეს არის იარაღი, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმატებით დავასრულოთ ბრძოლა. 25 წელზე მეტია, რაც უფალს ვემსახურები და ამ ხნის მანძილზე დავინახე, რომ ბევრი ჩვენგანი არ იყენებს მადლის იარაღს. მეტიც, ამერიკელი ქრისტიანების 98%-ს გაცნობიერებული არც კი აქვს, თუ რაში მდგომარეობს ამ უსასყიდლო და ძლიერი საჩუქრის არსი. ჩვენ უბრალოდ ვერ ვხვდებით რას ვფლობთ.

პავლე მოციქული ახალგაზრდა ტიმოთეს თავის მეო-  
რე წერილში მოძღვრავს, რომ აიტანოს და წინააღმდეგობა  
გაუწიოს იმ განსაცდელებსა და წინააღმდეგობებს, რომლებიც  
მას სვდებოდა. როგორც ჩანს,

ახალგაზრდა ტიმოთეს ეშინო-  
და განსაცდელების და ისე არ  
ეწინააღმდეგებოდა, როგორც ბევრი ჩვენგანი არ იყენებს  
პავლე მოელოდა მისგან. მოცი-

მადლის იარაღს.

ქული შეაგონებს ტიმოთეს, რომ  
ღმერთმა მას არა შიშის, არამედ  
ძალის, სიყვარულის და თავშე-

კავების სული მისცა. როგორც ყველა მოწმეუნე, ტიმოთეც  
ფლობდა იმ იარაღს, რომლითაც სირთულეებზე გაიმარჯვებ-  
და, ამიტომაც პავლე შეაგონებს მას, რომ გააღვივოს ღვთის  
ნიჭი და გაძლიერდეს იმ მადლში, რომელიც ქრისტეშია (იხ. 2  
ტიმ. 1:6-7; 2:1;).

ჩვენი უზენაესი მოწოდებისკენ სწრაფვა, სკვერში სეირნო-  
ბას არ გულისხმობს. პავლე ხაზგასმით აღნიშნავს: „ვიღტვი  
მიზნისკენ, ღვთის უზენაესი მოწოდების პატივისკენ ქრისტე  
იესოში“ (ფილ. 3:14;). თუ პავლე „იღტვის“, ეს ნიშნავს, რომ  
მის ცხოვრებაში არის წინააღმდეგობები და დაპირისპირებები,  
რომელთა გადალახვაც უწევს.

გავიხსენოთ პირველ თავში მოცემული ხილვა. ჩვენი გმირი,  
რომელიც ნავში ზის, ცდილობს დინების საწინააღმდეგოდ გა-  
ცუროს. მაგრამ მას ძალა გამოელია. რატომ? წარმომიდგე-  
ნია, როგორ აღიზიანებდა მას დიდ გემებზე მყოფი ადამიანები,  
რომლებიც მხიარულობდნენ და ცხოვრებით ტკბებოდნენ და  
ნაკლებად განიცდიდნენ წინააღმდეგობას. ბოლოს მან აღმო-  
აჩინა, რომ ეს იყო იღუზია, რომელიც ძალიან გავდა რეალო-  
ბას. მას შეეძლო „იოლი ქრისტიანობით“ ეცხოვრა და ნაკლები  
წინააღმდეგობა შეხვდებოდა. მართლაც დიდი ცდუნებაა.

აი, კიდევ ერთი იღუზია. ჯარიკაცს შეუძლია გამოეთი-  
შოს ბრძოლას და იმ თანამებრძოლებზე მშვიდად იცხოვროს,  
რომელიც ფრთინგის წინა ხაზზე იპრძვიან. ომი ჯერ არ დამ-  
თავრებულა. უბრალოდ ეს ჯარისკაცი აღარ არის ბრძოლაში  
ჩართული. ნავში მჯდომი ჩვენი გმირის მსგავსად ეს ჯარის-  
კაცი თითქოს მზად არის ბრძოლისათვის: ფორმა აცვია, იარა-  
ღიც აქვს და საბრძოლო მასალაც. მაგრამ არანაირ წინააღმ-  
დეგობას არ განიცდის.

ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ ვჩანდეთ ქრისტეს მსგავსს ქრისტიანებად, არამედ რეალურად დავემსგავსოთ ქრისტეს, გავავრცელოთ ცათა სასუფეველი და ეშმაკის საქმეები და-ვანგრიოთ (იხ. 1იოან. 3:8;). თუ ასე მოვიქცევით აუცილებლად შევეჯახებით წინააღმდეგობებს და დაპირისპირებებს.

გვახსოვდეს, რომ ღმერთის მადლი(ძალა) ერთადერთი საშუ-ალებაა, რომელიც განსაცდელებზე გამარჯვებისთვის გვჭირდება. ამიტომ ურყევები უნდა ვიყოთ რწმენაში და ამის მტკიცებულებას შესაბამისი ქმედებები უნდა წარმოადგენდეს. პეტრემ წყალზე გავლით შეუძლებელი და ექსტრაორდინალური ნაბიჯი გადადგა. იესომ უთხრა: „მოდი“, და ეს ერთი სიტყვა შეიცავდა პეტრესთვის საჭირო მთელ მადლს(ძალას) იმისათვის, რომ მას წყალზე გაევლო. მაგრამ იმ მომენტში, როცა მას რწმენა შეერყა, მადლმაც(ძალა) იკლო და მან ჩაძირვა დაიწყო. იესოს სიტყვა „მოდი“ პეტრესთვის საკმარის მადლს შეიცავდა იმ-ისათვის, რომ იესომდე მისასვლელი მანძილი სრულად გაევლო და გალილეის ზღვასაც გადაკვეთდა, თუკი ამას მოინდომებდა. მაგრამ მადლმა იკლო, რადგან რწმენა შესუსტდა. ქრისტეში უსაზღვრო მადლს ვფლობთ, მაგრამ მასთან მისადგომელი მხ-ოლოდ რწმენით გვეძლევა: „რომლის მეშვეობითაც რწმენით მოვიპოვეთ მისადგომი ამ მადლთან, რომელშიც ვდგავართ“ (რომ. 5:2;).

პრობლემა მადლის შემცირებაში კი არა, ჩვენი რწმენის შესუსტებაში მდგომარეობს. სწორედ ამის შედეგია, რომ მადლი(ძალა) გვტოვებს და მაშინ მხოლოდ საკუთარ ძალა-ზე დაიმედებული ვიბრძვით. ილუსტრაციისთვის გთავაზობთ წარმოიდგინოთ წყლის მილი, რომლითაც წყალი ჩვენს ბინას მიეწოდება. თუ მილი გასკდა, წყლის დინება შეწყდება. მიუხედავად იმისა, რომ სათავეში უსაზღვრო რაოდენობის წყალია, მილის დაზიანების გამო ის ჩვენს ბინამდე ვეღარ მოალწევს. რწმენა – მილია, წყალი კი – მადლი.

თუ გვინდა თავიდან ავიცილოთ მარცხი, უნდა გავიზარდოთ რწმენაში. როგორ? ჩავულრმავდეთ ღვთის სიტყვას, ვადიდოთ ღმერთი, თაყვანივცეთ მას და მადლიერნი ვიყოთ მადლისთვის და იმისთვის, რომ იგი ჩვენი მამაა; თუ ამას არ გავაკეთებთ ჩვენი რწმენის აღსაშენებლად, მაშინ ღმერთის ძალის მაგივრად, საკუთარ ძალებზე დაიმედებულები გავაგრძელებთ ცხოვრებას. ამის შემდეგ, ეს უკვე დროის საკითხია, ჩვენ კი აღარ ვიმეფებთ ქვეყნიერებაზე, არამედ ქვეყნიერება იმეფებს ჩვენზე.

ამიტომაც მოგვიწოდებს პეტრე: „აღიზარდეთ ჩვენი უფლი-სა და მაცხოვრის მადლში“ (2 პეტ.3:18;). ჩვენ გვეკისრება ღმერთის ძალაში ზრდის პასუხისმგებლობა. ასე მოქცევით ვაშენებთ საკუთარ თავს და ვიზრდებით რწმენაში. პავლე ამ-ბობს: „მასში ცხადდება ღვთის სიმართლე რწმენიდან რწმენაში, როგორც წერია: „მართალი იცოცხლებს რწმენით“ (რომ.1:17;). ამ საკითხს ასე შეხედეთ: რაც უფრო იზრდება რწმენა, მით უფრო მეტად ფართოვდება „მილი“, შედეგად გაცილებით დიდი რაოდენობის წყალი(მადლი) აღწევს ჩვენამდე. ამიტომ ღმერთი უფრო დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს: წავიდეთ იქ, სადაც სიცოცხლისათვის ბრძოლაა საჭირო.

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორთან ერთად, გულით მოგიწოდებთ:

„გამართეთ დაშვებული ხელები და მოკვეთილი მუხლები! მოასწორეთ გზები თქვენს ფეხთათვის...გაფრთხილდით, რომ რომელიმე თქვენგანს არ მოაკლდეს ღვთის მადლი“ (ეპრ. 12:12-13,15;)

მადლზე უარის თქმა დანებებას და ნეიტრალურ მდგო-მარეობაში გადასვლას ნიშნავს. რატომ ვაქციოთ ზურგი ღმერ-თის ზებუნებრივ ძალას? რატომ არ ვიმოქმედოთ მისი საკ-ვირველი მადლით და ძალით?

ჩვენ ომში ვიმყოფებით და მის მოსაგებათ საჭიროა რწ-მენაში შეუპოვრობა. ჩვენი შეუპოვრობა ახარებს უფალს და აშინებს სიბნელის ბატონს. ჩვენთვის უფალ იესო ქრისტეს მსახურება მოწოდება და დიდი პატივია.

teach reach rescue

# Messenger International®

ကျော် ရွှေ ရုပ်သာ နိဂုံးမြတ်စွာ ဆောင်ရွက်ခြင်း



မြတ်စွာ

မြတ်စွာ

နိုင်ငံ အားလုံး၊ နိုင်ငံ အားလုံး၊ နိုင်ငံ အားလုံး - ပြည်တော်



სამხილებლად, გამოსასწორებლად,  
დასარიგებლად სიმართლეში.



სამართლებრივი  
სამართლებრივი



მიძღვნილი, რომ გადასცეს  
ცხოვრების გარდამანელი

ქათარიზე



# କେନ୍ଦ୍ରାଳ୍ସି

ଶତରୂପିତାଗାନ୍ଧିଲିଙ୍କ ବୋଲିପାଠ ଗୁଣାବେଶିଲିଙ୍କ ପ୍ରକାଶିତ ଲୀଡିଂରେନିଚାରିଟିବ୍ସ  
ମହାଲ୍ଲିସ ମେରୁଅଳ୍ପିନ୍ଦିରି



# გაუკონვარი



გევონ, დაუკავშირდე,  
მისცვლე, მიუტანო ციფყვა



# ပုဂ္ဂၢမ

အာရာဇ်၊ အနေဖြင့်၊ အလျင်လျင် တိမ်များ  
မြတ်စွာ ပေါ်လောက် ပေါ်လောက် ပေါ်လောက် မြတ်စွာ ပေါ်လောက်





# နိပ်ငါးမြောက်

„ဒေသတဲ့ ဒါ မျှချမှေအဖောက် ဖွံ့ဖြိုးလာ နာရီ။  
ခေါ်တော်လောက် ပါရောက် မာမေးသာ ဒါ ပါရောက် ဒါ စံလုပ်မေးလေး စာရေးလောက်၊  
အနေအထားလောက် မာတဲ့ ဖြူဘေးလောက် ဒါ ဖြူဘေး၊ ရှာဖော် မာ ဘာမေးလောက်。  
အား, ဒါ ဝါ တော်လောက်တော်လောက် ဒါ အား လုပ်မေးလောက် စာရေးလောက် အားလုံး  
ဂုဏ် 28:19,20



ဘာမော် ဆောင်

WWW.CLOUDLIBRARY.ORG

## თავმდაბლობის იარაღი

„დაემორჩილეთ ერთმანეთს, შეიმოსეთ თავმდაბლობა, რადგან ლმერთი ამპარტავნებს ეწინაალმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს. მაშ, დამდაბლით ლვთის ძლიერი ხელის ქვეშ, რათა აგამალლოთ მან თავის დროზე. თქვენი ყველა საზრუნავი მას მიანდეთ, რადგან ის ზრუნავს თქვენზე“

1 პეტრ 5:5:7;

**ჩ**აემორჩილეთ ერთმანეთს... შეიმოსეთ თავმდაბლობა... თავი დაიმდაბლეთ. ზემოთ მოყვანილი მუხლები ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ცხოვრების ყველა ასპექტში ეფექტურად ვიცხოვროთ. მოციქული ასე იწყებს: „დაემორჩილეთ ერთმანეთს“. მოცემულ კონტექსტში სიტყვა მორჩილება ნიშნავს „ერთი მისის ირგვლივ გაერთიანებას“. როგორ მოხდება ეს, როცა განსხვავებული პიროვნული თვისებები, ძალა და სურვილები გაგვაჩნია? ეს შესაძლებელია თავის დამდაბლებით. ლმერთი ამპარტავანს ეწინაალმდეგება. ჩვენ ნამდვილად არ გვინდა, რომ იგი ჩვენს წინაალმდეგ იყოს! მეორე მხრივ, იგი მადლს (ძალას) ანიჭებს თავმდაბალ ადამიანს. მაშ, ვინ არის ამაყი და ვინ თავმდაბალ?

## თავმდაბალს ღმერთი მადლს ანიჭებს

თავმდაბალი ქრისტიანები ისე ფიქრობენ, გრძნობენ და აზროვნებენ, როგორც ამას ლვთის სიტყვა ასწავლის. ამიტომაც ისინი მთლიანად ლმერთის ძალაზე არიან დამოკიდებულნი და არა საკუთარ შესაძლებლობებზე. ისინი მის ნებას ეძებენ და არა თავისას, ან სხვა ადამიანისას. ისინი ლმერთის მიერ დაკისრებულ მისიას ასრულებენ. ლმერთის სიტყვა გვეუბნება: „აპა გაიძერა, ვერ გასწორდა მასში მისი სული. მართალი კი თავისი რწმენით იცოცხლებს“ (აბაკ. 2:4;).

აბაკუმის წიგნი(2:4;) სიამაყეს და თავმდაბლობას ორ საწინაალმდეგო მხარედ წარმოგვიდგენს. ეს მუხლი, შესაძლოა, ასეც დაწერილიყო: „ვინც არ არის თავმდაბალი, მასში

ვერ გაიმართა მისი სული; ხოლო მართალი თავისი რწმენით იცოცხლებს". აქ თავმდაბლობა და რწმენა ერთად არიან, ისე-ვე როგორც სიამაყე და ურწმუნოება. არ გნამდეს ღმერთის ნიშნავს, რომ ჩვენ მასზე კარგად ვიცით და ჩვენი აზრი უფრო სწორია ვიდრე მისი. ურწმუნოება სხვა არაფერია თუ არა შეფუთული სიამაყე.

ნება მიბოძეთ კიდევ ერთი შედარება წარმოგიდგინოთ. ეგვიპტიდან ისრაელის გამოსვლის ერთი წლის თავზე, უფალმა მოსეს უბრძანა: „გაგზავნე კაცები და დაზვერონ ქანაანის ქვეყანა, რომელსაც მე ვაძლევ ისრაელის ძეთ“ (რიცხ. 13:2;). როგორც ყოველთვის, ღმერთის მითითება ამ შემთხვევაშიც ნათელია – არანაირი კითხვის ნიშანი, არანაირი ორაზროვნება.

ამიტომაც მოსემ თორმეტი ლიდერი გაგზავნა – ყოველი ტომიდან ერთი. ამათგან ათი კაცი ძალიან „თავმდაბალი“ იყო, ხოლო ორი ძალიან „ამაყი“ (თუ ეს ისტორია შენთვის ნაცნობია, ყურადღებით მომისმინე, მე კონკრეტულად მოცემულ საკითხზე ვლაპარაკობ).

აღთქმულ მიწაზე ორმოცდლიანი ყოფნის შემდეგ, მზვერავები უკან დაბრუნდნენ. თავდაპირველად ათმა „თავმდაბალმა“ კაცმა დაინყო ლაპარაკი: „ჩვენ დავზვერეთ ის ქვეყანა, ნამდვილად ბრნყინვალე მიწა, რძე და თაფლი მოედინება. აბა, შეხედეთ ამ ნაყოფებს, რომლებიც თან წამოვიღეთ. მაგრამ იმ ქვეყანას დიდი ჯარი ჰყავს, რომელთა მეომრები გოლიათები არიან! ისინი ჩვენზე გამოცდილები არიან ბრძოლებში; ჩვენ მხოლოდ ახლახანს გათავისუფლებული მონები ვართ. უმჯობესია საკუთარ ცოლ-შვილზე ვიფიქროთ! როგორ გავიმეტოთ ჩვენი ახლობლები ასეთი სისასტიკისათვის, წამების, გაუპატიურებისა და სიკვდილისათვის, რაც მათ გაღმა ნაპირზე ელით? ჩვენ, როგორც პასუხისმგებლიანი მამები და ქმრები გაცნობებთ რეალურ სიტუაციას. შეუძლებელია იმ მიწის დაპყრობა“.

მართალია ხალხს სურდა ამ მიწის დაპყრობა, მაგრამ უსაფრთხოებას წინა პლაზზე აყენებდნენ. ამიტომაც მათ შეაქეს წარგზავნილთა სიბრძნე და თავმდაბლობა. დარწმუნებული ვარ ისრაელიანთა უმეტესობა მადლიერი იყო ასეთი გონიერი მზვერავები რომ ჰყავდა. ისრაელიანებმა ასე ანუგეშეს ერთმანეთი: „ძალიან გვიხარია ეს კაცები დასაზვერად რომ წავიდნენ. კარგი ლიდერები არიან – ცდილობენ საფრთხე აგვარიდონ. რა გვეშველებოდა მათ გარეშე?“.

მაგრამ ორი „ამაყი“ ლიდერი გამოვიდა წინ, რომლებმაც თქვეს: „მოიცადეთ! რას ა კუთხებთ? ახლავე უნდა წავიდეთ და დავიპყროთ ის მინა! ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება! ის ლმერთმა ჩვენ ალგვითქვა! ჩვენ გავანადგურებთ ამ ხალხს. ახლავე მობილიზება მოვახდინოთ!“.

ყველა გაოცდა. ერთმანეთს ეჭვის თვალით გადახედეს. წარმოგიდგენიათ რა რეაქცია ექნებოდა იმ ათ მზვერავს ქალების და იესო ნავეს ძის სიტყვებზე? პირველი შოკის შემდეგ, იკითხეს: „ეი, თქვენ ორნი, რას ლაპარაკობთ? ხომ არ შეიშალეთ? ჩვენც ის ვნახეთ, რაც თქვენ – მათი ძალა, იარაღი და გამაგრებული ქალაქები. ისინი გამოცდილი მეომრები არიან, მათ ვერ შევედრებით! თქვენ საერთოდ არ გადარდებთ ჩვენი ოჯახების და ერის ბედი. ამპარტავნები, უგუნურები და მეოცნებენი ხართ! ხმა ჩაიწყვიტეთ თქვე ეგოისტებო!“.

ამ სიტყვების გაგონებაზე ხალხმა, ალბათ, შვებით ამოისუნთქა: „რა კარგია, ჩვენი ბრძენი მზვერავები ამ ორს თავისას არ გაატანინებენ. რა კარგია, რომ ჩვენს მიერ გაგზავნილ მზვერავთა უმრავლესობა თავმდაბალია. წარმოგიდგენიათ რა დაგვემართებოდა ესენიც ქალების და იესო ნავეს ძის მსგავსად ამაყები და ამპარტავნები რომ იყვნენ?“.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ბოლო სიტყვა ღმერთს ეკუთვნის. „როდემდე უნდა ვუძლოდე ამ ხალხს? როდემდე არ უნდა მერნმუნოს ყველა იმ სასწაულის შემდეგ, რომლებიც მათ შორის მოვახდინე?“ (რიცხ. 14:11;) – ეუბნება მოსეს. ღმერთს არ მოსწონდა ისრაელიანების აზროვნება. ის, რაც მათ თავმდაბლობად მიაჩნდათ, სულაც არ იყო თავმდაბლობა. სინამდვილეში, ეს იყო ურნმუნოება და სიამაყე. მათი გათვლები საკუთარ სიბრძნეზე, უნარსა და ძალაზე იყო დაფუძნებული.

მოგვიანებით, ძველ აღთქმაში ღმერთმა პრძანა: „წყეულია კაცი, რომელიც ადამიანზეა დანდობილი და ხორცისაგან მოიცემს ძალას, უფალს კი შორდება მისი გული... კურთხეულია კაცი, რომელიც უფალზეა დანდობილი“ (იერ. 17:5,7;). ათმა მზვერავმა იმ ქვეყანაში მცხოვრები გოლიათი მეომრების ხილვის შემდეგ საკუთარი ძალებით განსაზღვრა მათთან გამკლავების შესაძლებლობა. მაგრამ ქალები და იესო ნავეს ძე ხედავდა რამდენად დიდი იყო ღმერთი მათ მტერზე და მთლიანად ღმერთს მიენდნენ. ამიტომ ქალები და იესო

ნავეს ძე იკურთხნენ, ხოლო დანარჩენები, რომლებმაც არ ირწმუნეს, დაიწყევლნენ.

სინამდვილეში ამ მზვერავებიდან რომელი იყო ამაყი და რომელი თავმდაბალი? ღმერთის თვალში ის ათი კაცი იყო ამაყი, ხოლო ორი თავმდაბალი.

რწმენას ნამდვილი თავმდაბლობა სჭირდება, რადგან როდესაც თავს იმდაბლებ, მაშინ ღმერთის ძალის (მადლის) იმედი გაქვს და არა საკუთარი შესაძლებლობის. იმ ათ მზვერავს თავი რომ დაემდაბლებინა და ღმერთის სიტყვას დამორჩილებოდა, ნამდვილად დაიპყრობდნენ აღთქმულ მინას. მათ უნდა ერწმუნათ უფლის სიტყვა, ვიდრე საკუთარ ლიმიტირებულ ძალას და ადამიანურ აზროვნებას დაყრდნობიდნენ და აქედან გამომდინარე ისინი შეძლებდნენ ერთ-მანეთის მორჩილებას – გაერთიანდებოდნენ ერთი მისიის ირგვლივ.

ბრძოლაში მყოფი ისრაელიანებისთვის ვინმეს რომ შეეხედა, იტყვოდა, რომ აპრამის შთამომავლები საკუთარი ძალებით იბრძოდნენ, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო მათში მოქმედი ღმერთის მადლი – ზებუნებრივი ძალა. როდესაც ღმერთის

■

მადლით ვართ ამოძრავებულნი,  
ზოგჯერ გვგონია, რომ საკუ-

თარი ძალით შევძელით ამა თუ  
თავევებში ღმერთის მოქმედე-

ბა პირდაპირ თვალშისაცემია.  
მაგრამ მნიშვნელობა არ აქვს

■

გარედან როგორ აღიქვავს სხვა  
ადამიანი, ჩვენ შეგვიძლია მთლიანად მივენდოთ მის ძალას და  
წინ ვიაროთ მის სიტყვაზე დაფუძნებულებმა.

ამას ჩემო ძვირფასო მკითხველო, შეუპოვარი რწმენა ჰქვია. მაგრამ ეს ყველაფერი ღვთის და ერთმანეთის წინაშე თავმდაბლობის სულის წარმოჩენით იწყება.

თავმდაბლობით შემოსვა არა ჩვენი, არამედ მისი საჭურვლით აღჭურვას გულისხმობს. 1 ჰეტ. 5:5-6 მოგვიწოდებს: „შეიმოსეთ თავმდაბლობით... ამიტომ დამდაბლდით ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ“. წმიდა წერილში ღვთის ხელი ყოველთვის ღმერთის ძალასა და უნარზე მიუთითებს; ეს მისი საჭურველია.

როგორ განვმარტოდ ეს უფრო პრაქტიკულად? ჩვენ ღვთის ძლიერების ქვეშ უნდა დავმდაბლდეთ. უარი უნდა ვთქვათ ადამიანურ შეხედულებებზე და გამოცდილებაზე, რათა არ

ვუგულებელყოთ მისი სიტყვა. მიუხედავად ბუნებრივი და ლოგიკური მდგომარეობისა, მისმა სიტყვამ უნდა გვიკარნახოს მიმართულება.

ეგვიპტეში ოთხასწლიანმა მონობამ ისრაელის შვილებს ას-ნავლა, რომ მათ არ შეეძლოთ ბრძოლა მათზე დიდი მტრის წინააღმდე. ისინი მათი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ვერაფერს აკეთებდნენ საკუთარი თავის გასათავისუფლებლად; ამ თავისუფლებას ღმერთის ჩარევა სჭირდებოდა. სწორედ ღმერთმა გაათავისუფლა ისინი თავისი ძლიერი ხელით. და მოსე იხსენებს: „რადგან ძლიერი ხელით გამოგიყვანა უფალმა ეგვიპტიდან“ (გამ. 13:9:). თუმცა ისიც ვიცით, რომ „მათ მალევე დაივიწყეს მისი საქმენი“ (ფსალ. 105:13:). ისინი მაინც ძველი მონური მდგომარეობისკენ იყვნენ მიდრეკილნი, ნაცვლად იმისა, რომ ღმერთის ძლიერ ხელს მინდობოდნენ, რომელმაც გაათავისუფლა. ის ძლიერი ხელი, რომელმაც ეგვიპტელები დაამარცხა, ასევე დაამარცხებდა ქანაანელთა ჯარს, რომელიც გაცილებით მცირე და სუსტი იყო ეგვიპტელებთან შედარებით.

მაგრამ სანამ ძალიან დავაკნინებდეთ რწმენაში სუსტ ისრაელიანებს, მოდით, ჯერ სარკეში ჩავიხედოთ. რამდენჯერ მოვქცეულვართ ჩვენც ამგვარად? სანამ ღმერთის ოჯახის წევრი გავხდებოდით, სატანის ტირანიული მმართველობის ქვეშ ვიმყოფებოდით. მის ბუნებას ვფლობდით და არანაირი იმედი არ გვქონდა, რომ ოდესმე განვთავისუფლდებოდით. მაგრამ ღმერთმა „გვიხსნა სიბნელის ძალაუფლებისგან და შეგვიყვანა თავისი საყვარელი ძის სასუფლეველში“ (კოლ. 1:13:). თუკი უფალმა ასეთი შეუძლებელი რამ მოიმოქმედა თავისი ძალით, განა უფრო მეტს არ გააკეთებს ჩვენს ცხოვრებაში, სადაც ისრაელიანებთან შედარებით უფრო ნაკლებად რთული და კომპლექსური სიტუაციები გვხვდება? ისეთები როგორიცაა ავადმყოფობისგან განკურნება, რაიმე საჭიროების მოგვარება, სიბრძნის მოცემა და ძალა, რომელიც „შეუძლებელი“ საკითხების გადასაჭრელად გვჭირდება. მოდით, ნუდარ გავიმეორებთ ისრაელის შეცდომას და „ნუ დავივიწყებთ მის საქმეებს“. მოდით, ჩვენც, ქალებისა და იქსო ნავეს ძის მსგავსად, თავმდაბლობის საჭურვლით შევიმოსოთ.

## არასწორად გაგებული თავმდაბლობა

სამწუხაროა, რომ ხშირად თავმდაბლობას უსუსურ, სა-

ბრალო მდგომარეობასთან აიგივებენ. არადა სინამდვილეში თავმდაბლობა სრულიად საპირისპირო რამაა. ბიბლიაში ჩანს, რომ ჭეშმარიტად თავმდაბალი ადამიანები ხშირად სიამაყეში და ამპარტავნებაში ვარდებიან. გავეცნოთ დავითის მაგალითს.

მამის თხოვნით იგი მიდის თავის ძმებთან, რომლებიც ფილისტიმელთა ჯარს ეპრძვიან. ბრძოლის ველზე თავის ძმებს და სხვა ჯარისკაცებსაც უცნაურ საბრძოლო მდგომარეობაში დაინახავს: ისინი კლდეებს ეფარებიან და შიშისგან კანკალებენ. ფილისტიმელი გოლიათის სიდიდემ და ძალამ ისინი ძალიან შეაშინა. დავითმა გაიგო, რომ ეს მდგომარეობა უკვე ორმოცი დღეა გრძელდება და იკითხა: „ვინ არის ეგ წინდაუცვეთელი ფილისტიმელი, ასეთ სირცხვილში რომ აგდებს დღეს ცოცხალი ღვთის რაზმებს?“ (1 მეფ. 17:26;).

დავითის ასეთმა საქციელმა მისი ძმა ელიაბი გააღიზიანა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რას ფიქრობდა ელიაბი? ჩემი პატარა ძმა არა მხოლოდ აუტანელია, არამედ საკუთარ თავში ზედმეტად დარწმუნებულიც. იგი ეუბნება დავითს: „ვიცი შენი ამპარტავნებისა და შენი ავგულობის ამბავი“ (მუხლ. 28). ეს საყვედურია! ბიბლიის თარგმნის „თანამედროვე ინგლისური ვერსია“ ელიაბის სიტყვებს ასე გადმოგვცემს: „ვიცი რა პატივმოყვარეც ხარ“. ელიაბი თავის ძმას ამაყ და ამპარტავან ადამიანად მიიჩნევს.

მაგრამ, სინამდვილეში რომელი ძმა უფრო ამაყი იყო? მომდევნო თავში წინასწარმეტყველი სამუელი იესეს სახლში მიდის, რათა ისრაელის მომავალი მეფე აკურთხოს. იესე და სამუელი ფიქრობდნენ, რომ სწორედ ელიაბი იქნებოდა მეფე, რადგან ის ყველაზე უფროსი, მაღალი და ძლიერი იყო. მაგრამ უფრმა თქვა: „მე განვაყენე იგი“ (1 მეფ. 16:7;).

რატომ დაინუნა ღმერთმა ელიაბი? იქნებ სიამაყე, რომელსაც დავითს მიანერდა, სწორედ მის გულში იყო დაბუდებული? მოგვიანებით ღმერთმა დავითის თავმდაბლობის გამო თქვა, რომ ის მისი გულის სანდომი კაცი იყო (იხ. საქ. 13:22;). თავმდაბლობა დავითის ცხოვრების უმთავრეს წანილს წარმოადგენდა, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ეს მას მშიშარა და სუსტ პიროვნებად არ წარმოაჩენდა. დავითს ეკუთვნის სიტყვები: „უფალი ჩემთან არის – არ მემინია რას მიზამს კაცი?“ (ფსალმ. 117:6;).

დავუბრუნდეთ ბრძოლის ველს. დავითი არაფრად აგდებს ელიაბის სიტყვებს და გაბედულად ეუბნება გოლიათს, რომ თავს წააცლის. შემდეგ იგი მიემართება მტრის ბანაკისკენ,

შურდულიდან ერთი გასროლით კლავს გოლიათს და ზუსტად უსრულებს დანაპირებს: თავს აჭრის გოლიათს.

დავითის ძმები საკუთარი გათვლებისა და ძალის მიხედვით მოქმედებდნენ, მსგავსად იმ ათი მზევრავისა. მაგრამ, მათგან განსხვავებით დავითს ღმერთის ძლიერი ხელის იმედი ჰქონდა. იგი თავმდაბლობით შეიმოსა. მეფე საულმა თავისი საჭურველი შესთავაზა, მაგრამ ყმაწვილმა უარი თქვა; ის ღმერთის საჭურველს ენდობოდა. მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, ქალების და იესო ნავეს ძის მსგავსაც, ის ამაყ და ამპარტავან პიროვნებად შერაცხეს იმ ადამიანებმა, რომლებიც საკუთარი ძალის იმედად იყვნენ.

მე მჯერა, რომ ჩვენმა მტერმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თავმდაბლობის გაგება და განსაზღვრება დაემახინვებინა. ბევრმა ქრისტიანმა დაიჯერა, რომ თავმდაბლობა ნიშნავს საუბრობდე მშვიდად და აუღელვებლად და გქონდეს დამთმობი ბუნება. მაგრამ ეს არ შეესაბამება ამ სიტყვის ჭემარიტ მნიშვნელობას. გავეცნოთ კიდევ ორ ბიბლიურ მაგალითს, მოსეს და იესოს.

რიცხვთა წიგნში ვკითხულობთ: „და მოსე იყო კაცი ძალზე თავმდაბალი, დედამინის ზურგზე მცხოვრებ ყველა ადამიან-თაგან“ (რიცხვ. 12:3;).

ძლიერი ნათქვამია! განა არ გაგვიხარდებოდა ჩვენზეც ასე-თი რამ რომ ეთქვათ? რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გავბედავთ საკუთარ თავზე ასეთი რამ ვთქვათ, რადგან ამას ხომ მხოლოდ ამაყი, ამპარტავანი ადამიანი იტყვის? მაგრამ აბა გამოიცანით ვინ დაწერა რიცხვთა წიგნი – მოსემ! ამ ღმერთის საოცარმა კაცმა საკუთარი თავი დედამინაზე მცხოვრებთაგან ყველაზე თავმდაბალ ადამიანად მოიხსენია.

განა ეს შეიძლება? წარმოიდგინეთ ქრისტიანულ კონფერენციაზე, მსმენელთა წინაშე მდგარი მქადაგებელი, რომელიც ამბობს: „მისმინეთ, მე ძალიან თავმდაბალი ვარ და მინდა ეს ყველამ იცოდეთ“. რასაკვირველია, მსმენელები გაიცინებდნენ ამაზე.

ახლა მოვისმინოთ რას ამბობს იესო: „მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ... ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ“ (მათ. 11:28-29;).

ამით იესო გვეუბნება: „მოდით ჩემთან. მე თავმდაბალი ვარ და მინდა თქვენც გასწავლოთ თავმდაბლობა“. მოსეს მსგავსად, იესოც თავად საუბრობს საკუთარ თავმდაბლობა-

ზე, რაც დლევანდელი სამყაროსათვის მიუღებელია. მაგრამ პრობლემა მოსეს და იესოს ნათქვამში არ მდგომარეობდა; პრობლემა იმაშია, რომ ჩვენ სათანადოდ არ გვესმის თავმდაბლობის არსი. ჩვენ ვუგულებელყავით ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა. არადა თავმდაბლობა ღმერთის გაგებით ეს არის ადამიანის დადებითი, ძლიერი თვისება. ჭეშმარიტი თავმდაბლობა ღმერთზე აბსოლუტურ მინდობასა და მისადმი მორჩილებას ნიშნავს. თავმდაბლობიდან გამომდინარე ყველა საკითხში ღმერთი არის პირველ ადგილზე, სხვები მეორეზე, ხოლო ჩვენ მესამეზე. თავმდაბლობას არაფერი აქვს საერთო წყნარად ლაპარაკთან და საკუთარი თავის დაკნინებასთან. იგი დაკავშირებულია გაბედულ, შეუპოვარ ცხოვრებასთან ღმერთის უსასყიდლო საჩუქრის, მადლის ძალაში.

### თავმდაბლობა მოშურნეობისკენ უპიძგებს

გახსოვთ, როგორ საზღაურს მიიღებენ ისინი, რომლებიც განსაცდელებს შეუპოვრად შეებრძოლებიან და კეთილად დაასრულებენ? პავლე გვაფრთხილებს ყალბი თავმდაბლობის წინააღმდეგ, რომელსაც შესაძლოა გარევნულად თავმდაბლობის ფორმა ჰქონდეს: „ნურავინ შეგაცდენთ სიმდაბლით“ (კოლ. 2:18:). სწორედ იმ ათმა მზვერავმა და მორცხვმა ისრაელის ერმა წარმოაჩინა, თუ როგორ შეიძლება დააკარგვინოს ყალბმა თავმდაბლობამ ადამიანებს ლვთის ჯილდო.

ათი მზვერავი აღთქმულ მინაზე შესვლის წინააღმდეგი იყო. თუმცა, მათი მსჯელობა და საუბარი ლოგიკურად და ბრძნულად უღერდა, მაგრამ ეს ყველაფერი ბოროტისა და კეთილის შემეცნების ხიდან მომდინარეობდა და არა ღმერთის აღთქმისა და სიბრძნისაგან. ამ ადამიანებმა არა მხოლოდ საკუთარი თავი მოატყუეს, არამედ თავიანთი ოჯახებიც და მილიონობით სხვა ადამიანი: მათ ვერ შეძლეს აღთქმულ მინაზე შესვლა. ამ ყველაფრის მიზეზი კი ცრუ თავმდაბლობა იყო. იმ თაობიდან მხოლოდ ქალებსა და იესო ნავეს ძეს, რომლებიც თავმდაბლობის სულით იყვნენ შემოსილნი, ერგოთ ღმერთისგან პატივი აღმულ მინაზე შესულიყვნენ. იესო ნავეს ძის ხელმძღვანელობით ღმერთის ხელის ქვეშ დამდაბლებულმა ახალმა თაობამ, გაბედულად შეაბიჯა აღთქმულ მინაზე.

ერთხელ ერთმა კაცმა მკითხა: „რა გირჩევნია, სხვადასხვა წარმომავლობის მილიონობით ადამიანს უქადაგო, თუ თორმეტამდე ლიდერს?“

„მილიონს,“ – ვუპასუხე მე.

მან მითხრა – „არასწორი არჩევანია, რადგან დასაზვერად წასული ათი კაცი იყო დამნაშავე, რომ მილიონობით ადამიანმა მიზანს ვერ მიაღწია.“

ჩვენ ყველანი ლიდერებად ვართ მოწოდებულნი. აბა როგორ ასრულებ ამ მოვალეობას? იმდაბლებ თავს ღმერთის ძლიერი ხელის ქვეშ? თუ გარეგნულად თავმდაბალი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ, სინამდვილეში კი საკუთარი ძალებით ცდილობ საქმის კეთებას?

პავლე წერს, რომ ჩვენ „უფრო მეტი ვართ ვიდრე დამპყრობელი“ (რომ. 8:37;), მაგრამ ჩვენი საკუთარი აზრები, გეგმები და არჩეული გზები, რომელიც არ მოდის ღვთის სიტყვასთან თანხმობაში, შესაძლოა „გონივრული მოგვეჩვენოს, რადგანაც ეს ყველაფერი ძალას, ერთგულებას, თავმდაბლობას და დისციპლინს მოითხოვს. მაგრამ ამ ყველაფერს არანაირი შედეგი არ მოსდევს, როცა საქმე გამარჯვებას ეხება“ (კოლ. 2:23;).

ქალების და იესო ნავეს ძის თაობას, ყველას ჰქონდა მიცემული გამარჯვების შანსი. ელიაბს და მის ძმებს ჯერ კიდევ მანამ შეეძლოთ გამარჯვება, სანამ დავითი პატარა იყო. მაგრამ ცრუ თავმდაბლობამ გაძარცვა ისინი – მოპარა ძალა, აღთქმა და უნარი, რომელიც საუკუნო საზღაურისათვის იყო საჭირო. ამის გამო პავლე შეგვაგონებს:

„ერთსულოვანნი იყავით ერთმანეთში. ქედმაღლური ფიქრები ნუ გექნებათ, არამედ მორჩილებას მისდიეთ, ბრძენი ნუ გეგონებათ საკუთარი თავი“ (რომ. 12:16;)

თავმდაბალი გონების ადამიანი არ ფიქრობს რომ თვითონ არის ბრძენი. ერთმა ცნობილმა უურნალმა სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც ერთ საჭირობოტო თემაზე იყო საუბარი. გამოცემის რედაქტორი ჩემს ოფიციალურად დაუკავშირდა და გვთხოვა ამ თემის შესახებ ჩემი აზრი გამომეტქვა. ჩემმა თანაშემწემ მკითხა მზად ვიყავი თუ არა ამისთვის. მე ვუთხარი, რომ კარგად დავთიქრდებოდი.

მეორე დღეს სულში აფორიაქება ვიგრძენი, მაგრამ მიზეზს ვერ ვხვდებოდი. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რა ხდება? მაგრამ წარმოდგენაც არ მქონდა რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი. ამიტომ ეს საჭიროება უფლის წინაშე ლოცვაში მივიტანე და ორი დღის შემდეგ გონება გამინათდა. ლიზას ველაპარაკებოდი და ასეთი რამ ვუთხარი: „ვიცი, რატომ ავფორიაქდი ამ უურნალთან დაკავშირებით. მიზეზი ძალიან მარ-

ტივია: ვინ ვარ მე, რომ ჩემი აზრი გამოვხატო ამ საკითხთან დაკავშირებით? ელჩები გამოხატავენ საკუთარ აზრს?“.

ბიბლია ამბობს: „ამგვარად ჩვენ ელჩები ვართ ქრისტესთვის, და ვითომ თავად ღმერთი შეგაგონებდეთ ჩვენი მეშვეობით“ (2 კორ. 5:20.). თუ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რომელიმე ქვეყანაში წარგზავნილ ელჩს დაავალებს მისი გზავნილი გადასცეს იმ ქვეყნის მთავრობას, მაგრამ ელჩი პრეზიდენტის სიტყვის მაგივრად თავის სიტყვას მოახსენებს, მაშინ მას პრობლემები შეექმნება. როდესაც მე იხსო ქრისტეს საკუთარ უფლად ვალიარებ, მაშინ ვალდებული ვარ სიტყვა ვილაპარაკო და არა ჩემი. ვის უნდა მოვახსენო ჩემი აზრი? სწორედ ეს იყო იმ ათი მზვერავის შეცდომაც. უურნალი დამიკავშირდა, როგორც სახარების მსახურს, იმისათვის რომ ჩემი შეხედულება გაეგო, რაც შეურაცხყოფა იქნებოდა იმ მადლისა, რომელიც ღმერთმა მომანდო.

ამ შემთხვევამ ღმერთის სიტყვა გამახსენა, რომლითაც რამდენიმე წლის წინ ლოცვაში დამელაპარაკა. ჩვენი მსახურების პირველი ოთხი წელინადი ცოტა რთულად დაიწყო, შეიძლება ითქვას უდაბნოში სიარული მოგვიწია. მე და ლიზა ჩვენი პატარა მანქანით, ჰონდა სივიკით დავდიოდით შტატების აღმოსავლეთ ნაწილის ხან ერთ, ხან მეორე ადგილას. თან გვახლდნენ ხოლმე ჩვენი პატარა შვილები და მანქანა ყოველთვის ბარგით იყო გატენილი. ბევრს ვლოცულობდით, რომ უფალს მსახურების კარი გაეხსნა ჩვენთვის. ჩვენი შეხვედრების დიდი ნაწილის ჩატარება ისეთ ეკლესიებში გვიხდებოდა, რომლის წევრთა რაოდენობა ასს არ აღემატებოდა. საქმე იმაშია, რომ ეს ეკლესიები არ იზრდებოდნენ და ჩვენი მცდელობა თითქოს ფუჭი იყო.

ამ ქანცგამწყვეტი, ოთხწლიანი შრომის შემდეგ, ერთ დილას ღმერთი დამელაპარაკა ლოცვაში: ჯონ, მე შენ ისეთ ეკლესიებში და კონფერენციებზე გაგზავნიდი, რომელმაც ნაკლები გავლენა განიცადა გასული ოთხი წლის განმავლობაში, მაგრამ შენ ერთგულად მემორილებოდი. მე კვლავაც გავაგრძელებ იმ საქმეზე ზრუნვას, რომელსაც შენ აკეთებდი, მაგრამ ამის შემდეგ დიდი ცვლილება უნდა მოვახდინო. მე გავზრდი და გავამრავლებ იმას, რაზეც შენ ამდენი ხანი ოცნებობდი. მრავალგზის გავამრავლებ შენი საქმის ნაყოფს, და შენი მსახურება დიდ გავლენას მოახდენს ქალაქებზე და ერებზე. ძლიერად იკურთხები ფინანსურად, სოციალურად და სულიერად. შენ იმაზე დაგაყენე მნედ, რაც მე გეკუთვნის და დადგა დრო ჩემმა სიტყვამ, რომელიც შენ მოგანდე, მრავალ ადამიანს მიაღწიოს.

გამაოცა ასე გარკვევით მოსმენილმა ღმერთის სიტყვამ. მოგვიანებით ეს ლიზასაც გავუზიარე და ისიც აღფრთოვანებული დარჩა. რამდენიმე წუთის შემდეგ უფალმა კვლავ განაგრძო ჩემთან საუბარი: ეს შენთვის ტესტი იქნება. როდესაც პატარა ეკლესიებში დადიოდი მსახურებისათვის, იქ შენ ყოველი ცენტისთვის და ყოველი სიტყვისთვის ჩემზე იყავი მონდობილი, რადგან იცოდი, რომ თუ ჩემი ნებიდან გადაუხვევდი განსაცდელები შეგემთხვეოდა.

როდესაც ფინანსურად გაკურთხებ, ფულის ხარჯვას უფრო თავისუფლად დაიწყებ? თუ ისევე გააგრძელებ ჩემი ნების ძიებას ამ საქმეში, როვორც ფინანსური სიდუხჭირის პერიოდში? ახლა იქით ნახვალ სადაც მოგესურვება, თუ კვლავ ჩემს მოცემულ მიმართულებებს გაპყვები? კათედრიდან საკუთარი აზრების ფრქვევას დაიწყებ თუ ყოველ სიტყვას შენთვის ჩემგან მოცემულ სასწაულად მიიჩნევ? შვილო ჩემო, ქრისტიანები ძირითადად ორ მთავარ საკითხში იცდებიან: უდაბნოში და მატერიალურად უზრუნველყოფილ ადგილას. უმეტესობა ცდუნებას უდაბნოში კი არ აჰყვა, არამედ მატერიალურ უზრუნველყოფაში.

ვცახცახებდი. დავასრულე თუ არა ლოცვა, მაშინვე ლიზას გავუზიარე ლვთისგან მოსმენილი სიტყვა. მან მითხრა: „ჯონ, როდესაც მაგ სიტყვების პირველი ნაწილი მომიყევი, ისე გამიხარდა ლამის სამზარეულოში ცეკვა დავიწყე. მაგრამ ახლა როდესაც მთლიანი სიტყვა მოვისმინე, შემეშინდა!“

„კარგია,“ – ვუპასუხე მე – „რადგან უფლის შიში სწორი რეაქციაა.“

ბევრი ვერ აცნობიერებს, რომ ღმერთის შიში მასთან ყოფნით გამოწვეულ შიშის გრძნობას კი არ ნიშნავს, არამედ მასთან არ ყოფნით გამოწვეულს! ღმერთის შიში უსაფრთხო, ჯანსაღი და ბრძნული ცხოვრების საწინდარია.

რაც შეეხება მატერიალურ კეთილდღეობას – ეს ცუდი არ არის, თუ სათანადო იქნება განკარგული, თუმცა სიმდიდრეს ცდუნება ნამდვილად ახლავს. იესო გვაფრთხილებს „სიმდიდრის საცდურის“ შესახებ მათ.

13:22-ში, მაგრამ ეს ვერ დაგვე-  
მუქრება ჩვენ, თუ ლვთის სიბრძნეში მის მითითებებში და მის მოშიმებაში დავრჩებით.

ღმერთის შიში  
უსაფრხო, ჯანსაღი და  
ბრძნული ცხოვრების  
საწინდარია.

ჩემი აზრით, სიამაყე შეიძლება იყოს ის მიზეზი, რომელიც ქრისტეს ელჩი ღვთის შიშის ნაკლებობას გამოიწვევდა. ამიტომაც ამბობს პავლე: „ქედმაღლური ფიქრები ნუ გექნებათ, არამედ მორჩილებას მისდიეთ, ბრძნი ნუ გეგონებათ საკუთარი თავი“ (რომ. 12:16;). ქალები და იესო ნავეს ძე არ დაექვემდებარნენ თავიანთი ხალხის ნებას, რადგან მათვის უკვე ნათელი იყო ღმერთის ნება. მათ ეშინოდათ უფლისა, ამიტომაც დაასრულეს ღირსეულად თავიანთი სარბიელი. როგორც იგავთა წიგნი ამბობს: „თუ მასხარებს ამასხარავებს [ღმერთი], თავმდაბლებს აძლევს იგი მადლს“ (3:34).

არა მგონია, ვინმეს სურდეს ღმერთისგან გამასხარავება. მაგრამ სწორედ ეს ემართებათ საკუთარ თავში დარწმუნებულ ადამიანებს. დიდების უფალი არ შეეგუება სიამაყეს. მას სძულს ის. ლუციიფერი ღმერთან ყველა ანგელოზზე ახლოს იყო, მაგრამ რადგანაც მოშიშება არ გააჩნდა, ვერ შეძლო სარბიელის კარგად დასრულება. წმინდა წერილში ვკითხულობთ: „შიში უფლისა წმინდა არის, მარადიული“ (ფსალმ. 18:10;). უფლის მოშიშება გვაძლევს ძალას, რაც გვაძლევს საშუალებას კარგად დავასრულოთ ჩვენი სარბიელი. ადამი და ევა ღმერთის დიდების თანდასწრებაში დადიოდნენ, მაგრამ მათი მოშიშება ისეთი არ იყო, რომ ღმერთისგან განშორების შიში ჰქონდათ. ამიტომაც მათ ვერ შეძლეს ბოლომდე ედემის ბალში დარჩენა.

ღვთის შიში, რწმენა და სიბრძნე – ეს ის სამი საკითხია, რომელიც ერთ კვანძს ქმნის, რომლის გახსნაც ადვილი არ არის (იხ, ეკლე. 4:12;). თუ უფლის მოშიშება გაგაჩნია, მაშინ ურთულეს მდგომარეობებს გაუძლებ. თუ უფლის მოშიშება გექნება, თავმდაბალიც იქნები. ამიტომ სიამაყე, ურჩობა და ურწმუნოება ერთად ქმნის სიბრძლის კვანძს, რომლის გახსნა ძნელია. მაჩვენე ადამიანი, რომელიც ღვთის სიტყვას უგულებელყოფს და საკუთარი შეხედულებებით ცხოვრობს და მე გაჩვენებ ადამიანს, რომელიც დიდხანს ვერ გაძლებს. ასეთი ადამიანის ერთადერთი იმედი მონანიება და თავის დამდაბლებაა.

## საჭურველი ზურგისთვის

სიამაყე ძალიან დიდი საცდურია. ვფიქრობ, ეს ჩვენი მტრის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური იარაღია, რომლითაც ის გვებრძვის, რათა სარბიელის კეთილად დასრულება ვერ შევძლოთ. ამაყი ადამიანები ვერ ხედავენ მტრის შეტევას, რად-

გან იგი ზურგიდან ესხმის, იმ მხრიდან საიდანაც ვერ ხედავენ. რამდენჯერ გაგვიგია ასეთი სიტყვები იმ ადამიანებისგან, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს: „ვერც მივხვდი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი!“.

ამას თავისი მიზეზი გააჩნია. თუ ბიბლიაში ლვთის საჭურვლის აღწერას გადავხედავთ, იქ ყველაფერია მოცემული, რაც გვიცავს, მაშინაც კი, როდესაც წინ ვიყურებით. ჭეშმარიტების სარტყელი, სიმართლის ჯავშანი, ფეხმესამოსელი სიმართლის სახარებლად, რწმენა, როგორც ფარი, ხსნა, როგორც ჩაჩქანი, და ღმერთის სიტყვა, როგორც ჩვენი მახვილი... ეს ყველაფერი რაც ჩამოვთვალეთ, მეომარს წინა მხარეს, გულ-მკერდს უფარავს ბრძოლის დროს. მაში, რა იცავს ჩვენს ზურგს? პასუხს წინასწარმეტყველი ესაია იძლევა: „უფლის დიდება გარემოგიცავს“ (ესაია 58:8;).

ბიბლიის ახალი სიცოცხლის თარგმანი ამბობს: „დაგიცავს ზურგიდან“. მისი დიდება იცავს ჩვენს ზურგს. მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი თავის დიდებას სხვას არ გაუზიარებს (ოხ. ესაია 42:8;). როდესაც ჩვენს აზრებს მის აზრებზე მაღლა ვაყენებთ, ეს ჩვენს სიამაყეზე მიუთითებს, რის გამოც დიდების დაცვას ვკარგავთ – და ჩვენი ზურგი არ არის დაცული!

თრთოლა მიპყრობს, როდესაც ვიაზრებ, თუ რაოდენ არასწორი შეხედულება გვაქვს ნამდვილ თავმდაბლობაზე. ღმერთი ამბობს: „მოისპობა ჩემი ერი უმეცრების გამო“ (ოსია. 4:6;). რამდენი ჩვენგანი მოისპობა უცოდინრობის გამო?! თუ ათმა მზევრავმა და დანარჩენმა ისრაელიანებმა, იესო ნავეს ძეს და ქალებს თავმდაბლობა სიამაყედ ჩაუთვალეს, თუ ელიაბმა დავითის თავმდაბლობა სიამაყედ მიიჩნია, დღეს შეიცვალა სიტუაცია?

ეს შეიძლება ხანგრძლივ მოგზაურობას შევადაროთ, როცა არ ვიცით, სად მივდივართ, ირგვლივ კი უამრავი მტაცებელი და საშიში ცხოველია. თუ მანქანიდან გადმოხვალ, შეიძლება სიცოცხლე ცუდად დაამთავრო.

ერთხელ მე და ლიზას აფრიკაში, საფარის უდაბნოში მოგვიწია წასვლა. ეს იყო შესანიშნავი ადგილი, ხუთვარსკვლავიანი საცხოვრებელი, სადაც წყვილებისთვის ცალკე ბუნგალოებიც კი იყო გამოყოფილი. ყოველ საღამოს, როდესაც ვახშამზე მივდიოდით, ბუნგალოდან სამზარეულომდე მისასვლელ გზაზე, შეიარაღებული დაცვა მიგვაცილებდა ხოლმე. გასავლელი საკმაო მანძილი იყო. პირველ ღამეს მე და ლიზა დაცვამ გაგ-

ვაფრთხილა: „არც ერთ შემთხვევაში არ გამოხვიდეთ ღამით გარეთ, რადგან შეიძლება ნებისმიერ დროს ცხოველი დაგესხათ თავს. აქ ლობე არ არსებობს, რომ მათგან დაგიცვათ“.

რა მოხდებოდა, თუ ამ ინფორმაციას არ მოგვაწვდიდნენ და საღამოს მარტოები ნავიდოდით საკახშმოდ? სავარაუდოდ, თავად გავხდებოდი ვახშამი. არცოდნის გამო დავილუბებოდი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ოსიას სიტყვები შეგვიძლია ასეც განვმარტოთ: „ჩემი ხალხი იღუპება, რადგან ვერ არკვეს რა განსხვავებაა ნამდვილ თავმდაბლობასა და სიამაყეს შორის“.

მიხარია, რომ დრო გამონახე იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავს საკუთარი თავის თავმდაბლობით ალჭურვა. მაგრამ ამაზე ნუ შეჩერდები. ჩაულრმავდი წმინდა წერილს და სულინმიდას სთხოვე გაგინათლოს გონება. ნება არ დართო უცოდინრობას შეგაფერხოს და უკან დაგწიოს ცხოვრებაში. შენ დადგენილი ხარ იმისთვის, რომ კეთილად დაასრულო შენი სარბიელი. აი, რას გვპირდება ღმერთი:

„წამებული (ინგლ. თარგმანი – თავმდაბალნი) უფრო მეტ სიხარულს ჰპოვებენ უფალში“ (ეს. 29:19;)

რა დიდებული აღთქმა! ჩვენ ყველას გვიყვარს, როცა გვიხარია. მაგრამ რატომ არის ეს დაპირება ესოდენ მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ „უფლის სიხარული შენი ძალაა“ (ნეემ. 8:10;), ძალა კეთილად დასრულებისათვის. ამ ძალის გარეშე ვერ შევძლებთ შეუბოვრად ბრძოლას და ვერც ფინიშამდე მივალთ. ღვთის სიტყვის თანახმად, თუ მისი თავმდაბლობით შემოსილები ვიქენებით, მაშინ მისი სიხარული და ძალა გამრავლდება ჩვენში. ის ასევე გვპირდება:

„რადგან ამალებული და განდიდებული ამბობს ასე, მარად-მყოფი და რომლის სახელი წმინდა: „მაღალ და წმინდა ადგილზე ვდგავარ მე, მაგრამ შემუსვრილთან და სულით თვინიერთან, რათა გამოაცოცხლოს თვინიერთა სული, და გამოაცოცხლოს შემუსვრილთა გული“ (ეს. 57:15;)

როდესაც ღმერთი ჩვენში მკვიდრობს, ყოველგვარი ეჭვის გარეშე შევძლებთ ღირსეულად გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი. მთავარია ღმერთი დამკვიდრდეს ჩვენში. სწორედ ეს წარმოშობს ჩვენში ბრძოლისათვის საჭირო ძალას.

ასე რომ, ჩემო ძვირფასო ადამიანო, „შეიმოსე თავმდაბლობით, რამეთუ ღმერთი ამპარტავანს ეწინააღმდეგება,

ხოლო თავმდაბალს მადლს ანიჭებს. ამიტომ დამდაბლდით ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ, რათა მან აღგამაღლოთ თავის დროზე“.

## ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი

„დაემორჩილეთ ერთმანეთს, შეიმოსეთ თავმდაბლობით,  
რადგან ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს  
კი მადლს ანიჭებს. მაშ დამდაბლდით ღვთის ძლიერი ხელის  
ქვეშ, რათა აგამალლოთ მან თავის დროზე. თქვენი ყველა საზ-  
რუნავი მას მიანდეთ, რადგან ის ზრუნავს თქვენზე“

1 პეტრ 5:7;

**О**ავმდაბლობით შემოსვის მთავარი ასპექტი ღმერთი-  
სადმი მორჩილებას გულისხმობს, როგორც ეს ქალებმა  
და იესო ნავეს ძემ გააკეთეს. როცა ასე ვმოქმედებთ,  
ჩვენს ცხოვრებაში წამოჭრილი ნებისმიერი სირთულე დაძლ-  
ევადი ხდება. თავმდაბლობით შემოსილები ღვთის ძლიერი ხე-  
ლის იმედად ვრჩებით, ადამიანურ დასკვნებზე და ლოგიკაზე  
ნინ ღმერთის სიტყვას ვაყენებთ, დავდივართ რწმენით და არა  
საკუთარი გრძნობების და ბუნებრივი ცოდნის კარნახით.

იმისათვის, რომ რეალურად შევძლოთ ასეთი ცხოვრება,  
საჭიროა ჩვენი ყველა საზრუნავი მას მივანდოთ. არა ზო-  
გიერთი საზრუნავი, არამედ ყველა საზრუნავი. ასე მოიქც-  
ნენ ქალები და იესო ნავეს ძე – ღმერთს მიანდეს თავიან-  
თი ცოლ-შვილი. რა თქმა უნდა, ისინი, როგორც ქმრები და  
მამები, ფიქრობდნენ საკუთარი ოჯახების კეთილდღეობაზე.  
მათ გააცნობიერეს, რომ თუ ღმერთის ნებას პირველ ადგ-  
ილზე დააყენებდნენ, მათი ოჯახები დაცულები და უზრუნ-  
ველყოფილი იქნებოდნენ. რადგანაც ქალები და იესო ნავეს  
ძე ჭეშმარიტად თავმდაბლობით იყვნენ ღმერთის წინაშე შე-  
მოსილი, მათ ოჯახებს ყველაზე სანდო ხელი იცავდა.

## ყველა საზრუნავი მას მივანდოთ

ყველა საზრუნავის ღმერთზე მინდობა გვაძლევს უნარს  
ვიყოთ შეუპოვარნი ჩვენი მისის შესასრულებლად. წინსვ-  
ლისათვის ზედმეტი ტვირთის ჩამოხსნაა საჭირო. ბიბლია  
მიგვითითებს: „ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი და დამ-

აბრკოლებელი ცოდვა და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი“ (ებრ. 12:1;).

ტვირთი ხელს გვიშლის ჩვენი სარბიელის ღირსეულად დასრულებაში. შეგიძლია წარმოიდგინო მორბენალი, რომელსაც 20 კილოგრამიანი ტვირთი ჰქოდია მხრებზე და გარბის ფინიშის საზისკენ? ასეთი ტვირთით შეუძლებელია სირბილი, გამარჯვებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ!

ჩვენი საზრუნავი – ესაა ერთ-ერთი მძიმე ტვირთი, რომელიც ჩვენს წინსვლას აფერხებს. უშლის ხელს. სწორედ ეს იყო ათ მზვერავს ხელი რომ შეუშალა სარბიელის კეთილად დასრულებაში. საკუთარ ოჯახებზე ზრუნვამ, მათ ხელი შეუშალა ღმერთის ნების აღსრულებაში.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ოჯახები ტვირთი არ არის. ეს ჩვენს ოჯახებზე ზრუნვა იქცევა ხოლმე ტვირთად. თუ ჩვენ ეჭვი გვეპარება ღმერთის მზრუნველობაში და დაცვა-ში, ამით შევურაცხყოფთ მის ძალას და აღთქმას. საინტერესოა გავიხსენოთ, რომ ქალებმა და იესო ნავეს ძემ დაამტკიცეს, რომ თავიანთი თანამემამულები ცდებოდნენ, როდესაც ორმოცი წლის შემდეგ იმავე ქანაანელებთან მოუწიათ ბრძოლა და მათ ოჯახებს არაფერი დაუშავდათ. მეტიც, ამ ბრძოლამ კურთხევა მოუტანა მათ ცოლ-შვილს, რადგან ნაყოფიერი მიწა მიიღეს მემკვიდრეობად.

მოდით, ამ ამბის რამდენიმე სავარაუდო დასასრული განვიხილოთ. მზვერავებმა გადაწყვიტეს დაეცვათ თავიანთი

ცოლ-შვილი და არ მინდობოდ-

—  
თითოეული ჩვენგანი „უსაფრთხოებასა და ბედს“ შედეგად მემკვიდრეობად უდაბ-  
ნო მიიღეს. დარწმუნებული ვარ,  
შორის არჩევანის გა-  
კეთების წინაშე დგება. მათ არ უნდოდათ მოვლენების  
ამგვარად განვითარება: უდაბ-  
ნოში ორმოცნლიანი ტანჯვა.

—  
მაგრამ ორმა ლიდერმა, რომ-

ლებმაც თავიანთი ცოლ-შვილის უსაფრთხოება ღმერთს მი-  
ანდო, სამკვიდროდ აღთქმული მიწა მიიღო; მიწა, სადაც „რძე  
და თაფლი მოედინებოდა“. ეს იყო მათი ბედისწერა.

ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე თითოეული ჩვენგანი „უსაფრთხოებასა და ბედს“ შორის არჩევანის გაკეთების წი-  
ნაშე დგება. როგორ მოვიქცევით, აღმატებულისაკენ მიმავალ  
გზას ავირჩევთ თუ უსაფრთხოებას და კომფორტს დავაყ-  
ენებთ პირველ ადგილზე? თუ საკუთარ თავს გავუფრთხილ-

დები, ბოლო ნამდვილად არ იქნება ღვთიური. შეიძლება უსაფრთხოების განცდა შეინარჩუნო, მაგრამ, ბოლოს, ქრისტეს სამსჯავროს ტახტთან, აღმოაჩენ ცხოვრების იმ სისავსეს, რომელზეც დროებითი კომფორტული ზონის გამო თქვი უარი.

ეს ფაქტი მრავალგზის არის დადასტურებული ღმერთის სიტყვაში: თუ ღმერთის ნების ალსარულებას აპირებ, მაშინ ყოველი შენი საზრუნავი უფალს უნდა მიანდო. მისი გზა რწმენისა და თავგადასავლების გზაა, და საზღაურიც გაცილებით მეტია, ვიდრე დროებითი კომფორტის ზონა. ჩამოიცილე ყველა ის ტვირთი, რომელიც ხელს გიშლის ყოველი საზრუნავი ღმერთს მიანდო.

## ჩვენი პირადი გამოწვევები

ნება მიბოძეთ იმ რამდენიმე ტვირთის შესახებ გიამბოთ, რომელიც ხელს მიშლიდა სულიერ ზრდაში. ასაკის ზრდასთან ერთად, ვხედავდი, თუ რამხელა პასუხისმგებლობა აკისრია კაცს, როგორც მამასა და ქმარს თავისი ოჯახის წინაშე. მამა-ჩემი მისაბაძი მაგალითი იყო ჩემთვის, ის გვასწავლიდა, რომ ყოველი დაზოგილი ცენტი, ოჯახისთვის მოგება იყო. ასე რომ პატარაობიდანვე კარგად მესმოდა რამხელა როლი ეკისრა მა-მას და ქმარს ოჯახის უსაფრთხოების საკითხში. ჩემი სურვილი იყო მფრინავი გავმხდარიყავი, მაგრამ მამა-ჩემი მეწინააღმდეგებოდა, რადგან იმ დროს მფრინავი ხიფათიან პროფესიად იყო მიჩნეული. მამამ უფრო სტაბლური საქმიანობისკენ მიბიძგა. ვსწავლობდი საინჟინრო ფაკულტეტზე და 1981 წელს როკველ ინთერნეიშენალში დავინუ მუშაობა.

როგორც დამწყები ინჟინერი, საკმაო თანხას გამოვიმუშავებდი. კარგი შეგრძნებაა, როდესაც სათანადოდ უზრუნველყოფ ცოლს. მე იმ მაგალითის მიხედვით ვმოქმედებდი, რომელიც ყმანვილობაში მომცეს. თუმცა ჩემში კონფლიქტი არსებობდა: ვგრძნობდი, რომ მსახურებისთვის ვიყავი მონოდებული. ეს შეგრძნება უკვე რამდენიმე წელიწადი თან დამყვებოდა, მაგრამ ცოლის და შემდგომში შვილების უზრუნველსაყოფად მსახურის ხელფასი არ მეყოფოდა. ამიტომ მე და ლიზამ გეგმა შევიმუშავეთ.

ერთი თანამშრომლისგან შევიტყვე, რომ კომპანია ძალიან დიდ ხელფასს უხდიდა იმ თანამშრომლებს, რომლებიც ოკეანის გადაღმა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი შუა აღმოსავლეთში

წავიდოდნენ სამუშაოდ. ასე, რომ მივედი დირექტორთან და საუდის არაბეთში გაგზავნაზე დაველაპარაკე. მე და ლიზამ გავთვალეთ, რომ თუკი არაბეთში რამდენიმე წელი დავრჩებოდით, საკმაო თანხას დავაგროვებდით იმისთვის, რომ კარგი სახლი შეგვეძინა და ამის შემდეგ დაგვეწყო მსახურება.

მაგრამ იყო ერთი პრობლემა: ჩვენი გეგმა საკუთარ უნარზე იყო დაფუძნებული.

ერთ საღამოს, ერთი ახალგაზრდა მსახური გვესტუმრა, რომელიც კარგად გვიცნობდა მე და ლიზას. ის ორი საათის განმავლობაში მსაყვედურობდა. მან ასეთი რამ მითხრა: „ჯონ, ლმერთი მსახურებისათვის მოგიწოდებს, შენ კი არაფერს აკეთებ. თუ კვლავაც ასე გააგრძელებ, საბოლოოდ იქნები ერთი ბებერი ინჟინერი, რომელიც თავის მიზანსა და ბედს ასცდა“.

ამ სიტყვებმა ძალიან შემაძრნუნა, მაგრამ ვიცოდი, რომ ჩემი მეგობარი სიმართლეს ამბობდა. საღამოს სახლში რომ მივედი, ლიზას ვუთხარი: „თავი ეკლესიაში რომელიმე მსახურებისათვის უნდა გამოვითავისუფლო. პირველი, რომელი მსახურების კარებიც გაიღება, იმ მსახურებას დავიწყებ. რას იტყვი?“.

„მეც შენთან ვარ,“ – მომიგო მან, ბოლო თვეებია სულ იმაზე ვლოცულობ, რომ რომელიმე მსახურებაში ჩავერთო. იმ დროისათვის, მე, როგორც მოხალისე, ყველაფერს ვაკეთებდი ჩვენს ეკლესიაში რისი გაკეთებაც შემეძლო. თავიდან წესრიგის დამცველთა რიგებში ვიყავი, შემდეგ ჩვენი ეკლესის ადგილობრივი ციხის მსახურებას შევუერთდი, ჩვენი ხუცესის შვილებს ჩიგბურთის თამაშსაც კი ვასწავლიდი. (კოლეჯში ყოფნისას, სამი წლის მანძილზე ერთ-ერთ სპორტულ კლუბში ჩიგბურთს ვასწავლიდი.)

რამდენიმე თვის შემდეგ, 1983 წელს საშუალება მომეცა სრული დროით მსახურება დამეწყო. როკველიდან წამოვედი და ჩემს ადგილობრივ ეკლესიაში დავიწყე მსახურება. ამ ნაბიჯის გამო, საკმაოდ შემცირდა ჩვენი შემოსავლები. მამაჩემს ეგონა რომ გავგიშდი (ისევე როგორც ჩემს უფროსს როკველში). ჩემი მეგობრები ეჭქვეშ აყენებდნენ ამ გადაწყვეტილებას. და მე ბევრს ვფიქრობდი როგორ დამეკმაყოფილებინა ჩემი ოჯახის საჭიროებები. გადასახადებიდან გამომდინარე, ჩვენი ყოველთვიური შემოსავალი უფრო ცოტა იყო, ვიდრე ჩვენი ოჯახის ხარჯები.

მაგრამ, ვიცოდი, რომ ეს ნაბიჯი ლმერთის ნება იყო. ამიტომაც მე და ლიზა მთლიანად ლმერთს მივენდეთ. არასოდეს

მოგვშიებია, ყოველთვის საკმარისი საკვები გვქონდა. დრო-დადრო ვხედავდით, როგორ სასწაულებრივად აკმაყოფილებდა ღმერთი ჩვენს საჭიროებებს, თუმცა ამაზე არავის არაფერს არ ვეუბნებოდით. მე და ლიზა ლოცვაში, დაფარულში ვაუნ-ყებდით ღმერთს ჩვენს საჭიროებებს, მტრისგან წამოსულ ცუდ აზრებს ღვთის სიტყვით ვეწინააღმდეგებოდით და ერთმანეთს ვუმონმებდით ღმერთისმიერ სასწაულებრივ უზრუნველყოფას.

მახსოვს, ერთხელ მეათედის მიცემასა და ოჯახისთვის პროდუქტების ყიდვას შორის არჩევანი უნდა გაგვეკეთებინა. ამას ბევრი ტანჯვა არ დაჭირვებია, რადგან თავიდანვე გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ღმერთი დაგვეყენებინა ყველა საკითხში პირველ ადგილზე. ასე, რომ ხელფასის მეათედი ეკლესიას შევწირეთ, რაც იმას ნიშნავდა, რომ დარჩენილი 90 პროცენტიდან პროდუქტებს ვეღარ ვიყიდიდით, რადგან გადასახადები და გაუთვალისწინებელი ხარჯები გვქონდა დასაფარი – მათ შორის მანქანისაც.

იმ დროისათვის მხოლოდ ერთი მანქანა გვყავდა, რომელსაც ძრავი ჰქონდა გაფუჭებული. არადა იმ კვირაში საკმაოდ დატვირთული ვიყავი ეკლესის საქმეებით, და ამიტომ მის შესაკეთებლად დრო არ მრჩებოდა. გარდა ამისა, ეკლესის პატარა სამგზავრო მანქანა დამყავდა და მას ვიყენებდი საქმეების მოსაგვარებლად. ასე რომ საკუთარი ავტომობილისთვის ვერ მოვიცალე. ამას ისიც დაემატა, რომ საბურავი გაფუჭდა. სათადარიგო საბურავიც ვერ დამხვდა მწყობრში. ჩვენ მაშინ დალასში, ტექსასის შტატში ვცხოვრობდით და იმ წლის ზაფხულში საშინლად ცხელოდა. ერთ სალამოს, როდესაც სამსახურიდან დავბრუნდი ჩვენი მანქანის მინები ჩამსხვრული დამხვდა. როგორც ჩანს მანქანის სალონში სიცხისაგან ჰაერი ისე გაფართოვდა, რომ შუშებმა ვეღარ გაუძლო.

საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოგჩნდი. ძრავი რომ გამეკეთებინა სიარულს მაინც ვერ შევძლებდი, რადგან საბურავიც არ მქონდა. ფანჯრებზე ცელოფანი ავაკარით სკოჩით, მაგრამ ვიცოდი, თუ იწვიმებდა ცელოფანი ვერ დაიჭრდა წყალს. ნესტი კი დროთა განმავლობაში მანქანის სალონს გააფუჭებდა. ამ საქმეს მეორე დღისთვის ნამდვილად ვერ გადავდებდი. რამდენიმე სახელოსნოში დავრეკე, მაგრამ შეკეთება იმდენი დაგვიფასეს, რომ გადახდას ვერ შევძლებდით. ფული უბრალოდ არ გაგვაჩნდა. ინუინრობის დროინდელი ხელფასი უპრობლემოდ დაფარავდა. საკუთარი თავი შემებრალა და წარმოვიდგინე როგორ უანგდება ჩვენი მანქანა ავტოსადგომზე.

ბოლოს, ყველაფერი ყელში ამომივიდა. გამოვნახე ღმერთან შესახვედრად წინასწარგანსაზღვრული ადგილი და შევყვირე: „უფალო შენ მითხარი, რომ ყველა ჩემი საზრუნავი შენთვის მომენდო. აი ახლა, მანქანასთან დაკავშირებულ მთელ სადარდებელს შენ მოგანდობ მთლიანად. ეს ახლა ჩემი საზრუნავი აღარ არის, არამედ შენი! მე იმას გავაკეთებ რასაც შენ მეუბნები. ახლა კი მადლობას გიხდი, რომ მომცემ გამოსავალს ამ მდგომარეობიდან თავი რომ დავაღწიო“.

ამ ყველაფერს ხმამაღლა ვამბობდი და მართლა მჯეროდა ჩემი ბაგიდან გამოსული სიტყვების. და მას შემდეგ რაც ძრავი გაფუჭდა, პირველად ვიგრძენი სიმშვიდე სულში. ეს ზუსტად ისე იყო, როგორც ამას ღმერთის სიტყვა ამბობს:

„არაფერზე იზრუნოთ, მხოლოდ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყველგვარ გონებას აღემატება, დაიფარავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში“ (ფილ. 4:6-7;).

შემდეგ კი მტრისთვისაც გამოვნახე დრო. სასტიკი ვიყავი მის მიმართ: „სატანა, მომისმინე! ჩემი ზეციერი მამა დააკმაყოფილებს ჩემს ყველა საჭიროებას თავისი ზეციური მარაგების მეშვეობით. მე არაფერი მომაკლდება, რადგან უნინარესად მის სასუფეველს ვეძებ, ამიტომ ყველაფერი რაც მჭირდება შემემატება. ამიტომ გენინაალმდეგები იესოს სახელით და გიბრძანებ შენი ბინძური ხელები მოაშორო ჩემს ფინანსებს და მანქანას“.

თითქოს რაღაცა განათდა ჩემში. სიცილი დავიწყე. ვიფიქრებომ არ გავგიუდი მეთქი? ჩემი მთელი არსება სიხარულით იყო მოცული. ვიცოდი, ეს უფლის სიხარული იყო, რომელიც საჭირო ძალას მომცემდა; რომ სწორედ ეს ძალა შემაძლებინებდა ჩემი სარბიელის ღირსეულად დასრულებას. ყველა საზრუნავი მისი ძლიერი ხელისთვის მქონდა მინდობილი და მტერი შებორკილი იყო. მე კი ვხარობდი ღმერთით.

მეორე დღეს ლიზას მეგობარი გვესტუმრა. მან ჩვენი სახლის ავტოსადგომზე მდგარი გაფუჭებული მანქანა დაინახა. იგი მართლაც ცუდად ხვდებოდა მოსულ სტუმრებს თვალში. – „ლიზა, ერთი მეგობარი მყავს, რომელიც მექანიკოსია“ – თქვა მან, – „მოდი შევეხმიანები და იქნებ რამით დაგეხმაროთ შენ და ჯონს“. ამ მექანიკოსმა მიზერულ ფასად შეაკეთა ყველა დაზიანება, რომელიც ჩვენს მანქანას გააჩნდა. ასე მოაგვარა

ღმერთმა ეს პრობლემა და ამ ფაქტმა დიდი ძალით შეგვმოსა.

მაგრამ, რადგანაც მეტაურები გავიღეთ, ფული აღარ გვქონდა პროდუქტის შესაძენად, არადა მომდევნო თორმეტი დღე ხელფასს ვერ ავიღებდი. ერთ საღამოს მე და ლიზა მანქანაში ვისხედით და ვტიროდით, თუმცა ეს ცრემლები უმედობითა და ურწმუნობით არ იყო გამოწვეული. უბრალოდ ვერ ვხვდებოდით, რატომ გვიხდებოდა ყველა წვრილმანისთვის ბრძოლა, როდესაც სხვა ადამიანები ასე ადვილად და უზრუნველად ცხოვრობდნენ. პავლე მოციქულის მსგავსად ვერც ჩვენ ვაცნობიერებდით, რა ხდებოდა სულიერ სამყაროში ამ განსაცდელების მეშვეობით. ეს სირთულეები ძალიან გამაღიზიანებელი იყო და დროის ფლანგვად მიგვაჩნდა. ვერ ვხვდებოდით, რომ ეს ყველაფერი ძალას გვაძლევდა იმისთვის, რომ მომავალში ღვთის სახელის მეტად განდიდებისათვის უფრო დიდი განსაცდელებისთვის გაგვეძლო. ლიზამ და მე ტირილი მალევე შევწყვიტეთ და კვლავ უფალს მივანდეთ ჩვენზე დაკისრებული ღვთიური მისის აღსრულება.

ორი დღე იყო გასული და სტუმრად ცოლ-ქმარი გვეწვია, რომლებიც სანტიაგოდან იყვნენ. ისინი, მე და ლიზას, მხოლოდ ერთხელ გვყავდა ნანახი რამდენიმე დღის უკან. მათ გვითხრეს: „ჯონ, არ ვიცით რატომ, მაგრამ დმერთი გვეუბნება, რომ ეს გადმოგცეთ“. მათ ორასი დოლარის ჩეკი გადმოგვცეს. მე და ლიზა გაკვირვებულები ვიყავით. არ გვეგონა, რომ ვინმეს ეცოდინებოდა ჩვენი მდგომარეობის შესახებ. და აი, ღმერთმა კიდევ ერთხელ მოაგვარა ჩვენი საჭიროება.

## საზრუნავის გამოთავისუფლების ახალი დონე

რამდენიმე წლიანი სულიერი ზრდისა და მომწიფების შემდეგ, ფლორიდის ერთ-ერთ დიდ ეკლესიაში ახალგაზრდული მსახურების მწყემსად განმანესეს. აქაც უწინდელის მსგავსი ფინანსური სიძნელეები შეგვხვდა – ამ მსახურების გამო კიდევ შემცირდა ჩვენი შემოსავალი.

ამ დროისათვის უკვე თვრამეტი თვის შვილი გვყავდა და უფრო მეტი წინააღმდეგობების გადატანა გვიხდებოდა. კვლავაც ღმერთს მივანდეთ ჩვენი საზრუნავი, მტერს შევეწინააღმდეგეთ და ღვთის სასწაულები ვიხილეთ. მთელი ყურადღება მისიაზე მქონდა გადატანილი, ამიტომაც ჩვენს საჭიროებებს ღმერთი სასწაულებრივად უზრუნველყოფდა.

1988 წლის სექტემბერში ღმერთმა მიჩვენა, რომ მსახურების ახალ საფეხურზე ასვლის დრო დადგა, რაც სრული დროით მოგზაურობასა და ქადაგებას გულისხმობდა. მე ვემორჩილებოდი ჩემს ხუცესს, ამიტომ გადავწყვიტე არაფერი მეთქვა, უბრალოდ ველოდებოდი ღმერთს მისთვის ეჩვენებინა თუ რა უნდა ყოფილიყო შემდგომი ნაბიჯი ჩემთვის. ლიზას და სხვა შტატში მცხოვრები მეგობრის გარდა, არავინ იცოდა რა მაჩვენა ღმერთმა.

1989 წლის თებერვალში ჩემი მწყემსი მსახურთა შეხვედრაზე მოვიდა და მიამბო იმ ხილვის შესახებ, რომელიც წინა ლამეს იხილა. ამ ჩვენებაში მან დაინახა, თუ როგორ ვტოვებდით მე და ლიზა ჩვენს ეკლესიას და მივდიოდით სრული დროით მსახურების დასაწყებად. მოსმენის დროს ავტირდი. სულინმიდამ თავისი ნება დამიდასტურა, ისევე როგორც პავლეს და ბარნაბას საქ. 13:1-5-ში მოცემული მასალით.

ექვსი თვის შემდეგ, 1989 წლის აგვისტოში, სამი კვირის განმავლობაში შვიდ ეკლესიაში მიმიწვიეს საქადაგებლად. როცა ეს ჩემს ხუცესს ვუთხარი, მან გაიცინა და მითხრა: „აი ეს გვაჩვენა უფალმა. როგორც ჩანს, უკვე გზას ადგახარ“. შემდეგ განაგრძო, „რამდენსაც შესძლებ იმდენი იარე და იქადაგე ამ შემოდგომის განმავლობაში. ჩვენი ეკლესია წლის ბოლომდე გადაიხდის შენს ხელფასს. პირველი იანვრიდან კი თავად მოგიწევს საკუთარი თავის დაფინანსება“.

მომდევნო რამდენიმე თვის მანძილზე იმ შვიდ ეკლესიას ვესტუმრე, რომლებმაც მიმიწვიეს. შშვენიერი შეხვედრები გამოვიდა, მაგრამ ამის შემდეგ მოწვევები ალარ მიმილია. მზად ვიყავი წავსულიყავი, მექადაგა, მაგრამ არ ვიცოდი სად. ჩემმა ხუცესმა ეს შეამჩნია და ორი თვით ადრე სანამ ხელფასს შემიწყვეტდა, შესანიშნავი სარეკომენდაციო წერილი და ამერიკაში არსებული ექვსასი ეკლესიის მისამართი გადმომცა, სადაც თავად ყოფილა და უქადაგია (ეს ხუცესი კარგად იყო ცნობილი როგორც ამერიკაში, ასევე ამერიკის გარეთაც).

გადავწყვიტე ხუცესის სარეკომენდაციო წერილთან ერთად საკუთარი წერილიც დამეწერა და იმ ექვსასი ეკლესიისათვის გამეგზავნა. ორმოცი კონვერტი უკვე მზად მქონდა, როდესაც სულინმიდის ხმა გავიგონებ: „შვილო, რას აკეთებ?“.

– „ამ ხუცესებს უნდა გავაგებინო, რომ შემიძლია მათ ეკლესიებს ვესტუმრო“, – შივუგე ძე.

– ჩემი ნებიდან გახვალ.

– „მაგრამ ღმერთო,“ – ამოვილულლულე მე, – „არავინ იცის მე ვინ ვარ“.

— მე ვიცი, მომენდე.

იმ მომენტში გადაწყვეტილება უნდა მიმეღო. ან თავი დამემდაბლებინა და დავმორჩილებოდი იმ სიტყვებს, რომლითაც ღმერთი ჩემს გულს დაელაპარაკა, ან საკუთარი ძალებით მომეპოვებინა საკუთარი საშუალებები საჭიროებების უზრუნველსაყოფად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ღმერთის ხელებს მივანდობდი საზრუნავს, თუ საკუთარს? გადაწყვეტილება მაშინვე მივიღე. სანამ ჩემი ინტელექტი და ემოციები საქმეში ჩაერთვებოდა, ორმოცივე გამზადებული კონვერტი დავხიე. „ან მართლა ღმერთის ხმა მესმის, ან გავგიჟდი“, — ვფიქრობდი ჩემთვის.

დრო გავიდა. შუა დეკემბერი იდგა და მხოლოდ ორი მსახურება მქონდა ჩანიშნული ჩემს კალენდარში. ერთი იანვრის პირველ კვირაში — სამხრეთ კარლინას პატარა ქალაქის მცირე ზომის ეკლესიაში, რომლის შეკრებები სარიტუალო სახლში იმართებოდა, ხოლო მეორე კი თებერვლის ბოლოს — ტენესის გორაკებზე არსებულ პატარა ეკლესიაში.

იმ პერიოდში ჩვენი ხუცესი ძალიან განიცდიდა ჩვენს მდგომარეობას. მას ძალიან მალე ყოველდღიური სატელევიზიო პროგრამა უნდა დაეწყო, რომელიც საბოლოო ჯამში, მთელს მსოფლიოში გადაიცემოდა. ლიზას ტელევიზიაში მუშაობის გამოცდილება ქონდა, ამიტომ ჩვენმა ხუცესმა მას სამსახური შესთავაზა, რომელშიც საათში 45 დოლარს გადაუხდიდნენ. გულზე მომეშვა და ძალიან გამიხარდა! უხაროდა ლიზასაც. ეს საშუალება ჩვენთვის საჭირო თანხას გამოაჩენდა, ამასობაში კი მისიონერული მსახურებაც ძალას მოიკრებდა.

მაგრამ, რამდენიმე დღის შემდეგ, ლოცვის დროს სულინიდა კვლავ დაელაპარაკა ჩემს გულს: „შვილო, თუკი ლიზა ტელევიზიაში პროდიუსერობისათვის გასამრჯელოს მიღებს, მაშინ მე იმ შესაწირავებს შევამცირებ, რომელიც მომავალში შენი მსახურებისათვის შეგროვდება. მე არ მინდა რომ მან შენს ხუცესთან იმუშაოს. მინდა რომ ის შენს გვერდით იყოს“.

შოკირებული ვიყავი. როცა ეს ამბავი ლიზას ვუთხარი, ჩემდა გასაოცრად ისიც დამთანხმდა. მასაც იგივე სიტყვა მიუღია ლოცვის დროს უფლისგან! ჩვენს ხუცესს ზრდილობიანად მოვუბოდიშეთ ამ გადაწყვეტილების გამო, თუმცა მას კვლავაც აღელვებდა ჩვენი ბედი.

დეკემბრის ბოლო იყო. სადაცაა ეკლესია ხელფასის გადახდას შეგვიწყვეტდა, მე კი მხოლოდ ორ ეკლესიაში ვიყავი ნამყოფი. ხუცესი კიდევ ერთხელ მოვიდა ჩემთან. „ჯონ, კვირა

დილას ჩვენი სატელევიზიო მსახურების დროს, მინდა, რომ წინ გამოხვიდე და შენი მისიონერული მსახურების შესახებ გამოაცხადო, და მათ თუ სურვილი ექნებათ, ეკლესიებში ესტუმრო. ჩვენი ეკლესია კი კვლავ გააგრძელებს თქვენს ყოველთვიურ ფინანსურ მხარდაჭერას“.

ამ ამბავმა ძალიან გამახარა. შეიძლება ითქვას, ეს ღმერთის კაცი მთელი ამერიკის მასშტაბით ერთ-ერთი ცნობილი მქადაგებელი იყო და მის სატელევიზიო გადაცემას მილიონობით ადამიანი უყურებდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ღმერთის ნებაც ასეთი იყო ჩემი მსახურებისათვის.

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, ლოცვის დროს სულინმიდა კვლავ დამელაპარაკა: „შვილო, შენი ხუცესი არ გამოაცხადებს თავის გადაცემაში შენს შესახებ, და არც ეკლესია გააგრძელებს შენთვის ყოველთვიურ ფინანსურ მხარდაჭერას“.

სასოწარკვეთილ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. „რატომ არა?“  
– გავაპროტესტე მე – ხუცესი შეგვპირდა!“.

მაშინვე გულში ჩამესმა: რადგან მე ამის ნებას არ მივცემ. ის არის კაცი, რომელიც მე მისმენს.

„რატომ არ დართავ იმის გაკეთების ნებას, რასაც შეგვპირდა?“.

და შემდეგ ღმერთმა ისეთი რამ მითხვა, რაც არასოდეს დამავიწყდება: „იმიტომ, რომ, როდესაც რთული დრო დაგიდგება, საშველად იმასთან მიხვალ და არა ჩემთან“.

მერწმუნეთ, ჩემმა ხუცესმა აღარ გამომიყვანა გადაცემაში განცხადების გასაკეთებლად. მეტიც, მას ჩემი ახალი მსახურება აღარც კი უხსენებია, და ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერაც შეწყვიტა. მიხარია ასე რომ მოიქცა. ამან მიბიძგა მთელი ჩემი საზრუნავი უფალზე დამედო, მელოცა შეუპოვრად და მებრძოლა, ნაცვლად იმისა, რომ ფულიანი და გავლენიანი ადამიანები დამერწმუნებინა ჩემი დახმარების აუცილებლობაში.

დადგა იანვარი და ეკლესიამ ხელფასი შეგვიწყვიტა. მე და ლიზას სამასი დოლარიდა გვქონდა დარჩენილი. ამჯერად უკვე ორი პატარა შვილი გვყავდა – ედისონი სამწლინახევრის და ცხრა თვის ოსტინი. სახლის ყოველთვიური გადასახადები ათას დოლარამდე ადიოდა, ხოლო მანქანას დამატებით ორასი დოლარი სჭირდებოდა. ნარმოდგენა არ მქონდა სად უნდა მეშოვა ოჯახის რჩენისათვის საჭირო თანხა. ისე ვლოცულობდი, თითქოს ამ თანხებზე იყო დამოკიდებული ჩემი ცხოვრება, რამაც მიბიძგა უფრო დავახლოებოდი სულინმიდას.

საოცარი სახით გვეხსნებოდა კარები მსახურებისათვის. ჩემი პირველი გამოსვლა იმ ეკლესიაში, რომელიც სარიტუალო სახლში იკრიბებოდა შეხვედრების უსასრულო ჯაჭვს დაემს-გავსა. მათ სურვილი გამოთქვეს მომავალ კვირაშიც გამე-გრძელებინა ქადაგება. ამ ეკლესიდან ჩემი ქადაგებების შეს-ახებ ხმა გავრცელდა და მსახურებებს ერთი ხუცესიც დაესწრო კოლუმბიდან, სამხრეთ კაროლინადან. ბოლო ქადაგებისას მკითხა მათ ეკლესიაში თუ მივიდოდი. მე და ლიზა დავთანხმდით. იქიდან სხვა ეკლესიაში მიგვინვიეს და ასე გაგრძელდა.

ორიოდე თვე გავიდა და მოწვევები ისევ შემცირდა, რამაც კვლავ ფინანსური სირთულეები შეგვიქმნა, თუმცა გა-დასახადებს მაინც დროულად ვიხდიდით. ერთ დილას გარეთ გავედი სალოცავად. „ღმერთო, ჩემი მამიკო, იმას ვაკეთებ, რისი გაკეთებაც დამავალე, თუკი შენ არ გამომიჩენ ახალ მსახურებებს და ფინანსებს ჩემი ოჯახისათვის, მაშინ ავდგები და პროდუქტების მტვირთავად მუშაობას დავიწყებ, და ვეტყვი ხალხს, რომ შენ ვერ შეძელი ჩვენი უზრუნველყოფა. მამა, არ მინდა საკუთარი თავი გასაყიდად გამოვიტანო. თუკი შენ მო-მინოდე, მაშინ გამიხსნი კარს მსახურებისათვის. მთელ ამ საზ-რუნავს მთლიანად შენ მოგანდომა“.

შემდეგ ჩრდილოეთით შევტრიალდი და ვუბრძანე გახს-ნილიყო მსახურების კარი. შემდეგ სამხრეთით შევტრიალდი, შემდეგ აღმოსავლეთით და ბოლოს დასავლეთით, ყოველ მხ-არეს ვუბრძანე მსახურების კარი გახსნილიყო. შემდეგ მტერი შევრისხე, რათა უკან დაეხია და ვუთხარი, რომ ხელს ვერ შეგვიშლიდა იმ გზის გავლაში, რომელიც უფალმა ჩვენთვის განსაზღვრა.

ამ ლოცვიდან მოკლე ხანში მიჩიგანის ერთ-ერთმა ეკლე-სიამ ოთხი დღით მიმინვია მსახურების ჩასატარებლად. და დაინტყო ღმერთის ძლიერი მოქმედება. ოთხდღიანი შეხვედრა რამდენიმე კვირიან მსახურებად გადაიზარდა. ადამიანები ძა-ლიან შორი მანძილიდან მოდიოდნენ ამ მსახურებებზე დასას-წრებად. ეკლესია მრევლით იყო სავსე ყოველ საღამოს. ლიზას დავურეკე, რომელიც ჩვენს შვილებთან ერთად ფლორიდაში, ჩემი მშობლების სახლთან ისვენებდა სახალხო აუზზე. ვუამბე შეხვედრებზე, ვუთხარი, რომ აქ ყოფნას ბოლო არ უჩანს, და რომ თვითმფრინავის ბილეთებს ვუგზავნი, რათა ჩემთან ჩამო-ფრინდნენ მიჩიგანში.

როდესაც ლიზა ტელეფონით მელაპარაკებოდა, მის სიახ-ლოვეს თურმე ერთი ხუცესი ყოფილა, რომელსაც ეს საუბარი

მოუსმენია. ის მიუახლოვდა მას და უთხრა: „მაპატიეთ, თქვენს მეუღლესთან ტელეფონით საუბარს მოვკარი ყური. ათასხუთას კაციანი ეკლესის ხუცესი გახლავართ ნიუ-იორკში. მწყურია ღმერთის მოძრაობა ვიხილო ჩვენს ეკლესიაში. ვგრძნობ, უფალი მეუბნება, რომ თქვენი მეუღლე მივიწვიო ჩვენთან“.

მიჩიგანის მსახურებების შემდეგ ნიუ-იორკში წავედით. ეს შეხვედრებიც ძლიერ მსახურებებად გადაიქცა. ამ ეკლესიაში შემდგომშიც ხშირად ჩავდიოდით. ასე გრძელდებოდა ყოველკვირა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მსახურების პირველი ოთხი წლის განმავლობაში არცერთი ეკლესისთვის წერილი არ გავიგზავნია და არ დაგვირეკავს რომ მივეწვიეთ. ყოველი ახალი შეხვედრა თავისთავად ჩნდებოდა.

## უცყვეტი მარაბი

გავიმეორებ, მე იმ აზროვნებით გავიზარდე, რომ კაცისთვის მნიშვნელოვანია თავის ოჯახზე ზრუნავდეს. ამ აზრს ავითარებს 1 ტიმ. 5:8-ში, სადაც ვკითხულობთ, რომ თუ ასე არ ვიქცევით, ურნმუნოზე უარესი ვართ. ღმერთს სურს, რომ ჩვენს ოჯახზე ვზრუნავდეთ. მაგრამ თუ ეს საკითხი ჩემი უმთავრესი პრიორიტეტი გახდება, მაშინ ვერასოდეს შევძლებ ღმერთის მორჩილებაში შესვლას. ასეთ შემთხვევაში ოჯახზე ზრუნვა ტვირთი გახდება, რომელიც ხელს შემიშლის მსახურებაში.

ამ პერიოდში, მე შევხვდი მსახურებს, რომლებმაც განსხვავებული არჩევანი გააკეთეს – მათ თავიანთი საზრუნავი ღმერთს არ მიანდეს მთლიანად. მსგავსად ათი მზვერავისა, ისინიც საკუთარ გათვლებს და უნარს მიენდნენ. ვხედავდი როგორ ყიდიდნენ საკუთარ თავს და თამაშობდნენ პოლიტიკურ თამაშებს. გული მტკიოდა, რადგან ვიცოდი მათ მართლაც ღმერთისგან ქონდათ მონოდება, მაგრამ საკუთარ თავს ყიდიდნენ. ეს მსახურები დღესაც კი არ არიან შესულები ღვთის სასუფევლის მეფობაში. გული მეტკინა, როცა ერთი ხუცესის სიტყვები მოვისმინე: „მარტო რწმენა არ კმარა, ლამაზი სიტყვებიც უნდა გამოიყენ“.

ჩვენი მსახურების პირველ წელს ღმერთი საკვირველი გზით ზრუნავდა ჩემზე და ლიზაზე. ერთხელ სახლის გადასახადზე შვიდასი დოლარი გვჭირდებოდა. ბოლო ვადა მეორე დღე იყო. ჩვენს საფოსტო ყუთში წერილი დამხვდა, რომელიც ალაბამაში

მცხოვრები ჰიპი ცოლ-ქმრის მიერ იყო გამოგზავნილი. მათ რვა შეილი ჰყავდათ და იატაკზე გაშლილ ლეიბებზე ეძინათ. წერილში ეწერა: „ჯონ და ლიზა, არ ვიცით რატომ, მაგრამ ღმერთმა ძალიან დიდი სურვილი ჩადო ჩვენში რომ სამასი დოლარის ჩეკი გამოვიგ ზავნოთ“.

იმ საღამოს ერთ ეკლესიაში ვიქადაგე, სადაც მხოლოდ 40 ადამიანი ესწრებოდა მსახურებას. მსახურების შემდეგ ეკლესიის ხუცესმა აკრეფილი შესანირავი გადმომცა ქაღალდის პატარა ტომრით. სახლში მივედი, დასაძინებლად დავწექი და მაშინდა გამახსენდა, რომ შესანირი არ მქონდა დათვლილი. რადგან მე და ლიზას მთელი ჩვენი საზრუნავი უფლისთვის გვქონდა მინდობილი, არ ვდარდობდით მომავალ დღეზე, როდესაც გადასახადი უნდა გადაგვეხადა. ავდექი და შესანირის დათვლა დავიწყე. 397.26 დოლარი აღმოჩნდა. როდესაც ამას ჰიპი ცოლქმრისაგან გამოგზავნილი ფულიც დაემატა, საკმარისი თანხა აღმოჩნდა ბინის გადასახადისათვის. ღმერთმა კიდევ ერთხელ უზრუნველყო ჩვენი საჭიროება.

დროთა განმავლობაში ეს კარგად დავინახე პროცესში, რომელშიც ღმერთი მე და ლიზას გვრწვთნიდა. თავდაპირველად მოგვინია პატარა საკითხებში მინდობა გვესწავლა, მაგალითად ისეთში, როგორიც მანქანის ძრავია. ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმის სწავლაც, როგორ გვებრძოლა და როგორ დავრჩნილიყავით რწმენაში შეუპოვრები, როდესაც ჩვენი ხელფასი ძალიან მცირე იყო. რატომ? იმიტომ, რომ როდესაც სრული დროით მსახურებას შეუზექით მცირე ხელფასით დავიწყეთ და ბოლოს საერთოდ უხელფასოდ დავრჩით. ამ ყველაფერმა რწმენაში გაგვაძლიერა და უფრო რთული მისი-ისთვის მოგვამზადა. პირველ წელს ჩვენს წინაშე არსებულმა გამოწვევებმა ჩვენთვის საჭირო, რწმენის უფრო მაღალ დონეზე ასვლას შეუწყო ხელი.

ახლა, როდესაც ამ წიგნს ვწერ, ჩვენი ორგანიზაციის, მესენჯერ ინთერნეიშენალის ყოველკვირეული ბიუჯეტი 100 000 დოლარზე მეტია. თუკი არ ვისწავლიდი საკუთარი საზრუნავების ღმერთზე მინდობას და ყოველ ნაბიჯზე მას არ ვერწმუნებოდი, ახლა სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ვიქებოდი. მაგრამ კარგი ამბავი ის არის, რომ მე ჩემს საკუთარ საჭიროებებზე დარდში ერთი ძილიც კი არ დამიკარგავს. მშვიდობა ღმერთისა, რომელიც ნამდვილად აღემატება ადამიანის გონებას, ინახავდა და იცავდა ჩვენს გულსა და გონებას ქრისტე იესოში ღმერთის აღთქმისამებრ.

## რწმენიდან რწმენაში

პროცესი, რომელსაც ღმერთი ჩვენი რწმენის გასაძლიერებლად იყენებს, სიმძიმებზე ვარჯიშს მაგონებს. ოცდათხუთმეტი წლის ასაკში იმდენად ვიყავი მოგზაურობით და ქადაგებებით დატვირთული, რომ სპორტულ დარბაზში ვარჯიში დროის ფლანგვად მეჩვენებოდა. ამის გამო, ერთხელ ატლანტაში, კვირის მსახურებაზე ქადაგებისას, ლამის გონება დავკარგე.

ჩვენი კარის მეზობელი პროფესიონალი მოჭიდავე და ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის წევრი იყო. ის, მისი ცოლი და მისი შვილები ჩვენი ოჯახის კარგი მეგობრები გახდნენ. ადრე მან სპორტულ დარბაზში წასვლა შემომთავაზა, მაგრამ მეუარი ვუთხარი. მაგრამ ატლანტაში ეკლესიაში მომხდარი შემთხვევის გამო ფიზიკური ვარჯიშის მიმართ ჩემი დამოკიდებულება მთლიანად შეიცვალა. ამიტომ ჩემს მეზობელს ვთხოვე დამხმარებოდა უკეთეს ფიზიკურ ფორმაში ჩავმდგარიყავი.

ჩემი მეგობარი ძლიერი აღნაგობის იყო, 118 კილომდეინობიდან და ამ წონიდან მხოლოდ 4 პროცენტი იყო სიმსუქნე. მისი ხელის კუნთები, ჩემი ფეხის კუნთებზე უფრო დიდი იყო. სპორტულ დარბაზში რეგულარული სიარული დავიწყეთ. მოგვიანებით ჩემი მეზობლის მეგობრებიც გავიცანი და მათ სავარჯიშო ტექნიკას ვაკვირდებოდი. აღმოვაჩინე, რომ პატარა წონის სიმძიმეების ხშირი აწევა არ ზრდიდა კუნთებს. ეს ადამიანები მძიმე წონას ირჩევდნენ და მაქსიმუმ სამ ოთხჯერ აიზიდავდნენ. თავდაპირველად სამჯერ აწევდნენ და მთავარი რამ ამის შემდეგ ხდებოდა. როდესაც რომელიმე მათგანი მეოთხეჯერ დააპირებდა აწევას, ძალა აღარ ჰყოფნიდა, სახე დაეჭიმებოდა, ვენები ამოებურცებოდა და მთელი სხეული უცახცახებდა. ამ დროს კი მეგობრები ამხნევებდნენ: „მიდი! მიაწექი!“ და ისიც მთელს ძალას მოიკრებდა, რათა მეოთხე აწევაც განხეხორციელებინა. აი ამ დროს ხდება სხეულში კუნთების დაჭიმვა და ზრდა.

დარბაზში პირველად მისვლისას 43 კილოს აწევა შევძელი, და პირველი თვის მანძილზე ამ წონას ვერც ავცდი. შემდეგ კი თანდათანობით 60 კილომდე ავედი; ექვსი თვის შემდეგ 85-ზე და ბოლოს 95 კილოგრამის აწევაც მოვახერხე. თუმცა წლების მანძილზე 95 კილოზე მეტის აწევა ვეღარ შევძელი.

შემდეგ კი ყოფილი მძლეოსანი შემოურთდა ჩვენს მსახურებას. საუბარში გამახსენდა თუ რა იყო საჭირო ძალისა და

კუნთების ზომების მოსამატებლად. დავიწყებული მქონდა, რომ კუნთების ზრდას მძიმე წონა და ნაკლები სიხშირის მიზიდვა სჭირდებოდა. ასე, რომ ვარჯიში ისევ განვაახლე. შემდგომში ჩვენ ერთად მოგვიწია ფრესოში, კალიფორნიის შტატში კონ-ფერენციაზე ყოფნა. კონფერენციის შუალედში, თავისუფალ დროს რამდენიმე ჩვენგანი სპორტულ დარბაზში წავედით სა-ვარჯიშოდ. ჩემთან ერთად მყოფნი რომ იტყვიან გადამეკიდნენ – „ჯონ დლეს 102 კილოგრამი უნდა აწიო!“

- „არავითარ შემთხვევაში,“ – ვუთხარი მე.
- „არა უნდა აწიო! დაწექი სკამზე და ჩვენ მოგეხმარებით შტანგის დაჭერაში.“

მართლაც შევძლი 102 კილოს აწევა. ძალიან მიხაროდა. გავაგრძელე ვარჯიში და 111 კილომდეც ავედი. და ისევ გავჩერდი. ჩემი მიზანი, რომელიც სიმართლე რომ ვთქვა მი-უღწევლად მიმაჩნდა, ეს იყო 142 კილოგრამის აწევა.

დეტროიტში, მიჩიგანში ერთ-ერთ ეკლესიაში მოვხვდი. ხუცესმა მითხრა რომ მათი ერთი წევრი ქვეყნის მასშტაბით ცნობილი მწვრთნელი იყო სიმძიმის აწევაში (ბოლიბილდინგში). როგორც გავიგე თვითონ ამ ხუცესს სავარძელზე 247 კილო-გრამი აუწევია ახლახანს. კვირის მსახურების შემდეგ ხუცეს-თან ერთად ამ მწვრთნელს შევხვდი და იმ დლეს 120 კილოგრა-მის აწევა მოვახერხე. აღფრთოვანებული ვიყავი! ამ ადამიანმა ინტენსიურ სავარჯიშო პროგრამაში ჩაგვრთო და რამდენიმე თვის განმავლობაში მე და ჩვენი ძმა, რომელიც ჩვენი მსახ-ურების წევრი იყო, ერთად ვვარჯიშობდით.

შემდეგ, როდესაც ისევ მომიწია დეტროიტის ეკლესიაში ჩასვლა, დილის და საღამოს მსახურებებზეც სულიწმიდის შეს-ახებ ვიქადაგე. ორშაბათ დილას დარბაზში წავედით და იმავე მწვრთნელმა მითხრა, „ჯონ, წუხელის მესიზმრა, რომ შენ სა-ვარძელზე 136 კილოს აწევა შეძელი“.

- „არავითარ შემთხვევაში,“ – შევიცხადე მე.

მან შემომხედა და მითხრა: „ძმაო, გუშინ მთელი დლე იმაზე ქადაგებდი, თუ როგორ გვესაუბრება სულიწმიდა. ხოდა წუხე-ლის მე დამელაპარაკა. ასე რომ გაწუმდი და დაწექი, შენ დლეს 136 კილოს აწევ“.

მე ხმა გავემინდე და სავარძელზე ავედი. მცირეოდენი მო-თელვის შემდეგ, ჩემმა მეგობარმა შტანგაზე 136 კილოგრამი სიმძიმე მიამაგრა. „როცა შტანგა ქვემოთ წამოვა, უბრალოდ მიაწექი“, – მითხრა მან. „გონებაში ზედმეტ ფიქრს შეეშვი. უბრალოდ მიაწექი!“.

ის და ჩემს გარშემო მყოფი სხვა ადამიანებიც მიყვიროდნენ: „მიღი! მიაწექი! მიდი!“, როდესაც შტანგაზე ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია, მთელი ძალით მივაწექი. სიმძიმე ზევით წავიდა! ბოლომდე აიწია!

მათ შტანგა აიღეს და მე გადმოვედი სავარძლიდან თან სიხარულით ვყიუინებდი. გაკვირვებული ვიყავი.

ჩემი მეგობარი მწვრთნელი ხუთის მანძილზე მაცლიდა მეზეიმა ეს წარმატება, შემდეგ სახეში შემომხედა. მას ისეთივე დაუინებული მზერა ჰქონდა, როგორიც დასაწყისში. „ახლა 142 კილოგრამი უნდა აწიო“.

„არავითარ შემთხვევაში – რა, ეგეც სიზმარში წახე?“ – ვკითხე მე.

მან გაიღიმა და ზრდილობიანად მითხრა, „გაჩუმდი და სავარძელს დაუბრუნდი“.

წარმოიდგინეთ ორმოცდაოთხი წლის ასაკში 142 კილოგრამი ავწიე. სიხარულით დავხტოდი. არ დამავიწყდება როგორ დავურეკე ლიზას დეტროიტის აეროპორტიდან, რათა ეს ამბავი მისთვის მეცნიერებინა“.

მოგვიანებით, ღმერთმა მაჩვენა, რომ ყველა ის მწვრთნელი – ჩემი თანამშრომელი, კალიფორნიელი ხუცესები და დეტროიტელი ქვეყნის მასშტაბით ცნობილი მწვრთნელი – სულინმიდის გამოვლინებანი იყვნენ.

გავიხსენოთ პავლეს სიტყვები.

„და სარწმუნო ღმერთია, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობებზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელშიც გამოსაგალს მოგცემთ, რომ შესაძლოთ ატანა“ (1 კორ. 10:13;)

იმ მწვრთნელებმა იცოდნენ რისი აწევა შემეძლო და რისი არა. იცოდნენ რომ შტანგაზე 183 კილოგრამი ტვირთი არ უნდა დაედოთ, მაშინ, როდესაც მე მხოლოდ 142 კილოგრამის აწევა შემეძლო. ისინი გამოცდილი ადამიანები იყვნენ და შეეძლოთ დაენახათ რა პოტენციალი გამარწდა. გაკვირვებული ვიყავი იმით, რომ მათ შეეძლოთ ჩემს შესახებ უფრო მეტი დაენახათ, ვიდრე თავად შემეძლო. ყოველთვის, როცა მეგონა რომ ვერ შევძლებდი, ისინი ამბობდნენ, რომ გამომივიდოდა. ისინი ჩემში იმ ძალას ხედავდნენ, რომელზეც მე წარმოდგენაც კი არ მქონდა.

სულინმიდაც მსგავსად მოქმედებს. მან იცის რა შეგიძლია და რა არა. თუ ჩემი პროფესიონალი მწვრთნელის მეგობარი

თავიდანვე, სპორტულ დარბაზში პირველივე მისვლისთანავე 142 კილოს მიამაგრებდა შტანგას, წარმოგიდგენიათ რა შეიძლება მომხდარიყო? შტანგა მთელი მიზიდულობის ძალით დაბლა დაეშვებოდა და მკერდის ძვალს დაეცემოდა, რაც სავარაუდოდ ჩემს სიკვდილს გამოიწვევდა. დასაწყისში მე 95 კილოგრამი უნდა ამენია.

ამის მსგავსად, სულინმიდამ იცოდა რა იყო ლიზასთვის და ჩემთვის უფრო უკეთესი.

„რადგან მე ვიცი ის ზრახვები, რაც მე განვიზრახე თქვენზე,“ – ამბობს ღმერთი (იერ.29:11;).

ღმერთს ჩვენი რწმენა უნდა აეშენებინა და ამ პროცესში ჩვენ უნდა გვესწავლა ყველა საზრუნავის მასზე მინდობა. ეს არ იყო სასიამოვნო, მაგრამ იყო სასარგებლო. ხშირად ვფიქრობ-დი ფარ-ხმალი დამეყარა და დავნებებოდი, მაგრამ ვერ ვაკეთებდი ამას, რადგან იესო არ მიშვებდა. ჩვენ ერთგულად

სულინმიდამ იცის რა შეგიძლია და რა არა.

ვაგრძელებდით ჩვენი ღვთიური მისიის შესრულებას და გზაზე არსებული ყველა წინააღმდეგობის გადალახვას.

ახლა როცა უკან ვიყურები, ვხვდები, რომ დაბალი ხელ-ფასი, ძრავის პრობლემა და სხვა განსაცდელები უფრო დიდი ბრძოლისათვის გვამზადებდა. თუკი ჩვენი ბიუჯეტი დასაწყისშივე 100 000 დოლარს შეადგენდა. ეს იგივე იქნებოდა, რაც სპორტულ დარბაზში პირველ მისვლისთანავე 142 კილოგრა-მის აწევა მეცადა. არა, სულინმიდამ ნელ-ნელა, თანდათანობით გვაშენებს და მიგვიძლვის უფრო დიდი საქმეების გასაკეთებლად.

## 6-ი უგულებელყოფ წვრთნას

ის სირთულეები, რომელიც ჩვენი მსახურების პირველ ეტაპზე შეგვხდა ძირითადად პირად საჭიროებებს ეხებოდა: მანქანის შეკეთება, პროდუქტის ყიდვა, გადასახადების გადახდა. მაგრამ წინააღმდეგობები, რომლის წინაშეც ახლა გვიწევს დგომა ნაკლებად ეხება პირად პრობლემებს. ახლა ჩვენი სირთულეები იმ ადამიანებთან არის დაკავშირებული, რომელთაც ვემსახურებით. თუ ჩვენ ამ წვრთნის პროცესს თავიდანვე

შევწყვეტდით, მაშინ ახლა აღარ გვექნებოდა ის ძალა, რომელიც იმ ადამიანებთან მსახურებაში გვჭირდება, რომლებთანაც ღმერთი გვვზავნის. თუკი ჩვენ დავნებდებოდით, მაშინ ღმერთი სხვას გააგზავნიდა.

რამდენმა მსახურმა ვერ შეძლო ადამიანებთან უფლის სიტყვა მიეტანა, იმის გამო, რომ წვრთნის პროცესი შეწყვიტეს? თუ მათ მაშინ 65 კილოგრამის აწევა ვერ შეძლეს, მაშინ ვერც 183 კილოგრამს აწევენ მოცემულ მომენტში. სამწუხაროდ, ღმერთს სხვა ადამიანების მოძებნა უნევს მათთვის მიცემული დავალების შესასრულებლად.

რამდენი ბიზნესმენია ერთ ადგილას გაჩერებული იმ მიზეზით, რომ ვერ გაუმკლავდნენ მათზე მოვლენილ განსაცდელებს? ნაცვლად ღმერთისა ისინი რჩევებისთვის ადამიანებთან მივიდნენ და ამის გამო მოსწყდნენ ძალას, რომელიც უფალს მათთვის ჰქონდა განსაზღვრული.

დარწმუნებული ვარ, რომ იმ ათმა მზვერავმა არ გაიარა სწავლების ის პროცესი, რომელში ყოფნაც ქალებსა და იქსონავეს ძეს მოუხდათ. ისინი საკუთარი ძალებით ცდილობდნენ გამოსავლის პოვნას. მათ ვერ აღაშენეს საკუთარი რწმენა. და როდესაც მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტი დადგა ისინი ძალის გარეშე აღმოჩნდნენ.

ჩვენმა ზეციერმა მამამ თავად იცის, რომელი სასწავლო კურსი გამოდგება ჩვენთვის. მიუხედავად იმისა, რომ უფალი არ არის სირთულეების შემოქმედი, ის უშვებს მათ, რათა გავძლიერდეთ და მისმიერ ჩვენთვის დასახულ მიზანს მივაღწიოთ.

ნუ უგულებელყოფ წვრთნის პროცესს. განსაცდელი, რომელიც დღეს გხვდება, ძალას მოგცემს უფრო დიდი საქმეები აღასრულო ხვალ. ჩემო მეგობარო, ყოველთვის გახსოვდეს, ღმერთი არასოდეს დაუშვებს ისეთ რამეს, რომლის წარმატებით გასამკლავებლად წვრთნა არ გექნება გავლილი.

ისწავლე ყველა საზრუნავი თავმდაბლობით მიანდო უფალს, რათა დიდებიდან დიდებაში, რწმენიდან რწმენაში და ძალიდან ძალაში სიარული შეძლო.

## ՈՅԵՇՈՂԵԹ ԾԱ ՈՒԱՅՈԹ ԹԼՈՎՈՒԺԱՐԵՆՈ

„Հայմոռհիլլետ յրտմանետս, Շեյմուսետ տավմդածլոնծա, Ռագցան  
լմերտո ամքարդաշնեծս ենինաալմդցցցիկա, տավմդածլոնծս կո  
մագլս անոյշեծս. մաշ համդածլոնտ լզտուս ժլույրո եղլուս կըցէ,  
րատա ացամալլոնտ ման տացուս դրոնչե. տյշենո պաշտա սածրոնացո  
մաս մուանդցետ, Ռագցան ուս նրոնացա տյշենչե. մլզուսարցենո ույացուտ  
դա ուցիոնչլուտ, Ռագցան տյշենո մոնինաալմդցցց յշմակո դամր-  
նուս, րոցորու մթրուցունացո լումոն դա, յդյեծ զոն հապլապուս. նոն  
ալուցցյուտ մաս մուկուց բնմենուտ“

1 პէტր 5:5-9;

**Ս**անամ პէտրես ամ գուցելու մեջոնեծուս կալեցաս ցա-  
ցացրմյելլեծցետ, մոգուտ յրտցցարո մոյլու մեյամեծա ցա-  
ցացետոտ: մուոյլու լմերտուս կյշմարուտ մագլնչե սայ-  
ծրոնծա: մագլու մեռլոնց ցագարհինենաս դա ցուցցեծուս პատրուցաս  
կո ար ցագլցաւս, արամեց ցամուսացս սալուտ, րատա ամ հածնելլե-  
ծուլ նշուտուսոցյելլու ցուծրնինուտ. մացրամ ցամոռհիյլոնծա, նո-  
նաալմդցցունեծուս ցարցեց ար մոցուս; ծրմոլա ցարդասացալուա.  
ամութու սափորու մագլուս ուրալուտ ալզոյիյրցուտ.

ալոյիյրցա կո տավմդածլոնծուտ ոնցյեծա, Ռագցան մագլու տավմդա-  
ծալ աճամունեծու յժլեցատ. პավլու մեցցացոնեծու տավմդածլոնծուտ  
ալզոյիյրցուտ, եռլու կյշմարուտ տավմդածլոնծա կո ցայեմարցեծա  
հիշենո պաշտա սածրոնացո լմերտուս մուանդուտ, նացուլագ օմուսա  
րու սայուտարու սալուտ ցեցագուտ մատ մոցարցեծա. հիշեն ցեր  
մեցուլլեծուտ սարծույլուս ցարծենաս, յոյեյկուր ծրմոլաս դա ցամ-  
մլեցունաս, տյշու პորագու գոյնենուտ ույշենեծուտ դամենմեծուլնու.  
նշուելու, ցորուայու դա մուշու արուան հիշենո մույրու, րոմելու մուծ-  
նուս մոլենցամու ցումելուան եղլս. րոցցաւ հիշենս ծարցս սոյալս  
ցագացցեմտ, մամոն մեցու ուցուս սերացագ ցործունուտ դա  
հիշենս եղլտ արսեծուլու մաեցուլու ուցուս մեցու սալուտ ցամոցու-  
յնուտ.

մտացարու սակուտեն մեմդցա: նամցուլու տավմդածլոնծա ցատ-  
ացուսոյլլեծու, րատա սոյրու პրոցրուսոյլագ մեցուլուտ ամ սա-  
մպարու սուսցեմու գունենատա նոնաալմդցց սովլա. սեա ալույր-  
նագուա կո ուս արու, րու նշենուուսա դա դարցուս սոծոնմյուրցուս

ლუზა ჩავუშვათ – რაც თავის მხრივ შეუსრულებელი დავალებაა, რომელსაც თან მდინარის დინებასთან შეწინააღმდეგებაც ემატება.

ამიტომაც პეტრე შეგვაგონებს ვიფხიზლოთ და მღვიძარენი ვიყოთ.

## იფხიზლეთ

სიტყვა „ფხიზელი“, შეიძლება განიმარტოს როგორც „სერიოზული, მგრძნობიარე და კეთილგონიერი“. ბერძნულად ის გამოითქმის როგორც, „ნეპო“, რომელიც ღვინით მთვრალის ანტონიმია. ეს საღ აზრზე ყოფნას ნიშნავს“.

ალკოჰოლის მიღება მაღალ კლასებში დავიწყე, ხოლო სკოლის დასრულების პერიოდში ყოველ შაბათ-კვირას ვსვამდი. უნივერსიტეტში, პირველ კურსზე ყოფნისას კი დათრობას მოვუხშირე, რადგან ამ დროს მშობლები უკვე ნაკლებად მაკონტროლებდნენ. სტუდენტური ცხოვრებაც ვერ დამეხმარა ამაში, რადგან უნივერსიტეტის ცხოვრება ერთ დიდ წვეულებად გვეჩვენებოდა, რომელშიც აქა-იქ ლექციებსაც გვიტარებდნენ. მალე ალკოჰოლის რეგულარული მომზმარებელი გავხდი. მადლობა უფალს, რომ ბოლო კურსზე მან დამიხსნა ამ მიჯაჭვულობისგან – მხოლოდ ლმერთმა იცოდა, ალბათ, რა საშინელი ბოლო მელოდა თუ სმას თავს არ დავანებებდი.

რამდენჯერმე ისე დავთვერი, რომ აღარაფერი მახსოვდა და მეორე დღეს მეგობრები მეუბნებოდნენ რა სასაცილო რამეებს ვაჟეთებდი და ვამბობდი. მარტივად, რომ ვთქვათ, მთვრალი პიროვნება მწყობრიდან გამოდის. ჩვენი უნივერსიტეტი სავსე იყო ხუმარა სტუდენტებით, და კარგად ჩანდა თუ რა ადვილად შეიძლებოდა მთვრალი კურსელის გამაიმუნება და დაცინვა. ჩვენ მთვრალ მეგობარს ისეთ რამეებს ვუკეთებდით, რასაც ფხიზელს ვერასოდეს გავუბედავდით.

გამასხარავების ერთ-ერთი ხრიკი მოპარვა იყო. მთვრალი ამხანაგი ვერც კი ხვდებოდა რა მნიშვნელოვან საკუთრებას პარავდნენ. აი მეორე დილას კი მთელი ორომტრიალი იწყებოდა – გაძარცვული მსხვერპლი დაკარგული ნივთის ძებნაში მთელ თავის ოთახს და უნივერსიტეტს აწრიალებდა. წარმოდგენაც კი არ ქონდა სად შეიძლება დაეკარგა თავისი ნივთი. ის დარბოდა აქეთ-იქით, ხან ამთქნარებდა, ხან ყვიროდა და ასე ეძებდა დაკარგულ საფულეს, შეყვარებული გოგონას სურათს

თუ დაწერილ დავალებას. ხოლო ვინც იცოდნენ რაშიც იყო საქმე, ჩუმად იცინოდნენ და აკირდებოდნენ მის საქციელს. ბოლოს როცა დავინახავდით ჩვენს უკვე საკმაოდ ტანჯულ ძმას უკან ვუბრუნებდით მოპარულ ნივთს და თან გულიანად ვიცინოდით.

რა თქმა უნდა, ეს ხუმრობა იყო, მაგრამ იმ გაძარცვულ სტუდენტს რა ექნა, თუკი ის ძალიან განიცდიდა მისთვის ძვირფასი დაკარგული ნივთის გამო? არაფხიზელ მდგომარეობაში ის ადვილად ხდებოდა მსხვერპლი და დიდი იყო მნიშვნელოვანი ნივთის დაკარგვის ალბათობა.

მონამვლაც ჩხუბის დროს ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. მასხენდება ერთი წვეულება, რომელზეც ჩემმა ორმა მეგობარმა მუშტიკრივი გაუმართა ერთმანეთს – ერთი მთვრალი იყო, მეორე კი ფხიზელი. სხვა დროს ჩემ მთვრალ მეგობარს ადვილად შეეძლო მეორე, ფხიზელი მეგობრის ცემა, მაგრამ რადგანაც ძალიან დათვრა, კარგა გვარიანადაც მოხვდა. მხოლოდ სხვისი ჩარევის შემდეგ მოხერხდა სერიოზული ფიზიკური ზიანის თავიდან არიდება.

მინდა დასაწყისში რომ ფილმი ვახსენე, „მოჩვენება და სიბრუნვე“ ისიც გავიხსენო – პეტერსონი, რკინიგზის ინჟინერი და რემინგტონი, ცნობილი ამერიკელი მონადირე, რომლებმაც 130 ადამიანის სიცოცხლის მომსპობი ორი ლომი მოაშორეს. მე დასაწყისში არ მიხსენებია ის, რომ ფილმის ბოლოს ერთი ლომი კლავს რემინგტონს. რამდენიმე დღიანი ნადირობის შემდეგ ამ ორმა კაცმა პირველი ლომი მოკლა. სალამოს ამ ფაქტის აღსანიშნავად რემინგტონმა დალია და მოიწამლა, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მეორე ლომმა მისი სიცოცხლე შეიწირა. მოკლე ხანში პეტერსონმა სიცოცხლეს გამოასალმა თავისი მეგობრის მკვლელი ლომი.

რემინგტონი მსოფლიომ თავისი მონადირის ოსტატობით დაიმახსოვრა, მაგრამ ამ ყველაფერმა ფასი დაკარგა იმის გამო, რომ მონამვლამ მისი სიცოცხლე შეიწირა. მას ისეთი იარაღი ჰქონდა, რომ ლომს თავისუფლად მოერეოდა, მაგრამ რადგანაც სიფხიზლე არ გამოიჩინა მტაცებლის თავდასხმის სამიზნე გახდა.

## სულიერი სიმთვრალე

ასე ხდება სულიერ სამყაროშიც. მტერს ადვილად შეუძლია გაძარცვოს ისინი, რომელიც ფხიზლად არ არიან გონებით.

იგი ჩვენთვის მოცემული მადლის იარაღით უნდა დავამარცხოთ, მაგრამ თუ დავთვრებით, ის დაგვჯაბნის.

პეტრე გვაფრთხილებს, რომ

ეშმაკი დადის და ეძებს ვინ ჩაყლაპოს (იხ. 1 პეტ. 5:8;). ის ადვილად ამარცხებს ამპარტავან და ზრუნვით დამძიმებულ ადამიანებს, თუმცა ყველაზე ადვილად მოსაპოვებელი საკბილო მაინც მთვრალი მორწმუნეა. აქ

პეტრე ალკოპოლზე საუბრობს? შესაძლებელია, მაგრამ ის უფრო მეტსაც გულისხმობს. ის ყურადღებას ამახვილებს მორწმუნეზე, რომელიც ამ წუთისოფლის ღვინით არის მთვრალი.

გამოცხადების წიგნის ბოლოში ითანე მეძავი ბაბილონის სამსჯავროს დღეს აღწერს. ანგელოზი მას ეუბნება,

მტერს ადვილად შეუძლია გაძარცვოს ისინი, რომელიც ფხიზლად არ არიან გონებით.

„მოდი და გიჩვენებ სამსჯავროს ბევრ წყალზე მჯდომ დიდ მეძავზე, რომელთანაც მეძაობდნენ მინის მეფეები და მისი სიძვის ღვინით თვრებოდნენ მინის მკვიდრნი“ (გამოცხ. 17:1-2;)

ბევრი აზრი არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რა იგულისხმება მეძავში. ზოგი ამბობს, რომ ეს კათოლიკური ეკლესია. ზოგი ამბობს, რომ ეს ძველი ქალაქი ბაბილონია, ზოგიც კი მას რომად ან რომის იმპერიად მიიჩნევს.

პირადად მიმაჩნია, რომ დიდ მეძავში მსოფლიოს ფინანსური სისტემა იგულისხმება. ჩემი შეხედულების ერთ-ერთი მიზეზი მის შუბლზე დაწერილი საიდუმლო სახელია: „დიდი ბაბილონი, ... მინის სიბილნეთა დედა“ (გამოცხ. 17:5;). სხვა თარგმანები იყენებენ სიტყვას „სისაძაგლე“, მაგრამ მე არ მიმაჩნია, რომ ძველი ბაბილონი, რომი, რომის იმპერია ან კათოლიკური ეკლესია არის მინაზე ყოველგვარ სიბილნეთა დედა. თუმცა წმინდა წერილი ნათლად ამბობს, რომ ფულის სიყვარულია ყოველგვარი უკეთურების ფესვი (1 ტიმ. 6:10;). ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია სიტყვა სისაძაგლე ბოროტებით ჩავანაცვლოთ და მნიშვნელობა იგივე დარჩება. არ ღირს ამ საკითხზე ბევრი დროის დახარჯვა, მაგრამ ეს არის საკითხი, რომელიც დაფიქრებას იმსახურებს.

ვფიქრობ, რომ მსოფლიოს სისტემა იზიდავს მგრძნობელობას, რაც მონამვლას იწვევს. დავუკვირდეთ ზემოთ მოყვანილ ითანეს სიტყვებს: „მისი სიძვის ღვინით თვრებოდნენ მინის

მკვიდრნი“. ადამიანი, რომელიც ქვეყნიერების სიმდიდრის, საზრუნავის და სიამოვნებების ღვინით მოიწამლება, ის ადვილად დაკარგავს სულინმიდასთან სიახლოვეს. ზოგ მორწმუნეს ეს შესაძლოა ღვთისმოსაობის სახედ მოეჩვენოს, არადა სინამდვილეში ქვეყნიერების სურვილებით იყოს მთვრალი. როდესაც ადამიანი სულიერი სიფხიზლის მდგომარეობას კარგავს, ის ადვილად ხდება მტრის ძარცვის, დანგრევისა და განადგურების სამიზნე.

სიმთვრალე კარგად აღწერს იმ მდგომარეობას, რომელშიც სოლომონი აღმოჩნდა. არადა დასაწყისში ის ღვთის სიბრძნის მაძიებელი კაცი იყო. ღმერთმა მას სიბრძნე უბოძა, რისი მეშვეობითაც დიდი წარმატება და სიმდიდრე მოიხვეჭა (იხ. იგავ. 8:11-21:). თუმცა რაღაცა დროის გასვლის შემდეგ სოლომონი თავისივე სიბრძნისმიერი სიკეთით მოიწამლა და დაივიწყა ღმერთი, რომელმაც მას ეს ყველაფერი უბოძა. ის ითრობოდა ამ წუთისოფლის ვნებებითა და სიმდიდრებით. მთვრალ მდგომარეობაში ისეთი რამეების კეთება დაიწყო, რომელსაც ფხიზელი, გონებაშიც კი არ გაიღლებდა: უცხო ღმერთებს დაუწყო თაყვანისცემა.

ძალიან მანუხებს ის ფაქტი, რომ სოლომონი, რომელმაც ორჯერ იხილა ღმერთი, ასეთ სამარცხვინო დონემდე მივიდა. მაგრამ მის მოქმედებას თუკი ზემოთ ნათქვამის ფონზე შეხედავ, უფრო ნათლად დაინახავ მიზეზს. როდესაც უნივერსიტეტში მე, ან ჩემი ჯაგუფელები ვთვრებოდით, ისეთ რამეებს ვაკეთებდით, რასაც ფხიზელ გონზე ნამდვილად არ ჩავიდენდით.

როგორ დავიცვათ თავი ასეთი უგუნურებისგან? პასუხი შემდეგია: გამუდმებით დაგპურდეთ და დაგრწყულდეთ უფალში, რომელიც სათანადოდ გვაკმაყოფილებს. „ნუ დაითვრებით ღვინით, რომელშიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსენით სულით,“ (ეფეს. 5:18;) წერს პავლე მოციქული. არ მგონია, რომ აქ პავლე მოციქული მხოლოდ ფიზიკურ ღვინოს გულისხმობს, არამედ ნებისმიერ რამეს, რაც მოგვნამლავს, დაგვათრობს, დაგვასუსტებს და ღმერთის გზიდან გადაგვახვევინებს. ეს შესაძლოა სამსახურით ნამეტანი დაკავებულობა იყოს, ან საპირისპირო სქესის წარმომადგენლი, სპორტი, ჰობი, სოციალური ქსელი – ჩამონათვალი შორს ნაგვიყვანს.

თავისთავად ეს საკითხები სულაც არ არის საზიანო, რადგანაც ვიცით, რომ ღმერთი „ყველაფერს უხვად გვაძლევს მოსახმარად“ (1 ტიმ. 6:17:). ძალიან კარგია დასვენებით, სუფთა

გარემოთი, სპორტული შეჯიბრებით, საკვებით, ბუნების სილამაზით და ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით მიღებული სიამოვნება. მაგრამ თუ ეს ჭარბად ხდება და ღმერთის ნაცვლად კმაყოფილებას ზემოთ ჩამოთვლილთაგან ვიღებთ, მაშინ სანამლავზე ვხდებით დამოკიდებული.

იესო უნდა იყოს ჩვენი უპირველესი სიყვარული; მხოლოდ მისი სულით უნდა მოვიწამლოთ.

## დროდადრო შეამოწმე საკუთარი თავი

იმისათვის, რომ ფხიზელი იყოს – მოერიდოს ქვეყნიურ სასმელს – ღმერთის ყოველი შეილი დროდადრო საკუთარ თავს უნდა ამონებდეს. წრფელად უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს: „რისი წყურვილი მაქვს?“. ნუ იქნები ზედაპირული, არამედ მაქსიმალურად გულახდილი იყავი. რას უთმობ შენს თავისუფალ დროს? რისკენ არის შენი აზრები და მოქმედებები გამუდმებით მიმართული? თუკი ეს ფეხბურთია, მაშინ მისით გადაჭარბებულად ირწყულებ თავს სპორტის ამ სახეობით; წესით ფეხბურთით ნორმის ფარგლებში სიამოვნებას უნდა იღებდე, ახლა კი ნამეტანად ხარ მისით გატაცებული. იქნებ საპირისპირო სქესია შენი საყვარელი სასმელი? ან მთელი შენი აზრები იმაზეა მიმართული თუ როგორ იშოვო ბევრი ფული? აი ამ კითხვებზე გულახდილი პასუხის გაცემა დაგეხმარება გაარკვიო რითი იწამლები. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რის გამოც გვეთქვა წავიკითხოთ და ჩავუღრმავდეთ ღმერთის სიტყვას. რასაც ხშირად სვამ, მეტნილად სწორედ ის მოგწყურდება. რასაც ხშირად ჭამ, ის საჭმელი მოგინდება.

მახსოვს როგორ იყო ჩემი სკოლის ტენისის მასწავლებელი კოკა-კოლაზე დამოკიდებული. ეს დაინყო ერთ დღეს, და გაგრძელდა მეორე დღეს, შემდეგ მესამე დღეს და ასე შემდეგ. იმ დონემდე მივიდა, რომ ყოველდღე ერთ მთელ შეკვრას შთანთქავდა. მის მაცივარში ყოველთვის ორი-სამი შეკვრა კოკა-კოლა იყო, ხოლო მაცივრის გვერდზე გარეთ, კიდევ რამდენიმე შეკვრა იდო, რათა ცივი კოკა კოლის დალევის შემდეგ ის, გარეთ დალაგებული ბოთლები გაეცივებინა.

ასევე მინახავს ადამიანები, რომლებსაც გაზიანი სასმელების მიღების გამო ჭარბწონიანობის პრობლემები შეექმნათ. ახალგაზრდობაში ვიცოდი, რომ ჩემი სხეული ღმერთის ტაძარი იყო და მას უნდა გავფირთხილებოდი. ამიტომ გადავწყვიტე გაზიანი

სასმელებით არ დამებინძურებინა იგი. თუმცა ეს ადვილი არ იყო! მენატრებოდა ცივი გაზიანი სასმელი დამელია. მაგრამ უარს ვამბობდი მიზეზის გამო.

იესო გვეუბნება: „ვისაც უნდა, რომ გამოჰყვეს, უარყოს თავისი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და მომდიოს მე“ (მათე 16:24). იმისათვის, რომ მონამვლისგან განვიკურნოთ, საჭიროა უარი უთხრათ საკუთარ თავს და იმას, რაზეც დამოკიდებული ვართ. გაზიანი წყალი უფრო უკეთესი რამით ჩავანაცვლე – ჭიქა ლიმონის წვეთებით გარეული წყლით. მე წყალი არ მენატრებოდა – გაზიანი სასმელი მინდოდა – მაგრამ საკუთარ თავს ვაძალებდი, რომ დღის განმავლობაში ორ ლიტრამდე წყალი მაინც დამელია. გავიდა რამდენიმე თვე და გაზიანი სასმელი აღარ მინდებოდა. დღეს კი საერთოდ არანაირი სურვილი არა მაქვს ასეთი სასმელი დავლიო. დღეს წყალი მინდა!

ასეა ღმერთის სიტყვასთან მიმართებაშიც. ქრისტეს სიტყვები არის სული, სიცოცხლე და ჭეშმარიტება. იმისათვის, რომ ღვთის სიტყვის ძლიერი სურვილი აღიძრას ჩვენში, საჭიროა უარი ვთქვათ იმ მიმართულებზე, რომლისკენაც ჩვენი წყურვილი და მადა იყო მიმართული. მაგალითად თუ მასმედია იტაცებს და შთანთქავს ჩემს აზრებსა და დროს, მაშინ მარხვა უნდა გამოვუცხადო მას. მოვწყდები მას უკეთესი მიზეზის გამო და ღმერთით და მისი სიტყვით ჩავანაცვლებ. საუკეთესო, აზრიანი მარხვა, რომელიც ოდესმე მქონია, საკვებთან არ ყოფილა დაკავშირებული, არამედ მასმედიასთან.

როდესაც საკუთარ თავს ღმერთის სიტყვით ვავსებთ და ვემორჩილებით მას, ჩვენი დროის ინვესტირებას ლოცვაში ვახდენთ, მივყვებით უფლის მიმართულებებს და სულინმიდით ვართ მოცულნი. ბაბილონის შეამი და დამოკიდებულებები ვერ ახერხებს საკუთარ კლანჭებში ჩვენს მოქცევას. შეიძლება ხალხმა იფიქროს, რომ უცნაური ადამიანები ვართ, მაგრამ ჩვენ უბრალოდ სმასთან დაკავშირებული ქცევები შევიცვალეთ. ახლა ჩვენ ისეთი სახის ღვინო გვინდება, რომელიც ჭემარიტად გვაკმაყოფილებს და გვაძლიერებს.

ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია უფრო უკეთესად ვითიქროთ, სწორი გადაწყვეტილებები მივიღოთ და ადვილად შევამჩნიოთ მტერი, რომელიც ჩვენს განადგურებას ცდილობს. სატანა ვერ დაამარცხებს კეთილგონიერ მორნმუნებს, რადგან ვიცით და ვაუწყებთ ღმერთის აღთქმებს. ჩვენ ვართ ფხიზელნი, გონიერნი, შეიარაღებულნი და ბრძოლისთვის მზადმყოფნი.

## იყავით მღვიძეარენი

„იფხიზლეთ, იყავით მღვიძარენი,“ მოგვიწოდებს პეტრე 1 პეტრე 5:5-9-ში. ვერ იქნები მღვიძარე თუკი ჯერ არ გამოფხი-ზლდი, მაგრამ სიფხიზლე აუცილებლად მღვიძარებას არ გუ-ლისხმობს. მღვიძარება კეთილგონიერი მორწმუნის მხრიდან ნებაყოფლობითი შეგნებული ნაბიჯია.

ჩვენს მსჯელობაში მღვიძარებას განვიხილავთ, როგორც „შესაძლო სირთულებისა და განსაცდელების“ მიმართ ყურ-ადლებით ყოფნას, და როგორც ერთ-ერთი წყარო განმარტავს „გამუდმებით მღვიძარება ყოფნას; უძილოდ, ფხიზლად დარჩე-ნას.“ ასეთი სახის მდგომარეობა ქრისტეს ყოველ მორწმუნეს უნდა გააჩნდეს. მღვიძარება აღჭურვის პროცესში კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ერთ-ერთ წინამდებარე თავში ჩვენ განვიხილეთ, თუ რო-გორი ცხოვრება იყო ნაცისტურ გერმანიაში ჰიტლერის მმართ-ველობის პერიოდში. ისევე როგორც იმ საშინელ წლებში ბრძენ ეპრაელს მართებდა ფხიზლად ყოფნა, ასევე მართებს ქრისტიანს ყოველდღე ყურადღებით ყოფნა. საფრთხე ყველ-გან არის, რადგან ემსაკი დაძრნის და ეძებს ვინ ჩაყლაპოს. მაგრამ ნაცისტური გერმანიის და დღევანდელი მსოფლიოს შორის ძალიან დიდი განსხვავება არსებობს: ეპრაელ ხალხს არანაირი ძალაუფლება არ გააჩნდა ჰიტლერზე, მაგრამ ჩვენ ძალაუფლება გვაქვს მოცემული ჩვენი მტრის წინააღმდეგ სა-ბრძოლველად. იგი მართავს ამ წუთისოფელს, მაგრამ ჩვენ-ზე ვერ ბატონობს. თუ მოვდუნდებით, ის სასტიკ ბრძოლას გაგვიმართავს და გაგვანადგურებს. სწორედ ამიტომ პავლე მოციქული შეგვაგონებს „იბეჯითეთ ლოცვაში და ფხიზლად იყავით მასში მადლიერებით“ (კოლ.4:2;).

ფხიზლად ყოფნაში ლოცვა თამაშობს მთავარ როლს. ის გვიხელს სულიერ თვალებს, გვაძლევს უნარს დავინახოთ სა-შიშროებანი, რომელიც ჯერ სულიერ სამყაროშია და ფიზიკუ-რად არ გამოვლენილა. ეს ჭეშმარიტება სრულყოფილად არის გადმოცემული ქრისტეს ჯვარცმის წინა საღამოს.

უკანასკნელი სერობისას იესომ იცოდა სულში თუ რამხ-ელა განსაცდელის წინაშე მოუწევდა წარსდგომა სულ მოკლე ხანში. ირგვლივ არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა, იდგა სიმშვიდე, მაგრამ მან იცოდა, რაც მოხდებოდა. პურობის შემდეგ მან თავისი მოწაფეები ცალკე გაიყვანა იმ ადგილას, რომელიც ძალიან უყვარდა – გეთსემანის ბაღში. სწორედ

აქ აუწყა პეტრეს, იაკობს და იოანეს „დამწუხრებულია ჩემი სული სასიკვდილოდ. იყავით აქ და იფხიზლეთ ჩემთან ერთად“ (მათ. 26:38;). დაუკვირდით მოძღვრის სიტყვებს: „იფხიზლეთ ჩემთან ერთად“. მღვიძარება ასევე განიმარტება როგორც „საფრთხის მიმართ ყურადღებით ყოფნა“. იესო უკვე ფხიზლად და მღვიძარებ იყო, მაგრამ ამავდროულად იცოდა ფხიზლად ყოფნაში ლოცვა ისიც, რომ მისი მოწაფეები ვერ თამაშობს მთავარ როლს. გრძნობდნენ და არ იცოდნენ თუ რა განსაცდელი ახლოვდებოდა.

იესომ თქვა რომ მისი სული „სასიკვდილოდ იყო დამწუხრებული“ და აქ ის წარმოგვიჩენს მღვიძარებისათვის საჭირო მთავარ საიდუმლოს: ლოცვას. გამუდმებული ლოცვითი ცხოვრება უნარს აძლევს შენს სულს მუდამ სათანადო ფორმაში იყოს და გრძნობდეს თუ რა ხდება სულიერ სამყაროში. თუკი ასე ვიცხოვრებთ, მაშინ შევძლებთ უფრო გარკვევით აღვიქვათ გაფრთხილებები, განვმარტოთ ისინი და სათანადოდ ვიმოქმედოთ კიდეც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მტერზე უკეთ ინფორმირებულები ვიყოთ.

## გამაფრთხილებელი ნიშნები

როდესაც მე და ლიზა დავქორწინდით, თავდაპირველად ძალიან რთული დროის გადატანა მოგვიწია. ჩვენ ორივენი ახალი ქრისტიანები ვიყავით. ჩვენს ოჯახებს წლების მანძილზე მრავალი სირთულის გადატა უხდებოდათ. ლიზას ოჯახში ხშირი იყო დაძაბულობა, განქორწინება, ხელმეორედ დაოჯახება. სატანას სურდა რომ კვლავ უწინდებური სიმაგრეები აეძნებინა ლიზას წინააღმდეგ. ამიტომ მე და ჩემმა მეუღლემ ჩვენს ქორწინებაზე მიმართული რამდენიმე ძლიერი შეტევა გადავიტანეთ.

ყოველ დღე ერთიდან ორ საათამდე ლოცვაში ვატარებდი რის შედეგადაც ძალიან მგრძნობიარე გავხდი სულიერი სამყაროს მიმართ. დროდათრო ჩემში საშინელი მწუხარება დაისადგურებდა ხოლმე – და ეს იყო ნიშანი იმისა, რომ რაღაცა რიგზე ვერ არის. რასაც მაშინ განვიცდიდი აღსანერად ადვილი არ არის. ეს იყო რაღაც გულის სილრმეში ღრღნა,

მახვილის ჩასობა, გაღიზიანება. ამას შეიძლება შინაგანი დამ-წუხრება ეწოდოს.

თავიდან ვერ ვხვდებოდი ეს რა იყო. ჩვეულებისამებრ ყველაფერი მწყობრში იყო და გარეგნულად ხიფათის არანაირი ნიშანი არ ჩანდა. სამწუხაროდ საწყის ეტაპზე ასეთი მწუხარება მძლევდა ხოლმე და მე ვცდილობდი მისი იგნორირება მომებდინა. მაგრამ ყოველ ასეთ დროს, ისეთი მდგომარეობა იქმნებოდა რომ, თითქოს მთელი ჯოჯოხეთი ჩვენი ქორწინების დანგრევას ცდილობდა. ვჩხუბობდით, ვკამათობდით და ამ არეული მდგომარეობიდან გამოსვლას დღეები, კვირები და ხან თვეებიც კი სჭირდებოდა.

გავიდა დრო და ვისწავლე, რაც უნდა გამეკეთებინა. ყოველთვის როდესაც შინაგანად დავმწუხრდებოდი – მნიშვნელობა არ ქონდა გარეგნულად რამდენად ყველაფერი მოწესრიგებულად ჩანდა – განვმარტოვდებოდი და გულმსურვალედ ვლოცულობდი ჩვენი ქორწინებისათვის. ეშმაკი განაგრძობდა შენინააღმდეგებას, მაგრამ შეუპოვარი ლოცვით მისი მცდელობები მცირდებოდა ან საერთოდ ქრებოდა.

დღეს მტერი ისე ადვილად და ისე ხშირად ვეღარ გვიტევს როგორც ამას უნინ ახერხებდა. ვფიქრობ, რომ დაიღალა იმ დარტყმებით, რომელსაც ის ყოველი შემოტევის დროს „სულის მახვილით“ იღებდა. არასწორად ნუ გამიგებთ: მე და ლიზას გვმართებს ისევ მღვიძარედ ვიყოთ. ჩვენ ვერ ვიქნებით თვითკმაყოფილნი და მოდუნებულნი. ჩვენ კვლავაც მთელი ძალით და ლოცვით ვეწინააღმდეგებით მტერს, თუმცა ამ წინააღმდეგობების სიხშირე გაცილებით ნაკლებია იმასთან, რაც ჩვენი ქორწინების დასაწყისში იყო.

ამ განსაცდელებიდან კარგი გაკვეთილი ვისწავლეთ – შეგვიძლია აღვიქვათ ის სიგნალები, რომლებიც მტრის მოახლოებულ შეტევას გვამცნობენ. ახლა ვიცით, რომ ცხოვრების ყველა სფეროში მღვიძარება გვმართებს, რათა ჩვენში აღძრული მწუხარების მეშვეობით ის შეტევები აღმოვაჩინოთ, რომელიც ჩვენს ფინანსებს, ჯანმრთელობას, ურთიერთობასა და მსახურებას ემუქრება. მე ვისწავლე სულიწმიდას ვთხოვო დახმარება, რადგან ხშირად არ ვიცი კონკრეტულად როგორ ვილოცო, როდესაც გაფრთხილება მაქვს მიღებული. ის მეხმარება მე და შენც დაგეხმარება. ის შენს დასახმარებლად არის! მას შეუძლია ლოცვაშიც შეგენიოს, როგორც დმერთის სიტყვა ამბობს:

„ასევე სულიც ეხმარება ჩვენს უძლურებას. ვინაიდან არ ვიცით როგორ უნდა ვილოცოთ, არამედ თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით. ხოლო გულთამხილავმა იცის, რა არის სულის ზრახვა, იმიტომ, რომ იგი ღვთის ნებით შუამდგომლობს წმიდათათვის“ (რომ. 8:26-27);

ეს ოხვრა ის მწუხარებაა, რომელსაც ჩვენ სულის სიღრმეში განვიცდით, ისევე როგორც იესო განიცდიდა გეთსემანიის ბაღში ჯვარცმის წინა ღამეს. როდესაც საფრთხეს ვიგრძნობთ, სათანადო რეაქცია უნდა მოვახდინოთ. ჩვენ შეგვიძლია მღვიძარების ნაცვლად მცონარება გამოვიჩინოთ და არსებული მწუხარება მივაყუჩოთ მისი უგულებელყოფით. ან შეგვიძლია მღვიძარება გამოვიჩინოთ და დახმარებისათვის უფალს შევთხოვოთ.

სულინმიდის მიზანია წუხილი დაგვაძლევინოს და მოგვაწოდოს ის სიტყვა და მითითება, რომელიც არსებული მდგომარეობიდან გამოვიყვანს. პავლე მოციქული წერს: „ვილოცებ სულით [სულინმიდით, რომელიც ჩემშია] და გონებითაც [შეგნებით] ვილოცებ. ვიგალობებ სულით და გონებითაც ვიგალობებ“ (1 კორ. 14:15;).

## იფხიზლეთ და ილოცეთ

გეთსემანიის ბაღში, მას შემდეგ, რაც იესომ მოწაფეებს ამცნო მის სულში არსებული მწუხარების შესახებ, მან უთხრა მათ: „იყავით აქ და იფხიზლეთ ჩემთან ერთად“ (მათ. 26:38;). შემდეგ მაცხოვარი გამოეყო სამ მოწაფეს და ბალის სიღრმეში ერთი საათი ლოცულობდა.

როდესაც უკან გამობრუნდა ისინი მძინარენი ნახა. მძინარენი! რატომ ეძინათ? იქნებ უკვე გვიანი იყო? იქნებ მთელი დღე ბევრი იმუშავეს და დაიღალნენ? ბევრი ხომ არ ჭამეს? ლუკას სახარება ზუსტად ამბობს მათი ძილის მიზეზს: „ლოცვის შემდეგ წამოდგა, მივიდა მოწაფეებთან და ნახა ისინი მწუხარებისაგან ჩაძინებულები“ (ლუკ. 22:45;).

თავდასხმა მათზეც მზადდებოდა, ამიტომ ისინიც იესოს მსგავსად დამწუხრებულები იყვნენ. უკანასკნელი პურბისას პეტრემ გაპედულად განაცხადა, რომ უმჯობესი იყო მომკვდარიყო, ვიდრე უფალი გაეცა. პეტრეს ეგონა რომ თავისი ძალებით შეძლებდა ბოლომდე შეუპოვარი ყოფილიყო. სხვა მოწაფეებიც ამბობდნენ, რომ ბოლომდე უერთგულებდნენ უფალს. თუმცა

იესომ იცოდა, რომ მას მამის მიმართ, ხოლო მოწაფეებს მის მიმართ ერთგულების რთული გამოცდა ელოდათ წინ.

იესომ თავის მძინარე მოწაფეებს მიმართა:

„მივიდა მოწაფეებთან და ჰპოვა ისინი მძინარენი და უთხრა პეტრეს: „ნუთუ ვერ შესძლით, ერთ საათს გეფხი-ზლათ ჩემთან ერთად? იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩა-ვარდეთ განსაცდელში. სული მხედა, ხორცი კი უძლური“ (მათ. 26:40-41;)

აქ კიდევ ერთხელ ვხედავთ გასაღებს, ჩვენი მოქმედებებით დავკრჩებით ღმერთის ერთგული, თუ მხოლოდ სურვილს და სიტყვებს დავჯერდებით. საჭიროა რომ სიფხიზლით და ლოც-ვით გავძლიერდეთ. იუდა წერს: „ხოლო თქვენ, საყვარელნო, ალაშენეთ თქვენი თავი უწმინდეს რწმენაზე, ილოცეთ სული-წმიდით“ (მუხ. 20). ლოცვა აკავებს ჩვენს სხეულს და შინაგან ადამიანს აშენებს.

ხორცი უძლურია; ის მუდამ შეეცდება ისეთი გზა აირჩიოს, რომელზეც ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდება. ასეთ გზას კი ყველა შემთხვევაში არასწორი მიმართულებით მივყავართ. ჩვენს ხორცს არ უნდა წუთისოფლის ძლიერ დინებასთან შეწი-ნააღმდეგება. მეორე მხრივ, ლოცვა გვაძლევს შინაგან ძალას, რომელიც ხორცის სურვილებს თრგუნავს. ლოცვა წათვლემის-გან გვიცაგს. იესო აცხადებს: „ყოველთვის ილოცეთ და არ მოგ-ბეზრდეთ“ (ლუკ. 18:1;). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ არ ვილოცებთ, განსაკუთრებით მწუხარების დროს – ჩაგვეძინება.

იმ დამეს გეთსემანიის ბაღში მოწაფეებს ჩაეძინათ. ისინი წესით ლოცვაში უნდა ყოფილიყვნენ; ვერ გრძნობდნენ მოსა-ლოდნელ საფრთხეს. ისინი არ იყვნენ ფხიზლად, მათ დაიძინეს.

მე და თქვენ დღეს სხვადასხვა საშუალებებით ვაყუჩებთ სულის გაფრთხილებას: ტელევიზორის ყურებით, ინტერ-ნეტში დროის გაყვანით, მეგობრებისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნით, ფეისბუკით ან საკუთარი თა-ვის გერმიელი საკვების შეთავაზებით. რაც დრო გადის, მით უფრო მეტად ნაკლებად მგრძნობიარენი ვხდებით სულიწმიდის გაფრთხილებებისადმი. ამის შედეგია ის, რომ განსაცდელების უამს ბრძოლის უნარი აღარ შეგვწევს. ვკარგავთ იმ შეუპოვარ ძალას, რომლის მიღებაც უსასყიდლოდ შეიძლება ღმერთის მადლის მეშვეობით.

იესომ თავისი უახლოესი მეგბრები ამხილა და მათ უთხრა: „იფხიზლეთ და ილოცეთ, რათა არ ცდუნდეთ“ (მათ. 26:41;). იგი ისევ გავიდა სალოცავად, უკან დაბრუნებულს კი მოწაფეები ისევ მძინარენი დახვდა. ამჯერად იესოს აღარ გაულვიძებია და აღარ გაუფრთხილებია ისინი. მათ თავად გააკეთეს არჩევანი.

ღმერთი ერთხელ გაგვაფრთხილებს, შესაძლოა ორჯერაც, მაგრამ თუ ამ გაფრთხილებას უგულებელვყოფთ, იგი დადუმდება მანამ, სანამ არ მოვინანიებთ. როდესაც განსაცდელი თავს გვატყდება, შეწუხებულები ვკითხულობთ: „სად იყავი ღმერთო?“. იგი გვაფრთხილებდა, მაგრამ ჩვენ არ მოვუსმინეთ.

იესო მესამედაც გაშორდა მოწაფეებს, რათა კვლავ ელოცა. როცა ლოცვა დაასრულა, მოწაფეებს ისევ ეძინათ. და აი, მაშინ მოღალატე იუდა მცველებთან ერთად მოვიდა ბალში იესოს შესაპყრობად.

## წარმატებასა და მარცხს შორის პრის პრისული განსხვავება

იესომ სიფხიზლისა და მღვიძარებისა, ლოცვისა და შეუპოვრობის მეშვეობით წარმატებით აღასრულა თავისი მისია. მოწაფეებს სურდათ გაბედულები ყოფილიყვნენ; ისინი ფიქრობდნენ, ყოველგვარ განსაცდელს გაუმკლავდებოდნენ, მაგრამ ამისთვის საჭირო ძალა არ გააჩნდათ. აუხდათ იესოს წინასწარმეტყველება, თითოეულმა მათგანმა მარცხი იწვნია: „მაშინ ყველა მოწაფემ მიატოვა იგი და გაიქცა“ (მათ. 26:56;). პეტრე თავისი სიტყვის საწინააღმდეგოდ მოიქცა: მან უარყო იესო. პეტრეზე ერთი დადებითი რამ შეიძლება ითქვას – ის იესოს ჩუმად მიჰყვებოდა. იოანეს გარდა, საკუთარი უსაფრთხოების გამო, ყველამ მაშინვე დატოვა გეთსემანის ბალი.

რამდენჯერ გვესმის ჩვენი ქრისტიანი და-ძმების კარგი სურვილები, მაგრამ მათი საქმეები სულ სხვა რამეზე მეტყველებენ. რატომ არის ასე? იმიტომ, რომ ჩვენი და-ძმები იესოს მოწაფეების მსგავსად არ ფხიზლობენ და არ არიან მღვიძარენი ლოცვაში! მათი სული მოშურნეა, მაგრამ ხორცით სუსტები არიან. ისინი სათანადოდ არ არიან აღჭურვილები და სასურველ შედეგს ვერ აღწევენ.

პეტრე მოციქულზე უკეთესად ვინ დაწერდა „საკუთარი თავის აღჭურვის“ შესახებ? იმ უმნიშვნელოვანეს ლამეს, იგი

გაბედული იყო სიტყვაში, მაგრამ მისი ქმედება სრულიად განსხვავდებოდა. იესომ განსაკუთრებულად გააფრთხილა იგი წინასწარ: „სიმონ, სიმონ! აპა, სატანამ გამოგითხოვათ თქვენ, რომ ხორბალივით გაგცხრილოთ“ (ლუკ. 22:31;). მაგრამ პეტრეს და დანარჩენებს აკლდათ ის ძალა, რომლის მეშვეობითაც იმ ღამეს მტკიცედ დგომას შეძლებდნენ. ამიტომაც, თავისი ცხოვრების ბოლო წლებში იგი გვაფრთხილებს აღვიჯურვოთ საკუთარი თავი, რომ დასასრული – იქნება ეს ერთი ღამით, ერთი წლით, თუ მთელი ცხოვრების მანძილზე – ძლიერი იყოს.

საკუთარი თავის აღჭურვა ფხიზლად ყოფნას გულისხმობს. ჩვენ ნება არ უნდა მივცეთ წუთისოფელს ჩაკლას ჩვენში სურვილი ყველაფერში დავემსგავსოთ ქრისტეს. ჩვენ ყოველთვის ფხიზლად უნდა ვიყოთ, რათა არ გამოგვეპაროს ეშმაკის მზაკვრობანი, რომელთაც ჩვენი განადგურება შეუძლია.

## 506 აღუდეპით ეშმაკს

„მლვიძარენი იყავით და იფხიზლეთ, რადგან თქვენი მოწინააღმ-  
დეგე ეშმაკი დაძრნის, როგორც მბრდლვინავი ლომი და,  
ექებს ვინ ჩაყლაპოს. წინ აღუდექით მას მტკიცე რწმენით“

1 პეტრე 5:8-9;

**Б**იგნის ამ ნაწილში ჩვენ შევეხებით საკითხს, რომელიც უშუალოდ ეხება ბრძოლას. პეტრე გვაუწყებს, რომ ეშმა-  
კი (თავისი დამქაშებით) დაძრნის, როგორც მბრდლვინავი  
ლომი და ექებს ვინ ჩაყლაპოს.

უნდა ითქვას, რომ ლომი ეშმაკის იდენტურობას არ წარ-  
მოადგენს; წმინდა წერილში იგი მოხსენიებულია, როგორც  
გველი, გველეშაპი, ქურდი და სხვა, მაგრამ არა როგორც  
ლომი. ლომი არის იესო – „ლომი იუდას ტომიდან“ (გამოცხ.  
5:5;). პეტრეს მხედველობაში აქვს ის, რომ ეშმაკი, როგორც  
მშიერი ლომი, ექებს ნადავლს. ის ნამდვილად გადაყლაპავს  
მსხვერპლს თუ ამის საშუალება მიეცემა. კარგად გააცნობიერ-  
ეთ, იგი დამარცხებული მტერია, თუმცა ამავდროულად სას-  
ტიყი მოწინააღმდეგე, და ჩვენი მხრიდან სერიოზულ მიდგომას  
საჭიროებს. მას ჩვენს მიმართ არანაირი სიბრალული არ გააჩ-  
ნია და მხოლოდ ერთი რამ ამოძრავებს: მოკლას, მოიპაროს და  
გაანადგუროს.

თუ ტანზანიაში კაციჭამია ლომების ტერიტორიაზე მოხ-  
ვდები, ნამდვილად არ ისურვებ იმ მიდამოებში იარაღის გარ-  
ეშე ფეხით სიარულს. უიარალოდ დიდი შანსია, რომ ცოცხალი  
ველარ დაბრუნდე. გონიერი კაცი თან შაშხანას იქონიებდა და  
მისი გამოყენების წესებიც ეცოდინებოდა. თუ შეიარაღებული,  
ფხიზელი და მლვიძარე ხარ, მაშინ მზადყოფნაში იმყოფები,  
რათა იბრძოლო და გაიმარჯვო. ასეთ შემთხვევაში ბრძოლი-  
დან უვნებელი გამოხვალ. სწორედ ამაზე ამახვილებს პეტრე  
ყურადღებას.

## ნინ აღუდებით ეშმაკს

მე- 9 მუხლში პეტრე ხაზგასმით მიგვითითებს წინ აღვუდგეთ (შევენინაალმდეგოთ) ეშმაკს. ბერძნულად სიტყვა „შენინაალმდეგება“ გამოითქმის, როგორც „აუთისტემი“ (authistemi). თაიერი ამ სიტყვის შემდეგ განსაზღვრებას იძლევა: „საწინაალმდეგოდ სვლა, შენინაალმდეგება“. სთრონგი კი მას განმარტავს, როგორც „პირისპირ დგომა, წინაალმდეგ გამოსვლა“. ჩემს ლექსიკონში კი „წინ აღუდექი“ განიმარტება, როგორც „შეჩერება მოქმედებით ან არგუმენტით“. უდაოდ, ეს სიტყვა სასტიკ ბრძოლას, აგრესიულ კონფლიქტს გამოხატავს.

ვემზადებით რა შეიარაღებული კონფლიქტისთვის, წავიკითხოთ იესოს სიტყვები: „აპა გაძლევთ თქვენ ხელმწიფებას ... დასათრგუნავად მტრის ყოველი ძალისა; თქვენ კი არაფერი გევნებათ“ (ლუკ. 10:19;). ეს სიტყვები გვამხნევებს! ღმერთის ალთქმა გვარნმუნებს, რომ თუ შევიმოსებით მისი ძლიერი მადლით, ვერავინ და ვერაფერი მოგვაყენებს ზიანს – თვით ეშმაკიც კა! ეს ფრიად მნიშვნელოვანია!

მაგრამ, ამისათვის საჭიროა ჩვენთვის მოცემული ძალა გამოვიყენოთ. თუ ასე არ მოვიქცევით ალთქმა ვერ იმოქმედებს და მტერი ზიანს მოგვაყენებს. სწორედ ამიტომ გვეუბნება პეტრე წინ აღვუდგეთ ეშმაკს. იგი არ ამბობს: „ილოცეთ და ღმერთს სთხოვეთ მოგაშოროთ იგი“. ჩვენ გაბედულად, მიზანდასახულად და მთელი ძალით უნდა შევენინაალმდეგოთ მას.

წმინდა წერილში ვერსად ვერ შეხვდებით მუხლს, რომელიც გვასწავლის, რომ ღმერთს უნდა ვთხოვდეთ ჩვენი ცხოვრები-დან ეშმაკი განდევნოს. საქმე იმაშია, რომ მას ამის გაკეთება არ შეუძლია! თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ გავგიუდი, როცა სიტყვას „არ შეუძლია“ ღმერთან მიმართებაში ვიყენებ. მაგრამ ეს სიმართლეა. ღმერთმა მთელი ძალაუფლება ადამიანს მისცა დედამიწაზე და ის საკუთარ სიტყვას ვერ შეცვლის. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ უფალმა ხელი არ შეუშალა გველისა და ადამის საუბარს ედემის ბალში. აი, რატომ გახდა

საჭირო იესოს მოსვლა მიწაზე, მას უნდა დაემარცხებინა ეშმაკი.

თავისი გადაწყვეტილებით, აი, რატომ უნდა შეენინაალმდე-ლმერთმა მთელი ძალაუ- გოს ქრისტეს სხეული(ეკლესია) ფლება ქრისტეს გადასცა, სატანას და მის დამქაშებს.  
ქრისტემ კი — ჩვენ.

თავისი გადაწყვეტილებით, ღმერთმა მთელი ძალაუფლება

ქრისტეს გადასცა, ქრისტემ კი – ჩვენ. ჩვენ, როგორც მის სხეულს, გვმართებს ბრძოლა. წმინდა წერილის თანახმად ეს არის „კეთილი ბრძოლა“ (იხ. 1 ტიმ. 6:12;).

## ჩვენი საუკეთესო მაგალითი

თუ ჩვენ გვინდა ვისწავლოთ ეშმაკისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ვინ არის ამის საუკეთესო მაგალითი თუ არა თავად უფალი? განსაკუთრებით ბევრს შევიტყობთ იმ პერიოდის შეს-ნავლით, როდესაც იესო უდაბნოში იცდებოდა:

„იესო სულინმიდით აღვსილი დაბრუნდა იორდანედან და სუ-ლით გაყვანილ იქნა უდაბნოში და ორმოც დღეს სცდიდა მას ეშმაკი“ (ლუკ. 4:1-2;)

მტრისაგან მოვლენილი გამოცდა ორმოცი დღის მანძილზე გრძელდებოდა. ეს ნიშავს, რომ იესო წინააღმდეგობას უწევდა. ბიბლიაში ჩანს ერილი პირველი კონფრონტაცია მოხდა ორმოცი დღის მიწურულს. ეს იყო ბოროტის მცდელობა იესო ეცდუნებინა გამოეყენებინა თავისი ღვთიური ძალაუფლება და დაემტკიცებინა, რომ ის ჭეშმარიტად ღმერთის ძეა. იესოს შიოდა, ამიტომაც მტერმა შესთავაზა ქვები პურებად ექცია. იესომ კი მიუგო: „არა მხოლოდ პურით ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით“ (მათ. 4:4;).

ამ სიტუაციიდან სულ ცოტა სამი გაკვეთილი შეგვიძლია მი-ვიღოთ. პირველი, იესო მიხვდა, რომ ეს იყო ცდუნება და მაშ-ინვე გაერკვა საქმის არსში. ის არც კი დაფიქრებულა სატანის შემოთავაზებაზე. ჩვენ უნდა მივბაძოდ ქრისტეს.

მეორე (და ძალიან მნიშვნელოვანი), იესო პირდაპირ ელაპარაკებოდა ეშმაკს. ის მამას არ სთხოვდა მისთვის საც-დური აერიდებინა. არც ირიბად ურთიერთობდა ეშმაკთან. ის არ ეუპნებოდა მას ასეთ სიტყვებს: „ღმერთის ნება არ არის სატანამ ჩემზე გაიმარჯვოს, ამიტომ მე არ ავყვები ამ ცდუნებას“. არა, იესო პირდაპირი იყო სატანასთან მიმართებაში. ჩვენ, შენც და მეც, ასე უნდა მოვიქცეთ. დაწერილია: „არ მის-ცეთ ეშმაკს შანსი“ (ეფეს. 4:27; ინგ. თარგ).

და ბოლოს, იესო ღვთის დაწერილ სიტყვას ციტირებდა. ყურადღება მიაქციეთ მის ნათქვამს: „დაწერილია“. რატომ

არის ეს ასე მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ ღმერთის სიტყვა – ჩვენი მახვილია. პავლე ამბობს: „და აიღეთ ... სულის მახვილი, რომელიც არის ღვთის სიტყვა“ (ეფეს. 6:17;). ღმერთის სიტყვა არა ფიზიკური, არამედ სულიერი იარაღია და ამავდროულად, არაორდინალური. იესომ თავისი სულიერი მახვილით განგმირა მტერი და რასაკვირველია, დაამარცხა კიდეც. მტერი არ ნებდებოდა, მან მიიღო მტკივნეული დარტყმა და განაგრძო იესოზე თავდასხმები.

შემდეგი მცდელობის დროს სატანა მოკლე და იოლ გზას სთავაზობს იესოს იმის დასაბრუნებლად, რაც ადამმა შეცოდების შედეგად დაკარგა, კერძოდ, „მსოფლიოს ყველა სამეფო“ (მათ.4:5;). იესოს მხოლოდ თაყვანი უნდა ეცა მისთვის. მაგრამ ქრისტემ მიუგო: „გამშორდი სატანავ! დაწერილია: „უფალს, შენს ღმერთს, ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე“ (ლუკ. 4:8;).

იესომ მტერს უთხრა გაშორებოდა მას. ეს ჩვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს – გაბედულად უნდა ვუბრძანოთ ბოროტს: „გამშორდი!“. შემდეგ იესომ კვლავ გამოიყენა ღვთის სიტყვა, რათა კიდეც ერთხელ მიეყენებინა დარტყმა თავისი მტრისათვის.

ეს გამოცდა გაგრძელდა მანამ, სანამ ეშმაკმა ყველა თავისი ხრიკი არ გამოიყენა, რომელთა მოძიება ამ ერთი შეხვედრისთვის შეძლო. ლუკა წერს: „ეშმაკი გაშორდა მას სხვა უამის მოლოდინში“ (4:13;).

## დაპრკოლება ხუცესისთვის

რამდენიმე წლის წინ ერთი ხუცესი, რომელსაც პირობითად კენს დავარქმევ, ოფისში მესტუმრა. კენი ახალგაზრდა, ძლიერი და წარმოსადეგი პიროვნება გახლდათ, რომელსაც ბრწყინვალე ცოლ-შვილი ჰყავდა. წარსულში იგი ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას ეწეოდა. კენი იმდენად მაღლობელი იყო ღმერთის იმისათვის, რომ მან შეაძლებინა ამ საქმიანობისათვის თავი დაეწებებინა და იხსნა ამ ჯოჯოხეთიდან, ქება-დიდების მსახურების დროს მას ხშირად ატირებულს ნახავდით. ქრისტესადმი მისი დიდი სიყვარულის გამო, ამ ადამიანის მიმართ კარგი დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა. კენი კარგი მეუღლე და მზრუნველი მამა იყო. მან იცოდა, რომ ბევრი ეპატია და ამიტომაც ძალიან უყვარდა.

ბოლო თვეების მანძილზე იგი რთულ ბრძოლაში აღმოჩნდა და ამის შესახებ არავის არაფერს არ ეუბნებოდა. თუმცა, ბოლოს ველარ გაუძლო და გადაწყვიტა თავისი მდგომარეობა ჩემთვის გაეზიარებინა. როცა ის ჩემს ოფისში შემოვიდა, დატანჯული კაცის შესახედაობა ჰქონდა.

„რაშია საქმე?“ – ვკითხე მას.

კენმა თავისი ოჯახის ისტორია მიამბო. მის ოჯახში ბევრი მამრობითი სქესის პიროვნება ადრეულ ასაკში გულის დავადებით გარდაიცვალა. „ჯონ, გამუდმებით იმის შიშში ვარ, რომ გულის შეტევით მოკვედები“ – მითხრა მან. „ექიმთან ვიყავი, გამოკვლევები ჩავიტარე და ყველაფერი რიგზეა. მაგრამ მაინც ვერ ვიშორებ უეცარი სიკვდილის მოლოდინით გამოწვეულ შიშს. მიჭირს მასთან გამკლავება, ოფლი მასხამს და ტანსაცმელი სულ მთლად მისველდება. ეს უფრო ღამე ხდება ან მაშინ, როდესაც მარტო ვრჩები, ზოგჯერ ეკლესიაში ყოფნის დროსაც კი მემართება. ვერ ვაკონტროლებ ამ შიშს, ის უეცრად მოდის, გაფრთხილების გარეშე და მთლიანად მიპყრობს.

მთელი გულით ვლოცულობ. ვთხოვ უფალს გამანთავისუფლოს ამ შიშისგან და მისგან გამოწვეული საშინელი შეგრძნებებისგან“.

და აი, აქ მე დავიწყე.

„კენ, სწორედ ამის გამო ვერ იღებ შედეგს. ღმერთის წინაშე კი ლოცულობ, მაგრამ პირდაპირ ეშმაკს არ მიმართავ, როგორც ამას იესო აკეთებდა უდაბნოში გამოცდის დროს. ღმერთის სიტყვა გვასწავლის: „წინაღუდექით ეშმაკს და ის გაიქცევა თქვენგან“ (იაკ. 4:7;). აი, ასე უნდა მოიქცე! იესომ დაამარცხა სატანა, მაგრამ შემდეგ ის ზეცად ამაღლდა და მამის მარჯვნივ დაჯდა. ზეცად ამაღლებამდე მოგვცა ძალა და ძალაუფლება, რათა მისი ნება გამოვიყენოთ დამარცხებული მტრის მიმართ. იესო გარკვევით ამბობს: „სულები გემორჩილებიან“ (ლუკ. 10:20;). ისინი უნდა გვემორჩილებოდნენ. ჩვენ დაგვაგალეს გამოვიყენოთ ღვთის სიტყვა, მივმართოთ მტერს და ვუბრძანოთ დაემორჩილოს ღმერთის ალთქმას.

ჩემი მეგობარი ყურადღებით მისმენდა: „კენ, ჩემს ცხოვრებაშიც დგება ხოლმე ისეთი პერიოდი როდესაც მტერი მიტევს და სიტუაცია იწყებს კონტროლიდან გამოსვლას. ამ დროს მივდივარ განმარტოებულ ადგილას, სადაც უფლის გარდა ვერავინ მომისმენს. შემდეგ ხმამაღლა შევძახებ ხოლმე უფალს მთელი ჩემი არსებით – სულით, სამშვინველით და სხეულით.

სხეული მოცემულ შემთხვევაში ნიშნავს ჩემს ხმას და ამიტომ ვამბობს: „კარგი ეშმაკო, რადგან ომი გინდა, მიიღებ! მაგრამ წინასწარ იცოდე, რომ დამარცხდები, რადგან მე მაქვს მახვილი, შენ კი არა. ამიტომ ავიღებ ამ მახვილს და დაგანაკუნებ და თუ მაშინაც არ გამშორდები, იმ ნაკუნებს უფრო დავანაწევრებ მანამ, სანამ ძრნოლვით არ მომშორდები. ახლა კი იცოდე, ღმერთის სიტყვა ამბობს...“.

კენი გულმოდგინებ მისმენდა. მე მას ვუზიარებდი მუხლებს განკურნების, შიშისგან გათავისუფლების, უზრუნველყოფის და თავისუფლების შესახებ. ვუჩვენე, თუ როგორ შეიძლება დაწერილი სიტყვა საბრძოლო მახვილად აქციო. კენს ვუთხარი, რომ მან პირდაპირ შიშის სულს უნდა მიმართოს. ცოტა კიდევ ვისაუბრეთ, მერე ვილოცე მისთვის და ის წავიდა.

ექვსი თვის შემდეგ სერიოზული გამომეტყველებით მოვიდა. შევატყვე ისევ დამძიმებული იყო. მივხვდი რა მდგომარეობა-შიც იმყოფებოდა.

„ჯონ, ახლა ყველაფერი უარესადაა“ – მითხრა მან. „შიშთან ბრძოლა ახლა უფრო ხშირად მიწევს, ვიდრე ექვსი თვის უკან. თითქმის ყოველდღე: სულ ვოფლიანობ, ტანსაცმელი გასაწური ხდება, გაბედულება დავკარგე. ძალიან მიჭირს სხვა ადამიანებს მოვემსახურო პირადი ბრძოლების გამო“.

კენი გადმოიხარა ჩემკენ და უნუგეშო მდგომარეობაში მყოფმა აღიარა: „ჯონ ვიმარხულე, ვილოცე კიდეც, ღმერთს შევთხოვდი დამხმარებოდა, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. ნამდვილად შევიშლები“.

მაშინ მე მას ვკითხე: „კენ თუ გააკეთე ის, რაც გთხოვე ამ რამდენიმე თვის უკან? განმარტოვებულ ადგილას თუ გადიოდი და იქ თუ ებრძოდი ეშმაკს პირისპირ? ღმერთის სიტყვით ელაპარაკებოდი მას?“.

– „იცი ... სიმართლე რომ ვთქვა, არა“.

მე გავბრაზდი: „კენ, არაფერი მოხდება, არაფერი შეიცვლება მანამ, სანამ პირდაპირ არ შეებრძოლები მტერს სულის მახვილით, ღმერთის სიტყვით“.

მან თავი ჩაღუნა, ჩანდა რომ წასვლას აპირებდა. კენმა ჩემი რჩევები არ გაითვალისწინა, არ დაიჯერა, მაგრამ მაინც მოვიდა, რადგან იცოდა სხვა ადამიანებს დახმარება მიუღიათ ჩემგან. ის რწმენის კაცი გახლდათ და ნამდვილად სჯეროდა, რომ ღმერთი თავისი ძალით უპასუხებდა მის თხოვნას. მაგრამ რადგანაც შედეგს ვერ ხედავდა, შენუხებული იყო.

ვფიქრობდი, რომელი მაგალითი მომეყვანა მისთვის და უეცრად სულინმიდამ კარგი ილუსტრაცია გამახსენა: „კენ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი შტატების შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია. მარტივად რომ ვთქვათ, ის მთელი სამხედრო პერსონალის მეთაური, ლიდერი და უფროსია.

წარმოიდგინე ჩვენი რომელიმე ჯარისკაცი ერაყში, ბრძოლის ველზე. მტერი ყველა მხრიდან უტევს, მაგრამ ეს ჯარისკაცი არ ისვრის საპასუხოდ. შეშინებული რადიო გადამცემთან მიდის და თეთრ სახლში რეკავს. ჯარისკაცი პრეზიდენტს ეუბნება: „ბატონო პრეზიდენტო, ძლიერი ცეცხლი გამიხსნეს. მტერი მესვრის და ჩემი განადგურება უნდა. ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ მოდით და გაანადგურეთ მტერი, რომელიც ჩემს სიცოცხლეს მოსპობით ემუქრება. ძალიან მეშინია, გემუდარებით დამეხმარეთ“.

კენის ვკითხე: „მართალია ეს ჯარისკაცი განსაცდელშია, მაგრამ, როგორ ფიქრობ, რა პასუხს გასცემს პრეზიდენტი?“.

ჩემს მიერ დასმულ კითხვას თავად ვუპასუხე: „პრეზიდენტი დაუყვირებს ამ ჯარისკაცს: „მე რას მირეკავ? საუკეთესო სამხედრო წვრთნები გაიარე, რაც კი შეიძლება არსებობდეს. საუკეთესო იარაღით აღგარებულე. ამერიკის შეერთებული შტატების სახელით ძალაუფლება მოგანიჭება მტრის გასანადგურებლად. ჯარისკაცო, გვერდზე გადადე ეგ ყურმილი და შეებრძოლე მტერს!“. ამის შემდეგ პრეზიდენტი დაკიდებს ყურმილს და იმედიანად იქნება, რომ ჯარისკაცი მასზე დაკისრებულ დავალებას შეასრულებს“.

კენს თვალები გაუბრნებინდა.

„კენ“ – ვაგრძელებდი მე – „შენ მახვილს ფლობ, შენი მტერი კი – არა. ის მთლად იარაღაყრილია, რადგან „უფალმა განაიარალა მთავრობანი და ხელმწიფებანი და სააშკარაოდ შეარცხვინა“ (კოლ. 2:15;). შენ კანონიერი იარაღის მფლობელი ხარ; მტერს კი მხოლოდ შეშინებით შეუძლია შენთან ბრძოლა. და მხოლოდ ეს როდია – შენ გაქვს ძალაუფლება იესოს სახელით. დაწერილია, რომ „ყოველი მუხლი მოიდრიკება მის წინაშე და ყველა ენა აღიარებს მის უფლობას“ (ფილ. 2:10-11;).

– „შენ მოგეცა ღმერთის საჭურველი: სიმართლის ჯავშანი, რწმენის ფარი, ხსნის ჩაჩქანი და სხვა. შენი რწმენის ფარი მტრის მიერ ნასროლ არა ზოგიერთ, არამედ ყველა ისარს მოიგერიებს. ღმერთმა თავის სიტყვაში გითხრა: „შენ-სკენ მომართული ყოველი იარაღი გაცუდდება, და ყოველი

ენა სასამართლოზე შენს წინააღმდეგ მეტყველი, შენს მიერ დადანაშაულდება. ეს აღთქმა უფლის მსახურებს ეკუთვნით“ (ეს. 54:17); კენ, ღმერთი კონკრეტულად გეუბნება, რომ თავად უნდა იბრძოლო. ის არ იბრძოლებს შენს მაგივრად; შენ უნდა მიმართო ეშმაკს. ღმერთს ურეკავ, მაგრამ ღმერთი გეუბნება – პრეზიდენტის მსგავსად – „ესროლე მტერს!“ ან „განგმირე იგი მახვილით!“.

კენი მიყურებდა. მან სიპრძე დაინახა იმ მაგალითში, რომელიც უფალმა მომანოდა მისთვის გასაზიარებლად. კენი ოფისიდან იმედით და რწმენით ალვსილი წავიდა. სამი კვირის შემდეგ ისევ მესტუმრა. მის სახეს ღიმილი ამშვენებდა, თვალები უბრწყინავდა და ხმაში სიმხნევე ეტყობოდა.

- „ჯონ უნდა მოგიყვე რაც მოხდა!“
- მოუთმენლად ველოდი ამბის გაგებას.
- „კვირა დილას ეკლესიაში მივდიოდი და კვლავ დამენტი“ – თქვა კენმა.

- „გულის შეტევით სიკვდილის შიშმა მომიცვა. ოფლმა დაამასხა და ტანსაცმელი სულ მთლად დამისველდა. მაგრამ უწინდებურად ღმერთისთვის თხოვნა-მუდარა აღარ დავიწყე. უკვე ყელში მქონდა ამოსული. ეშმაკზე გავპრაზდი საშინლად. მრისსანებამ დუღილი დაიწყო ჩემში. ისე, რომ გვერდზე მჯდომი ჩემი ცოლისთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია, მუშტი დავარტყი მანქანის წინა მხარეს. ჩემი მეულლე შიშისგან შეხტა. მე დავიყვირე: „ეშმაკო, მორჩა, დავიღალე შენით და ამ შიშებით!“ – და შემდეგ ხმამაღლა, მთელი ძალით დავიწყე იმის ციტირება, თუ რას ამბობდა ღმერთი ჩემი სიცოცხლის შესახებ“.

- „ჯონ, როცა მანქანას მუშტი დავცხე და დავიყვირე – „ეშმაკო, გეყო“ – უეცრად ხილვა მომეცა. ვიხილე ზეცა და ტახტზე მჯდომი იესო, და რა წამსაც სატანას შევუტიე, დავინახე იესო, რომელიც სიხარულისგან წამოდგა, ხელები მაღლა ასწია და შესძახა: „დიახ!“.

კენმა სიცილი დაიწყო და თქვა: „ჯონ, თითქოს იესო ამბობდა: „შენგან დიდი ხანია ამას ველოდი. მიხარია, რომ ბოლოს მაინც ასე მოიქეცი“.

ამის შემდეგ კენი აღარასოდეს დანებებია შიშს. აღარ განუცდია ამ შიშებით გამოწვეული დეპრესია. მას შემდეგ ოცნელზე მეტი გავიდა. ის ღმერთის ძვირფასი კაცი ისევ ცოცხალია, ჯანმრთელია და ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკლესიას მწყემსავს. იგი ძალიან კარგად არის – ფიზიკურადაც და სულიერადაც.

## შევიცინააღმდეგე შეუკორად

მოდი, უფრო დაკვირვებით წავიკითხოთ პეტრეს სიტყვები:

„მღვიძარენი იყავით და იფხიზლეთ, რადგან თქვენი მოწინააღმდეგე ეშმაკი დაძრნის, როგორც მბრდლვინავი ლომი და, ეძებს ვინ ჩაყლაპოს. წინ აღმდებით მას მტკიცე რწმენით“  
(1 პეტრ. 5:8-9;)

თუ პირველ თავს გავიხსენებთ, სიტყვა შეწინააღმდეგება, შეუპოვრობის სინონიმია. ბიბლია არ გვასწავლის იმას, რომ თუ მტერს ერთხელ შევენინააღმდეგებით, ის მეორედ აღარ მოვა და აღარ შეგვებრძოლება. არა, პირიქით: ის კიდევ და კიდევ შეეცდება ამის გაკეთებას. წლების განმავლობაში დავინახე, რომ სწორედ ამ საკითხში კარგავენ ქრისტიანები მოშურნეობას და მარცხს განიცდიან. ისინი ფიქრობენ: „აღბათ, მე ეს არ გამომდის“ ან „ის არ გამაჩნია, რაც ამ ბრძოლას სჭირდება“. ეს დიდი ტყუილია, რომელსაც არასოდეს არ უნდა ავყვეთ.

კიდევ ერთ ისტორიას გაგიზიარებთ, რომელიც უკეთ დაგეხმარებათ ამ საკითხის გაგებაში. ლიზას პატარაობაში ჭვალი ანუსებდა. ეს გართულება ჩივილ ბავშვებს ემართებათ. რა თქმა უნდა, ყველა პატარა ბავშვი ტირის, მაგრამ ბავშვი, რომელსაც ჭვალი ადგება, ზოგჯერ რამდენიმე საათი გაუთავებლად ტირის, რადგან ტკივილს ვერაფერი ვერ უყუჩებს. ასეთი მდგომარეობა შეიძლება თვეობით გავრძელდეს. ექიმებმა ზუსტად არ იციან, რა არის ამ დაავადების გამომწვევი მიზეზი, მაგრამ ბევრს მიაჩნია, რომ ის ჩამოუყალიბებელი საჭმლის მომნელებელი სისტემის შედეგად ვითარდება.

ჩვენს პირველ შევილს, ედისონსაც პქონდა ეს დაავადება. მახსოვს, როგორ ტიროდა იგი უმიზეზოდ. თავიდან ეს მდგომარეობა უსასრულოდ მეჩვენეობდა. ვარწევდით, ბეჭებზე ხელს ვუთათუნებდით და ვუმღეროდით, თუმცა ის მაინც აგრძელებდა ჩხავილს. უმწეო მდგომარეობაში ვიყავით, რადგან საკუთარ შევილს ვერაფერს ვშველოდით. ხანდახან მკლავებზე დავიწვენდი და ტკივილს ვუბრძანებდი დაეტოვებინა იგი. პირდაპირ მის საჭმლის მომნელებელ სისტემას ველაპარაკებოდი. შემდეგ ხმამაღლა ვლოცულობდი სულით და ედისონს, ამასობაში, ჩაეძინებოდა ხოლმე.

ერთ საღამოს ლიზა სააბაზანოში იყო შესული, მე კი უკვე ლოგინში ვინექი, დაძინებას ვაპირებდი. უეცრად ბავშვის ოთახიდან შემაძრუნებელი ტირილის ხმა შემომესმა.

– „ჯონ ისევ ჭვალის ამბავია!“ – გამომძახა ლიზამ.

ნამოვდექი და საათს შევხედე. უკვე პირველის თერთმეტი წუთი იყო. ბავშვის ოთახისკენ გავიქეცი, ედისონი ხელში ავიტაცე და ტკივილს იესოს სახელით ბავშვის სხეულის დატოვება ვუპრძნან. შემდეგ სულით ლოცვა დავიწყე მანამ, სანამ ედისონმა არ ჩაიძინა. ამას დაახლოებით თხუთმეტი წუთი დასჭირდა.

მეორე დამეს უკვე ორივენი ვიწექით და ისევ საშინელი ტირილის ხმამ აგვაფორიაქა. ვაღიარებ, თავიდან ვიფიქრე: „ეს არ ჯრის! ამდენს ვლოცულობ მისთვის და უკეთესობა არ არის. შედეგს ვერ აღწევ, რწმენა არ გაქვს“. თავს ძალა დავატანე, რომ ეს ფიქრები უკუმეგდო და იმაზე მეფიქრა, თუ რას ამბობდა და ლმერთის სიტყვა პასუხგაცემული ლოცვის შესახებ. ლიზას ვუთხარი: „მე მივხედავ ამ საქმეს“.

ავდექი და საათს შევხედე. ისევ პირველის თერთმეტი წუთი იყო. „დამთხვევაა“, – გავიფიქრე მე. ედისონის ოთახში შევედი, გულში მაგრად ჩავიხუტე, ტკივილს ვუპრძნან იესოს სახელით, რომ გაშორებოდა ჩემს შვილს და სულით ვლოცულობდი მანამ, სანამ ედისონს არ ჩაეძინა. ამას ისევ 10-15 წუთი დასჭირდა.

მეორე საღამოს ლიზა ისევ სააბაზანოში იყო შესული მაკიაჟის მოსაშორებლად, მე კი უკვე საწოლში ვიწექი. ამჯერადაც საძინებლიდან საშინელი ტირილის ხმა მოგვესმა. ფიქრები რომელიც მომედალა წინანდელზე უფრო ძლიერი იყო: „ჯონ, თითქმის ორი კვირაა, რაც ედისონისთვის ლოცულობ. გუშინაც ილოცე, იმის წინაც. შეეგუე სინამდვილეს; შენი მცდელობით ვერაფერს შველი ამ მდგომარეობას! შენს ლოცვას შედეგი არ მოაქვს!“ – ისევ ლმერთის სიტყვით შევეწინააღმდეგე ამ აზრებს და საწოლიდან წამოვდექი.

საათს შევხედე. ვიფიქრე თვალი ხმო არ მატყუებს მეთქი. მესამე საღამოს კვლავ ზუსტად პირველის თერთმეტ წუთზე გაისმა ბავშვის ტირილის ხმა. საძინებელში შევიჭრი, ხელში ავიტაცე ჩემი ტანჯული შვილი და ხელი მკერდზე დავადე. დავხედე ჩემს პატარა ბიჭს, და ვიგრძენი, რომ მხოლოდ მე არ დავყურებდი მას; ჩემი თვალებიდან უფალი უყურებდა.

განრისხებული გავყვიროდი: „ჭვალის და უძლეურების სულო, ყელში ამოვიდა ჩემი შვილის ტანჯვა! ვამსხვრევ იმ წყევლას, რომელიც ლიზას ოჯახიდან გადმოვიდა, და იესოს სახელით გიბრძანებ შენი ბინძური ხელები მოაშორო ედისონს! ახლავე გაშორდი აქაურობას და აღარასოდეს დაბრუნდე!“. შეიძლება იფიქრო, რომ ასეთი სიტყვები უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩააგდებდა ჩემს შვილს, მაგრამ სრულიად საპირისპირო რამ

მოხდა. პატარა ედისონმა მყისვე შეწყვიტა ტირილი, საყვარლად შემომხედა, თვალები დახუჭა და დაიძინა. ეს იყო ბოლო შემთხვევა, როდესაც მან ჭვალის გამო იტირა. იმ ღამის შემდეგ ედისონი ნორმალური, ბედნიერი ბავშვი იყო. მტერი ბევრს ეცადა; დაიღალა მახვილისგან მიყენებული ჭრილობებით. განეშორა ედისონს და აღარ დაბრუნებულა.

დაახლოებით სამი წლის შემდეგ მეორე შვილი, ოსტინი შეგვეძინა. დაბადებიდან რამდენიმე თვეში მასაც მსგავსი სიმპტომები აღმოაჩნდა. მე უკვე ვიცოდი რაშიც იყო საქმე და ამიტომ მზად ვიყავი კიდევ ერთი ბრძოლისათვის. ერთი-ორჯერ ძალაუფლების სიტყვები ვახსენე და საშინელი ტკივილი შეწყდა. ჭვალი რამდენიმე დღეში სრულიად გაქრა და მას ოსტინი აღარასოდეს შეუწუხებია. როდესაც ჩვენი მესამე შვილი დაიბადა რამდენიმე წლის შემდეგ, მას ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ ქონია. ეს ჯადოსნური წრე დაირღვა. წარმომიდგენია, მტერი რას ფიქრობდა: „შეტევა კიდევ რომ მოვინდომო, მახვილით – ღმერთის სიტყვით – ჭრილობებს მომაყენებენ“.

ძვირფასო მეგობარო, ეშმაკს შეენინაალმდეგე შეუპოვრად. შერისხე იგი ქრისტეს მიერ მოცემული ძალაუფლებით.

ჩვენი მცდელობა გავთავისუფლდეთ ბორკილებისგან უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე სირთულეების მცდელობა - დაგვიმოხს.

არ დამავიწყდება ის დამოწმება, რომელსაც ერთი არაჩვეულებრივი მისიონერი მექსიკაში ინდიელებს უზიარებდა. ის ძირითადად მთებზე შეფენილ პატარა სოფლებში შრომობდა და მისი გუნდის მსახურების შედეგად ამ სოფლების თითქმის ყოველი მოსახლე ქრისტიანი გახდა. ერთ ღამეს იგი ამ სოფლის მაცხოვრებლებმა გააღვიძეს. ისინი შეშინებულები იყვნენ. უთხრეს, რომ ერთ ცოლ-ქმარს, რომლებიც მათ ეკლესიაში დადიოდნენ, ეს-ეს არის შვილი გარდაეცვალა. ოჯახის წევრები ითხოვდნენ მისიონერი მათთან მისულიყო და ელოცა. ის მაშინვე ადგა, მათ სახლში მივიდა და სიკვდილის სულს უბრძანა ბავშვის სხეული დაეტოვებინა. რამდენიმე წუთში პატარა ხველება, ცემინება და სუნთქვა დაიწყო. ბავშვი სიცოცხლეს დაუბრუნდა! ყველა ზეიმობდა. მისიონერი დაბრუნდა სახლში და დაიძინა.

ცოტა ხანში მის კარებზე ისევ კაკუნი გაისმა. ბავშვი ისევ გარდაცვლილიყო. მისიონერი კვლავ წამოდგა, შერისხა სიკვდილის სული და ბავშვი გაცოცხლდა. მისიონერი ამბობდა, რომ იმ ღამეს იგი რამდენჯერმე შეენინაალმდეგა სიკვდილს მანამ, სანამ არ გაშორდა ბავშვს.

ბავშვმა განაგრძო სიცოცხლე და იმ დროისთვის, როცა მის-იონერი ამ ისტორიას ამონმებდა, ის ბავშვი იმ სოფელში ერთ-ერთი ჯანმრთელი ადამიანი იყო.

## იდეალი მტკიცება

ხშირად ვხედავ, როგორ იტანჯებიან მორწმუნები ახლო-ბლების დაკარგვით გამოწვეული ტკივილით. კეთილგონიერი ადამიანები ნამდვილად იღებენ ღმერთისგან კურთხევებს, განკურნებას და სასწაულებს, მაგრამ რამდენიმე დღეში, თვეში ან წელში ისინი ისევ კარგავენ იმას, რაც ღმერთის-გან მიიღეს. ამიტომ გვასწავლის ბიბლია: „კეთილს ჩაეჭიდეთ“ (1 თეს. 5:21;). ყოველ მორწმუნეს უნდა ახსოვდეს ეს სიტყვები და მტკიცებ უნდა იდგეს. ეს მე ჩემი ქრისტიანული ცხოვრების ადრეულ ეტაპზე ვისწავლე.

თინეიჯერობის პერიოდში წელის ტკივილები მტანჯავდა. ერთი წლის მორწმუნე ვიყავი და მეგობართან ერთად ეკლესი-აში წავედი. ქალმა, რომელიც მსახურებას უძლვებოდა, თქვა: „აქ არის პიროვნება, რომელსაც წელის ტკივილი აწუხებს. გან-საკუთრებით კი წელის ქვედა ნაწილში გრძნობს ტკივილს“.

მივხვდი ჩემზე ლაპარაკობდა, მაგრამ მრცხვენოდა ჩემი პრობლემის შესახებ სახალხოდ ლაპარაკი. წლების მანძილზე კათოლიკურ ეკლესიაში დავდიოდი და არ მიყვარდა, როდესაც რომელიმე კონკრეტული ადამიანის პრობლემებზე სახალხოდ ლაპარაკობდნენ. მე სკამიდან არ ავმდგარვარ. როდესაც ამ ქალმა საუბარი განაგრძო, ცოტა ამოვისუნთქე.

ათი წუთის შემდეგ მან თქვა: „მაპატიოთ, მაგრამ უფალი თავს არ მანებებს, ვიღაცა ამ მსახურებაზე წელის ტკივილის-გან უნდა განიკურნოს“.

კვლავ გავითიქრე: „არ გავალ, ხალხის ნინ არ დავდგები“. თუმცა ამჯერად, სულიწმიდამ მოსვენება არ მომცა, და გა-დავწყვიტე ამ მოწოდებას გამოვხმაურებოდი. მსახურმა ქალმა და მისმა მეუღლემ ჩემთვის ილოცეს და მყისვე განვიკურნე. გაკვირვებული ვიყავი! წლების მანძილზე მაწუხებდა წელის ტკივილები. განცვიფრებული ვიყავი იმით, თუ რა მოიმოქმედა ღმერთმა ჩემს სხეულში ამ მსახურებაზე.

მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში ვტკებებოდი წე-ლის ტკივილის გარეშე ცხოვრებით. დიდებული რამ იყო. ახლა უკვე შემეძლო დავხრილიყავი კბილების გახეხვის ან პირის გაპარსვის დროს. მადლობელი ვიყავი ღმერთის.

ერთი თვის შემდეგ, საწოლში ვიწერი და დაძინებას ვაპირ-ებდი. უეცრად ჩემს ოთახში რაღაც შემოვიდა. ვერ ვხედავ-დი, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი. ოთახში მთვარის სინათლე შემოდიოდა, მაგრამ საკვირველი ის იყო რომ ნელ-ნელა უფრო და უფრო ბენელდებოდა. ამავდროულად შიშიც დამეუფლა. უეცრად ისეთი წელის ტკივილი ვიგრძენი, რომელიც წლების მანძილზე მტანჯავდა. უეცრად თავში ასეთმა აზრმა გამიელ-ვა: „განკურნება დაკარგე! დამთავრდა ტკივილის გარეშე ცხოვრება. ახლა მთელი ცხოვრება ეს ტკივილი გაგტანჯავს“.

მართალია ახალი მორწმუნე ვიყავი, მაგრამ საკმაოდ კარ-გად ვიცოდი ლვთის სიტყვა და მივხვდი, რომ ეს ჩემზე განხორ-ციელებული შეტევა იყო. მტერს სურდა, რომ დამეჯერებინა მისი ტყუილი, რომ ტკივილი მთელი ცხოვრება გამყვებოდა. მა-შინვე საწლიდან წამოვხტი და ვიყვირე: „სატანა, ორი კვირის წინ განვიკურნე მსახურებაზე. ბიბლია ამბობს, რომ ქრისტეს ჭრილობებში მე განკურნებული ვარ. შენ ვეღარ გამტანჯავ ამ ტკივილებით. ამიტომ გიბრძანებ დატოვო ჩემი სხეული, ჩემი ოთახი და ჩემი ბინა ახლავე, იესოს სახელით!“.

ოთახი განათდა. შიში და თანდასწრება, რომელიც მას ახლ-და მაშინვე გაქრა და ტკივილიც მათ გაჰყვა. მას შემდეგ წელის ტკივილს აღარ შევუწებებივარ.

იესო ამბობს: „გეპყრას რაც გაქვს, რათა არავინ წაგართვას შენი გვირგვინი“ (გამოცხ. 3:11). ვიყოთ შეუპოვარნი, შევინარ-ჩუნოთ და დავიცვათ ის, რაც ღმერთმა მოგვცა.

ყველაზე სევდიანი ისტორია, რომელიც მახსენდება, ერთ კაცს უკავშირდება, რომელიც ერთ სალამოს მსახურებაზე სასწაულებრივად განიკურნა. ამ მსახურებაზე მე ვქადაგებდი. ეკლესიაში ბევრი ხალხი იყო და ამიტომ საერთო ლოცვით ვილოცე. ჩემს წინ დავინახე ერთი კაცი, რომელიც მუხლებზე იყო დამხობილი და ტიროდა. მივე-დი მასთან, რათა გამერქვია რა აწუხებდა. აღმოჩნდა, რომ მას ზურგის რამდენიმე ოპერაცია ქონდა გადატანილი და მთელი ცხოვრება ინვალიდად დარჩენა ემუქრებოდა. მას ქრონიკულ ტკივილებში უწევდა ცხოვრება, მაგრამ ახლა უკვე სრულიად განკურნებული იყო. ის სიხარულისგან ტიროდა. არასოდეს მენახა ზრდასრული მამაკაცი, რომელსაც თავისუფლების მიღების გამო ასე გულამომჯდარს ეტირა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ეს კაცი რესტორანში ვნახე. სახე ულიმოდა, სიცოცხლით იყო აღვსილი და ამოწმებდა იმ განკურნების და თავისუფლების შესახებ, რომელიც უფლის-გან მიიღო. მიხაროდა მისი სიკეთე.

ერთი წლის შემდეგ ისევ შემზვდა ის კაცი. მაგრამ მის სახეს უწინდელი ლიმილი აღარ ამშვენებდა. მეტიც, ჩემთან ახლოს არც კი მოვიდა. მე მივუახლოვდი მას და ვკითხე, თუ როგორ იყო. მითხრა, რომ ტკივილები დაუბრუნდა. იგი ეჭვქვეშ აყენებდა მიღებული განკურნების სინამდვილეს. ის ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ ლმერთი ამ ტკივილების მეშვეობით წვრთნიდა მას. შევეცადე მისთვის ამეხსნა რას ნიშნავდა ქრისტეს სიტყვები: „გეპყრას, რაც გაქვს“, მაგრამ იგი არ მის-მენდა.

დღეს ეს კაცი ძალიან კარგი ადამიანი, ბრწყინვალე მამა და მეუღლეა, მაგრამ სამწუხაროდ, კვლავ ის ტვირთი დააქვს, რომლისგანაც ქრისტემ დიდი საფასურის გადახდით გათავისუფლდა.

## შეუპლეპელია არ მიიღო

ახლა რის თქმასაც ვაპირებ, ძალიან მნიშვნელოვანია. თუ გწამს და შეუპოვრად ეწინააღმდეგები ეშმაკს, მაშინ ყოველთვის გაიმარჯვებ. იდექი მტკიცედ, გაბედულად იმოქმედე: „წინ აღუდექით ეშმაკს და გაიქცევა თქვენგან“ (იაკ. 4:7;).

სიტყვა „გაქცევა“ ბერძნულ ენაზე უღერს ასე „ფეუგო“, რაც ნიშნავს „აორთქლებას, გაუჩინარებას, გაქცევის მეშვეობით უსაფრთხო ადგილის მოძებნას“. ზოგი ლექსიკონი ამ სიტყვის შემდეგ განსაზღვრებას იძლევა: „დიდი შიშით გაქცევა“. ეს მშვენიერია! ლმერთის სიტყვა არ ამბობს, რომ შესაძლოა ეშმაკი გაიქცეს. არა, თუ მას ნინაღუდეგები, ის გაიქცევა. ის ვერ იტანს ბიბლიურ გაბედულ წინააღმდეგობას!

უნდა იცოდე, რომ მტერს შენი ეშინია! როდესაც ის გიყურებს, იმას არ ხედავს, რასაც შენი მეგობრები; ის ხედავს ქრისტეს. შენ ქრისტეს სხეული ხარ; ღმერთის ცხებული შვილი. შენ შექმნილი ხარ იმის ხატად და მსგავსად, ვინც სატანა გაანადგურა და განაიარალა. შენ მისთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენ. ბევრი ჩვენგანი შეცდა სატანის მიერ შემოგდებული ხრიკებით. მაგრამ ის შენს ფეხქვეშ არის – ქრისტეს სხე-

ულის ფეხქვეშ. შენ ქრისტეს სხეულში ნეკა თითის ადგილიც რომ გეკავოს, მტრის ძალა მაინც ვერაფერს ვერ დაგაკლებს. წმინდა წერილი ამბობს:

„როგორ ჩამოვარდი ციდან, მთიებო, განთიადის ძევ, მიწას დაენარცხე! ხალხთა მძლეველო. შენ კი ამბობდი შენს გულში: „ცაში ავალ, ღმერთის ვარსკვლავებს, ზემოთ, მაღლა ავწევ ჩემს ტახტს, და დავჯდები საკრებულოს მთაზე, ჩრდილოეთის კიდეებზე ავალ ღრუბლის გორაკებზე, დავემსგავსები უზენაეს!“ მაგრამ შავეთში იქნები ჩაგდებული, უფსკრულის კიდეებზე. შენი დამნახველი შემოგაცერდებიან, დაგაკვირდებიან: „ეს კაცია ქვეყნის შემაძრნუნებელი, სამეფოთა შემძვრელი?“ (ეს. 14:12-16;)

ისტორიულად, ესაია ბაბილონის მეფეზე წერს. თუმცალა, წინასწარმეტყველურ წერილს ორი განსხვავებული განმარტება გააჩნია – ბუნებრივი და სულიერი. როცა ესაია ამბობს იმის შესახებ, რომლის ძალებმაც დაანგრიეს პიროვნებები, ოჯახები და ერები, რა თქმა უნდა, სულიერი კუთხით მას მხედველობაში ჰყავს სატანა. ესაიას წიგნის თანახმად მისი ბოლო არის ცეცხლის ტბის სიღრმეები, სადაც ის და მისი დამქაშები „დაიტანჯებიან დღე და ღამე, უკუნითი უკუნისამდე“ (გამოცხ. 20:10;).

შეუძლებელია არ მიიღო კურთხევა და გათავისუფლება ღმერთისგან, თუ გწამს და ეწინააღმდეგები ბნელეთის ძალებს. ეს შესაძლოა იყოს ფინანსების, სიბრძნის, ჯანმრთელობის, ბიზნესის, მსახურების სფერო, ან უფრო მნიშვნელოვანი რამ – სხვების დახმარების უნარი. თუ სულის მახვილით იბრძოლებ, იქსოს მსგავსად, ყველა მტერზე გაიმარჯვებ.

## გამაფრთხილებელი სიტყვა

სანამ წიგნის მოცემულ თავს დავასრულებდე, მინდა იმ ორი უკედურესობის შესახებ გავამახვილო ყურადღება, რომელიც ქრისტეს სხეულში დავინახე. პირველი უკიდურესობა, ყოველი ბუჩქის უკან ეშმაკის დანახვაში მდგომარეობს. ამ უკიდურესობაში ჩავარდნილი ქრისტიანები, იმდენად ბევრს ფიქრობენ ეშმაკზე, რომ მზერა მოწყვიტეს უფალს. ეს ძალიან არაჯანსაღი მდგომარეობაა.

მეორე უკიდურესობაა გიყვარდეს ღმერთი, მაგრამ მტრის სრულ იგნორირებას ახდენდე, კენის მსგავსად. ამ კატეგორიის მიდგომა შემდეგია: თუ ეშმაკს არანაირ ყურადღებას არ და-კუთმობ, ის, ბოლოს და ბოლოს, გამეცლება. ეს ძალიან ფატა-ლური და ჭეშმარიტებას მოწყვეტილი აზრია. ჩვენ მანამ უნდა შევეწინააღმდეგოთ ეშმაკს, სანამ ღმერთის ნება არ აღსრულდება. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ამა თუ იმ საკითხს ქრისტეს სახელით არ შევეწინააღმდეგებით, ის არ შეიცვლება. ნუ მოდუნდები ბრძოლაში! ეს შენი, როგორც ცათა სა-სუფევლის მოქალაქის, მოვალეობაა. ესაა შენი ღმერთისადმი მორჩილება, ესაა უდიდესი ძალა, რომელიც ღმერთმა თავისი მადლით მოგანიჭა.

ბიბლია გვასწავლის, თუ როგორ ვიცხოვროთ ჯანსა-ლი სულიერი ცხოვრებით: „მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი. შევხედოთ რწმენის მიზეზსა და სრულმყოფელს – იესოს“ (ებრ. 12:1-2;). ჯანსალი და სრულყოფილი ქრისტიანული ცხოვრების სტილი დამოკიდებულია იმაზე, ჩვენი მზერა იქნება თუ არა იესოსკენ მიპყრობილი. თუ ეშმაკი, ან მისი რომელიმე დამქაში შეეცდება გზაზე გად-აგელობოს, შეეწინააღმდეგე! წინაღუდექი და ისიც გაიქცევა! შემდეგ შენი მზერა კვლავ უფალს მიაპყარი. იესო არის ის, ვინც მოგვცა რწმენა და ვინც სრულგვყოფს ამ რწმენაში.

## ԸՆԵԱԼՅԱԺՐԱԿՈՒՄԻ ՅՐԱՎԱ

„Են ալյադեյիտ մաս մքաւուց ՌԵՄԵՆՈՒ գա ուրագայ, րոմ մեցավՏո  
Սագունազաւու տէյցեն սամոսաց Եւզաւա Սուցումնի“

1 Տէգրը 5:9;

**Ե**արմուղացունետ, րոմ տէյցեն յեպանա ծորութմա մուրմա-  
դակապոր գա և նլաւու մանկութիւ քայզեռօնամուա. ցասանտա-  
զուսուցուելագ սագունու արա մեռուու ծրմուու, արամեց  
ամ մուրու պայզելու սոմացրու գանցրուաց. յս Շեյուլենա ոյու  
նալմենու, սանցրունու, ծանցենու գա և սեցա.

մագրամ պայլանչ մենու գասանցրու սոմացրու ուս անրունենա,  
րոմելուց մուրմա Շենու յեպանու գագութիւն մուսախլուոնա  
թուանուրցա. այսու սանու նոնաալմացուոնա, մեռուու ոմու զեր  
շմայլու, րագցան յս արու արա ուրութիւնուրու, արամեց ուսոյուու-  
ցուրու սակուտու. մագրամ ու ոմու սմտացրու ասկեյթիւնու  
զեր մուկուցու գամարջազենա, եւլիհարտուու ոմու նենուսմուրու  
նարմագունա Շեդեցու զեր մուգանս.

մուկուցու տազմու Շեզութպուտ, րոգոր ալզութուրզու սոնորեց  
այսու գունու նոնաալմացուոնու. րոգորու Պորճապուր ծրմու-  
լամու, այսաւ Շեյուպուրոնա սագունու. նոնաալմացու Շեմտեզեզամո  
պայլագուրու շմայլու ուրուցու ուրուցու. սոնորեց ամ ասկեյթիւն սայսիրուն  
մուկուցու ուրուցու, րոգուսաց ներու: „Զայմորիուլետ լմերու,  
նոն ալյադեյիտ շմայս գա ուս ցուկուցու տէյցենան“ (Պայ. 4:7;).

ամ մուկուցու Տէգրը ցայտունենա, րոմ մուրու մտացարու գասա-  
մարպենու ուրուցու լմերու մորիուլենա. յս մուսագմու սրուլ  
մորիուլենա գա մասնու սրուլ գա մուսագմուն. ու այսու ու ամուսնուն  
այս մուկուցու տէյցենու, Շեյուլենա մուսու ցուկու սուրուն, մուսու ան-  
րունու գա մուկուցու ուրուցու ցայտունենա. ամ ցայտունենա գա մուկուցու  
կուլմարտու սամպարուն. ամ մուկուցու ուրուցու արու մտացարու  
մուկուցու ուրուցու ցայտունենա. ամ մուկուցու ուրուցու ամուսնուն  
մուկուցու ուրուցու ցայտունենա:

„ვინაიდან, თუმცა ხორცში დავდივართ, ხორციელად არ ვიბრძვით. ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად. ამით ვამხობთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს. ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტესთვის დასამორჩილებლად. და მზად ვართ შეური ვიძიოთ ყოველგვარ ურჩობაზე, როცა თქვენი მორჩილება არ სრულდება“ (2 კორ. 10:3-6;)

ეშმაკის სიმაგრეს აზრთა პროცესი, აზროვნება, ინტელექტუალური ხედვა, შეხედულებები ან სხვა ისეთი ფსიქოლოგიური საკითხი წარმოადგენს, რომელიც ღმერთის ნების საწინააღმდეგოა. ამ ჩამონათვალს ასევე მიეკუთვნება შური, სიხარბე, ეგოიზმი, მანიპულაციები, ვნება, სიძულვილი. გული და გონება ხშირად ღმერთის ჭეშმარიტების წინააღმდეგ გამოდიან, და ისინი ნამდვილ სულიერ წინააღმდეგობებს ქმნიან. თუმცა პავლე წერდა, რომ ჩვენი მორჩილება ნებისმიერი სახის ურჩობის დატყვევების ძალას და ძალაუფლებას გვანიჭებს.

### ძრისტეში ზრდა

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, სირთულეებთან წარმატებით გამკლავების შედეგად ჩვენი ძალაუფლების და ძლიერების დონე იზრდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ მმართველობაში ვიზრდებით. დავუბრუნდეთ პეტრეს თხოვნას „აღჭურვის“ შესახებ:

„რაյ ქრისტე ჩვენთვის იტანჯა ხორციელად, თქვენც აღიჭურვეთ იმავე აზრით, ვინაიდან, ვინც კი ხორციელად იტანჯა, შეწყვიტა ცოდვის ჩადენა, რათა ხორცში დარჩენილი დრო განვლოთ არა ადამიანური გულისთქმებით, არამედ ღვთის ნებით“ (1 პეტ. 4:1-2;)

ვინც ხორციელად იტანჯა შეწყვიტა ცოდვის ჩადენა. რას გულისხმობს პეტრე? იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ მივაღწიოთ სულიერ სიმწიფეს, როგორ გავხდეთ სრულყოფილი კაცი ან სრულყოფილი ქალი ქრისტეში. „სულიერად ზრდასრული ქრისტიინი“ ადამიანური სურვილებით აღარ ცხოვრობს, არამედ მთლიანად ღმერთის ნებას ემორჩილება.

ის აღარ ექცევა წუთისოფლის სისტემის წნების ქვეშ, არამედ მის სიმაგრეებს ანგრეეს. პავლე ამ ძალას 2 კორინთელ-

თა მიმართ წერილში (10:6;) აღწერს: „მზად იყავით, რათა შური იძიოთ ყოველ ურჩიობაზე, როცა თქვენი მორჩილება აღსრულდება“.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ფიზიკური ასაკის მიუხედავად, ლერთის ოჯახში ჩვილებად დავიბადეთ და ამიტომ ის ჩვენგან ზრდას მოელის. იგი გვეუბნება: „როგორც ჩვილებმა, ინატრეთ სუფთა სულიერი რძე, რათა მისით იზარდოთ“ (13ეტ. 2:2;). ადამიანი ფიზიკური ასაკის ზრდის მსგავსად (ჩვილობა, ბავშვობა და მოზარდობა), სულიერი ასაკის ეტაპებსაც გადის. პავლე ამბობს: „ხოლო მე ძმანო, არ შემეძლო თქვენთან ლაპარაკი, როგორც სულიერებთან, არამედ როგორც ხორციელებთან, როგორც ჩვილებთან ქრისტეში“ (1კორ.3:1;). ეს კორინთელი ქრისტიანები, შესაძლოა ფიზიკურად ზრდასრულ ადამიანებს წარმოადგენდნენ, მაგრამ სულიერად ჯერ კიდევ ჩვილები იყვნენ. სამწუხაროა, თუ მორწმუნები დიდხანს რჩებიან ჩვილობის ასაკში.

სხვა წერილში პავლე სულიერი ზრდის საფეხურებს წარმოვიდგენს: „რათა ალარ იყოთ ბავშვები, რომელთაც არყებს და იტაცებს მოძღვრების ყოველგვარი ქარი“ (ეფეს. 4:14;). სხვაგან იგი წერს: „ძმანო! ნუ იქნებით ბავშვები გონებით; მხოლოდ ბოროტებისთვის გახდით ბავშვები, გონებისთვის კი სრულწლოვანი იყავით“ (1კორ.14:20;). ე.ი ბავშვები ბოროტებასთან მიმართებაში უნდა ვიყოთ; ხოლო გონებით – ზრდასრული მორწმუნები.

ბავშვი იმის მიხედვით მოქმედებს, რასაც ასწავლიან, მნიშვნელობა არა აქვს კარგი ასწავლეს, თუ ცუდი. ისინი ადვილად ექცევიან გავლენის ქვეშ. ზრდასრულმა ადამიანმა კი ხშირად გონებით იცის რა არის ცუდი და ადვილად როდი ექცევა ბოროტი ძალის გავლენის ქვეშ. ჩვენ ქრისტეში უნდა ვიზრდებოდეთ, რათა შური ვიძიოთ ყოველგვარ ურჩიობაზე. პავლეს სიტყვების თანახმად ჩვენ გვჭირდება შემეცნება, თუ რას ნიშნავს ქრისტეში მონიფულობა. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, ამის შესახებ პეტრეც ბევრს საუბრობს.

როგორ გავიზარდოთ სულიერად? დასაწყისისთვის კარგი იქნება თუ ჯერ ფიზიკური და გონებრივი ზრდის შესახებ დავფიქრდებით. რაზეა დამოკიდებული სულიერი ზრდა და რა განაპირობებს მას? დრო. გინახავთ ექვსი თვის ჩვილი, რომლის სიმაღლეც მეტრა ნახევარია? არა, როგორც წესი, ამ სიმაღლის მიღწევას თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე დრო სჭირდება. ფიზიკური ზრდა დროსთან არის დაკავშირებული.

გონიერივი ზრდა კი, ფიზიკურისაგან განსხვავებით, დროით არ არის შეზღუდული. შევხვედრილვარ თოთხმეტი წლის სკოლადამთავრებულ მოზარდებს, რომელთაც „ვუნდერკინდ-ებს“ ეძახდნენ. მინახავს ასევე ორმოცდაათი წლის ადამიან-ები, რომელთაც სკოლაც კი არ ქონდათ დამთავრებული. ასე რომ გონიერივი, ინტელექტუალური ზრდა დროით კი არ არის განპირობებული, არამედ სწავლით, ცოდნის შეძენით. ადამიანი ჯერ პირველ კლასში სწავლობს, შემდეგ მეორეში, ამას მოჰყვება მესამე, მეოთხე, მეხუთე კლასები და ა.შ. მაგრამ ეს პროცესი შესაძლებელია დაჩქარდეს და შენელდეს კიდეც.

რაზეა დამოკიდებული სულიერი ზრდა ანუ სიმწიფე? არის თუ არა ის დროით შეზღუდული? მინახავს ადამიანები, რომლებიც ერთი წლის წინ ზეციდან იშვინენ და უკვე სულიერად ზრდასრულ ქრისტიანებს წარმოადგენდნენ. ამავდროლად შევხვედრილვარ ოცი წლის წინ ზეციდან შობილ მორნმუნებს, რომლებიც ისევ „სულიერ პამპერსებს“ ატარებდნენ და თავიანთ სულიერ ლიდერებს და სხვა მორნმუნებს ბევრ პრობლემებს უქმნიდნენ. ასე რომ სულიერი მოწიფულობა დროზე არ არის დამოკიდებული.

არის თუ არა სულიერი ზრდა სწავლაზე ანდა სწავლებაზე დამოკიდებული? ფარისევლებმა ზეპირად იცოდნენ ძველი აღთქმის წიგნები, თუმცა მათ, ვერ შეიცნეს ღმერთის ძე, რომელიც მათ თვალწინ კურნავდა ავადმყოფებს და დევნიდა ეშმაკებს. ისინი სულიერად ბრძები იყვნენ. ამიტომაც ვერ შეიცნეს მესიის მსახურება.

რა განაპირობებს სულიერ ზრდას? რა შეიძლება აღმოჩნდეს დამაბრკოლებელი ფაქტორი? პასუხი არის ტანჯვა. დავუბრუნდეთ პეტრეს სიტყვებს: „ვინც კი ხორციელად იტანჯა, შეწყვიტა ცოდვის ჩადენა“ (13ეტ. 4:1.). ვინც ცოდვის ჩადენა შეწყვიტა – სრულყოფილ სულიერ სიმწიფეს მიაღწია.

შესაძლოა ასეთი არგუმენტი დამიპირისპიროთ: „მინახავს ტანჯვა გამოვლილი ადამიანები, რომლებიც გაბოროტდნენ“. დიახ, ასეთი შემთხვევებიც არის. ამიტომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი არსებობს სულიერ სიმწიფესთან დაკავშირებით. ებრაელთა წერილის ავტორი წერს: „და თუმცა ძე იყო, მან ტანჯვის მეოხებით ისწავლა მორჩილება“ (ებრ. 5:8;).

ეს მუხლი გვეუბნება, რომ იესოს ავტომატურად არ მოჰყვა მორჩილება, როცა ის დედამიწაზე იმვა; მას ეს უნდა ესწავლა, რაც სრულყოფილად შეძლო კიდეც: მან არცერთხელ არ შესცოდა, არცერთხელ არ დაუშვა შეცდომა. ფრიად მნიშ-

ვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ იქსომ ტანჯვეით ისწავლა მორჩილება. თუ ამ მუხლს პეტრეს სიტყვებთან ერთად გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სულიერი ზრდა მაშინ არ მოდის, როცა ჩვენს ცხოვრებაში მზე ანათებს, როდესაც ყველა კარგს

სულიერი ზრდა მაშინ არ მოდის, როცა ჩვენს ცხოვრებაში მზე ანათებს.

ლაპარაკობს ჩვენზე და როცა ყველაფერი მშვენივრად მიდის.

არა, ჩვენ სულიერად მაშინ ვიზრდებით, როდესაც განსაცდელშიც კი ღმერთის მორჩილებაში ვრჩებით; ვძლიერდებით, როდესაც ღმერთს ვემორჩილებით მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები დაგვცინიან, გვჭორავენ ან ცდილობენ ტკივილი მოგვაყენონ... როდესაც სამსახურს ვკარგავთ, ადვოკატისგან ან ექიმისგან ცუდ ამბავს ვიგებთ, ან როდესაც არ ვიცით სად ვიშოვოთ საჭირო ფინანსები.

განსაცდელებში ჩვენ ვარჩევთ ღმერთს დავემორჩილოთ, თუნდაც ამის შედეგი ჩვენთვის სარგებლობის მომტანი არ იყოს. ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას წინ აღვუდგეთ ბოროტს ღმერთის სიტყვის მორჩილებით. ეშმაკის შეტევების მოგერიებას ლვთის სიტყვისადმი მორჩილებით ვახერხებთ. აი, სწორედ ამ დროს ხდება სულიერი ზრდა. ეს კარგად ჩანს იაკობის ძის, იოსების ცხოვრებაში.

## იოსების სიზმარი

ღმერთმა აპრაამს ალთქმა დაუდო. ეს დანაპირები აპრაამის ძეს, ისააკს და მის შვილიშვილს, იაკობს გადაეცა. იაკობს თორმეტი ვაჟი ჰყავდა; იოსები მეთერთმეტე იყო. მას უფროსი ძმები ვერ იტანდნენ და წმინდა წერილი ამის მიზეზსაც გვამცნობს. ახალგაზრდა იოსები ენატარტარა (დაბ. 37:2;) და ცოტა ტრაბახა (მუხ. 5;) იყო. იაკობს, ყველა ძეზე მეტად უყვარდა იოსები და ამიტომაც მას ძვირფასი, ჭრელი მოსასხამი აჩუქა. აქედან გამომდინარე, უფროსი ძმები ცუდად იყვნენ უმცროსი ძმის მიმართ განწყობილნი.

ამ ისედაც გართულებული ურთიერთობების ფონზე, ღმერთმა იოსებს ორი სიზმარი აჩვენა. პირველ სიზმარში იოსებმა იხილა შეკრული ძნები მინდორში. მისი ძმების მიერ შეკრულმა ძნებმა იოსების ძნას თაყვანი სცეს. მეორე სიზმარში კი იოსებ-

მა იხილა მზე, მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი, რომლებიც მას თაყვანს სცემდნენ. იოსებმა დიდი მონდომებით გაუზიარა ეს სიზმრები თავის ძმებს და თან განუმარტა მათი მნიშვნელობა – რომ ერთ დღეს ის იმეფებდა მათზე. გასაკვირი არ არის, რომ ძმებმა არ გაიზიარეს იოსების სიხარული და უფრო მეტად შეიძულეს იგი.

მოგვიანებით, ათი უფროსი ძმა შორ მანძილზე მიდის, რათა მამის ცხვარი დამწყემსოს. გავიდა დრო და მამამ იოსები მათი ამბის გასაგებად გაგ ზავნა. როდესაც ძმებმა მათკენ მომავალი იოსები დაინახეს, მოითათბირეს: „აი, მოდის ჩვენი პატარა ძმა, სიზმარა, მეფე ბატონი. მოდი, მოვკლათ! აი, მერე ვნახოთ როგორ აუცდება სიზმრები“ (ავტორის პარაფრაზი).

ასე, რომ ძმებმა იოსები ორმოში ჩააგდეს და იქ დატოვეს, რათა მომკვდარიყო. მაგრამ იმ ადგილას ეგვიპტისკენ მიმავალმა ისმაილიანებმა ჩამოიარეს. მეოთხე ძმას, იუდას, აზრი მოუკიდა: „ბიჭებო მოიცადეთ. ამ ჭაში რომ ჩავტოვოთ ჩვენ ეს რას გვარგებს. მოდით, მონად გავყიდოთ, ფულს მაინც ვიშმოვთ. ამის შემდეგ ჩვენთვის ის მკვდარი იქნება და ალარასოდეს შეგვაწუხებს. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პასუხისმგებელნი აღარ ვიქნებით მის სიკვდილზე“ (ავტორის პარაფრაზი).

ძმებს მოეწონათ ეს აზრი და იოსები ოც ვერცხლად გაყიდეს. ძმებში აღძრულმა შურმა და სიძულვილმა იოსებს მემკვიდრეობა და ოჯახი დააკარგვინა. არ დაგავიწყდეთ, რომ იოსებს საკუთარი ძმები მოექცენენ ასე სასტიკად!

დღეს ძნელი გასაგებია ხოლმე ის უსამართლობა, რაც იოსებს შეემთხვა. მისი მონად გაყიდვა იგივე იყო რაც სიკვდილი. იმ დროში ვაჟების ყოლას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან ვაჟი მამის სახელსა და მემკვიდრეობას აგრძელებდა. ძმებმა იოსებს ეს პატივი წაართვეს. ძველ დროში, როდესაც ადამიანს მონად გაყიდიდნენ სხვა ქვეყანაში, ის სიცოცხლის ბოლომდე მონობისთვის იყო განწირული. მისი ცოლიც და შვილებიც მონები იქნებოდნენ. იოსები მოსწყდა ყველაფერს, რაც მისთვის ძვირფასი და ახლობელი იყო. რათქმა უნდა, ძნელი იყო მთელი ცხოვრება მონობაში ყოფნა, მაგრამ ის უფრო ძნელი იყო, რომ მდიდარი კაცის მემკვიდრედ დაბადებული, საკუთარმა სისხლმა და ხორცმა გაძარცვა! იოსები „ცოცხალ მკვდრად“ იქცა. დარწმუნებული ვარ იოსებს სიკვდილი ერჩივნა, ვიდრე მონობა. ძმების მოქმედება ძალიან დიდი სისასტიკის და სიბოროგტის გამოვლინება იყო.

როდესაც ქარავანი ეგვიპტეში ჩავიდა, იოსები ერთ კაცს, სახელად ფოტიფარს მიჰყიდეს, რომელიც ფარაონის კარისკაცი გახლდათ. იგი უკვე ფოტიფარის საკუთრებას წარმოადგენდა. მრავალი წლის შემდეგ ჩვენ ვკითხულობთ ბიბლიაში ამ ისტორიას და ვიცით მისი დასასრული. მაგრამ იოსებს არ ქონდა დაბადების წიგნი და ვერ წაიკითხავდა საკუთარი ისტორიის შესახებ. მას წარმოდგენაც კი არ ქონდა უცხო მინაზე მონობის გარდა რა ელოდა. იგი ფიქრობდა, რომ ვეღარასოდეს იხილავდა თავის მამას, მეგობრებს, სამშობლოს და ვეღარც ნანახი სიზმრები აუხდებოდა. ის ხომ ეგვიპტეში იყო მონად გაყიდული, საიდანაც ვერსად ვერ წავიდოდა, რადგან ცხოვრების ბოლომდე სხვა კაცის საკუთრება უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ჩვენ რწმენით დავდივართ და არა ხილვით.

იოსები ათი წელი ემსახურებოდა ფოტიფარს. მან არაფერი იცოდა რა ხდებოდა მის ქვეყანაში. ყოველი გასული წელი-წადი უფრო ამყარებდა არსებულ რეალობას, რომ მისმა ძმებმა ახლობლებს აუწყეს, რომ იოსები მოკვდა. ის დარწმუნებული იყო, რომ მამამ, იაკობმა უკვე გამოიტირა იგი. არანაირი იმედი აღარ არსებობდა იმისა, რომ ოდესმე ისევ იხილავდა მამას.

გავიდა დრო და იოსებმა მადლი ჰპოვა ფოტიფარის თვალში. იგი მთელი მისი ქონების გამგებლად განაწესეს. მაგრამ ამასობაში მის წინააღმდეგ მზაკვრული ინტრიგა იხლართებოდა. ფოტიფარის ცოლმა თვალი დაადგა იოსებს. ეს ქალი იმდენად მოურიდებელი იყო, რომ ცდილობდა ყოველდღე იოსების სიახლოვეს ყოფილიყო. ის იყო მდიდარი ქალი, რომელიც შეჩვეული იყო თავისი სიტყვის გატანას – იქცეოდა ისე, როგორც მოისურვებდა. მას საუკეთესო სამოსი ეცვა და საუკეთესო სუნამოს ხმარობდა და ალბათ, ძალიან მაცდუნებლადაც გამოიყურებოდა.

იოსები კი გონივრულად ცდილობდა ქალის ყოველი მცდელობა თავიდან აერიდებინა: „რადგან ცოლი ხარ მისი, და როგორ ვქნა ეს დიდი ბოროტება და ღმერთს შევცოდო?“ (დაბ. 39:9;). მიუხედავად იმისა, რომ იოსებმა ღალატი და იმედგაცრუება გადაიტანა, იგი ბოლომდე პატიოსანი და ღმერთის მორჩილი დარჩა.

ერთ დღეს იოსები და ფოტიფარის ცოლი სახლში მარტონი იყვნენ. ქალს კვლავაც იოსების შეცდენა სურდა. მან ხელი ჩასჭიდა იოსების სამოსელს და უთხრა: „ჩემი ქმარი წასულია, მოდი ერთად დავწვეთ სარეცელზე. ვერავინ გაიგებს ამას. შეგვიძლია მთელი დღე გავილამაზოთ და დავტკბეთ სიყვარულით “ (ავტორის პარაფრაზი).

იოსები კვლავ შეენინააღმდეგა სექსუალურ აღვირახსნილობას და სახლიდან გაიქცა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ფოტიფარის ცოლს ხელში მისი ტანსაცმელი შერჩა. იმედგაცრუებული ქალის უხერხულობა მალე მრისხანებაში გადაიზარდა და მან იკივლა: „მაუპატიურებდა!“.

ფოტიფარმა იოსები საპყრობილები ჩააგდებინა. როგორც მაშინ, როცა ძმებმა მონად გაყიდეს, ახლაც იოსებმა ყველა სიკეთე ერთ დღეში დაკარგა.

## პრძოლა საპყრობილები

დღეს ამერიკაში არსებული ციხეები ფოტიფარის საპყრობილესგან სრულიად განსხვავდებიან. რამდენიმე ციხეში მსახურებას ვეწეოდი და მიუხედავად იმისა, რომ იქ ყოფნა სასიამოვნო არ არის, შუა საუკუნეების საპყრობილებს თუ შევადარებთ, დღევანდელი ციხე სასტუმროდ მოგვეჩვენება. მე ძველი ისტორიული საპყრობილების ნახვაც მომინია. ისინი ბნელი, ნესტიანი და ცივია, რომლის საკუნძული მზის სინათლე არ აღწევს. ამერიკის ციხეებისაგან განსხვავდებით მათ არც ტელევიზორები აქვთ, არც სასაუზმე, არც საპირფარეშობი და საშხაპები და არც ქვეშაგები. იმ დროინდელი საპყრობილე იყო კლდეში ამოჭრილი ყრუ ორმოები, რომელთა დიდი ნაწილის სიმაღლე ერთ მეტრს ან მეტრა ნახევარს შეადგენდა, სადაც ადამიანის იქ გაჩერება ძალიან აუტანელი იყო.

იმ დროს პატიმარს იმდენ წყალს და პურს აძლევდნენ, რამდენიც საჭირო იყო იმისათვის, რომ არ მომკვდარიყო, რადგან თვლიდნენ, რომ სიკვდილი მათთვის იოლ გამოსავალს წარმოადგენდა (იხ.3 მეფ. 22:27;). ფსალმუნში (104:18;) ვკითხულობთ: „გატანჯეს ბორკილებით ფერხნი მისნი, რკინა მისწვდა მის სულს“. ფოტიფარმა ის საპყრობილები იმიტომ გამოაწყვდია, რომ მომკვდარიყო. იოსები ეგვიპტელი რომ ყოფილიყო, შესაძლოა, გადარჩენის რაიმე შანსი ჰქონდა, მაგრამ იგი უცხო ქვეყნის წარმომადგენელი იყო და ამავდროულად ფოტიფარის ცოლის გაუპატიურების მცდელობაში ედებოდა ბრალი, ამიტომ იგი განწირული იყო, გადარჩენის არანაირი იმედი არ არსებოდა.

შეგიძლია წარმოიდგინო რაზე ფიქრობდა იგი იმ ბნელ და ნესტიან საკანში? დარწმუნებული ვარ მტერი ყველა შესაძლო საშუალებით უმოწყალოდ ახორციელებდა შეტევას მის გონ-

ებაზე. ალბათ, იოსები ფიქრობდა: „ფოტიფარს და მის ოჯახს ათ წელზე მეტია ერთგულად ვემსახურებოდი. მე უფრო ერთგული ვიყავი, ვიდრე საკუთარი ცოლი. ერთგული ვიყავი უფლისა და სექსუალურ გარყვნილებას თავს ვარიდებდი. და რა მივიღე ამ ერთგულების საზღაურად? საპყრობილე! რატომ არ მოვიქეცი ისე, როგორც ნებისმიერი ცხელსისხლიანი მამრი მოიქცეოდა და დატკბებოდა იმ ქალთან ყოფნით? როცა მარტონი ვიყავით, მაშინ რომ მასთან სექსი მქონოდა, ვერც ვერავინ გაიგებდა და არც ამ წყეულ ადგილას აღმოვჩნდებოდი“.

იოსებს ეს სიცრუე რომ დაეჯერებინა, მაშინ მისი ისედაც დამცირებული მდგომარეობა, კიდევ უფრო აუტანელი გახდებოდა და მტანჯველ ფიქრებს მისცემდა ადგილს: „ასე ზრუნავს მოსიყვარულე ღმერთი თავის მორჩილებზე? რატომ? საერთოდ არ ყოფილა ერთგული – პირიქით, სასტიკად ეპყრობა თავის მსახურებს. ბოროტები წარმატებულები არიან, მე კი აქ ჩემი მორჩილების გამო ვიტანჯები. რა სარგებელი მომიტანა ღმერთისადმი მორჩილებამ? სიზმარი მიჩვენა, რომ ლიდერი გავხდებოდი, ჩემი სიზმარი ძმებს გავუზიარე და რა მივიღე? ეს მონობის ჯურლმული! გარყვნილებას გავექეცი და რა არის ამის საზღაური? ეს საპყრობილე! მეჩვენება, რომ მეტ მორჩილებას, ცხოვრების მეტად გაუარესება მოჰყვება. უფლის მსახურება მხოლოდ სასტიკი ხუმრობა ყოფილა!“.

მართალია იოსებს ძალიან შეზღუდული თავისუფლება გააჩნდა საპყრობილები, მაგრამ მას შეეძლო აერჩია, როგორი რეაგირება მოეხდინა იმ ყველაფერზე, რაც მის თავს ხდებოდა. გამნარდებოდა და განრისხდებოდა? ცინიზმს მისცემდა ადგილს? შეიძულებდა ღმერთის სიტყვას და შურისძიების სურვილით განიმსჭვალებოდა? ჩაეჭიდებოდა სიძულვილს, რომელიც მისი გულის კართან იყო მომდგარი? თუ შეუპოვრად შეენინააღმდეგებოდა ამ ნეგატიურ ფიქრებსა და ემოციებს, რითაც შესაძლოა მისი სული აღვსილიყო?

ეჭვი მეპარება, რომ იოსებს ასეთი აზრები გაევლო თავში, მაშინ როდესაც უფალი ამ განსაცდელებით მმართველობისათვის ამზადებდა. იგი ტანჯვით სწავლობდა მორჩილებას. მისი მორჩილების კუნთები მაქსიმალურად იყო დაჭიმული. ეს ჰეგავდა 150 კგ.-ს აწევას, როდესაც აზიდვის პროცესში მთელი შინაგანი გაჰყვირის „დანებდი!“. რომელ ხმას მოსმენდა იგი: ზეცის, რომელიც ჩასძახოდა: „მიდი, მიდი აწიე!“ თუ თავის ადამიანურ ლოგიკას? შესაძლოა, შურისძიების მწარე სურვილს აჰყოლოდა?

## ლმერთი აღარ იდგა სადარაჯოზე?

იოსების ამ მდგომარეობაში ჩაგდების მთავარი მიზეზი მისი ძმები იყვნენ. რომ არა ისინი, იგი ამ საშინელ ადგილას არ აღმოჩნდებოდა. დარწმუნებული ვარ საპყრობილები გატარებული ორი წლის განმავლობაში, ის ხშირად ფიქრობდა, თუ როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება საკუთარ ძმებს რომ არ ელალატათ.

ეს ჩვენთვისაც არ არის უცხო. ჩვენც ხშირად ვებრძვით მსგავსს ფიქრებს. შენთვის ცნობილია ასეთი გამოთქმა: „რომ არა...“:

- რომ არა ჩემი უფროსი, კი არ გამათავისუფლებდნენ, არამედ დამანინაურებდნენ;
- რომ არა ჩემი ყოფილი ქმარი, ამ ფინანსურ გაჭირვებაში არ ვიქებოდით;
- რომ არა ჩემი თანამშრომელი, რომელმაც შეურაცხყოფა მომაყენა, სამსახურს არ დავკარგავდი და სახლის გადასახადის პრობლემა არ შემექმნებოდა;
- ჩემი მშობლები რომ არ გაყრილიყვნენ, ჩემი ცხოვრება ნორმალურად წარიმართებოდა.

ძალიან ადვილია ჩვენს ცხოვრებაში შექმნილი მდგომარეობა სხვას დააბრალო. მაგრამ მნარე სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი აზრები მხოლოდ შეასუსტებს ჩვენი წინააღმდეგობის უნარს, რაც საბოლოოდ უფრო მეტ ზიანს მოგვიტანს. ნამდვილი საფრთხე მდგომარეობს არა შექმნილ სიატუაციაში, არამედ იმ აზრებსა და ფიქრებში, რომლებიც ამ დროს ცდილობენ ჩვენში შემოჭრას. მტკიცედ უნდა ვიდგეთ და გვჯეროდეს ღმერთის უზენაესი განზრახვის და წინააღმდეგობას ვუწევდეთ ნებისმიერ ლოგიკას, რომელიც ღვთის სიტყვას დაუპირისპირდება.

საბოლოოდ, ეს ჭეშმარიტება ჩვენს გულში მყარად უნდა დამკვიდრდეს: ვერცერთმა ქალმა, ვერცრცერთმა კაცმა, ან ეშმაკმა ვერ უნდა შეძლოს ღმერთის ნებიდან ჩვენი გამოყვანა! ჩვენი ძედი ღმერთის ხელში! იოსების ძმები ყველანაირად ცდილობდნენ ღმერთის განზრახვისთვის ხელი შეეშალათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს მოახერხეს. ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „მოდი მოვკლათ იგი და ჩავაგდოთ, რომელიმე ჭაში... ვნახოთ რა იყო მისი სიზმრები!“ (დაბ. 37:20;). მათ მიზანმიმართულად სურდათ მისი განადგურება. ეს შემთხვევითობა არ ყოფილა; ძმები შეგნებულად მოქმედებდნენ!

როგორ ფიქრობთ, რადგან იოსები მონად გაიყიდა, ღმერთი აღარ იდგა მის სადარაჯოზე? შეგიძლია წარმოიდგინო მამა ღმერთი, რომელიც გაოცებული შეჰყურებს ძეს და სულიწმიდას და აღელვებული ტონით ეკითხება: „ახლა რაღა ვქნათ? ნახეთ რა ჩაიდინეს იოსების ძმებმა! მათ ნაცარტუტად აქციეს გეგმა, რომელიც მისი ცხოვრებისთვის გავითვალისწინეთ. სანამ დროა რამე მოვიფიქროთ! სათადარიგო გეგმა თუ გვაქვს?“.

თუ მოვისმენთ ბევრი ქრისტიანის ტიპიურ პასუხებს მათ ცხოვრებაში შექმნილი კრიზისული სიტუაციების შესახებ, შეგვექმნება შთაბეჭდილება, რომ ზეცაშიც მსგავსი რეაქცია ჩნდება. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ ეუბნება მამა ღმერთი იესოს: „იესო, პასტორი ბობი თავისი ეკლესიდან გარიცხეს, რადგან ვიღაცის განკურნებისთვის ილოცა! რა თქმა უნდა, ის ამას არ მოელოდა! მხედველობაში ხომ არ გაქვს სხვა რომელიმე ეკლესია, სადაც ბობი წარიგზავნება პასტორად?“. ანდა „იესო, სარას და მის შვილებს არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ, რადგან მას ქმარი გაეყარა და ბავშვების ალიმენტს არ იხდის. უფრო უარესი, ეკონომიკა ძალიან რთულ მდგომარეობაშია და მას საკმარისი განათლება არ გააჩნია მუშაობის დასაწყებად! რა მოვუხერხოთ?“.

აბსურდულად უდერს, თუმცა ხშირად სწორედ ასე ვიქცევით, ასე ვრეაგირებთ განსაცდელებზე. ეს ნიშნავს, რომ სწორედ ასე აღვიქვამთ ღმერთს.

## იოსების ყველაზე დიდი გამოცდა

რისი თქმა შეგვიძლია სამართლიანობის შესახებ? იოსები, ბევრი ჩვენგანის მსგავსი ადამიანი რომ ყოფილიყო, იცით, რას მოიმოქმედებდა? შურისძიების გეგმებს შეიმუშავებდა. მისი აზრები მთლიანად წინააღმდეგობაში მოვიდოდა ღმერთის სიტყვასთან (იხ. რომ. 12:19;). „ციხეს თავს თუ დავაღწევ, ყველაფრისთვის ვაზღვევინებ. საუკეთესო ადვოკატს დავიქირავებ და ჩემს ძმებს სასამართლოში ვუჩივლებ! ან იქნებ არც ღირს ამდენი ფულის სასამართლოებში ხარჯვა? ავდგები და მე თვითონ დავხოცავ მათ. ისე გავაკეთებ, ვითომ ყველაფერი შემთხვევით მოხდა, ზუსტად ისე, როგორც თავად მომექცნენ“. იოსებს ასე რომ ეფიქრა, ღმერთი არასოდეს დაიხსნიდა მას საპყრობილედან. რატომ? იმიტომ, რომ თუ ასეთი გეგმის განხორციელებას გადაწყვეტდა, მაშინ მას ისრაელის თორმეტი

ტომიდან, ათი წინამძღოლის მოკვლა მოუწევდა! მათ შორის იქნებოდა იუდაც, რომლის შტოსაც მიეკუთვნება დავითი, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავად ქრისტე. ეს სიმართლეა, რადგან ისინი, ვინც იოსებს ასე უმართლოდ მოექცნენ, ის-რაელი პატრიარქები იყვნენ!

იოსები შეუპოვრად უნდა შებრძოლებოდა გონების დასკვნებს, არგუმენტებს, ფიქრებს და წარმოდგენებს, რაც ღმერთის გზებს ეწინააღმდეგებოდა. მას მტკიცე რწმენა უნდა ჰქონოდა ღმერთის აღთქმების მიმართ, რადგამ ყველაზე მთავარი გამოცდა წინ იყო.

საპყრობილები კიდევ ორი ახალი ტყვე მიიყვანეს: ფარაონის მწდეთუხუცესი და მეპურეთუხუცესი. მათ შეიძინომგვრელი სიზმრები იხილეს და იოსებს გაუზიარეს. რაში მდგომარეობდა იოსების გამოცდა? მას შეეძლო ამ ადამიანებისათვის ღმერთის ერთგულების შესახებ ეთქვა, მაშინ როდესაც საკუთარი ცხოვრების ბოლო ათი წლის მანძილზე ასეთი რამ მისთვის უცხოიყო? აბა დაფიქრდით: იოსებმა ნახა სიზმარი, რომელშიც იგი თავისი ძმების ბატონი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამ სიზმრიდან არაფერი არ ახდა. იოსები ბევრი დღევანდელი ქრისტიანის მსგავსი ადამიანი რომ ყოფილიყო, იგი ამ ორ პატიმარს ეტყოდა: „მაშ, ნუხელ სიზმარი დაგესიზმრა. ჰო, მართლა, მეც ვნახე ადრე სიზმარი, ამიტომ თავი დამანებეთ“.

თუ მისი პასუხი ასეთი იქნებოდა, მაშინ ის საპყრობილები ჩარჩებოდა და სიცოცხლეს იქ დაასრულებდა, როგორც ერთი დაბოლმილი ადამიანი და სიკვდილის წინ ასეთ რამეს იტყოდა: „ღმერთი არ არის ერთგული. ის არ ასრულებს თავის დანაპირებს“. ასეთი ქცევით იოსები მიზანთან მისასვლელ გზას გაანადგურებდა, რადგან ორი წლის შემდეგ სწორედ მწდეთუხუცესი აცნობებს ფარაონს, რომ იოსებს სიზმრების ახსნა შეუძლია. სწორედ საკუთარი სიზმრის ასახსნელად გამოიყვანა ფარაონმა იოსები საპყრობილედან. ამ უნარის მეშვეობით იგი მეორე კაცი გახდა ეგვიპტები – და ბოლოს, ცხრა წლის შემდეგ იხილა, თუ როგორ სცეს მას თაყვანი საკუთარმა ძმებმა, ზუსტად ისე, როგორც ეს მას დიდი ხნის წინ ქიზმრა.

იოსებმა ოცდაერთი წლის განმავლობაში ვერ დაინახა ღმერთის გეგმის განხორციელება. მაგრამ საბოლოოდ, ის მაინც აღსრულდა, რადგან ღმერთი თავისი აღთქმის ერთგულია. რამდენი ჩვენგანი წებდება, როდესაც სამი წელი ლოცულობს და პასუხს ვერ იღებს? ან სამი დღე ლოცულობს? ან სამი კვირა? რადგან ღმერთის მეთოდები და ვადები განსხვავდება, ჩვენ

მიდრეკილება გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მის სიტყვაში. მაგრამ ღმერთი არ აბრკოლებს ჩვენი სიზმრის შესრულებას, ეს ჩვენ ვუშლით ხელს მის აღსრულებას! ჩვენ გამძლეობა, შეუპოვარი რწმენა და მორჩილება გვჭირდება, ხოლო ამ ყველაფრისთვის საჭირო ძალა ღმერთის მადლშია. მისი უსასყიდლო საჩუქარი ყველასთვის ხელმისაწვდომია; ჩვენ უბრალოდ უნდა ვირწმუნოთ მისი სიტყვა და მტიცედ ვიდგეთ რწმენაში. მოვიმკით, თუ არ მოვდუნდებით.

როგორც აღვნიშნეთ, ვერცერთი კაცი და ვერცერთი დემონი ვერ შეაკავებს იმ გეგმას, რომელიც ღმერთმა შენი ცხოვრებისთვის გაითვალისწინა და თუ შენ მის ჭეშმარიტებაში იქნები ფესვგადგმული, მაშინ მისი სამეფოს შეუკავებელ ძალად გადაიქცევი. მაგრამ არის ერთი რამ რისი ცოდნაც გმართებს; მხოლოდ ერთ პიროვნებას შეუძლია მიზანთან მისვლაში ხელი შეგიშალოს, და ეს პიროვნება თავად შენ ხარ!

გავიხსენოთ ისრაელის ერი. ღმერთმა მოსე გაგზავნა, რათა ისინი ეგვიპტის მონობიდან დაეხსნა და აღთქმულ მიწაზე მიეყვანა. ღმერთის ნებას ეგვიპტიდან წამოსვლა და ქანაანში შესვლა წარმოადგენდა. მაგრამ, ურწმუნოების, არასწორი აზროვნების, წუწუნისა და მოსეს დადანაშაულების გამო მათ ვერ შეძლეს ამის გაკეთება.

მთელი იმ თაობის ადამიან- ვერცერთი კაცი და ვერ-  
ები, ქალებისა და იესო ნავეს ცერთი დემონი ვერ შეაკა-  
ძის გარდა, უდაბნოში დაიხ- ვებს იმ გეგმას, რომელიც  
ოცნენ. ისინი გამუდმებით იმას შენი ცხოვრებისთვის გაით-  
გაიძახოდნენ, რომ ღმერთი არ ვალისწინა.

იყო ერთგული, მაგრამ სინამდ-  
ვილეში თავად არ უერთგულეს

უფალს. და რადგანაც ისინი რწმენაში და მორჩილებაში შე-  
უპოვარი არ აღმოჩნდნენ, თავად შეუშალაეს ხელი საკუთარ  
თავს მიზნის მიღწევაში.

## გევობისათვის საჭირო ხასიათი

თავდაპირველად იოსები ენატარტარა და ტრაბახა იყო.  
თუმცა იგი ბოლომდე ასეთად არ დარჩა. ის ითმენდა განსაცდე-  
ლებს, რის შედეგადაც მმართველობისათვის საჭირო ხასიათი  
განუვითარდა. იოსები დედამიწაზე, მეორე, ყველაზე გავლე-  
ნიან კაცად იქცა. თუ იგი საკუთარი ძმების მიმართ გულში

სიმწარეს და უპატიებლობას შეუშვებდა, მაშინ შურს იძიებდა მათზე. როდესაც მთელს ქვეყანაზე დიდი შიმშილი ჩამოვარდა, მისი ძმები ეგვიპტეში ჩამოვიდნენ ხორბლის საშოვნელად. იოსებს შეეძლო ისინი საპყრობილები ჩაეყარა, ენამებინა ან დაეხოცა, მაგრამ იგი სრულიად საპირისპიროდ მოიქცა. უსასყიდლოდ მისცა ხორბალი და ეგვიპტის საუკეთესო მიწები. ისინი ამ ქვეყნის ყველაზე ხარისხიან საჭმელს მიირთმევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამას არ იმსახურებდნენ, იოსებმა ყველაფერი საუკეთესო მისცა მათ. იოსებს ძლიერი, მოწიფული – ქრისტეს მსგავსი – ხასიათი ჩამოუყალიბდა, მან აკურთხა თავისი ძმები, რომლებმაც წარსულში დაწყევლეს იგი; სიკეთე უყო მათ, რომლებმაც ის შეიძულეს (იხ. მათ. 5: 44-45;).

ყურადღებით წაიკითხეთ პეტრეს შეგონების დასკვნითი ნაწილი:

„წინაღუდექით მას მტკიცე რწმენით და იცოდეთ, რომ მსგავსი სატანჯველი თქვენს საძმოსაც ხვდება წუთისოფელში. მაგრამ ლმერთი ყოველგვარი მადლისა, რომელმაც მოგვიწოდა თავისი სამუდამო დიდებისაკენ ქრისტეში, თქვენი მცირეოდენი ტანჯვის შემდეგ სრულგყოფთ, გაგაძლიერებთ, განგამტკიცებთ და დაგამყარებთ ( 1 პეტ. 5:9-10);

ლმერთი ყოველგვარი მადლისა... სრულგყოფთ, გაგაძლიერებთ, განგამტკიცებთ და დაგამყარებთ.

ეს არის შენთვის და ჩემთვის მოცემული აღთქმა, რომელიც ოთხი ძალიან ძლიერი სიტყვით არის გამოხატული. ჯეიმს სთრონგი ასე განმარტავს თითოეულს:

1. სრულყოფა – „აღდგენა, განახლება შეკეთების ან რეგულირების მეშვეობით“.
2. გაძლიერება – „გამაგრება, დარწმუნებით მიბრუნება, რომელიმე მიმართულებით, შეკეთება, მკვეთრად დაფიქსირება“.
3. განმტკიცება – „გამყარება, გაძლიერება სულიერ ცოდნასა და ძალაში“.
4. დამყარება – „საძირკვლის ჩაყრა ნაგებობის ასაშენებლად“.

ეს ოთხი სიტყვა კარგად ასახავს იმ პროცესებს, რაშიც ლმერთმა იოსები გაატარა, რათა მზად ყოფილიყო მმართველობისათვის. ის გამოსწორდა, ანუ შეკეთებულ იქნა და აღარ

იყო ენატარტარა და მკვეხარა. იგი გაძლიერდა და მიაღწია იმ ადგილს, რომელიც ღმერთს მისთვის ქონდა განსაზღვრული. მისმა შეუპოვარმა მორჩილებამ, ერთი შეხედვით უმედო სიტუაციაში მას სიბრძნე, გამბედაობა და ძლიერი ხასიათი გამოუმუშავა.

ბოლო თავში ჩვენ ეშმაკთან პირდაპირ ბრძოლაზე ვისაუბრეთ, რომელსაც ღმერთის სიტყვიდან ველაპარაკებით. თუმცა ღმერთის სიტყვიდან ლაპარაკი ჩვენს ყველაზე ძლიერ იარაღად ვერ ჩაითვლება. ძლიერი იარაღი ღმერთის სიტყვის მორჩილებაში მდგომარებს. ეს მის ჭეშმარიტებაზე ფიქრს, ლაპარაკს და ამ ჭეშმარიტებით ცხოვრებას გულისხმობს. ღმერთი ტირის წინასწარმეტყველ იერემიას მეშვეობით: „სად არიან ისინი, ვინც სიმართლისათვის აღდგებიან ქვეყანაზე?“ (იხ. იერ. 9:3;). უფალი ჩვენი თაობის იოსებებს ეძებს. თუ ჩვენ შეუპოვარნი ვიქწებით მორჩილებაში და გაბედულად ვიღლაპარაკებთ ღმერთის სიტყვას, მაშინ ალსრულებულ ალთემებს, ჩამოყალიბებულ ხასიათს, დიდ ძალაუფლებას და მტრის დანგრეულ სიმაგრეებს მოვიმკით. ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანები კი დიდ სიკეთეს მიიღებენ ჩვენი შეუპოვარი რწმენის და მორჩილების შედეგად.

რა დიდებული ცხოვრებისათვის მოგიხმო ღმერთმა! უფალმა ჯერ კიდევ შენს დაბადებამდე შეიმუშავა გეგმა შენი ცხოვრებისათვის. იოსების მსგავსად, მღერთმა შენც მოგიწოდა. პეტრე ასე ასრულებს თავის შეგონებას:

„მოგწერეთ მცირე რამ თქვენს შესაგონებლად და დასამონმებლად, რათა ღვთის ეს მადლი, რომელშიც დგახართ, ჭეშმარიტია“ (1 პეტ. 5:12;)

შეუპოვარი მორჩილებისათვის საჭირო ძალის პოვნა ღმერთის მადლშია შესაძლებელი. ვიმედოვნებ, რომ ამის შემდეგ ღმერთის საკვირველი მადლი შენთვის უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს, ვიდრე მხოლოდ ცოდვების მიტევება და ზეცაში შესასვლელი სამუალებაა. ის გაცილებით მეტია!

## შეუპოვარის ლოცვა

„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც სოხოვთ მამას

ჩემი სახელით მოგცემთ თქვენ“

იოანე 16:23;

**კ**ეუპოვრობის შესახებ ჩვენი მსჯელობა სრულყოფილი ვერ იქნება, თუ ღმერთან პირადი ურთიერთობის საკითხს არ შევეხებით. როგორ უნდა მივიდეთ უფლის წინაშე და როგორ უნდა ვილოცოთ? მორიდებულად და მორცხვად, თუ აკანკალებული ხმით? მხოლოდ რაღაც „დიდი რამები“ უნდა ვთხოვოთ და თუ პასუხს ვერ მივიღებთ, გული არ უნდა გავიტეხოთ? რამდენ პროცენტიანი მოლოდინი უნდა გვქონდეს იმისა, რომ უფალი ჩვენს ლოცვებს უპასუხებს?

ვიცი, ეს კითხვები შეიძლება აბსურდულად გეჩვენოთ, მაგრამ ოც წელზე მეტ ხანს მოგზაურობისა და სხვადასხვა ლიდერებთან და მორწმუნებთან ერთად ლოცვის შემდეგ შემიძლია ვთქვა, რომ ზემოთ დასმული კითხვები საფუძველს არ არის მოკლებული. უამრავი მდარე, ძალის არ მქონე ლოცვა მომისმენია, რომელშიც არანაირი ძალა არ იყო. ბევრ ლოცვის მსახურებაზე ვყოფილვარ, სადაც ადამიანები აქეთიქით იყურებოდნენ, ბიბლიას კითხულობდნენ ან საგალობელს უსმენდნენ, არადა წესით უნდა ელოცათ. ზოგჯერ ვფიქრობ, ალბათ, ასეთ ქრისტიანებს ჰგონიათ, რომ ღმერთი იმის გამო შეისმენს მათ ლოცვას, რომ უბრალოდ ლოცვით მსახურებებს ესწრებიან, იმ დროს, როცა თავად დიდი ხანია შეწყვიტეს შეუპოვარი რწმენით ლოცვა და ყველაფერში ღმერთზე დაიმედება.

ბევრჯერ გული მტკენია, როდესაც მომისმენია, თუ როგორი ზერელე და ზოგადი ლოცვებით ლოცულობდნენ ლიდერები. მათი შემხედვარე, ვფიქრობდი, ესენი ასეთი დამოკიდებულებით რომ ესწრებოდნენ სამთავრობო შეხვედრებს, მთავრობის ხელმძღვანელი, ალბათ, ეტყოდა: „რისთვის მოხვედით? დროს ტყუილად მახარჯვინებთ!“. თითქოს ასეთი ქრისტიანები სიტყვებს არჩევენ, რათა თავი სულიერებად მოაჩვენონ ხალხს და არ სურთ მათ იმედი დაუკარგონ. ძალიან გულდასაწყვეტი ფაქტია, რადგან ეს დამოკიდებულება გვიჩვენებს, თუ რამდენად არარეალურია დღეს სულიერი სამყარო ბევრი ქრისტიანისთვის.

## იყავი გაბედული და გულმოდგინე

ღმერთი მთელი გულით მოგვიწოდებს: „გაბედულად მივეახლოთ მადლის ტახტს“ (ებრ. 4:16;). გაბედულება ნიშნავს იყო მხნე, შემტევი, ძლიერი და ურყყევი. გაბედულის ანტონიმებია: „გაუბედავი“, „მორიდებული“, „მერყევი“. აბა, დაფიქრდი: ღმერთი მოგიწოდებს, რომ მის წინაშე გაბედულებით, ძალით და სიმტკიცით წარსდგე, რათა ჩვენს საჭიროებებს უპასუხოს. ეს მისი სურვილია!

მოციქული იაკობი გვეუბნება: „რადგან ბევრი რამ შეუძლია მართლის ძლიერ ლოცვას“ (იაკ. 5:16;). „გულმოდგინე“ ნიშნავს „დიდი ენთუზიაზმის, მგზნებარე სულის და გრძნობების მქონეს“. ლექსიკონში აღმოვაჩინთ, რომ ამ სიტყვის სინონიმებია „მოშურნეობა“ და „გულანთებულობა“. იაკობს იმის თქმა უნდა, რომ ეფექტური ლოცვა წარმოადგენს გულმოდგინე ლოცვას. ხოლო არაეფექტური ლოცვა – ესაა გრძნობისა და მოშურნეობის გარეშე აღვლენილი ლოცვა.

როდესაც გესმის სიტყვა „გულმოდგინე“, აიგივებ კი სიტყვასთან „შეუპოვარი“? ეს სწორედ ასე უნდა იყოს. იაკობი ხაზს უსვამს ამ ჭეშმარიტებას და ამის დასამტკიცებლად წინასწარმეტყველ ელიას მაგალითს იყენებს:

„ელია ჩვენი მსგავსი კაცი იყო და ლოცვით ილოცა, რომ არ მოსულიყო წვიმა და არ მოსულა ქვეყნად წვიმა სამ წელსა და ექვს თვეს. და კვლავ ილოცა და ცამ მისცა წვიმა და მიწამ აღმოაცენა თავისი წაყოფი“ (იაკ. 5:17-18;)

ელიამ მთელი გულით – შეუპოვრად – ილოცა და შედეგად სასანაული მიიღო. მთელი გულით ლოცვა გულმოდგინე ლოცვის სინონიმია. ის განიმარტება, როგორც „სერიოზული განზრახვის მქონე, მიზანმიმართული; გულწრფელად მოშურნე“. გესმით რას ამბობს ღმერთის სიტყვა ეფექტურ ლოცვაზე? ეს საგსებით ნათელია: როდესაც ლვთის წინაშე მივდივართ სხვადასხვა საჭიროებებით, მას სურს რომ ეს ლოცვა იყოს გრძნობით, გულმოდგინებით და ძალით აღვსილი.

ელიამ ჯერ წვიმის შეწყვეტის თხოვნით ილოცა, შემდეგ კი წვიმისთვის. ბიბლია გვეუბნება, რომ „ელია ავიდა ქარმელის წვერზე; მიწაზე გაწვა და პირსახე მუხლებში ჩამალა“ ( 3 მეფ. 18:42;).

‘New Living Translation’-ის ინგლისურ თარგმანში ვკითხულობთ: „დაეცა მიწაზე და ლოცულობდა“. შემიძლია წარმოვ-

იდგინო, როგორ მგზნებარედ ლოცულობდა იგი ღვთის წინაშე. იგი დგება მუხლებზე, იხრება წინ და მუხლებში თავჩარგული შესძახის ღმერთს: „ღმერთო აბრამისა, ისააკისა და იაკონისა დამელაპარაკე; მითხარი, რომ გსურს წვიმა დააბრუნო.

ამიტომ მოგიხმობ მოავლინო ღრუბლები და აწვიმო, რათა მინამ ნაყოფი მოიტანოს! გთხოვ არ დააყოვნო, აწვიმე, რათა შენმა ხალხმა კვლავ გაიხაროს შენი სიკეთით!“. ეს არის შეუპოვრობით, მოშურნეობით და მთელი გრძნობით აღვლენილი სათხოვარი. ამის შემდეგ ელია თავის მოწაფეს ავალებს: „წადი, ზღვისკენ გაიხედე“ ( 3 მეფ. 18:43;).

წლების შემდგომ, რაც იერუსალიმში რეგულრულად დაიწყო წვიმის მოსვლა, ხალხი ხმელთაშუა ზღვიდან დასავლეთისკენ დაიძრა. ელიამ თავის მსახურს უთხრა ზღვისკენ გაეხედა, რათა ენახა ღრუბელი თუ მოჩანდა. იგი თავისი რწმენის მიხედვით მოქმედებდა. როცა ნამდვილად გვჯერა, ჩვენც ზუსტად ასე მოვიქცევით. ელიას მსახური ბრუნდება და მოაქვს ამბავი: „არაფერი ჩანს“.

ბევრი ჩვენგანი აქვე დაუსვამდა წერტილს ამ ამბავს? ხომ ასეა? ვიტყოდით: „იქნებ სწორად ვერ გავიგე. ალბათ, ღმერთი ისევ აპირებს ისრაელიანების დასჯას თავიანთი არასწორი საქციელის გამო. სანამ ახაბი მეფედ გვეყოლება, წვიმას ვერ ვიხილავთ“. ჩვენ არ შევეცდებოდით რწმენაში მტიცედ დგომას, არამედ ლოცვას შევწყვეტდით, შედეგად კი ღვთის ნება არ აღსრულდებოდა ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ ელია ასე არ მოქცეულა.

ელიამ იცის ღმერთის ნება და რომ ის თავის სიტყვას არ შეცვლის. ის კვლავ ლოცულობს ღვთის წინაშე და ღმერთს რწმენით და მხურვალე გულით მადლობას სწირავს. იგი მეორედაც აგზავნის თავის მსახურს ქარმელის მთაზე.

ლოცვა და რწმენა, რომელსაც შესაბამისი მოქმედება არ ახლავს, მორიგი რელიგიური რიტუალი და დროის ფუჭად ხარჯვაა. ლოცვაში გულმოდგინება ნიშნავს გულის, გონების, სამშვინველისა და სხეულის მომართვას იმის მისაღებად, რასაც უფალს ვთხოვთ და შესაბამისად, შენი მხრიდან სათანადო მოქმედებასაც. გამომდინარე იქიდან, რომ მტკიცედ გჯერა, რომ ღმერთის ნების შესაბამისად მოქმედებ, უარს ამბობ პა-

როდესაც ღვთის წინაშე მივდივართ სხვადასხვა საჭიროებებით, მას სურს რომ ეს ლოცვა იყოს გრძნობით, გულმოდგინებით და ძალით აღვსილი.

სუხად მიიღო „არა“. შენ იცი, რომ მდგომარეობების და სიტუ-აციების ცვლილება შესაძლებელია და შეიცვლება კიდეც.

მაგრამ ელიას მსახური იგივე პასუხით მოდის: „არაფერი ჩანს“.

ბევრი ჩვენგანი პირველ ჯერზე თუ არ დაყრიდა ფარ-ხმალს, მეორე პასუხის მოსმენისას აუცილებლად დანებდე-ბოდა. ჩვენ ძალიან კარგი თეოლოგიური მიზეზი და ახსნა-განმარტება გვაქვს ხოლმე იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ პასუხობს ღმერთი ჩვენს კონკრეტულ სათხოვარს დროის კონკრეტულ მონაკვეთში. მაგრამ ელიას არ გააჩნია ეს მიზეზი და ახსნა! ის განაგრძობს ლოცვას და მსახურს მესამეჯერ აგზავნის ამბის გასაგებად. პასუხი იგივეა. ასე აკეთებს მეო-თხედ, მეხუთედ, მეექვსედ და მეშვიდედ! (რა დამჯერი მსახ-ურია; ერთ დღეში შვიდჯერ გაგზავნეს ქარმელის მთაზე და შვიდჯერვე წავიდა. მარტო ელია კი არ იყო გულმოდგინე, არ-ამედ მისი მსახურიც!). მეშვიდედ მსახურმა ამბავი მოიტანა: „ლრუბელი მოჩანს, კაცის მუჭისოდენა, ზღვიდან ამოდის!“.

მუჭისოდენა ლრუბელი ვერ მოიყვანდა ისეთ წვიმას, როგო-რი წვიმისთვისაც ელია ლოცულობდა. მაგრამ ეს საკმარისია იმისათვის, რომ ელია მოქმედებაზე გადავიდეს. მან იცის, რომ მისი ლოცვა შესმენილია.

„თქვა ელიამ, წადი უთხარი ახაბს: „შეკაზმე და გაბ-რუნდი, წვიმამ არ მოგისწროს“. ამასობაში ცა მოიქუ-ფრა ლრუბლისა და ქარისაგან და წამოვიდა ხშირი წვიმა“ (3 მეფ. 18:44-45;)

ელიამ შვიდჯერ ილოცა და შვიდჯერ გაგზავნა თავისი მსახ-ური. ელია შეუპოვარია ლოცვაში, მონადინებულია პასუხის მისაღებად. სწორედ ასეთ ლოცვაზე საუბრობს იაკობი.

## პატარა ლრუბელი

ელიას პატარა ლრუბელი იმაზე მიგვითითებს, რომ პასუხს მივიღებთ, თუ შეუპოვარი რწმენით ვილოცებთ. სულინმიდა ემოწმება ჩვენს სულს (იხ. რომ. 8:16;). ეს არის ჩვენი პატარა ლრუბელი. ზოგჯერ ეს შეიძლება იყოს სიტყვა, ზოგჯერ სიხა-რუბლის გამოვლინება, ზოგჯერ კი გულში მოწმობა იმისა, რომ რასაც ვითხოვთ, მივიღებთ. როდესაც პატარა ლრუბლის გა-

მოჩენას შევამჩნევთ, შესაბამისად უნდა მოვიქცეთ, ისე როგორც ელია მოიქცა.

მახსოვს, როდესაც ლიზა ჩვენს მეოთხე შვილზე ფეხმძმედი იყო, ბავშვის გაჩენის სავარაუდო დროს ხუთი დღე გადაცილდა, თუმცა ეს ახალი ამბავი არ იყო, რადგან უფროსი შვილების გაჩენის დროსაც ასე მოხდა. მაგრამ ამ შემთხვევაში, ლიზა გრძნობდა, რომ დაგვიანების მიზეზი რაღაცა პრობლემა იყო. ბავშვმა მუცელში მოძრაობა დაიწყო. ლიზამ ექიმს დაურეკა და თავისი შემფოთების მიზეზი აუხსნა, მან კი უთხრა: „ხვალ მოდით სამშობიაროში და დავაჩქარებთ მშობიარობას“.

მეორე დილას, როდესაც ექიმმა ლიზა გასინჯა, გვითხრა რომ მშობიარობის პროცესი რაც შეიძლება მალე უნდა დაწყებულიყო. გვითხრა, რომ წავსულიყავით და ფეხით გვევლო, რათა ფიზიკურ დატვირთვას ჭინთვები გამოეწვია. შუადლისკენ ლიზა დაიღალა და სამშობიაროს პალატაში დავბრუნდით დასასვენებლად. მან მითხრა: „ჯონ, გარეთ გადი და ილოცვ. თუ მალე არ დამეწყება მშობიარობა, ექიმები იძულებული გახდებიან სხვა ზომებს მიმართონ და მე ეს არ მინდა“.

ეს შესაძლოა ყოფილიყო პიტოცინის (მშობიარობის და-საჩქარებელი წამალი) მიღება, რაც ხერხემალში ანესთეზის გაკეთებას გულისხმობდა. ასეთი რამ ჩვენი პირველი შვილის დაბადებისას დასჭირდა ლიზას და შემდეგ დიდი ხნის მანძილზე წელი ანუხებდა. არსებობდა კიდევ ერთი ფაქტორი: ეს ძვირად ლირებული პროცედურა გახლდათ. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი მსახურება ჯერ ისევ საწყის ეტაპზე იმყოფებოდა, სამედიცინო დაზღვევა არ გაგვაჩნდა. მცირე შემოსავლიან ოჯახს წარმოვადგენდით.

გამოვედი სამშობიაროდან და იქვე ახლოს ვიპოვე ადგილი, სადაც ლოცვას მოვახერხებდი. გულანთებული ვლოცულობდი. ორმოცდა ხუთის შემდეგ ლიზას ოთახში დავბრუნდი, სადაც იგი იგივე მდგომარეობაში დამხვდა. ერთი საათი ლიზა-სთან დავყავი და შემდეგ ისევ სალოცავად წავედი. ღმერთის მიმართ ჩემი თხოვნა უფრო გაძლიერდა. სიტუაცია ამჯერა-დაც უცვლელი იყო.

კიდევ ერთი საათი გავჩერდი ლიზასთან. ლიზას ნერვიულობა ემატებოდა, რაც ბევრი მიზეზით იყო გამოწვეული, მაგრამ მთავარი დარდი მაინც ბავშვის უსაფრთხოებას უკავშირდებოდა. ლიზა მეხვეწებოდა: „ჯონ, გთხოვ წადი და გააგრძელე ლოცვა. ძალიან ვნერვიულობ“.

მესამედ წავედი ჩემს სამღლოცველო ადგილას. ამჯერად უფრო მეტი მონდომებით ვლოცულობდი. ჩემი ლოცვა უფრო

ძლიერი და ხმამაღალი იყო; მთელი ძალით ვცდილობდი უფლისთვის ხმა მიმეწვდინა. ლიზას სახეზე ძალიან დიდი შიში აღბეჭვდოდა და მსურდა მენუგეშებინა იგი. ინგლისურად ვლოცულობდი და ღმერთს ჩემთვის მოცემულ აღთქმებს ვახ-სენებდი. შემდეგ კი სულით გავაგრძელე გულმოდგინე ლოცვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, გულში გარკვევით გავიგონე: „შენი შვილი დღეს დაიბადება და ხვალ ამ დროს დედაც და შვილიც სახლში ჯანმრთელები დაბრუნდებიან“. სულიწმი-დამ დამიმონმა, რომ ჩემი ლოცვა შესმენილი იყო. მან „ მუჭის ოდენა პატარა ღრუბელი“ მომცა. მე მზად ვიყავი მოქმედე-ბაზე გადასასვლელად.

წუთი საათისთვის ლიზასთან დავბრუნდი და ვუთხარი: „არ-დენი დღეს დაიბადება და ორივენი ხვალ ამ დროს სახლში ჯანმრთელები დაბრუნდებით“. ლიზას ნუგეში მიეცა. მაგრამ რადგან გარკვეული ხნის მანძილზე კვლავ არაფერი იცვ-ლებოდა, ღმერთის დანაპირები შეუძლებლად ჩანდა. ლიზას სამშობიარო ჭინთვები არ ეწყებოდა. მაშ, ასე მალე როგორ დაიბადებოდა ბავშვი? მაგრამ მე უკვე დანახული მქონდა პა-ტარა ღრუბელი!

საღამოც გავიდა და მედპერსონალი უკვე ალტერნატიულ გზებზე მსჯელობდა. ლიზამ კიდევ რამდენჯერმე მთხოვა: „ჯონ იქნებ წასულიყავი და გელოცა?“.

– „არ არის საჭირო. ბავშვი შუაღამემდე დაიბადება“, – ვუთხარი მე.

რაც დრო გადიოდა, მეტად მძაფრდებოდა ფიქრები და მიბიძგებდა ფარ-ხმალი დამეყარა, და ეჭვი შემეტანა ღმერთის სიტყვაში, რომელიც გარკვევით მოვისმინე გულში. თუმცა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ღმერთმა ისმინა ჩემი თხოვნა, კვლავ მტკიცედ დგომას ვცდილობდი.

ბოლოს, თერთმეტი საათისთვის ლიზას სამშობიარო ჭინ-თვები დაეწყო. არდენი 11:51 წუთზე დაიბადა. მას ჭიპლარი ძალიან მჭიდროდ ქონდა კისერზე შემოხვეული. მახსენდება რა საშინელი შესახედავი იყო მისი თავი, რომელიც ტანისგან გან-სხვავებით სრულიად სხვა ფერისა იყო. დახრჩობას (ჰოტალა უკლდა. ექიმმა სწრაფად გადაჭრა ჭიპლარი და არდენი სხვა ოთახში უფრო დეტალური გამოკვლევებისთვის გაიყვანეს.

მეორე დღეს, სამშობიარო 3:30-ზე დავტოვეთ. ლიზა და არ-დენი 4:30-ზე უკვე სახლში იყვნენ. ის, რაც ღმერთმა მითხრა, ზუსტად შესრულდა.

## ითხოვე და განაგრძე თხოვნა

ბევრმა ჩვენგანმა იცის ქრისტეს სიტყვები: „ითხოვეთ და მოგეცემათ. ეძიეთ და იპოვით. დააკაკუნეთ და გაგელებათ“ (ლუკ. 11:9;). ეს მუხლი მეფე იაკობის ბიბლიის ახალი ვერსიიდან არის აღებული. ახლა კი მოდი ვნახოთ რა წერია ამ მუხლში ბიბლიის სხვა თარგმანში (Amplified Bible):

„ამიტომ გეუბნებით თქვენ, ითხოვეთ და განაგრძეთ თხოვნა და მოგეცემათ; ეძებეთ და განაგრძეთ ძებნა და იპოვით; დააკაკუნეთ და განაგრძეთ კაკუნი და გაგელებათ. რამეთუ ყველა, ვინც ითხოვს და განაგრძობს თხოვნას, ილებს; და ვინც ეძებს და განაგრძობს ძებნას, ის პოულობს; და ის, ვინც აკაკუნებს და აგრძელებს კაკუნს მას კარი გაელება“ (ლუკ. 11:9-10;)

როგორც ხედავ, იესო მოგვიწოდებს შეუპოვრად ვითხოვოთ, ვეძებოთ და ვაკაკუნოთ. რატომ? რა, ღმერთს ცუდად ესმის? რა თქმა უნდა, არა! აქ საკითხი ეხება იმას, თუ რამდენად ნამდვილად გვწამს. მინახავს ხალხი, რომელიც მომართული იყო მისაღებად და მინახავს ისეთებიც, რომლებიც ისწრაფოდნენ მისაღებად. სათხოვრის შემდეგ ხელცარიელი დარჩენა ალტერნატივად არ განიხილება. მეორე მხრივ, ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ ისწრაფვის მიიღოს, უფრო ადვილად ნებდება. თუ ნამდვილად გვწამს, მაშინ ჩენ თხოვნას ვაგრძელებთ, და რაც მეტად გრძელდება მიღების დრო, მით მეტად ძლიერდება ჩვენი ლოცვა.

დაუკუკირდეთ გაკვეთილს, რომელსაც თვით უფალი გვასწავლის:

„უთხრა მათ იგავი იმის შესახებ, რომ ყოველთვის უნდა ილოცონ და არ მოძეზრდეთ (არ დანებდნენ). თქვა: ერთ ქალაქში იყო ერთი მსაჯული, ღვთისა არ ეშინოდა და ხალხისა არ რცხვენოდა. იმავე ქალაქში ცხოვრობდა ერთი ქვრივი. მივიდა მასთან და უთხრა: „დამიცავი ჩემი მოქამბისაგან“. დიდხანს უარობდა. მერე თავისთვის თქვა: ‘მართალია, ღვთისა არ მეშინია და ხალხისა არ მრცხვენია, მაგრამ რაკი ეს ქვრივი მოსვენებას არ მაძლევს, დავიცავ, რომ ალარ მოვიდეს და თავი არ მომაბეზროს‘. თქვა უფალმა: გესმით, რას ამბობს უსამართლო მსაჯული? განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ, რომელნიც დღედაღამ მას შეღაღადებენ, და არ იქნება სულგრძელი მათდამი? თქვენ გეუბნებით: მალე დაიცავს მათ. მაგრამ, როცა კაცის ძე მოვა, ნეტა ჰპოვებს ამქვეყნად რწმენას?“ (ლუკ 18:1-8;)

დაუკვირდით იესოს სიტყვებს: „და არ მობეზრდეთ“. ეს მხოლოდ კარგი აზრი როდია; ეს ღმერთის ნებაა, რომ არასდროს დაწებდეთ.

მოცემულ იგავში ეს ქალი ისე შეუპოვრად ითხოვს, რომ უსამართლო მსახურიც კი აამოქმედა. მარტივად რომ ვთქვა, მსაჯული სიგიურემდე მივიდა ამ ქალის დაუინებულობის გამო და მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა მისი დახმარება, რომ თავიდან მოეშორებინა იგი. მე მაკვირვებს ის, რომ იესომ ეს მაგალითი იმისთვის მოიყვანა, რომ ჩვენ ვისწავლოთ, როგორ ვთხოვოთ ლმერთს. შემდეგ მაცხოვარი იმ მორწმუნების შესახებ ამბობს, რომელნიც დღე და ღამ მას შედალადებენ: „ განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ?“. ლმერთი უსამართლო არ არის. მას კარგი უნდა ჩვენთვის. ამიტომ, როდესაც ჩვენ მომართულნი ვართ მისაღებად უფალი მალევე პასუხობს ჩვენს ლოცვებს, როგორც ეს ამ ქალის შემთხვევაში მოხდა.

აქ საჭიროა ცოტა მეტი განმარტება გავაკეთოთ ამ საკითხ-თან დაკავშირებით. ამ იგავის არასწორად გაგების შედეგად, ზოგიერთმა ადამიანმა შესაძლოა დღე და ღამე ერთი და იმავე საკითხზე ლოცვა დაიწყოს. სინამდვილეში იესო ამის წინააღმდეგ გვაფრთხილებს: „ხოლო ლოცვის დროს ნუ ილაპარაკებთ ზედმეტს (ნუ გაიმეორებთ ერთი და იგივე სიტყვებს) წარმართებივით, ვინაიდან მათ ჰგონიათ, რომ თავიანთი მრავალსიტყვაობის გამო შესმენილ იქნებიან“ (მათ. 6:7;). აქ, მთავარი საკითხი, გაუაზრებელი სიტყვებისაგან შემდგარი ლოცვების გამეორების სიხშირეში კი არ მდგომარეობს, არამედ ლვთის წინაშე ჩვენი თხოვნის შეუპოვრად, გულმოდგინედ და რწმენით მიტანაში. მის წინაშე გაბედულება გვაქვს ლოცვაში, როდესაც ვიცით, რომ მისი ნებისამებრ ვთხოვთ და ამის შედეგად მივიღებთ, რასაც ვითხოვთ. ელია არცერთ შემთხვევაში არ მიიღებდა უარყოფით პასუხს. ის მომართული იყო თავისი ლოცვის მეშვეობით ცვლილება ეხილა. მან მანამდე ილოცა, სანამ პასუხი არ მიიღო.

## მოშურნედ ძეგნა და კაპუნი

იესო იმას კი არ ამბობს, რომ მხოლოდ თხოვნა გავაგრძელოთ, არამედ ძებნაც და კაკუნიც. გულმოდგინე ლოცვა მხოლოდ ჩაკეტილ ოთახში ლაპარაკს არ გულისხმობს; ის მოიცავს ბეჯით ძიებას და კაკუნს. სხვა სიტყვებით რომ ვთქ-

ვათ, ჩვენ იმის მიხედვით ვცხოვრობთ, რასაც ვითხოვთ. ეს კი უმთავრესი ფაქტორია შედეგის მისაღებად.

ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო საკუთარი ცხოვრებიდან. რამდენიმეს გაგიზიარებთ:

მე და ლიზას საშუალება მოგვეცა კონფერენციის დაწყებამდე ორი დღე ჰელს კუნძულებზე, კერძოდ კი მაუიზე, გაგვეტარებინა. ეს დრო ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, რადგან კარგა ხანი ერთად არსად აღარ ყვითებოდა დასასვენებლად წასული და თან ლიზას მამაც ახალი გარდაცვლილი იყო. მე სპეციალურად დავგეგმე ეს დრო ჩვენთვის.

გამგზავრების დღე ახლოვდებოდა. ამინდის პროგნოზი კი უცვლელი იყო: გადაუდებელი თავსხმა წვიმები! ცუდი ამინდი, რა თქმა უნდა, ხელს შეგვიშლიდა ჩვენი გეგმების განხორციელებაში, ამიტომ გულით ვილოცე, რომ არ ეწვიმა, ამინდს ვუძრობანე შეცვლილიყო და ზეციურ ანგელოზებს ვთხოვე ჩემი ლოცვა სისრულეში მოეყვანათ.

„იწვიმებს, იწვიმებს,“ – გაიძახოდა ლიზა.

მე კი ვპასუხობდი: „კარგი ამინდი გამოვა. ყველაფერი მშვენივრად იქნება“.

ჰელს საღამოს ჩავედით. მოლრუბლული, ულიმლამო ამინდი დაგვევდა. სასტუმროში ტელევიზორი ჩავრთე. მინდოდა მცოდნოდა რას იუწყებოდნენ სინოპტიკოსები. აღმოჩნდა, რომ უამინდობა იყო არა მხოლოდ ჰელს კუნძულებზე, არამედ წყნარი ოკეანის სანაპირო ზოლის დიდ წანილზეც.

დილას სასტუმროს ნომრის ფარდები გავწიე, რომ მოქუფრული ცა და თავსხმა წვიმა დამენახა. შავ ღრუბლებში სინათლის მცირე ნარლვევიც კი არ მოჩანდა. გამოცხადებული ამინდის პროგნოზი მართლდებოდა. მაგრამ მე მაინც ჩემი ლოცვის იმედი მქონდა. უფალს შევძახე: „მადლობა მამაც ამ მშვენიერი მზიანი დღისთვის. მინდა, რომ ჩემი ცოლი საცურაო კოსტიუმში დავინახო – მზის ქვეშ მწოლიარე და დასვენებული“.

ლიზას ეცინებოდა ჩემს უგუნურ საქციელზე. მეც ავყევი მას, მაგრამ სინამდვილეში სერიოზულად ვუყურებდი არსებულ მდგომარეობას. დანებებას არ ვაპირებდი. წავედით სასაუზმედ. ამინდის გამო რესტორნის თანამშრომლებს გარეთ ეზოში მდგარი მაგიდების ნახევარი სასტუმროს ფოიეში შემოეტანათ.

როდესაც საუზმე მოგვიტანეს, მოლრუბლულ ცას გავხედე და მიზანმიმართულად ვილოცე: „უფალო, მადლობა ამ საზ-

რდოსთვის, ასევე გმადლობ მშვენიერი და მზიანი დღისათვის!“.

ლიზამ გაიღიმა და გამეხუმრა: „ჯონ, არ სჯობს ისეთი რა-მისთვის ილოცო, რაზეც ვიცით, რომ პასუხის მიღება შესაძლებელია?“ – ორივეს გაგვეცინა. ის ხმირად მეხუმრება ხოლმე.

– „საყვარელო, მე ამ ყველაფერს სერიოზულობით ვეკიდები“, – ვუთხარი მას. – „მშვენიერი დღე იქნება“.

ამასობაში ოფიციანტი მოგვიახლოვდა, რათა გაეგო რამე ხომ არ გვჭირდებოდა.

– „შეიძლება კიდევ რაღაც გთხოვო?“ – ვკითხე მე მას – „შეგიძლიათ წვიმა გააჩიროთ?“.

ყველამ კარგად ვიცინეთ. მაგრამ, სანამ საუზმეს დავასრულებდით, წვიმა შეწყდა, მუქი ღრუბლები გაიფანტა, ცა გაიხსნა და კაშკაშა მზე გამოვიდა. იმ დანარჩენი დროის მანძილზე, რომელიც მაუიში გავატარეთ, აღარ უწვიმია და მზეს ღრუბლის ნაფლეთიც კი არ მოფარებია.

მოგვიანებით ჰავაის სხვა ნაწილში, ოაჰუში წავედით კონფერენციაზე დასასწრებად. იქ ჩასვლისას რამდენიმე ადგილობრივმა მცხოვრებმა გვითხრა, რომ სწორედ იმ დღეების მანძილზე, როდესაც ჩვენთან მაუიში მზე ანათებდა, მათან გადაუღებლად წვიმდა. მეტიც, ჩვენ ოუს ყველაზე ნაკლებად ნალექიან ნაწილში ვიყავით, თუმცა დიდი წვიმების გამო სანაპირო ჩაკეტილი დაგვხვდა, რადგან მოცემულ მომენტში რკეანესთან მიახლოება სახიფათო იყო. იქაურ მცხოვრებლებს გაუკვირდათ, როდესაც ვუთხარით, რომ მაუიში კარგი ამინდები იყო.

მე მწამს, რომ ჩვენმა საკვირველმა ღმერთმა ჩემს დაუინებულ თხოვნას უპასუხა და ამინდი შეცვალა.

## წიგნები მათთვის, ვისაც აუცილებლად სჭირდება

ეს ისტორია იმიტომ გაგიზიარეთ, რომ დაგანახოთ რამდენად მცდარია აზრი იმის შესახებ, თითქოს ღმერთი მხოლოდ „დიდ სათხოვრებს“ პასუხობს. ის ჩვენი ცხოვრების ყოველ დეტალზე ზრუნავს. ის ჩვენი მამა! მაგრამ, ახლა დავამოწმებ იმის შესახებ, თუ როგორ პასუხობს ღმერთი უფრო მნიშვნელოვან ლოცვას: ლოცვას მათთვის, ვინც ამას საჭიროებს.

მე და ლიზას გვჯერა, რომ ჩვენი წიგნები ღმერთისგან ბო-

ძებული უწყებაა მსოფლიო ეკლესიისათვის. როცა ამ წიგნებზე ვლაპარაკობ, ხშირად ვამბობ, რომ ერთადერთი მიზეზი, თუ რატომ აწერია ამ წიგნებს ჩემი სახელი, არის ის, რომ პირველი მე ვარ, ვინც მათ კითხულობს.

აქედან გამომდინარე ჩვენ ღმერთი ჩვენი ცხოვრების სერიოზული სახლმმართველობა ყოველ დეტალზე ზრუნავს. დაგვეკისრა. მე და ლიზა პასუხ-ისმგებლები ვართ ვილოცოთ, რომ გამოჩნდეს საშუალებები, რათა ამ გზავნილებმა მსოფლიოში არსებულ ეკლესიებამდე მიაღწიოს.

ახლა, როცა ამ წიგნს ვწერ, ჩემი წიგნები სამოცზე მეტ ენაზეა ნათარგმნი. ჩვენი ლოცვაა, რომ შევძლოთ ეს წიგნები უსასყიდლოდ, საჩუქრად გადავცეთ განვითარებადი, ჩაკეტილი ქვეყნების ხუცესებსა და ლიდერებს. მეტიც, გვინდა, უფრო მეტი საჩუქრად იყოს გადაცემული, ვიდრე გაყიდული.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩვენ დაახლოებით 250 000 წიგნი დავურიგეთ ლიდერებს ჩინეთში, ირანში, პაკისტანში, ინდოეთში, ფიჯიში, ტანზანიაში, რუანდაში, უგანდასა და სხვა ერებში. თუმცა ჯერ ისევ შორს ვართ ჩვენი მიზნის შესრულებასთან, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება მეტი გავაჩუქოთ, ვიდრე გავყიდოთ, რადგან ეს წიგნები მილიონობით ტირაჟით იყიდება.

2011 წლის დასაწყისისათვის, როდესაც ჩვენი ლიდერთა გუნდი მომავლის სტრატეგიაზე მუშაობდა, აღმოვაჩინე, რომ 2010 წელს, ჩვენ მხოლოდ 33 000 წიგნი გვქონდა გაჩუქებული. დიდი მსჯელობის შემდეგ, განვაცხადე: „წელს ჩვენი მიზანი იქნება სხვა ქვეყნების ლიდერებს 250 000 წიგნი გადავცეთ უსასყიდლოდ“.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ჩვენი გუნდის ერთმა წევრმა თქვა: „ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი რაოდენობაა. კარგი იქნება ეს აზრი ჩვენს ფინანსურ პარტნიორებს გავუზიაროთ. დრო გვჭირდება ამისათვის. შეიძლება ამჯერად 100 000 ცალზე შევჯერდეთ და ეს რაოდენობა მომავალი წლისთვის გავზარდოთ?“.

არა, ღმერთს უნდა ვერწმუნოთ და საჭიროებაში მყოფ სხვადასხვა ქვეყნის მსახურებს დახმარება გავუწიოთ,“ – ვუთხარი მას – „ორას ორმოცდაათი ათასი არ არის მაინცდამაინც დიდი რაოდენობა დასაწყისისათვის“.

მსჯელობა გაცხარდა. ერთ-ერთმა თანამშრომელმა დამატებითი მიზეზი გაგვიზიარა, თუ რატომ იყო ჩემს მიერ დასახელებული ციფრი ძალიან დიდი. იგი ცდილობდა ყველა დაერწმუნებინა, რომ ეს წინადადება სათანადო არგუმენტებს იყო მოკლებული. მისი გათვლები ზუსტი და ლოგიკური იყო, მაგრამ ის ამ მსჯელობაში ღმერთის მადლს არ ითვალისწინებდა.

მე უფრო მტკიცედ დავდექი ჩემს აზრზე. „ხალხო, სხვა არცერთ მსახურებას არ გააჩნია ეს წიგნები; ღმერთმა ისინი ჩვენ მოგვანდო. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია დავარიგოთ „სატანის სატყუარა“, „საფარქვეშ“, „ძუ ლომის გამოღვიძება“, „მარადისობით ამოქმედებული“, „არაჩვეულებრივი“ და სხვა. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ღმერთს მივენდოთ ამ საკითხში. ჩვენ დიდი მიზნები უნდა დავისახოთ“.

წინააღმდეგობა გრძელდებოდა. აქ უკვე ხმას ავუნიე და გავჯიუტდი: „მე არ მინდა, როდესაც ქრისტეს სამსჯავროს წინაშე ნარგვადებით ასეთი ახსნა-განმარტების ჩაბარება მოგვიწიოს იმის შესახებ, თუ რატომ ვითხოვდით ასე ცოტას. არანაირი სურვილი არ მაქვს რომ სამსჯავროს დღეს ხუცე-სებმა გვკითხონ: „რატომ არ მოგვაწოდეთ წიგნები, რომლებიც ღმერთმა მოგანდოთ?“. ამ საკითხში ანგარიშის ჩაბარება სხვა მსახურებებს კი არ მოუწევთ, არამედ მხოლოდ ჩვენ!“.

ატმოსფერო დამძიმდა. შეხვედრა უთანხმოებით დასრულდა. ვწუხდი, რომ ასეთი დაძაბული სიტუაცია შეიქმნა და ასეთი ინტენსიური საუბარი მომიხდა. ჩვენი განყოფილების ხელმძღვანელები გულწრფელი, ღვთისმოშიში ადამიანები არიან, რომლებსაც კარგი უნდათ ამ მსახურებისთვის. მაგრამ მე გულში ვიცოდი, რომ ამ საკითხში მათვის არ უნდა დამეთმო. მნიშვნელოვანი იყო, განვითარებადი ქვეყნების, სულიერად მოწყურებული ხუცესებისა და საჭიროებაში მყოფი ეკლესიების მხარე დამეჭირა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი განყოფილების ხელმძღვანელი მოვიდა ჩემთან: „ჯონ, ჩვენ იმას გავაკეთებთ, რაც შენს გულშია. ჩვენ აქ იმიტომ ვართ, რომ შენი და ლიზას ხედვები განვახორციელოთ. ისევ ფიქრობ, რომ 250 000 წიგნი უნდა გავაჩუქოთ. თუ ლოცულობ და გჯერა, რომ ეს ასე იქნება, მაშინ ამ საქმეში მთლიანად შენს გვერდით ვდგავართ. ჩვენ ვილოცებთ და ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის“.

მე კვლავაც ვაგრძელებდი ღმერთთან თხოვნას და მჯეროდა, რომ ჩვენი მიზანი 250 000 წიგნი უნდა ყოფილიყო. კარი გახსნილი იყო წიგნების დასარიგებლად ისეთ ქვეყნებში, რო-

გორიცაა ვიეტნამი, ლიბერია, ჩინეთი, ირანი, თურქეთი, განა, ტაჯიკეთი, ლიბანი, ბირმა და სხვა ერები. ვიცოდით, რომ მოთხოვნა უფრო გაიზრდებოდა. ამ რაოდენობის წიგნის დაბეჭდვა და მსოფლიოს მასშტაბით გავრცელება 600 000 - 700 000 აშშ დოლარამდე დაჯდებოდა. ეს ჩვენთვის იყო უზარმაზარი თანხა, მაგრამ არა ღმერთისთვის.

ორი კვირის შემდეგ ჩვენი გუნდის წევრებმა ფლორიდაში დამირეკეს, ამ დროს სასტუმროში ვიმყოფებოდი, გახარებული ხმით მაცნობეს: „ჯონ 300 000 დოლარის ჩეკი უკვე მივიღეთ სხვა ქვეყნებისათვის წიგნების დასაბეჭდად“. ისე გამიხარდა, რომ ჩემი ოთახის აივანზე, შეიძლება ითქვას, ვყვიროდი.

აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა ჩვენი ხედვა ერთ ტექსასელ ბიზნესმენს გაუზიარა. და სწორედ მან გადმოგვცა ჩეკი. ყველაზე დიდი შემოწირულობა, რაც ჩვენს მსახურებას ბოლო ოცი წლის მანძილზე მიუღია 50 000 დოლარს შეადგენდა. ეს ნამდვილი სასწაული იყო! ჩვენს ხელთ უკვე არსებული თანხა 150 000 წიგნის დაბეჭდვას ეყოფოდა. საოცარი ის იყო, რომ ჩვენს მიერ 2011 წლისთვის დასახული მიზანი ნახევრად უკვე შესრულებული იყო, არადა ჯერ მხოლოდ თებერვლის თვე იდგა! ეს ტელეფონის ზარი ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა – შემართება მოგვემატა და სიხარულით აღვიფსეთ.

სანამ ყურმილს დავკიდებდი, ვუთხარი: „ხალხო, ახლა ხომ გესმით რატომ ვჯიუტობდი ორი კვირის წინ?“.

ჩვენი განყოფილების ხელმძღვანელმა, რომელიც იმ შეხვედრაზე ყველაზე მეტად მიწევდა წინააღმდეგობას, გაიცინა და თქვა: „მაშინ მეგონა რომ მეტყოდი: „მომცილდი სატანავ“ – ორივემ გულიანად გავიცინეთ.“

იმ დღეს ლიზამ ასეთი რამ თქვა: „ღმერთს არ სურს ის ვირწმუნოთ, რაც ისედაც შესაძლებელია; მას სურს შეუძლებელი დავიჯეროთ. თუ მიზანზე ორიენტირებულები არ ვიქნებოდით, ეჭვი მეპარება, რომ ღმერთს 300 000-იანი ჩეკი ჩაეგდო ჩვენთვის ხელში“. მე დავეთანხმე ლიზას. მისი სიტყვები სიბრძნეს ღალადებდნენ.

წლის ბოლოს ორმოცდაერთი ქვეყნის ლიდერებს 250 000 წიგნი გადაეცათ საჩუქრად. ეს შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი პარტნიორების და თანამსახურების ლოცვისა და გვერდში დგომის გარეშე. ამ მსახურების შედეგად მიღებულ დამოწმებებს წიგნების მრავალი ტომიც კი ვერ დაიტევს.

ამ მოვლენამ მთელი ჩვენი გუნდი რწმენაში გაზარდა და განამტკიცა. ამ მიზნის მიღწევას გამუდმებული ლოცვა, ძიება და კაკუნი დასჭირდა, რათა ბევრ ადგილას კარი გახსნილიყო და მრავალი ადამიანის ცხოვრება შეცვლილიყო. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთს „შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ“ (ეფეს. 3:20;). ნება არ უნდა დავრთოთ ჩვენს შემოსაზღვრულ ადამიანურ გონებას, რომ ღმერთი შეზღუდოს ფიქრებში და რწმენაში. თუ ჩვენ ნამდვილად გვჯერა, მაშინ ჩვენი ლოცვა დაუინებული იქნება და მანამ გავაგრძელებთ კაკუნს, სანამ მის დიდებას არ ვიხილავთ.

## რას ელოდები?

სასუფევლის გავრცელება ბუნებრივ სფეროში არ მოხდება, ვიდრე ის ჯერ სულიერ სფეროში არ განხორციელდება. პავლე მიუთითებს ტიმოთეს: „იღვანე რწმენის კეთილი ღვანლით, ჩაეჭიდე საუკუნო სიცოცხლეს, რომლისთვისაც მოწოდებული ხარ“ (1 ტიმ. 6:12;). ფლობდე საუკუნო სიცოცხლეს ნიშნავს ჩაეჭიდო იმას, რითაც იესომ უზრუნველებული, ამას კი მთელი გულით რწმენა სჭირდება. როდესაც ღმერთი ასეთ დამოკიდებულებას ხედავს თავის შვილებში, იგი მოქმედებას იწყებს.

„რწმენის გარეშე შეუძლებელია ღმერთის მოსაწონად ყოფნა“ – გვეუბნება ებრაელთა მიმართ წერილი(11:6;): „ვინაიდან, ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს და თავის გულმოდგინედ მაძიებელს სანაცვლოს მიაგებს!“. აქ არ წერია, რომ ღმერთი სანაცვლოს მიაგებს მას, ვინც ისე, უბრალოდ ეძებს მას, არამედ ვინც გულმოდგინედ ეძებს მას. ღმერთი მოშურნე, გულიან და შეუპოვარ მაძიებელს პასუხობს.

იგივეს ამბობს ღმერთი წინასწარმეტყველ იერემიას მეშვეობით:

„რადგან მე ვიცი ის ზრახვები, რაც მე განვიზრახე თქვენზე, - სიტყვა უფლისა, - ზრახვები მშვიდობაზე, რომ მოგცეთ თქვენ მომავალი და იმედი. და მომიხმობთ მე, და წახვალთ და შემევედრებით, და მე მოგისმენთ თქვენ. მეძიეთ და მიპოვნით, როდესაც მეძიებთ მთელი თქვენი გულით. ნაპოვნი ვიქნები თქვენს მიერ, სიტყვა უფლისა“ (იერემ. 29:11-14;)

ღმერთს მხოლოდ კეთილი განზრახვები აქვს შენი ცხოვრები-სათვის. მაგრამ მისი უხვი უზრუნველყოფის მისაღებად მო-შურნეობა და დაუინებულობა გჭირდება. ეს არის ჭეშმარიტი რწმენა.

გახსოვს იქსოს ბოლო სიტყვები, რომელიც მან უსამართლო მსაჯულის იგავში თქვა? „ჰპოვებს ძე კაცისა რწმენას, როდე-საც ის დედამინაზე მოვა?“. როგორი შეკითხვაა! ზერელე, ზედაპირულ რწმენას იპოვის თუ ნამდვილ რწმენას? ბიბლიის ინგლისურ თარგმანში – ‘Message’ – ვკითხულობთ: „რამდენ ასეთ დაუინებულ რწმენას იპოვის ძე კაცისა, როდესაც იგი მინაზე დაბრუნდება?“. იგი საუბრობს იმ სახის რწმენაზე, იმ შეუპოვარ რწმენაზე, რომელმაც უსამართლო მსაჯული აამო-ქმედა.

ასე, რომ ნუ იქნები მორცხვი, როდესაც ღმერთის წინაშე ლოცვით წარსდეგი. ნუ იქნები გაუბედავი შენს სათხოვრებში.

იყავი გაბედული, ძლიერი,  
ურყევი და კონკრეტული. ჩვენი  
დაუინებულობა უიმედობიდან კი  
არ უნდა მომდინარეობდეს, არ-  
ამედ მტკიცე რწმენიდან, რომ  
ის ჩვენი მოსიყვარულე მამაა და  
რომ იგი მოგვცემს იმას, რასაც  
გულმხურვალედ ვითხოვთ მისი  
სახელით.

ნუ იქნები მორცხვი,  
როდესაც ღმერთის წინაშე  
ლოცვით წარსდეგი.

რას ელოდები? გარშემო უამრავი საჭიროება არსებობს.  
შენს ირგვლივ უამრავი ადამიანია, ვისთვისაც ლვთის წინაშე  
მთელი გულით უნდა ლოცულობდე. იყავი მათვის სინათლე!  
ახლავე მიმართე ღმერთს შეუპოვარი დაუინებულობით!

## ირბინე ჯილდოსთვის

„მაშ, გაირბინეთ [თქვენი სარბიელი] ისე, რომ მოიპოვოთ  
[ჯილდო] და თქვენი გახადოთ“  
1 კორინთელთა 9:24;

**მ** ოგორც უკვე მოცემული წიგნიდან გავიგეთ, მე და შენ რთულ შეჯიბრში ვმონაწილეობთ. კორინთელთა მიმართ პირველი წერილის თანახმად(9:24;) ეს პირადი რბოლაა. ეს შენი სარბიელია. ეს ჩემი სარბიელია.

ჩვენ არ ვეჯიბრებით და არ ვებრძით ერთმანეთს, არ-ამედ ვენინააღმდეგებით იმ ძალებს, რომელთაც არ სურთ ჩვენი სარბიელის წარმატებით დასრულება. მე და შენ ცოდვით დაცემულ წუთისოფელში ვცხოვრობთ, რომელშიც წინააღმდე-გობები გარდაუვალია. ჩვენ ბრძოლაში ვართ ჩართულნი. მეფე იაკობის ბიბლიის ახალი თარგმანი ამბობს: „ირბინე ისე რომ მოიპოვო“.

ყურადღება მიაქციეთ პავლეს სიტყვებს: „ირბინეთ ისე“. როგორ უნდა ვირბინოთ? ჩვენი მოვალეობაა შეუპოვრად ვირ-ბინოთ. ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი ამბობს: „მოთ-მინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდექარე სარბიელი“ (12:1;).

მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე სპორტს მივდევ, ჩემს მეგობრებს შორის ბევრი სპორტის მოყვარული და პროფე-სიონალი სპორტსმენია. ისინი, ვინც სპორტს სერიოზულად ეკიდებიან, ბევრს ვარჯიშობენ და რთულ საწვრთნელ პრო-ცესს გადიან. პავლე წერს: „ყველა ვინც იღწვის, თავს იკავებს ყველაფრისაგან“ (1 კორ. 9:25;). რატომ იქცევიან ასე სპორტს-მენები? მოციქული პასუხობს: „ჯილდოს მისაღებად“.

პროფესიონალი ფეხბურთელისთვის ჯილდოს შესაძლოა წარმოადგენდეს მსოფლიო თასი, პროფესიონალი გოლფის მოთამაშისთვის გოლფის საერთაშორისო ტურნირს, ჰოკეის-ტისთვის – სტენლის თასს, ოლიმპიური სპორტსმენისთვის კი ოლიმპიურ ოქროს. ამ სპორტსმენებს გააჩნიათ ხედვა, რაც აძლევთ მოტივაციას. ისინი, ვინც ჯილდოზე ახდენენ კონცენ-ტრირებას, შეუპოვრად აგრძელებენ ვარჯიშს და მოთმინებით იტანენ სირთულეებს, ვიდრე ისინი, რომელთაც არ გააჩნიათ ხედვა და მოტივაცია ჯილდოს მისაღებად.

მინახავს ჰოკეის მოთამაშე, რომელმაც კოჭის არეში მოტეხილობა მიიღო, მაგრამ მწვრთნელს ემუდარებოდა სტენლის თასის ტურნირში მონაწილება გაეგრძელებინა. მას ფეხი შეხვეული ჰქონდა და ისეთ ტკივილს უძლებდა, რომლითაც სხვა ადამიანი სიარულსაც კი ვერ შეძლებდა. მინახავს ცხვირგატეხილი ფეხბურთელი, რომელიც თამაშს განაგრძობდა; სუპერ თასის მიღების სურვილი უფრო დიდი იყო, ვიდრე ტკივილი, რომელსაც განიცდიდა. ყველას გვინახავს მსგავსი შემთხვევები სპორტში, და არა მარტო სპორტში. ხედვა უდიდესი მოტივატორია. სწორედ ეს გამოარჩევს ამ ადამიანს სხვებისგან. ხედვა მათ ჩემპიონებად აყალიბებს. მხოლოდ ისინი გაუძლებენ ასეთ სირთულეებს, რომელთაც თავიანთი მზერა მთლიანად ჯილდოს მიღებაზე აქვთ გადატანილი.

ჩვენ, სასუფევლის ადამიანებმა, რომელნიც ყოველდღიურად ვუპირისპირდებით სატანის ძლიერ დამანგრეველ ლეგიონებს, უნდა ვიცოდეთ, თუ რისთვის ვიპრძით. რა გვაძლევს ჩვენი სარბიელის ლირსეულად დასრულებისათვის საჭირო მოტივაციას? რატომ არის მნიშვნელოვანი ერთგულად დარჩენა? რაში მდგომარეობს, ჩვენთვის, ღმერთის შვილებისთვის, სიცოცხლის არსი? რატომ არის ღმერთის მიერ ჩვენს წინ დადებული სავალი გზა ესოდენ მნიშვნელოვანი სასუფევლის მთლიანი სურათისთვის?

—

კარგად დაწყება  
მნიშვნელოვანია, მაგრამ  
ღმერთისთვის მთავარია  
ის, თუ როგორი  
იქნება დასასრული.

—

პავლე მოციქული ამბობს, რომ ამ კითხვებზე ჩვენი პასუხები სპორტსმენის პასუხების

მსგავსი იქნებოდა. ჩვენ ჯილდოსთვის ვიღწვით: „მაშ, გაირბინეთ [თქვენი სარბიელი] ისე, რომ მოიპოვოთ [ჯილდო] და თქვენი გახადოთ“. თავისი ცხოვრების ბოლო წლებში მსგავს სიტყვებს წერს მოციქული იოანე:

„თავს გაუფრთხილდით, რომ არ დაკარგოთ ის, რისთვისაც ვიღწვით, არამედ მივიღოთ სრული საზღაური“ (2 იოან. 8;)

სოლომონმა ვერ მიიღო უმაღლესი ჯილდო, რადგან ვერ შეძლო თავისი სარბიელის წარმატებით დასრულება. მისი მზერა მიზანს ასცდა.

კარგად დაწყება მნიშვნელოვანია, მაგრამ ღმერთისთვის მთავარია ის, თუ როგორი იქნება დასასრული. სარბიელის

ლირსეულად დასრულება და ჯილდოს მიღება შეუპოვრობას და მოთმინებას მოითხოვს, რასაც მოტივაცია უწყობს ხელს.

ასე, რომ ახლა დროა ერთ ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა დავსვათ: რა არის ის საზღაური, რომელისთვისაც ვიღწვით – ის ჯილდო, რომელზეც გვაფრთხილებენ არ დავკარგოთ?

ამ ჯილდოს განხილვა ორ დონეზე შეიძლება. პირველს მოცემულ თავში განვიხილავთ, მეორეს კი მომდევნო თავში.

## პირველი ჯილდო

პირველი ჯილდო დაკავშირებულია ფაქტთან, რომ ჩვენი ცხოვრების გზა პირდაპირ მიმართულია ღმერთის იმ სახლის მშენებლობისკენ, რომელშიც იგი სამუდამოდ დამკვიდრდება<sup>1</sup>.

ღმერთი იშენებს სახლს – არაჩეულებრივს, დიდებით სავსეს. ეს არის სახლი, რომელში ცხოვრებაც მას სურდა, და ათასობით წლის მანძილზე მისი გეგმები ამ სახლს უკავშირდებოდა. და ღმერთი ალფროთოვანებულია ამ სახლით.

მე და ლიზას წილად გვხვდა პატივი, საკუთარი სახლი აგვეშენებინა. 1980-იანი წლების ბოლოს, როდესაც ორლანდოში, ფლორიდას შტატში ვცხოვრობდით, ჩვენთან ცნობილი, კერძო სახლების მშენებელი ადამიანი, სახელად რობერტი, მოვიდა.

– „მე მიყვარს თქვენი მსახურება“ – გვითხრა მან და დაამატა, – „მინდა, რომ საკუთარი სახლი აგიშენოთ“. იმ დროისათვის ჩვენ ერთ პატარა, მოკრძალებულ სახლში ვცხოვრობდით და ვფიქრობდით, რომ რობერტი ახალი სახლის აშენებაში ძალიან დიდ თანხას მოგვთხოვდა. როცა ვკითხეთ რა დაგვიჯდებოდა მშენებლობა, მან გვიპასუხა: „ღმერთის ფასად აგიშენებთ“. როგორც გაირკვა, მხოლოდ სამშენებლო მასალის ფულს გამოგვართმევდა და საკუთარი შრომისთვის არცერთ ცენტს არ აიღებდა.

მე და ლიზა ადრე ორ სახლს ვფლობდით. ორივე მათგანი ძალიან მცირე ზომისა იყო. თავად არასოდეს აგვირჩევია საკუთარი სახლის დიზაინი. ვირჩევდით მარტივი, სტანდარტული იატაკის ფორმებს, შეზღუდული სახის მასალებით; არასოდეს გვქონდა საშუალება კაპიტალური რემონტი გაგვეკეთებინა. ასე, რომ ასეთი სახლის მშენებლობა სრულიად უცხო პროცესი იყო ჩვენთვის.

არ დამავინყდება ის დღე, როდესაც რობერტი ჩვენს სახლში მოვიდა, ჩვენთან ერთად დაჯდა სამზარეულოს მაგიდასთან,

<sup>1</sup> ღმერთის სახლის შესახებ უფრო მეტი მსჯელობისათვის, იხილეთ ჩემი წიგნი „მარადისობით ამოქმედებული“

წინ სუფთა ფურცელი დაგვიდო და ენთუზიაზმით გვითხრა: „დამიხატეთ თქვენი ოცნების სახლი!“.

ლამის ენა ჩაგვივარდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდით თუ ასეთი რამ მოხდებოდა ჩვენს ცხოვრებაში. ლიზა მაშინვე საქმეს შეუდგა. ისე ხატავდა, გეგონებოდა უკვე დიდი ხანია მოფიქრებული ჰქონდა, თუ როგორი სახლი ექნებოდა (სინამდვილეში ის მართლაც ფიქრობდა ამაზე!). მე უფრო ნელა ვხატავდი, რადგან უფრო მეტად სამუშაო ოთახზე და გარაუზე ვიყავი ორიენტირებული, დანარჩენ დეტალებზე ჩემი ცოლი ზრუნავდა. გვიხაროდა და თანდათან ეშვში შევდიოდით იმის გამო, რომ თავად შეგვეძლო საკუთარი სახლის დიზაინის შექმნა და ამ პროცესში არანაირი შეზღუდვა არ არსებობდა.

ჩვენს მიერ ფურცელზე დახატული სახლი არქიტექტორებს გადაეგზავნა, რომლებმაც დაამუშავეს და რამდენიმე დღეში ბობმა სახლის ნახაზი წარმოგვიდგინა.

მე და ჩემი ცოლი მთელ სამშენებლო პროცესს თვალყურს ვადევნებდით, ყოველდღე მივდიოდით მშენებლობაზე, ზოგჯერ დღეში ორჯერ გვიწევდა იქ მისვლა. ძალიან გვიხაროდა; მოუთმენლად ველოდით მშენებლობის ერთი ფაზიდან მეორეზე გადასვლას. ბოლო თვეები ძალიან გაიწელა, დღეები კვირებად გვეჩვენებოდა. ერთი სული გვქონდა როდის დასრულდებოდა სახლის მშენებლობა და როდის გადავიდოდით ახალ სახლში საცხოვრებლად. გაოცებულები ვიყავით იმით, თუ როგორ ისხამდა ხორცს ჩვენს თვალწინ ფურცელზე დახატული ოცნების სახლი!

მჯერა, რომ ის მოლოდინი, რომელსაც ჩვენ განვიცდიდით, მსგავსია იმ მოლოდინისა, რომელსაც განიცდის ღმერთი თავის საოცნებო სახლთან დაკავშირებით. მაგრამ ის გაცილებით დიდი ხანია ელის ამას, შეიძლება ითქვას, რომ დედამიწის გაჩენის მომენტიდან.

ჩვენ დედამიწაზე განსაკუთრებულ სახლებს სხვადასხვა სახელებს ვარქმევთ. მაგალითად, ინგლისის დედოფლის სახლს ბუკინგემის სასახლე ენოდება; ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კი თეთრ სახლში ცხოვრობს; მსახიობ მაიქლ დუგლასის სახლს, რომელიც ბერმუდაში მდებარეობს, ლონგლენდი ჰქვია; ბიტლების ჯუფის წევრის, ჯორჯ ჰარისონის სახლი ფრაიარ პარკია; მსახიობ ნიკოლას ქეიჯის სახლი კი მიდფორდის ციხესიმაგრეა. ბევრმა არც კი იცის, რომ ღმერთმა ადამიანებზე ადრე დაიწყო სახლებისთვის სახელების შექმევა. იგი თავის ჯერ კიდევ შენების პროცესში მყოფ სახლს, სიონს უნოდებს. როგორც მეფსალმუნე წერს:

„რადგან ამოირჩია უფალმა სიონი, ისურვა სამკვიდრებლად თავისთვის. ეს არის ჩემი განსასვენებელი უკუნისამდე, აქ დავსახლდები, რადგან ვისურვე იგი“ (ფსალმ. 131:13-14;)

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ღმერთმა ისურვა თავისი სახლი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის დიდი მოლოდინით ელის მას, ისე როგორც მე და ლიზა ველოდით ჩვენი ახალი სახლის აშენებას. წმინდა წერილის სხვა მუხლებში ვკითხულობთ, რომ სიონად წოდებული სახლი დიდი ხნის მანძილზე, მრავალ თაობაში, ღმერთის გულში იყო: „რადგან აღაშენებს უფალი სიონს“ (ფსალმ. 101:17;), „უფალს სიონის მკვიდრს“ (ფსალმ. 9:12;) და „სიონიდან, მშვენიერების სრულებრივიდან, გამობრნებიდან უფალი“ (ფსალმ. 49:2;).

სახლის შენება საძირკვლიდან იწყება. მოვისმინოთ ესაიას სიტყვები: „აპა, მე დავაფუძნე სიონში ქვა, საიმედო ქვა, ძვირფასი ქვაკუთხედი“ (ეს. 28:16;). რა (ან ზუსტად რომ ვთქვათ ვინ) არის ეს ძვირფასი ქვაკუთხედი? ღმერთის საყვარელი ძე იესო ქრისტე, და არავინ სხვა. ესაიას თანახმად იესო, ღმერთის საუკუნო სახლის, სიონის სამშენებლო მასალის ნაწილს წარმოადგენს. მეტიც, როგორც ქვაკუთხედი, იესო ამ მშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია.

შემდეგ, ღმერთის სიტყვა იუწყება: „და თქვენც აშენდით, როგორც ცოცხალი ქვები, სულიერ სახლად“ (1 პეტ. 2:5;). რა თქმა უნდა, სახლი, რომელზეც პეტრე ლაპარაკობს, არის სიონი. აქ იესოს შესახებ ფიგურალურად არის საუბარი, როგორც ქვაზე და ისევე, როგორც ჩვენზე. ჩვენ „ცოცხალი ქვები“ ვართ, ის კი – ქვაკუთხედი. იესოსთან ერთად, ქრისტიანებიც იმ სახლის საშენ მასალას წარმოადგენენ, რომელსაც ღმერთი საუკუნოდ დასამკვიდრებლად აშენებს!

ღმერთი სახლს აშენებს. ის თითოეულ ჩვენგანს გვიყენებს ამ საქმეში. მან საძირკველში მოციქულები და წინასწარმეტყველები გამოიყენა. ახლა კი შენ გიყენებს, როგორც რიგით აგურს, ქვას იმ მშენებლობაში, რომლის ქვაკუთხედი ქრისტეა და ყველა დანარჩენი მასზეა დაშენებული. ეს შენობა დღითი დღე იძენს ფორმას – „რაზედაც მთელი შენაწევრებული შენობა იზრდება უფალში წმინდა ტაძრად, რომელზეც შენდებით თქვენც დვთის დასამკვიდრებლად სულში“ (ეფეს. 2:21-22;).

## ქვეყნის მთავრობის მიერ გადაწყვეტილები

ჩვენ არა მხოლოდ ამ სახლის სამშენებლო მასალას წარმოვადგენთ, არამედ ლვთის თანამშრომლებსაც (იხ. 1 კორ. 3:9;). თანამედროვე ენაზე ეს არის „ქვეყნის მთავრობის მიერ გადაწყვეტილები“ არიან სანტექნიკოსები, ელექტრონიკოსები, კონსტრუქტორები, გიფსკარდონის სპეციალისტები, სახურავის ხელოსნები, მღესავები და ა.შ. ადამიანები, რომლებიც აშენებენ სახლს. როდესაც რობერტი ჩვენს სახლს აშენებდა, მას ერთი ლურსმანიც კი არ მიუჭედებია, არცერთი აგური არ დაუდია. ყველაფერს ქვეყნის მთავრობის აკეთებდნენ.

მაგრამ, თუ რეალურად ყველაფერს ქვეყნის მთავრობი აკეთებენ, მაშინ რა ვალდებულება აკისრია მშენებელს? პასუხი სამი ნაწილისგან შედგება. პირველი, მშენებელი სახლის დიზაინს ადგენს. ლმერთმა, როგორც მშენებელმა, თავისი სახლის დიზაინი, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში შეადგინა. პავლე მოციქული წერს: „როგორც ამოგვარჩია ჩვენ მასში სოფლის შექმნამდე“ (ეფეს. 1:4;). ებრაელთა მიმართ წერილი გვეუბნება: „ლვთის საქმენი დასრულდნენ ჯერ კიდევ სოფლის დასაბამიდან“ (4:3;). ლმერთის სახლი დაგეგმილი იყო ჯერ კიდევ მანამ, სანამ ადამი და ევა შეიქმნებოდნენ. საოცარია!

მეორე, მშენებელი არჩევს კონსტრუქციისათვის საჭირო მასალას. არ გიხარია, რომ ლმერთმა შენზე შეაჩერა არჩევანი და სახლის აშენება შეგივეთა? სწორედ ამიტომ ამბობს იგი: „სანამ გამოგსახავდი მუცელში, მე გიცნობდი შენ; და სანამ გამოხვიდოდი საშოდან, მე განგწმინდე შენ“ (იერემ. 1:5;). პავლე ამბობს, „ამოგვარჩია წუთისოფლის შექმნამდე“ (ეფეს. 1:4;).

მშენებლის მესამე მოვალეობას ქვეყნის მთავრობა შეთანხმება და მათი სამუშაოების განრიგის შედგენა წარმოადგენს. ეს პროექტის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან სანტექნიკოსზე ან ელექტრონიკოსზე ადრე, გიფსკარდონის ოსტატი არ უნდა ჩართო პროცესში. სანამ იატაკი დაიგება, ჯერ სახურავი უნდა გაკეთდეს. თუ შესასრულებელი სამუშაოების განრიგი სათანადოდ არ დაიგეგმა, მაშინ ქაოსი გარდაუვალია.

თანამედროვე სახლების მშენებლობაში, როგორც წესი, არ ჰყავთ „უფროსი ქვეყნის მთავრობის მთავარი“ დამერთის სახლის მშენებლობას. როგორ ფიქრობ, ვინ არის ლმერთის სახლის მშენებლობის მთავარი ქვეყნის მთავარი? მარ-

თალი ხარ: იესო ქრისტე. გალატელთა მიმართ წერილი (4:4;) ამბობს: „როდესაც მოვიდა სისავსე უამისა, მოავლინა ღმერ-თმა თავისი ძე“. მშენებელმა ღმერთმა, როცა მოვიდა უამი სისავსისა, გამოგზავნა თავისი ძე, როგორც ქვაკუთხედი და როგორც ქვეკონტრაქტორი სიონის მშენებლობაში.

თავისი, როგორც ქვეკონსტრაქტორის საქმიანობით, იესომ სრულყოფილად აღასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები. მან საუკეთესოდ დაასრულა თავისი სარბიელი! უკანასკნელი სერობისას, მან შეძლო თავმდაბლობით და გაბედულებით ეთქვა თავისი მამისათვის: „აღვასრულე საქმე, რომელიც მომეცი მე, რომ გამეკეთებინა“ (იოან. 17:4;). იესომ, როგორც მთავარმა ქვეკონტრაქტორმა, დაასრულა თავისი საქმე სიონის მშენებლობაში.

ჩვენზე რაღა ვთქვათ? რას ამბობს ღმერთის სიტყვა ჩვენს, როგორც ქვეკონტრაქტორების, როლზე ღვთის სახლის მშენებლობის პროცესში?

დაწერილია: „ვინაიდან მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილნი კეთილი საქმეებისათვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებით ვიაროთ“ (ეფეს. 2:10;). ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ჩვენ ქრისტეში „კეთილი საქმეებისათვის“ ვართ შექმნილნი. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ჩვენ არ შეგვემნეს იმისათვის, რომ უპრალოდ ვიღაცა ვიყოთ. ჩვენ რაღაც უნდა გავაკეთოთ ქრისტეში. ყურადღება მიაქციეთ: ბოლო წლებში ეკლესიებში ბალანსია დარღვეული ამ საკითხის შესახებ სწავლებაში. ჩვენ ხაზგასმით აღვინიშნავთ იმას, თუ ვინ ვართ ქრისტეში, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამას ვაკეთებთ იმის უგულებელყოფის ხარჯზე, რომ ჩვენ შექმნილი ვართ ქრისტეში, რათა ვაკეთოდ. ამ ბალანსის დარღვევამ ორი მთავარი პრობლემის წარმოქმნას შეუწყო ხელი.

პირველი, ამან დასავლეთის ეკლესია ლეთარგიულ მდგომარეობაში ჩააგდო. ეკლესიის წევრთა უმრავლესობა, მსახურებას კვირაში ერთხელ ესწრება, ბევრი კი ერთხელაც არა. ჩვენ მთლიანად სამსახურებზე ვართ გადართულები, ვცდილობთ კარგი საცხოვრებელი პირობები შევიქმნათ, შევიძინოთ თანამედროვე ნივთები, გადავიხადოთ გადასახადები, აღვზარდოთ ბავშვები, დავზოგოთ ფული მათი განათლებისათვის, და საპენსიონ ასაკს მომზადებულები შევხვდეთ. ეს ყველაფერი ჩვენი მოტივაცია ხდება, იმის ნაცვლად, რომ მთელი ძალისხმევა ღვთის მიერ ჩვენთვის დაკისრებული მოვა-

ლეობების შესრულებას მოვანდომოთ. ბევრმა ჩვენგანმა არც კი იცის, რომ მარადიული მნიშვნელობის „საქმე“ გვაქვს შესასრულებელი.

დაფიქრდით ამაზე: როგორ იტყოდა პავლე: „განვვლე ას-პარეზი“ (2 ტიმ. 4:7.), თუ მას თავისი გასავლელი გზა არ ეცოდინებოდა? მოდით განვმარტავ. დიდ მანძილზე მარათონში თუ მიგილია მონაწილეობა, გეცოდინება, რომ შეჯიბრის დაწყებამდე, მონაწილეები წინასწარ სწავლობენ მარშრუტს მათვის მიცემული რუკების მეშვეობით. როდესაც ამხელა მანძილზე დარბიხარ და გზა არ იცი მანამდე ირბენ უმისამართოდ, სანამ ძალა არ გამოგეცლება და არ წაიქცევი და საკუთარი გუნდის წევრების წასაყვანი არ გახდები სახლში. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც კი არ გეცოდინება დაასრულე თუ არა დისტანცია. შენ მხოლოდ მაშინ იტყვი რომ დაასრულე სარბიელი, როდესაც წინასწარ დადგენილი მიმართულების მიხედვით ირბენ. იესოს მსგავსად, პავლეც ამბობდა: „დავასრულე საქმე, რომელიც შენ დამავალე“.

როგორ დავასრულებთ ჩვენს სარბიელს, როდესაც ყოველ-დღიურ საქმეებში ვართ ჩათლულნი? როგორ გავიგებთ, რისი გაკეთება სურს ღმერთს ჩვენგან, როდესაც კვირაში ერთხელ ვესწრებით ღვთისმსახურებას? როგორ გავიგებთ რა გეგმა აქვს მას ჩვენზე, როდესაც ყოველდღე არ ვეძებთ მის სახეს?

მეორე პრობლემა, რომელიც ზემოთხსენებულმა ბალანსის დარღვევამ გამოიწვია, არის ის, რომ ბევრ ქრისტიანს შთაბეჭდილება ექმნება, რომ მხოლოდ სრული დროით მსახურებს აქვთ ნამდვილი მონოდება. ეს უგუნურებაა! ღმერთის თითოეულ შვილს – ქალს, კაცს, ბავშვს, ახალგაზრდას, მოხუცს – მიცემული აქვს ზეციური მონოდება, იყოს ერთგული ქვეკონტრაქტორი ღმერთის სახლის მშენებლობაში. ბიბლიის გაფართოებული თარგმანი ბრწყინვალედ წარმოაჩენს ამას, აცხადებს რა, რომ ჩვენ შევიქმნით ქრისტე იესოში, რათა „ვაკეთოთ კეთილი საქმეები, რომელიც ღმერთმა განგვისაზღვრა (წინასწარ განსაზღვრული), [ვიაროთ იმ გზაზე, რომელიც მან დროზე უნინ მოგვიმზადა] რათა ვიაროთ მათში [ვიცხოვროთ კარგი ცხოვრებით, რომელიც წინასწარ შეათანხმა და მოამზადა ჩვენთვის, რომ გვეცხოვრა]“ (ეფეს. 2:10).

ღმერთმა პატივი დაგდო, ყოფილიყავი სიონის, უფლის სამარადისო სახლის მშენებლობის ქვეკონტრაქტორი. ეს არ არის აგურით და ხის მასალით აშენებული სახლი. ეს არის ხელ-თუქმენელი სახლი, მეფის ასულთა და ძეთა საცხოვრებელი.

მრავალი ქვეკონტრაქტორის მსგავსად, შესაძლოა შენ (ჯერ) ვერ ხედავდე როგორ ავსებს შენი მოწოდება ღმერთის სახლის მთლიან გეგმას, რადგან ამას, მხოლოდ მთავარი მშენებლის, უფლის თვალები ხედავენ. ჩვენს მიერ შეტანილი წვლილის სრული მნიშვნელობის გაგება მომავალში მოხდება, როდესაც ღმერთის სახლის მშენებლობა მთლიანად დასრულდება. და ჩვენ მასთან ერთად საუკუნოდ დავტკბებით მისი თანდასწრებით.

როდესაც რობერტმა ქვეკონტრაქტორების განრიგი შეადგინა, მათ გასაკეთებელი საქმის მონახაზები გადასცა და ზუსტად აუხსნა, თუ რას ითხოვდა მათგან. რობერტმა მთლიანი გეგმა იცოდა კარგად, ხოლო ქვეკონტრაქტორებისთვის მხოლოდ თავიანთი წილი საქმის გეგმა იყო ცნობილი. ისინი მშენებლობაზე იმას არ აკეთებდნენ, რაც თავად სურდათ ან მოსწონდათ. ისინი იმ გეგმას მიჰყებოდნენ, რაც მათვის მშენებლის მიერ წინასწარ იყო განსაზღვრული.

ღმერთმა წინასწარ დაგეგმა ჩემთვის, შენთვის და ქრისტეზე მინდობილი ყველა ადამიანისათვის გასავლელი საუკეთესო გზა (ეფეს. 2:10;). ისევე, როგორც ქვეკონტრაქტორებს ჩვენი სახლის მშენებლობაში, ჩვენც კონკრეტული, მნიშვნელოვანი როლი გვაკისრია ღმერთის მარადიული სახლის აშენებაში. აქ ერთი საქმე მეორეზე აღმატებული ან უპირატესი არ არის. ღმერთს სურს, რომ მისი სახლი ზუსტად ისე გაკეთდეს, როგორც ეს მან წინასწარ დაგეგმა. ამას კი სჭირდება, თითოეულ-მა ჩვენგანმა დაკისრებული საქმე კარგად ვაკეთოთ.

## მშენებლის საზღაური ან მარცხი

ახლა უკეთ მიხვდები, თუ რატომ გვადარებს წმინდა წერილი ხშირად მშენებლებს. მეფსალმუნე წერს: „ქვა, დაწუნებული მშენებლების მიერ, თავკიდური გახდა“ (117:22;). როგორც უკვე აღვნიშნეთ, პეტრეც ამბობს, რომ მორწმუნები ღმერთის სახლის ქვებს წარმოადგენენ, მაგრამ შემდეგ იგი ერთი საკითხიდან, რომელიც მდგომარეობს იმაში, თუ ვინ ვართ, გადადის მეორე საკითხზე, რომელიც ეხება იმას, თუ რისთვის ვართ მოწოდებულნი ქრისტეში. იგი ღმერთის სახლის მშენებლებს გვადარებს (ან ქვეკონტრაქტორებს): „და თქვენც აშენდით, როგორც ცოცხალი ქვები, სულიერ სახლად.... ამიტომ თქვენთვის, მორწმუნეთათვის პატივია იგი, ურწმუნოთათვის

კი „ქვა, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, იქმნა ქვაკუთხე-დად“ (1პეტ. 2:5,7;).

პეტრეს სიტყვებიდან ვხედავთ, რომ მორჩილნი, წარმოადგენ ადამიანებს, რომლებიც ღმერთის სახლის ერთგული და ნამდვილი მშენებლები არიან, ხოლო ისინი, რომლებიც არ ემორჩილებიან ღმერთის სიტყვას ( ღმერთის გეგმას და ნახაზს) დასახული მიზნის წინააღმდეგ მოქმედებენ.

ასელა განვიხილოთ პავლეს სიტყვები, სადაც იგი ამ პროცესზე და მისგან მომდინარე საზღაურზე ლაპარაკობს:

„ღმერთი თითოეულს თავისი შრომისამებრ მიუზღავს. რამეთუ ჩვენ ღმერთის თანამშრომელნი ვართ... შენც ღმერთის შენობა [სიონი] ხარ. გამოვიყენე რა ღმერთისგან ჩემთვის მოცემული ნიჭი, ვიშრომე, როგორც გამოცდილმა ხუროთმოძღვარმა [ქვე-კონტრაქტორმა] და საძირკველი დავუდე, ხოლო სხვა ვინმე [სხვა ქვეკონტრაქტორი] აშენებს მასზე. მაგრამ თითოეული თქვენგანი დაუკვირდეს როგორ აშენებს მასზე [ჩვენ ყველანი ქვეკონტრაქტორებივით ვართ]. რამეთუ ღმერთმა უკვე დაუდო საძირკველი, რომელიც იესო ქრისტეა, და არავის ძალუბს დაუდოს სხვა საძირკველი“ ( 1კორ. 3:8-11;)

პირველ რიგში ყურადღება მივაქციოთ პირველ წინადადებას, სადაც ღმერთი საზღაურზე გვესაუბრება. იფიქრეთ ამაზე და თან ამ ადგილის განხილვა გავაგრძელოთ.

პავლემ საძირკველი დაუდო. მისი წერილები თითქმის ორიათასი წლის წინ დაიწერა და დღესაც სანდო სახელმძღვანელოს წარმოადგენს ქრისტეში ცხოვრებისათვის. ფლორიდაში ჩვენი სახლის ქვეკონტრაქტორები საძირკვლის ჩამსხმელები იყვნენ. როცა მათ თავიანთი საქმე დაამთავრეს, სხვა ქვეკონტრაქტორები მოვიდნენ და მათ მიერ დაგებულ ბიტონის საფუძველზე გააგრძელეს საქმიანობა.

პავლე განაგრძობს: „ამ საძირკველზე ზოგი აშენებს ოქროს, ვერცხლს, პატიოსან ქვეშს; ზოგი კი ხეს და ნამჯას“ (1კორ. 3:12;). ოქრო, ვერცხლი და პატიოსანი ქვები მარადიულობაზე მიუთითებენ, ხოლო ხე და ნამჯა – დროებით, წარმავალ დროზე. ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე არჩევანი გვაქვს გასაკეთებელი: ვაშენოთ ან მარადისობისთვის, ან დროებითისთვის. როდესაც ჩვენი სურვილი ფულის შოვნა, პოპულარულობა, კარიერული წინსვლა და სხვა ეგოისტური მიზნებია, მაშინ დროებითისთვის ვაშენებთ. მაგრამ, როდესაც მთელი ყურადღება ლვთის სასუფევლისკენ და მისი სახლის მშენე-

ბლობისკენ არის მიმართული, როდესაც გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს ვახარებთ ღვთის სიტყვას და ვზრუნავთ მათზე – მარადიულობისთვის ვაშენებთ.

პავლე აგრძელებს: „თითოეულის საქმე გამომჟღავნდება. ვინაიდან დღე გამოაჩენს, რადგან ის ცეცხლით გამოცხადება და თითოეულის საქმეს, როგორც არის ცეცხლი გამოცდის“ (1 კორ. 3:13;).

ცეცხლი გამოსცდის ჩვენს საქმეებს, მაგრამ ის იმ მოტივსა და განზრახვასაც გამოააშკარავებს, რომელიც ჩვენი გაკეთებული საქმის უკან იდგა (1 კორ. 4:5;). ცეცხლი ხეს, ბალახს და ნამჯას შთანთქავს, მაგრამ ოქროს, ვერცხლს ან ძვირფას ქვებს გაწმენდს და უფრო მშვენიერს გახდის. გამოიცდება და გადახალისდება. მაშასადამე, როგორი იქნება შედეგი: „ვისი დაშენებულიც გაძლებს, ის მიიღებს საზღაურს. ვისი საქმეებიც დაიწვება, ის იზარალებს. თვითონ კი გადარჩება, მაგრამ როგორც ცეცხლიდან“ (1 კორ. 3:14-15;).

ალსანიშნავია ის, რომ შენ, როგორც მშენებელი, საზღაურს მაშინ მიიღებ, თუ სარბიელს კარგად დაასრულებ! მაგრამ, თუ საქმეს ღმერთის სიტყვის შესაბამისად არ აკეთებ – მოტივები ეგოისტურია, ურჩი ან ამაყი ხარ, – მაშინ შენი საქმეები დაიწვება. შენ, როგორც ქრისტეს მორწმუნე, ზეცაში კი შეძლებ შესვლას, მაგრამ გაწეული საქმიანობისთვის საზღაურს ვერ მიიღებ. ეს მკაცრი სიტყვები გაფრთხილებაა ყველა ჩვენგანისათვის!

ვაგრძელებთ რა ამ დიდებული სიტყვების განხილვას, უნდა გვახსოვდეს, რომ პავლე მოციქული ერთ ადამიანს კი არ მიმართავს, არამედ მთელ ეკლესიას:

„ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ [კერძო სახლი] და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში? თუ ვინმე დააზიანებს ღვთის ტაძარს, ღმერთი დააზიანებს მას, რადგან წმიდაა ღვთის ტაძარი და ეს თქვენა ხართ“ (1 კორ. 3:16-18;)

კვლავაც მკაცრი სიტყვები! ამან წმინდა შიში უნდა წარმოშვას ყველა იმ ადამიანში, რომელიც არასწორად ეპყრობა ღვთის სახლს, ქრისტეს საპატარძლოს, ეკლესიას. გაფრთხილებად მიიღე ეს ნებისმიერ, ღმერთის პატარა „ქვასთან“ არასწორად მოპყრობის დროს, ან რასაც ჩვენ „წმინდანთა შორის ყველაზე მცირეს“ ვუწოდებთ.

## ქვეპონტრაქტორის საზღაური

პავლე ამბობს: „ნურავინ იცდუნებთ თავს“ (1 კორ.3:18;). სამწუხაროდ, ბევრმა ქრისტიანმა კარგად ვერ დაასრულა დაკისრებული საქმე, რადგან საკუთარ სარგებელს ეძებდა. მათ თავი დაანებეს ღმერთის დიდების სახლის მშენებლობას და დროებით, წარმატალ დიდებას გამოედევნენ – ცდილობდნენ ხალხის მონონება დაემსახურებინა ან ამ ქვეყნიურმა სიმდიდრემ გაიტაცა, რომელი სიმდიდრეც ცეცხლისთვის არის განწირული.

თავს ნუ იცდუნებ! ყურადღებით იყავი; შენ დავალება გაქვს ქრისტეში შესასრულებელი. ეს საქმე ღმერთის წინასწარგანსაზღვრული გეგმის მიხედვით უნდა შესრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში წაგერთმევა. პავლეს სიტყვები სწორედ ამ მნიშვნელოვან საკითხს უსვამს ხაზს:

„და, ყველა დურგალმა ყურადღება მიაქციოს იმას, რომ უკვე დადგებულ საძირკველზე აშენოს! გახსოვდეთ, რომ მხოლოდ ერთი საძირკველი არსებობს და ეს არის იესო ქრისტე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციე საშენი მასალების შერჩევას, რადგან ბოლოს ამ მასალების ვარგისიანობა უნდა შემონმდეს. თუკი იაფფასიან მასალებს გამოიყენებ, ეს მაინც გამოჩნდება. შემონმება ყველა წვრილმანს ჩაუტარდება. თუ შენს მიერ ჩატარებული საქმე შემონმებას გაუძლებს, ეს კარგია; მაგრამ თუ ასე არ მოხდა, შენობა დაინგრევა და ხელახლა აშენდება. თვითონ კი გადარჩება, მაგრამ როგორც ცეცხლისგან“ (1 კორ. 3:10-15; თან. თარგმანი, ავტორის შენიშვნა)

თუ ჩვენი შესრულებული საქმე ღმერთის სტანდარტების შემონმებას ვერ გაუძლებს, „ის ნანილი დაინგრევა და ხელახლა დაინწყება მისი აშენება“. არავის აქვს სურვილი, რომ მისი გაკეთებული საქმე გააუქმონ და ხელახლა სხვას გააკეთებინონ – განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს საქმე სამყაროს შემოქმედისთვის კეთდება.

მახსოვს, ჩვენი სახლის მშენებლობისას, ერთმა ქვეკონტრაქტორმა კარგად ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა. გაკეთებული საქმე არ იყო რობერტის ნახაზის მიხედვით შესრულებული. რადგანაც მე და ლიზა ყოველდღე მივდიოდით მშენებლობის სანახავად, სწორედ ჩვენ აღმოვაჩინეთ ეს პრობლემა. რობერტს დავურეკე და ჩვენს მშენებარე სახლთან შევხვდით. რობერტი ძალიან გაბრაზდა. ეს ქვეკონტრაქტორი რობერტ-

თან ერთად ადრე არ ყოფილა ნამუშევარი, ის დაითხოვეს. ამ კაცმა დაკარგა თავისი საზღაური. მან არა მხოლოდ ხელფასი დაკარგა, არამედ შანსი იმისა, რომ ჩვენი მშვენიერი სახლის მშენებლობაში მიეღო მონაწილეობა.

რობერტმა სხვა ქვეკონტრაქტორი მოიყვანა, რომელმაც ზუსტად რობერტის დავალების მიხედვით შეასრულა დაკის-რებული დავალება. ამ ახალმა ქვეკონტრაქტორმა ხელფასიც მიიღო და ჩვენი მშვენიერი სახლის შენებაში მონაწილეობის პატივიც ხვდა წილად.

წმინდა წერილში ვხედავთ, რომ ეს პრინციპები ფრიად მნიშვნელოვანია ღმერთის სახლის მშენებლობაში. იქნებიან ადამიანები, რომელთა დროებითი სამუშაო (ან მთელი ცხოვრების მანძილზე განეული შრომა) ვერ გაუძლებს შემოწმებას. ის მოიშლება და ველარ იქნება საუკუნო სახლის შემადგენელი ნაწილი.

ნება მიბოძეთ უკეთ დაგანახოთ ამ მდგომარეობის საშიშროება. რადგანაც ყოველდღე მიწევდა ჩემი სახლის მშენებლობაზე მისვლა, ქვეკონტრაქტორებმა საკმაოდ კარგად გამიცნეს. ისინი „მქადაგებელს“ მეძახდნენ. როდესაც მათთან მივდიოდი, როკ მუსიკა ხმამალლა ჰქონდათ ხოლმე ჩართული. დამინახავდნენ თუ არა, ერთ-ერთი გაიქცეოდა და მუსიკას გამორთავდა. ჩემთვის ჩავილიმებდი ხოლმე, ვხედავდი რა თუ როგორი მოკრძალება ჰქონდათ მათ ღმერთთან დაკავშირებულ საკითხებთან. შემდეგ ცოტახნით ერთმანეთს გამოველაპარაკებოდით. ზოგიერთ მათგანთან შესანიშნავი საუბარი მქონდა – შეიძლება ითქვას ბრწყინვალე სამახარებლო სამუალება.

მახსენდება ერთი დღე, როდესაც მშენებლები იმ ძვირფას სახლებზე მელაპარაკნენ, რომლის მშენებლობაშიც მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული. ამ საკითხზე ისინი გულანთებულები საუბრობდნენ. ადვილად დაინახავდით იმ დიდ კმაყოფელებას, რომელიც იმ ძვირფასი სახლების მშენებლობით ჰქონდათ მიღებული.

მოდით, ცოტა მეტი ვთქვათ ამ საკითხის შესახებ. წარმოგიდგენიათ რას გრძნობდნენ ის მშენებლები, რომლებიც ვაშინგტონში თეთრი სახლის მშენებლობაში იღებდნენ მონაწილეობას? წარმოიდგინეთ, ერთ დღეს, რომელიმე მშენებლის შვილი სკოლიდან სახლში მიდის და ამბობს, რომ ექსკურსიაზე მიდის, რათა მთელს ქვეყანაში ყველაზე ცნობილი სახლი ნახოს. წარმოგიდგენიათ, რა სიამოვნებას განიცდის მამა, რომელიც თავის გახარებულ შვილს ეტყვის, რომ ამ შენობის

აშენებაში მან მიიღო მონაწილეობა? წარმოგიდგენიათ, რამხელა კმაყოფილებას განიცდის მამა, რომელიც თავის შეიღს ამ ექსკურსიაზე გაჰყვება? წარმოგიდგენიათ რამხელა სიამაყით განიმსჭვალება ბავშვი კლასელების წინაშე, როდესაც ისინი გაიგებენ რომ, მისმა მამამ იმ სახლის მშენებლობაში მიიღო მონაწილეობა, რომელშიც ამერიკის პრეზიდენტი ცხოვრობს? შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ასეთი რამ?

იგივე შეგვიძლიათ ვთქვათ ჩვენზე, ღმერთის სახლთან მიმართებაში! თუმცა ჩვენ იმ სახლზე არ ვსაუბრობთ, რომელიც გაცვდება და რამდენიმე ასეული წლის შემდეგ დაინგრევა. ჩვენ ვსაუბრობთ სახლზე, რომელიც სამარადუამოდ მთელი სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცევა. აი, მოვისმინოთ წინასწარმეტყველ მიქას სიტყვები:

„უკანასკნელ დღეებში იქნება, რომ მთების თავში დამყარდება უფლის სახლის მთა, გორაკებზე მაღლა აღიმართება და მისკენ დაინყებენ დენას ხალხები. მოვლენ უამრავი ხალხები და იტყვიან: „ნამო, ავიდეთ უფლის მთაზე და იაკობის ლვთის ტაძარში, რომ გვასწავლოს თავისი გზები და ვიაროთ მისი ბილიკებით. რადგან სიონიდან გამოდის რჯული. (მიქა 4:1-2;)

სამყაროსთან დაკავშირებული ყოველი საკითხი ამ სახლიდან იქნება გამომდინარე. ყველა ერის სამართავად საჭირო სიბრძნე და კანონები ამ სახლის მმართველებისგან იქნება მომდინარე. და რაც ალბათ ყველაზე საოცარი ფაქტია: სიონი,

■ ■ ■

ჩვენ ვსაუბრობთ სახლზე, რომელიც სამარადუამოდ მთელი სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცევა

■ ■ ■

ღმერთის სახლი, ათი ტრილიონი წლის შემდეგაც ისეთივე მშვენიერი იქნება, როგორც მისი მშენებლობის დასრულების დღეს.

იყო სახარების ერთი მსახური, რომელიც ბოლომდე ერთგული დარჩა. ის სამოც წელზე

მეტ ხანს წარმატებით მსახურობდა და მილენიუმის (2000 წელი) ბოლოსათვის მიიღო თავისი გვირგვინი. მისი გარდაცვალებიდან, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, შუა დასავლეთის ერთდიდ ეკლესიას ვენვიე, სადაც მუსიკალური ჯგუფის ხელმძღვანელმა მიამბო სიზმრის შესახებ, რომელიც მან ნახა. ამ სიზმარში, ის აღმოჩნდა ზეცაში, სადაც ხსენებული დიდი მსახური ნახა, რომელმაც კარგად დაასრულა თავისი სარბიელი. სახეზე ფართო ღიმილით, ამ დიდმა მსახურმა, მუსიკალური

გუნდის ლიდერს უთხრა: „აქ იმაზე გაცილებით უკეთესია, ვი-დრე წარმოვიდგენდი“. რამდენიმე წუთის განმავლობაში ის-აუბრეს, შემდეგ ეს მსახური მიტრიალდა და სიონის შენებაზე გაწეულ ერთ საქმეზე მიუთითა. ეს იყო დიდი საქმე. ამ კაცის ერთგული მსახურების შედეგი გაცილებით დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ის იოცნებებდა ან წარმოიდგენდა. და აი, ეს შედეგი მის თვალწინ იყო. მსგავსად იმ მშენებლებისა, რომლებიც მათ მიერ აშენებულ სახლებზე მელაპარაკებოდნენ, ამ მსახურსაც შეეძლო თავისი გაკეთებული საქმით ეამაყა. რამხელა საზღაურია! რამხელა ჯილდოა!

წარმოგიდგენია, მარადისობაში შესაძლებლობა გექნება სხვადასხვა ადამიანებს, ერებს უჩვენო ღმერთის დიდებული სახლი, რომლის მშენებლობაშიც შენი წვლილიც არის შეტანილი?

ხომ ბრწყინვალე აზრია? ღირს ამ საზღაურისთვის ლოდინი! რა ბრწყინვალე მოტივაციაა იმისთვის, რომ კარგად დავასრულოთ ჩვენი სარბიელი!

მოდით, ახლა საკითხის მეორე მხარესაც შევეხოთ. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ სიონად წიფებულ სახლში, თქვენი გაკეთებული არცერთი საქმე არ იყოს იმის გამო, რომ ვერ შეძელით კარგად დასრულება? შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როდესაც თქვენი გაკეთებული საქმის სანახავად მოვლენ თქვენი წინაპრები და შთამომავლები, მაგრამ ისინი გაიგებენ, რომ მთელი თქვენი ცუდათ გაკეთებული საქმე გააუქმეს და სხვა ერთგული ადამიანის მიერ შესრულებული საქმით შეცვალეს? რამხელა საუკუნო მარცხია! ამაზე ლაპარაკობს პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ პირველ წერილში (თავი 3);

ძვირფასო წმინდანო, მე არ მინდა, რომ შენ ეს შეგემთხვეს. ღმერთს არ სურს, რომ ასე მოგივიდეს. საქმე იმაშია, რომ ასეთი რამ ბევრ მორწმუნებს დაემართება. მაგრამ ახლა, შენ დაზუსტებით ვერ შეძლებ იმის თქმას, რომ ასეთი რამ შენ არ შეგემთხვევა. ყურადღებით წაიკითხ იოანეს სიტყვები:

„გაფრთხილდი, რომ არ დაკარგო ის საზღაური, რომლისთვისაც ასე გულმოდგინედ შრომობდი. იღვანე, რომ სრული საზღაური მიიღო. (2 იოან. 8;)

თავად უფალმა განიზრახა, რომ მის თითოეულ შვილს მისცეს საშუალება, რომ ღმერთის სამარადისო სახლის შენებაში გაღებული წვლილისთვის საზღაური მიიღოს. შენი შესრულებული საქმე არასოდეს დაჭკვება, არასოდეს გახუნდება, და მას არასოდეს დასჭირდება ჩანაცვლება.

და ეს, მხოლოდ პირველი საზღაურია, რომელსაც ჩვენი შეუპოვარი ერთგულების და მორჩილების გამო მივიღებთ. რაოდენ ბრწყინვალეც არ უნდა იყოს ეს მოტივაცია, არსებობს კიდევ ერთი, უფრო აღმატებული ჯილდო, რომლის შესახებაც მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

## მეცნიერება ახლოს

„თავს გაუფრთხილდით, რომ არ დაკარგოთ ის, რისთვისაც ვიღ-  
ნვოდით, არამედ მივიღოთ სრული საზღაური“

2 ოთანე 1:8;

**U** იძნელები გარდაუვალია. თუ სწორი განზრახვა გვექნება, ეს ჩვენს წინ მდებარე სარბიელის შეუპოვრად გარბენას შეგვაძლებინებს მაშინ, როდესაც მოტივაციის სიმცირის გამო სხვები მერყეობას დაიწყებენ ან საერთოდ გაჩერდებიან. მოტივაცია უმთავრესი რამ არის სარბიელის კარგად დასრულებისათვის.

პირველი ჯილდო – ეს არის მოგიწონონ ღმერთის საუკუნო სახლის მშენებლობაზე განეული შრომა-საქმიანობა – როცა იცი, რომ შემნა მცდელობამ დაიმსახურა სიტყვა „ყოჩალ“. მეორე საზღაური, უფრო თვალსაჩინოა, და წარმოაჩენს, თუ რამდენად ახლოს ვიქენებით იესო ქრისტესთან მარადისობაში.

### ახლო ურთიერთობა მეცნიერება

მრავალწლიანი მოგზაურობისა და მსოფლიოს სხვასახვა კუთხეში ბევრ მორწმუნესთან შეხვედრის შემდეგ, ზოგჯერ ვფიქრობ, დასავლეთში მცხოვრები მორწმუნების დიდ ნაწილს ღმერთი სოციალისტი ხომ არ ჰქონია. ბევრ მორწმუნეს მიაჩნია, რომ ღმერთი ყველას თანაბრად მიუზღავს და რომ ყველას ერთნაირი ძალაუფლება, პასუხისმგებლობა და პატივი გვექნება ახალ ცაზე და ახალ მიწაზე. ვინც ასე ფიქრობს ჭეშმარიტებაში ვერ გარკვეულან: მართალია, ღმერთისმიერი გამოსყიდვა ყველასთვის თანაბარია და საქმეებზე არ არის დამოკიდებული, უფალი მისი სიტყვისადმი მორჩილების მიხედვით მოგვიზღავს.

სარბიელის კარგად დასრულებისათვის ჩვენი ყველაზე დიდი საზღაური ის იქნება, თუ რამდენად ახლოს ვიქენებით მარადისობაში იესოსთან. არაფერია იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე იმასთან ყოფნა, ვინც გიყვარს და ვისაც ეთაყვანები. წმინდა წერილი ამის ნათელ მაგალითს წარმოგვიდგენს. ერთ-ერთია ადგილი, სადაც საუბარია გამარჯვებულთა ჯგუფზე, რომელიც „მიჰყვებიან კრავს, სადაც არ უნდა წავიდეს“ (გა-

მოცხ. 14:4;). რამხელა პატივია – მარადიულად მიჰყები იესოს იქ, სადაც არ უნდა წავიდეს“.

ეს ჭეშმარიტება ასევე ნათლად ჩანს სახარებებში. იესო-სთან თხოვნით მიდის ორი მოწაფის დედა: „სიტყვა მომეცი“, – უთხრა მან იესოს – „რომ ეს ჩემი ორი ძე დასხდნენ ერთი შენს მარჯვნივ და მეორე შენს მარცხნივ შენს სასუფეველში“ (მათ 20:21;).

რა თქმა უნდა, ყველაზე საპატიო ადგილი იესოს გვერდით ჯდომა იქნებოდა. ამაზე უკეთესი ადგილი არ შეიძლება არსებობდეს! ბიბლიაში ვკითხულობთ ანგელოზების, სერაფიმების შესახებ, რომელნიც ძალიან ახლოს არიან ღვთის ტახტრევანთან (იხ. ეს. 6:1-6;). ისინი შეუჩერებლად გადასძახიან ერთმანეთს: „წმინდა, წმინდა, წმინდა არს უფალი!“. ქრისტიანები თავიანთ საგალობლებში იყენებენ ამ სიტყვებს. თუმცა ისინი ამ სიტყვებს იმისთვის არ მღერიან, რომ ღმერთს საკუთარ თავზე კარგი განწყობა შეექმნას. არა, ისინი იმის საპასუხოდ მღერიან, რასაც ხედავენ! ხედავენ რა ღმერთის დიდების რომელიმე გამოვლინებას, ერთადერთი რისი გაკეთებაც შეუძლიათ შემდეგი სიტყვების წარმოთქმაა: „წმინდა არს!“. მეტიც, ეს იმდენად ძლიერი შეძახილია, რომ ამ ხმის გამო იმ დარბაზის კარის საყრდენები ირყევა, სადაც ზეცაში მყოფი მიღიარდობით ანგელოზი და წმინდანია.

ამ ძლიერ ანგელოზებს არ ბეზრდებათ თავიანთი მარადიული მოვალეობა. ისინი ნამდვილად არ ფიქრობენ, ათი ტრილიონი წელიწადია ამას ვაკეთებთ. ცოტა მოგვპეზრდა. იქნებ ღმერთმა სხვა ვინმე მოიყვანოს ჩვენს ადგილზე, რომ შევისვენოთ და ზეცის სხვა ადგილებიც მოვინახულოთ.

არავითარ შემთხვევაში! ზეციურ ანგელოზებს სხვაგან ყოფნა არ სურთ. მთელს სამყაროში არ არსებობს უფრო უკეთესი ადგილი, ვიდრე ღმერთის გვერდით ყოფნაა, სადაც მისი დიდებულება და სიბრძნეა. მარტივად რომ ვთქვათ, არაფერია ქმნილებებს შორის ისეთი თვალწარმტაცი, ვიდრე თავად შემოქმედია. უნდა გვახსოვდეს, რომ არაფერია მისთვის დაფარული, და როდესაც მასთან ახლოს ხარ, ყველაფერს მისი გადმოსახედიდან ხედავ. ერთ ძალიან სუსტ მაგალითს მოვიყვან; წარმოიდგინეთ ალბერტ აინშტაინის, ნეილ არმისტრონგის და ისააკ ნიუტონის გვერდით ზიხარ და ტელესკოპით გაჰყურებ კოსმოსს. რამდენი რამის გაგებას შევძლებდით! მართალია ეს ძალიან შორს არის იმისგან, რომ ზუსტად აღვნეროთ, თუ როგორ ხედავს ღმერთი ყველაფერს, მაგრამ დარწმუნებული ვარ გამიგებთ რისი თქმაც მინდა.

ერთ მსახურს ვიცნობ, რომელიც ზეცაში იქნა წაყვანილი. იქ ყოფნისას მას ტახტის სიახლოვეში ყოფნის ძლიერი, გარდაუგალი სურვილი გაუჩნდა. და ზეცაში მყოფთაგან ყველას მსგავსი სურვილი ჰქონდა – ყველას სურდა რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო უფალთან. ჩემმა მეგობარმა აღტაცებულმა მითხრა, რომ ზეცა გაცილებით მშვენიერია, ვიდრე მას წარმოედგინა, მაგრამ ზეცაში იმაზე ძლიერი სურვილი არ ყოფილა, ვიდრე ღმერთთან ახლოს ყოფნა.

დავუბრუნდები იაკობის და ოიანეს დედის თხოვნას. იესომ მას უპასუხა: „ჩემს მარჯვნივ და მარცხნივ დაჯდომის ნებართვა ჩემგან არ არის, არამედ ვისთვისაც გამზადებულია მამაჩემის მიერ“ (მათ. 20:23). ისმის კითხვა: ზეცაში მართლა არსებობს საპატიო ადგილები? ან იქნებ იესო მიუთითებდა მათ, რომ არ ეძიათ საპატიო ადგილი? რაში გაინტერესებს ვინ უფრო ახლოს იქნება ჩემთან და მამაჩემთან? შენც და შენმა შვილებმაც, უბრალოდ ღმერთისთვის უნდა იცხოვროთ. და ერთ დღეს ღმერთი გადაწყვეტს ვინ რა საზღაურსა და პატივს მიიღებს. აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ მე რას ვაკეთებ და არა იმაზე, შენ რას აკეთებ, ამიტომ ამაზე ნუ იდარდებ.“

ამ კითხვაზე სათანადო პასუხის გასაცემად კიდევ ერთ კითხვას გადავხედოთ, რომელიც იესოს დაუსვეს საუკუნო სიცოცხლესთან დაკავშირებით. ერთხელ მასთან სადუკეველი მივიდა და ცდილობდა იესო თეოლოგიურ საკითხში ჩაეჭრა. იყო შვიდი ძმა, დაიწყო სადუკეველმა. უფროსმა ძმამ ცოლი მოიყვანა, მაგრამ უშვილოდ მოკვდა. შემდეგ მეორე ძმამ შეირთო უფროსის ცოლი და ისიც უშვილოდ მოკვდა. და გაგრძელდა ასე – ყოველი ძმის სიკვდილის შემდეგ, მომდევნო ძმა ირთავდა ამ ქალს ცოლად. შემდეგ სადუკეველმა ჰკითხა: „აღდგომისას, ამ შვიდიდან, რომლის ცოლი იქნება ის ქალი?“

პასუხი რომელიც იესომ სადუკეველს გასცა, განსხვავებული იყო იმ პასუხისგან, რომელიც მისი მოწაფეების დედამ მიიღო – „ქორწინება მიწაზე მყოფთათვის არის“.

მაგრამ ზეცაში ასე არ იქნება. ვინც ღირსნი არიან მოიპოვონ ის საუკუნე და მკვდრეთით აღდგომა, არც ცოლს ირთავენ და არც თხოვდებიან. ვინაიდან მათ არც სიკვდილი შეუძლიათ, ისინი, ანგელოზთა სწორნი და ღვთის ძენი არიან, ძენი აღდგომის. (ლუკ. 20:35-36)

იესომ სადუკეველს შეუსწორა და შემდეგ განუმარტა, თუ როგორი იქნებოდა ზეცაში ქორწინება. თუმცა იესომ იაკობის და იოანეს დედას არ შეუსწორა. მან ხაზი გაუსვა ზეცაში საპატიო ადგილების ყოფნას და რომ ეს ის ადგილებია, რომლებიც მასთან ყველაზე ახლოს არის. ეს ადგილები მამა ღმერთისაგან ჯილდოს სახით იქნება გადანაწილებული. წმინდა წერილის სხვა მუხლებიც გვიჩვენებენ, რომ საპატიო ადგილები იმათ გადაეცემათ, რომლებიც სარბიელს კარგად დაასრულებენ - შეუპოვარ მორწმუნებს.

## ის, რაც გვეძის

ამ ჭეშმარიტების დანახვა ეზეკიელის წიგნშიც შეიძლება. მართალია აქ საუბარი ძველი აღთქმის მღვდლებზეა, მაგრამ ეზეკიელი წინასწარმეტყველურ სიტყვას გადმოგვცემს – აჩრდილს – იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ცხოვრება ღმერთის საუკუნო სახლში, სიონის დიდებულ ტაძარში.

წინასწარმეტყველ ეზეკიელის მეშვეობით ღმერთი ლევიანების, ძველი აღთქმის მღვდლების შესახებ საუბრობს. რა კავშირშია ეს ჩვენთან? იოანე მოციქული გვეუბნება:

„მას, რომელმაც შეგვიყვარა და საკუთარი სისხლით გვიხსნა ჩვენი ცოდვებისაგან და გაგვხადა ჩვენ სუფევად, მღვდლებად ლვთისა და თავისი მამისათვის. მას დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე, ამინ! (გამოცხ. 1:5-6;)

ნახეთ, როგორ გამოვყავი სიტყვა მღვდლები? ქრისტიანები, რომელნიც სულით არიან შობილნი, ლვთის წინაშე საუკუნოდ მღვდლები არიან. მოისმინეთ ღმერთის სიტყვა:

„რადგან ლევიანები, რომლებიც მომშორდნენ ისრაელის განდგომისას, რომელნიც განდგნენ ჩემგან და მიჰყვებოდნენ უკან თავიანთ კერპებს, იტვირთავენ სასჯელს თავიანთი ურჯულოების გამო. და იქნებიან ისინი ჩემს საწმიდარში აღმსრულებლებად, ტაძრის კარიბჭეთა ზედამხედველებად და ტაძრის სამსახურის აღმსრულებლებად“ (ეზეკ. 44:10;)

სიტყვა „კერპები“ ისრაელის კერპთაყვანისმცემლობაზე მიუთითებს. დღევანდელობაში კერპთაყვანისმცემლობას უწინდებური სახე აღარ აქვს, თუმცა იგი ისევე ამაზრზენია

ლვთის თვალში, როგორც ეს ადრე იყო. ჩვენ გვეთქვა: „მოაკვდინეთ თქვენი მიწიერი ასოები, რაც კერპთაყვანისცემაა“ (კოლ. 3:5;). ამ ქვეყნიერების სიამტკბილობისაკენ ლტოლვა სწორედ რომ კერპთაყვანისმცემლობაა. ჩვენს, დასავლურ სამყაროში კერპია ფული, მატერიალური საგნები, სტატუსი, პოპულარულობა, სიამოვნება, სახელი და ნებისმიერი რამ, რაც ბოროტ გულისთქმასთან და ამბიციებთან არის დაკავშირებული. კერპად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი რამ, რისი სიყვარული და სურვილი ღმერთის სიყვარულს აღემატება. კერპია ის რაღაცა, ან ვიღაცა რასაც ან ვისაც ჩვენ საკუთარ ძალას ვაძლევთ ან მისგან ვიღებთ შემართებას.

კერპთაყვანისცემლობამ, პრაქტიკულად ცხოვრების ნებისმიერ სფეროში შეიძლება იჩინოს თავი. შესაძლებელია ეს ისეთი მარტივი რამ იყოს, როგორიც არის ჭამა. ბევრი ქრისტიანია, რომელიც საკვებს არის დახარბებული. როდესაც ცუდ ხასიათზე დადგებიან, ჭამას იწყებენ; უხარიათ – ჭამენ; თუ რაიმეს კარგი გემო აქვს ჭამენ, მიუხედავად იმისა არის თუ არა მასში ვიტამინები.

კერპთაყვანისცემლობამ  
პრაქტიკულად ცხოვრების  
ნებისმიერ სფეროში  
შეიძლება იჩინოს თავი.

ისინი ნაგავსაც კი მოინელებენ საკუთარ სხეულში მისი სა-სიამოვნო გემოს გამო. მანქანაში გამოცვლილ ზეთს ან დაბინძურებულ საწვავს არ ჩასახამენ, მაგრამ, როდესაც საქმე საკვების მავნებლობას და რაოდენობას ეხება, ყურსაც არ შეიძერტყავენ. მათვის საჭმელი კერპად იქცა. რადგანაც ისინი ძალას საკვებისგან, დროებით მიღებული გემოსგან, იღებენ. მიღებულ ძალას სწორედ ამ შეგრძნებებს ახარჯავენ.

ადამიანის სურვილი გახდეს ცნობადი სახე, ასევე შეიძლება ჩაითვალოს კერპთაყვანისმცემლობად. არიან ადამიანები, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ეკლესიაში, სამსახურში, ზოგადად საზოგადოებაში „საპატიო“ თანამდებობა დაიკავონ. ისინი მზად არიან ჭორები ააგორონ, მოიტყუონ, ვიღაცა გააკრიტიკონ, რათა ამით საკუთარი სურვილების განხორციელება შეძლონ. ისინი ძალას იღებენ პოპულარობიდან, წოდებიდან და სახელის მოხვეჭიდან; შედეგად საკუთარ ძალას ამ ყველაფერს მოახმარენ.

კერპს შეუძლია შეუპოვარი ერთგულება შემოგაძარცვოს. ის მოგპარავს იმ ძალას, რომელიც სარბიელის კეთილად დასასრულებლად გესაჭიროება.

ზემოთ, ეზეკიელის წიგნიდან მოყვანილ მუხლებში, ღმერთი მიმართავს იმ მორწმუნებას, რომლებმაც ღმერთის გზა დროებით სიამოვნებაში გაცვალეს. შესაძლებელია ასეთმა კერპებმა დროებითი კმაყოფილება მოგვანიჭონ, მაგრამ ისინი ვერ გამოდგებიან მარადისობისთვის. ღმერთი ამბობს, რომ კერპთაყვანისმცემლები ყველა ჩადენილი არასწორი საქციელის გამო პასუხს აგებენ. ისინი გადარჩებიან, მაგრამ როგორც ცეცხლისაგან. ისინი იქნებიან ღმერთის სახლში, მაგრამ ისე, როგორც მსახურები, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საქმის შესასრულებლად.

უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი ჩვენც გვესაუბრება აქ და ახლა. მას არ სურს, რომ შენ ვერ გახდე იმ სიმდიდრეების მოზიარე, რომელიც მას ჩვენთვის აქვს შენახული. ზეცა გაცილებით მშვენიერი იქნება, ვიდრე ჩვენ წარმოვიდგენთ; დედამიწაზე არსებულთაგან მის ბრწყინვალებას ვერაფერი შეედრება. თუმცა ზეცაში სტატუსი იარსებებს — აღმატებული პატივის და ნაკლები პატივის ადგილები. ღმერთის სახლში არსებული ნებისმიერი სტატუსი დედამიწაზე არსებულ ყოველ წოდებაზე გაცილებით უკეთესია, თავად დავითი ამბობს: „მირჩევნია ღმერთის სახლის ზღურბლთან ვიდგე ვიდრე ბოროტების კარავში ვპინადრობდე“ (ფსალმ. 3:10;). მესიჯის ბიბლიის ვერსია მშვენიერ პარაფრაზირებას უკეთებს ამ სიტყვებს:

„შენს სახლში, თაყვანისცემის მშვენიერ ადგილას გატარებული ერთი დღე, საბერძნეთის კუნძულების სანაპიროებზე გატარებულ ათას დღეს ჯობია. მირჩევნია ჩემი ღმერთის სახლში იატაკს ვხეხავდე, ვიდრე ცოდვით აღვისილ ადგილას საპატიო სტუმრად ვიყო მიღებული“.

დავითი ამბობს: „სხვა ადგილებში ყოფნას, ღვთის სახლში მიჯობს უბრალო მსახური ვიყო!“. მთელს სამყაროში ღმერთის სახლზე სასურველი სახლი არ არსებობს. ამ სახლში მისი თანდასწრება სუფევს. სიონში ნებისმიერი სახის სტატუსი სხვაგან უფრო აღმატებულ სტატუსებზე უკეთესია.

მაგრამ აქ ის მთავარი საკითხი არ უნდა გამოგვრჩეს, რომელსაც ღმერთი გვიჩვენებს. რადგანაც მას ძალიან ვუყვარვართ, ის გვაფრთხილებს იმ პოტენციურ მწუხარებაზე, რომელსაც იმ შემთხვევაში ვიწვნევთ, თუ ვერ გვექნება მისა-ადგომელი, იმასთან, რაც ყველაზე საუკეთესოა: საზღაური, რომელიც მარადისობაში, ღმერთთან ყველაზე ახლოს ყოფნას გულისხმობს. მორწმუნეთა სამსჯავროს დღეს ცრემლები

იქნება, ხოლო ღმერთის სიტყვა გვარწმუნებს, რომ „ღმერთი მოსწმედს ყველა ცრემლს მათი თვალებიდან“ (გამოცხ. 21:4;). მაგრამ იმის გააზრება, რომ ჩვენთვის მოცემული სიცოცხლის დრო არასწორად გამოვიყენეთ, არ განვვმორდება. მუდამ გვეცვდინება, თუ რა გამოვტოვეთ იმის გამო, რომ დროებით და ამაო საკითხებს ვიყავით გამოდევნებული. ეს საუკუნო მნიშვნელობის დანაკარგია, რომელზეც წინა თავში ვისაუბრე (იხ. 1 კორ. 3:12-15;).

მეორეს მხრივ, გადავხედოთ რას ამბობს ღმერთი: „მღვდლები კი – ლევიანები, ცადოების ძენი, რომელნიც ასრულებდნენ ჩემი სანმიდრის მოვალეობას, როდესაც განდგნენ ისრაელის ძენი ჩემგან, მომიახლოვდნენ მე, რათა მემსახურონ და იდგნენ ჩემს წინაშე“ (ეზეკ. 44:15;).

მიუხედავად იმისა, რომ აქ ღმერთი ძველი ალთქმის მღვდლების შესახებ საუბრობს, დანერილია, რომ ეს არის „აჩრდილი მომავლისა“ (კოლ. 2:17;) და რომ „ყველაფერი, რაც მოხდა, ჩვენს სამაგალითოდ მოხდა“ (1 კორ. 10:11). ხშირ შემთხვევაში, ძველ აღთქმაში გადმოცემული სიტუაციები, მომავლის აჩრდილს და მაგალითს წარმოადგენს. დაუკვირდით სიტყვას მემსახურონ. ერთია ამ სახლის მსახური იყო, იატაკს ხეხავდე, ისე როგორც დავითს სურდა, მაგრამ სრულიად სხვა რამეა ემსახურებოდე ღმერთს!

1983 წელს, როდესაც სრული დროით მსახურება დავიწყე, 8000 წევრიანი ეკლესიის წევრი ვიყავი. ეს ეკლესია არა მხოლოდ ჩემს ქალაქში იყო ცნობილი, არამედ მის შესახებ მთელ მსოფლიოში ქონდათ გაგებული. ერთ დროს ამ ეკლესიაში დაახლოებით 450 კაციანი მსახურთა ჯგუფი არსებობდა. მე ეკლესის მწყემსის და მისი მუსლინის დამხმარედ ვიყავი დანიშნული. მათ მიმართ მსახურების გაწევა ჩემთვის პატივი იყო. მე სხვა მსახურებზე მეტად პრივილეგირებული ვიყავი, რადგან ჩემი ოფისი ხუცესის იფისის გვერდით მდებარეობდა. ხშირად მიწევდა მათ სახლში ყოფნა და ხშირად მათთან და მათთან მყოფ ცნობილ მსახურებთან ერთად მიწევდა სადილობა. ამ დროს შიშით მოცული ვიჯექი ხოლმე. ცრემლებს ვერ ვიკავებდი, როდესაც ვუფიქრდებოდი იმას, რამდენად გამიმართლდა რომ ამ ბრნყინვალე ლიდერებთან ასე ახლოს ვიმყოფები.

ვისმენდი ბრძნულ აზრებს, რომლის მოსმენის პატივი მრავალ ჩემს თანამსახურს არ ქონდა. ბევრი მაშინ მოსმენილი კარგი აზრი დღემდე მადგება ცხოვრებაში. მთელს ეკლესიაში ყველას ჩემი ადგილის დაკავება უნდოდა. თანამსახურები ხშირად მეუბნებოდნენ: „როგორ გაგიმართლდა, რომ

ასეთ მსახურებაზე განგანესეს“. ზოგი შურით მეკითხებოდა: „ჰა, როგორ მოხვდი მაგ პოსტზე? რით დაიმსახურე?“. სხვები ხშირად მეკითხებოდნენ, ვინ დაიკავებდა ჩემს ადგილს, თუ მე სხვა მსახურებაში გადამიყვანდნენ. ვიცოდი მართლები იყვნენ: ჩემი პოსტი მთელს მსახურებაში საუკეთესო იყო.

ახლა, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როდესაც ასეთი პატივი გაქვს ადამიანს თვით ღმერთთან? ის შეუპოვარი მორნმუნები, რომლებიც საკუთარ საქმეს კარგად აკეთებენ და მირბიან მათ წინ არსებულ სარბილზე, სასუფეველში ღმერთის თანდასწრებასთან ყველაზე ახლოს იქნებიან. ისინი საპატიო ადგილებს დაიკავებენ ღვთის წინაშე. როგორც ღმერთი ამბობს ეზეკიელის 44:28-ში: „და ექნებათ მათ სამკვიდრებლად და, რომ მე ვარ მათი სამკვიდრებელი“.

ღმერთო! განა შეიძლება ამაზე უკეთესი ჯილდო არსებოდეს? მასთან ყველაზე ახლო ისინი იქნებიან, ისინი მოისმენენ მის აზრებს, ისინი მიიღებენ მის ხედვებს, მომავლის გეგმებს, რომლებიც მისი ერთგულები დარჩებიან. ჩვენ ტახტზე დავჯდებით და მასთან ერთად ვიმეფებთ!

რა საოცარი აღთქმა!

აი, კიდევ ერთხელ მოვისმინოთ პავლეს შეგონება:

„ყველა, ვინც იღწვის, თავს იკავებს ყველაფრისაგან. ისინი – ხრწნადი გვირგვინის მისაღებად, ჩვენ კი – უხრწნადისა. ამიტომ მე გავრბივარ არა უმიზნოდ, ვიბრძვი არა ისე, ვითომც ჰაერს ვგვემდე“ (1 კორ. 9:25-26;)

პროფესიონალი სპორტსმენები მთელი მოშურნეობით გადიან წვრთნას, რათა სუპერ თასი, შავი ქამარი, ან ოლიმპიური ოქროს მედალი მიიღონ, მაგრამ ყველა ეს ჯილდო ოდნავადაც კი ვერ შეედრება იმას, რისთვისაც ჩვენ გავრბივართ! სწორედ ამიტომ მოგვინოდებენ: „და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი“ (ეპრ. 12:1;). აქ მთავარი სათქმელი შემდეგია: „მოიხსენი ტვირთი, გაიქცი – და ნუ გაჩერდები!“. ამ მუხლის კიდევ ერთი თანამედროვე პარაფრაზი შემდეგია, „მაშინ ისე ირბინე, რომ ჯილდო მოიპოვო“ (1 კორ. 9:24).

ახლა კი, საკუთარ თავს ჰკითხე: ახლა, როცა მოვისმინე იმ ჯილდოს შესახებ, რომელიც მელის, შეიძინა თუ არა ამ სიტყვებმა უფრო მეტი მნიშვნელობა?

ვფიქრობ, რომ პასუხი ვიცი.

## არასოდეს არ დანებდე!

„ბოლომდე მომთმენი გადარჩება“  
მათე 10:22;

**ქ**რავის შეუძლია გაიძულოთ დანებება; ამ გადაწყვეტილებას თავად იღებ. ასე, რომ ნუ გააკეთებ ამას.

საზღაური, რომელსაც გამარჯვებისას მივიღებთ, როგორც ამ ცხოვრებაში, ასევე მომავალშიც – გაცილებით მეტია, ვიდრე ის სირთულეები, რომლის წინაშე დგომაც გინევს. როგორც იესომ თქვა, ბოლო კეთილი იქნება.

ჩვენმა მხსნელმა წინასწარ გვითხრა იმ სამწუხარო მოვლენის შესახებ, რომელიც უკანასკნელი დღეებისას მოხდება. „ბევრი ცდუნდება,“ – ამბობს იგი მათ:4:10-ში. ამ სიტყვების მხოლოდ წარმოთქმაც კი დაამწუხრებდა უფლის გულს. ხალხი, რომლისთვისაც მან თავი გასწირა, სისხლი დალვარა და თავისუფლება მოუტანა, ბოლოს დანებდებიან.

საქმე იმაშია, რომ მათ არ აქვთ დანებების საბაბი. ღმერთმა თავისი ძლიერი მადლი მოგვანიჭა, რომელიც არა მხოლოდ განსაცდელს გადაგვატაინებს, არამედ მასში გავლის შემდეგ უფრო მეტი სიძლიერით, სიბრძნით და ერთგულებით აღვავსებს. ბევრი ქრისტიანი არასწორი პერსპექტივის გამო წყვეტს ბრძოლას. ისინი არ არიან აღჭურვილნი.

ბრძოლის შეწყვეტას სხვადასხვანაირი ფორმა გააჩნია. ბევრ შემთხვევაში მისი ფეხსვი კომპრომისია – შეუპოვრობის ანტონიმი. ჩვენ პირველ თავში წარმოდგენილ ხილვაში დინების საწინააღმდეგოდ მებრძოლ კაცს უნდა მივბაძოთ. ღმერთთან ერთად უნდა ვიაროთ, წარმოვაჩინოთ მისი სამეფო და საკუთარი თავები გამოვყოთ, რამეთუ მისთვის ცხოვრება წუთისოფლის სისტემის დინების საწინააღმდეგოდ სკლას ნიშნავს.

ჩვენ შეუპოვრობა უნდა გამოვიჩინოთ და ღმერთის სიბრძნეს ჩავეჭიდოთ. კომპრომისი დაუშვებელია.

## რთულია იყო ქრისტიანი

მოწამეობრივი სიკვდილით აღსრულებამდე პავლე მოცი-  
ქულმა წინასწარ განჭვრიტა ის ძლიერი დინებები, რომელიც  
ბოლო დღებში იქნებოდა: „უკანასკნელ დღეებში ძალიან  
ძნელი იქნება ქრისტიანად ყოფნა“, წერდა პავლე ტიმოთეს  
(2 ტიმ. 3:1;). პავლემ ოცდაცხრამეტი დარტყმა მიიღო ხუთჯერ,  
სამჯერ ჯოხებით სცემეს, ერთხელ ჩაქოლეს, წლების მან-  
ძილზე აპატიმრებდნენ. სადაც მიდიოდა ყველგან დევნა და  
წინააღმდეგობა ხვდებოდა. თუმცა იგი წინასწარმეტყველებს,  
რომ ღმერთისათვის ცხოვრება ჩვენს დროში უფრო რთული  
იქნება! როგორ შეეძლო მას ამის თქმა, როდესაც თავად ამხ-  
ელა სისასტიკეს იღებდა რწმენის გამო? იგი წერს:

„ვინაიდან ადამიანები იქნებიან თავის მოყვარენი, ვერცხლის  
მოყვარენი, ამაყნი, ამპარტავანნი, მგმობელნი, მშობლების  
ურჩინი, უმადურნი, უწმინდურნი, მოძულენი, შეურიგებელნი,  
ჰილისმწამებელნი, შეუკავებელნი, მოღალატენი, სასტიკნი,  
კეთილის მოძულენი, გამცემნი, თავხედნი, მზგაობარნი, უფრო  
სიამეთა მოყვარულნი, ვიდრე ლვთისა“ (2 ტიმ.3:2;)

თავდაპირველად შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა: „რისი თქმა  
უნდა მას ამ სიტყვებით? ეს ჩამონათვალი რითი განასხვავებს  
ჩვენს დროს, პავლეს მოღვაწეობის პერიოდისაგან?“. რა თქმა  
უნდა, ეს ყველაფერი პავლეს დროინდელ საზოგადოებაშიც  
ხდებოდა. ადამიანები საკუთარი თავის და ვერცხლისმოყვა-  
რენი იყვნენ, უწმინდურნი და არა მიმტევებელნი. პეტრემ  
ორმოცდამეტე დღეს ასეთი რამეც კი თქვა: „იხსენით თავი  
ამ გარყვნილი (ბოროტი, ურცხვი, უსამართლო) მოდგმისგან“  
(საქმ. 2:40;).

აბა, რატომ გამოარჩევს პავლე ჩვენს თაობას? რატომ  
აკეთებს ასეთ ჩამონათვალს, როდესაც ღმერთთან ურთიერ-  
თობის ყველაზე რთულ პერიოდზე საუბრობს? პასუხს შემდეგი  
მუხლი გვაძლევს: „რომელთაც ლვთისმოსაობის სახე აქვთ, მის  
ძალას კი უარყოფენ. ასეთებს ერიდე“ ( 2 ტიმ. 3:5;).

ყველაზე დიდი სირთულე, პავლეს აზრით მორწმუნების  
მიერ ჭეშმარიტების დათმობაში მდგომარეობს. ახალი აღთქმის  
სხვა ავტორების მსგავსად, პავლეც წინასწარ გაფრთხილებას  
იძლევა, რომ პევრი სიტყვით „ზეციდან შობილი ქრისტიანი“ არ  
მოისურვებს ღმერთის მაღლში გაძლიერებას და მასში დარჩე-  
ნას. ისინი ჩაეჭიდებიან ფაქტს, რომ მადლით არიან გადარჩე-

ნილნი, თუმცა უარყოფენ მის ძალას, რომლის მეშვეობითაც შეეძლებოდათ ღმერთის ძლიერი მეომრები გამხდარიყვნენ.

ესენი არიან ისინი, რომლებმაც დაყარეს ნიჩები. შესაძლებელია მათი გემი დინების საწინააღმდეგოდ არის მიმართული, მაგრამ ქვეყნიერების დინების მიმართულებით მიექანებიან. ჩემს ჩვენებაში ყველაზე უარესი არის ის, რომ იქ სხვა დიდი გემებიც იყო, რომელზეც მრავალი ადამიანი იმყოფებოდა. ის რომ ამ გემზე მყოფი ადამიანები ერთ აზრში იყვნენ, ეს უფრო ამყარებს შეხედულებას იმაზე, თუ რამდენად იყვნენ ცდუნებულები. ისინი არამხოლოდ თავად არიან შეცდომაში, არამედ სხვებსაც აცდუნებენ და მრავალ წრფელ ადამიანს აბრკოლებენ რწმენაში. სწორედ ამ სირთულეზე საუბრობს პავლე.

როდესაც წარსულზე ვფიქრობ, მიმაჩნია, რომ ყველაზე დიდი წინააღმდეგობა, რომლის წინააღმდეგაც ადრეული ეკლესის მამებს უხდებოდათ ბრძოლა, ლეგალიზმი იყო. ლეგალიზმი ქრისტიანობისკენ ახლადმოქცეულებს ასწავლიდა, რომ გადარჩენა რჯულით იყო და არა ღმერთის მადლზე მინდობით.

დღეს კი ჩვენ განსხვავებული წინააღმდეგობები გვაქვს. მიმაჩნია, რომ ყველაზე დიდი ბრძოლა, რომელიც ჩვენ გვაქვს ურჯულოებაა. ურჯულოება ისეთ გადარჩენას ქადაგებს, რომელსაც შეცვლილი ცხოვრების წესი არ სჭირდება. ჩვენ, ისევე ვცხოვრობთ, როგორც უნინ, გადარჩენის მიღებამდე ვცხოვრობდით, მაგრამ ახლა რომელიდაცა კლუბის წევრები გავხდით, ახალი იარლიყი მივიკერეთ, ჩვენივე კლუბისათვის დამახასიათებელი ტერმინებით ვსაუბრობთ და ამ დროს, გემი რომელზეც ჩვენ ვიმყოფებით, დინების მიმართულებით მიექანება. ჩვენ მეტად აღარ ვართ შეუპოვარნი ღმერთის მიმართ დდობაში და მისი სიტყვის მორჩილებაში.

იესო ამბობს, რომ „ბოლო დღეებში ურჯულოება გამრავ-ლდება და მრავალს სიყვარული

გაუნელდება. ბოლომდე მომ-  
თმენი კი გადარჩება“ (მათ. მიმაჩნია, რომ ყველაზე  
24:12-13); მაგრამ, ურჯულოება დიდი ბრძოლა, რომელიც  
იესოს დროსაც მრავლად იყო. ჩვენ გვაქვს, ურჯულოებაა.

მაშ ახლა რა განსხვავებაა? რე-  
ალობა შოკისმომგვრელია: იესო  
ზოგადად საზოგადოებაზე არ  
ლაპარაკობს; ლაპარაკობს იმათზე, რომელიც ამბობენ, რომ  
მისი მიმდევრები არიან. ის მიუთითებს, რომ ბოლო დროს  
ქრისტიანად წოდებულ ხალხში გამრავლდება უკანონობა. მა-

გრამ რატომ ამბობს იგი: „ბოლომდე მომთმენი გადარჩება“? ურნმუნოს ვერ ეტყვი, „თუ სარბიელს ბოლომდე გაივლი, გა-დარჩები,“ რადგან ის საერთოდ არ გარბის სარბიელზე. თუმცა, რწმენაში მყოფს, სარბიელზე მორბენალს, შეგიძლია უთხრა, „თუკი ბოლომდე მოითმენ...“.

იესოს საუბარში მთავარი სიტყვა მოთმინებაა. მოითმინება ნიშნავს იმას, რომ ჭეშმარიტებაში დარჩენის სურვილის მქონე ადამიანს წინააღმდეგობების და სირთულეების წინაშე წარსდ-გომა მოუწევს. ჩვენ მოშურნეობა უნდა გვქონდეს, რათა კეთი-ლად დავასრულოდ.

## დრო მოვიდა

ზემოთებულიდან გამომდინარე, პავლე მოციქულის წერილი უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს. საუბრობს რა სიძნელეე-ბზე, შემდეგ ის ანტიდოტსაც იძლევა: „ბოროტი ადამიანები და ცრუმარქვიები კი წინ წაიწევენ უარესისკენ, სხვებსაც აც-დუნებენ და თავადაც ცდუნებაში იქნებიან. შენ კი იდექ იმა-ზე, რაც გისწავლია და რაც გირწმუნია, ვინაიდან იცი, ვისგან გისწავლია“ (2 ტიმ. 3:13-14;).

ჭეშმარიტება არ არის მოდური რამ; მასზე გავლენას ვერ ახდენს ვერც რაიმე შეხედულება და ვერც კულტურა. პავლე მოციქული შეაგონებს და აფრთხილებს თავის მოწაფეებს: „იდ-ექით იმაზე რაც გისწავლიათ და გირწმუნიათ.“ ჭეშმარიტებაში შეუპოვრობა ანტიდოტია.

ქვეყნიერების მოდურობას აყოლა მიმზიდველი რამაა, მა-გრამ მისი აყოლა მხოლოდ ცდუნების მახეში გაბმაა. ამის გამო ამბობს პავლე:

„რადგან შენ ხომ ბავშვობიდანვე იცი საღვთო წერილები, რომელთაც ძალუდთ შენი დაბრძენება სახსნელად ქრისტე იესოს რწმენით. მთელი წერილი ღვთივსულიერია და სა-სარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორე-ბლად, დასარიგებლად სიმართლეში. რათა სრულყოფილი იყოს ლვთის კაცი, ყოველი კეთილი საქმისათვის განმზადებული“ (2 ტიმ. 3:15-17;)

ორი ფრაზა გამოვყავი ამ მუხლებიდან: ბავშვობიდანვე და საღვთო წერილები. მთელი წერილი ლმერთის მიერ შთაგონე-ბულია. ის წარმოადგენს ჭეშმარიტებას, რომელიც დროსა და

კულტურაზე ამაღლებულია. ეს არის საძირკველი, რომელზეც ჩვენს ცხოვრებას ვაშენებთ; ის გვაძლევს ცოდნას და ძალას, რათა ყველაფერში ვაამოთ ღმერთს.

2 ტიმ. მე-3 თავი თითქოს ამ წერილის დასასრულია და ბევრი ჩვენგანი ფიქრობს, რომ პავლემ ამით დაასრულა საკუთარი სათქმელი. თუმცა მხოლოდ 1227 წელს დაიწყო ბიბლიის თავებად და მუხლებად დაყოფა. პავლემ ტიმოთეს მიმართ მეორე წერილი ერთ მთლიან ეპისტოლედ დაწერა და ნათლად ჩანს, რომ პავლეს ამ აზრით არ ამთავრებს სათქმელს. მოციქული აგრძელებს:

„ამრიგად, გიმოწმებ ღვთისა და ქრისტე იესოს წინაშე, რომელიც განიკითხავს ცოცხლებსა და მკვდრებს თავისი მოსვლითა და თავისი სასუფევლით. იქადაგე სიტყვა, დაშინებით, დროულად და უდროოდ, ამხილე, შერისხე, შეაგონე მთელი სულგრძელებითა და სწავლებით. ვინაიდან დადგება დრო, როდესაც საღ მოძღვრებას არ მიიღებენ, არამედ თავიანთი გულისთქმებით ამოირჩევენ ყურის მაამებელ მასწავლებლებს. ჭეშმარიტებას აარიდებენ ყურს და ზღაპრებისაკენ მიმართავენ“ (2 ტიმ. 4:1-4;)

„გიმოწმებ ღვთისა და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წინაშე“. პავლეს არ შეუძლია ამაზე მეტი მითითება მისცეს თავის მოწაფეს. რა დავალებას იძლევა პავლე? აუწყოს და ასწავლოს ღმერთის სიტყვა. ეს არ გულისხმობს ფილოსოფიის, ქვეყნიური მმართველობის პრინციპების ან იმ დროისათვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხების სწავლებას. არა, ეს არის მითითება იქადაგოს ღვთის სიტყვა, რომელიც დროს არ ექვემდებარება.

პავლე აცხადებს, რომ მთელი წერილი ღვთისულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად. შემდეგ კი ტიმოთეს ეუბნება ასწავლოს და იქადაგოს ის. რატომ? იმიტომ, რომ მოვა დრო, როდესაც საღ მოძღვრებას არ მიიღებენ, არამედ თავიანთი გულისთქმებით ამოირჩევენ ყურის მაამებელ მასწავლებლებს. რას წარმოადგენს მოძღვრება? ეს უბრალოდ სწავლება არაა, არამედ წმინდა წერილის ძირული შესწავლა. ეს არის სწავლება, რომელშიც ყველაფერი ერთად არის თავმოყრილი.

სამწუხაოდ, ვხედავ, რომ ჩვენი სულიერი საფუძვლები დროის ცვლილებას მიჰყვება. ყველაფერი იმდენად გამოსულია მწყობრიდან, რომ უზარმაზარი ეკლესიის შსახური მრევლის წინაშე გამოდის, აცხადებს რომ ის ჰომისექსუალია და მის ამ ნათევამს მთელი აუდიტორია დიდი ოვაციით ხვდება. სხვა მქადაგებელი კი ამბობს, რომ ღმერთის ნება აღარ არის

განკურნება და ხალხიც მას უფრო უჯერებს, ვიდრე ღვთის სიტყვას. კიდევ სხვა მსახური წერს წიგნს, რომელშიც იმაზე საუბრობს, რომ ბოლოს ყველა ადამიანი ზეცაში წავა – არავინ დაიწვება სამუდამო ცეცხლში – და ამის გამო ამ ადამიანს მთელი საქრისტიანო „როკ ვარსკვლავად აღიარებს“. ზოგიერთი მსახური ეჭვქვეშ დააყენებს ქრისტეს ქალწულებრივ შობას და ქრისტეს მეორედ მოსვლას და ხალხი ამ მსახურს მაინც ქრისტიანული რწმენის ლიდერად აღიარებს. ყოველდღე მეტი და მეტი ახალი სამწუხარო ამბების მომსწრე ვხვდებით „ქრისტიანებს“ შორის.

არის ახალი კვლევები, რაც დაგვეხმარება უფრო უკეთ დავინახოთ ასეთი აბსურდული ცვლილებები. ერთ-ერთი ეროვნული კვლევის მიხედვით, „ზეციდან შობილი“ ქრისტიანების მხოლოდ 46 პროცენტს სწამს აბსოლუტური მორალი ჭეშმარიტებისა. „სახარების რწმენის მორწმუნების“ 50 პროცენტზე მეტს სწამს, რომ ზეცაში მოხვედრა იქსო ქრისტეს მსხვერპლის გარეშეც შესაძლებელია. „ზეციდან შობილი“ ქრისტიანების მხოლოდ 40 პროცენტს მიაჩნია, რომ სატანა რეალური ძალაა<sup>1</sup>.

ამაზე პასუხი ტიმოთეს მიმართ პავლეს ნათქვამ სიტყვებშია: „საღ მოძღვრებას არ მიიღებენ“ – ჩვენ მეტად აღარ ვართ ჭეშმარიტებაში შეუპოვარი.

უფრო მეტად და მეტად ვისმენთ სახარებაზე, რომელსაც ცვლილების მოხდენა არ შეუძლია. სიტყვა, რომელიც იქადაგება, აღარ არის თანხვედრაში ღვთის სიტყვასთან. იქადაგება, რომ „იქსო ჩვენი ცოდვების გამო მოკვდა, რათა ზეცაში შევეყვანეთ, მაგრამ ამავდროულად ჩვენ ადამიანები ვართ და ღმერთს ესმის ჩვენი სხვადასხვა სახის მდგომარეობები და სექსუალური მიმართულებები“, ცოდვების მონანიების საჭიროების გაუქმება, ბოლო დროის პოპულარულ სწავლებად იქცა. მრავალი მორწმუნეს სიხარულით ეუბნებიან, რომ არ არის საჭირო ცოდვების გამო დამწუხრება და აღსარება, რადგან ცოდვები უკვე დაფარულია მადლით. მრავალი მორწმუნე ქალი და კაცი მინახავს, რომლებმაც მიიღეს ეს მოძღვრება და ამბობდნენ, თუ რამდენად მარტივი და განმათავისუფლებელია ასეთი სწავლება. მაგრამ თუ სიმართლის ნამდვილი მახასიათებლები ასე მარტივი და განმათავისუფლებელი იქნებოდა, მაშინ ყველა, ხორცის მაამებელი მოძღვრება ჭეშმარიტებად ჩაითვლებოდა! მაგრამ, თუ მონანიების არ საჭიროება სწორი სწავლებაა, მაშინ იქსოს რაღაც შეეშალა, როდესაც შვიდიდან

<sup>1</sup> www.barna.org/transformation-articles/252-barna-survey-examines-changes-in-worldview-among-christians-over-the-past-13-years.

ხუთ ეკლესიას „მონანიებისკენ“ მოუწოდა გამოცხადების წიგნში (იხ. გამოცხ. 2:5, 16, 21; 3:3, 19;).

ჭეშმარიტება არ იცვლება იმისათვის, რომ შეცოდების მსურველებს მოერგოს. ჭეშმარიტება არ ექვემდებარება ადამიანთა სურვილებს ან ეგრეთ წოდებულ „პოლიტიკურ მართებულობას“. პირიქით, ღმერთის ძე აცხადებს: „რთულია სიცოცხლისაკენ მიმავალი გზა“ (მათ. 7:14;).

ჩვენ ჯანსაღი სწავლებიდან გადახვეული მქადაგებლების მიმდევრები გავხდით. ამ დახელოვნებულმა მოლაპარაკებმა სახარება ისე შეცვალეს, რომ იგი ჩვენი კულტურის მორალურ მოშლას დაექვემდებარა. ჭეშმარიტება აღარ აქანდაკებს მორწმუნის ცხოვრებას, არამედ თვით ჭეშმარიტება დაექვემდებარა ქვეყნიერების სტანდარტებს. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენს ყურებს სურთ ისეთი სიტყვები მოისმინოს, რომელიც ნებას დაგვრთავს ქვეყნიერებას ლოგინში ჩავუწვეთ, ნაცვლად იმისა, რომ „გამოვიდეთ მათგან და გამოვეყოთ“ (2კორ. 6:17;).

ჭეშმარიტებიდან გადახვევის საწყის ფაზაში ბევრი მორწმუნე შინაგანად გრძნობს სულიწმიდის მხილებას. მაგრამ, რადგანაც მრავალი ადამიანი დინების მიმართულებას მიჰყვება დიდი გემებით, ისინიც ახშობენ სულის ხმას, იცობენ ყურებს და აღარ ისმენენ ჭეშმარიტებას.

## ჩემაიონთა თაობა

და რატომ გვიკვირს ეს? ვიცით, რომ უკანასკნელ დღეებში რწმენას განუდგებიან (იხ. 2 თესალ. 2:3;).

ამავდროულად, ჩვენ ვკითხულობთ იმასაც, რომ ამ ყველაფრის პარალელურად აღსდგება ჩემპიონთა თაობა. მათ შორის იქნებიან ქალები და კაცები, დიდები და პატარები (იხ. საქმ. 2:17-18;).

ძველი დროის მოციქულებმა და წინასწარმეტყველებმა ამ გმირებს ჭეშმარიტებაში შეუპოვარნი უწოდეს. სიბნელის ძალები დიდ ბრძოლას მოუწყობენ ამ მებრძოლებს, მაგრამ მეომრები უკან არ დაიხევენ. ისინი თავიანთი მყარი რწმენით და მოქმედებებით დიდ წინსვლას მოახდენენ უფლის სასუფევლის საქმეში. ისინი კაშკაშა სინათლე იქნებიან გამეფებულ სიბნელეში. ისინი გამორჩეულნი იქნებიან ცხოვრების ყველა სფეროში – არა დათმობებზე ნასვლით, არამედ მსგავსი საქციელით, ღმერთისმიერი სიბრძნის მეშვეობით, რომელიც ღვთის შიშისაგან და მადლისაგან მომდინარეობს.

ძვირფასო მკითხველო, იმედი მაქვს, რომ შენც იმ ჩემპიონთა შორის იქნები. ვლოცულობ, რომ თქვენი დიდებულება ჭეშმარიტებისადმი მორჩილებაში გამოვლინდეს. იმედი მაქვს, რომ აიღებთ რწმენის ფარს და შეუპოვრად გაირბენთ თქვენს წინ მდებარე სარბიელს და ნებისმიერ შემხვედრ სირთულეს ბოლომდე გაბედულად შეებრძოლებით. შენ გამარჯვებული ხარ. შენში იმყოფება იმის თესლი, რომელმაც ყველაზე დიდი ჭირი და სიძნელე გადაიტანა. მისი ძალა შენშია! შენ მისი ბუნება გაქვს. შენ არ შეიქმენი იმისთვის, რომ დანებდე, დათმობაზე წახვიდე და უკან დაიხიო. შენ ღმერთის საკვირველი მადლით ხარ კურთხეული.

მნიშვნელობა არ აქვს რამდენად დიდია შენს წინააღმდეგ წამოსული სირთულე, შეხედე მას, როგორც მმართველობის მომდევნო დონეზე ამყვან საფეხურს. პავლეს მსგავსად შენც ისწავლე განსაცდელებისგან:

„რადგან არ გვინდა, ძმებო, არ იცოდეთ ჩვენი გასაჭირი, რაც აზიაში გადავიტანეთ, რომ მეტისმეტად დაგვიმძიმდა, ვიდრე ამის მოთხენა შეგვეძლო. ხოლო ჩვენ თავად გვქონდა სასიკვდილო მსჯავრი, რათა ჩვენი თავის იმედი კი არ გვქონდა, არამედ ღვთისა, რომელიც ალადგენს მკვდრებს, რომელმაც გვიხსნა კიდეც ასეთი სიკვდილისგან და გვიხსნის, რომლის იმედი გვაქვს, რომ კვლავაც გვიხსნის“

(2 კორ. 1:8-10;)

პავლეს წინააღმდეგ წამოსული სირთულეები იმდენად სასტიკი იყო, რომ მას და მის თანმხლებთ არ ეგონათ თუ გადარჩებოდნენ. და მიუხედავად ამისა, ის აცხადებს „ეს საუკეთესო რამ იყო, რაც შეიძლება მომხდარიყო“. წინააღმდეგობების მეშვეობით პავლე მოციქული ავტორიტეტისა და ძალის უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. ღმერთის მადლი (ძალა) ყოველთვის საკმარისია. უფალი მრავალგზის შეგვაძლებინებს სირთულეებს გავუმკლავდეთ.

ჩვენ გვმართებს მყარად ვიდგეთ და არ დავთმოთ რწმენა, რადგან გაღმა ნაპირზე გამარჯვება და კმაყოფილება გველის. როგორც იაკობი წერს, „ღმერთი გაკურთხებს, თუკი შენი რწმენის გამოცდისას არ დანებდები. ის საზღაურად დიდებულ სიცოცხლეს მოგცემს“ (იაკ. 1:12;).

შენში ჩადებულია ღმერთისმიერი ძალისმომცემი მადლი, ბუნება, მახასიათებლები და სისაცსე. შენ ერთი ხარ მასთან; შენ

ქრისტეს სხეული ხარ. თავი (იესო) არასოდეს განიცდის მარცხს, ასევე უნდა იყოს მისი სხეულიც. „ყველაფერში შევიწროებულნი ვართ“, წერს პავლე „მაგრამ არა ვართ დათრგუნულნი, მაგრამ არ ვჩერდებით და არ ვწებდებით“ (2 კორ. 4:8;).

ჩვენ ქრისტეს სხეული ვართ; ჩვენ არ ვნებდებით. ჩვენ არ ვწყვეტთ! პავლე კვლავ და კვლავ იმეორებს: „ჩვენ არასოდეს ვნებდებით“ (2 კორ. 4:1;) და ისევ, „ამიტომ არ ვცხრებით“ (2 კორ. 4:16;) და მსგავსი მუხლების ჩამონათვალი გრძელდება.

—  
შენ იმისთვის ხარ შექმნილი,  
რომ წარმატებული იყო.

ნურასოდეს იფიქრებ, რომ ღმერთმა თავი დაგანება. ის ღმერთმა თავი დაგანება. ამას არასოდეს გააკეთებს. მოისმინე მისი ძლიერი აღთქმის სიტყვები: „სარწმუნოა ღმერთი, რომლისგანაც იქენით მოწოდებულნი მის ძესთან, ჩვენს უფალ იესო ქრისტესთან თანაზიარებისათვის. ის არასოდეს დაგანებებთ თავს. არ დაივიწყო ეს“ (1 კორ. 1:9).

განა ეს დიდებული აღთქმა არ არის? ღმერთი არასოდეს დაგანებებს თავს. და თუ ის არ შეეგვება, მაშინ შენ როგორ უნდა შეეშვა მას ან საკუთარ თავს? იყავი შეუპოვარი.

და რა იქნება ჩვენი შეუპოვრობის საზღაური? რა და ის, რასაც თავად ღმერთი ამბობს:

„აი საზღაური, ყოველი გამარჯვებულისათვის და ჩემი საქმეების დამცველისათვის: მივცემ ხელმწიფებას ერებზე“ (გამოცხ. 2:26;)

რა დიდებული საზღაურია! პავლე ქრისტეს სიტყვებს ადასტურებს: „თუ არ დავწებდებით, მასთან ერთად ვიმეუქმდ“ (2 ტიმ. 2:12;). და გახსოვდეს, ეს იქნება არა მხოლოდ მომავალში, არამედ აქ და ახლა. „მიიღებენ მადლს და სიმართლის ნიჭს, იმეფებენ სიცოცხლეში ერთის, იესო ქრისტეს, მეშვეობით“ (რომ. 5:17;).

ასე, რომ ქრისტეში ჩემო ძვირფასო ძმაო და დაო, შენ ნამდვილად ფლობ ძალას ქრისტეში იმისათვის, რომ შეუპოვარი იყო. ყველაფერი გაქვს იმისათვის, რომ კარგად დაასრულო: ღმერთის მადლი, რომლის შენევნითაც არ დამარცხდები. ასე რომ გაბედულად იღვანე ჯილდოს მისაღებად. მნიშვნელობა

არ აქვს რა ღვთიური დავალება გაკისრია, რა წოდება გაქვს, მნიშვნელობა არ აქვს ხანგრძლიობას – მცირე ხნით თუ მთელი ცხოვრების მანძილზე- შენი ბოლო გამარჯვება და მეფობაა. შენ წილად გხვდა პატივი იმისა, რომ უხვი და აღვსილი ცხოვრება განიცადო, თუ მყარად იდგები რჩმენაში. შენ, წინ მეფობა გელის. შენ გამორჩეული იქნები მეფის დიდებისთვის. ეს ჭეშმარიტად ძვირფასი ჯილდოა. ამიტომ მუდამ გახსოვდეს:

**დარჩი ღმერთიან!**

მოიკრიბე გაბედულება. არ გაჩერდე.

**კვლავ გეტყვი:**

დარჩი ღმერთიან. (ფსალმ. 26:14;)

## ლოცვა - გამოცემის შვილი

**ლ**ოცორ გავხდეთ ღმერთის შვილი? უპირველეს ყოვლისა, ამ საკითხს შენთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს მთლიანად იესო ქრისტეს მიერ აღსრულებულ ღვაწლზე არის დამოკიდებული. მან შენს გამო, გვერდზე გადადო თავისი მეფეური ცხოვრება, რათა დაებრუნებინე შენს შემოქმედთან, მამა ღმერთათან. ჯვარზე იესოს სიკვდილი ერთადერთი საფასურია, რომლითაც შენთვის საუკუნო სიცოცხლე იქნა მოპოვებული.

მნიშვნელობა არ აქვს რომელ სოციალურ კლასს, წარმომავლობას, რელიგიას, ადამიანებისთვის მისაღებ ან მიუღებელ წრეს ეკუთვნი, შენ გაქვს უფლება გახდე ღმერთის შვილი. მას სურს, რომ შენ მისი ოჯახის ნევრო გახდე. ეს კი შესაძლებელია იმის აღიარებით, რომ უფლის გარეშე დამოუკიდებლად, ცოდვაში ცხოვრობდი და ამის შემდეგ ქრისტეს აღიარებ უფლად; როდესაც ამას გააკეთებ შენ ხელახლად იშვები. ამის შემდეგ მეტად აღარ ხარ სიბრძელის მონა; შენ ზეციდან შობილი ხარ, ღმერთის შვილი ხარ. წმინდა წერილი ამბობს:

„იმიტომ რომ, თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები. ვინაიდან გულით სწამო სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“ (რომ. 10:9-10;)

ამიტომ, თუ გწამს, რომ იესო ქრისტე მოკვდა შენთვის და სურვილი გაქვს მიიღო იგი შენს ცხოვრებაში – მეტად აღარ იცხოვრო საკუთარი თავისთვის- გაიმეორე ეს ლოცვა წრფელი გულით და შენ ღმერთის შვილი გახდები:

„ზეცაში მყოფო ღმერთო, ვაცნობიერებ, რომ ცოდვილი ვარ, დაცემული და შორს ვიმყოფები შენი სამართლიანობის სტანდარტისგან. მაღლობა, რომ არ მტოვებ ამ მდგომარეობაში. მჯერა რომ, შენ გამოგზავნე იესო ქრისტე, შენი მხოლოდ შობილი იქ, რომელიც ქალწულ მარიამისგან იშვა, რათა მომკვდარიყო ჩემთვის და ჩემი დანაშაული ჯვარზე აეტანა. მწამს, რომ ის მესამე დღეს მკვდრეთით აღდგა და ახლა შენს მარჯვნივ ზის, როგორც ჩემი უფალი და მხსნელი.

დღეს 20— წლის \_\_\_\_\_ ჩემს სიცოცხლეს მთლიანად ქრისტეს უფლობას ვუქვემდებარებ.

იგი, გადარებ ჩემს უფლად, მხსნელად და მეფედ. შემოდი ჩემს ცხოვრებაში სულინმიდით და გამხადე ღმერთის შვილი. უარს ვამბობ სიბნელეზე და დღეის შემდეგ აღარ ვიცხოვრებ საკუთარი თავისთვის, არამედ შენთვის, რომელმაც საკუთარი თავი შემომწირე იმისათვის, რომ საუკუნო სიცოცხლე მქონოდა.

მადლობა უფალო; ახლა ჩემი ცხოვრება მთლიანად შენს ხელშია, და როგორც შენი სიტყვა ამბობს, არასოდეს შევრცხვები“.

ახლა შენ უკვე გადარჩენილი ხარ; შენ უკვე ღმერთის შვილი გახდი. აი, ამ წამს, მთელი ზეცა ხარობს შენთან ერთად! კეთილი იყოს ღვთის ოჯახში შენი მოპრძანება! სურვილი მაქვს სამი სასარგებლო ნაბიჯი შემოგთავაზო, რომელიც ახლავე უნდა გადადგა:

1. ის, რაც ახლა გააკეთე, გაუზიარე რომელიმე ადამიანს, რომელიც უკვე მორწმუნება. წმინდა წერილი გვეუბნება, რომ ერთ-ერთი იარაღი, რომლითაც სიბნელეს ვამარცხებთ ჩვენი მოწმობაა (იხ. გამოცხ.12:11). მოგინოდებ დაუკავშირდე ჩვენს მსახურებას, მესენჯერ ინთერნეიტ-ნალს საიტზე [www.messengerinternational.org](http://www.messengerinternational.org). გაგვიხარდება შენი ამბის მოსმენა;
2. შეუერთდი კარგ ეკლესიას, რომელიც ღმერთის სიტყვას ასწავლის. გახდი მისი წევრი და ჩაერთე მსახურებაში. როდესაც პატარა ბავშვი იბადება, მშობლები მას ქუჩაში არ ტოვებენ და არ ეუბნებიან „თავად მიხედე საკუთარ თავს“. შენ ახლა ქრისტეში ჩვილი ხარ; შენმა მამამ, ღმერთმა, ოჯახი მოგიმზადა, რომელშიც გაიზრდები. ამ ოჯახს ახალი აღთქმის ადგილობრივი ეკლესია ჰქვია;
3. მოინათლე წყლით. მართალია, უკვე ღმერთის შვილი ხარ, ნათლობა არის დამოწმება როგორც სულიერი, ასევე ბუნებრივი სამყაროს წინაშე, რომ შენი ცხოვრება ღმერთს მიეცი ქრისტეს მეშვეობით. ეს ასევე მორჩილების აქტიც არის, რადგან იესო ამბობს, რომ ახალმოქცეულები უნდა მოვნათლოთ „მამის, ძის და სულინმიდის სახელით“ (მათ. 28:19.).

საუკეთესოს გისურვებ ახალ ცხოვრებაში, რომელიც ქრისტეში დაინყე. ჩვენი მსახურება გამუდმებით ილოცებს შენთვის. ახლა კი დაიწყე შეუპოვარი ცხოვრება ჭეშმარიტებაში!

## რატომ ვიყენებ პიპლის აგდენ სხვადასხვა მარტინს

**ზ**ოგჯერ ისმის კითხვა, რატომ ვიყენებ პიპლის ამდენ სხვადასხვა ვერსიას და რატომ ვიყენებ წმინდა წერილის მუხლებიდან ციტატებს? ნება მიბოძეთ პასუხი გავცე ამ კითხვებს.

1. პიპლია დაიწერა 11 000-ზე მეტი ეპრაული, არამეული და ბერძნული სიტყვის გამოყენებით. დღევანდელი საშუალო მოცულობის პიპლის ინგლისური ვერსია დაახლოებით 6 000 სიტყვას იყენებს. მოცემული სტატისტიკა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სხვადასხვა თარგმანებში ამა თუ იმ სიტყვამ შესაძლოა თავისი ნამდვილი მნიშვნელობა დაკარგოს. ამიტომ პიპლის რამდენიმე ინგლისური ვერსიის გამოყენება საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად გავიგოთ რას გვეუბნება ღვთის სიტყვა;
2. პიპლის მხოლოდ ერთი ვერსიის გამოყენებისას, მკითხველს ნაცნობი მუხლი როდესაც ხვდება, ის ზერელედ ეკიდება მას, რადგან თვლის, რომ ესმის მისი მნიშვნელობა. ხოლო, როდესაც პიპლის სხვადასხვა ვერსიებს ვიყენებთ, მკითხველი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს წაკითხულის გააზრებას;
3. წერის პროცესში ამორჩეულ მუხლს პიპლის ხუთი ან რვა ვერსიიდან ვკითხულობ, რათა მათგან ის გამოვიყენო, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს აზრს, რომლის გადმოცემაც მსურს. როდესაც ამა თუ იმ მუხლის პარაფრაზირებას ვახდენ, ვცდილობ ის მაქსიმალურად შეესაბამებოდეს დედნისეული ტექსტის კონტექსტს;
4. მიზეზი, თუ რატომ არ ვიყენებ მთლიან მუხლს, გახლავთ ის, რომ პიპლია თავებად და მუხლებად 1227 წელს დაყვეს. თავდაპირველად პიპლია იმ სახით არ იყო გადმოცემული, როგორითაც დღეს არის. ხშირად სახარებებში იესო მხოლოდ ამა თუ იმ ციტატას იყენებდა ძველი აღთქმიდან;

## შემდგომი მსჯელობისა და განაზრებისათვის

1. ეთანხმები თუ არა აზრს, რომ გაცილებით მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ დაასრულებ ცხოვრებას, ვიდრე, როგორ დაიწყებ? განმარტე შენი პასუხი.
2. როგორ განსაზღვრავ „შეუპოვარი სული“?
3. შენი აზრით, რა არის ღმერთის მადლი? როგორ გესმით მადლის მნიშვნელობა ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ?
4. როგორ იყენებთ თქვენს ცხოვრებაში ჭეშმარიტებას, რომ ქრისტიანებმა უნდა „იმეფონ ცხოვრებაში“ (იხ. რომ. 5:17;)? როგორ გავლენას ახდენს ეს ჭეშმარიტება შენს ოჯახზე? შენს საქმიანობაზე?
5. ბევრი ქრისტიანის ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ისინი არ მეფობენ ცხოვრებაში. შენი აზრით რატომ არის ასე?
6. რა ძირითადი დამოკიდებულებები და მოქმედებები ხდიან შესაძლებელს, რომ მორწმუნე ცხოვრების ნებისმიერ გამოწვევაზე მეფობდეს?
7. შენთან შენინააღმდეგების რა გეგმა გააჩნია სატანას (იხ. იოან. 10:10;)? ბოლო კვირების ან დღეების განმავლობაში რა სახით ცდილობდა სატანა „მოპარვას, მოკვლას და განადგურებას“ შენს ცხოვრებაში?
8. იესომ თქვა, რომ ცხოვრებაში სირთულეები გვექნება, მაგრამ მან „სძლია წუთისოფელს“ (იხ. იოან. 16:33;). რა გვეხმარება იმაში, რომ დამპყრობლები და გამარჯვებულები ვიყოთ?
9. რა მახასიათებლები გააჩნია ამაყ ადამიანს? რა მახასიათებლები გააჩნია თავმდაბალ ადამიანს?
10. პეტრე მოციქული ქრისტეს მიმდევრებს შეაგონებდა „თავმდაბლობით შემოსილიყვნენ“ (1 პეტ. 5:5;). როგორ ფიქრობ, რას ნიშნავს ეს რეალურ ქრისტიანულ ცხოვრებაში?
11. რა ტაქტიკა შეიძლება გამოვიყენოთ ეშმაკის წინააღმდეგ?
12. რატომ წარმოადგენს სირთულეები ესოდენ მნიშვნელოვან რეალობას ქრისტიანულ ცხოვრებაში?
13. რა როლი აკისრია ლოცვას მოშურნე ქრისტიანის ცხოვრებაში?
14. როგორ აღწერ „გულმოდგინე“ ლოცვას?
15. რატომ იქნება ზეცაში სხვადასხვა სახისა და დონის საზღაური?
16. გაიაზრეთ რა ამ წიგნში გადმოცემული მთავარი საკითხები, ქრისტიანული ცხოვრების რომელ სფეროში გჭირდება სული-ნმიდის დახმარება იმისათვის, რომ განავითარო შენი „შეუპოვარი სული“?

## შეუპოვარი

### ძალა, რომელიც არასოდეს არ უნდა დათმო

ეს წიგნი ჯონ ბევირის სასწავლო პროგრამის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და მის სრულად და სწორად შესწავლას ხელს უწყობს DVD დისკი, რომელიც თან ახლავს წიგნს, იმ სხვა თანმხლებ მასალებთან ერთად, რომელთა გადმინერა და გამოყენება შესაძლებელია ინტერნეტიდან, რაც შესაძლებლობას მოგცემთ შეისწავლოთ ამ დინამიური სწავლების ყველა ნაწილი. სათანადოდ შესწავლის შემთხვევაში ეს დიდ გავლენას მოახდენს და წინ წასწევს თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებას, რაც შეგაძლებინებთ უფრო მეტი გააკეთოთ ღმერთისთვის.



სწავლების სრული კურსი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

#### - წიგნი „შეუპოვარი“

ამ პროგრამის ერთადერთი გამოცემული ნაწილი. ამ წიგნის ელექტრონული ვერსიის მოძიება ინტერნეტითაც არის შესაძლებელი, როგორც ელ-წიგნი ასევე PDF ფორმატი;

#### - შეუპოვრის რესურს დისკი

დისკი მოჰყვება გამოცემულ წიგნს, რაც შეიცავს ამ პროგრამის მასალას ციფრული ფორმატით.

#### - სახელმძღვანელო (სამუშაოწიგნი):

ელ-წიგნის სახით და ასევე PDF ფორმატით.

#### - აუდიო წიგნი „შეუპოვარი“

წიგნის „შეუპოვარის“ თვრამეტი თავი მოცემულია თქვენ მშობლიურ ენაზე

MP3 ფორმატში

#### - „შეუპოვარის“ ვიდეო გაკვეთილები

შედგება თორმეტი ვიდეო გაკვეთილისგან. ეს გაკვეთილები შესაძლებელია უფასოდ ჩამოიტვირთოს ინტერნეტიდან.

#### - „შეუპოვარის“ აუდიო ჩანაწერი

12 ჩანაწერი MP3 ფორმატში.

#### - წიგნი „ძე ლომის ჩამოლვიძება“

ელ-წიგნის სახით და PDF ფორმატში.

## შეუპოვარი

ძალა, რომელიც არასოდეს არ უნდა დათმო

შემდგომი ინფორმაცია სასწავლო კურსის „შეუპოვარის“  
კონკრეტულ ტემაზე:

**აუდიო ფაილები MP3 ფორმატში** შეიძლება გადმოიტვირთოს ცი-  
ფრულ ფლეირზე, ტელეფონში ანდა კომპიუტერში.

**ელექტრონული ფაილები PDF ფორმატში** შეიძლება გადმოიტვირ-  
თოს პლანშეტში ანდა კომპიუტერში. ადგილია მათი წაკითხვა,  
დაბეჭდვა და ასლის გაკეთება, ცალკეული ტექსტებისაც კი.

**წიგნი ელექტრონული სახით** – ეს არის გამოცემული წიგნის  
ელექტრონული ვარიანტი. შეგიძლიათ ის გადმოიტვირთოთ და  
წაიკითხოთ პლანშეტში, კომპიუტერში ან ტელეფონში.

**რესურს დისკი.** თუ რაღაც მიზეზით არ იყიდება დისკი, სცადეთ  
მისი კომპიუტერში ჩატვირთვა და თითოეული ფაილის ცალ-ცალკე  
გახსნა. თუ ამის შემდეგაც ვერ მოხერხდა მასალის წაკითხვა,  
დასახმარებლად მიმართეთ ვინმეს, ვინც ერკვევა ამ საქმეში.

ყველა ეს სასწავლო მასალა თქვენთვის არის უფასო. თქვენ შე-  
გიძლიათ გააკეთოთ ამ დისკის ასლი, გააგზავნოთ ელ.ფოსტით,  
გადაიყვანოთ Word-ის ფორმატში, გაუგზავნოთ თქვენი ეკლესი-  
ის ლიდერებს, ატვირთოთ ინტერნეტში, რათა ყველასთვის იყოს  
ხელმისაწვდომი. ეს მასალა გაავრცელეთ ყველგან, სადაც სწყ-  
ურიათ ღმერთის სიტყვა და სწორი ქრისტიანული ცხოვრება.

**[www.MessengerInternational.org](http://www.MessengerInternational.org)**


**[www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)**

# „შეუკორვარი“

## DVD ვერსია



რესურს ფაილები და  
დამატებითი მასალები ისტორიუ  
მუზეუმი მსამართზე:  
[www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)



Messenger  
International.  
teach reach rescue

[MessengerInternational.org](http://MessengerInternational.org)

გამოიყენება მხოლოდ  
კომპიუტერისთვის

ქალა, რომელიც არასოდეს არ უდაბა დათმო

# შეუკორვარი



ეს რესურს დისკი თქვენთვის განკუთვნილი საჩუქარია პირადად ჯონ ბევირისგან. მისი საშუალებით თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდება რამდენიმე ძლიერი რესურსი, რომელიც დაგეხმარებათ შემდგომი დინამიური სწავლისათვის და სხვებისთვის გასაზიარებლად. წარმოდგენილი მასალა შეგიძლიათ გაამრავლოთ და გაავრცელოთ, ელ-ფოსტით გადაუგზავნოთ სხვებს, დაურიგოთ სტუდენტებს, ატვირთოთ ინტერნეტში, დაბეჭდოთ ან გადაიღოთ ასლები. ამ მასალის უმთავრესი დანიშნულებაა შთა-აგონოს და გაამხნევოს ქრისტიანები.

ჯონ და ლიზა ბევირებისაგან ამ რესურსის და სხვა სწავლებების (საკუთარ ენაზე) ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი ვებგვერდებიდან:

[www.MessengerInternational.org](http://www.MessengerInternational.org)  
[www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)

მრავალ ენაზე არის შესაძლებელი დამატებითი რესურსების ნახვა და ჩამოტვირთვა [Youtube.com](http://Youtube.com)-ისა და [Youku.com](http://Youku.com)-დან, ასევე სხვა მსგავსი გვერდებიდან.

“ღმერთი არ არის შემოქმედი სიძნელისა, მაგრამ იგი მას იმ-ისათვის იყენებს, რომ უფრო დიდ გამარჯვებას მივაღწიოთ. ის არასოდეს დაგვაყენებს ისეთი ქარიშხლის წინაშე, რომლის და-ძლევის ძალაც არ გვექნება.”

- ჯონ ბევირი, შეუპოვარი

უკვე გაქვს ის, რაც კარგი დასასრულისთვის გჭირდება!

ქრისტიანები „უბრალოდ“ როდი არსებობენ. შენ იმისათვის შეიქმნი, რომ ამა-დღედ სირთულეებზე და წარმოაჩინო უპირატესობა! ამ შესანიშნავ წიგნში ავტორი საუბრობს იმაზე, თუ რას ნიშნავს კარგად დასრულება. შეუპოვარი უფრო მეტს გვთავაზობს, ვიდრე თვითგადარჩენა. იგი გადმოგცემს ახალ შეხედულებებს, რომელიც ეთანხმება მოციქულ პავლეს სიტყვებს: „კმაყოფილი ვარ უძლურებებში“. ამ წიგნში მოცემული ჭეშმარიტებები, რომლებიც ეფუძნებიან ბიბლიას, შეგვაძლებინებს მივაღწიოთ წარმატებას.

## შეუერთდი შეუპოვრის გამოცდილებას



ჯონ ბევირი არის მრავალი ბესთსელერის ავტორი და მომხ-სენისტი. მან და მისმა მეუღლემ ლიზამ, რომელიც ასევე ბესთსელერების ავტორია, 1990 წელს დააფუძნეს ჯონ ბევირის მსახურება. ეს მსახურება გაიზარდა მრავალმხრივ მახარებლურ მოძრაობაში, რომელიც შეიცავს ყოველკვირეულ სატელევიზიო პროგრამას „მაუნტებლი“, რომელიც 214 ქვეყანაში მაუნტებლობს. ბევირს მრავალი წიგნი აქვს გამოცემული, რომელთა შორის არის „შიშის დამსხვრევა“, „უფლის შიში“ და „საფარქვევე“.

## შეიცავს წიგნის DVD ვერსიას

გადმოტვირთეთ ეს და სხვა მასალები:  
[www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)  
[www.MessengerInternational.org](http://www.MessengerInternational.org)



teach reach rescue  
**Messenger International.**  
MessengerInternational.org

წიგნი ავტორის საჩუქარია  
და არ იყიდება.



ჯონ ბევირი ფეისბუქსა  
და ტვიტერზე